

როგორ ვასწავლოთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს კითხვა

სახელმძღვანელო
მშობლებისა და
შასწავლებლებისთვის



კატრინია ლოგან ოლვეინი

როგორ ვასწავლოთ დაუნის სინდრომის

მშენებელს კითხვა

**სახელმძღვანელო მუშაობისა და
მასწავლებლებისთვის**

ავტორი:

პატრიცია ლობანოვიჩი

Patricia Logan Oelwein

TEACHING READING TO CHILDREN WITH DOWN SYNDROME

A guide for Parents and Teachers

პატრისია ლოგან ოლვეინი

ტოპორ ვასნაკლოთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს კითხვა

სახელმძღვანელო მშობლებისა და მასწავლებლებისთვის

ადაპტირებული ქართული თარგმანი: თამარ მიქაძე

ექსპერტ-კონსულტანტი: მარიამ ხვადაგიანი

რედაქტორები: ნინო დობორჯგინიძე, ნინო ცინცაძე

მხატვარი: ნინო ჯიჯავაძე

გარეკანის დიზაინი: ნინო ქუ ტიძე

მეორე რედაქცია:

2019, საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

პირველი რედაქცია:

2013, კავშირი "ჩვენი ბავშვები"

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	4
მიძღვნა	6
შესავალი.....	7
პირველი ნაწილი.....	10
პირველი თავი	11
მეორე თავი	19
მესამე თავი	27
მეოთხე თავი	35
მეხუთე თავი	59
მეექვსე თავი	69
მეშვიდე თავი	75
მეორე ნაწილი	83
მერვე თავი.....	85
მეცხრე თავი.....	119
მეათე თავი.....	135
მეთერთმეტე თავი.....	145
მესამე ნაწილი.....	175
მეთორმეტე თავი	177
მეცამეტე თავი	183
მეთოთხმეტე თავი.....	193
მეთხუთმეტე თავი.....	201
მეთექვსმეტე თავი	207
მეჩვიდმეტე თავი	213
ეთვრამეტე თავი	221
ბიბლიოგრაფია	233
დანართები.....	237

წინასიტყვაობა

ეს წიგნი მნიშვნელოვანი ნაშრომია, განსაკუთრებით მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, რადგან იმის გაგებაში გვეხმარება, თუ როგორ სწავლობენ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები და, რაც მთავარია, როგორ ვასწავლოთ მათ კითხვა. კითხვის ცოდნა თანამედროვე სამყაროში ცხოვრებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ გარშემო მილიონობით დაწერილი სიტყვაა. ეს სიტყვები მიგვითითებენ, გვასწავლიან, ინფორმაციას გვაწვდიან, გვიჩვენებენ, გვსაყვედურობენ და გვართობენ. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანმა კი კითხვის ელემენტარული უნარის წყალობით შეიძლება შემოსავლიანი საქმე იპოვოს და დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

აღრე ფიქრობდნენ, რომ დაუნის სინდრომის ან სხვა ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვი ვერ შეიძენს ისეთ აკადემიურ ჩვევას, როგორცაა კითხვა, რადგან სწავლის მოტივაცია არა აქვს. მიაჩნდათ, ასევე, რომ შეუძლებელია „მოტივაცია“ გაუჩინო იმას, ვისაც თანდაყოლილი „შიდა მოტივაცია“ არა აქვს. ამდენად, იმის გამო, რომ მოტივაციის არარსებობა გონებრივ განვითარებაში შეფერხების აუცილებელ პირობად იყო აღიარებული, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვისთვის კითხვის სწავლების ნებისმიერი მცდელობა ფუჭად მიაჩნდათ. საბედნიეროდ, კვლევამ დაადასტურა, რომ ეს არ არის მართალი.

შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად ინტელექტუალური თუ ფიზიკური დარღვევისა, რაღაცის სწავლა მაინც შეუძლია. იგივე ითქმის დაუნის სინდრომის მქონე ადამიანზე. ისეთ გარემოში, სადაც სწავლება ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული პროგრამის გამოყენებით მიმდინარეობს, სისტემატურია, კონკრეტულ საჭიროებებს ითვალისწინებს, პროცესზეა ორიენტირებული და არა მოტივაციის აბსტრაქტულ ცნებებზე, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ნამდვილად სწავლობს. ხშირად ბავშვის წარმატება ჩვენს ყველაზე ოპტიმისტურ მოლოდინსაც კი აჭარბებს.

როგორ ვასწავლოთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს კითხვა: სახელმძღვანელო მშობლებისა და მასწავლებლებისთვის დეტალურად მოუთხრობს მკითხველს, თუ როგორ შეიმუშაოს და განახორციელოს ასეთი პროგრამა. კითხვის პროგრამის ავტორი და ინიციატორი ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბავშვის განვითარებისა და ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა ცენტრის ექსპერიმენტული სწავლების განყოფილების თანამშრომელი, **პატრიცია ოლვეინი** დიდი ნიჭით დაჯილდოებული და ძალზე კრეატიული მასწავლებელია, რომელსაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვის სწავლების ოც წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. პატრიცია ოლვეინს აქვს მშობლებსა და მასწავლებლებთან კომუნიკაციის, მათი ინსტრუქტაჟის საოცარი უნარი. მისი თანაგრძნობით, იუმორითა და ენთუზიაზმით აღსავსე ნაწერი მკითხველისთვის ადვილად გასაგებია.

წიგნის **პირველ ნაწილში** ქალბატონი ოლვეინი აღწერს, თუ როგორ სწავლობს და როგორ გადაამუშავებს ინფორმაციას დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი. ის გვიხსნის, თუ როგორ გავხადოთ სწავლა მაქსიმალურად სასარგებლო, როგორ გავამახვილოთ ყურადღება ბავშვის ძლიერ მხარეებზე და როგორ მოვახდინოთ სუსტი მხარეების კომპენსირება. ავტორი მონათხრობს კონკრეტული მაგალითებითა და სასაცილო ამბებით ავსებს. ეს ნაწილი, რომელიც მომდევნო, საკუთრივ კითხვის პროგრამის შესავალია, ყურადღებით უნდა წაიკითხოთ. მასში ისეთი ფასეული რჩევებია გადმოცემული, რაც მკითხველს უთუოდ გამოადგება.

მეორე და მესამე ნაწილში თვით კითხვის პროგრამაა აღწერილი. ეს არის უნიკალური, ძალზე კრეატიული, წარმატებული და ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული კითხვის პროგრამის დეტალური და ყოვლისმომცველი პრეზენტაცია. პროგრამის მიზიდველობა მის მრავალფეროვნებასა და იმ სიმარტივეშია, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს, მოახდინოს მისი მოდიფიცირება ან ადაპტირება მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებასა და სწავლის უნართან.

ამბობენ, რომ თუკი ბავშვი ვერ სწავლობს, ეს მისი ბრალი არ არის. ეს არც მშობლის ბრალია და არც მასწავლებლის. ეს უფრო მეტად სწავლების მეთოდოლოგიისა და პროგრამის ნაკლია. ეს წიგნი, როგორც სახელმძღვანელო, შეიძლება იყოს სწავლის პროცესის შედეგიანი და სასიამოვნო საშუალება როგორც მშობლისთვის, ისე მასწავლებლისა და ბავშვისთვის.

ვალენტინ დმიტრიევი

მიძვნა

ეს წიგნი ეძღვნება ჩემ მოსწავლეთა პირველ კლასს, რომლებმაც მასწავლეს, როგორ მესწავლებინა და გვასწავლეს ყველა ჩვენგანს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს კითხვა მართლაც შეუძლიათ. მე სიამაყით ჩამოვთვლი თქვენს გვარებს დარწმუნებული იმაში, რომ თქვენ მათ სიამაყით წაიკითხავთ, ეძღვნება:

ჯეე ბენსონს, ქრისტი ბორონს, ლუპიტა კანოს, პატრიკ ევეციხს, გლენ ვერმერს, აარონ გალანს, სკოტ გეტოს, ლორი ჰოუსრონს, ბროკინ ჯოი ჰილს, მარტა ჰინოიოსას, დენი ჰოლტონს და ქერი სელერს.

პატრისია ლოგან ოლვეინი

შესავალი

ოცდაორი წლის წინ, როდესაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლება დავიწყე, კითხვის მცოდნე დაუნის სინდრომის მქონე გამონაკლისად ითვლებოდა. დღეს ჩემი გამოცდილება ადასტურებს, რომ გამონაკლისი სწორედ ის დაუნის სინდრომის მქონე ადამიანია, ვინც კითხვა არ იცის (რალაც დონეზე მაინც). დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმრავლესობას კითხვის შესაძლებლობა ისეთი პროგრამების ფარგლებში უნდა მიეცეს, რომლებიც მათ ინდივიდუალურ წარმატებაზე გათვლილი. ეს ეხება ყველა იმ უნარის განვითარებას, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია, ფუნქციურია და ამდიდრებს მის შესაძლებლობებს.

ის, რომ ბავშვი¹ კითხვის სწავლების რომელიმე პროგრამას ვერ ითვისებს, სულაც არ ნიშნავს, რომ კითხვას ვერ ისწავლის. შესაძლოა, ეს იმას ნიშნავდეს, რომ ბავშვმა სწორედ ეს კონკრეტული პროგრამა ვერ აითვისა, ის არ იყო ისე შემუშავებული, რომ მისი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. კითხვის სწავლების ბევრი პროგრამა და მეთოდი არსებობს. ზოგ მათგანს ბავშვების ერთი ნაწილი იოლად ითვისებს, დანარჩენებისთვის შეიძლება სხვა პროგრამა იყოს უფრო შესაფერისი; სულაც არ არის აუცილებელი, ამ წიგნში აღწერილი პროგრამა იმ ბავშვებისთვის გამოვიყენოთ, ვისაც სპეციალური პროგრამით სწავლება არ სჭირდება და წარმატებით სწავლობს სხვა პროგრამით, რომელშიც კითხვის ყველა სირთულე ისწავლება. სულ არ მინდა კარგი საქმე გავაფუჭო. დახმარება იქ არის საჭირო, სადაც პრობლემებია მოსაგვარებელი.

ამ წიგნის მიზანი დაუნის სინდრომის მქონე ან განვითარების შეფერხების მქონე სხვა ბავშვების მასწავლებლებისა და მშობლებისთვის წარმატების მიღწევის ხერხების შეთავაზებაა. აქ აღწერილი ძირითადი პროგრამა ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბავშვის განვითარებისა და ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა ცენტრის, დაუნის სინდრომის მქონე და განვითარების სხვა შეფერხებების მქონე ბავშვების სკოლამდელი ცენტრის ექსპერიმენტული განათლების განყოფილების პროგრამის ფარგლებში 1971-78 წლებში შემუშავდა. ეს ერთ-ერთი პირველი პროგრამაა, რომელიც „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ადრეული განათლების პროგრამას“ დაედო საფუძვლად და რომლის გავრცელება 1987 წლამდე ფინანსდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ხერხების გავრცობა, ადაპტირება, მათი გამოყენება სხვადასხვა სასწავლო გარემოსა და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

თავდაპირველი პროგრამა ითვალისწინებდა ბავშვის განვითარებაში ადრეულ ჩარევას, დაბადებიდან ექვს წლამდე. პროგრამის მიზანი იყო ადრეულ ასაკში ახალი, ინოვაციური ხერხების შეთავაზება ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის და ისეთი საგანმანათლებლო ხერხებისა და საშუალებების შემუშავება, რაც დააჩქარებდა ბავშვის განვითარებას და ოჯახს ბავშვთან შეგუებაში დაეხმარებოდა. ბავშვთა ადრეული ასაკის გამო, კითხვის სწავლება არ იყო პროგრამის თავდაპირველი მიზანი. ის შემუშავდა როგორც ენის განვითარების პროგრამა და მთლიანი პროგრამის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა.

მე ამ პროგრამაში კლასის მასწავლებლის ფუნქციას ვასრულებდი, ხოლო მისი კოორდინატორი იყო ვალენტინ დმიტრიევი. მე მას ვუყვებოდი, თუ როგორ აიღო ოთხი წლის დენისმა (რომელსაც სიტყვის თქმაც კი არ შეეძლო), სათამაშო დინოზავრი, თითოთ მისიწინა წიგნში დახატულ დინოზავრზე და ამით მაჩვენა, რომ ისინი ერთი და იგივე იყო. მე და ბატონი ვალენტინი ვმსჯელობდით, საგნების/ცნებების გარჩევის როგორი გასაოცარი უნარი ჰქონდა დენისს და რამდენად ჩამორჩებოდა მისი ენობრივი უნარი, რაზეც ბატონმა ვალენტინმა მითხრა: „ჰოდა, მიეცი კომუნიკაციის შესაძლებლობა, ასწავლე კითხვა.“

¹ ამ წიგნში ძირითადი ყურადღება დაუნის სინდრომიან ადამიანებს ეთმობა. თუკი სპეციალურად არ არის აღნიშნული, ყველა ბავშვს, მოზარდს, ზრდასრულ პირს თუ მოსწავლეს, რომელსაც წიგნში ვიხსენიებ, დაუნის სინდრომი აქვს.

შესავალი

მე, ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელიც მზად იყო, უფროსის ყველა დავალება შეესრულებინა, მიზნად დავისახე, დენისისთვის კითხვა მასწავლებელსა და საგნების/ცნებების გარჩევის ის ხერხები გამოვეყენებინა, რომლებიც დემიტრიევმა მასწავლა. ცოტა ხანში დენისმა თავისი, დედამისის, მამამისისა და თავისი ძმის სახელების წაკითხვა ისწავლა. პირველი მკაფიოდ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც მისგან გავიგე, სწორედ კითხვისას წარმოთქმული სიტყვა იყო. კითხვა მისი საყვარელი საქმიანობა გახდა.

მეტყველების სპეციალისტის რეკომენდაციით ჩვენ მას წაკითხული სიტყვების შესტებით გამოსახვა ვასწავლეთ. კითხვისას დენისი ზოგ სიტყვას ვერბალურად გამოხატავდა, ზოგს ჟესტით; ცხოველებს იმ ბგერით გამოსახავდა, რომელსაც ესა თუ ის ცხოველი გამოსცემს. დენისის დედამ პროგრამას გამოუგზავნა მხარდაჭერის წერილი, რომელშიც წერდა, – ვოკალური ბგერების 90%, რომელსაც დენისი გამოსცემს, სიტყვებისა და ანბანის ასოებისგან შედგება.

დენისის წარმატებით ფრთაშესხმულებმა, იმავე მეთოდის გამოყენებით, კლასში სხვა ბავშვების სწავლებაც დავიწყეთ. ცოტა ხანში აღმოვაჩინეთ, რომ ზოგი ბავშვი კითხვაში სხვაზე ნიჭიერი იყო და რომ ჩვენს პროგრამაში მონაწილე ბავშვების უმრავლესობას კითხვის სწავლა შეეძლო. ასევე, აღმოვაჩინეთ, რომ კითხვის სწავლა მეტყველების განვითარებასაც უწყობდა ხელს; დაუნის სინდრომის მქონე ბევრი ბავშვი სამეტყველო ენის სწავლამდე ვიზუალური ენის ათვისებას იწყებს. როდესაც ბავშვებში საგნების/ცნებების გარჩევის უნარი იმ ეტაპამდე მივიდა, რომ მათ სიტყვების გარჩევა შეეძლოთ, კითხვა შემოვიტანეთ და ბავშვებს შინაარსით დატვირთული, ფუნქციური სიტყვების წაკითხვა ვასწავლეთ.

კითხვის პროგრამის შესახებ ინფორმაციას მასწავლებლები ხშირად მთხოვენ, თუმცა, უმეტესად თხოვნა მაინც მშობლებისგან მოდის. მშობლები, როგორც წესი, ბავშვის სწავლების პროცესს უფრო თანამიმდევრულად წარმართავენ და ბავშვის საგანმანათლებლო მოთხოვნებს მთელი ცხოვრების განმავლობაში უმკლავდებიან. უმეტეს შემთხვევაში სწორედ მშობლები უზრუნველყოფენ პროცესის უწყვეტობას და წლების განმავლობაში ბავშვის ინდივიდუალური განათლების პროგრამის სტაბილურ მონაწილეებად რჩებიან. მათი მონაწილეობა სისტემატურია, მაშინ როცა ცალკეულ მასწავლებელს ბავშვთან მუშაობის განსაზღვრული დრო აქვს (თუკი ბავშვმა წლის განმავლობაში კითხვა ვერ ისწავლა, გაისად ეს სხვა მასწავლებლის გასაკეთებელი ხდება). ამიტომ ვარჩიე, რომ ეს წიგნი უპირველესად მშობლებისთვის დამეწერა, თუმცა, ამ პროგრამის თუ კითხვის ნებისმიერი სხვა პროგრამის განხორციელებისას მშობლებსა და სპეციალისტებს შორის მაღალი დონის თანამშრომლობა უნდა იყოს. მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა შევრან ერთიანი გუნდი, რომელიც ცალკეული ბავშვისთვის ამოცანებსა და მიზნებს შეიმუშავებს, ასევე უზრუნველყოფს, რომ კლასში შესრულებული სამუშაო სახლში შესრულებული სამუშაოს გაგრძელება იყოს და პირიქით; ამ გზით წარმატების მაქსიმალური ხარისხი იქნება მიღწეული. აქ წარმოდგენილი ხერხები და საშუალებები შეიძლება ისე იყოს ადაპტირებული, რომ სკოლაში ან სახლში გამოიყენებოდეს როგორც დამატებითი, კითხვის ჩვევის გასამყარებელი პროგრამა, კითხვის სხვა პროგრამასთან ერთად. სავარაუდოდ, სპეციალური განათლების ამ ძირითად პრინციპებს ბევრი მასწავლებელი მიმართავს და შეიძლება აქ მოყვანილი ხერხების ადაპტირებასა და მათ ძირითად კურიკულუმთან ერთად გამოყენებას.

ზოგ შემთხვევაში ამ პროგრამის „დამწყებთათვის“ გამოყენებაც შეიძლება, საკუთარი თავის რწმენის განსამტკიცებლად და ბავშვების კითხვისთვის „მოსამართლად“. ადრეულ ეტაპზე მიღწეული წარმატება და კითხვით კმაყოფილება ზოგ ბავშვს ბიძგს მისცემს და ასწავლის, თუ რას ნიშნავს კითხვა და მიხვედრებს მის ფასს – დაწერილი სიტყვის პრაქტიკულ გამოყენებასა და ამ სიტყვისგან მიღებულ სიამოვნებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვი ისწავლის, რომ შეუძლია დაწერილი სიტყვის „საიდუმლოს“ ამოხსნა. ზოგიერთ ბავშვს ეს პროგრამა წარმატებულ დასაწყისს სთავაზობს და საშუალებას აძლევს, გადაინაცვლოს საბაზისო კითხვის პროგრამაში. ეს განსაკუთრებით რეგულარული საკლასო სწავლების პროგრამაში ჩართულ ზოგიერთ ბავშვს შეეძლება. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს (ან მშობელს) შეუძლია ამ პროგრამის ზოგიერთი ხერხი საბაზისო პროგრამებთან ერთად დამატებით გამოიყენოს.

სხვა შემთხვევაში ეს პროგრამა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კითხვის სრულყოფის

პროგრამა. მას შემდეგ, რაც ზოგი ბავშვი კითხვის საბაზისო პროგრამაში გადავა, ტექსტები, რომელთა წაკითხვას მას მოსთხოვენ, შეიძლება, შინაარსის შემცველი არ იყოს მისთვის; ბავშვმა, შესაძლოა, არც იცოდეს ის ძირითადი ცნებები, რომლებიც ამბის გაგების შესაძლებლობას მისცემდა, ან, შესაძლოა, არც აინტერესებს ეს ამბავი, რადგან მისთვის არაფრის მთქმელია. ხშირად ბავშვი იმედგაცრუებულად და დამარცხებულად გრძნობს თავს და ამ მასალის წაკითხვას უაზრობად მიიჩნევს. ამასთან, შინაარსის გაგებასთან დაკავშირებულ შეკითხვებსაც ვერ სცემს სწორ პასუხებს. ამის გამო მასწავლებლებისგან ხშირად გამიგია, „ბავშვები სიტყვებს ამბობენ, მაგრამ არ ესმით, რატომ კითხულობენ ამ სიტყვებს“; ამ ბავშვებისთვის კითხვა, როგორც ცნებების სწავლების საშუალება, რაც კითხვას სასარგებლოს და შინაარსიანს გახდიდა, ბევრად ფასეულია, ვიდრე კითხვის ისე სწავლება, რომ ბავშვის სუსტი მხარეები გამოჩნდეს. ეს პროგრამა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს, მისი დანიშნულება სწავლის ინდივიდუალურ საჭიროებასა და სტილზე მორგებაა. ამ ხერხების გამოყენებით კითხვის სწავლების პროგრამა ბავშვებისთვის ყველაზე შესაფერისი შეიძლება იყოს მთელი განათლების პროცესის მანძილზე (რაც ჩვენთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში შესასრულებელი აქტივობაა).

ძალიან ცოტაა ისეთი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი, ვისთვისაც კითხვა უაზრო და უსარგებლო საქმიანობაა და ვინც კითხვას ვერ შეძლებს. როგორც წესი, ასეთ ბავშვებს სერიოზული ინტელექტუალური დარღვევა აღენიშნებათ და ხშირად სხვა სირთულეებიც აქვთ, რაც სწავლაში უშლის ხელს. ბავშვებს ენის გაგება და სიმბოლოების გამოყენება უჭირთ, უჭირთ სხვა ადამიანებსა და საგნებთან ურთიერთობაც. თუკი თქვენს ბავშვს ასეთი სირთულეები აქვს, მისთვის კითხვის სწავლება დროის ფუჭად ხარჯვა იქნება და კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს მის წარუმატებლობას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების დიდმა ნაწილმა ამ წიგნში წარმოდგენილი ხერხების საშუალებით კითხვა ისწავლა. მართალია, ყველა ერთნაირი ტემპით არ სწავლობდა და ყველამ ერთ დონეზე ვერ ისწავლა, მაგრამ ყველა, ვინც კარგად სწავლობდა, წინსვლას მიაღწია. ზოგ ბავშვს კითხვის სპეციფიკური „ნიჭი“ ჰქონდა და წარმატებას ამის გამო მიაღწია. პირველ თავში იმ ბავშვების კითხვის უნარის შესახებ მონაცემები შევაჯამე, ვინც ამ პროგრამის საშუალებით კითხვა ისწავლა.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის სპეციალურად ადაპტირებული ეს ფუნქციური, ენობრივ გამოცდილებაზე დამყარებული მიდგომა, ისეთი სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების დახმარებას ითვალისწინებს, რომლებსაც ტრადიციული პროგრამების გამოყენებით სწავლა უჭირთ. ეს პროგრამა შესაძლებლობას აძლევს ამ ბავშვებს, ისწავლონ კითხვა და ძალზე ფასეულ და მნიშვნელოვან დამოუკიდებლად ფუნქციონირების შესაძლებლობას აძლევს. დაწერილი სიტყვების წყალობით ბავშვს სწავლა უადვილდება და შესაძლებლობა ეძლევა, მოახდინოს ინფორმაციის ორგანიზება; მისთვის ხელმისაწვდომი ხდება ბეჭდური ინფორმაცია და მასალის კითხვაში ვარჯიში შეუძლია. პროგრამა ეხმარება ბავშვს გაგონილი ინფორმაციის გადამუშავებისა და ვერბალური ჩვენებების დეფიციტის კომპენსირებაში. კითხვა არტიკულაციასაც ეხმარება; თანდათან ბავშვს თავისუფალ დროს კითხვის ჩვევაც უვითარდება, რაც მის ცხოვრებას ამდიდრებს. გრძელვადიან პერსპექტივაში კითხვა ბავშვის დასაქმების შესაძლებლობასაც ზრდის. კითხვაში წარმატება ძალიან ეხმარება ბავშვს საკუთარი თავის რწმენის განმტკიცებაში, რაც ნებისმიერი ბავშვის განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

პირველი ნაწილი

სანამ დაიწყებთ: ძირითადი ინფორმაცია, როგორც საუბრაოდ უნდა ნიბნ

ამ წიგნში ძირითადი ყურადღება დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვის სწავლებას ეთმობა. კონკრეტულ ხერხებზე, ინსტრუქციებსა და პროცედურებზე (მეორე და მესამე ნაწილი) გადასვლამდე, სასურველია, მკითხველს ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს სწავლის პროცესზე და იცნობდეს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლის სპეციფიკას. წიგნის ამ ნაწილში მოცემულია საფუძვლები და ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მკითხველს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლების პროცესში დაეხმარება.

ისტორიული პერსპექტივა

გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრამდე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეთა კითხვის უნარის შესახებ კვლევა არ არსებობდა (კონერსი, 1992). მიჩნეული იყო, რომ ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეები მხოლოდ „წვრთნას“ ექვემდებარებიან და აკადემიური სწავლა არ შეუძლიათ, ამიტომ ისინი ხშირად სპეციალიზებულ კლასში ხვდებოდნენ. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებსაც, ჩვეულებრივ, სწორედ ამ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ და „სპეციალურ“ კლასებში დაუნის სინდრომის დიაგნოზის მიხედვით ანაწილებდნენ და არა უნარის. გარდა იმისა, რომ ამ კატეგორიის ბავშვების კითხვის უნარს არ იკვლევდნენ, მათ არც კითხვის სწავლის შესაძლებლობა ეძლეოდათ.

ნს. ჰინს
კითხვა ისოდა,
გამონაკლისი
იყო

როდესაც 1972 წელს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან მუშაობა დავიწყე, კითხვის მცოდნე დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა შესახებ მონაცემები ძალზე მწირი იყო. იმედის ერთადერთი ნაპერწკალი გამოდგა წიგნი „ნაიჯელ ჰანტის სამყარო“ ეს ავტობიოგრაფიული წიგნი დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა ინგლისელმა, ნაიჯელ ჰანტიმ დაწერა. წიგნს თან ერთვოდა ნაიჯელის მამის განმარტებები. დედამ ნაიჯელს კითხვა ასწავლა, მამამ კი ბეჭდვა. ნაიჯელი „გამონაკლისი“ იყო დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდებს შორის, რადგან მიაჩნდათ, რომ ასეთ ადამიანებს კითხვა არ შეუძლიათ.

მე პატივს ვცემ და ქედს ვიხრი ბატონ ჰანტის წინაშე მისი მიღწევების გამო და მაღლიერი ვარ მისი უდიდესი წვლილისთვის (როცა ვალენტინ დმიტრიევი ვაშინგტონის უნივერსიტეტში დაუნის სინდრომის შესახებ პირველი პროგრამის განაცხადს წერდა, მან სწორედ ეს წიგნი გამოიყენა). თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ არ მჯერა, თითქოს ნაიჯელ ჰანტი გამონაკლისი იყო, – გამონაკლისი მისი მშობლები იყვნენ. მათ ჰანტს კითხვისა და ბეჭდვის სწავლის შესაძლებლობა მისცეს.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში კიდევ ერთი წიგნი წავიკითხე ერთი დაუნის სინდრომის მქონეს შესახებ, რომელმაც კითხვა იცოდა. წიგნის სათაური იყო „გუშინ იყო სამშაბათი, მთელი დღე და მთელი ღამე“ შესაძლებლობა მომეცა, გამეცნო რამდენიმე დაუნის სინდრომის მქონე, ვინც 70-იანი წლებისთვის უკვე მოზრდილი იყო და წერა-კითხვაც იცოდა. ზოგიერთ მათგანს წერა-კითხვა სკოლაში ჰქონდა ნასწავლი, ზოგს კი შინ. ამ მოზრდილ ადამიანთა აკადემიური მიღწევები ბევრისთვის შეუმჩნეველი დარჩა, რადგან მათ შესახებ მონაცემები არც პროფესიულ ჟურნალებში გამოქვეყნებულა და არც წიგნები დაწერილა.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანი, დევიდ დოუსონი, საზოგადოების დიდმა ნაწილმა მხოლოდ მას შემდეგ გაიცნო, რაც მან, ჯინ ედუარდთან ერთად, თავისი ამბავი მოგვითხრო წიგნში „ჩემი მეგობარი დევიდი“ (ედუარდსი და დოუსონი, 1983). ამ ადამიანებს ბედმა გაუღიმა, რადგან მათ ჰყავდათ მასწავლებლები, მშობლები და სხვა ადამიანები, ვისაც მათი შესაძლებლობების სჯეროდა და მათ წერა-კითხვას ასწავლიდა.

1969 წელს ლ. როუდესმა ავტორთა ჯგუფთან ერთად აღწერა კითხვის გამოყენება ენის სწავლებისას სახელმწიფოსკოლებში. ამ პროექტის „ვარსკვლავი“ იყო დაუნის სინდრომის მქონე პატარა გოგონა, სახელად ჯანეტი. მის შესახებ ფილმიც გადაიღეს, რომელსაც ჯანეტის მიერ წაკითხული წინადადების მიხედვით დაერქვა „ჯანეტი პატარა გოგო“. ეს ფილმი საგანმანათლებლო კლასში მას შემდეგ ვნახე, რაც სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის კითხვის სწავლება უკვე დაწყებული გვექნდა. ჩემთვის დიდი სტიმული იყო იმის გაგება, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვის სწავლებაში მიღწეული წარმატება სხვებმაც აღწერეს და ეს მეტყველების უნარის განვითარებისთვის სასარგებლოდ მიიჩნიეს.

მათ კითხვა მასწავლეს. როდესაც კითხვა იცი, ყველგან წასვლასა და ყველაფრის გაკეთებას შეძლებ

ერთხელ, 70-იან წლებში, ერთი დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა უნივერსიტეტის სტუდენტთა აუდიტორიას ესაუბრა. ერთ-ერთმა სტუდენტმა მას ჰკითხა: „მშობლების მიერ გაწეული დახმარებიდან ყველაზე მეტად რას აფასებთ?“, „მათ კითხვა მასწავლეს. როდესაც კითხვა იცი, ყველგან წასვლასა და ყველაფრის გაკეთებას შეძლებ“, – უპასუხა ახალგაზრდა კაცმა.

**მიუზი ნინსნარ
ჰაქნილი
უარყოფითი
დამოკიდებულება**

ის, რომ წინა წლებში ასე ცოტა ბავშვს ასწავლეს კითხვა, ალბათ, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ადრე ამ საკითხისადმი წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდა. კითხვა განათლებულ და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებს შორის წმინდა და ღირსეულ საქმედ ითვლება და „ჭკვიანი“ და „წარჩინებული“ ადამიანების ხვედრია. როდესაც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებმა დაამტკიცეს, რომ კითხვა მათაც შეუძლიათ, ჩამოყალიბდა ზოგადი აზრი, თითქოს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს მხოლოდ „ცალკეული სიტყვების“ გამოთქმა შეუძლიათ და კითხვა მათი „პატარა ეშმაკობაა“. იმის გამო, რომ საზოგადოდ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს აზრის გაგებასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა უჭირთ, მიჩნეულ იქნა, რომ მათ არ ესმით, რას კითხულობენ. ამდენად, მათთვის კითხვის სწავლება და ამისთვის მასწავლებლების მომზადება დროის ფუჭად დაკარგვად ჩაითვალა. ასევე, მიჩნეულ იქნა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის ასეთი „არარეალური“ მოლოდინის შექმნა, პირიქით, ზიანის მომტანი იყო.

მან სამედიცინო ენაზე დაწერილი წიგნის წაკითხვა შეძლო, თუმცა, წაკითხულიდან ვერაფერი გაიგო

ერთ სტატიაში წაკითხე, რომ დაუნის სინდრომის მქონე არაჩვეულებრივმა გოგონამ სამედიცინო ენაზე დაწერილი წიგნის წაკითხვა შეძლო. როგორც სტატიიდან მახსოვს, მშობლებმა გოგონა ექიმთან (ვინც შემდეგ ეს სტატია დაწერა) მიიყვანეს. როდესაც მშობლებმა ექიმს უთხრეს, გოგონას თავისუფლად კითხვა შეუძლიაო, ექიმმა სამედიცინო ენით დაწერილი წიგნი გაუწოდა,

რადგან დარწმუნებული იყო, რომ გოგონა მის წაკითხვას შეძლებდა. თუმცა, როდესაც ექიმმა გოგონას სთხოვა, მომიყევი, რა წაიკითხეო, გოგონამ მოყოლა ვერ შეძლო. ამის შემდეგ ექიმმა დაწერა სტატია, რომელშიც ამტკიცებდა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვის სწავლება არაფრის მომტანია, რადგან წაკითხული არ ესმით

(ბედნიერი ვარ, რომ ჩემი კითხვის უნარი იმის მიხედვით არავის შეუფასებია, თუ როგორ გავერკვეოდი სამედიცინო ენით დაწერილ წიგნში. ვშიშობ, რომ კითხვისა და აღქმის ამგვარ ტესტებში ნამდვილად ჩავიჭრებოდი).

იმდენად უვიცი ვიყავი, არც კი მესმოდა, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს კითხვა რომ არ შეუძლიათ

ერთმა მასწავლებელმა მიაბო, რომ წლების წინ, როდესაც ჯერ კიდევ ახალბედა მასწავლებელი იყო, სპეციალური განათლების დაწყებით კლასში ორი დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლე ჰყავდა. მან ეს ბიჭები „კითხვის ჯგუფში“ ჩასვა და კითხვა ასწავლა. ბიჭები ფერმაში ცხოვრობდნენ, ამიტომ მასწავლებელმა ძირითადი ყურადღება ცხოველებისა და ფრინველების სახელების სწავლებაზე გადაიტანა (ქათამი, ღორი, ძროხა და ა.შ.), რომ მათ ცხოველების გამოკვებაში დახმარების გაწევა შესძლებოდათ.

კითხვის ცოდნამ შეცვალა ბიჭების ცხოვრება და როლი ოჯახში. თვითონ ბიჭები, მათი მშობლები და მასწავლებელი მიღწეული წარმატებით უსაზღვროდ ბედნიერი იყვნენ. თუმცა, როგორც მასწავლებელმა თქვა, მოგვიანებით მას ტრენინგზე ასწავლეს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვის სწავლება არ ყოფილა მიზანშეწონილი, თვალცრემლიანმა ასე მითხრა: „აი, რამდენად უვიცი ვიყავი, რამდენად გამოუცდელი.“

(მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ დღესაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვის სწავლების აუცილებლობის შესახებ ვწერ, რადგან ეს საქმე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია).

ზემოთ ნახსენებმა ამბავმა, შესაძლოა, ზოგიერთი მშობელი აღაშფოთოს. მე ეს ამბები 70-იან წლებამდე არსებული დამოკიდებულებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის მაგალითებად მოვიყვანე. განათლების მუშაკებს, რომლებიც ამ პოლიტიკას ახორციელებდნენ, ან გულწრფელად სჯეროდათ იმ მსოფლმხედველობისა, რასაც მათ უნერგავდნენ, ან ისინი სკოლის პოლიტიკას მისდევდნენ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველა დაუნის სინდრომის მქონესთვის კითხვის სწავლება შეუძლებელია (თუმცა, შესაძლებელია უმრავლესობისთვის). მიმაჩნია, რომ მშობლებმა არ უნდა იფიქრონ წარსულზე ან საკუთარ თუ სხვის უარყოფით გამოცდილებაზე, რადგან ამის შეცვლა შეუძლებელია, – მხოლოდ აწმყოსა და მომავალში შეგვიძლია მოვახდინოთ ცვლილება.

კი, მაგრამ, რა დაემართათ ამ მასწავლებლებს?

შერი 18 წლის იყო, როდესაც ის და დედამისი პირველად მოვიდნენ ჩემთან. დედამისი შეწუხებული იყო იმით, რომ შერის სკოლაში კითხვა არ უსწავლია. მოკლე გაკვეთილის შემდეგ შერიმ უკვე ბარათებზე დაწერილი რამდენიმე სიტყვის წაკითხვაც შეძლო და წინადადებისაც (შერი იმას კითხულობდა, რისი წაკითხვაც უნდოდა, – საკუთარი თავისა და მეგობარი ბიჭის შესახებ). შერის დედამ რომ მისი წაკითხული მოისმინა, გაბრაზებით თქვა: „კი მაგრამ, რა დაემართათ ამ მასწავლებლებს? მათ ეს რატომ ვერ შეძლეს?“

შერის დედას ვუთხარი, მასწავლებლებს უნდა აპატიოთ, რადგან მათ არა აქვთ სათანადო ინფორმაცია, ხშირად მცდარი ინფორმაციაც კი აქვთ-მეთქი; ვუთხარი, რომ მასწავლებლები არ ესწრებიან „სათანადო“ კონფერენციებს, არ კითხულობენ „სათანადო“ წიგნებსა და ჟურნალებს, არც „სათანადო“ პროფესორები ჰყავთ, რომლებთანაც კონსულტაციებს გაივლიდნენ; ძალიან დაკავებული და გადაღლილი არიან, რომ კითხვა ასწავლონ და უნდა აპატიოთ ყველაფერ იმის გათვალისწინებით, რამაც მათ არასრულყოფილებას შეუწყობ ხელი-მეთქი. კაცმა რომ თქვას, არც შერის დედამ იცოდა ამ შესაძლებლობის შესახებ.

ვფიქრობ, რომ ყველამ – მშობლებმა და მასწავლებლებმა – რაც შეიძლება მეტი უნდა გავაკეთოთ იმის გათვალისწინებით, თუ ვინ ვართ და რა ვიცი კონკრეტულ მომენტში. ჩვენ თანადგომა, დახმარება გვესაჭიროება, ბავშვებს კი ისეთი მასწავლებლები და მშობლები, ვინც ერთად, კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით, მათ უკეთესი განათლების მიღებაში დაეხმარება.

**კითხვის
არპროდნა
გამონაკლისი**

ვფიქრობ, რომ დღეს, 90-იან წლებში, გამონაკლისი უკვე ის დაუნის სინდრომის მქონეა, ვინც კითხვა არ იცის. ჩემი ეს დასკვნა სუბიექტურია და პირად გამოცდილებას ეყრდნობა. ეს გამოცდილება კი იმ ახალგაზრდებზე, ყმაწვილებსა თუ ბავშვებზე დაკვირვებით დავაგროვე, ვისაც კითხვის სწავლის შესაძლებლობა მიეცა. როდესაც „კითხვის არმცოდნეს“ ვახსენებ, იმ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს ვგულისხმობ, რომელიც თავის გარემოში ფუნქციონირებისთვის კითხვას არ იყენებს. მე არ ვიყენებ წერა-კითხვის შეფასების მიღებულ კრიტერიუმს, რომელიც მეხუთე-მეექვსე კლასის დონეს შეესაბამება (თუმცა, ვიცი ზოგიერთი ახალგაზრდა, რომელიც ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს). დარწმუნებული ვარ, რომ დღეს, მეტად გათვითცნობიერებული დამოკიდებულებისა და ინკლუზიური განათლების წყალობით, უფრო მეტ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს აქვს კითხვის სწავლის შესაძლებლობა და ბევრად მეტი ბავშვი იყენებს მას. ბავშვები კითხვას საკმაოდ კარგად სწავლობენ, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ორიენტირების, მუშაობის, საყიდლებზე წასვლის, წარწერების წაკითხვის, საჭმლის შეკვეთისა და ა. შ. შესაძლებლობას აძლევს. ბევრი თავისუფალ დროსაც კითხულობს (21 წლის დაუნის სინდრომის მქონე გოგონამ მითხრა, რომ უკვე ექვსჯერ წაიკითხა კრის ბერკის წიგნი „გამორჩეული ტიპის გმირი“ და კიდევ დაიწყო მისი კითხვა).

დღეს ძალიან ცოტა კვლევაა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების კითხვის უნარისა და მათი მიღწევების შესახებ. თუმცა, 1992 წელს ფ. ა. კონერსმა მიმოიხილა და გააანალიზა კვლევა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის კითხვის სწავლების შესახებ (კვლევაში მოცემულია მხოლოდ IQ, შეფერხების ტიპის, მაგალითად, დაუნის სინდრომის მითითების გარეშე). კონერსის სტატიაში შედარებულია რთული დაწერილობის მქონე სიტყვების სწავლება, სიტყვის ანალიზის სწავლება და შეცდომების გასწორება ხმამაღალი კითხვის დროს. სტატიაში 35 კვლევის მონაცემებია გაანალიზებული. სტატიაში ნახსენებ კვლევებში მოსწავლეების კითხვის დონეები მოიცავდა „კითხვის არმცოდნეობას“ და იმ მოსწავლეებს, რომლებსაც რთული დაწერილობის მქონე სიტყვების წაკითხვა შეეძლოთ და რომელთა ასაკი 7-დან 33 წლამდე მერყეობდა და, ასევე, მოიცავდა მე-7 კლასის შესაბამის კითხვის დონეს (13-15 წლის 3 მოსწავლე). კონერსი სტატიაში დაასკვნის, რომ ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის რთული დაწერილობის მქონე სიტყვებისა და სიტყვების ანალიზის სწავლება შესაძლებელია და დასძენს, რომ ინდივიდუალური თავისებურებების გამო მიდგომა, რომელიც ინტელექტუალური დარღვევის მქონე ადამიანებისთვის ერთიან, უნივერსალურ სწავლებას ითვალისწინებს,

არ არის ეფექტიანი. სასიხარულოა, რომ ეს მონაცემები სწავლის სირთულეების მქონე ბავშვისთვის კითხვის სწავლების მიზანშეწონილობას ადასტურებს.

ერთ-ერთი კვლევა იმ მცირე რაოდენობის კვლევებიდან, რომლებიც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების კითხვის უნარს შეეხებოდა, გამოქვეყნდა ჟურნალში „დაუნის სინდრომი და ახალი პერსპექტივები“. კვლევაში მოცემული იყო ორეგონის რაიონულ სკოლებში შემთხვევით შერჩეული დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეების კითხვის შეფასება (ფრედრიკსი და სხვ., 1987). 7-დან 13-წლამდე ასაკის 9 მოსწავლიდან შვიდს ჰქონდა კითხვის გარკვეული უნარი. კლასის მიხედვით შეფასება ასე განაწილდა: 7 წლის ასაკის მოსწავლეებისთვის შეფასება იყო 1.2, ხოლო 13-წლიანისთვის – 3.8. კვლევის ავტორები მიუთითებდნენ, რომ იმის დასადგენად, თუ რამდენად რეპრეზენტაციულია ეს მონაცემები დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების შემთხვევაში, ბავშვების უფრო დიდი რაოდენობა უნდა იყოს გამოკვლეული. თუმცა, კვლევის ავტორები დაასკვნიან, რომ კითხვის სწავლება დაუნის სინდრომის მქონე ყველა ბავშვის შემთხვევაში უნდა გამოიცადოს და იმ დოზით უნდა ჩაუტარდეს, რამდენიც საჭიროა.

ასევე, ხელმისაწვდომია ინფორმაცია იმ დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეების შესახებ, რომლებმაც კითხვის უნარი აღწერილი პროგრამის საშუალებით განავითარეს; 1981 წელს გამოქვეყნდა მონაცემები ავსტრალიურ პროექტში მონაწილე ბავშვების კითხვის უნარის შესახებ, რომელიც ვაშინგტონის უნივერსიტეტის (მაკუარის უნივერსიტეტის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის) მიხედვით შემუშავდა (პიტერსი და ტრელოარი). პროგრამაში მონაწილე სკოლამდელი ასაკის 8 „კურსდამთავრებულის“ შესახებ მონაცემებმა ცხადყო, რომ მათი კითხვის საშუალო ასაკი იყო 7.2 (2.2 კლასის დონე) და მოიცავდა 6-წლიანებს (1.0 კლასის დონე) და 9.4-წლიანებს (4.4 კლასის დონე). ამ დროისთვის ამ ბავშვების საშუალო ქრონოლოგიური ასაკი 8 წელს შეესაბამებოდა.

მიმდინარეობდა ოფიციალური და არაოფიციალური დაკვირვება 13 ბავშვზე (7 გოგონა და 6 ბიჭი), რომლებმაც 70-იანი წლების დასაწყისში ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროგრამის ჩართვის შემდეგ ისწავლეს კითხვა. პირველი მონაცემები ამ ბავშვების შესახებ 1973 წლის გაზაფხულის მეოთხედში გახდა ცნობილი. მათი საშუალო ასაკი 4 წელი და 5 თვე იყო, ხოლო პროგრამაში მონაწილეობის ხანგრძლივობა საშუალოდ 2.5 მეოთხედი (სწავლების დაახლოებით 8 კვირა მეოთხედის განმავლობაში). ბავშვებმა საშუალოდ 29 რთული დაწერილობის მქონე სიტყვის ათვისება შეძლეს, რაც 103-დან საშუალოდ 10-მდე სიტყვას მოიცავდა. მომდევნო წელს ისევ მოიპოვეს მონაცემები თავდაპირველ ჯგუფში შემავალი ბავშვების (საშუალო ასაკი 5 წელი და 7 თვე) შესახებ. ეს ბავშვები ჯერ კიდევ რთული დაწერილობის სიტყვების კითხვას სწავლობდნენ. იმ სიტყვების საშუალო რაოდენობა, რომელთა წაკითხვაც ბავშვებმა ისწავლეს, უკვე 53-ს შეადგენდა და 62-დან 40-მდე მერყეობდა. ასევე გამოქვეყნდა მონაცემები იმ ოთხი ბავშვის შესახებ, რომლებიც ამ წიგნის მე-10 თავში აღწერილ ბგერების სწავლების (ფონიკის) პროგრამაში გადავიდნენ (მას შემდეგ, რაც ბავშვებს ლექსიკონში 50-დან 100-მდე რთული დაწერილობის მქონე სიტყვა დაუგროვდებოდა და ისინი ასოების ცნობას შეძლებდნენ, მათ ბგერებს ასწავლიდნენ). ამ ბავშვთაგან სამი (საშუალო ასაკი 5 წელი და 6 თვე) 21 თანხმოდანს დაეუფლა, ხოლო ერთი 19-ს. ბავშვები კითხულობდნენ სკოლამდელი ასაკის საკითხავ წიგნებს. ბავშვებმა ამ წიგნების კითხვის საშუალო მაჩვენებელს მიაღწიეს, რაც საშუალოდ შეადგენდა 3.25-ს (კითხვის 80%-იანი სისხარტე).

1977 წლის გაზაფხულზე, თავდაპირველი ჯგუფიდან 13-მა ბავშვმა გაიარა კითხვის ნაწილი ფართო სპექტრის მიღწევების ტესტისა, რომელიც სიტყვების ამოცნობის უნარის გასაზომად გამოიყენება. მათი კითხვის საშუალო დონე შეადგენდა 2,5-ს და 4,5-დან 1,9-მდე მერყეობდა. ეს მონაცემი მათ საშუალო ქრონოლოგიურ ასაკზე დაახლოებით ერთი წლით ნაკლების შესაბამისი იყო, რაც განისაზღვრებოდა 8 წლითა და 7 თვით (ამ ჯგუფის ყველაზე უმცროსი საუკეთესო მოსწავლე თავისი ქრონოლოგიური ასაკის შესაბამის დონეს დაახლოებით 2 წლით უსწრებდა, რასაც დისონანსი შეაქვს საშუალო მონაცემებში). 1983 წელს ამ 13 ბავშვიდან 6-ს ისევ ჩაუტარეს ფართო სპექტრის მიღწევების ტესტი. ამჯერად, საშუალო მონაცემები იყო 3,6, რაც 6,9-დან 2,2-მდე მერყეობდა.

დასასრულ, 1988 წელს მე არაოფიციალურად შევაგროვე თავდაპირველ ჯგუფში შემავალი კიდევ სამი ბავშვის მონაცემები, რომლებსაც 1983 წელს ტესტი არ ჩატარებიათ. კლარამ, რომელიც ამ დროისთვის 17 წლის იყო, „ბრიგანსის ადრეული განვითარების დიაგნოსტიკის მონაცემების“ (1978) შეფასებით მეექვსე კლასის შესაბამისი შეფასება მიიღო კითხვაში. 18 წლის პიტერმა „ვუდკოკის კითხვის დაუფლების ტესტის“ ფორმა ა) (1973)-ს მიხედვით მიიღო მეშვიდე კლასის, მეექვსე თვის დონის შესაბამისი შეფასება სიტყვების იდენტიფიცირებაში (ცნობაში) და მეოთხე კლასის, სამი თვის შესაბამისი შეფასება ტექსტის აბზაცის გაგებაში). სემი, რომელიც ამ დროისთვის 17 წლის იყო, მასწავლებლის თქმით, მესამეკლასელის დონის შესაბამისად კითხულობდა.

ამ კვლევაში მონაწილე ბიჭებმა და გოგონებმა დღეს უკვე 20 წელს გადააბიჯეს. ისინი სხვადასხვა საქმით არიან დაკავებული და მიუხედავად იმისა, თუ რა დონეზე იმყოფებიან, კითხვის უნარს მუდმივად იყენებენ, – გაზეთში ამინდის პროგნოზის წაკითხვისას, როდესაც ცდილობენ, განსაზღვრონ, თუ რა ჩაიცვან; ავტობუსის განრიგის სანახავად და დამოუკიდებლად მოგზაურობისას, წერილების, მოწვევების, ბარათებისა და გამოსვლების წასაკითხად და დასაწერად, საჭმლის რეცეპტებისა და ტანსაცმლის მოვლის ინსტრუქციების წასაკითხად; იმის სანახავად, თუ რა გადის კინოში თუ ტელევიზორში, ბიბლიოთეკიდან წიგნების გამოსატანად და წასაკითხად; ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალი წიგნის დაწერასაც კი აპირებს.

სამწუხაროდ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მთელმა თაობამ ადრეული ასაკის სწავლებიდან პროფესიული განათლების ასაკისკენ გადაინაცვლა, ხოლო ჩვენ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს იმის შესახებ, თუ როგორ წარმატებას მიაღწიეს განათლების სპეციალისტებმა ამ ასაკის ბავშვების სასკოლო ასაკის განმავლობაში (1987). მონაცემები საკმაოდ მწირია, თუმცა, დაბეჯითებით ვიცით, რომ კითხვის სწავლა ბევრ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს შეუძლია, თუკი ამის შესაძლებლობა მიეცემა. ამასთან, განათლების სპეციალისტებმა და მკვლევარებმა, რომლებსაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვა უსწავლებიათ, იციან, რომ: 1) ამ ბავშვებს კითხვის სწავლის შესაძლებლობა უნდა მიეცეს; 2) კითხვა უნდა იყოს შემადგენელი ნაწილი სასკოლო სწავლებისა (ზოგ შემთხვევაში სკოლის დამთავრების შემდეგაც) მათთვის, ვინც კითხვა იცის და 3) კითხვა სასარგებლო უნარია დაუნის სინდრომის მქონესთვის, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ცუდად არის ის განვითარებული.

ლუპიტამ კიდევ ერთხელ ამატირა!

ზაფხულში, სანამ ლუპიტა 5 წლის გახდებოდა, დედამისმა ის პერუში წაიყვანა. ნათესავების მონახულების გარდა, ლუპიტას დედას დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების უნარების შესახებ მშობლებისა და განათლების სპეციალისტების ინფორმირება და მათი მოლოდინისა და განათლების შესაძლებლობების გაზრდა უნდოდა. მისთვის ლუპიტა იყო მაგალითი იმისა, თუ რისი მიღწევა შეუძლია დაუნის სინდრომის მქონე პატარა ბავშვსაც კი. როდესაც ლუპიტამ კითხვისა და ენის ცოდნის უნარი წარმოაჩინა, დედამისს ზოგიერთმა პერუელმა სპეციალისტმა უთხრა, რომ გოგონას დიაგნოზი არასწორი იყო და რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს არ ჰქონდათ ეს უნარი. ლუპიტას დედამ მშობლების გათვითცნობიერების კამპანია განაგრძო. ერთხელ ლუპიტა ხმამაღლა კითხულობდა წიგნს „ყველაფერი ჩემ შესახებ“, რომელიც მხოლოდ მისთვის შეიქმნა. თითოეული გვერდის ჩაკითხვის შემდეგ ახედავდა ხოლმე მსმენელს. კითხვის პროცესში ეს მსმენელი ჩვეული საქებარი სიტყვებით არ რეაგირებდა. ლუპიტა მალე მიხვდა, რა იყო ამის მიზეზი. ქალს ინგლისური არ ესმოდა, მაშინ ლუპიტამ ყველა გვერდის ესპანურად თარგმნა დაიწყო.

ლუპიტას მიხვედრილობამ დედამისს ისე აუჩუყა გული, რომ ბედნიერებისგან ტირილი დაიწყო. როგორ შეძლო ლუპიტამ ინგლისურად დაწერილი ტექსტის ესპანურად გადათარგმნა, თუკი შინაარსი არ ესმოდა? ჩემთვის წარმოუდგენელია, მაგრამ ზოგიერთ ადამიანს ჯერ კიდევ მიაჩნია, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს არ ესმით, რას კითხულობენ. (ახლანან ვენესუელაში მსგავსი ამბის მოწმე გავხდი, – 15 წლის დაუნის სინდრომის მქონე ლამაზმა გოგონამ ესპანურიდან ინგლისურად მენიუ გადაამთარგმნა).

დაუნის სინდრომის მექანიზმების სწავლის განსხვავებული უნარი

ტყუპი პაპანა პრობლემა?

რაც უფრო მეტ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს ხვდები, მით მეტად რწმუნდები, რომ ისინი ერთმანეთს არ ჰგვანან. რაც უფრო ცოტა ასეთ ადამიანს იცნობ, მით უფრო ხშირად ახდენ განზოგადებას, რომ ყველა ერთმანეთს ჰგავს და მათი შესაძლებლობებიც ერთნაირია. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, მათი ჯანმრთელობა, გარეგნობა და შესაძლებლობები არ არის ერთნაირი. გარემო, რომელშიც ისინი დაიბადნენ, ასევე განსხვავებულია. თუმცა, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს რამდენიმე საერთო მახასიათებელიც აქვთ (ფიზიკური, ჯანმრთელობის, ვიზუალური, კოგნიტიური და პიროვნული).

ის თვისებები, რომელთა მიხედვით ამ კატეგორიის ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

1) გენეტიკური განსხვავებები;

2) დაუნის სინდრომთან დაკავშირებული უმკურნალები, არაკორექტირებული ან არადიაგნოსტირებული მდგომარეობები (გული, მხედველობა, სმენა, თირიოიდული ჯირკვლის დისფუნქცია და ა.შ.);

3) შესაძლო დამატებითი ფაქტორები, რომლებიც დროდადრო თავს იჩენს, თუმცა, არ არის გამოწვეული დაუნის სინდრომით (აუტიზმი, ტვინის ტრავმა, ყურადღების დეფიციტით გამოწვეული დარღვევა, ნაყოფის მუცლად ყოფნის პერიოდში დედის ალკოჰოლიზმით გამოწვეული სინდრომი და ა.შ.); და

4) გარემოსდაცვითი ფაქტორები.

გენეტიკური განსხვავება

გენეტიკური ფაქტორების დადგენა შესაძლებლობას აძლევს მკვლევარებს, მიაგნონ 21-ე ქრომოსომის სპეციფიკურ გენებს, რომლებიც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში მრავალმხრივ განსხვავებებს განაპირობებს. ბავშვის ორგანიზმში არსებული გენეტიკური მასალის „დოზა“, რომელიც ბავშვმა მიიღო, განსაზღვრავს, აქვს თუ არა ბავშვს გულის დეფექტი, საჭმლის მომნელებელი სისტემის, მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე, განაპირობებს ინტელექტუალურ დარღვევას, იმუნოდეფიციტს, ლეიკემიის რისკს, ალცჰაიმერის დაავადების განვითარების წინა პირობებსა და დაუნის სინდრომთან დაკავშირებულ სხვა მდგომარეობას (კორენბერგი და ავტორთა ჯგუფი, 1992). ამდენად, ერთი და იმავე მშობლის დაუნის სინდრომის მქონე ორი შვილი, რომლებიც ერთსა და იმავე გარემოში იზრდებიან და განათლების ერთნაირი პირობები აქვთ, შეიძლება ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდეს პიროვნულადაც და შესაძლებლობებითაც. მახსოვს, შევხვდი დედას, რომელსაც

დაუნის სინდრომის მქონე ორი შვილი ჰყავდა. უფროსს ნაკლებად შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა, უმცროსს კი უფრო მეტი ინტელექტუალური დარღვევები აღენიშნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, მათ შორის განსხვავება სხვა ფაქტორებითაც იყო განპირობებული, ჩემი აზრით, ძირითადი განსხვავება 21-ე ქრომოსომის გენების „გამოხატვით“ იყო გამოწვეული.

მე ნახევრად ამერიკელი, ნახევრად იაპონელი და ნახევრად დაუნის სინდრომის მქონე ვარ

ენდრიუს მამა წარმოშობით იაპონელია, ხოლო დედა – თეთრკანიანი ამერიკელი. ერთხელ სკოლაში ენდრიუს ეცვა მაისური, რომელსაც მკერდზე ჰქონდა წარწერა „USA“ მასწავლებელმა ჰკითხა, USA რას ნიშნავსო. ამერიკასო, უპასუხა ენდრიუმ. მაშინ მასწავლებელმა ჰკითხა: „შენ ამერიკელი ხარ?“, ენდრიუმ უპასუხა, ამერიკელი ვარო. შემდეგ დაფიქრდა, ხელები გააქნია, თითქოს დაფაზე დაწერილი წაშალაო და თქვა: „არა, მოიცა, მოიცა! ნახევრად ამერიკელი, ნახევრად იაპონელი და ნახევრად დაუნის სინდრომის მქონე ვარ!“

ენდრიუ აცნობიერებდა, რომ გარდა იმისა, რაც თითოეული მშობლისგან მემკვიდრეობით ერგო, მას ჰქონდა კიდევ რაღაც დამატებით. მას ჰქონდა „ნორმალური“ გენები, „ნორმალური“ გენეტიკური ინფორმაციით; მას, უბრალოდ, 21-ე წყვილზე ზედმეტი გენეტიკური ინფორმაცია დაუგროვდა. ეს ზედმეტი რაოდენობა სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვანაირადაა გამოხატული.

**დაუნის
სინდრომთან
დაკავშირებული
პეორაფი
მდგომარეობები**

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არსებობს მალალი ალბათობა იმისა, რომ თუკი არ მოხდება გულის დეფექტების, სმენის და მხედველობის პრობლემების, თიროიდული ჯირკვლის დისფუნქციის, ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული ინფექციებისა და სხვა დაავადებების მკურნალობა, მათ სწავლის უნარზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. უმრავლეს შემთხვევაში ხდება ბავშვების მდგომარეობაში ადეკვატური სამედიცინო ჩარევა და ამ დაავადებათა აღმოფხვრა ან მდგომარეობის გაუმჯობესება. თუმცა, ზოგჯერ მკურნალობა არ მიმდინარეობს, ან უშედეგოდ მთავრდება და ბავშვისთვის უფრო მეტ დაბრკოლებას ქმნის. შესაძლოა, არსებობდეს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, სმენის დაქვეითება, რომელიც არ გამოსწორდა, ზედა სასუნთქი გზების მუდმივი ინფექციები ან გულის დეფექტები, რაც ბავშვს ენერჯისგან ფიტავს და ინტერესს უქვეითებს. ასევე, არ ხდება ყურადღების დეფიციტით გამოწვეული დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, არ ხდება თიროიდის ჯირკვლის დისფუნქციის მკურნალობა. ამ პრობლემების მკურნალობის გარეშე დატოვება ნებისმიერი ბავშვის სწავლის უნარზე ახდენს გავლენას.

არ მინდა, რომ იმ სპეციალურ საგანმანათლებლო კლასში ჩარიცხონ, სადაც მე ვიყავი

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის დედამ იმ საშინელებების შესახებ მომითხრო, რომელიც სპეციალიზებული განათლების დაწყებით კლასებში თავს გადახდა. ის სპეციალიზებული განათლების კლასში ინტელექტუალური დარღვევის და ემოციური აშლილობის გამო ჩარიცხეს.

მას მხოლოდ 10 წლის ასაკში და ისიც შემთხვევით დაუდგინეს, რომ თურმე ინტელექტუალური დარღვევა და ემოციური აშლილობა კი არ ჰქონია, არამედ, აღენიშნებოდა სერიოზული შეფერხება სმენის განვითარებაში. მარტივმა ოპერაციამ გადაჭრა სმენასთან დაკავშირებული პრობლემა, თუმცა, ამასობაში ბავშვობის უმეტესი ნაწილი და საკუთარი თავის რწმენა დაკარგა. მშობელს

ეწინოდა, რომ მისი შვილიც ისეთ შეუფერებელ სპეციალურ განათლებას მიიღებდა, რაც თავის დროზე თვითონ მიიღო. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ რეალურ პრობლემას ვმკურნალობთ და რომ განათლებაც ნამდვილად სპეციალიზებულია.

მას ყურებში იმდენი გოგირდი დაუგროვდა, რომ არც კი ვიცი, როგორ გაუძლო ტკივილს

ენდრიუ (ისე დაემთხვა, რომ ეს ის ბავშვია, რომელიც ზემოთ ვახსენე) 4 წლის ასაკში დროდადრო დიდ აგრესიას იჩენდა, იკბინებოდა და ყველას ხელსა და წიხლებს ურტყამდა. მშობლებმა ის ადგილობრივი პროგრამიდან ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროგრამაში გადმოიყვანეს იმის იმედით, რომ ამ პროგრამაში ქცევის მართვის უფრო დიდი გამოცდილება არსებობდა. ყურადღებით დაკვირვების შემდეგ, ენდრიუს მასწავლებელმა შენიშნა, რომ სხვებზე თავდასხმამდე ენდრიუს სახის გამომეტყველება ეცვლებოდა, თითქოს რაღაცა ძალიან სტკიოდა.

მასწავლებელმა ენდრიუს მშობლებს ბავშვის სრული სამედიცინო გამოკვლევა ურჩია. ექიმმა ენდრიუს ყურში დაგროვილი გოგირდი აღმოუჩინა. მისი თქმით, ბავშვს ყურში იმდენი გოგირდი დაუგროვდა, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ უძლებდა ტკივილს. გოგირდის ამოღების შემდეგ ენდრიუს აგრესიისგან „გამოჯანმრთელება“ მართლაც საოცარი სანახაობა იყო. როგორც აღმოჩნდა, სხვებზე თავდასხმა ენდრიუსთვის ტკივილთან გამკლავების საშუალება იყო.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, არის თუ არა სწავლებასა და ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზი ფიზიკური მდგომარეობა, რომლის განკურნება შესაძლებელია და აუცილებელია სწორი მკურნალობის ჩატარება. თუკი პრობლემის მიზეზები არ აღმოიფხვრა, სწავლებისა და ქცევის მართვის საუკეთესო ხერხებიც კი არაეფექტურია.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ტრავმები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ განვითარების ეტაპების დაყოვნება, ან სწავლის სირთულეები. დაუნის სინდრომი არ იცავს ბავშვს განვითარებაში სხვადასხვა სირთულეების გამომწვევი ფაქტორებისგან.

ამ დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდას ყველაზე ნაკლები ფუნქციის შესრულება შეუძლია მათ შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია

ერთ-ერთმა პროფესორმა, რომელიც რაიონულ სკოლაში ჩარლზისთვის სპეციალური პროგრამის შედგენის პროცესში კონსულტაციებს ატარებდა, მთხოვა, მეც შემეტანა წვლილი ამ საქმეში. ჩარლზს, შედარებით მოზრდილი ასაკის ახალგაზრდას, ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროგრამა ჰქონდა გავლილი. როდესაც პროფესორი ჩარლზის ამბავს მიყვებოდა, მითხრა: „ამ დაუნის სინდრომიან ახალგაზრდას ყველაზე ნაკლები ფუნქციის შესრულება შეუძლია მათ შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია.“ თუმცა, მე ვიცოდი, რომ ჩარლზს დაუნის სინდრომთან ერთად, აუტიზმის დიაგნოზიც დაუსვეს. მისი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან ჩასმა და მისი უნარების მათთან შედარების საფუძველზე დადგენა არ იყო სწორი. ამ ახალგაზრდის მდგომარეობა ცალკე უნდა შეფასებულიყო.

(ჩარლზს ერთგული მშობლები ჰყავს, რომლებმაც მას ყველანაირი პირობა შეუქმნეს. მიუხედავად ადრეულ ასაკში ჩარევისა, სპეციალური ინდივიდუალური სწავლებისა და პროგრამებისა, ასევე, მშობლებისა და მასწავლებლების მუდმივი ყურადღებისა, მისი მიღწევები ძალზე მინიმალურია).

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს, რომლებიც ვერ იძენენ თავის მოვლის ძირითად ჩვევებს (ჭამის, ტუალეტის, დაბანისა და ჩაცმის) და ვერ ამყარებენ სხვებთან ურთიერთობას, ხშირად თანამდევ პრობლემები აქვთ. ზოგიერთ მათგანს მენინგიტი ან ენცეფალიტი აქვს, ზოგს ეპილექსია, ზოგს ისეთი ტოქსინებით მოწამვლა აღენიშნება, როგორცაა ტყვია, ალკოჰოლი ან ნარკოტიკები; აქვთ თავის ქალის ტრავმა, ტვინის სიმსივნე ან ტრავმა, რომელიც მუცლად ყოფნისას, მშობიარობის ან მშობიარობის შემდეგ არის მიღებული.

არიან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები, რომლებსაც მძიმე მდგომარეობა არ აღენიშნებათ, თუმცა, ზომაზე მეტად უჭირთ სწავლა, სწავლების პროცესზე დასწრება და საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების დაცვა. ამ ბავშვებს შეიძლება ჰქონდეთ ყურადღების ნაკლებობით გამოწვეული დარღვევა, აკვიატებული აშლილობა ან დეპრესია.

**ბარბოს
ზაბაქლანიო
გაემონაული
ფაქტორები**

კარგად არის ცნობილი, რომ გარემო ბავშვის განვითარებაზე ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ნებისმიერი განვითარების საფუძველი არის ურთიერთკავშირი ადამიანის გენეტიკურ მოცემულობასა და მის ფიზიოლოგიურ თუ ფიზიკურ გარემოს შორის. სიცოცხლის პირველი ორი წელი, ჩვეულებრივ, ტვინის განვითარებისთვის ყველაზე აქტიური პერიოდია. განვითარებული ქცევის სწავლისთვის აუცილებელ რთულ ქსელებს შორის ურთიერთკავშირების დამყარების პროცესში ხდება ტვინის მთლიანი მოცულობის სამჯერ ზრდა. ამ პროცესში ტვინის მოცულობა ზრდასრული ადამიანის ტვინის მოცულობის 80%-ს უახლოვდება (ვიშარტი, 1988). არახელსაყრელი გარემო ბავშვებს განვითარების შეფერხების საფრთხეს უქმნის და აუცილებლად გაართულებს იმ დარღვევას, რომელიც ხშირად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს აღენიშნებათ. ის ბავშვები, რომლებიც არახელსაყრელ გარემოში იზრდებიან, ხშირად ვერც იმ სამედიცინო დახმარებას იღებენ, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. მრავალფეროვანი და მზრუნველი გარემო, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას და მის სამყაროსა და სხვა ადამიანებთან „ჰარმონიას“, უდავოდ ხელს უწყობს ბავშვის განვითარებასა და სწავლის უნარს.

ჩემი ჯერია-შენი ჯერია

„ჩემი ჯერია-შენი ჯერია“ არის აქტივობათა ერთობლიობა, რომლის დროსაც უფრო გამოცდილი მონაწილე (უფროსი) ყურადღებით აკვირდება ბავშვს და საშუალებას აძლევს, ინიციატივა გამოიჩინოს, შემოიტანოს „თემა“ და გარკვეული დონის ურთიერთობა დაამყაროს. ამ აქტივობისას უფროსი ბავშვის ქცევაზე რეაგირებს, ამ ქცევის იმიტირებას ახდენს და შემდეგ ისევ ბავშვის ჯერს ელოდება. შემდეგ, როდესაც ისევ უფროსის ჯერი დგება, ის ისევ ახორციელებს აქტივობას. მას შემდეგ, რაც ურთიერთობა დაამყარდება, ბავშვი და უფროსი რიგრიგობით ახორციელებენ აქტივობას, როგორც ჩოგბურთის თამაშისას. როდესაც უფროსის ჯერი მოვა, მას შეუძლია განაგრძოს ის აქტივობა, რომელსაც ბავშვი ახორციელებს (ან ამბობს) და უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს იგი. მაგალითად, თუკი ბავშვი კუბს ისვრის, უფროსი მის ქცევას იმეორებს და ისიც ისვრის კუბს, შემდეგ ელოდება ბავშვს და აკვირდება, რას იზამს (როგორც წესი, ბავშვს მოსწონს, როდესაც უფროსის ქცევაზე გავლენა აქვს, ეს მას აქტივობისადმი ინტერესს უღვივებს. მე აღმოვაჩინე, რომ ბავშვი ძალიან საინტერესო აქტივობებს იგონებს ხოლმე იმის „გამოსაცდელად“, თუ რა გავლენა აქვს მას უფროსზე და მართლა იმეორებს თუ არა უფროსი მის ქცევას). ბავშვის ქცევას უფროსი ისევ იმეორებს და ეს მანამდე გრძელდება, სანამ აქტივობის რიგრიგობით გამეორება შეუფერხებლად და მშვიდად არ წარიმართება. მას შემდეგ, რაც ბავშვი აქტივობაში ჩაერთვება, უფროსს, როდესაც მისი ჯერი დადგება, კუბის კონტეინერში ჩადდება შეუძლია (ეს უფრო მაღალი დონის უნარ-ჩვევაა). როდესაც ბავშვის ჯერი მოვა, ის უკვე იმას გააკეთებს, რისი სურვილიც ექნება. ხშირად ბავშვები უფროსებს ბაძვენ. თუ არ გამოვა, უფროსს შეუძლია ბავშვის „დონეს“ დაუბრუნდეს იმის დასადასტურებლად, რომ ისინი კვლავ აგრძელებენ კომუნიკაციას და ეს კომუნიკაცია იმავე „თემაზე“ (კუბის სროლაზე) მიმდინარეობს (თუკი უფროსის ჯერის დადგომისას ის კუბების კონტეინერში ჩადებას განაგრძობს, ხოლო ბავშვი კუბებს მხოლოდ ისვრის, ესე იგი ისინი ერთ „თემაზე“ ვერ შეთანხმდნენ. იმის გამო, რომ უფროსი უფრო გამოცდილი კომუნიკატორია, თავის აქტივობაში შესწორებები მან უნდა შეიტანოს და „ჩადება“ უფრო მოგვიანებით სცადოს).

მშობელს ბავშვთან თამაშისას, ასევე, შეუძლია ის ბგერა ან ბგერები დაამატოს, რომელსაც ბავშვი გამოთქვამს. მაგალითად, თუ ბავშვი იტყვის „ბა“, უფროსი ამ ბგერებს გაიმეორებს და მოთმინებით ელოდება ბავშვისგან შემდგომ რეაგირებას (უფროსი აღარ იმეორებს ბგერებს რამდენიმეჯერ და მხოლოდ თავის ჯერს ელოდება, დართის თამაშისგან განსხვავებით). თუკი ბავშვი იმეორებს „ბა“-ს და ამ ურთიერთობაში ჩართული მისი პარტნიორებიც „ბა“-ს იმეორებენ, შეიძლება უფროსმა თქვას „ბარათი“ (ან ბურთი ან სხვა ისეთი რამ, რის თქმასაც ამ ურთიერთობაში ჩართული ბავშვი ცდილობს) და შემდეგ ბავშვის ჯერს დაელოდოს. თუკი ლოდინი გაგრძელდა, უფროსმა შეიძლება უკარნახოს, რომ ახლა ბავშვის ჯერია და ამის გაკეთება სახის გამომეტყველებით შეუძლია. თუ არ გამოვა, უფროსს შეუძლია, უთხრას კიდევ ბავშვს: „შენი ჯერია“; თუკი ბავშვი უფროსს არ ელოდება და ყველა ჯერზე თვითონ ასრულებს აქტივობას, უფროსს შეუძლია შეახსენოს: „ახლა ჩემი ჯერია“.

„ჩემი ჯერია-შენი ჯერია“ სწავლების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ სუზან სანდალის ვიდეოფირი „ჩემი ჯერია-შენი ჯერია“ (რომელიც შეგიძლიათ ნახოთ **CDNRC Media**, ვაშინგტონის უნივერსიტეტი, სიეტლი **WA 98195**) ან დოქტორ ლიბი კუმინის წიგნი კომუნიკაციის უნარი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში (იხილეთ **Woodbine House, 6510 Bells Mill Rd., Bethesda, MD 20917/800-843-7323**).

ინტერაქცია ნებისმიერი სწავლის საფუძველია. ბავშვი ვერ შეიძენს სწავლისთვის აუცილებელ ძირითად უნარებს, თუკი არ არის ურთიერთობისთვის ხელსაყრელ გარემოში, ანუ, თუკი ვერ მოხდა ბავშვის ურთიერთობაზე მიმართული ძალისხმევის „ამოცნობა“ და მასზე რეაგირება, და თუ ბავშვმაც ვერ „ამოცნო“ და რეაგირება არ მოახდინა ურთიერთობაზე მიმართულ სხვების მცდელობებზე. თუკი სხვებთან პოზიტიური ურთიერთობა (ვერბალური თუ არავერბალური) არ არის კარგად ჩამოყალიბებული, ბავშვს მისი შესწავლა სჭირდება, სანამ კომუნიკაციის უფრო რთულ სისტემას ისწავლის, როგორიცაა, მაგალითად, კითხვა. ამდენად, თუკი თქვენი ბავშვი არ არის ინტერაქტიული, აუცილებელია, დამყარდეს ეს კავშირი, სანამ ის თავის სამყაროში ფუნქციონირებას ისწავლის. ამ ურთიერთობის დამყარებამდე, კარგი იქნება, თუ დაამუშავებთ „რიგრიგობით“ ურთიერთობის მექანიზმს, რომელიც ჩარჩოში ჩასმულ დამხმარე მასალაშია აღწერილი.

ადრეული სწავლების პროგრამების საშუალებით ხდება დახმარების გაწევა, ინფორმირება და იმ ხერხების ათვისება, რომლებიც მშობლებს სჭირდებათ საკუთარი თავის რწმენის განსამტკიცებლად და კომპეტენციის ასამაღლებლად, რომ შეძლონ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისა და მათი საგანგებო საჭიროებების დაკმაყოფილება. ეს პროგრამები ნამდვილად მოწონებას იმსახურებს იმ ზემოქმედების გათვალისწინებით, რომელსაც ისინი ბავშვებსა და მათ ოჯახებზე ახდენენ. მათი წყალობით ხდება დაუნის სინდრომის მიმართ დამოკიდებულების ცვლილება და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების პოტენციალის წარმოჩენა.

არა მხოლოდ ადრეული, არამედ მუდმივი

ადრეული ასაკიდან სწავლების დაწყება აუცილებელია, თუმცა, ეს მაინც არ არის საკმარისი. აუცილებელია მუდმივი ჩარევა ბავშვის განათლების მთელი პროცესის განმავლობაში. ალბათ, ცოტა ადამიანი თუ მოელის, რომ სკოლამდელ სწავლებას ჩვეულებრივი მონაცემების მქონე ბავშვზე ისეთი განსაკუთრებული გავლენა ექნება, რომ დაწყებითი, საშუალო, პროფესიული სწავლების ხარისხზე აღარ უნდა ვიზრუნოთ. სწავლება მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა წარმართოს, ხოლო დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმრავლესობას მთელი ცხოვრების განმავლობაში დახმარება ესაჭიროება. ამიტომ სწავლისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ცხოვრების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია. მაღალი ხარისხის, გამოწვევებით აღსავსე ადრეული და უწყვეტი განათლების პროცესი ხელს უწყობს იმ სხვაობის აღმოფხვრას, რომელიც ნებისმიერი ბავშვის პოტენციალსა და სწავლის ხარისხს შორის არსებობს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ტვინი, რომელიც სტიმულირებას განიცდის და დატვირთვით მუშაობს, ფიზიკური მონაცემებითაც კი განსხვავდება დაუტვირთავისგან, – ჩვენ ის ან უნდა გამოვიყენოთ, ან მისი უნარი დაქვეითდება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, – რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ იგი ალცჰაიმერით დაავადდეს. მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტის ნეიროფიზიოლოგმა მერლინ ალბერტმა 1988-დან 1991 წლამდე 4000 ხანში შესული ბოსტონელი შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ ალცჰაიმერის დაავადების განვითარების რისკი ამ კატეგორიის ადამიანებში ყოველწლიურად 20%-ით იკლებდა, ყოველ იმ წელთან მიმართებით, რაც ისინი ფორმალურ განათლებას იღებდნენ. ეს, შესაძლოა, აიხსნას სინაფსების, ანუ ისეთი კავშირების არსებობით, რომლებიც ტვინის ერთ უჯრედს მეორესთან კომუნიკაციის საშუალებას აძლევს და რომლებზეც ადამიანის გამოცდილება ახდენს გავლენას. ის სინაფსები, რომლებსაც ტვინი ახალი ინფორმაციის მიღებისას მოიხმარს, მყარდება, ხოლო ისინი, რომლებიც ახალ ინფორმაციას გადაჩვეული არიან, სუსტდება. ტვინი ფიზიკურ ცვლილებას განიცდის და რაც უფრო მეტ გამოცდილებას იღებს ადამიანი, მით მეტი სინაფსი უყალიბდება.

ყველა სახის ტვინი გენეტიკური მოცემულობით არის განპირობებული. 21-ე ქრომოსომაზე დამატებითი გენეტიკური ინფორმაციის გავლენის გამო, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ტვინი სხვებთან შედარებით განსხვავებულად ან განსხვავებული მექანიზმით ფუნქციონირებს/მოქმედებს. სწორედ ამიტომ ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ტვინი უფრო აქტიურად ფუნქციონირებდეს. ჩვენ მათ ახალი სინაფსების გამოუმუშავებასა და ძველი სინაფსების შენარჩუნებაში უნდა დავეხმაროთ. ჩემი აზრით, კითხვა მათ ტვინის წვრთნის საშუალებას აძლევს ახალი სინაფსების შესაქმნელად.

მე ადრეული და მუდმივი ჩარევის გულმხურვალე მხარდამჭერი ვარ. ჩემი პროფესიული საქმიანობის ბოლო 20 წლის განმავლობაში ძირითად ყურადღებას სწორედ ამ საკითხს ვუთმობდი, თუმცა, მინდა მშობლები გავაფრთხილო, ნუ გამოიტანენ დასკვნას მათი შვილების პოტენციალისა და სწავლის უნარის შესახებ, თუკი ბავშვები არახელსაყრელ გარემოში იზრდებიან. პირველი ბავშვი, რომელსაც ჩემმა კოლეგამ, ვალენტინ დმიტრიევმა, კითხვა ასწავლა, იყო 7 წლის გოგონა, რომელიც ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობდა.

ბევრმა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვმა, რომელიც თავშესაფარში გაიზარდა, შეძლო ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმზე გადასვლა. ვიცნობ ქალს, რომელმაც მანქანის ტარება ისწავლა, შეძლო ტელეფონით მიცემული რთული მითითებების შესრულება, ასევე ცერებრალური დამბლის მქონე ქალის მოვლა და მისი თარჯიმნობა (მას ისეთი არტიკულაცია ჰქონდა, რომ მხოლოდ დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა ქალს ესმოდა მისი).

როდესაც იატაკზე მოხობილად დაინახეს, ოთახში მყოფთაგან ცრემლებს ვერავინ იკავებდა

წლების წინ 4 წლის დაუნის სინდრომის მქონე ჯეიმზი ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროგრამაში მოხვდა. ის თავშესაფარში ცხოვრობდა. ჯეიმზი იყო ტიპური „მწოლიარე“ ბავშვი, რადგან სწორედ საწოლში გაატარა მან ცხოვრების პირველი ოთხი წელი. მას დამოუკიდებლად ჯდომა არ შეეძლო და როცა იჯდა, თავი უფარდებოდა. მას მხოლოდ ბოთლიდან კვებავდნენ, ხოლო ფხვიერ საკვებზე უარს ამბობდა. ბავშვს ადამიანებთან ვიზუალური კონტაქტის დამყარება არ შეეძლო; საგნებს არ უყურებდა და მხოლოდ თვითსტიმულირებაზე ორიენტირებული საქციელი ახასიათებდა.

ჯეიმზი იყო საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანზე მწირი გარემო. მე მის პირველ „მიმღებ ოჯახს“ არ შევხვედრივარ, მაგრამ ისინი, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ რადგან ჯეიმზს დაუნის სინდრომი ჰქონდა, ის მაინც ვერაფერს შეიძლებდა და მხოლოდ მზრუნველობა ესაჭიროებოდა. როდესაც ის ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროგრამაში მოხვდა, სხვა მზრუნველობის დაწესებულებაში გადაიყვანეს (ახალმა მშობლებმა ის მოგიანებთ იშვილეს). ინტენსიური დახმარებითა და ზრუნვით (ჩვენ მისთვის და მისი ოჯახისთვის ინდივიდუალური სწავლების ორგანიზება შევძელით) და ოპტიმისტურად განწყობილი ოჯახის წყალობით მან შთამბეჭდავ შედეგს მიაღწია. დროთა განმავლობაში ჯეიმზმა ისწავლა სიარული, თავისით ჭამა, ჩაცმა, თამაში, გაიჩინა მეგობრები, ალაპარაკდა და, დიან, კითხვაც დაიწყო.

მთელი პროგრამის განმავლობაში, ალბათ, ყველაზე გულის ამარწყებელი იყო ის დღე, როდესაც ჯეიმზი შუა ოთახში, კარის წინ, იატაკზე იჯდა და ოთახში მისი პირადი მასწავლებელი, ჩაკი შემოვიდა. ჯეიმზმა მას ახედა, გაუღიმა და რაც შეიძლება სწრაფად გახიზნა ჩაკისკენ. ყველამ ვიცოდით, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო. ჯეიმზი მასწავლებელს შეეჩვია და მას, როგორც ინდივიდს, ისე აღიქვამდა. მას ამ გრძნობის გამოხატვის ჩვევაც გამოუმუშავდა. ცხადი შეიქნა, რომ ჯეიმზი თავისი სამყაროს აქტიურ მონაწილედ ჩამოყალიბებას შეძლებდა. ოთახში კი ცრემლებს ვერავინ იკავებდა.

უნდა ვალიაროთ, რომ ამ მაგალითებში მოყვანილ ბავშვებს ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტის პირობებში რომ ეცხოვრათ, მეტს მიაღწევდნენ. ჯეიმზის შემთხვევაშიც არ ვიცი, უფრო მეტი ზიანი რომ მისდგომოდა მის

ცხოვრებას, შეძლებდა კი იმ ძირითადი უნარების ათვისებას. რაც მთავარია, ის, რომ ბავშვი მწირ გარემოში იზრდება, სულ არ ნიშნავს სწავლის უუნარობას. მწირმა გარემომ (ან ადრეული ჩარევის შეუძლებლობამ) ვერ დაუკარგა ბავშვს სწავლის სრული პოტენციალი. არაჰუმანური და ამორალურია, არ მისცე ბავშვს ძირითადი უნარის განვითარების საშუალება, თუმცა, თუ ასე მოხდა, ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული.

ნეტავ ადრე მომხდარიყო ჩარევა!

ამას იმიტომ ვამბობ, არ მინდა მშობლებმა იფიქრონ, რომ მათ შვილების სწავლის უნარს საფრთხე შეუქმნეს, რადგან ისინი ადრეული ჩარევის პროგრამაში (ან სწორი ადრეული ჩარევის პროგრამაში) არ ყოფილან. არ მინდა მასწავლებლებმა იფიქრონ, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი იმის გამო ვერ სწავლობს, თითქოს ადრეული ჩარევის პროგრამაში „მზადყოფნის“ უნარ-ჩვევებს ვერ დაეუფლა. ყოველი ბავშვის „განათლების ინდივიდუალური პროგრამა“ საკუთრივ ბავშვის მოთხოვნებზე უნდა იყოს მორგებული და არა ბავშვის შესაძლებლობების შესახებ განზოგადებულ თუ წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებზე, რომლებიც ეყრდნობა მის შეზღუდულ შესაძლებლობებსა და ადრეულ განათლებას. ჩვენ არ ვაპირებთ იმაზე ნერვიულობას, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ან არ გაკეთდა. წარსულს ველარ შევცვლით. ჩვენ მხოლოდ აწმყოსა და მომავლის შეცვლა და მასზე ზემოქმედება შეგვიძლია.

იმის გათვალისწინებით, ვინ ვიყავი და რა ვიცოდი იმ დროისთვის, მაქსიმუმს მივალწიე.

ზოგიერთ მშობელს სინანული გამოუთქვამს იმ გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც მათი შვილის ადრეული გამოცდილების, განათლებისა თუ ქცევის მართვასთან დაკავშირებით მიუღიათ. ისინი ბავშვის ყველა პრობლემაზე პასუხისმგებლად საკუთარ თავს მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ მეტი რომ სცოდნოდათ, სხვაგვარად მოიქცეოდნენ და მათ შვილს პრობლემები აღარ ექნებოდა; ისინი ფიქრობენ, რომ მათი შვილი სხვა, მათთვის ნაცნობი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვივით იქნებოდა (ან იმ ბავშვივით, რომლის შესახებ ვიდუოფირი უნახავთ ან მასალა წაუკითხავთ), რომელმაც ბევრად მეტს მიაღწია. ასეთმა მშობლებმა კარგი მზრუნველობა გაუწიეს თავიანთ შვილებს. გახსოვდეთ, რომ გარემო არ არის ერთადერთი პარამეტრი. მე მჯერა, რომ მშობელთა (და მასწავლებელთა) უმეტესობა შესაძლებლობების მაქსიმუმს ხარჯავს იმის გათვალისწინებით, თუ ვინ არიან, და რა იციან.

მშობლებს (და მასწავლებლებს) შემიძლია, შევთავაზო საკუთარი თავის პატიების ფორმულა, რომელიც ადგილობრივი ფსიქიატრ-კონსულტანტის, ჯენიფერ ჯეიმზისგან ვისწავლე: „იმის გათვალისწინებით, თუ ვინ ვიყავი, ვისთან ერთად ვიყავი და რა ვიცოდი, რაც შეეძელი, ის გავაკეთე“. აპატიე თავს ყველა ის შეცდომა, რომელიც, შენი აზრით, წარსულში დაგიშვია; აპატიე მასწავლებლებსა და სხვა პროფესიონალებს იმის გამო, რომ ისინი შორს იყვნენ სრულყოფილებისგან. ენერჯია დღევანდელი და ხვალინდელი დღისკენ მიმართე. ჯერ კიდევ არის შანსი.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლება

როგორ მასწავლოთ დაუნის სინდრომიან ბავშვს?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები არ ჰგვანან ერთმანეთს. ამ კატეგორიის ბავშვებს ერთმანეთისგან განსხვავებული პოტენციალი აქვთ, ისევე, როგორც საზოგადოდ, ადამიანებს. სწორედ მათი სპეციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად არის შემუშავებული განათლების ინდივიდუალური პროგრამები. ბევრი მშობელი და განათლების სპეციალისტი მირეკავს და მეკითხება, თუ როგორ უნდა ასწავლონ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს და როგორ უნდა მართონ მათი ქცევა. „დაუნის სინდრომიანთა საგანმანათლებლო პროგრამა“ ან „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ქცევის მენეჯმენტის გეგმა“ არ არსებობს. ძირითადი საგანმანათლებლო და ქცევითი პრინციპები ადამიანების ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სწავლის თავისებურებებს უნდა მოვარგოთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევაა. თუკი ბავშვი წარმატებით სწავლობს იმას, რასაც ვასწავლით, ესე იგი, სწორ გზას ვადგავართ. თუ ბავშვი მხოლოდ მცირეოდენ წარმატებას აღწევს ან წარუმატებელია, მის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას უნდა გადავხედოთ და განვსაზღვროთ, რამდენად შინაარსიანი და სასარგებლოა ბავშვისთვის ის ჩვევები თუ ცნებები, რომელთაც ვასწავლით და რამდენად სასარგებლოა ის ხერხები და პროგრამები, რომლებითაც ვასწავლით; არის თუ არა ისინი ისე შედგენილი, რომ მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს ითვალისწინებდეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვეულებრივი მოსწავლეების კურიკულუმს ის რაიონი ადგენს, სადაც სკოლაა განთავსებული. სპეციალიზებულ განათლებაში ჩართული მოსწავლეების კურიკულუმს კი თვით მოსწავლე განსაზღვრავს. ეს კურიკულუმი არის „ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა“. სწორედ ამიტომაც სპეციალიზებული განათლება განსაკუთრებულია. ჩვენ ისეთი პროგრამების შემუშავება შეგვიძლია, რომლებიც ინდივიდუალურ, ყველასგან განსხვავებულ საჭიროებებს აკმაყოფილებს. თუკი ინდივიდუალური პროგრამა წარუმატებელია, ამის მიზეზი უნდა დავადგინოთ და შესაბამისი ცვლილებები შევიტანოთ, რომ პროგრამა წარმატებული გახდეს. თუკი ბავშვი ვერ ითვისებს მხოლოდ მისთვის შედგენილ პროგრამას, ესე იგი, პროგრამაში რაღაც ხარვეზია.

სპეციალური განათლება ბავშვისთვის მომსახურების გაწევას გულისხმობს და არა მხოლოდ მის განთავსებას სხვადასხვა ჯგუფში. სადაც უნდა მოხდეს ბავშვი, სპეციალური განათლება სწავლაში დახმარებაზე უნდა იყოს მიმართული, ხოლო თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა უნდა შემუშავდეს, რათა მან ნებისმიერ გარემოში ცხოვრება და განვითარება შეძლოს. სასკოლო დღის ნებისმიერი პერიოდისთვის უნდა განისაზღვროს ამოცანა, იმისათვის, რომ მასწავლებელმა იცოდეს, თუ რა ამოცანის მიღწევა იქნება შესაძლებელი კონკრეტულ პერიოდში და რა მოეთხოვება როგორც მასწავლებელს, და რა მოეთხოვება მოსწავლეს თითოეული დღის განმავლობაში. მაგალითად, რას ისწავლის მოსწავლე ყოველი ცალკეული

პერიოდის განმავლობაში? ექნება თუ არა მას იგივე ამოცანები, რაც მის კლასელებს და მიეწოდება თუ არა მასალა ისევე, როგორც მის კლასელებს, ანუ „ჩვეულებრივად“? ექნება თუ არა მას იგივე ამოცანები, ოღონდ ადაპტირებული? იქნება თუ არა მისი ამოცანები მისი კლასელების ამოცანებისგან განსხვავებული გარკვეულ პერიოდებში? რა პერიოდებში დასჭირდება მას დამხმარე? ვინ იქნება ეს დამხმარე, მისი თანატოლი? მოხალისე?

თუკი, მაგალითად ბავშვის ერთ-ერთი მიზანი კითხვის უნარის გაუმჯობესებაა, ამოცანა შეიძლება იყოს შემდეგი: კითხვის პერიოდში ჯერემის 15 წუთის განმავლობაში ეყოლება დამხმარე, რომელთან ერთადაც ის ივარჯიშებს სიტყვების კითხვასა და აღქმაში თანატოლებთან ერთად და მარტო კითხვის კომპიუტერული თამაშების საშუალებით; თამაშის ყოველ ეტაპზე ის ჩახედავს დაწერილი სიტყვებისა და სიმბოლოების ცხრილს და ეტყვის მასწავლებელს, თუ რა მოხდება შემდეგ ეტაპზე. ჟურნალის შევსების ეტაპზე ის შეავსებს „კი“ და „არა“ ჟურნალს, ჩახედავს კალენდარს და შემოხაზავს კვირის დღეს ჟურნალში. მიღწეულ წარმატებაზე დაყრდნობით გადახალისდება მისი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა და მასში შეიძლება შევიდეს, მაგალითად, შემდეგი: დილის ვარჯიშის დროს ჯერემი ამოიკითხავს სიას და წაიკითხავს სკოლის მენიუს კვირაში ერთხელ (სხვადასხვა დღეს); ის წაიკითხავს დაწერილ ცხრილს სიმბოლოების გარეშე; მოაგროვებს მასალას დაწერილი სიის მიხედვით.

სწორედ ეს გრძობა დაგვეუფლა, როდესაც ის გაგვიჩნდა

ერთხელ, როცა საბავშვო ბაღის ჯგუფში ბავშვის ჩასარიცხად მთელი გუნდი შევიკრიბეთ, საბავშვო ბაღის მასწავლებელმა თქვა: „მართალი გითხრა, მეშინია. არც კი ვიცი, როგორ უნდა ვასწავლო ამ ბავშვს, რას უნდა მოველოდე მისგან და როგორ ვმართო მისი ქცევა“. ერთ-ერთი დაუნის სინდრომის მქონე გოგონას მამამ, რომელიც ამ შეკრებას ესწრებოდა, გვითხრა: „სწორედ ეს გრძობა დაგვეუფლა, როდესაც ის გაგვიჩნდა. არ ვიცოდით, როგორ გვეზრუნა მასზე, რა მოლოდინი უნდა გვექონოდა, როგორი რეაგირება უნდა მოგვეხდინა მის ქცევაზე, მაგრამ ვისწავლეთ. თქვენც ისწავლით“.

გოგონას მამას ადრეული ინტერვენციის პროგრამის ფარგლებში გაუწიეს დახმარება, მას ბავშვზე ზრუნვის ჯგუფიც დაეხმარა. კლასის „ჩვეულებრივ“ მასწავლებელს ბავშვზე ზრუნვის ჯგუფის – სპეციალური განათლების მომსახურებისა და მშობლების – დახმარება სჭირდება იმისათვის, რომ ბავშვის მოთხოვნების დაკმაყოფილება ისწავლოს. მშობელს ხშირად ავიწყდება, თუ როგორ გამანადგურებლად იმოქმედა მასზე იმის გაგება, რომ მის შვილს დაუნის სინდრომი აქვს და რომ „ჩვეულებრივი“ მასწავლებელიც დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია, ანუ არ არის მზად სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვის მისაღებად. სპეციალური განათლების სფეროში მოღვაწე მასწავლებლები შეიძლება შევადაროთ მშობლებს, რომლებიც დაუნის სინდრომს მქონე ბავშვებს შვილად აიყვანენ. ამ კატეგორიის მშობლები და მასწავლებლები თვით ირჩევენ ამ ბავშვებზე ზრუნვას და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, – ეს მათი არჩევანია. ის მშობლები, ვისაც ასეთი ბავშვი უჩნდება, შეიძლება შევადაროთ „ჩვეულებრივ“ მასწავლებლებს; ასეთ ბავშვებზე ზრუნვისთვის და მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ისინი მზად არ არიან – ეს არ ყოფილა მათი თავდაპირველი არჩევანი – ეს არის ის, რაც მათ უნდა ისწავლონ მომხდარი ფაქტის შემდეგ. მშობლები და „ჩვეულებრივი“ მასწავლებლები სწავლობენ, რომ ბავშვი უპირველესად ბავშვია, პიროვნება, რომელსაც უნიკალური თვისებები აქვს და რომ მას მოფრთხილება და ზრუნვა ესაჭიროება სწავლისა და აღზრდის მთელი პროცესის განმავლობაში. მთავარი ბავშვების საჭიროებების გაგება და

მათზე ზრუნვაა. განვითარების, ქცევისა და განათლების ძირითადი პრინციპები სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებზეც ვრცელდება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ პრინციპების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება, მათი ადაპტირება, სპეციალური ხერხებისა და საშუალებების გამოყენება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების სწავლებაში წარმატების მისაღწევად სწავლის უნარი და მონდომება უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენ ბავშვისგან უნდა ვისწავლოთ: ვისწავლოთ მისგან შემოსულ სიგნალებზე რეაგირება და მათთან ადაპტირება (ნაცვლად იმისა, ყოველთვის მოველოდეთ, რომ ბავშვი ჩვენს სიგნალებზე მოახდენს რეაგირებას ან მათთან ადაპტირებას); ვისწავლოთ, რა გზით სწავლობს ბავშვი ყველაზე კარგად – ვიზუალური თუ სმენითი სტიმულის საშუალებით და შევიმუშაოთ მასალები და ხერხები, რომლებიც მაქსიმალურად გაზრდის სწავლის ეფექტიანობას; ვისწავლოთ, თუ როგორ ვასწავლოთ მას სხვადასხვა უნარის კომპენსირება (ნაცვლად მისი გამოსწორების ან იგნორირებისა); ვისწავლოთ იმის დადგენა, თუ როდის არის ჩვენი სწავლება არაეფექტური ან ბავშვებისთვის შეუსაბამო და ვიყოთ მზად ჩვენი მიდგომების შესაცვლელად; ვისწავლოთ, როგორ ვასწავლოთ ბავშვს ის, რაც ყველაზე უფრო დასჭირდება და გამოადგება; ვიყოთ მზად კურიკულუმის შესაცვლელად ისე, რომ მისი საჭიროებები დაკმაყოფილდეს; ვისწავლოთ სწავლებისა და ქცევის ძირითადი პრინციპების გამოყენება ცალკეულ ინდივიდებს შორის არსებული პიროვნული განსხვავებების გათვალისწინებით. ყველაზე უფრო ის გვაშინებს, რის შესახებაც ყველაზე ნაკლები ვიცით. გახდით პროფესიონალი თქვენი ბავშვის თუ მოსწავლის შეცნობის საქმეში. სიხარულით მოეკიდეთ ყველა მის განსხვავებულ თვისებას და მეტი თავდაჯერებულობა გამოიჩინეთ ბავშვის სწავლების დროს არსებული სირთულეების დაძლევისას. დასძლიეთ შიში. თუკი მასწავლებელი წარმატებულია, მოსწავლეც წარმატებულია. ორივენი – მასწავლებელიც და მოსწავლეც – სინამდვილეში მოსწავლეები არიან და სწავლა დიდი სიხარულია.

**როდესაც სწავლის
ბარკვეულ
პტაპს ბაივლიან,
ჩიპრეზიან სოლეე.
ასე არ არის?**

ვფიქრობ, მან იმ ეტაპს მიაღწია, რომლის შემდეგაც ველარ ისწავლის, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

ჩვენ მას გაისად სხვაგან გავანაწილებთ, რადგან გარკვეულ ეტაპს მიაღწევს და ინკლუზიურ კლასში სწავლის გაგრძელება მისთვის სასარგებლო აღარ იქნება.

ერთმა მასწავლებელმა დამირეკა და დახმარება მთხოვა. როგორც მითხრა, სამი წლის განმავლობაში მისი მოსწავლის, რომელსაც ბრენდონი ერქვა, „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის“ მიზნები არ შეცვლილა; მგონი, მან სწავლაში გარკვეულ ეტაპს – ე. წ. „პლატოს“ მიაღწია, რომელზეც მოსწავლეები შეჩერდებიან და ველარ ითვისებენ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმეო. კიდევ ერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც ერთხელ მონაცემებს ვაგროვებდი და ყოფილი მოსწავლის, 15 წლის ქეთის მასწავლებელს დავურეკე. მასწავლებელმა დიდი ენთუზიაზმით მითხრა, ის მე-6 კლასის დონეზე კითხულობს, მოთხრობებს წერს და გაყოფასაც სწავლობს. მისი სწავლა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არ შენელებულაო. ამას წინათ ერთი ბავშვის დედამ დამირეკა და სწავლაში ე. წ. „პლატოს“ ეტაპის შესახებ მკითხა. სპეციალურ განათლებაზე პასუხისმგებელმა დირექტორმა მისი გოგონას, ბეტის ინტეგრირებული კლასიდან (სადაც წარმატებით სწავლობდა) სპეციალურში გადაყვანა ურჩია, რადგან გოგონა უკვე 10 წლისაა და, დირექტორის თქმით, „პლატოს“ ეტაპს მიაღწევს. ასე რომ, ინტეგრირებული კლასიდან სარგებელს ველარ მიიღებდა.

ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ მოელიან მასწავლებლები და სპეციალურ განათლებაზე პასუხისმგებელი დირექტორები სწავლის პროცესში შეფერხებასა და ე. წ. „პლატოს“ ეტაპზე გადასვლას. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა კვლევები, რომლებმაც ცხადყო, რომ ბევრი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი აღწევს ხოლმე „პლატოს“ ეტაპს, ანუ განვითარების ტემპში ბავშვები ამჟღავნებენ წინსვლასა და უკუსვლას გარკვეულ სფეროებში. ერთ-ერთ კვლევაში ნათქვამია, რომ გრამატიკული უნარის განვითარება „პლატოს“ ეტაპს აღწევს 7.5 და 10.5 წლის ასაკში (ფაულერი, 1988). კიდევ ერთი კვლევით დადგინდა, რომ ბავშვები დროდადრო ამჟღავნებენ წინსვლასა და უკუსვლას გონებრივი განვითარების ტემპში დაახლოებით 8-დან 11 წლამდე ასაკში; მოზარდობის ასაკში ტემპი ისევ იკლებს (გიბსონი, 1966). სულ ახლახან ჩატარებულმა კვლევამ კი დაადასტურა, რომ მიმართება ქრონოლოგიურ ასაკსა და იმ ასაკს შორის, რომელსაც ამ ბავშვების ქცევა შეესაბამება, უფრო მკვეთრია ადრეულ ასაკში და უფრო სუსტად არის გამოხატული ბავშვობის შუა პერიოდში და ზოგადად „პლატოს“ ეტაპზე 7-დან 11 წლამდე (დაიკენსი და ავტორთა ჯგუფი, 1994). ეს კი ნიშნავს, რომ ადრეულ ბავშვობაში უნარები ასაკს მეტად შეესაბამება, ვიდრე გვიანდელ ბავშვობაში. თუმცა, კვლევის ავტორებმა საგანგებოდ აღნიშნეს, რომ ბავშვობის შუა პერიოდში ყველა ბავშვი „პლატოს“ ეტაპს არ გადაის, რაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ინდივიდუალური განვითარების თავისებურებებზე მიუთითებს.

სხვა მკვლევრებმა დაადგინეს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ბავშვობისა და მოზარდობის ასაკის გარკვეულ ეტაპზე შედარებით სტაბილურად ვითარდებიან (ლავლენდი და კელი, 1988, 1991 და კარი, 1988). ჯონ ა. კონოლიმ (1978) შემოიტანა ჰიპოთეზა, რომ სწავლის ფართო შესაძლებლობების ნაკლებობამ (პროფესიული წვრთნის გარემოში მოთავსებამ) შეიძლება გამოიწვიოს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანის ინტელექტუალური არღვევა მოზარდობის ასაკში. მან განაცხადა: „ლიტერატურაში არასწორად არის ინტერპრეტირებული წარმოდგენილი უნარის კლება ასაკის ზრდასთან მიმართებაში.“

მე ვეთანხმები ბატონ კონოლის და მჯერა, რომ „პლატოს“ გაჩენის, ანუ განვითარების ტემპის შენელების, მიზეზი განათლების იმ პროგრამებში უნდა ვეძიოთ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო ამოცანებს. მე ასევე მჯერა, რომ მონაცემები არასწორად იყო ინტერპრეტირებული, ისე, როგორც ბეტის შემთხვევაში, რომლის დირექტორს სურდა, ის სხვა კლასში გადაეყვანათ, რადგან მოელოდა, რომ დაუნის სინდრომის გამო ის „პლატოს“ ეტაპს მიაღწევდა. ბავშვების ერთი ჯგუფის შესახებ კვლევის მონაცემები არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა ბავშვების, რომლებსაც ასევე დაუნის სინდრომი აქვთ, გადაყვანისა და მათთვის პროგრამების შემუშავების საფუძველად. **ყოველი ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა უნდა შემუშავდეს მხოლოდ მისი, კონკრეტულ შემთხვევაში აშკარად გამოხატული მიღწევების საფუძველზე და არა სწავლაში ჩაბმული სხვა ბავშვების წარმოსახვითი გრძელვადიანი შესაძლებლობების გათვალისწინებით.**

ჩვენ არ უნდა დავასკვნათ, რომ ბრენდონმა „პლატოს“ ეტაპს იმიტომ მიაღწია, რომ დაუნის სინდრომი აქვს და ბედით ასეა განსაზღვრული; რომ ქეთის შემთხვევაში ასე არ მოხდა, რადგან ის „პლატოს“ წესიდან გამონაკლისი იყო; რომ ბეტი თავისი ასაკის „პლატოს“ წესს დაექვემდებარება. უნდა ვადიარო, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში „პლატოს“ ეტაპი მართლაც

დგება და თანაც, არაერთ შემთხვევაში. როგორც ყოველთვის, ფხიზლად უნდა ვიყოთ და დავაკვირდეთ ბავშვს. როდესაც ის არ ვითარდება, უნდა ვეცადოთ, დავადგინოთ ამის მიზეზი და ის, თუ რა უნდა გავაკეთოთ მის დასახმარებლად. მიზეზი შეიძლება იყოს დაკავშირებული როგორც ჯანმრთელობასთან, ისე პროგრამასთან. მე ვფიქრობ, არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ ზოგიერთ ბავშვს აქვს გენის გარკვეული „დოზა“, რომელიც იწვევს გულის დაავადებას და ა. შ. (ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია). ნეტავ ვიცოდეთ ნამდვილი მიზეზი, მაგრამ ვმიშობ, რომ არ ვიცი. თუმცა, სანამ ფარ-ხმალს დავყრიდეთ და მრავალმნიშვნელოვნად ვიტყოდეთ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბავშვი „პლატოს“ ეტაპზეა და ისლა დაგვრჩენია, მის გადალახვას დაველოდოთო, ალბათ, ბავშვის განვითარებაში შეფერხების მიზეზის დადგენას უნდა შევეცადოთ. ისეთი შესაძლებლობები უნდა მოვიძიოთ, რომლებიც სიტუაციის დაძლევაში დაგვეხმარება.

პროგრამისთან დაკავშირებული სირთულეები

ქეთისა და ბრენდონს შორის განსხვავება, ალბათ, ის იყო, რომ ქეთისთვის შედგენილი კურიკულუმი შინაარსიანი და სასარგებლო იყო მისთვის; ის ხერხები, რომლებსაც მასწავლებელი იყენებდა, ქეთის სწავლის უნარისა და სტილის შესაფერისი იყო. ქეთის მასწავლებელს რომ სხვა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვისთვის ესწავლებინა და ის „პლატოს“ ეტაპზე ყოფილიყო, შესაძლოა, ეს კურიკულუმი (უნარები, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ამოცანები) არ ყოფილიყო მისთვის შინაარსიანი, სასარგებლო ან შესაფერისი; გამოყენებული ხერხები და მეთოდები შესაძლოა მოსწავლის სწავლის უნარისთვის შეუფერხებელი ყოფილიყო.

მშობლებისთვის (და ზოგჯერ მასწავლებლებისთვისაც) არ არის გასაკვირი იმის გაგება, რომ მოსწავლემ სამი წლის განმავლობაში ვერ შეასრულა ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით დასახული ამოცანები. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ეფუძნება ბავშვის რეაქციას სწავლებაზე და იმ სიგნალებს, რომლებსაც ბავშვი ამ პროცესში გვაძლევს. სამი წელი დიდი დროა საიმისოდ, რომ ველოდოთ და ვიკვლიოთ მიზეზები და რაიმე ვილონოთ. არსებობს იმის შანსი, რომ მოსწავლეები უფრო მეტს სწავლობენ, ვიდრე ჩვენ სამი წლის განმავლობაში შეგვიძლია შევთავაზოთ, თუმცა, ეს არ არის ასახული ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამაში. პრობლემა ის არის, რომ მოსწავლემ ვერ ისწავლა ის, რისი სწავლებაც მისთვის მასწავლებლებს უნდოდათ.

რა ისწავლა მოსწავლემ ამ სამი წლის განმავლობაში იმავე ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით? სავარაუდოდ, მაინც ისწავლა ის, რაც მისთვის ძალზე სასარგებლოა. მოსწავლეები ხშირად სწავლობენ, თუ როგორ აიცილონ თავიდან მარცხი და იგონებენ მათთვის უსარგებლო, მათი უნარისთვის შეუფერხებელი (ან მოსაწყენი და რთული) გაკვეთილის გაცდენის ხერხებს. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ მოსწავლეს არ გაუტარებია სამი წელი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული იმ ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად, რომლებსაც მისთვის წარმატება უნდა მოეტანა; არც მის განათლებაზე პასუხისმგებელ მასწავლებლებს გაუუმჯობესებიათ მოსწავლის პროგრამა მისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შეფასების, მიზნებისა და ამოცანების დასახვის, ამ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად პროგრამების დაგეგმვისა და რეალიზების, მათ მიღწევაში მოსწავლეების წარმატების, შეფასებაზე დაყრდნობით ახალი მიზნებისა და ამოცანების შემუშავების მუდმივი პროცესია.

**თაინს დაუნეაზა
მიპართული ქსეპა
და ნასნაპლი
უსუსპრობა**

ზოგიერთი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ისეთ ქცევას სწავლობს, რომელიც ეხმარება, თავი აარიდოს სიტუაციას, როდესაც ამოცანები ძალიან რთული ან ძალიან მარტივია, ანდა შემაწუხებელია მისთვის. ადრეულ ასაკში ბავშვები ხშირად შეიმუშავენ ასეთ ხერხებს და წარმატებით იყენებენ მთელი ცხოვრების განმავლობაში, თუკი ეს ხერხები ეხმარება მათ გაკვეთილისგან ან დავალებისგან თავის დაღწევაში. თავის დაღწევაზე მიმართულ ამ ქცევას ხშირად „ნასწავლი უსუსურობა“ ეწოდება. მასწავლებლის ყურადღების გადატანა, თანამშრომლობაზე უარის თქმა, სხვა საკითხის წამოწევა, – ამ გზებით მოსწავლეს აღარ მოუწევს დავალების შესრულება (და მიზანიც მიღწეულია). ასევე, თუკი შეძლებს, თავი დააღწიოს დილას ჩაცმისა და სკოლაში წასვლის მოსამზადებელ პროცესს, დედა და მამა დაეხმარებიან და მოამზადებენ. ბავშვი სწავლობს, როგორ გახდეს უსუსური და წარმატებასაც აღწევს. თუმცა, ბავშვი ვერ ითვისებს იმ უნარებს, რომლებიც მისთვის ძალიან სასარგებლოა და დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევს.

(რასაკვირველია, ბავშვი, ალბათ, ასე არ ფიქრობს და მას შესაძლოა მოსწონს, რომ ჰყავს მსახური და ისწავლა ის, თუ როგორ იყოლიოს მსახური; თუმცა, არ იცის, როგორ იშოვოს ფული, რომელიც ამ მსახურს უნდა გადაუხადოს. სათემო სახლის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ მათთან მცხოვრებ ზოგიერთ ზრდასრულ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს კვლავ სჭირდება გამშრალებასა და ჩაცმაში დახმარება. აბა, ვინ არის ამ სიტუაციაში უფრო ჭკვიანი? რამდენ ჩვენგანს აქვს საშუალება, იყოლიოს პირადი მსახური? ეს ზრდასრული ადამიანები ისე ცხოვრობენ, თითქოს დამოუკიდებლად მოეპოვებინოთ სიმდიდრე და მათი ყველა მოთხოვნა სრულდება მათი მინიმალური ძალისხმევის გამოჩენის ხარჯზე. მათ არც კი უნდა იზრუნონ ამ დახმარების შენარჩუნებაზე. როდესაც მე სათემო სახლის თანამშრომლებს შევთავაზე პროგრამები ზრდასრული დაუნის სინდრომის მქონე ზრდასრულებისთვის გამშრალების და ჩაცმის სასწავლად, ერთ-ერთის პასუხი ასეთი იყო: „ეს ხომ უფრო ძნელია, მირჩენია, ჩაცმაში დავეხმარო“. ამ თანამშრომელს არ სურდა თავის შეწუხება, სწავლა და პროგრამის განხორციელება. ისიც თავიდან იცილებდა სწავლას და ის გამოსავალი არჩია, რომელსაც ყველაზე ნაკლები ძალისხმევა სჭირდებოდა. მოკლევადიან პერსპექტივაში ეკონომიკურად უფრო ეფექტიანი იქნება ადამიანის გამშრალება და ჩაცმა, რადგან ამას ნაკლები დრო სჭირდება, თუმცა, უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში ეკონომიკურად უფრო მომგებიანი იქნება, ვასწავლოთ მათ დამოუკიდებლად გამშრალება და ჩაცმა, რადგან ისინი უნდა გახდნენ დამოუკიდებელნი და არ უნდა დასჭირდეთ დახმარება).

ედინბურგის კვლევაში გამოიკვეთა, რომ სკოლამდელი ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებმა ისწავლეს, როგორ დაეღწიათ თავი რთული ან ადვილი, გონების დაძაბვაზე მიმართული ამოცანების შესრულებისგან კომპენსატორული სოციალური ქცევის გამომუშავების ხარჯზე (ვიშარტი, 1989). ამ კვლევაში განხილული ტიპური „გამოთიშვის“ ქცევა, რომელსაც ბავშვები უფროსების ყურადღების გადასატანად იყენებდნენ, იყო შემდეგი: ისინი ცდილობდნენ, უფროსის მზერა მიეპყროთ და შემდეგ თვალს არ აშორებდნენ ან უღიმოდნენ, ტაშს უკრავდნენ, ლოყებს ბერავდნენ და ხმაურით ჩუტავდნენ ან სხვა ეშმაკობას მიმართავდნენ. ამგვარი ქცევა არა მარტო სწავლას უშლის ხელს, არამედ ართულებს და შეუძლებელს ხდის სწორ შეფასებას. ის ბავშვები, რომლებიც ასეთ ხერხებს იყენებენ, ხშირად შეფასებას არ ექვემდებარებიან, სწავლაში უკუსვლა აღენიშნებათ ან სწავლა მათთვის უსარგებლოა. ინფორმაცია მათი ჭეშმარიტი პოტენციალის, უნარისა და ცოდნის შესახებ გაურკვეველი რჩება. ბავშვის „სოციალური უნარების“ არაადეკვატური გამოყენება ზრდის

ბავშვის ინტელექტუალურ შეფერხებას და, რასაკვირველია, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც „პლატოს“ ეტაპი. ბავშვმა ამ ეტაპს მიაღწია. იმან, რაც ბავშვმა ისწავლა (თავის დაღწევაზე მიმართული ქცევა), მისი განვითარება შეაფერხა და ბავშვი აღარ ვითარდება, არ სწავლობს ახალი, განვითარებაზე ორიენტირებული ამოცანების შესრულებას.

ეს „სოციალური უნარები“ ზოგიერთი ბავშვისთვის შესაძლოა სასარგებლო შეიქნეს ასაკის მომატებასთან ერთად. მე მიმუშავია დაწყებითი სკოლის ასაკისა და მოზარდ მოსწავლეებთან, რომლებიც საკმაო წარმატებით იყენებდნენ ამ უნარებს. თუმცა, უფრო მოზრდილ ასაკში, როდესაც „ჯგუფური სწავლების“ გარემოში მოხვდებიან ხოლმე, ამ უნარებს ვეღარ იყენებენ. გაკვეთილისთვის თავის არიდების ან მასწავლებლის ყურადღების მიპყრობისთვის მათ უფრო თვალსაჩინო და ყურადღების მიმპყრობი ქცევის სწავლა უხდებათ ხოლმე. ადრე ნასწავლი ეს ქცევა შეიძლება ძალიან არასასურველი იყოს.

ტიპური მაგალითი ადაპტირებაზე მიმართული ქცევისა, რომელიც გაკვეთილისგან თავის არიდების ან მასწავლებლის ყურადღების მიპყრობისთვის გამოიყენება, შემდეგია: უარის თქმა მოსმენასა და პასუხის გაცემაზე (ზოგადი დაუმორჩილებლობა და მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა); „ინსცენირება“ (ყვირილი, ოთახში სირბილი, მასალების განადგურება); თავის დაღწევა (ოთახიდან გაქცევა) და დამალვა; იატაკზე დაწოლა და განძრევაზე უარის თქმა და აგრესიული ქცევა. იმ მოსწავლეებმა, რომლებიც ამ ქცევას იყენებენ, ბევრი რამ ისწავლეს. ჩვენ, უბრალოდ, არ მოგვწონს ის, რაც მათ ისწავლეს, და არც ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამაში ამის აღნიშვნა საშუალება გვაქვს. ასე რომ, როდესაც პროგრამაში ცვლილებები შედის, ჩვეულებრივ, ეს ცვლილებები „არასათანადო“ ქცევებს ასახავს და მიზანი ამ ქცევების დაძლევაა. მაგრამ ამ ქცევებით ნამდვილად სარგებლობენ მოსწავლეები და მასწავლებლებიც უნებურად მის განმტკიცებაში ეხმარებიან. ამ ქცევების გამოყენებით მოსწავლემ *მართლაც დააღწია* თავი გაკვეთილს (ოთახში სირბილი და საკლასო დავალების შესრულება შეუთავსებელია) და/ან მასწავლებელიც *დაეხმარა* ამაში (მან მასწავლებლის ყურადღება დაიმსახურა, თუმცა, ეს სულაც არ იყო სასიამოვნო). თუკი ის ქცევა, რომელიც მოსწავლის სასარგებლოდ მუშაობს, აღმოიფხვრება, მაგრამ მოსწავლე არ ისწავლის ქცევას, რომლითაც წინა ქცევის ჩანაცვლება მოხდება, ახალნასწავლი ქცევა, სავარაუდოდ, უფრო არასასურველი იქნება, ვიდრე წინა (შესაძლოა, მან ისწავლოს, რომ მის გვერდზე მჯდომი ბავშვის დარტყმაც ისევე „სასარგებლო“ გამოდგეს მისთვის, როგორც ოთახში სირბილი).

თუკი არასასურველი ქცევა პრობლემებს ქმნის, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა ისე უნდა შეიცვალოს, რომ გამოიძებნოს „ჩანაცვლებითი“ ქცევა, რომელსაც ბავშვი ისწავლის და იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებს, რომელსაც ამჟამად მისი არასასურველი ქცევა აკმაყოფილებს. თუმცა, უპირველესად უნდა განისაზღვროს, რა საჭიროებებია ეს – ყურადღების მიპყრობა თუ რაღაცისთვის თავის არიდება (ქცევის ეს ორი ფართო კლასი – ყურადღების ძიება, რომლის მიღწევა და შენარჩუნება ხდება პოზიტიური გამყარების ხარჯზე, და თავის არიდების ქცევა, რომლის მიღწევა და შენარჩუნება ხდება ნეგატიური გამყარების ხარჯზე – არასათანადო და დისონანსის შეტანაზე მიმართული ქცევის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია).

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენისას ჩანაცვლებითი ქცევა პროგრამის მიზნებში უნდა აისახოს. მაგალითად, მიზნებში შეიძლება დაიწეროს: „როდესაც ჯონს მასწავლებლის დახმარება დასჭირდება, ის მასწავლებელს

სახელს დაუძახებს,“ ან „როდესაც ჯონს მასწავლებლის ყურადღება ან მისი მხარდაჭერა დასჭირდება, ის იკითხავს: „კარგად გამოძის?“ ან თუკი დავალება ზედმეტად რთულია, ჯონი იტყვის: „დამეხმარეთ.“ თუ ჯონს ლაპარაკი არ შეუძლია, პროგრამაში ჩაიწერება: „თუკი ჯონს მასწავლებლის ყურადღება დასჭირდა, ის ზარს დააწკარუნებს,“ ან „მასწავლებლის ყურადღების მისაქცევად ჯონი ზარს დააწკარუნებს, შემდეგ კი, როდესაც დანმარება დასჭირდება, ანიშნებს, დამეხმარეთ.“ ცხადია, აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ისევე სწრაფად წაახალისოს ხოლმე ასეთი ქცევები, როგორც არასათანადო ქცევაზე რეაგირებს. ამ ახალმა ქცევებმა მათი ათვისების პერიოდში ძველ ქცევებზე უკეთ უნდა „იმუშაონ.“ შეყოვნება („ახლავე მოვალ“) მას შემდეგ შეიძლება, რაც მოსწავლე აითვისებს ჩანაცვლებით ქცევას და თავისთვის სასარგებლოდ მიიჩნევს. ახლა მოსწავლემ უკვე დაცდა უნდა ისწავლოს (და ესეც შეიძლება ჩაიწეროს მის ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამაში).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის განვითარებაში „პლატოს“ ეტაპის გაჩენა შეიძლება პროგრამას დავაბრალოთ. ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ და შევაფასოთ, თუ როგორ იქცევა და მოქმედებს ბავშვი პროგრამის განხორციელებისას. პროგრამაში შემდგომი ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს ამ დაკვირვებებისა და შეფასებების საფუძველზე, ასევე ბავშვის მიღწევებზე, სწავლის სტილსა და ინტერესებზე დაყრდნობით. ის ინფორმაცია და უნარები, რომლებსაც ვასწავლით, მოსწავლისთვის შესაფერისი, სასარგებლო და შინაარსიანი უნდა იყოს.

**ჯანმრთელობასთან
დაკავშირებული
პრობლემები**

პროგრამაში არსებულ ხარვეზებთან ერთად, განვითარებაში „პლატოს“ ეტაპის მიღწევის მიზეზი შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობითაც იყოს განპირობებული. როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებობს ბევრი შესაძლო სამედიცინო პრობლემა, რომლებმაც შეიძლება მოსწავლის განვითარების ტემპი შეანელონ: ეს შეიძლება იყოს სმენის დაკარგვა, მხედველობის პრობლემები, ქრონიკული დაავადებები, ჰიპოთირეოზი, დეპრესია და ყურადღების დეფიციტი. უნდა გამოირიცხოს ეს მიზეზები (და სხვა იშვიათი მიზეზები, როგორიცაა ტვინის სიმსივნე), მოხდეს დაავადებების დიაგნოსტიკა და იმ დაავადებების მკურნალობა, რომლებიც მკურნალობას ექვემდებარება.

შესაძლოა ზოგიერთი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი „პლატოს“ ეტაპზე აღმოჩნდეს, მაგრამ ამას არ უნდა მოველოდეთ და ხელი არ უნდა შევუწყოთ ბავშვის ამ ეტაპზე დარჩენას. დაუნის სინდრომის მქონე, ისევე, როგორც ყველა სხვა ადამიანის სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება.

დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლე

სწავლის პროცესი

სწავლის პროცესი რამდენიმე საფეხურისგან შედგება. პირველ ეტაპზე ხდება სენსორული – მხედველობით, სმენით, შეხებით, გასინჯვით და ყნოსვით აღქმული ინფორმაციის დაგროვება. შემდეგი ეტაპი არის *ალქმა* – სენსორული ინფორმაციის ორგანიზება და მისი ინტერპრეტირება, რაც საგნებისა და მოვლენებისთვის შინაარსის მინიჭებაში გვხვდება. შემდეგ ხდება ჩვენ მიერ სენსორულად აღქმული ინფორმაციის მენსიერებაში დაგროვება. და ბოლო ეტაპი არის *მოხმარება* – მენსიერებაში დაგროვილი ინფორმაციის მოძიება და გამოყენება.

ნებისმიერ მომენტში ჩვენ შეიძლება ვხედავდეთ, გვესმოდეს, ვხეებოდეთ, ვყნოსავდეთ, ვსინჯავდეთ ან ვაკეთებდეთ რამდენიმე მოქმედებას ერთდროულად. ჩვენ გვაქვს უნარი, გავფილტროთ ინფორმაცია და იმ საგნებსა თუ მოვლენებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც მოცემულ მომენტში ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. იმის დასადგენად, თუ რა არის მნიშვნელოვანი და რა უნდა შევიდეს და დარჩეს ჩვენს მენსიერებაში, „გაფილტვრის სისტემას“ ვიყენებთ. ამ ინფორმაციის ნაწილის დამახსოვრება ავტომატურად ხდება, დანარჩენ ინფორმაციას გადაამუშავება სჭირდება. მენსიერებაში ინფორმაციის შეღწევისას მას ორგანიზება (მსგავსი თემის შესახებ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირება) სჭირდება და ის ისე ინახება, რომ საჭიროების შემთხვევაში მისი გამოყენება შევძლოთ.

ამ სისტემას ხშირად კომპიუტერს ადარებენ და მართლაც ძალიან ჰგავს კომპიუტერს, თუმცა, უკეთესია. კომპიუტერს აუცილებლად უნდა ვუთხრაოთ, რა დაიმახსოვროს, მაგრამ ჩვენს მენსიერებაში შენახული ინფორმაციის დიდინაწილი იქ ავტომატურად ხდება: ამასთან, კომპიუტერს შეზღუდული რაოდენობის ბაიტი (მენსიერება) აქვს და მას ინფორმაციის შენახვისა თუ წაშლისთვის კონკრეტული ბრძანება უნდა მივცეთ, მაშინ, როდესაც ჩვენ უსაზღვროდ ბევრი რამის სწავლა და დამახსოვრება შეგვიძლია (წარმოგიდგინათ, როგორი გადატვირთული იქნებოდა თქვენი ტვინი, ყოველდღიურად თქვენი სადილის მენიუს რომ იმახსოვრებდეს, ან იმას, თუ რა გაცვიათ ან რა სიმღერას თუ ინფორმაციას და ა. შ. ისმენთ ყოველდღე?). კომპიუტერიდან ინფორმაციის მისაღებად თქვენ მასში ზუსტი მოთხოვნა უნდა შეიყვანოთ და მხოლოდ მაშინ შეძლებთ მისგან ინფორმაციის მოპოვებას. ჩვენი ტვინიდან ფაილების მოპოვება სხვადასხვანაირი ბრძანებით შეიძლება – ჩვენ ბევრად მოქნილი ვართ.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს ნებისმიერ ზემოთ აღწერილ ეტაპზე შეიძლება შეექმნას სირთულეები. მისი სენსორული ინფორმაცია შეიძლება იყოს არაზუსტი (ცუდი მხედველობის, სმენის, გემოს ან, მაგალითად, სურდოთი გამოწვეული დაქვეითებული ყნოსვის გამო). მას შეიძლება აღქმასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდეს. ეს კი ნიშნავს, რომ იმ საგანთა თუ მოვლენათა უმეტესობა, რომლებსაც ხედავს, ესმის, ხელით, ეხება, ყნოსავს თუ

სინჯავს, მისთვის მწირი შინაარსის შემცველია ან საერთოდ არაფერს ნიშნავს (მას შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს საგნებისა და მოვლენების აღქმის უნარი ან ლექსიკა, რომ მათ სახელი დაარქვას). მისი გაფილტვრის სისტემა, შესაძლოა, არ იყოს ავტომატური – მას, შესაძლოა, ინსტინქტის დონეზე არ ჰქონდეს უნარი, განსაზღვროს, რა ინფორმაციაა მნიშვნელოვანი ყოველ კონკრეტულ მომენტში. მას, შეიძლება, არ ჰქონდეს საკმარისი დრო ან შესაბამისი ინფორმაცია მოვლენებისა და საგნების ორგანიზებისთვის, რაც შემდგომში გაართულებს ან შეუძლებელს გახდის ამ ინფორმაციის მოძიებას. იმ ინფორმაციას კი, რომლის მოძიება შეუძლებელია, ადამიანი ვერ გამოიყენებს.

კომპიუტერში ორგანიზებული ფაილები თუ „ფაილსაყრელი“?

მინდა გაგიზიაროთ შედარება, რომელიც რობი ბლაშამ უსინათლო და სმენადაქვეითებული ბავშვების (მათ ინტელექტუალური დარღვევაც აღენიშნებოდათ) სწავლებაში ზოგადი სირთულეების შესახებ ლექციაზე მოიყვანა 1988 წელს. მან ახსნა, რომ ჩვენ გვაქვს ეს არაჩვეულებრივი ფაილები, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, შევინახოთ და შემდეგ მოვიძიოთ ინფორმაცია ნებისმიერ იმ საკითხზე, რომელზეც ეს ფაილი შევქმენით. მან მაგალითად მოიყვანა ფაილი, რომელიც ჰელოუინის თემაზე შეიქმნა. სიტყვა „ჰელოუინის“² დანახვა (ან მისი გაგონება) იწვევს გონებაში დამახსოვრებულ „ჰელოუინის“ ფაილში ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის მოძიებას, რომელიც ჰელოუინთან, ჩვენი ან სხვების მოგონებებთან არის დაკავშირებული, – ეს არის ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები და ისტორია, რომელიც ჰელოუინის აღნიშვნას შეეხება, და ა.შ.

ქალბატონმა ბლაშამ თქვა, რომ ბავშვებს, რომლებთანაც მუშაობს, ხშირ შემთხვევაში არა აქვთ ფაილები, მათ აქვთ „ფაილსაყრელები.“ მაგალითად, თუ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს სთხოვთ, მოგიყვით, რა გააკეთა ჰელოუინის დღესასწაულზე, თავის ფაილებში მან შეიძლება ვერ იპოვოს ფაილი ამ სათაურით, რომელშიც დამახსოვრებულია ბევრი ისეთი სასიამოვნო რამ, რაც ჰელოუინის აღნიშვნისას გამოცადა.

შესაძლოა, მან ეს ინფორმაცია ორგანიზებისა და კატეგორიის (მაგ. ჰელოუინი) მინიჭების გარეშე დაიმახსოვრა, თითქოს ქვიშის მარცვლები ჩაყარა ნაგვის ყუთში, და ამიტომ მისი მოძიება რთული და ხშირად შეუძლებელიც იყოს მისთვის. თუკი შევეკითხებით, კარდაკარ ხომ არ დადიოდით, შეიძლება გაახსენდეს. შევკითხავთ, „შენ შავი კატა იყავი?“ შეიძლება თქვას, რომ კი, იყო, თუმცა, შესაძლოა, არ ახსოვდეს, რომ ამ დღეს ჰელოუინი ერქვა ან რომ ორი მოვლენა (კარდაკარ სიარული და კატის კოსტიუმის ჩაცმა) ერთმანეთთანაც დაკავშირებულია და ჰელოუინთანაც; შესაძლოა, არც ის ახსოვდეს, რომ ის, რაც ეცვა, კოსტიუმი იყო. თუ შევეკითხებით, რა კოსტიუმი გეცვაო, შეიძლება კოსტიუმის ფაილი არ ჰქონდეს და ეს ინფორმაცია ამიტომ ვერ მოიძიოს.

ზოგიერთი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი არ ფლობს ცნებებს მოვლენის ან ინფორმაციის შინაარსის გასაგებად. ამასთან, ის შესაძლოა არც იმ ლექსიკას ფლობს, რომლის საშუალებითაც ფაილის სახელებს ამ ინფორმაციასთან დაკავშირებდა და ამ გზით მოიძიებდამას. მათ არც ძველთან ახალი ინფორმაციის დაკავშირება და ამ ინფორმაციის იმგვარად სტრუქტურირებულად შენახვა

2 ჰელოუინი არის კელტური წარმოშობის წარმართული დღესასწაული, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება ყოველი წლის 31 ოქტომბერს. აღნიშვნის დროს ტარდება სხვადასხვა ღონისძიება და მსვლელობა-თამაშები, ფეიერვერკები, კოსტიუმირებული სანახაობები. ჰელოუინთან არის დაკავშირებული გოგრებში თვალებისა და პირის ამოჭრის ტრადიცია. ეს დღესასწაული აღინიშნება ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ირლანდიაში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიის ზოგიერთ ნაწილში და ა.შ.

შეუძლიათ, რაც შემდეგ მისი მოძიების შესაძლებლობას შექმნიდა (სწორედ ამიტომ ვიყენებ ხოლმე ლოტოსა და ბინგოს თამაშებს კითხვის სწავლებისას. ამ წიგნში მოცემული გაკვეთილები სწორედ ამიტომ არის დაყოფილი თავებად).

ადრე ნასწავლი ცნებების თავიდან სწავლა?

1988 წელს ჯენიფერ უიშარტმა დაადგინა, რომ 3 წლამდე ასაკის ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს არ შეეძლო იმ კოგნიტიური ამოცანების შესრულება, რომლებსაც სხვა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები 3 წლის ასაკში ასრულებდნენ. თუმცა, ვარჯიშის წყალობით ამ ბავშვებმა 3-დან 5 წლამდე ამ ამოცანების შესრულება სულ რაღაც 2 თვეში ისწავლეს. ეს იყო ძალზე მოკლევადიანი პერიოდი იმის გათვალისწინებით, რომ, ჩვეულებრივ, ტიპური განვითარების (ადრეული ასაკის) ბავშვებში ამ ტიპის ამოცანების შესრულებაში სირთულეების დაძლევას ორი წელი სჭირდება ხოლმე. ქალბატონი უიშარტი დაასკვნის, რომ ეს ბავშვები ადრე ნასწავლს – რაც არ იყო კარგად განმტკიცებული პირველადი აღქმისას – ხელმეორედ უბრუნდებიან. წერთნის წყალობით მათ ამ ამოცანების შესრულება დაიმასსოვრეს ან ხელმეორედ ისწავლეს; შესაძლოა, იმიტომაც, რომ მათ საჭირო ფაილის მოსაძიებლად და ადრე მიღებული ინფორმაციის გამოსაყენებლად დრო დასჭირდათ. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია არ იყო საკმარისად გამოყენებული იმისთვის, რომ მომხდარიყო მისი განმტკიცება და ის ახალ სასწავლო სიტუაციაში გამოსაყენებლად ყოფილიყო მზად.

დედა, ეს პეტ მასწავლებელი იყო!

ზოგიერთმა მშობელმა მითხრა, რომ მათ დაუნის სინდრომის მქონე შვილს საოცრად ხანგრძლივი მეხსიერება აქვს. იმ ინფორმაციაში, რომელსაც ბავშვები იმახსოვრებდნენ, სავარაუდოდ, კარგად იყვნენ გავარჯიშებული, აფაილებდნენ მას, მოიხმარდნენ და კარგად ინახავდნენ კიდეც. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში კარგი მეხსიერების მაგალითები მეც შემხვედრია.

დაწყებითი კლასის მოსწავლე კრისტიმ, რომელსაც ვასწავლიდი, კითხვა ისწავლა და რამდენიმე ისეთი სიტყვის წაკითხვაც შეეძლო, რომლის დაწერილობა და წარმოთქმა ერთმანეთისგან განსხვავდება. როდესაც ის 5 წლის გახდა, თავის რაიონულ სკოლაში დაბრუნდა. წლინახევრის შემდეგ დედამისმა დამირეკა და შეწუხებულმა მითხრა, კრისტის მასწავლებელს მის მიმართ ძალიან დაბალი მოთხოვნები აქვსო. მასწავლებელი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ კრისტი ფურცელზე ხატავდა, კვადრატს ან სამკუთხედს მოხაზავდა. ეს უნარი კრისტის სამი წლის წინაც ჰქონდა გამომუშავებული. ჩემი თხოვნით კრისტი და დედამისი მოვიდნენ, რომ დედამისისთვის მესწავლებინა, როგორ გაეგრძელებინა კრისტისთვის კითხვის შინ სწავლება.

როდესაც კრისტი მოვიდა, ის მორცხვობდა და მოკლედ და ჩუმად მპასუხობდა. მოკლე შეხსენების შემდეგ მას უკვე შეეძლო ყველა იმ სიტყვის წაკითხვა, რომელიც მანამდე, წლინახევრის განმავლობაში ვასწავლე (მონდა მათი განმტკიცება). წასვლისას ის შემოსასვლელის კუთხეში მივიდა, ისე, რომ მე ვერ ვხედავდი, და შესძახა: „დედა, ეს პეტ მასწავლებელი იყო!“

რა საოცარი სიხარული ახლავს მასწავლებლობას! მას არა მარტო სიტყვები, არამედ მეც ვახსოვდი. დღეს, როდესაც ის ზრდასრული გოგონაა, უყვარს თავისი წარმატების ჩემთვის გაზიარება. მისი მიღწევების შესახებ ამონარიდი ჩემი ოფისის კარს ამშვენებს (იხ. სურათი 4.1).

უთხარი ლაურას, რისი გაკეთება გინდა, როდესაც გაიზრდები

ერთმა მკვლევარმა, სახელად ლაურამ, დამირეკა და შაბათს გატარებული სასიამოვნო საღამოსთვის მადლობა გადამიხადა. მან მითხრა, რომ შეხვდა ჩემ მიერ მისთვის გაგზავნილ რამდენიმე დაუნის სინდრომის მქონე მოზარდს და რომ ყველა მათგანი ძალზე სასიამოვნო ადამიანი იყო. მან ასეთი ამბავი მომიტხრო: 14 წლის ელიოტი მასთან დედასთან ერთად მივიდა. ელიოტის დედა ცდილობდა, მას ლაურასთან საუბრის გაბმაში დახმარებოდა და ამიტომ უთხრა: „უთხარი ლაურას, რის გაკეთებას აპირებ, დიდი რომ გაიზრდები“ ელიოტი დაფიქრდა, ეტყობოდა, მეხსიერებაში „რისი გაკეთება მინდას“ ფაილში იქექებოდა. მან დედას ისე შეხვდა, თითქოს სხვა კატეგორიის ან საძიებო სიტყვის მიწოდებას ელოდებოდა. დედამ ჰკითხა: „მართლა რას აპირებ, დიდი რომ გაიზრდები?“ და სრული დამაჯერებლობით უპასუხა: „ააა, მინდა მქონდეს სექსი!“

ელიოტის დედას უნდოდა, ელიოტს მანქანის ტარების სწავლასთან დაკავშირებული გეგმები მოეყოლა. დარწმუნებული ვარ, შემდეგში ელიოტის დედა უფრო ზუსტ საძიებო ნიშნებს გამოიყენებს (შეიძლება, მაგალითად, გასაღები გააჩნაკუნოს). ელიოტმა ძალიან გულწრფელი პასუხი გასცა, რომელსაც მისი ასაკის ბიჭები „გაფილტრავდნენ“, რადგან დედას არ მოუნდებოდა, რომ მას მკვლევართან ამ თემაზე ესაუბრა. სწორედ ასეთი სიურპრიზებისა და გულახდილი პასუხების გამოა დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდებთან ურთიერთობა ასე სასიამოვნო და სახალისო.

ბორანმა ჩემი ბალიშის ქვეშ 25 ცენტი დატოვა

7 წლის ბენმა მიაბზო, თუ როგორ ამოდო კბილი ბალიშის ქვეშ, როგორ იპოვა მეორე დილას მის ადგილას 25 ცენტი და დააყოლა, ბორანმა (ferry) დატოვაო (ინგლისურში ბორანი ferry და ფერია fairy ფონეტიკურად მსგავსი სიტყვებია). ბენი კუნძულზე ცხოვრობდა და ის ხშირად მგზავრობდა ბორნით, ამიტომ მას ბორნის შესახებ დიდი ფაილი ჰქონდა მეხსიერებაში, თუმცა მისი „კბილის ფერიის“ (fairy) ფაილი ძალზე მწირი იყო და შეიძლება არც კი არსებობდა. როდესაც დედამ ბენს უთხრა, კბილის ფერია (fairy) კბილის მაგივრად ფულს დაგიტოვებსო, მისმა გაფილტვრის სისტემამ ეს დააფიქსირა, დააკავშირა სიტყვასთან ferry, ბორანი, მის ფაილში დაიმახსოვრა და შემდგომში გამოიყენა. ბენი ჭკვიანი ბიჭია და მას კარგი დაფაილებისა და მოძიების სისტემა აქვს. მას, უბრალოდ, არ ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ ახალი სიტყვა კარგად დაეფაილებინა (ახალი ინფორმაცია მას ვერბალურად მიეწოდა). მას რომ კბილის ანგელოზის (fairy) სურათი ენახა, მაშინ დამატებითი სენსორული ინფორმაცია ექნებოდა. ბენის მიერ კბილის ანგელოზის (fairy) აღქმა, სავარაუდოდ, უფრო შინაარსიანი იქნებოდა და ის ახალ ფაილს შექმნიდა (დარწმუნებული ვარ, რომ ბენის დედამ ამ საკითხს ყურადღება მიაქცია, როგორც კი გაათვითცნობიერა, რა მოხდა).

**ოპერანტული
დასწავლა.**

სწავლას, რომელიც გარემოს ზემოქმედებით მიმდინარეობს, ეწოდება „ოპერანტული დასწავლა“. სწავლის ეს ტიპი ქცევაში მომხდარი ცვლილებით იზომება (ქცევა არის ყველაფერი ის, რასაც ვაკეთებთ და რისი დანახვა და გაზომვა შეიძლება). თუკი აშკარად ჩანს ქცევის ცვლილება და ამ ცვლილების გაზომვა შეგვიძლია, იგულისხმება, რომ ქცევა განხორციელდა. ახალშობილს, სახელად ჯონს, თავი ვერ ეჭირა, მაგრამ მას დღეს თავის დაჭერა შეუძლია 45 გრადუსით და ეს ყოველ ჯერზე 2-2 წუთი გრძელდება. სტივის სიარული არ შეეძლო, მაგრამ ახლა ის თავისუფლად დარბის. ვიკის კითხვა არ შეეძლო, მაგრამ დღეს მას 200 ისეთი სიტყვის წაკითხვა შეუძლია, რომლის დაწერილობა და

წარმოთქმა ერთმანეთისგან განსხვავებულია. თითოეულ ამ შემთხვევაში მოხდა „ოპერანტული დასწავლა“: ამ ბავშვებმა ახალი ქცევები აითვისეს, რადგან მათ გარემოსთან ჰქონდათ შეხება და იქიდან მიიღეს გამოცდილება. გარემომ შექმნა შესაძლებლობა და მოტივაცია, რომ ბავშვებს ახალი ქცევა აეთვისებინათ.

სწავლის შესაძლებლობები წვრთნის და მასალის საშუალებით ხდება ხელმისაწვდომი. მოტივაციის განმსაზღვრელია „წამახალისებელი მოვლენები“ (ქება, კვება, სასურველი საგნები, მხიარულება), რომლებიც მოსწავლეებს ამოცანის შესრულებას მონადომებს. წამახალისებელი მოვლენა, რომელიც მოსწავლეს გარკვეული ქცევის შესრულების სტიმულს აძლევს და დამოკიდებულია ამ ქცევის შესრულებაზე, ქცევის განმამტკიცებლად არის ცნობილი. მაგალითად, ბავშვს შეიძლება მივცეთ მისი საყვარელი დესერტი – შოკოლადის ნაყინი, თუკი სადილობისას მაგიდასთან დაჯდება, ნაცვლად იმისა, ადგეს და ირბინოს. სტიმულის განმტკიცება არის ნაყინის მიღება, თუ ბავშვი ისე იქცევა, როგორც მშობლებს სურთ.

ძალზე მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ თუკი რაიმე მოვლენა არ იწვევს ან არ აძლიერებს საჭირო ქცევას, ის მოსწავლისთვის არ არის სტიმულის მიმცემი. ის, რაც ერთი მოსწავლისთვის არ არის სტიმულის მიმცემი, შესაძლოა, მეორისთვის იყოს. ზოგ ბავშვს შეიძლება ეზიზღებოდეს შოკოლადის ნაყინი, ასევე, ერთმა ბავშვმა შეიძლება ბევრი იშრომოს იმისთვის, რომ ქება დაიმსახუროს, მეორისთვის კი ეს შეიძლება სულერთი იყოს (მან შეიძლება ქება უადგილოდ ჩათვალოს, რადგან სულ აქებენ, მიუხედავად იმისა, ცდილობს თუ არა ის).

„ოპერანტული დასწავლის“ პრინციპები სწავლის ძალზე ეფექტური საშუალებებია. ბავშვები, რომლებიც გარკვეული ქცევისთვის მუდმივ სტიმულირებას იღებენ, სავარაუდოდ, უფრო იოლად სწავლობენ ამ ქცევას. თუკი არ ხდება მათი ქცევის მუდმივი სტიმულირება, ისინი უფრო ნელა სწავლობენ. ამ ქვეთავს ჰქვია „ქმედების შედეგად სწავლის“ ვარიანტები და ის გვთავაზობს მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება ასეთმა სწავლებამ როგორც სასურველი, ისე არასასურველი ქცევის სწავლება გამოიწვიოს.

ჯენიფერ უიშარტი (1989) მიიჩნევს, რომ ჩვილებს ჯერ კიდევ ორი თვის ასაკში შეუძლიათ ამოიცნონ კონკრეტული ქცევის სტიმული. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს უფრო უჭირთ სტიმულზე რეაგირების სწავლა. უიშარტი მიიჩნევს, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში რეგულარული სტიმულირება არ ხდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს უფრო უჭირთ ისეთი ქცევის ათვისება, რომელსაც სასურველი შედეგი მოაქვს. მაგალითად, ბავშვს უნდა, რომ დედა მოვიდეს. როდესაც ის დედის დაძახებას ცდილობს, შეიძლება არც კი დაიძახოს ისე ხმამაღლა, რომ დედამისმა მისი ხმა გაიგონოს ან აღიქვას როგორც დაძახება და უბრალო ღულუნად ჩათვალოს. მისი „ზრდილობიანი ძახილის“ ქცევა შესუსტდება, რადგან მას ადეკვატური რეაგირება – დედის მოსვლა – არ მოჰყოლია. თუ ბავშვს ძალიან უნდა, დედა მოვიდეს, ის სხვანაირად ეცდება, სანამ არ მიაღწევს სასურველ შედეგს. შეიძლება, დარწმუნდეს, რომ შესაძლოა, დედამისი მაშინაც მივიდეს მასთან, თუ ის არც კი ცდილობს, დაუძახოს. მან შეიძლება ისიც ისწავლოს, რომ თუ დაიცდის, ადრე თუ გვიან, დედამისი მაინც მოვა.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რატომ უჭირთ სტიმულების საშუალებით სწავლა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს, არის ის, რომ მათთვის სტიმულები

არ არის ისე მიმზიდველი, როგორც სხვა ბავშვებისთვის. მათ, შესაძლოა, არ სურთ იმდენივე იშრომონ „წამახალისებელი მოვლენისთვის“; რამდენიც ტიპური განვითარების ბავშვებს – შესაძლოა, მათ არა აქვთ იმდენი ალქმის უნარი იმისთვის, რომ გააცნობიერონ და დააფასონ ეს მოვლენა ისე, რომ მათთვის საინტერესო გახდეს; ან, შესაძლოა, მათ მხედველობის ან სმენის პრობლემები აქვთ და არ ესმით ამ მოვლენის ფასი. ნებისმიერ შემთხვევაში „სტიმული“; რომელიც კონკრეტული ქცევით არის განპირობებული, შესაძლოა, არ იყოს სტიმულის მიმცემი ბავშვისთვის.

ჯენიფერ უიშარტის მიერ ედინბურგში ჩატარებული კვლევა (1989) გამოყოფს იმ განსხვავებებს, რომლებითაც ტიპური განვითარების ბავშვები და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები სტიმულზე რეაგირებას ახდენენ. კვლევაში შედარებულია 3 თვიდან ჩვილებისა და 2 წლამდე ბავშვების სწავლით გამოწვეული ქცევა. მათი სამთვიანი ინტერვალებით იკვლევდნენ. ბავშვებს ათავსებდნენ ჩვილის კომფორტულ სკამში ნახევრად ბნელ ოთახში, გამჭვირვალე ეკრანის წინ. ფეხის ნებისმიერი მოძრაობა იწვევდა ინფრაწითელ სხივს, რომელიც, თავის მხრივ, იწვევდა მკვეთრად განათებული მოძრავი ობიექტის ერთწამიან მოძრაობას, რაც ეკრანზე აირეკლებოდა. კვლევის პროცესში სხვადასხვანაირად ხდებოდა ფეხის მოძრაობის სტიმულირება: ხანდახან ხდებოდა ფეხის მოძრაობის 100%-იანი სტიმულირება (ფეხის ყოველი მოძრაობა იწვევდა მოძრავი ობიექტის მოძრაობას), ხანდახან 80%-ით სტიმულირება, ხანდახან კი მოძრავი ობიექტი მხოლოდ 10%-ის შემთხვევაში გადაადგილდებოდა, მიუხედავად ფეხის მოძრაობისა.

ჩვილებიც და მცირეწლოვანი ბავშვებიც, რომლებსაც არ ჰქონდათ დაუნის სინდრომი, უფრო აქტიურად რეაგირებდნენ სტიმულებზე და უფრო მოტივირებული იყვნენ. ისინი სხვადასხვანაირ რეაგირებას ახდენდნენ, – უფრო დიდხანს იყვნენ ყურადღებით, გაკვირვებული ჩანდნენ, როდესაც იწყებდნენ მათ წახალისებას; მაშინაც კი, როცა ფეხს არ ამოძრავებდნენ (დროის 10%-ის შემთხვევაში, როცა მოძრავი ობიექტი არ იძვროდა) და როცა ისინი ფეხს ამოძრავებდნენ (80%-იდან სხვა 20%) და წახალისებას არ იღებდნენ. დაუნის სინდრომის მქონე ჩვილებიც (საშუალო ასაკი 9 თვე) სამივე მდგომარეობის დროს კარგად რეაგირებდნენ, თუმცა, საშუალოდ მათ მეტი დრო სჭირდებოდათ ჯილდოს აღმოსაჩენად. მცირეწლოვანი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები (კვლევის მონაცემებით, 21 თვის) ნაკლებად ცდილობდნენ სიტუაციაში გარკვევასა და მის ათვისებას. ორივე შემთხვევაში (100% და 80%) ისინი ხალისით დასჯერდნენ „უფასო“ ჯილდოს მცირე პროცენტით (10%), მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელი იყო უფრო მაღალი „ჯილდო“; თუკი სიტუაციაში გასარკვევად უფრო მეტ ალღოს გამოიჩინდნენ.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც დაისვა ამ კვლევაში (და მე-2 თავში აღწერილი კოგნიტიური ამოცანების კვლევაში), არის ის, თუ რატომ სწავლობენ დაუნის სინდრომის მქონე ჩვილები უფრო წარმატებულად, ვიდრე დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ჩვილობის ასაკის შემდეგ.

მართლა ართმევენ თავს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ასაკის მატებასთან ერთად ამ არაპროდუქტიულ სასწავლო მოდელებს (სირთულეებისთვის თავის არიდებას), თუ ეს სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეებია, რომლებიც დამახასიათებელია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის? ჯენიფერ უიშარტის აზრით, სინამდვილეს, ალბათ, პირველი მოსაზრება შეესაბამება. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებმა შეიძლება „აითვისონ“; თუ როგორ უნდა აარიდონ თავი სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს. შესაბამისად, ისინი ნაკლებ წარმატებას მიაღწევენ, რადგან

ჩვილობიდანვე მიეჩვევიან, რომ შეცდომების გამოსწორება, წინააღმდეგობის დაძლევა, მცდელობების მიუხედავად, მათთვის მაინც რთული იქნება. ეს კი უფრო ნებაზე მიშვებული სისუსტე იქნება. უიშარტი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ამ ნასწავლი უსუსურობის მინიმუმამდე შემცირება „დროში სათანადოდ გაწერილი და საგულდაგულოდ დაგეგმილი ჩარევით“ (გვ. 258). ქალბატონ უიშარტს ასევე მიაჩნია, რომ შესაძლოა, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებმა ნაკლებად გამოიყენონ ადრე ნასწავლი ახალი ცოდნის გენერირებისათვის: იმის მაგივრად, ახალი ცოდნის შესაძენად ახალათვისებულ ნასწავლს დაეყრდნონ, პირიქით მოხდეს, დაკარგონ ძველი ცოდნა.

ედინბურგის კვლევა აჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებებს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლასა და იმ ბავშვების სწავლას შორის, რომელთაც არა აქვთ დაუნის სინდრომი. ამიტომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლის ხელშესაწყობად ჩვენ უნდა ვიცოდეთ ეს განსხვავებები და მივუსადაგოთ მათ ჩვენი სწავლება და პროცედურები. ეს მისადაგება გულისხმობს:

1) დაგეგმვას წარმატების მისაღწევად (ამოცანების დაყოფას მცირე ნაბიჯებად, რომელთა წყალობით უფრო სავარაუდოა, რომ ბავშვი წარმატებას მიაღწევს და არა წარუმატებლობას);

2) თანამიმდევრულ, პროპორციულ წახალისებას სწორი პასუხების შემთხვევაში და დაჯილდოების (შექების) თავიდან აცილებას არასწორი პასუხების შემთხვევაში და

3) შესაძლებლობების გამოყენებას ახალნასწავლი მასალის გასამეორებლად, გასამყარებლად და ახალნასწავლის სხვადასხვა სიტუაციაზე მოსარგებად და მის განსაზოგადებლად.

ამ წიგნში წარმოდგენილი პროცედურები და მეთოდები გვაჩვენებს, როგორ უნდა გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული საშუალებები დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვის სწავლებისას.

ემი, ჯონი, დევიდი, მოლი და პიტერი ცოცხვენ და თავიანთ განვითარებაში უახლოვდებიან ეტაპს „აიზიდე, რომ დადგე“. ამ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს – აქვთ დაბალი ტონუსი, ცოტა ძალა და მათ არ უსწავლიათ ფეხზე დადგომისთვის საჭირო ხერხები. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დიდი წინსვლა ჰქონდეთ ფეხზე დადგომის სწავლაში, თუკი გარემო არ მისცემს მათ ამის გაკეთების მოტივაციასა და შესაძლებლობას.

იმისათვის, რომამბავშვებმა ისწავლონ ფეხზედგომა, უპირველესად გარემომ უნდა უზრუნველყოს მათთვის მოწყობილობები, რომლებიც წამოდგომას შესაძლებელს გახდის, მაგალითად, შესატყვისი სიმალლის ავეჯი, რომელსაც ისინი შეიძლება მოეჭიდონ და წამოდგნენ; მეორე – უნდა არსებობდეს მიზეზი – მოტივაცია, რომელიც აიძულებს მათ, შეასრულონ საჭირო სამუშაო; მესამე – მათ ვინმემ უნდა ასწავლოს და დაეხმაროს ფეხზე დადგომაში, რათა ეს იყოს ქმედება, რომლის შესრულება მათთვის შესაძლებელია; დასასრულ, როდესაც ისინი ტანს „აიზიდავენ“ ზემოთ, აუცილებელია წახალისება, რათა ისევ და ისევ მოუნდეთ ამის გაკეთება, რაც მისცემს მათ ძალის მოკრების, გავარჯიშებისა და ამ ქმედების გაუმჯობესების საშუალებას, საბოლოოდ კი დამოუკიდებლად ფეხზე დადგომას შეაძლებინებს.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს, როცა განვითარების დაახლოებით ერთ დონეზე მყოფი ბავშვები ცდილობენ

მიზნის „აიზიდე, რომ დადგე“ მიღწევას. ყველა მოცემულ შემთხვევაში დგას „ჟურნალის მაგიდა“; რომელიც მოსახერხებელია ბავშვისთვის ფეხზე დადგომის მიზნით ასაზიდად (ჟურნალის ეს მაგიდები მართლაც საუცხოოა, მათ ხომ ნოხი აქვთ ქვეშ დაგებული). მოწყობილობის ან მოტივაციის თვალსაზრისით არასაკმარისად სრულყოფილი, მოუხერხებელი გარემო აღწერილია ყველა სცენარში, გარდა ერთისა („უალრესად ხელშემწყობი გარემო“). ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ ქმედების შედეგად სწავლების პრინციპები ყოველთვის მუშაობს, აკონტროლებთ თუ არა თქვენ მათ.

საენარი უალრესად ხელშემწყობი გარემო

ემი იატაკზე თამაშობდა, როცა სულ რამდენიმე ნაბიჯზე, ჟურნალის მაგიდაზე, ლამაზი სათამაშო იხვი დაინახა. ემის დედამ მოტივაციის ამალღების მიზნით დაღო მაგიდაზე სათამაშო (სატყუარა, რომელიც ეღოდება, როდის „უკბენს“ მას ემი). მან იცოღა, რომ ემი უფრო მონღომებით იმუშავებღა, თუ მას მიეცემოღა ქმედების წამოწყების საშუალღბა, – თუ ეს იქნებოღა მისი აღმოჩენა და მისი ძალით მისაღწევი მიზანი. ემი მიცოცღა ჟურნალის მაგიდასთან, აიწია, მოეჭიღა მაგიდის კიდეს და სცაღა, ადგომა. ამოცანა ძალიან რთული იყო მისთვის. ემის დეღა მიხვღა მის სურვილს (ემის უნღოღა ყავის მაგიდაზე მოთავსებული საგნის აღება და ცდიღობღა ადგომას სათამაშოს ასაღებაღ). დეღამ ბავშვის სურვილის საპასუხოღ სწორად განაღბაგა მისი ფეხები და შემდეგ გაუწია მინიმალური დახმარება ასადგომად (ზუსტად ისე, როგორც ფიზიოთერაპევტმა ურჩია, ანუ მას სამუშაოს უმეტესი ნაწილის შესრუღბა ემისთვის უნღა „დაეთმო“). როცა ემი ფეხზე იღბა და ეყრდნობოღა ყავის მაგიდას, დეღამისმა ისე გააკეთა, რომ სათამაშო, რომლისთვისაც გოგონამ ამდენი იმრომა, უკვე ხელმისაწვდომ მანძიღზე ყოფიღიყო მისგან (ემის მცდეღობა დაჯიღდოვღა), რათა მას ეს კიდევ ეცაღა სხვა დროს.

სათამაშოს ხელში ჩაგღბა შესაძღბელი იქნებოღა, თუ ემი შეეცდეღოღა ფეხზე დადგომას (სხვების დახმარებით, ვინაიღან იგი ახღა სწავღობღა ფეხზე დადგომას). თუ სათამაშოს აღების შემდეგ ემი დაჯღბებოღა და ხელში ეჭირებოღა იხვი, მას ეძღეოღა სათამაშოთი თამაშის გაგრძეღების უფღბა (ფეხზე დგომის შესაძღბეღობა სათამაშოთი თამაშისას არ განიხიღებოღა). როცა ემიღ მიაგღო სათამაშო, დეღამ იგი ისევ ყავის მაგიდაზე დაღო იმისათვის, რომ მას კიდევ გაეჩინა მოტივაცია ემისთვის ფეხზე ასადგომად. სათამაშოს ერთი და იმავე ადგიღას დაღბა ასევე სასარგებლო იყო ემის მეხსიერების გასავითარებღად. დეღას შეუძღღია ჰკითხოღს ემის: „სად არის იხვი?“, როცა მას მოუნღბა, რომ გოგონამ ისევ სცაღოს მაგიდისკენ აზიღბა ფეხზე დასადგომად. თუ იგი აიზიღბა მაგიდაზე დაყრდნობით და ადგება, მისთვის ხომ შესაძღბელი გახღბა იხვით თამაში! თუ ემის მოსწყინღბა იხვი, მაშინ დეღა რაიმე უფრო საინტერესო სათამაშოს იპოვის. მანამდე, აღბათ, ემი ისწავღის სხეუღის აზიღვას იმისთვის, რომ ადგეს. იგი სწრაფად ისწავღის, ვინაიღან გაიგებს დამოკიდებუღბას პირობებზე.

საენარი მიღბა პასნავღო, რას ნიშნავს სიტყვა არა

ჯონს სტუმრად ბებია ჰყავღა. მან ურჩია ჯონის დეღას, დაეტოვებინა თავისი ყვეღა „ძვირფასი ნივთი ადგიღზე იმიტომ, რომ ჯონს ესწავღა სიტყვა „არას“ მნიშვნეღობა და გაზრდიღიყო მორჩიღი და ზრდიღობიანი ბავშვი. იგი ასე ექცეოღა თავის შვიღებს და ნახეთ, რა კარგები გაზარღა!

ჯონმა შეამჩნია ლამაზი ნივთი ყავის მაგიდაზე და გადაწყვიტა მისი აღება (მას ძალიან დიდი მოტივაცია ჰქონდა). იგი მიცოცდა და ცდილობდა ადგომის მიზნით სხეულის აზიდვას მაგიდის დახმარებით. დედამ, რომელსაც უნდოდა, ეჩვენებინა დედამითლისთვის, როგორი კარგი დედა იყო, გასძახა ბავშვს: „არა, არა, ჯონ!“ ჯონი მაინც არ გაჩერდა, დაეკიდა მაგიდას, ცოტას ჭირვეულობდა და ითხოვდა დახმარებას. დედამ იგი მოაშორა ყავის მაგიდას ისევე სიტყვებით „არა, არა!“ როცა ჯონი კვლავ დაუბრუნდა ყავის მაგიდას შემდეგი ცდისთვის, დედამ დაარტყა ხელეზე და მკაცრად უთხრა: „არა!“ შემდეგ გაიყვანა მტირალი ბავშვი და ჩასვა სათამაშო მანქაში. ჯონის ბებიამ შეაქო რძალი იმისათვის, რომ არ აჰყვა მტირალი ბავშვის ნება-სურვილს. მან, რა თქმა უნდა, უჩვენა ბიჭუნას, ვინ იყო ოჯახში უფროსი და მკაცრი დისციპლინის მოყვარული.

შექებამ ფრთა შეასხა ჯონის დედას და მან განაგრძო ყველაფრის ბავშვისთვის მისაწვდომ ადგილას დატოვება, ბავშვის შეჩერება ყოველ ჯერზე სიტყვით „არა!“ და მისი დასჯა დაუმორჩილებლობის ყველა შემთხვევაში. ქალი „მუშაობდა“ იმისათვის, რომ ბავშვი აზიდულიყო მანქის სახელურების დახმარებით და ამდგარიყო. ჯონი კი ტიროდა და უარს აცხადებდა თანამშრომლობაზე დედასთან. როცა იგი თვითონ დააყენებდა ბავშვს ფეხზე რამდენიმე წამის განმავლობაში, იგი აქებდა ბიჭუნას (თერაპევტმა ასწავლა ეს წასახალისებლად), მაგრამ ბავშვს არც ესმოდა ეს წახალისება, რადგან ძალიან ხმამაღლა ტიროდა (ეს მისთვის არაფერს ნიშნავდა. ეს შექება ხომ მას არ დაუმსახურებია!).

ამ დროს ჯონი სულაც არ სწავლობდა დადებით ურთიერთობას დედასთან (ეს ძირითადია ყველანაირ სწავლებაში – მოტივაციის წახალისებით ხელახლა გაკეთება „განმტკიცების“ მიზნით, რაც ასე მნიშვნელოვანია). დედას არ ჰქონდა რეაქცია ბავშვის მცდელობაზე, გაეგებინებინა მისთვის, რომ არ უნდოდა დგომა მანქის მოაჯირზე ხელმოკიდებულს. ამ შემთხვევაში არც მოტივაცია არსებობდა და არც განმტკიცება, ეს იყო ძნელი და ბიჭს ეშინოდა, რომ კვლავ მანქაში აღმოჩნდებოდა.

ჯონის დედამ დაასკვნა, რომ ჯონთან წახალისება არ ამართლებს (მისი „შექება“ არ წარმოადგენდა ჯონისთვის წახალისებას და არ აძლიერებდა მის სურვილს, მოსჭიდებოდა რაიმეს იმისთვის, რომ ფეხზე დამდგარიყო). დედას ასევე აწუხებს ისიც, რომ ბავშვი ვერ სწავლობს სიტყვა „არას“ მნიშვნელობას მისი ინტელექტუალური დარღვევისა და სიჯიუტის გამო. იგი განაგრძობს ცოცვას ყავის მაგიდისკენ და ცდილობს ძვირფასი ნივთის ხელში ჩაგდებას ყოველთვის, როცა კი დედა მას ზურგს აქცევს (იგი ჭკვიანია, იცის, როდის არის გზა ხსნილი. მან, უბრალოდ, უნდა ისწავლოს ფეხზე ადგომა და ჩაიგდოს ეს ლამაზი ნივთი ხელში). მან დედას ზურგში ცემა დაუწყო მაშინ, როცა დედა ხელეზე ურტყამდა და უყვიროდა „არა!“ (რაც დედამ თავადვე გამოიწვია). დედას აწუხებს, რომ ბავშვი საწინააღმდეგო მხარეს მიხიხავს, როცა უხმობს. ბიჭი არ ემორჩილება დედას, როცა იგი ცდილობს, ჩააცვას, და ხშირად ამბობს იმ ერთადერთ სიტყვას, რომელიც იცის – „არა!“

ჯონის დედა ძალიან ცდილობს, მაგრამ შედეგს ვერ აღწევს. იგი დარწმუნებულია, რომ ქცევის პრინციპები არ მუშაობს მისი შვილის შემთხვევაში. პრობლემა სწორედ ის არის, რომ ეს პრინციპები სწორედ რომ ძალიან ქმედითია. დედამ უბრალოდ არ იცის, როგორ გააკეთოს ისე, რომ პრინციპებმა იმუშაოს მისი და ჯონის სასარგებლოდ. ცოტა მეტი (და უკეთესი) რჩევა გაცილებით მეტ იმედს გაუჩენდა დედასაც და მის ბიჭუნასაც.

სენარი სტუდია და ტყუილი

დევიდის დედას, რომელსაც თავისი ძვირფასი ნივთები ასევე ეწყო ყავის მაგიდაზე, თერაპევტმა უჩნია, როგორ ესწავლებინა ბავშვისთვის მაგიდის დანმარებით სხეულის აზიდვა და ადგომა. თერაპევტმა უამბო მას მოტივაციის შესახებ და უთხრა, რომ ბავშვები, ჩვეულებრივ, უფრო მეტად ცდილობენ, თუ ქმედების ინიციატორების როლში თვითონ გამოდიან. დევიდი დიდ ინტერესს ამჟღავნებდა გარკვეული სახეობის ძვირფასი ნივთების მიმართ და ცდილობდა ყავის მაგიდაზე მოჭიდებას ასადგომად. დევიდის დედამ აიღო ნივთი და დააკაკუნა მაგიდაზე, რითაც უფრო გააღვივა ბავშვის ინტერესი, და უთხრა: „მიდი, დევიდ. შენ ეს შეგიძლია. მიდი, აიღე.“ შემდეგ იგი დაეხმარა ბავშვს ადგომაში. თუმცა, როცა ბავშვი ადგა და გაიწოდა ხელი ნივთის ასაღებად, დედამ მას სანაცვლოდ სათამაშო მისცა. დევიდმა ვერ მიიღო ის, რისთვისაც ამდენი იშრომა. ნამდვილი ჯილდო, რომლისთვისაც იშრომა, მიუწვდომელი დარჩა მისთვის. თუ მისი დედა გააგრძელებს ამგვარ „სატყუარა და ტყუილ“ ქცევას, დევიდი ისწავლის, რომ არ უნდა ენდობოდეს მას და, ალბათ, შეწყვეტს შრომას იმ ჯილდოსთვის, რომელსაც ვერ იღებს.

სენარი ტელეფონი რიკას

მოლის დედამ დაინახა, რომ გოგონა მიუახლოვდა ყავის მაგიდას და შეეცადა აზიდვას ფეხზე დადგომისა და სათამაშოს აღების მიზნით. დედამ დაიწყო ბავშვის დანმარება ისე, როგორც ეს ემის დედამ გააკეთა, მაგრამ ამ დროს ტელეფონმა დარეკა. მან მიატოვა მოლი და უპასუხა ზარს. ტელეფონზე ლაპარაკისას მან გაიგონა, რომ გოგონა ჭირვეულობდა, მაგრამ არ მიაქცია ყურადღება. გოგონამ უფრო ხმამაღლა დაიწყო ტირილი და ხელს უშლიდა დედას ლაპარაკში. დედამ მიატოვა ტელეფონი, რათა გაეგო, რა ხდებოდა. მოლი ტიროდა იმ სათამაშოს გამო, რომელსაც ვერ სწვდებოდა. დედამ მისცა მას სათამაშო. გოგონამ შეწყვიტა ტირილი, დედა კი დაუბრუნდა თავის სატელეფონო საუბარს.

დედას მოეწონა გოგონას სიჩუმე. ამის შემდეგ იგი უფრო ხშირად აძლევდა ბავშვს მისთვის სასურველ საგანს, როცა ტიროდა. მოლი მიხვდა, რომ ხმამაღლა ტირილი მშვენიერი საშუალებაა სასურველი საგნის მისაღებად, განსაკუთრებით მაშინ, როცა დედა ტელეფონზე ლაპარაკობს. ახლა იგი იწყებს ტირილს, როცა დედა ცდილობს, გოგონამ აზიდოს სხეული რაიმეს დანმარებით და ადგეს. მას არ სურს მძიმე შრომის გაწევა. იგი სწავლობს იყოს უსუსური და დაიკმაყოფილოს სურვილი ხმამაღალი ტირილით.

ორივემ, დედამ და მოლიმ, კარგად შეაფასა სიტუაცია. მოლი ტირის და იღებს ჯილდოს; დედა აძლევს მას სასურველ ნივთს და ბავშვი წყვეტს ტირილს.

საქნარი მე ბავშვს ჩნება

პიტერის მამა ახლახან დაბრუნდა ლოგოპედთან შეხვედრიდან. ლოგოპედმა მას ბავშვის წახალისება ურჩია, თუ ბავშვი ეცდებოდა ურთიერთობის დამყარებას. პიტერის მამა განარებულ იყო და ყურადღებით აკვირდებოდა ბავშვის ნებისმიერ უესტს, რომლის წახალისებასაც შეძლებდა. მან დაინახა, როგორ ცდილობდა პიტერი ყავის მაგიდაზე დაყრდნობით სხეულის აზიდვას ფეხზე დადგომის მიზნით. ალბათ, იმ ძალიან სასურველი სათამაშოს ასაღებად, რომელიც მაგიდაზე იყო დატოვებული. იგი მივარდა პიტერს და უთხრა: „იხვი? იხვი გინდა?“ პიტერმა თითო აჩვენა იხვზე და თავი დაუქნია. მამამ მისცა იხვი და ნასიამოვნები დარჩა იმით, რომ მან რეაგირება გამოხატა პიტერის მცდელობაზე, გაეგებინებინა მამისთვის თავისი სურვილი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც წუხდა, რადგან იცოდა, რომ მისმა მეუღლემ ეს სათამაშო იქ იმისათვის დატოვა, რომ ბავშვს გასჩენოდა მაგიდის დახმარებით სხეულის აზიდვისა და ფეხზე დადგომის სურვილი. მას უნდოდა, ბავშვს სათამაშო მიეღო მას შემდეგ, რაც თავად ეცდებოდა ფეხზე წამოდგომას. მაგრამ მამამ სათამაშო გამოიყენა იმისათვის, რომ წახალისებინა ბავშვი იხვის ხელში ჩაგდებას სურვილის გამოხატვისთვის. იგი ფიქრობდა, სწორი იყო თუ არა მისი საქციელი, მაგრამ ეშინოდა, რომ თუ ასე არ მოიქცეოდა, ეს შეაფერხებდა ბავშვის კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

პიტერმა ისწავლა, რომ მას არ სჭირდება ადგომა იხვის მოსაპოვებლად; მას მხოლოდ უნდა მიეხვედრებინა მამისთვის თავისი სურვილის შესახებ. ამას ნაკლები შრომა სჭირდებოდა. სიტუაციის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.

ეს მიზნები – კომუნიკაცია და მოძრაობა – არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. პიტერის მამას შეეძლო რეაგირება ბავშვის უესტიკულაციაზე, მისი წახალისება და დახმარება ადგომაში. როცა მან ჰკითხა: „იხვი? იხვი გინდა?“, ხოლო პიტერმა მიუთითა სათამაშოზე და თავი დაუქნია, სჯობდა, მამას ეკითხა: „დახმარება გინდა?“. შემდეგ უნდა მიხმარებოდა ბავშვს ადგომაში სიტყვებით: „ადექი, ადექი!“ მერე შეეძლო წახალისებინა, დაეჯილდოებინა ბავშვი ფეხზე დგომისთვის შემდეგი სიტყვებით: „ყოჩაღ, შენ ხომ ადექი!“ როცა პიტერი სათამაშოს აიღებდა, მამას უნდა დაემატებინა: „ყოჩაღ, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ!“

მართალია, არც ერთ მშობელს არ შეუძლია თავისი ბავშვის გარშემო არსებული გარემოს სრულად გაკონტროლება, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩვენი და ჩვენი ბავშვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ქმედების შედეგად სწავლების პრინციპების გაგება და გამოყენება გაგვიადვილებს ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. თუ გვინდა, რომ ბავშვმა სასურველი ქცევები შეითვისოს, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა წავახალისოთ არასასურველი ქცევა. „ქცევის პრობლემები“, ალბათ, ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ქმნის, რომელსაც კი ვაწყდებით დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების აღზრდისას. მაგრამ, როცა „ქცევის პრობლემები“ არ არის (ან ცოტაა – არავინ არის სრულყოფილი), მაშინ სწავლის პრობლემებიც ნაკლებია.

**ტინაური
განსხვავებები
სწავლაში**

*მესმის, მავიწყდება
ხვდავ, ვიმახსოვრებ
ვაკეთებ, ვაცნობიერებ.*

(ჩინური ანდაზა)

ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, თითოეულ ბავშვს სწავლის განსხვავებული უნარი აქვს. ეს განსხვავებები ტიპურია დაუნის სინდრომის მქონე ბევრი ბავშვისთვის (მაგრამ არა ყველასთვის). ამ წიგნის კითხვის დროს გახსოვდეთ, რომ არ არის აუცილებელი, ეს განსხვავებები დაუნის სინდრომის მქონე ყველა ბავშვისთვის იყოს დამახასიათებელი, თუმცა, უმეტესობას ამ განსხვავებებიდან რამდენიმე მაინც ექნება. დააკვირდით თქვენს ბავშვს (მოსწავლეს) და სცადეთ, განსაზღვროთ, ამ განსხვავებებიდან რომელი ახასიათებს. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი პრობლემა ერთმანეთს ნაწილობრივ ემთხვევა და ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია. თვალსაჩინოებისთვის თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკეა განხილული.

**მეხსიერება:
ჯადოსნური
შეიღიანი, 2
სიფრით მშტმ ან
ნაკლები**

აღქმის უნარი განისაზღვრება იმით, თუ რამდენი ახალი შთაბეჭდილების ან დისკრეტული (განსხვავებული) ინფორმაციის შენახვა შეუძლია ინდივიდს თავის ხანმოკლე მეხსიერებაში. თუ თქვენ გაიგებთ და ჩასწვდებით მოსწავლის აღქმის უნარს, მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენთ ბავშვის წარმატებულობაზე და თავიდან აიცილებთ ისეთ შეცდომებს, რომელთაც, შესაძლოა, ბავშვის წარუმატებლობა მოჰყვეს შედეგად.

მეხსიერების არხის პოტენციალის საზომად, საშუალოდ, მიჩნეულია ციფრი 7. შესაძლოა, ზოგიერთისთვის ეს იყოს ცხრიანი, ზოგიერთისთვის კი – ხუთიანი, მაგრამ, საშუალოდ, ეს არის ციფრი 7. სწორედ ამიტომაც ტელეფონის ნომერი შეიძლება ციფრიანი. ტელეფონის ნომერი ადვილად დასამახსოვრებელი რომ იყოს, მას „აჯგუფებენ“ სამ/ოთხ ციფრად 453-7832. ზოგიერთი ჩვენგანი მას შემდეგანირად „აჯგუფებს“: ოთხი, ორმოცდაცამეტი, სამოცდათვრამეტი, ოცდათორმეტი. როდესაც ტელეფონის ნომერს მოვძებნით, ჩვეულებრივ, მას იმდენი ხნით ვიმახსოვრებთ, რაც აკრეფას დასჭირდება. თუ ნომრის აკრეფამდე ვინმემ ჩვენი ყურადღება მიიპყრო, დაგველაპარაკა ან ახალი ინფორმაცია მოგვაწოდა, მეხსიერების არხი ახალი ინფორმაციით შეივსება, ნომერი დაგვავიწყდება და მისი ხელახლა მოძებნა მოგვიწევს. ხშირად ფსიქოლოგები ამ მოვლენას უკავშირებენ ცნებას „ჯადოსნური ციფრი შეიღიანი, ერთი ან ორი ციფრით მეტი ან ნაკლები“ (მილერი, 1956).

ხანმოკლე მეხსიერებაში ინფორმაციას ვინახავთ იმდენი ხნით, რამდენიც მის დაუყოვნებლივ გამოყენებას სჭირდება. გამოყენებულ ინფორმაციას ვივიწყებთ და არხებს იმ ახალი ინფორმაციით ვივსებთ, რაც მომავალი ქმედებების შესრულებაში გამოგვადგება. თუ ვიცით, რომ ინფორმაცია დაგვჭირდება, ჩავინიშნავთ მას და ისე შევინახავთ, რომ მოძებნა შევძლოთ, ან ხანგრძლივ მეხსიერებაში შევინახავთ ისე, რომ მისი მეხსიერების საცავიდან ამოღება შევძლოთ. მეხსიერების საცავის შესაქმნელად საჭიროა „გააზრება“. ჩვენ ასოციაციისა და მნემონიკის³ მეშვეობით ვეძებთ დამახსოვრების მეთოდებს. ჩვენ ვიმეორებთ ნომერს და შემდეგ ვინახავთ მას მეხსიერების იმ „საცავში“, რომელშიც მსგავსი სახის სხვა ინფორმაცია გვაქვს შენახული და რომელსაც საჭიროებისამებრ აღვადგენთ. თუ ინფორმაცია ხანგრძლივ მეხსიერებაში კიდევ

3 მნემონიკა – სიტყვებისა და ასოების დასამახსოვრებლად დამხმარე მკაფიო და ცოცხალი ვიზუალური მასალის გამოყენება.

არსებობს, უნდა გავააქტიუროთ, ამოვიღოთ და გამოვიყენოთ ხოლმე; სხვა შემთხვევაში ის მესხიერებიდან ამოვარდება და სხვა ინფორმაციას დაუთმობს ადგილს.

ამის მარტივი მაგალითი იქნება ტელეფონის ნომერი. თუ ვიცით, რომ ტელეფონის ნომერი არ დაგვჭირდება, შეიძლება არ ჩავიწეროთ და არ შევინახოთ; შესაბამისად, არ მოგვიწევს თავის შეწუხება ხანგრძლივ მესხიერებაში მისი შენახვით. თუ ეს ჩვენი ახალი ნომერია ან ჩვენი ამხანაგისა, რომელსაც ხშირად ვურეკავთ, მაშინ უნდა ჩავინიშნოთ და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხშირად გამოყენების, აკრეფისა და დამახსოვრების შემდეგ ის ხანგრძლივ მესხიერებაში შეინახება და დარჩება მანამ, სანამ ვიყენებთ და გვჭირდება.

უფრო ცოტა, ვიდრე ჯადოსნური შვიდიანი, ერთი ან ორი ციფრით ნაკლები ან მეტი

დაუნის სინდრომიან ბევრ ადამიანს მესხიერების უფრო ცოტა არხი აქვს, ვიდრე ჯადოსნური შვიდიანია, ორი ციფრით ნაკლები ან მეტი. მოსწავლეებს, ჩვეულებრივ, მესხიერების უფრო ცოტა არხი აქვთ, დაუნის სინდრომიან მოსწავლეებს კი კიდევ უფრო ნაკლები, ვიდრე მათ თანატოლებს შეიძლება ჰქონდეთ. თუ ჩვენ დაუნის სინდრომის მქონესგან ისეთი ქმედების შესრულებას მოვითხოვთ, როგორსაც „შვიდიანი“ არხის მქონე ადამიანისგან, და სინამდვილეში მას შეიძლება ერთი ან ორიანი არხი ჰქონდეს, რა თქმა უნდა, მისი ქმედება მარცხით დასრულდება. ბავშვი წარმატებას ვერ აღწევს, ითრგუნება და ინტერესს კარგავს.

როდესაც გაკვეთილზე შემაქვს თვალსაჩინო მასალის განმსაზღვრელი ახალი სიტყვები, ვიწყებ ერთ სიტყვაზე მუშაობას და მოსწავლეს ვაძლევ სიტყვის გააზრების, გამეორებისა და გამოყენების საშუალებას. შემდეგ შემაქვს მეორე სიტყვა იმავე მეთოდის გამოყენებით და მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე, მოსწავლის ალქმის უნარის გათვალისწინებით. თუ მოსწავლე იწყებს შეცდომების დაშვებას, ვხვდები, რომ მისი ალქმის უნარს გადავაჭარბე. ამ შემთხვევაში მომიწევს, დავუბრუნდე მისი წარმატებული ალქმის დონეს და მივცე პირველი სიტყვის გამეორებისა და გამოყენების საშუალება, მანამ, სანამ ეს სიტყვები დაფიქსირდება და შეინახება მის ხანგრძლივ მესხიერებაში. ამის შემდეგ შემაქვს ახალი სიტყვები მანამდე შეტანილ სიტყვებთან დაკავშირების საფუძველზე და ვაძლევ ყველა ნასწავლ სიტყვაზე ვარჯიშის საშუალებას.

ალქმის უნარის განსაზღვრის ტიპური ტესტია, ბავშვს მოსთხოვო, გაიმეოროს ციფრები ან ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები: 5, 2; 8, 1, 6; 7, 2, 4, 9; 6, 8, 3, 2, 4; ა.შ. ბავშვის ალქმის უნარს განსაზღვრავს მის მიერ გამეორებული ციფრების რაოდენობა. რა თქმა უნდა, ამით მოწმდება დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის სმენითი მესხიერება, რომელიც დასამახსოვრებელი საგნის სახელზეა ორიენტირებული (ე. წ. ონომატოპიური მესხიერება); მაგრამ დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეებს ვიზუალური (სიმბოლური) მესხიერება უკეთესად აქვთ განვითარებული, ვიდრე სმენით-ონომატოპიური. სიმბოლურ-ვიზუალური მესხიერების შესამოწმებლად გამოდგება სურათები, დაწერილი სიტყვები ან ციფრები. მაგალითად, ბავშვს აჩვენებთ სურათს, გვერდზე გადადებთ და ეკითხებით: „რა დაინახე სურათზე?“ დემონსტრირებული სურათების რაოდენობა თანდათანობით იზრდება. დამახსოვრებული სურათების რაოდენობით შეიძლება ბავშვის ალქმის უნარის განსაზღვრა.

ტესტებმა, შესაძლოა, წარმოადგინა შეგიქმნათ ბავშვის აღქმის უნარზე. თუმცა, ყოველდღიური სწავლება უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ყოველდღიურ ქცევას. სასწავლო პროგრამების, სწავლების ტექნიკისა და სტრატეგიის შესახებ გონივრული და კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მიღებაში ყოველდღიურ შეფასებას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

სმენითი პესნიკა

სმენითი მეხსიერება უკავშირდება სიტყვებისა და ბგერების მოსმენისა და გაგების უნარს სწორედ იმდენი ხნით, რამდენიც სჭირდება მათ გადაამუშავებასა და პასუხის გაცემას. ეს პროცესი მოიცავს ბგერითი ინფორმაციის მოსმენას, მისი მნიშვნელობის გაგებასა და მეხსიერებაში შენახულ მსგავს ინფორმაციასთან დაკავშირებას (ამ ინფორმაციის „საცავში“ მოძებნას), ამოღებასა და პასუხის გაცემას (ეს არის იმის დემონსტრირება, რომ ინფორმაცია დამახსოვრებულია). ამასთან დაკავშირებით დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ჩვეულებრივ (გამონაკლისი ყოველთვის არსებობს) პრობლემები აქვთ ხოლმე.

ალბათ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ვერბალურ ენასთან, გაგებასა და განსაკუთრებით ბგერითი ინფორმაციის გადაამუშავებასთან დაკავშირებული პრობლემების ძირითადი მიზეზია ყურის ხშირი ინფექციები ან ოტიტი. იმ ბავშვებსაც კი, ვისაც არა აქვს დაუნის სინდრომი, ადრეულ ასაკში ხშირი ყურის ინფექციების გამო მოგვიანებით, ენის შესწავლის პროცესში, პრობლემები უჩნდებათ. ერთ-ერთი კვლევის დროს თანამიმდევრული ბგერითი მეხსიერების, სელექციური ბგერითი ყურადღებისა და ბგერების არევის გაზომვის ტესტების შედეგები „ნორმალურ“ მესამეკლასელებს შორის გაცილებით ცუდი იყო, ვიდრე იმ ბავშვებს შორის, ვისაც პირველი სამი წლის განმავლობაში მსგავსი სიმპტომები არ აღენიშნებოდა (კესლერი და რანდოლფი, 1979).

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ძალიან ხშირია მწვავე ოტიტი – შუა ყურის არეში არაინფიცირებული სითხის დაგროვება, რაც გამოკვეთილი სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს და ამიტომ მშობლები და ექიმები ვერც ამჩნევენ ხოლმე. ყოველივე ეს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს მინიმალური სმენითი დეფიციტის რისკის წინაშე აყენებს. ეს მოვლენა ჩნდება მაშინ, როდესაც ოტიტის შეტევები ხშირია სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში და გრძელდება ენობრივი განვითარების კრიტიკულ პერიოდებშიც. რისკი ემუქრება ჩვილ და მცირეწლოვან ბავშვებს, რომლებსაც სიცოცხლის პირველი ორი წლის მანძილზე ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში ოტიტის სამზე მეტი შეტევა ჰქონდათ ან ექვსთვიან პერიოდში დროის ნახევარზე მეტის განმავლობაში 15 ან მეტი დეციბალით დაუქვეითდათ სმენა. თუ ეს მდგომარეობა მკურნალობის გარეშე გაგრძელდა, მოგვიანებით, ენის მოსმენით შესწავლისას, პრობლემების წარმოქმნის ალბათობა გაიზრდება (დაუნსი და ბალკანი, 1988).

ყურში სითხის დაგროვებასთან დაკავშირებული სმენის კონდუქტიური დაქვეითების გარდა, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს, შესაძლოა, სმენის ნეიროსენსორული დაქვეითებაც აღენიშნებოდეთ (პირველი – სმენის კონდუქტიური დაქვეითება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ყურის არხში ან შუა ყურში ფერხდება ბგერითი ტალღების გადაცემა; მეორე კი, ნეიროსენსორული დაქვეითება, გამოწვეულია შუა ყურის, სმენის ნერვის ან ორივე მათგანის დაზიანებით). ერთ-ერთი კვლევის დროს 107 დაუნის სინდრომის მქონე ინდივიდიდან 70%-ს სმენის ზომიერი დაქვეითება აღენიშნებოდა (15 დეციბალზე მეტი) ერთ ყურში მაინც; 65%-ს – მნიშვნელოვანი დაქვეითება ორივე ყურში. 45%-ს ჰქონდა სმენის კონდუქტიური დაქვეითება, 16%-ს – ნეიროსენსორული, ხოლო 8%-ს – ორივე, სმენის კონდუქტიური და ნეიროსენსორული დაქვეითებაც (შერეული დაქვეითება) (დაუნსი და ბალკანი, 1988).

პატრიცია კიულმა, ვინც გამოიკვლია ჩვილების ენობრივი განვითარების ყველაზე ადრეული საფუძველი, დაადგინა, რომ ჩვილი ბავშვები იზადებიან როგორც „უნივერსალური ლინგვისტიკები“ – ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ გაიგონონ ყველა ენაში გამოყენებულ ბგერებს შორის არსებული განსხვავებები. ნ თვის ასაკში ჩვილები სწავლობენ ფილტრაციის პროცესს, რაც მათ საშუალებას აძლევს, განასხვავონ მათ მშობლიურ ენაში (მაგრამ არა უცხო ენაში) არსებული ბგერები. ზრდასრულ ასაკში მეტყველების აღქმის ჩვენი უნარი ვიწროვდება და ჩვენ აღარ გვაქვს ისეთი ბგერების გარჩევის უნარი, რომლებიც არ წარმოადგენენ ჩვენი მშობლიური ენის ნაწილს. მაგალითად, ზრდასრული ასაკის ადამიანებს, რომელთა მშობლიური ენაა იაპონური, ძალიან უჭირთ ისეთი სიტყვების გარჩევა, რომლებშიც არის ბგერა „რ“ და „ლ“; რადგან ეს ბგერები იაპონურ ენაში მიეკუთვნება ერთსა და იმავე ძირითად კატეგორიას. ეს კვლევა ხაზს უსვამს ადრეულ ასაკში ენებისკენ მიდრეკილების მნიშვნელობას და გვთავაზობს მოსაზრებას, რომ შეიძლება არსებობდეს „ენის განვითარების კრიტიკული პერიოდი“ დოქტორი კიული ამბობს, რომ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ ექმნებათ ბავშვობაში ენის შესწავლის პრობლემები იმ ბავშვებს, ვისაც ოტიტის განმეორებითი შეტევები აღენიშნებოდათ (მაკრეი, 1992).

ერთხელ კი არა, ათასჯერ მაქვს ნათქვამი!

ხშირად სმენით მესხიერებასთან დაკავშირებული სირთულე აიხსნება როგორც ბიჰვეიორული პრობლემა (როგორც სწავლის ბევრი სხვა სახის პრობლემები). მშობლების მიერ ხშირად გამოთქმული საყვედურია: „ერთხელ კი არა, ათასჯერ მაქვს მისთვის ნათქვამი! ყველაფერი ესმის, რასაც ვეუბნები, მაგრამ თავს იკატუნებს, თითქოს არ ესმის, ან აკეთებს საპირისპიროს. ის ძალიან ჯიუტია.“ ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მაშინ, როდესაც მშობელი ლაპარაკობდა, ბავშვს ესმოდა, რასაც მშობელი ეუბნებოდა, მაგრამ როდესაც დედა გაჩერდა, ბავშვს დაავიწყდა მისი ნათქვამი ან ნათქვამის უმეტესი ნაწილი, ან მხოლოდ ნათქვამის ნაწილი დაიმახსოვრა ან ბოლო სიტყვა. მაგალითად, თუ დედამ უთხრა: „ჩაალაგე ჭუჭყიანი ჭიქები ნიჟარაში და შეაგროვე გაზეთები“, ბავშვს შეიძლება დაამახსოვრდა „შეაგროვე გაზეთები“ ან „შეაგროვე ჭიქები“. თუ დედამ სხვა ინფორმაციაც დაამატა, მაგალითად: „იცოდე, ყველაფერი გაკეთებული იყოს, სანამ მამა დაბრუნდება, და როცა საქმეს დაამთავრებ, შეგიძლია ტელევიზორს უყურო“, ბავშვს შეიძლება დაამახსოვრდეს ინფორმაციის მხოლოდ ბოლო ნაწილი: „მამა დაბრუნდება“ ან „უყურო ტელევიზორს“.

გაითვალისწინეთ თქვენი ბავშვის აღქმის უნარი. რამდენად რეალურია, რომ თქვენმა ბავშვმა დაიმახსოვროს ამდენი და ასე სწრაფად მიწოდებული ინფორმაცია. თქვენი ნათქვამი სიტყვა არსებობს მხოლოდ ერთ წამს. იქნებ თქვენს ბავშვს დროის უფრო ხანგრძლივი მონაკვეთი ესაჭიროება, ვიდრე მოსალოდნელია, – ეს არის ნათქვამსა და პასუხს შორის დროის მონაკვეთი. იქნებ მას ინფორმაციის გადამუშავებისა და შესრულებისთვის უფრო მეტი დრო სჭირდება. სანამ ის „ფიქრობს“, თქვენ შეიძლება გადაწყვიტოთ, რომ ის ჯიუტია და არ უნდა იმის გაკეთება, რაც მოსთხოვეთ. იქნებ მას უფრო მოკლე ინსტრუქციების უფრო ნელი ტემპით მიწოდება სჭირდება, რათა არ გადაიტვიტოს არასაჭირო ინფორმაციით. იქნებ დაწერილი ან ილუსტრირებული ინსტრუქციების მიცემა სჭირდება, რომ ადვილად დაიმახსოვროს (ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ იმავეს ვაკეთებთ, როცა სხვადასხვა რამის დამახსოვრება გვინდა).

როდესაც ბავშვს არასაჭირო და ზედმეტ ინფორმაციას აწვდით, იქნებ არ შეუძლია თავი გაართვას ამდენ დავალებას. მოსმენის, გაგების, დამახსოვრების,

გახსენებისა და საპასუხო რეაქციის გარდა, მან უნდა მოახდინოს არასაჭირო ინფორმაციის გაფილტვრა და დაიმანსოვროს ის, რაც მნიშვნელოვანია. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის ტიპურია „გაფილტვრასთან“ დაკავშირებული პრობლემები. მე მოველოდი, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ბავშვს ინფორმაციის „გაფილტვრის“ შემდეგ დაამანსოვრდებოდა ფრაზები: „მამა დაბრუნდება“ და „უყურე ტელევიზორს“ და დაავიწყდებოდა დანარჩენი ინფორმაცია, რაც დედისთვის ასე მნიშვნელოვანი იყო.

ეს ტესტია და არა სასწავლო გეგმა

ინფორმაციის მიღების შეფასების ტიპური ტესტი ამოწმებს ბავშვის მიერ ვერბალური მითითებების (ნივთ-ქმედების ბრძანებები) შესრულების უნარს. მაგალითად, როდესაც ბავშვის წინ დევს ექვსი ნივთი: ჭიქა, კოვზი, თოჯინა, ქალაღი, გადასაფარებელი და ფანქარი, დამკვირვებელი ბავშვს აძლევს არასტანდარტულ ბრძანებებს; იწყებს ერთი ნივთით და ერთქმედებიანი ბრძანებით: „დადე კოვზი ქალაღზე“ შემდეგ ორი ნივთითა და ორქმედებიანი ბრძანებით: „ჩადე ფანქარი ჭიქაში და დააფარე ქალაღი თოჯინას“. ეს ბრძანებები რთულდება განვითარების უფრო მაღალი ასაკის მიხედვით: ერთი ნივთი, სამი ქმედება, სამი ნივთი ა.შ. ამ ტესტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს არის სმენითი მეხსიერებისა და ბავშვის მიერ ელემენტების რაოდენობის განსაზღვრის უნარის შემოწმების ერთი გზა. ჩვეულებრივ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ნივთებთან მიმართებაში პრობლემები უჩნდებათ. იყო დრო, როდესაც მე უკეთესი მეთოდი არ ვიცოდი და ვცდილობდი, ბავშვებისთვის მესწავლებინა ამ სულელური ბრძანებების შესრულება, რადგან ეს ითვლებოდა „განსავითარებელ“ უნარებად. ახლა უკეთესი ცოდნა მაქვს. თუ ბავშვებმა თანამიმდევრულად უნდა შეასრულონ ინსტრუქციები, მაშინ ამ ინსტრუქციებს უნდა ჰქონდეს შინაარსი და მიზანი, და ბავშვებისთვის ეს მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ახლა თანამიმდევრობის სწავლების დროს ილუსტრაციებს ვიყენებ (იხ. ჩარჩო მომდევნო გვერდზე).

ვასწავლოთ ბავშვებს ქმედებების თანამიმდევრობით შესრულება

ბალის აღმზრდელის მიერ მიცემული დავალებების ტიპური თანამიმდევრობა შეიძლება ასეთი იყოს: „დროა, მოემზადოთ საუზმისთვის. დაიბანეთ ხელები, მოძებნეთ მაგიდაზე დასაფენები და დაალაგეთ მაგიდაზე, დაარიგეთ ხელსახოცები და დასხედით თქვენს ადგილებზე“ თუ ჩვენს სერიოზულად ვუდგებით ბავშვის მიერ დავალებების შესრულების საკითხს, თითოეული ნაბიჯი (დავალება) ილუსტრირებული და/ან დაწერილი უნდა იყოს (ეს ბავშვის უნარზე დამოკიდებული) და კედელზე გაკრული ისე, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად შეძლოს თანამიმდევრული ქმედებების შესრულება. ხანდახან მასწავლებელი (და მშობელი) ბავშვს ყოველ ნაბიჯს კარნახობს და არ აძლევს მას დამოუკიდებლად ფიქრისა და თანამიმდევრობის გახსენების საშუალებას (ამ დროს ბავშვი უმწიბრობს უფრო ეჩვევა). მასწავლებელს შეუძლია გამოაცხადოს საუზმის დრო და ბავშვები თვითონ მოძებნიან თავიანთ ადგილს.

მასწავლებელი შეახსენებს მათ, რომ ხელები დაიბანონ. ისინი ადგებიან და დაიბანენ ხელებს (ან მასწავლებელი მიიყვანს მათ ნიჟარასთან). ხელების დაბანის შემდეგ ზოგიერთ ბავშვს შეუძლია თავის მაგიდას დაუბრუნდეს, ზოგიერთმა კი ოთახში ისეირნოს. ამის შემდეგ მასწავლებელი მათ მითითებას აძლევს, რომ მაგიდაზე დასაფენები და ხელსახოცები დაალაგონ, დასხდნენ და დაელოდონ საჭმელს. მასწავლებელს შეუძლია მათ მოსთხოვოს, რომ ჭამის შემდეგ თევზები ნიჟარაში მორიგეობით ჩაალაგონ, დასაფენები გაამშრალონ, ადგილზე დააწყონ, ხელები დაიბანონ (თუ ვინმეს უნდა, ტუალეტში გავიდეს), აირჩიონ თოჯინა ან წიგნი და გაერთონ, სანამ სხვები ჭამენ. ამ დროს, ჩვეულებრივ, უწესრიგობა სუფევს ხოლმე და მასწავლებელი ჩივის, რომ „ბავშვებს ერთი ქმედებიდან მეორეზე გადასვლის დროს პრობლემები უჩნდებათ“.

თუ ბავშვის დონის შესაბამისი ქმედებების თანამიმდევრობა კარგად არის ილუსტრირებული (მათემატიკური კონცეფციის შეტანის მიზნით თითოეული სურათი დანომრილი უნდა იყოს) და კედელზე გაკრული, მაშინ ბავშვი დამოუკიდებლად შეძლებს ქმედებების თანამიმდევრობით შესრულებას. მასწავლებელს შეუძლია ბავშვს შეადგინოს ცხრილი და ბავშვს ეცოდინება, რის შემდეგ რა გააკეთოს); ცხრილით სარგებლობისას ბავშვი ეჩვევა ფიქრს, ილუსტრირებული დავალებებისა და ქმედებების თანამიმდევრულად და დამოუკიდებლად შესრულებას, საზოგადოდ, დამოუკიდებლობას. ნაცვლად იმისა, მასწავლებელმა მიუთითოს, რის შემდეგ რა გააკეთოს, თვითონ ბავშვი ეტყვის მასწავლებელს (ცხრილში აღნიშნული ქმედებების მიხედვით). თუ ბავშვი ოთახში დარბის, მასწავლებელმა შეიძლება ურჩიოს: „შეხედე ცხრილს და ნახე, რა გაქვს გასაკეთებელი“; თუ ბავშვი ამას დამოუკიდებლად ვერ ახერხებს, მასწავლებელმა ხელი უნდა მოჰკიდოს, ცხრილთან მიიყვანოს და ჰკითხოს, რა გააკეთა და რა აქვს გასაკეთებელი. მასწავლებელს შეუძლია განაგრძოს გაკვეთილი და ილუსტრაციების გამოყენებით „თანამიმდევრული ქმედებების“ ამსახველი ბარათების თანამიმდევრობით დაწყობაში ავარჯიშოს ბავშვები (მასწავლებელს ასევე შეუძლია ლოტო ათამაშოს. იხ. მე-18 თავი: დაგეგმეთ ლოტოს თამაში).

პრობლემების გამარტივების მიზნით, მშობლებს ვურჩევ, შინაც იგივე გააკეთონ, მაგალითად, დილით, ბავშვის სკოლაში წასასვლელად მომზადების დროს. მშობლები ძალიან ხშირად ეჩხუბებიან ბავშვს, კარნახობენ, რის შემდეგ რა უნდა გააკეთოს და ბავშვის სახლიდან დროზე გაყვანის პასუხისმგებლობას ყოველთვის საკუთარ თავზე იღებენ.

გირჩევთ, შეადგინოთ განრიგი, ყოველი დავალების შესრულების დროს ბავშვს საათზე ტაიმერი დააყენებინოთ და თუ დროზე შეასრულებს დავალებას, დააჯილდოოთ (იქნებ ჯამში მარმარილოს ბურთები ჩაუდოთ და თითოეული ბურთის მოგების შემდეგ ვიდუო ჩაურთოთ). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა იგრძნოს პასუხისმგებლობა და შეეჩვიოს დამოუკიდებლობას. ბავშვის შესაძლებლობების გათვალისწინებით ამ გრძობის გაღვივების მცდელობა სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს.

ხშირად მშობლებს ურჩევნიათ, ბავშვისთვის მიცემული დავალება თვითონ შეასრულონ, ვიდრე მათ ასწავლონ ამის გაკეთება. ბოლოს და ბოლოს, დილით თქვენც ხომ ბევრი საქმე გაქვთ? გაიხსენეთ მე-3 თავში განხილული პრობლემა, როგორ იკლო 7-დან 11 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ადაპტირებული ქცევის სწავლების ხარისხმა. იქნებ ეს არასაკმარისად ეფექტიანი და სისტემატური სწავლების შედეგია?

ოდესაც ეჭვი გეპარებათ, ხმამაღლა გამოთქვით

საუბრის დროს ხშირად მოვერგებით მსმენელის შესაძლებლობებს. როდესაც ველაპარაკებით ადამიანს, რომელმაც ცუდად იცის ინგლისური, ნელა, გარკვევით ვლაპარაკობთ და უესტიკულაციას ვიყენებთ; როდესაც ველაპარაკებით ადამიანს, რომელსაც სმენის პრობლემა აქვს, ხმამაღლა და გარკვევით ვლაპარაკობთ (აქაც უესტიკულაციას ვიყენებთ). ვცდილობთ, მოვერგოთ მსმენელს. მაგრამ ხანდახან ვიზნევით და ვერ ვახერხებთ შესაფერის ადაპტაციას. ინგლისურის მცოდნეს ველაპარაკებით როგორც სმენის პრობლემების მქონე ადამიანს. ასეთ დროს ადაპტაცია არ არის ეფექტიანი, პრობლემები ჩნდება და ხშირად დისკომფორტს ვუქმნით მსმენელს. ხშირად ვცდილობთ, ადაპტაცია მოვახდინოთ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან. თუ ისინი არ რეაგირებენ ჩვეულებრივი ხმით მიმართვის დროს, მაშინ ხმამაღლა ვუწყებთ ლაპარაკს, თუმცა, შეიძლება ამანაც არ გაჭრას, თუ ბავშვს სმენის პრობლემა აქვს. ნებისმიერ ბავშვთან მუშაობისას გვჭირდება შესაფერისი ფორმის ადაპტაციის მოძებნა.

ჩვენთვის ჩვეული და ბუნებრივია ბავშვებთან „დედის სახასიათო ინტონაციით“, მეტისმეტად ხაზგასმული, კეთილხმოვანი, ემოციური, შენელებული, მკაფიოდ გამოთქმული ხმოვანი ბგერებით ლაპარაკის მანერა (გრისერი და კიული, 1998). „დედის სახასიათო ინტონაციით“ ლაპარაკს ბავშვები გვასწავლიან (რეაგირებენ მსგავს ინტონაციაზე). როდესაც ბავშვი ენას ეუფლება და უფრო გააფუჭული ხდება, ჩვენც უფრო სწრაფად ვიწყებთ ლაპარაკს, აღარ ვამახვილებთ ყურადღებას საკუთარი ხმის მიმზიდველობაზე და უპირატესობას ვანიჭებთ შინაარსს, რათა ბავშვთან ურთიერთობა შევინარჩუნოთ. ხშირად ისე ხდება, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლების პროცესში ვერ ვახერხებთ მათ რეაქციაზე ან რეაქციის არქონაზე შესაბამის ადაპტაციას. უფრო სწრაფად ვლაპარაკობთ, ბევრჯერ ვიმეორებთ ერთსა და იმავეს, ან ხმამაღლა ვლაპარაკობთ და იმედი გვაქვს, რომ მიზანს მივაღწევთ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვა დროში მცირე ხნით რჩება, და ენას აბსტრაქტული და სიმბოლური ხასიათი აქვს, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმეტესობამ შესაძლოა სიტყვა ვერ დაიმახსოვროს. სიტყვის გაგების პრობლემის გარდა, ბავშვს შესაძლოა სუსტი „ფილტრაციის“ უნარი ჰქონდეს, რასაც იწვევს ყურის ხშირი ინფექციების გამო სმენის პერიოდული (ან მუდმივი) დაქვეითება, განსხვავებული სმენითი ალქმის უნარი, მეხსიერების არხების სიმცირე და შედარებით ხანგრძლივი ლატენტური პერიოდი. ამიტომ სხვა მეთოდს უნდა მივმართოთ.

**პიუპალუკი
ალქმის მქონე
მოსწავლეები**

გამოსახულება ათას სიტყვას უდრის: სხვა გზას მივაგენი

იმ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს შორის, ვინც მე მინახავს, უმეტესობა ვიზუალური ალქმის საშუალებებით სწავლობს. ჩვეულებრივ, ვიზუალური სტიმულები დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ქმედითად ეხმარება სწავლაში, სმენით მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მეხსიერების არხების სიმცირის კომპენსირებაში. ილუსტრაციების, სიმბოლოების, სურათებისა და საკითხავი მასალის გამოყენება სწავლის საკმაოდ ეფექტიანი მეთოდი აღმოჩნდა. ზეპირად წარმოთქმული სიტყვისგან განსხვავებით, რომელიც ძალიან სწრაფად ქრება მეხსიერებიდან, დაწერილი სიტყვა, სურათები, ნახატები და საგნები ინახება მანამ, სანამ ბავშვს სჭირდება მათი გამოყენება.

ზოგიერთი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი, ვისაც ვიზუალური სტიმულებით სწავლის უნარი აქვს, სიტყვის ათვისებამდე მის წაკითხვას სწავლობს. ვერბალური ენის შესწავლამდე (სიტყვის გამოთქმა) ისინი ვიზუალური ენის გამოყენებას ეუფლებიან (დაწერილი სიტყვის ცნობა და გაგება). ეს განსხვავდება იმ მეთოდისგან, რომლითაც ჩვენ ბავშვებს ვიზუალური ენის ათვისებამდე ვერბალური ენის შესწავლაში ვავარჯიშებთ. ვიზუალური მეთოდის გამოყენება ბავშვებს ეხმარება ვერბალური ენისა და მათთვის საჭირო სხვა ცნებების აღქმაში. ეს წიგნი ყურადღებას ამახვილებს კითხვის სწავლების დროს ბავშვის ვიზუალური დიფერენციაციის უნარისა და სხვა ცნებებისა და გამოცდილებების ათვისებისას კითხვის უნარის გამოყენებაზე. დეტალური მითითებები მომდევნო თავებშია განხილული.

**რატომ არ
სწავლობს კითხვას
ზოგიერთი დაუნის
სინდრომის მქონე
ბავშვი**

რატომ არ სწავლობს ზოგიერთი ბავშვი კითხვას ან არ ცდილობს, რომ ისწავლოს – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის მარტივი. თითოეული ბავშვის მდგომარეობა ინდივიდუალურია და არ ვამტკიცებ, რომ ყველა სიტუაციაში არსებული მიზეზი ვიცი. ზოგიერთი შემთხვევა სამუდამო გამოცანად რჩება.

ჩამოგივლით ზოგიერთ შესაძლო მიზეზს, რომლის გამოც ბავშვმა ვერ გამოიყენა შანსი, ესწავლა კითხვა:

1. წარუმატებლობა ან წარუმატებლობის შიში: როდესაც ინსტრუქტორი (მშობელი, მასწავლებელი, და ან ძმა და ა.შ.) ცდილობდა, ბავშვისთვის კითხვა ესწავლებინა, მაგრამ გამოყენებული პროგრამა ან მეთოდი არ შეესაბამებოდა ბავშვის ინტერესს ან შესაძლებლობებს. პროგრამა არ იყო შედგენილი ისე, რომ ბავშვს წარმატებისთვის მიეღწია. ის ვერ ჩასწვდა სწავლების არსს. სიტყვები, ასოები და /ან ცნება მისთვის არ იყო გასაგები და გამოსადეგი. ბავშვი დაიბნა და ვერ გაიგო დავალების მნიშვნელობა და მიზანი. „კითხვის გაკვეთილი“ უარყოფითი და არასასიამოვნო საქმიანობა გახდა. წარუმატებლობის თავიდან ასაცილებლად კითხვის გაკვეთილიდან თავის დაღწევას ცდილობდა, გაკვეთილზე დასწრებასა და პასუხის გაცემაზე უარს ამბობდა, როცა სთხოვდნენ მონაწილეობა მიეღო წასაკითხი დავალებების შესრულებაში, იმპულსურად იქცეოდა. მსგავსი საქციელი გულისხმობს შემდეგს: „ეს ჩემთვის ძალიან რთული და საძულველი საქმიანობაა და თავი უნდა დავაღწიო, რადაც უნდა დამიჯდეს“ (თუნდაც მომიხდეს გაკვეთილის დატოვება, დირექტორის კაბინეტში გამოცხადება, დასვენების დროს კლასში ჯდომა, საჩუქრებზე უარის თქმა – ჩემთვის სულერთია. თავი უნდა დავაღწიო ამ არასასურველ გარემოს. უნდა ვმართო სიტუაცია. წარუმატებლობას ყველაფერი სჯობს. უბედური და გულნატკენი ვარ“). თუ ინსტრუქტორი ფიქრობს, რომ ბავშვისთვის კითხვის სწავლება დროის დაკარგვაა, ე. ი. უარს ამბობს მუშაობაზე (იხ. მე-3 თავში განხილული თავის დაღწევაზე მიმართული ქცევა და ნასწავლი უსუსურობა).

არის თუ არა განვითარების შეფერხება არასწორი სწავლების შედეგი?

ცნობილი პედაგოგის კვლევის მიხედვით, სწავლის უუნარობის შემთხვევების 90% არასწორი სწავლების შედეგია. მან დაადგინა, რომ „ბავშვების 90% ან მეტი, ვინც სწავლის სირთულეების მქონე ბავშვთა კატეგორიას მიაკუთვნეს, შესაძლოა სწავლის სირთულეს ავლენდეს არა აღქმის, ათვისების ან მეხსიერების ფუნქციის დარღვევის, არამედ მასწავლებლის მიერ არასწორად წარმართული სწავლების პროცესის გამო. სწავლის სირთულე ხელოვნურად გამოწვეული ნაკლია და არა თანდაყოლილი (ენგელმანი, 1977). ჩვენთვის ცნობილია, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ისეთი ბიოლოგიური განსხვავებები

აქვთ, რომლებიც აბრკოლებენ მათ უნარს, ისწავლონ იმ ბავშვების მსგავსად, ვისაც არა აქვს დაუნის სინდრომი. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ამ ტიპის ბავშვების უმეტესობას ჰქონდეს კითხვის სწავლის უნარი (რალაც დონემდე), თუმცა, სწავლაში ნაკლებად წარმატებული ან წარუმატებელი იყოს. იქნებ მათ „არასწორად ასწავლიდნენ“ ისეთი მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენებით, რაც განკუთვნილია „ტიპური“ ან სპეციალური განათლების მოსწავლეებისთვის, რომლებსაც სხვა ტიპის განსხვავებული უნარები აქვთ. ბავშვმა წარმატება ვერ მიაღწია, დაფრთხა, სასკოლო საგნის მიმართ შიში გაუჩნდა, განვითარების შეფერხება განუვითარდა და ველარ ახერხებდა ყურადღების კონცენტრირებას. კითხვის სწავლასთან დაკავშირებული დავალების მიცემისთანავე მისი გონება „იკეტება“.

ჩვენი აზრით, ის ვერ შეძლებს კითხვას

დაუნის სინდრომის მქონე 10 წლის ტომისაბავშვო ბაღის შემდეგ ინკლუზიურ კლასში იყო იმავე ჯგუფის ბავშვებთან ერთად. ის კლასში ყველაფერს კარგად ართმევდა თავს, საკლასო აქტივობათა უმეტესობაში მონაწილეობდა, თანატოლებთან ურთიერთობდა, კარგი იუმორის გრძობა ჰქონდა, კარგად მეტყველებდა, მაგრამ კითხვის სწავლაზე უარს აცხადებდა. მასწავლებლებმა ბევრჯერ სცადეს, სხვადასხვაგვარი მიდგომა მოეძებნათ, მაგრამ ის უარს ამბობდა თანამშრომლობაზე. მასწავლებელმა მითხრა: „ჩვენი აზრით, ის ვერ შეძლებს კითხვას.“ მათ გამოიყენეს ყველანაირი სტრატეგია. იმავდროულად, ტომის კლასში იყო მისივე ასაკის დაუნის სინდრომის მქონე გოგონა, რომელიც იმდენივე ხანს სწავლობდა, რამდენ ხანსაც ტომი, იგივე მასწავლებლები ჰყავდა და კარგად კითხულობდა.

სკოლაში ტომის კითხვის პრობლემის გამო კონსულტაციების ჩასატარებლად მიმიწვიეს. ტომმა მითხრა, რომ მისი დაბადების დღე ახლოვდებოდა, თურმე 2 ნოემბერს ყოფილა დაბადებული. შევთავაზე, გვეთამაშა „დაბადების დღის თამაში“ და თამაშის ფორმატში (დაწყვილების, შერჩევისა და სახელების დარქმევის პროცედურის გამოყენებით, რომელიც მოგვიანებით იქნება აღწერილი) სულ რამდენიმე წუთში მან ისწავლა შემდეგი ფრაზების წაკითხვა: *ბედნიერი, დაბადების დღე და ნოემბერი*. მას შეეძლო ამ სიტყვების წაკითხვა ბარათებზე დაბეჭდილი სიტყვების სახით და წინადადებებშიც („ტომ, გისურვებთ ბედნიერ დაბადების დღეს, 2 ნოემბერს“ და „2 ნოემბერი, ბედნიერი დაბადების დღე, ტომი“). მე დავიწყე სიტყვით „ტომ“; რათა დავრწმუნებულიყავი მის წარმატებაში. ის თავის სახელს ცნობდა.

იმ დღეს ყველამ კარგი დრო გავატარეთ. ეს იყო კითხვის შემსწავლელის ფორმირების დასაწყისი. ტომი მიხვდა, რომ შეეძლო კითხვა, მან წარმატებას მიაღწია, შეეძლო მნიშვნელოვანი სიტყვების წაკითხვა თავისი დაბადების დღის მისალოც ბარათებზე. შვიდი თვის შემდეგ მისმა მასწავლებელმა მითხრა, რომ ტომის საკითხავ ლექსიკონში 40 სიტყვა იყო.

2. შესაძლოა ბავშვმა ვერ გაიგოს კითხვის დანიშნულება: ზოგიერთ ბავშვს არ ესმის, რატომ უნდა ისწავლოს კითხვა; რას მოითხოვენ მისგან. ამ ბავშვებს უჭირთ იმის გააზრება, რომ დაბეჭდილი სიტყვები სიმბოლოებია, რომლებიც ასახავს კონკრეტულ ადამიანებს, ადგილებს, საგნებს, ქმედებებს, გრძობებსა და იდეებს. ბავშვმა შეიძლება აიღოს წიგნი, ისაუბროს სურათების შესახებ და თქვას, რომ „კითხულობს.“ ის „კითხულობს“ სურათებზე გამოსახულ სიმბოლოებს და არა დაწერილ სიმბოლოებს, ამიტომ შეიძლება ეგონოს, რომ აკეთებს იმას, რასაც სხვები „კითხვის“ დროს აკეთებენ. როდესაც ინსტრუქტორი არჩვენებს

სიტყვებსა და ასოებს, ბავშვი ვერ იგებს, რისთვის ხდება ეს; შესაძლოა, არ მოუნდეს გაკვეთილზე დასწრება, მიხვდეს სიტყვას ან საერთოდ არ დაინტერესდეს ამით. ის ვერ იგებს, რას მოელიან მისგან და მასწავლებელს იმედს უცრუებს. ეს სიტუაცია ბავშვისთვის ძალიან უსიამოვნოა და ცდილობს, თავი დააღწიოს.

გავცურე! გავცურე!

ათი წლის ბიჭის დედამ დამირეკა და მესაუბრა იმ პრობლემებზე, რაც მისი შვილისთვის ცურვის სწავლების დროს მასწავლებლებს გაუჩნდათ. მან მითხრა, რომ ბავშვი არ ასრულებდა მითითებებს, ხელ-ფეხს იქნევდა და არაფრად აგდებდა მასწავლებლების მცდელობას. შემდეგ მან მიაშო ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც დამეხმარა პრობლემის ახსნაში. ბავშვი უშიშრად გადაეშვა წყალში ისე ღრმად, რომ შეველა დასჭირდა. როცა მაშველებმა წყლიდან ამოიყვანეს, ის ილიმოდა და ყვიროდა: „გავცურე, გავცურე“.

მას არ ესმოდა, რას ნიშნავდა „ცურვა“. ვერ გაიგო განსხვავება „წყალში თამაშს“, „წყალში ყოფნასა“ და ცურვას შორის. მისი აზრით, წყლის სიღრმეში ჩასვლა უფრო კარგად „ცურვას“ ნიშნავდა. ვერ მიხვდა, რატომ ცდილობდნენ, ესწავლებინათ მისთვის ცურვა – სპეციფიკური ტექნიკისა და ხერხების გამოყენებით „წყლის ზედაპირზე“ ტივტივი. ბავშვს ეგონა, რომ „კარგი მოცურავე იყო“ ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ძალიან ღრმად ჩავიდა წყალში.

მარტივი გასაგებია, რატომ იბნევიან ბავშვები. ისინი ძალიან ხშირად პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვამენ ყველაფერს; ვერ ხვდებიან ისეთ ნიუანსებს, რის გაგებასაც მათგან მოელიან. მშობლები, ისევე, როგორც თითოეული ჩვენგანი, ხმარობდნენ სიტყვას „ცურვა“ მაშინ, როდესაც ბიჭი მიჰყავდათ აუზზე, სანიჩბოსნო აუზზე, ტბაზე ან ოკეანესთან. შეიძლება ბიჭს არცაა აკვარიუმში მოცურავე თევზები და უთხრეს, რომ ისინი *ცურავენ*; ბიჭს შეეძლო გამოეტანა დასკვნა, რომ *ცურვა* ნიშნავს *წყალქვეშ* ყოფნას. ასევე ვეუბნებით ბავშვებს, რომ „წაიკითხო“ წიგნები ბევრად ადრე, ვიდრე კითხვას ისწავლიან. როდესაც წიგნს ვუკითხავთ, ისინი შეიძლება ვერ მიხვდნენ, რომ მოთხრობას ვუამბობთ არა სურათებით, არამედ დაწერილი სიმბოლოებით (ბავშვების ყურადღების მიპყრობისა და ინტერესის გამოწვევის მიზნით ხშირად ვუხსნით სურათს მათთვის გასაგებ დონეზე; „კითხვის“ საუკეთესო ხერხს მივმართავთ).

ზოგიერთ ბავშვს, ვინც ასო-ბგერების გამოთქმა ისწავლა (ე. ი. დაწერილი ასოს ბგერით გამოხატვა), არ ესმის, როგორ დაუკავშიროს ეს ბგერები ერთმანეთს ისე, რომ შეადგინოს სიტყვა. როდესაც სიტყვის წაკითხვას ვთხოვთ, ისინი წარმოთქვამენ თითოეული ასოს შესაბამის ბგერას და არა სიტყვას. მათ ვუწოდებთ „სტიმულზე დამოკიდებულს“, რადგან წარმოთქვამენ ცალკეულ ბგერებს, ისე, როგორც ასწავლეს. მათ არა აქვთ იმ ურთიერთკავშირის გაგების უნარი, რის საფუძველზეც ეს ასოები სიტყვას ქმნიან და არ შეუძლიათ ასო-ბგერების შესახებ ცოდნის სიტყვაში გადატანა. ამ ბავშვებს არ ესმით კითხვის არსი.

(იმ ბავშვებთან მუშაობისას, ვინც ასო-ბგერებს წარმოთქვამს და არა სიტყვებს, ჩემი მოკლევადიანი გამოცდილების პერიოდში წარმატებას ვერ მივაღწიე და ვერ ვასწავლე სიტყვების წაკითხვა. ამიტომაც დავიწყე სწავლება მათთან ვიზუალურად ადვილად აღთქმადი სიტყვებით მუშაობს).

3. ბავშვს არა აქვს კითხვის სტიმული: ზოგიერთი ბავშვისთვის საკითხავ მასალას ძალიან მცირე ან არავითარი დატვირთვა არა აქვს. არც აინტერესებთ და არც შეუძლიათ მოთხრობის ან პერსონაჟების ხასიათის გააზრება. შეიძლება ვერ გაიგონ, რა ხდება მოთხრობაში და უაზრობად მიაჩნიათ ცალკეული სიტყვების „თქმა/გამეორება“. გარდა ამისა, არ ესმით კითხვის არსი. ბებრდებთან, არ აინტერესებთ და საერთოდ კარგავენ კითხვის სტიმულს; ურჩევნიან სხვა რაღაცეების გაკეთება და ისევ და ისევ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გააცდინონ კითხვის გაკვეთილები.

4. ბავშვის ყურადღების გამახვილების უნარი ხანმოკლეა: ზოგიერთ ბავშვს უჭირს, განეწყოს სამუშაოდ და კონცენტრირება მოახდინოს. მათი ყურადღების გამახვილების უნარი იმდენად ხანმოკლეა, რომ ვერ ახერხებენ სიტყვებზე კონცენტრირებას, სიტყვის მნიშვნელობის გაგებასა და კითხვის სწავლების თამაშებსა და აქტივობებში აქტიურ მონაწილეობას. ზოგჯერ ასეთ ბავშვებს ყურადღების დეფიციტით გამოწვეული დარღვევა აღენიშნებათ. თუ ბავშვს არ შეუძლია დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაჯდომა და სასწავლო აქტივობებში აქტიურად ჩაბმა (ის ხდება უყურადღებო, იმპულსური და ჰიპერაქტიული), ამ დროს მიზანშეწონილია შემოწმდეს ყურადღების დეფიციტით გამოწვეული დარღვევის ალბათობა. ამ პრობლემის არსებობის დროს შესაძლებელია მედიკამენტური მკურნალობის ჩატარება ან ქცევის მართვის სტრატეგიების გამოყენება, რაც გადამწყვეტი ფაქტორი იქნება იმისა, ისწავლის თუ არა ბავშვი კითხვას (და ასევე, როგორ მოიქცევა და ისწავლის სხვა რაღაცებს).

5. შესაძლოა არსებობდეს მხედველობის, სმენისა და ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები: დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების დაახლოებით ნახევარს მხედველობის პრობლემები აქვს; დაახლოებით 65-80%-ს შეიძლება აღენიშნებოდეს სმენის კონდუქტიური დაქვეითება. ჰიპოთირეოზი (ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება) ასეთ ბავშვებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევებში. ჯანმრთელობის პრობლემები მკურნალობის გარეშე უფრო ძლიერ ზემოქმედებას მოახდენს ბავშვის კითხვის უნარზე.

თუ თქვენს ბავშვს არა აქვს ისეთი მხედველობის უნარი, რომ სიტყვები გაარჩიოს, მისთვის კითხვის სწავლებას აზრი არ ექნება. მხედველობის შემოწმების შემდეგ, თუ საჭიროა, გაუკეთეთ მაკორექტირებელი სათვალე ან ლინზები. ზოგჯერ სუსტი მხედველობის მქონე ბავშვებს სჭირდებათ საკითხავი მასალის მორგება. სიტყვები და ასოები უნდა იყოს დიდი ზომისა და მუქი ფერის ან სხვა მეთოდის საშუალებით გადიდებული.

თუ ბავშვს აქვს სმენის კონდუქტიური დაქვეითება, სმენის გაუმჯობესებაში სმენის აპარატი დაეხმარება. უესტური ენის გამოყენების გარდა, სიტყვების გამოთქმის სავარჯიშოებიც (განხილული იქნება ამ წიგნში) სასარგებლო იქნება.

თუ ბავშვს აქვს ჰიპოთირეოზი, ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს აღქმის უნარის დაქვეითება, წონის დაკლება, კანის სიმშრალე და ინტელექტუალური დარღვევის სიმძიმე.

მსგავს სიტუაციებში დიდი მნიშვნელობა აქვს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ჯანმრთელობის პრობლემების ინტენსიურ მკურნალობას. მედიკამენტებით ჰიპოთირეოზის დარეგულირება შესაძლებელია.

6. შესაძლოა, ბავშვს არ ჰქონდეს კითხვის სწავლის უნარი: როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს უნარების გარკვეული დიაპაზონი აქვთ. ზოგიერთი ბავშვისთვის, თუმცა, ჩემი აზრით, მათი რიცხვი საკმაოდ მცირეა, კითხვის სწავლება შეუძლებელია. მათ არ გააჩნიათ კითხვისთვის აუცილებელი სიმბოლური კავშირის გაგების მექანიზმი. ბავშვისთვის ქალაქდზე ინფორმაციის მიწოდებისა და ბავშვის ადამიანებთან ურთიერთობის უფრო ეფექტიანი საშუალება სურათ-სიმბოლოების გამოყენებაა.

დასასრულ, ჩემი აზრით, კითხვის სწავლაში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების წარუმატებლობა გამოწვეულია მათთვის შეუსაბამო პროგრამების გამოყენებით და/ან სწავლების ცუდი მეთოდით, რაც ბავშვს არ აძლევს საშუალებას, მიაღწიოს წარმატებას, უჩნდება შიში და აღარ უნდა კითხვა. ზოგ შემთხვევაში ბავშვს, შესაძლოა, აღენიშნებოდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც ხელს უშლის კითხვის სწავლაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაცვლად იმისა, სახალისო ყოფილიყო, კითხვა ხდება ბავშვისთვის საძულველი საქმიანობა და ისიც ცდილობს, თავი დააღწიოს კითხვას.

მთავარი ნაშრომი

ნარკოტიკების ნიღბის მოძიება

ყველას გვინდა წარმატებას მივალწით ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ. სიამოვნებით ვასრულებთ დავალებებს, რაშიც წარმატებული ვართ, და ისევ და ისევ გვინდა ვაკეთოთ. წარმატება გვიბიძგებს წინსვლისა და კიდევ მეტი წარმატებისკენ, მარცხი კი იმედს გვიცრუებს და ამიტომ ვცდილობთ, თავი ავარიდოთ ისეთ სიტუაციებს, სადაც მარცხი გარდაუვალია. ასეთი კომპლექსური და რთული უნარის ათვისება, როგორც კითხვაა, შესაძლოა, რეალურ პრობლემად იქცეს და მარცხით დასრულდეს. თუ ბავშვი ვერ იგებს, რაშია საქმე, ვერ იმახსოვრებს ასო-ბგერებს ან სიტყვებს და ბევრ შეცდომას უშვებს, კითხვა საძულველი საქმიანობა ხდება და ბავშვი ცდილობს, თავი აარიდოს ასეთ არასასურველ სიტუაციას.

ჩვენ ვიცით, როგორი წარუმატებლობის რისკის წინაშე ვდგავართ და ისიც ვიცით, რომ ბევრმა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვმა, შესაძლოა, ვერ გაიგოს, რა სარგებლობა მოაქვს კითხვას და არ ეყოს შემართება, განაგრძოს სწავლა და უფრო ბევრითად მუშაობა; ამის მიუხედავად, მაინც უნდა შევიმუშაოთ კითხვის სწავლების ისეთი პროგრამა, რომელიც ბავშვს სწავლის ყოველ საფეხურზე წარმატების მიღწევის საშუალებას მისცემს.

იმედია, თქვენს წიგნს სახელად დაარქმევთ: „მთავარი წარმატება“

ცოტა ხნის წინ ვაშინგტონის უნივერსიტეტის კითხვის სწავლების პროგრამაში ჩართული ბავშვის დედას შევხვდი. ვუთხარი, რომ ამ წიგნზე ვმუშაობდი. მან მიპასუხა: „იმედია, თქვენს წიგნს სახელად დაარქმევთ: „მთავარი წარმატება“. ჩვენ ხშირად ვეძებთ წარმატების მიღწევის გზებს. კითხვის სწავლების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევაა. საოცარია, პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ სწავლების ყოველი ეტაპი ბავშვის წარმატებას უზრუნველყოფდა, ყველა ბავშვს ეძლეოდა სწავლის საშუალება, არა მარტო ყველაზე ნიჭიერებს. ბავშვების განათლების საქმეში ამ პროგრამის უმნიშვნელოვანესი წვლილი კითხვის სწავლება იყო.

როგორ დავხმაროთ ბავშვს ნარკოტიკის მიღწევაში

ბავშვს წარმატების მიღწევაში ყველაზე ეფექტიანად პოზიტიური დამოკიდებულება ეხმარება. ისეთი გარემო უნდა შევუქმნათ, რომ სწავლა ეხალისებოდეს. ამ შემთხვევაში სწავლა აზრს იძენს და საკუთარი წარმატების გამო ბავშვი კმაყოფილია. სწავლა ბავშვებს სიამოვნებასა და სიხარულს უნდა ანიჭებდეს და ართობდეს. სწავლების სტრატეგია, მეთოდები და ტექნიკა ამ წიგნის მომდევნო თავებშია აღწერილი. მაგრამ არსებობს რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი, რომლებიც სწავლის ყოველ ეტაპზე ბავშვის წარმატებას განაპირობებს და მუდამ უნდა გვანსოვდეს.

ბავშვი დაუშვებს შეცდომებს, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ შეცდომების დაშვება ნორმალური მოვლენაა და ამაში სამარცხვინო არაფერია. თუმცა, ისიც უნდა იცოდეს, რომ შეცდომები უნდა გამოვასწოროთ. გაკვეთილი რომ პოზიტიურ და სასიამოვნო გარემოში წარიმართოს და დავალებები მასტიმულირებელი და სახალისო იყოს, ბავშვს 10-დან 8 სწორი პასუხის გაცემა უნდა შეეძლოს. ყველაზე უკეთ მაშინ ვსწავლობთ, როცა სწორად ვპასუხობთ და თავისუფლად ვკითხულობთ. შეცდომების დაშვება აფერხებს ამ პროცესს და ხელს უშლის წარმატების შეგრძნებას. ბავშვმა რომ წარმატებას მიაღწიოს, საკითხავი მასალა მოკლე და მარტივ დავალებებად უნდა დავეყოთ. მაგრამ, სანამ ბავშვს დავალებას მივცემთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მას აქვს ამ დავალებების შესრულებისა და გაგების უნარი.

თუ ბავშვის სწორი პასუხების კოეფიციენტი 80%-ზე ნაკლებია, სცადეთ, დაადგინოთ შეცდომების გამომწვევი მიზეზები. ქვემოთ განხილულია ზოგიერთი მიზეზი და რჩევა:

(1) ბავშვს დავალება არ ესმის, იგი მისთვის ძალიან რთულია და აზრს მოკლებული:

ამ შემთხვევაში შეგიძლიათ ბავშვს აჩვენოთ, რის გაკეთებას მოითხოვთ მისგან, დაუბრუნდეთ სწავლების უფრო მარტივ დონეს და ამ დონის შესაბამისი პრაქტიკული დავალებები გააკეთებინოთ, ასევე, შეცვალოთ საკითხავი მასალა (ისე, რომ ბავშვისთვის სიტყვას აზრი ჰქონდეს და მისი გამოყენება შეეძლოს). თუ ბავშვი მაინც ვერ იგებს სიტყვის მნიშვნელობას ან არც უნდა, გაიგოს, გვერდზე გადადეთ და რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ თავიდან გააკეთებინეთ როგორც ახალი დავალება. იქნებ ბავშვი არ არის მზად ან პროგრამა არ არის საჭიროებისამებრ პატარა ნაწილებად დაყოფილი? არ მისცეთ ბავშვს შემდგომი წარუმატებლობის საშუალება. თუ ბავშვი ვერ აღწევს წარმატებას და თქვენ დაჟინებით სთხოვთ, განაგრძოს კითხვა, ამას შედეგად მოჰყვება თქვენს შორის დაპირისპირება და ბავშვს კითხვა შესძულდება.

(2) დავალება ძალიან ადვილი, სტიმულს მოკლებული და მოსაბეზრებელია.

შესაძლოა, ბავშვმა ჩათვალოს, რომ სწავლების პროგრამა ძალიან ადვილი და მოსაბეზრებელია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს არასაკმარისად ცოცხალი რიტმი, რაც გაკვეთილს სტიმულს მოკლებულს და უინტერესოს ხდის (ამიტომ საჭიროა სწორი/არასწორი პასუხების მუდმივად შემოწმება. ეს მეთოდი მიგანხევრებით, როდის გადახვიდეთ ახალ აქტივობაზე). ეცადეთ, სხვადასხვა სახის აქტივობის მეშვეობით პროგრამა მოქნილი და საინტერესო გახადოთ. მაგალითად, თუ ბავშვს მოზეზრდა ისეთი დავალებების შესრულება, როგორცაა სიტყვების დაწყვილება, ამორჩევა, დაწერილი სიტყვების წაკითხვა და სურათებიანი ბარათების დასახელება, შეცვალოთ ისინი ლოტოს ან სხვა თამაშებით. თუ ბავშვს ანბანი არ მოსწონს, თავი დაანებეთ ამაზე მუშაობას და ანბანი ბინგო ათამაშეთ. თუ ბავშვს მოჰზეზრდა ერთი და იმავე თემაზე აგებული დავალებების შესრულება, სცადეთ სხვა თემატიკის მქონე აქტივობის ჩატარება (როცა ბავშვებს მო ზეზრდებათ „სამაგიდო სამუშაო“, კარგი იქნება, „საოჯახო სიტყვებზე“ აგებული მასალის მიცემა). თუ ბავშვი მზად არის უფრო სერიოზული საქმიანობისთვის, შეგიძლიათ გადახვიდეთ ზეპირ დავალებებზე ან სხვა სახის საკითხავ მასალაზე.

(3) კითხვის გაკვეთილები ძალიან გაჭიანურებული და მოსაწყენი ხდება; ამ დროს ბავშვს სხვა რაღაც უფრო აინტერესებს; კითხვა მოჰბეზრდა ან უბრალოდ ძალიან დაღლილია.

კითხვა უნდა იყოს სახალისო, პოზიტიური განწყობის აღმძვრელი საქმიანობა. თუ ბავშვს ყურადღება ეფანტება, გაკვეთილის პროცესში ვერ ერთვება და შეცდომებს უშვებს, ძალიან ნაკლები შანსი რჩება იმისა, რომ რამე ისწავლოს. იქნებ სცადოთ და ისე „გაშალოთ“ სასწავლო პროგრამა, რომ ბავშვისთვის უფრო საინტერესო გახადოთ და წახალისების მეთოდი გამოიყენოთ. თუ ბავშვი დაღლილია ან სხვა რაღაც უფრო აინტერესებს, რაც იმ მომენტში უფრო შეესაბამება მის განწყობას, შესაძლოა, თქვენი მცდელობა ამო აღმოჩნდეს. ასწავლეთ ბავშვს, რომ როდესაც კითხვა მოჰბეზრდება, აუცილებლად გითხრათ; გააგებინეთ, რომ ასეთი ურთიერთდამოკიდებულებით თავიდან აიცილებს შეცდომების დაშვების რისკს. ასწავლეთ, როგორ მართოს საკუთარი თავი და გაღიზიანების გარეშე გითხრათ, რომ კითხვა ძალიან უჭირს და დასვენება სჭირდება, ან რომ აღარ შეუძლია კითხვა (ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები). ხშირად, როდესაც ბავშვებმა იციან, რომ არჩევანის საშუალება აქვთ და მართავენ საკუთარ თავს, თქვენთან კითხვის სურვილი აუცილებლად გაუჩნდებათ. თქვენ ხომ არ გინდათ, რომ ბავშვი შეცდომების დაშვებასა და გაკვეთილების გაცდენას შეეჩვიოს, რაც ცუდ ჩვევებსა და არაადეკვატურ ურთიერთობებს აყალიბებს.

(4) ბავშვი თქვენს გაღიზიანებას ცდილობს, არასწორი პასუხების გაცემით უფრო ერთობა, ვიდრე სწორი პასუხებით. თქვენ იცით, რომ მან იცის სიტყვა, მაგრამ განზრახ გპასუხობთ არასწორად.

ხშირად ბავშვებს სხვისი მოტყუება და გაღიზიანება უყვართ, რაც მათ ბავშვურობაზე მეტყველებს; ეს იმის ნიშანია, რომ ბავშვი შემოქმედებითია (წარმოსახვის უნარი აქვს) და უნდა, რომ მოვლენები უფრო საინტერესო გახადოს. თუმცა, არ იქნება გონივრული, რომ მას არასწორად გაცემული პასუხით მოტყუების საშუალება მივცეთ. თუ იცით, რომ მან იცის სიტყვა და განზრახ არ გპასუხობთ სწორად, უფრო პროდუქტიული თამაში შესთავაზეთ. წახალისეთ და სწორი პასუხებისთვის „ქრთამი“ მიეცით, არასწორ პასუხებზე კი ჯარიმა დააწესეთ. განსაზღვრეთ თამაშის წესები და შემოიღეთ ქულების სისტემა. მაგალითად, აიღეთ ქილა, დააწერეთ ბავშვის სახელი და ყოველ სწორად გაცემულ პასუხზე მარმარილოს ბურთი ბავშვის ქილაში ჩააგდეთ (მან მოიგო); აიღეთ მეორე ქოთანში, დააწერეთ თქვენი სახელი და მის ყოველ არასწორად გაცემულ პასუხზე მარმარილოს ბურთი თქვენს ქოთანში ჩააგდეთ (თქვენ მოიგეთ) და უთხარით: „მოგატყუე, მე მოვიგე“ (შეგიძლიათ ასეთი ფრაზაც გამოიყენოთ: „დავნაძღვევდე, რომ არასწორად მიპასუხებ“), „დავნაძღვევდე, რომ ამჯერად მოგატყუებ“: სიტყვების დაწყვილების, შერჩევისა და სახელების დარქმევის სავარჯიშოების გაკეთების დროს თავი მოიკატუნეთ და დააჯერეთ, რომ მისი არასწორი პასუხი თქვენს სასარგებლოდ მოქმედებს. თუ თქვენი „მოგების“ შემდეგ სწორად გიპასუხათ, უთხარით: „შევეცდი, ვერ მოგატყუე. შენ მოიგე“ და მარმარილოს ბურთი თქვენი ქოთანშიდან მის ქოთანში გადადეთ.

მიყვარს ბავშვისთვის „მეორე შანსის“ მიცემა; ამ გზით ვცდილობ, თამაშით მისი დაინტერესება შევინარჩუნო (თუ ყოველთვის თქვენ ხართ მოგებული და ბავშვს არა აქვს მოგების მეორე შანსი, შეიძლება საერთოდ აღარ მოუნდეს თამაში – ასეთი წესები მისთვის ძალიან დამთრგუნველი იქნება). თუ ბავშვი პირველ ჯერზე არასწორად გიპასუხებთ და სიამოვნებს შეცდომის დაშვებისა

და გასწორების „თამაში“, შეცვალეთ თამაშის წესები და პირველი პასუხი „ჩაუთვალეთ“. მაშინ, როდესაც ბავშვები განზრახ პასუხობენ არასწორად, ეს ხერხი ამართლებს. ჩვენი მიზანია, სწორი პასუხების გაცემა უფრო გასართობი გახდეს ბავშვისთვის, ვიდრე არასწორი პასუხებისა.

(5) ბავშვს არა აქვს სტიმული; მას აქვს „ნასწავლი უმწეობა“.

როდესაც მასწავლებელი ან მშობელი რომელიმე ბავშვზე ამბობს, რომ „შეუძლებელია სტიმული გაუჩნდეს“, ვხვდები, რომ საქმე გვაქვს რთულ შემთხვევასთან. სტიმული არის ის, რაც ჩვენში აღძრავს ნებისმიერი რამის გაკეთების სურვილს, გვამოძრავებს და გვაგვითარებს. თუ სტიმული არა გვაქვს, ძალიან ცოტა რამის გაკეთებას შევძლებთ და ისეთ გარემოშიც კი, რომელშიც სწავლა შესაძლებელია, შემოქმედებითი სწავლის ალბათობა ნაკლებად ან საერთოდ არ იარსებებს.

ამ წიგნში აღწერილი პროგრამა მიმართულია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სტიმულირებაზე. უმცროსი ასაკის ბავშვებში იმიტომ ვიყენებთ ოჯახის ამსახველი ფოტოებისა და გვარების სწავლების მეთოდს, რომ ბავშვებს ეხალისებათ ამ სიტყვების კითხვა და უყვართ ფოტოების დათვალიერება (მათთვის ეს მნიშვნელობის მატარებელია). თუ ბავშვს ნაკლებად ან საერთოდ არ აინტერესებს ფოტოები და სიტყვები და არც თქვენი შექება გაუჩენს მარტივი დავალებების შესრულების სურვილს, შესაძლოა, ეს „ნასწავლი უმწეობით“ (განხილულია მე-3 თავში) იყოს გამოწვეული. ბავშვისთვის შეიძლება სტიმული გახდეს მის მიმართ თქვენი გამოკვეთილი ინტერესი, რასაც ის უნებურად გრძნობს, როდესაც არ კითხულობს ან ცდილობს შესასრულებელი დავალებიდან თქვენი ყურადღების სხვა რამეზე გადატანას. რაც შეეხება „თქვენი გალიზიანების მცდელობას“, ასე შეიძლება სიტუაციიდან თავის დასაღწევად იქცეოდეს (შესასრულებელი დავალებიდან თქვენი ყურადღების სხვა რამეზე გადატანის მცდელობა). ამ დროს შეგიძლიათ ბავშვის წაქეზება უფრო ხელშესახები სტიმულით სცადოთ, რაც სწორი პასუხების მიღების შესაძლებლობას ქმნის. იმ ბავშვებთან მუშაობის დროს, რომლებსაც ესმით პრინციპი: „ჯერ იშოვე და მერე დახარჯე“, შეიძლება ქილაში მოთავსებული მარმარილოს ბურთების ან ხურდის გამოყენება.

თუ ბავშვს არ ესმის ეს პრინციპი, ამ შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ უფრო ხელშესახები სტიმული, როგორცაა მისი საყვარელი საჭმელი, რათა მიიქციოთ ბავშვის ყურადღება, აიძულოთ, სცადოს დავალების შესრულება და დარწმუნდეს, რომ მას ამის გაკეთება შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ საკვებს იყენებთ ძნელად სტიმულირებადი ბავშვების (სხვა არაფერი მოქმედებს მათზე) წასახალისებლად, გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე პრინციპი:

(1) ჯერ დარწმუნდით, რომ ეს საკვები ნამდვილად გაუძლიერებს სტიმულს. ბავშვი მოინდომებს მის მოსაპოვებლად მუშაობას და სწორი პასუხების რაოდენობაც მეტი იქნება. თუ ეს არ გაზრდის სწორი პასუხების რიცხვს, ფაქტია, რომ ბავშვს შეუძლია ამ დავალების შესრულება, ესმის ამ მოვლენის არსი (დააწყვილე ბარათები და მერე საკვებს მიიღებ), მაგრამ ეს საკვები მისთვის არ წარმოადგენს სტიმულს (ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტში, იქნებ მან ცოტა ხნით ადრე ბევრი ჭამა ან მუცელი სტკივა). სტიმულის განმარტების მიხედვით, თუ ის არ ზრდის ბავშვის სწორი პასუხების რაოდენობას, მაშინ ის მისთვის არ არის სტიმული (რომ იყოს კიდევ, თუ ბავშვმა იცის, რომ მოგვიანებით მუშაობის გარეშეც მისცემენ საკვებს, შესაძლოა, ლოდინი არჩიოს).

(2) არ გამოიყენოთ ბავშვისთვის საზიანო საკვები. ეჭვგარეშეა, დიაბეტურ კანფეტს არ მისცემთ, ძალიან ბევრიც რომ იშრომოს. მაგრამ არსებობს რამდენიმე „საეჭვო“ წამახალისებელი, რომლებიც თქვენგან განსჯასა და დაფიქრებას მოითხოვს. მაგალითად, თუ ბავშვს ჭარბი წონა აქვს და ერთადერთი რამ, რისთვისაც ის იშრომებს, ნაყინია, უნდა დაფიქრდეთ, ღირს თუ არა წამახალისებელ საშუალებად ნაყინის გამოყენება. იქნებ „დათმობაზე წასვლა“ არც ღირდეს. თუმცა, თუ ბავშვი ნაყინს მაინც მიიღებს ისე, რომ არც კითხვა და შრომა მოუწევს ნაყინის მისაღებად და არც რაიმე სახის თანამშრომლობაზე წამოსვლა დასჭირდება, შეიძლება ნაყინი მაინც სტიმულად ჩაითვალოს, რადგან ამ შემთხვევაში ბავშვი არ შეჭამს იმაზე მეტ ნაყინს, ვიდრე ჩვეულებრივ შეჭამდა. ეს არის კითხვის დავალებების შესრულების მიზნით თანამშრომლობაზე წამოსვლის პირობა (რასაკვირველია, ბავშვი უნდა შევაჩვიოთ უცხიმო ნაყინისა და იოგურტის ჭამას; როდესაც ის კითხვას ისწავლის, თვითონ შეძლებს ეტიკეტების წაკითხვასა და ჯანმრთელი საკვების შერჩევას).

(3) ყოველ სწორ პასუხზე წახალისების მიზნით მცირე რაოდენობის საკვები მიეცით. თუ ბავშვი დანაყრდა, მას აღარ ექნება მიზანი (საკვები აღარ იქნება მისთვის სტიმული) და თუ საკვები აღარ მიიზიდავს, შესაძლოა, დავალების შესრულებას თავი აარიდოს.

(4) შეამცირეთ საკვების რაოდენობა, თუ ბავშვი მის გარეშე ახერხებს მუშაობას. ძნელად სტიმულირებადი ბავშვი თავდაპირველად ყოველი პასუხის შემდეგ შეგიძლიათ წახალისოთ. ცოტა ხანში, თუ დავალებები ნამდვილად შეესაბამება ბავშვის შესაძლებლობებს, ის თვითონ წაიკითხავს და მისთვის შექებაც საკმარისი სტიმული იქნება.

M&M-ის ეპოქა

70-იან წლებს სპეციალურ განათლებაში ხანდახან მოიხსენიებენ როგორც M&M-ის ეპოქას. საკვებით სტიმულირებას ყოველდღიურად ვიყენებდით, M&M-ით სტიმულირებას კი ბავშვების სურვილის შესაბამისად. ქცევის მოდიფიცირებამ – „ოპერანტულმა სწავლებამ“ – ფასეული „ახალი მექანიზმები“ ჩამოაყალიბა. სპეციალური განათლების პროგრამაში მონაწილე მოსწავლეების უმეტესობის საკვებით სტიმულირება შესაძლებელი გახდა და მის სათანადო გამოყენებას სწრაფი შედეგიც მოჰყვა.

მას შემდეგ, რაც ჩვენს სასკოლო პროგრამაში პუდინგის გამოყენება დავიწყეთ, ყოველდღიურად მცირე რაოდენობით პუდინგი მიგვექონდა იმ ბავშვებთან, ვისთანაც ინდივიდუალურად ვმუშაობდით. ამას ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა. ვახერხებდით ბავშვების ყურადღების და ინტერესის გამოწვევას და ისინიც კარგად მუშაობდნენ. თუმცა, ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ უმეტეს შემთხვევაში საკვების გამოყენება აღარ იყო საჭირო. თვითონ აქტივობა იქცა სტიმულად. მახსოვს, ინდივიდუალურ გაკვეთილებზე პუდინგი რომ მიმქონდა, გაკვეთილის ბოლოს შეუჭმელი რჩებოდა. „დამავიწყდა“ მისი გამოყენება და მოსწავლეს აშკარად აღარ დასჭირდა ის. ასე მგონია, რომ საკვებით სტიმულირება ხშირად მასწავლებლისთვის უფრო წარმოადგენდა დამნმარე საშუალებას, ვიდრე ბავშვებისთვის. ჩვენ შეგვეძლო მისი გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ყურადღებას მოადუნებდა და შრომის ინტერესს და/ან სურვილს დაკარგავდა. დღეს ბევრი ბავშვი ვიცი, რომელიც აღარ საჭიროებს საკვებით წახალისებას. ბავშვის შესაძლებლობების დონის შესაფერისი საინტერესო მასალა და აქტივობა თავისთავად საკმარისი სტიმულია.

თუ ბავშვი „ნასწავლ უმწეობას“ კითხვის გაკვეთილის თავიდან აცილების მიზნით იყენებს, შეიძლება საკვებით სტიმულირება დაგვჭირდეს. ყოველი ადამიანის შრომას რაღაც მიზანი აქვს. თუ ეს სტიმული, საკვებია, მისი უზრუნველყოფა და გაკონტროლება შესაძლებელია. თუ საკვების გამოყენება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი ამის გამო ან კითხვას ისწავლის, ან მცდელობა ექნება, რა თქმა უნდა, პირადად მე საკვებით სტიმულირებას მივმართავდი. ჩემი აზრით, უკეთესია, ბავშვს ჭარბი წონა ჰქონდეს და წერა-კითხვა იცოდეს, ვიდრე ჭარბწონიანი და წერა-კითხვის უცოდინარი იყოს. თუ პრობლემა წონაა, ვეჭვობ, რომ საკვების სტიმულად გამოყენებამ გავლენა იქონიოს წონაზე. კვების ჩვევების დასარეგულირებლად სხვა ზომებს უნდა მივმართოთ.

მხოლოდ „ჩიფსები“ უყვარს

მარტოხელა დედამ კონსულტაციისთვის თავისი შვიდი წლის ბიჭი მომიყვანა. ბიჭს ჭარბი წონა და ქცევის პრობლემა ჰქონდა. დედამისი ვედარ ართმევდა თავს მის მოვლას და ბიჭი სახელმწიფო დაწესებულებაში მისაღება რიგში ჩაწერა. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი ყველას „უპირისპირდებოდა“ და თანამშრომლობაზე უარს ამბობდა, მისი მთავარი პრობლემა ტულეტი სარგებლობასთან იყო დაკავშირებული. დედამისს ვკითხე, რა საჭმელი უყვარდა ბავშვს ყველაზე მეტად. „მხოლოდ „ჩიფსები“ უყვარს“, – მიპასუხა მან. ვურჩიე, რომ „ჩიფსები“ „ტულეტი სარგებლობის პოზიტიური ქცევის“ მისაღწევად გამოეყენებინა. ბიჭი მიიღებდა „ჩიფსებს“ ყოველ ჯერზე, როდესაც იტყოდა, რომ ტულეტში უნდოდა, როდესაც ტულეტში დამოუკიდებლად შევიდოდა და როდესაც ქოთანზე დაჯდებოდა. ერთ კვირაში ტულეტის პრობლემა აღარ არსებობდა. მას ისევ ჭარბი წონა ჰქონდა, მაგრამ ტულეტით სარგებლობდა და ტულეტით სარგებლობის პოზიტიური ქცევის მისაღწევად სპეციალურ დაწესებულებაში წასვლაც აღარ დასჭირდა. ჩვენ რომ „ჩიფსები“ არ გამოგვეყენებინა, მას ისევ ჭარბი წონა ექნებოდა, ტულეტით არ ისარგებლებდა და სპეციალურ დაწესებულებაშიც ამოყოფდა თავს.

ეს ბიჭი საუნივერსიტეტო ცენტრშიც მოვიდა კითხვისა და მათემატიკის შესასწავლად. ის მიხვდა, რომ თანამშრომლობა და დავალებების შესრულება უფრო სახალისო და სასიამოვნო იყო, და იმასაც მიხვდა, რომ ამის გაკეთება შეეძლო. მან შეძლო სწავლა და წარმატებული მოსწავლეც გახდა. რამდენიმე წლის შემდეგ დედამისს შევხვდი და მან მითხრა: „ნეტავ ახლა შეგეძლოთ მისი ნახვა. მასთან ურთიერთობა ისეთი მშვენიერია, ნამდვილი სიამოვნებაა“.

მოიშველიეთ სალი აზრი. საკვებით სტიმულირების მეშვეობით სასურველი ქცევის მიღწევა, შესაძლოა, „ნასწავლი უმწეობის“ დაძლევის გზა იყოს. ზოგიერთი უფროსის საგნობრივი სტიმულის გამოყენებას და ფიქრობს, რომ ეს არის „ქრთამი“ (განსაკუთრებით საკვებზე აქვთ ასეთი აზრი). დაიმასხოვრეთ, რომ ქრთამი კორუფციული ქცევის პირობაა, ჯილდო (წახალისება/სტიმული) კი ღირსეული ქცევისა. იმათ, ვინც საკვებით სტიმულირების წინააღმდეგი არიან, ალბათ, არ ჰქონიათ ურთულეს შემთხვევებთან შეხება. ძალიან მძიმეა ბავშვის ყურება, რომელიც „თავის თავშია ჩაკეტილი“ და არ თანამშრომლობს მათთან, ვინც მასზე ზრუნავს. საკვებით სტიმულირება არის კიდევ ერთი საშუალება იმისა, რომ ბავშვმა იშრომოს.

ბავშვს რომ კითხვით დაინტერესება შევუნარჩუნოთ, უნდა შევუქმნათ შედეგიან, საინტერესო და აზრიან აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა:

ათამაშეთ ბინგო, ლოტო და სხვა აქტიური თამაშები სიტყვებისა და/ან ასო-ბგერების გამოყენებით. მიეცით ამ თამაშების ხალისით თამაშის შესაძლებლობა. წააკითხეთ ის წიგნები, რომლებშიც მათთვის ნაცნობი სიტყვებია გამოყენებული. შეუქმენით ამ უნარების ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობა (მომდევნო თავებში ბევრ იდეას მოგაწვდით).

განსხვავებული სწავლება და ტესტირება

სწავლება განსხვავდება ტესტირებისგან იმით, რომ ტესტირების დროს მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლის ცოდნას – აფასებს მოსწავლის უნარს, რათა განსაზღვროს, რისი სწავლა შეუძლია მას. სწავლების დროს მასწავლებელი ცოდნას უზიარებს მოსწავლეს და სწავლაში ეხმარება.

ხშირად გვგონია, რომ ვასწავლით, მაგრამ რეალურად ტესტს ვუტარებთ მოსწავლეს. „ეს რა ასოა? ეს რა ბგერაა? ეს რა სიტყვაა? ეს სიტყვა როგორ იწყება?“ ეს კითხვები ტესტირებას ნიშნავს. ჩვენ ბავშვს კითხვებს ვუსვამთ და პასუხების გაცემას ვთხოვთ, – ძალიან ცოტა ჩვენგანი მიიღებს სიამოვნებას იმ გაკვეთილისგან, რომელზეც მუდმივად გამოკითხვას გიტარებენ. კითხვების დასმა ინფორმაციის მოპოვებაა და არა გაზიარება. არის შემთხვევები, როდესაც საჭიროა ტესტის ჩატარება, რათა შეაფასო, რა ისწავლა ბავშვმა და რისი გაგება შეუძლია, რამდენად ეფექტიანი იყო სწავლება და როდის უნდა გადავიდეთ შემდეგ საფეხურზე. მაგრამ ნუ აგერევთ ერთმანეთში სწავლება და ტესტირება და ნუ გადააქცევთ სწავლებას ტესტირებად. ერთ-ერთ კვლევაში მასწავლებლებს ჰკითხეს, კითხვისთვის განკუთვნილი დროის რა ნაწილს უთმობდნენ ისინი ტექსტის გაგების უნარის სწავლებას. მათ თქვეს, რომ ეს დრო 20%-ს შეადგენდა. როდესაც მკვლევრები გაკვეთილზე შევიდნენ და შეამოწმეს, კითხვისთვის განკუთვნილი დროის რა ნაწილს უთმობდნენ მასწავლებლები ტექსტის გაგების უნარის სწავლებას, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები კითხვისთვის განკუთვნილი დროის 20%-ს უთმობდნენ გაგების უნარის ტესტირებას და არა გაგების უნარის სწავლებას.

როდესაც ვსვამთ ისეთ კითხვას, რაზეც ვიცით, რას გვიპასუხებენ, ჩვენ ვამოწმებთ მეორე ადამიანს. ეს არ არის ინფორმაციის მიღების მიზნით დასმული კითხვა, ეს უფრო იმას ნიშნავს, რომ გაიგო, მეორე ადამიანი იცის თუ არა პასუხი. შესაძლოა, ამან მეორე ადამიანს დისკომფორტი შეუქმნას და მე ვშიშობ, რომ ეს ხშირად ხდება დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების შემთხვევაში. ისინი მალე სწავლობენ, როგორ გადაატანინონ უფროს ადამიანს ყურადღება სხვა რამეზე და პასუხი არ გასცენ. თუ ისინი შეცდომას უშვებენ, უფროსი ადამიანი აუცილებლად შეუსწორებს, რასაც ბავშვები უგულუბელყოფენ. მაგალითად, როდესაც უფროსი ეკითხება ბავშვს: „რა ფერისაა შენი პალტო?“ შესაძლოა, ბავშვმა უპასუხოს „წითელი“. შემდეგ უფროსმა შეიძლება უთხრას: „არა, არ არის წითელი. ახლა მითხარი, რა ფერია?“ და განაგრძოს გამოკითხვა მანამ, სანამ ბავშვი არ მიხვდება ან არ გაჩერდება, ან უფროსი ეტყვის: „ის არ არის წითელი, ის ცისფერია.“ ბავშვი ასეთ დროს სწავლობს იმას, რომ მისთვის უფრო უსაფრთხოა უმწეოს როლში იყოს, ვიდრე მარცხი განიცადოს.

იქნებ მუდმივად გამოკითხვას სჯობს, ბავშვს გავუუმჯობესოთ საუბარში ჩაბმის უნარი? ხშირად იმიტომ ვსვამთ ამგვარ კითხვებს, რომ ჩვენ თვითონ არ ვიცით, როგორ წარვმართოთ ბავშვთან საუბარი. სცადეთ და მიეცით ბავშვს შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვროს საუბრის თემა.

როდესაც ვასწავლით, ხელს ვუწყობთ ბავშვს სწავლის შესაძლებლობების ათვისებაში, ვაძლევთ ფიქრის შესაძლებლობას, ვეხმარებით ახალი უნარებისა

და ინფორმაციის შექმნაში, უნარების განვითარებაში, პრობლემის გადაჭრაში, სწავლის სტრატეგიების, ინფორმაციისა და გამოცდილების ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენებაში.

იტყუება. სურათებს უყურებს

ერთ-ერთი მასწავლებელი ჩვენი პროგრამის გასაცნობად მოვიდა, რათა გაეგო, როგორ ვასწავლით ბავშვებს კითხვას და კითხვის გაკვეთილებს ესწრებოდა. ხუთი წლის მოსწავლის, კიმის მაგიდაზე დავდეთ ოთხი ბარათი, რომლებზეც იყო სურათები და სურათების ქვეშ კი საგნის აღმნიშვნელი დაწერილი სიტყვები. მე კიმს ვაჩვენებდი ბარათს ერთ-ერთი დაწერილი სიტყვით და კიმს უნდა წაეკითხა სიტყვა და მიესადაგებინა ის მის წინ დადებული ბარათებიდან რომელიმე სურათის ქვეშ დაწერილი სიტყვისთვის. თუ კიმი არ იყო დარწმუნებული, რომ მიაგნო სიტყვას, ის უყურებდა სურათის ქვეშ მიწერილ სიტყვას, მოძებნიდა მას, შეხედავდა სურათს და მეუბნებოდა, რა სიტყვა იყო ეს. მასწავლებელმა, რომელიც ჩემს ზურგს უკან იდგა, ველარ აიტანა ეს სიჩქუნა, წინ წამოიწია და ყურში ჩამჩურჩულა: „იტყუება! ის პოულობს სიტყვას ბარათზე და უყურებს სურათებს“.

მე ვასწავლიდი, ტესტს კი არ ვატარებდი. კიმი იყო მოსწავლე-ნიმუში. ის ეფექტიანად იყენებდა მისთვის შემუშავებულ სტრატეგიას, რომელიც ეხმარებოდა მას სიტყვების წაკითხვის სწავლაში. ის სიტყვების წაკითხვის შესწავლის პროცესში იყო. მას არ უტარებოდა ტესტი. მე სწავლების სტრატეგიის დემონსტრირებას ვახდენდი, ტესტირებას კი არა ვატარებდი (მადლობა ღმერთს, რომ ეს მასწავლებელი ჩვენი პროგრამის შესასწავლად მოვიდა. არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს დაეხმარა, მაგრამ მე კი ნამდვილად დამეხმარა, გამემახვილებინა ყურადღება ერთ-ერთ მთავარ პრობლემაზე, რაც მასწავლებლებს აქვთ ხოლმე. ბევრი მათგანი სწავლებას ტესტირებისაგან ვერ ასხვავებს).

გახსოვდეთ, რომ კითხვის შესწავლა ნელი პროცესია. მოსწავლეს არ შეუძლია ყველაფრის ერთდროულად შესწავლა. ნუ აჩქარდებით და მიჰყევით მოსწავლის ტემპს. დარწმუნდით, რომ მან სიტყვების ერთი ჯგუფი კარგად აითვისა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანეთ ახალი სიტყვები. მიაწოდეთ ასოები, ასო-ბგერები და ახალი ცნებები თანდათანობით. მიეცით მოსწავლეს დრო და კითხვა სასიამოვნო საქმიანობად აქციეთ. ჩვენ გვიყვარს იმ საქმის გაკეთება, რასაც კარგად ვაკეთებთ. დარწმუნდით, რომ ის სწავლების ყოველ საფეხურზე კარგად ითვისებს მასალას, და მიეცით მიღწეული წარმატებით სიამოვნების საშუალება.

**ინდივიდუალურად
პიუჯაჟით
მონსაკლუს**

ეს პროგრამა არის იმის შესახებ, თუ როგორ მოვუძებნოთ ინდივიდუალური მიდგომა ცალკეულ მოსწავლეს. ეს გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს გადავაწყვეტინოთ, რა სიტყვები ვასწავლოთ (მოსწავლისთვის აზრის მქონე და გამოსაყენებელი სიტყვები); რა რაოდენობის სიტყვები ვასწავლოთ; როდის შევიტანოთ ახალი ცნებები; როდის მივმართოთ ახალ მიდგომას; როდის გადავიყვანოთ და გადავიყვანოთ თუ არა, კითხვის სხვა პროგრამაში; დასძლევს თუ არა მოსწავლე კითხვისათვის საჭირო ფონეტიკას; რა ხანგრძლივობისა უნდა იყოს კითხვის გაკვეთილები. გარკვეული დროის შემდეგ ჩვენ გვინდა, რომ მოსწავლემ თვითონ გადაწყვიტოს, რა დონეს უნდა მიაღწიოს კითხვაში. თუ თქვენ ინდივიდუალურად უდგებით მას და გინდათ მიაღწიოს წარმატებას, მაგრამ ბავშვი ამას მაინც ვერ ახერხებს, რაღაც შეცდომა დაშვებული.

**დაგეგმეთ
სწავლების
სტადია**

სწავლების სტადიები, რომლებზეც დაფუძნებულია ამ წიგნში აღწერილი სანიმუშო გაკვეთილები, შემდეგია: ათვისება, შეუფერხებლად კითხვის პრაქტიკა, ათვისებულის გამოვლენის უნარი და განზოგადება. ეს სტადიები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა და უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას ამ წიგნში აღწერილი კითხვის პროგრამის საფეხურების და აქტივობების შესახებ, თითოეული მათგანი ცალ-ცალკეა განხილული.

ათვისება არის პირველი სტადია. ამ სტადიაზე ბავშვს არა აქვს ინფორმაცია და უნარი. კითხვის შემთხვევაში ბავშვმა არ იცის სიტყვები, ასოები, ასო-ბგერები – ეს მისთვის ახალია. ამ სტადიაზე ჩვენ უნდა ვუთხრათ, რა სიტყვაა ეს, ვაჩვენოთ, როგორ დააწყვილოს სიტყვები და ვუკარნახოთ, როგორ შეარჩიოს და გამოთქვას სიტყვა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ სიტყვის (ან ასოს, ან ასო-ბგერის) ათვისებასა და მისი მნიშვნელობის გაგებაში.

მეორე სტადია არის შეუფერხებლად კითხვისათვის ვარჯიში. ბავშვს სიტყვა მივაწოდეთ; ბავშვმა ის დააწყვილა სხვა სიტყვასთან, ამოარჩია, წარმოთქვა, მაგრამ სჭირდება ვარჯიში, რომ შეუფერხებლად წაიკითხოს.

ამ სტადიაზე ის თამაშობს სიტყვების დაწყვილების, შერჩევისა და წარმოთქმის თამაშებს და შეუძლია გადავიდეს სურათებისა და ბარათების, ბინგოს, ლოტოსა და სხვა თამაშებზე. ეს სტადია ხშირად ემთხვევა შემდეგ სტადიას – ათვისებულის გამოვლენას.

ათვისებულის გამოვლენის სტადიაზე ბავშვი ამჟღავნებს სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი სიტყვის წაკითხვის უნარს. მაგალითად, თუ ის კითხულობს ბარათზე დაწერილ სიტყვას და წიგნებსა და თამაშებში შეხვდება იმავე სიტყვას სხვადასხვა შრიფტითა და ზომით, მას დასჭირდება ათვისებული უნარის გამოვლენა იმავე სიტყვის წაკითხვის დროს. ეს სტადია შეიძლება დაემთხვეს შეუფერხებლად კითხვის სტადიას და, იმავდროულად, იყოს განზოგადების სტადიის დასაწყისი.

განზოგადების სტადიაზე ბავშვი სწავლობს კითხვის უნარის ყველა სიტუაციაში გამოყენებას; მან უნდა შეძლოს ამ უნარის გამოყენება, სადაც და როდესაც მიეცემა საშუალება და დასჭირდება წაკითხვა. მას შეუძლია სიტყვების წაკითხვა წიგნებში, წინადადებებში, შენიშვნებში, ინსტრუქციებში, რეცეპტებში, წერილებში; ეტიკეტებზე, საყიდელი ნივთების სიაში; იარღილებზე, ნიშნებზე, მისალოც ბარათებზე, რუკებსა და ადგილის აღმნიშვნელ დაფებზე – და მან იცის ამ სიტყვების მნიშვნელობა და მათი წაკითხვა საჭიროებისა და სურვილისამებრ.

მამა! მამა!

მაშინ, როდესაც ვიეტნამის ომის ტყვეები სახლში ბრუნდებოდნენ, გაზეთ „თაიმსში“ დაიბეჭდა პლაკატი, რომელზეც დიდი წარწერა იყო: „მამა, კეთილი იყოს შენი დაბრუნება“. ეს გაზეთი იდო სუპერმარკეტის გასასვლელთან, სალაროს გვერდით მდგომ სტენდზე. ოთხი წლის გოგონა ბ. ჯ. დედამ გორგოლაჭებიანი ეტლით სალაროსთან მიაგორა. მან დაინახა გაზეთი და მაშინვე იცნო სიტყვა „მამა“, თითო გაიშვირა და დაიყვირა: „მამა, მამა“ მან განზოგადა. მან იცნო სხვა შრიფტით დაწერილი, სხვა ფორმითა და სხვა ადგილას წარმოდგენილი სიტყვა და შეძლო მისი წაკითხვა (მან მოლარეზეც კი მოახდინა შთაბეჭდილება).

კარაქის გაკეთებას ვაპირებთ?

საბავშვო ბაღში, გაკვეთილზე, დაფაზე ვწერ ხოლმე ბავშვებისთვის დავალებებს. ერთ დღეს დაფაზე დავწერე: „დღეს ჩვენ გავაკეთებთ კარაქს.“ ჩვენი გაკვეთილის თემა იყო ფერმის ცხოველებისა და ძროხების შესახებ ინფორმაცია. იმ დღეს დაგეგმილი აქტივობა იყო კარაქის შედღვევა. ბავშვებს ერთმანეთისთვის უნდა გადაეცათ არაუნიტ სავსე კონტეინერი და ენჯღრიათ მანამ, სანამ კარაქი გაკეთდებოდა. საუბრის დროს ამ კარაქს პურზე წავუსვამდით. ეს იყო ამ ჯგუფში ახალი აქტივობა. როდესაც კარი საკლასო ოთახში შემოვიდა და შეხედა დაფას, კარგად დააკვირდა და გაკვირვებულმა იკითხა: კარაქის გაკეთებას ვაპირებთ?

კარმა შეძლო კითხვის უნარის გამოყენება, გაიგო და აღიქვა ახალი დავალება, რომელიც მას ადრე არ ენახა. კითხვა აღმოჩნდა მნიშვნელობის მატარებელი და სასარგებლო უნარი, რომელიც მან კარგად განაზოგადა.

ამ წიგნში მოცემული გაკვეთილების მიზნების აღწერის დროს მე არ განვიხილე ათვისებულის გამოვლენის სტადიის მიზნები, რადგან ისინი ჩართულია გაწაფულობაში ვარჯიშისა და განზოგადების სტადიაში. თუმცა, თუ ბავშვს უჭირს კითხვის უნარის გამოყენება სხვა ფორმით წარმოდგენილი სიტყვის წაკითხვისას, დაამატეთ სწავლების კიდევ ერთი საფეხური. შეიმუშავეთ ისეთი აქტივობები და თამაშები, რომელთა დროსაც ბავშვი ივარჯიშებს ისეთი სიტყვების დაწყვილებაში (ბარათებზე, რომლების წაკითხვაც შეუძლია), რომლებიც სხვადასხვა შრიფტით არის დაწერილი. თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოიგონოთ არჩევითი თამაშები, რომელთა დროსაც ბავშვი განასხვავებს სხვადასხვა შრიფტით დაწერილ ერთსა და იმავე სიტყვას. მაგალითად, თუ ბავშვს შეუძლია ბარათებზე მოცემული სიტყვების – სალი, დედა, მამა – წაკითხვა, მაგრამ ვერ ცნობს მათ, თუ ისინი სხვა ფორმითაა წარმოდგენილი, დაამზადეთ რამდენიმე ბარათი ერთსა და იმავე სიტყვაზე განსხვავებული შრიფტითა და ზომით. ბავშვი იპოვის ყველა ბარათს სიტყვით სალი, შემდეგ ყველა ბარათს სიტყვით დედა და შემდეგ ყველა ბარათს სიტყვით მამა.

გაეროს მოვალეობა კითხვისთვის

მშობლები ხშირად გვეკითხებიან, როგორ მოამზადონ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები კითხვისთვის. აქაც იგივეა გასაღები, რაც სხვა ბავშვების შემთხვევაში: ბავშვს უნდა ჰყავდეს მზრუნველი ოჯახი, რომელიც შეუქმნის მას სათანადო გარემოს და ხელს შეუწყობს სწავლაში. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებიც ისევე რეაგირებენ თბილ ოჯახზე, როგორც სხვა ბავშვები. მათ იციან თავიანთი შესაძლებლობების საზღვრები, იციან, რომ ამ საზღვრებში აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება და რომ სხვადასხვა არჩევანს მოჰყვება ასევე სხვადასხვა შედეგი, რაც ბუნებრივია და ლოგიკური. ამ შედეგებს თანამიმდევრულად იღებენ მათზე მზრუნველები ისე, რომ ბავშვები ათვისებენ მათი ქცევის ზემოქმედებას საკუთარ გარემოზე.

გარდა ამისა, ადრეული ჩარევის, სკოლამდელი და საბავშვო ბაღების პროგრამები ეხმარებიან მშობლებს მათი ბავშვების განსაკუთრებული საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ბევრი მშობელი ირჩევს ინკლუზიურ სკოლამდელ გარემოს და არა სპეციალური სწავლების დაწესებულებას. ეს არჩევანი სულ უფრო მეტ უპირატესობას იძენს და მოვა დრო, როცა სპეციალურ სკოლამდელ დაწესებულებას აღარავინ აირჩევს. მიუხედავად ამისა, უდიდესი ყურადღება სკოლამდელი და საბავშვო ბაღის შერჩევასა ენიჭება პროგრამის ხარისხს: პროგრამა ეფექტიანად უნდა ახერხებდეს ბავშვისთვის აუცილებელი მიზნების მიღწევას. იგი სწორად და კარგად უნდა იყოს მორგებული ბავშვების საჭიროებებზე.

**როგორ
მოვაპყრობ
ბავშვი
კითხვისთვის**

თუ თქვენ მშობელი ხართ და კითხულობთ ამ წიგნს, მანსი იმისა, რომ თქვენ კარგი სამუშაო ჩაატარეთ თქვენი შვილის კითხვისთვის მოსამზადებლად, ძალიან მაღალია. თქვენ კითხულობთ ინფორმაციისა და სიამოვნების მიღების მიზნით და გიყვართ კითხვა. თქვენ მაგალითი ხართ თქვენი შვილისთვის. კითხვა თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია და თქვენი შვილი ხედავს ამას. იგი ხედავს, რომ ხშირად თქვენ კითხვას არჩევთ და რომ ეს თქვენთვის სასიამოვნო და სასარგებლო ქცევაა. გარდა ამისა, ალბათ, ბავშვისთვისაც გაქვთ შეძენილი საინტერესო წიგნები დასათვალიერებლად და მათ შესახებ სასაუბროდ, ვიდრე იგი თვითონ შეძლებს მათ წაკითხვას. თქვენ ყოველთვის უკითხავთ მას წიგნებს. იგი ბიბლიოთეკაშიც დაგყავთ და აძლევთ წიგნების შერჩევას საშუალებას. თქვენ უკვე ასწავლეთ, რომ კითხვა სასიამოვნო, პოზიტიური გამოცდილებაა და კითხვის ცოდნა სასურველია. ბავშვმა იცის წიგნების მოვლა და სიყვარული. ისინი მისთვის სიამოვნების წყაროა.

თუ უკვე ნაყიდი გაქვთ თქვენი შვილისთვის წიგნები და უკითხავთ, თქვენ, ალბათ, უმღერით კიდევ ბავშვს, ასწავლით სიმღერებს, უგროვებთ საყვარელ სიმღერებს და აძლევთ სიტყვებისა და ლექსების მოსმენის საშუალებას. ამასთან, თქვენ არც სათამაშოები და მასალები გამოგრჩენიათ, ასწავლეთ ამ მასალის

გამოყენება და მიეცით თავისი სამყაროს შესწავლის შანსი. თუ თქვენი შვილი ოთხი ან მეტი წლისაა და არა აქვს ამოხატული ინტელექტუალური დარღვევა, ალბათ, უკვე აქვს დაკვირვების, ურთიერთქმედებისა და გარჩევის უნარი, რაც აუცილებელია კითხვის პროგრამის დასაწყებად.

თუ ფიქრობთ, რომ თქვენს შვილს არა აქვს ეს უნარები და გსურთ, გაიგოთ, რომელი თოჯინა თუ მასალა დაგეხმარებათ კითხვისთვის ბავშვის მოზარდებაში, ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი რჩევა, რომელთა შესრულებაც შეიძლება კითხვასთან ერთად.

მოუტანეთ ბავშვს ისეთი თამაშები და სათამაშოები, რომლებიც ჩამოუყალიბებს გარჩევის, პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციისა და წარმოსახვის უნარებს. მიეცით ბავშვს სათამაშოს არჩევის თავისუფლება, დაე, თვითონ იყოს ლიდერი. გააჩაღეთ მასთან ურთიერთობა რიგითობის დაცვით. დაიწყეთ იმის იმიტაციით, თუ როგორ ექცევა იგი სათამაშოებს. ოღონდ გააკეთეთ ეს მაშინ, როცა თქვენი რიგი მოვა. თუ ურთიერთობა კარგად მიდის, განაგრძეთ, წადით უფრო შორს და ასწავლეთ ბავშვს შემდეგი ნაბიჯი, აჩვენეთ ახალი სტრატეგია და კომუნიკაციის თუ სიტყვის მოზარდების შემდეგი ეტაპის მოდელირება. მიეცით ბავშვს შეუზღუდავი საშუალება, თვითონ გააკეთოს ყველაფერი და არც მისი წახალისება დაგავიწყდეთ (უფრო მეტი ინფორმაციისთვის რიგითობის დაცვის შესახებ იხ. თავი 2). თქვენი ურთიერთობა ბავშვთან უნდა იყოს პოზიტიური, ხოლო მასთან გატარებული დრო – სასიამოვნო ორივესთვის. თუ რომელიმე თქვენგანი ვერ იღებს ამ პროცესისგან სიამოვნებას, სავარაუდოდ, სწავლის პროცესი მანაც დაწყებულია და ძალთა ჭიდილი მიმდინარეობს.

რამდენიმე ძირითადი რჩევა სათამაშოებისა და მასალების თაობაზე მოცემულია ქვემოთ (თუ ზედმეტი ყურადღებით გავივლით სკოლამდელ პროგრამასა და მასალას, ვერასდროს მივალწევთ კითხვამდე, თქვენ კი ხომ სწორედ ამიტომ კითხულობთ ამ წიგნს! თუ მეტი დანაშაურობა გჭირდებათ ამ სფეროში, მაშინ მიმართეთ სკოლამდელ პროგრამას).

(1) სხვადასხვანაირი ფორმით სავსე კოლოფები და ბურთები, რაც მოითხოვს ბავშვისგან ამ საგნებზე იმ ადგილების პოვნას, რომელთაც ეს ფორმები კარგად მოერგება. ასეთი თამაში ძალზე სასარგებლოა პატარებისთვის. ბავშვი სწავლობს ყურადღების კონცენტრირებას ფორმებსა და ამოცანაზე, ეძებს შესაბამის ნახვრეტს ფორმისთვის და სათანადო მიმართულებით აბრუნებს საგანს, რათა მოარგოს მას. ბავშვი სწავლობს ფორმის ამოცნობას, პრობლემის გადაჭრასა და თვით საგნების ბუნებას. გარდა ამისა, იგი სიამოვნებას იღებს დავალების შესრულებისა და იმის სწავლისგან, რომ ყველა მოქმედებას აქვს დასაწყისი, განვითარების ეტაპი და დასასრული (ასევე დასაშვებია დაფების გამოყენება). კოლოფებისა და ბურთების გახსნის შესწავლაც ხომ საგანმანათლებლო საქმეს ემსახურება.

(2) ფაზლები იმავე საგნების გამორჩევისა და პრობლემის გადაჭრის სწავლას ემსახურება, როგორც ფორმებით სავსე კოლოფები და ბურთები. დაიწყეთ მარტივიდან, ანუ ისეთი ფაზლიდან, რომელშიც მხოლოდ ერთი დეტალია მისამატებელი, და შემდეგ თანდათან გაართულებთ. საერთოდ, ბავშვებს უყვართ ფაზლები. თუ თქვენ ბავშვსაც მოეწონება ასეთი გართობა, აღნიშნეთ, წახალისეთ მისი ინტერესი და მოამარაგეთ მეტი ფაზლით. (3) აუცილებელია წერისთვის დიდი სივრცე, როგორცაა დაფა სხვადასხვა ფერის ცარცთან

ერთად (კვლევამ იმ ბავშვებზე, რომლებმაც ადრე დაიწყეს კითხვა, ანუ ტიპურ მკითხველზე, გამოავლინა, რომ ყველა იმ ბავშვს, რომელმაც სკოლამდელ ასაკში ისწავლა კითხვა, სახლში ჰქონდა დიდი და მისთვის ხელმისაწვდომი საწერი სივრცე). გარდა ამისა, შეიძინეთ თქვენი ბავშვისთვის სხვა საწერი და სახატავი მასალებიც, როგორცაა ფლომასტერები (არაჩვეულებრივია, რადგან ისინი ბევრის საშუალებას აძლევს ბავშვებს მცირე ძალისხმევის საფასურად), ფერადი ფანქრები. უხვად მოიმარაგეთ იაფი ქაღალდი (ცალი მხრიდან ნაბეჭდი ან ნებისმიერი სხვა ფურცლები, რომლების გამოყენებასაც შეძლებს ბავშვი).

(4) კუბები, ცხოველები, მსუბუქი თუ სატვირთო მანქანები და ადამიანის ფიგურები, რომელთა გამოყენება შეიძლება თამაშისას (მაგალითად, ზოოპარკების, ფერმების, გარაჟებისა და გზების მშენებლობა).

(5) თოჯინები, რბილი ცხოველები, პატარა მაგიდები და სკამები, ჭურჭელი უკვე იწვევს ბავშვებში მათი პრაქტიკულად გამოყენების სურვილს. მართალია, ისინი თამაშობენ, მაგრამ ამ დროს სწავლობენ თითოეული ასეთი საგნის დანიშნულებასა და გამოყენებას და ასევე ურთიერთობას ოჯახის წევრებთან.

(6) სახლში საყოფაცხოვრებო საგნები, როგორცაა ქვაბები და ტაფები; ძველი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდები, კაშნეები, ხელთათმანები; ყველა ზომის ყუთები (მშენიერი იქნება, მაგალითად, დიდი ყუთი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სახლი) და, რა თქმა უნდა, ქვიშიანი ყუთი.

(7) მიანიჭეთ ბავშვს საზოგადოებაში ყოფნის სიამოვნება, – ამ გზით იგი მიიღებს ბევრ სასარგებლო ინფორმაციას გარემოსა და ადამიანების შესახებ. დაე, წინასწარ იცოდეს, რას უნდა მოელოდეს და როგორ უნდა მოიქცეს სახლის კედლებს გარეთ. გაუჩინეთ მას მიზანი, სხვა ადგილებში სიარულის სურვილი, ისე, რომ ამგვარი გასეირნება აზრს ატარებდეს მისთვის. მაგალითად, ბავშვს შეუძლია თავისი ნახატის ჩადება კონვერტში და ბებიასთან გასაგზავნად წამოსვლა თქვენთან ერთად ფოსტაში. იგი წერილის საფოსტო ყუთში ჩადებასაც მოახერხებს. გზაში შეგიძლიათ მოუყვეთ, თუ რას აგზავნის და ვის უგზავნის ამ ნახატს. ასევე შეგიძლიათ მისცეთ ბავშვს რაიმე ქიმწმენდაში წასაღები და მიატანინოთ იქ. თან უნდა აჩვენოთ, როგორ წმენდენ ასეთ ადგილებში ტანსაცმელს. თუ ბავშვი შეძლებს, მან თვითონ აჩვენოს ქიმწმენდის თანამშრომელს ტანსაცმელზე დასვრილი ადგილი. მიეცით ნება, თვითონ გადაწყვიტოს, რისი ყიდვა უნდა სუპერმარკეტში. მიეცით ბავშვს მისთვის სასურველი საქონლის იარლიყი ან შესაფუთი პარკი, წაიყვანეთ და აჩვენეთ, როგორ შეიძლება თაროებზე სასურველი საქონლის მოძებნა. ბავშვთან ერთად დაგეგმეთ გასეირნების მიზანი – თუ მიდიხართ იხვების გამოსაკვებად, წამოაღებინეთ მას ძველი პური პარკით; თუ პარკში მიდიხართ, დაიხმარეთ ბავშვი სენდვიჩების გაკეთებაში, წამოაღებინეთ საკვებიანი ჩანთა ან უბრალოდ წამოაღებინეთ ბურთი ან სხვა რაიმე სათამაშო

(თუ სასეირნოდ გასვლას ნაკლები მნიშვნელობა აქვს თქვენი შვილისთვის ან მას არა აქვს არავითარი მიზანი გარეთ გასასვლელად, მაგალითად, ხანგრძლივი სიარული საყიდლებზე, როცა თქვენ არაერთხელ მოგიწევთ ტანსაცმლის მოზომება, რაც ბავშვისთვის სრულიად უინტერესო და დამლელია, ნუ წაიყვანთ ასეთ ადგილებში. ასეთ შემთხვევაში უარესი შედეგი გექნებათ მისი ქცევების თვალსაზრისით, ბავშვი დაიწყებს დამალვას მისთვის არასასიამოვნო სიტუაციებისგან).

(8) სურათებიანი ბარათები და დასურათებული სათამაშო ლოტოსა უკეთესოა ბავშვისთვის. ისინი გამოუმუშავებენ მას საგნების მისადაგების, შერჩევისა და დასახელების უნარს, რაც გამოიყენება კითხვის პროგრამაში. ასეთი სურათები ასევე დიდ სამსახურს უწევს ბავშვს ლექსიკონის ჩამოყალიბებაში. სურათებიანი ბარათები, ჩვეულებრივ, თითქმის ბანქოს ფურცლების ტოლია და მათზე დატანილია მარტივი და ნაცნობი საგნები (თოჯინა, ბურთი, ავტობუსი, მანქანა, ჩიტი, ძაღლი და ა.შ.). ასეთი ბარათები თითქმის ყველა წიგნის მალაზიასა და სხვა მალაზიების საბავშვო განყოფილებებშია. იყიდეთ ორი შეკვრა ისე, რომ შეგეძლოთ მისადაგებასა და შერჩევასთან დაკავშირებული თამაშების თამაში.

ლოტოს თამაშებში უფრო დიდი ზომის ბარათებია, რომლებზეც ეტევა ექვსი-რვა ნახატი, და, ასევე, მცირე ზომის ბარათები, რომლებიც ბავშვმა უნდა მიუსადაგოს დიდ ბარათზე გამოხატულს. არის თამაშები მარტივი ნახატებით და არის უფრო სხვადასხვა კატეგორიაში მოცემული საგნები, როგორცაა, მაგალითად, ფერმის ან ზოოპარკის ცხოველები, ყვავილები, ხილი, ბოსტნეული და ა.შ. გარდა ამისა, არის ლოტოს ისეთი სახეობებიც, რომლებშიც საქმე გვაქვს ციფრებთან, ალქმასა და სიმბოლოებთან.

**როგორ მიხვდეთ,
რომ ჩემი შვილი
მზად არის კითხვის
შესასწავლად**

იგივე პროცედურა, რაც გამოიყენება ბავშვებთან სურათებიანი ბარათების ამოცნობისა და ლოტოს თამაშის სწავლებისას, გამოიყენება სიტყვების მხედველობით შესწავლისას. როცა სკოლამდელ ბავშვს შეუძლია სურათების ამოცნობა და ერთმანეთთან მისადაგება, ის, ჩვეულებრივ, უკვე მზად არის კითხვის შესასწავლად. თუ ბავშვს არ შეუძლია ლოტოს სურათების ამოცნობა და ერთმანეთთან დაკავშირება, კითხვის სწავლის შანსიც ნაკლებია (თუ ბავშვი თავს ართმევს ლოტოს თამაშს, მაგრამ უარს ამბობს კითხვის სწავლაზე, ეს უკვე სულ სხვა ამბავია.)

ვაშინგტონის უნივერსიტეტში შექმნილი პროგრამა (აღწერილია წიგნში) ბავშვებს ასწავლიდა ლოტოს ბარათების მისადაგებას, შერჩევასა და დასახელებას. როცა ბავშვებმა შეძლეს ლოტოს სურათების მისადაგება, რასაც სჭირდება სურათების ერთმანეთისგან გარჩევის კარგი უნარი, ისინი გადაიყვანეს კითხვის პროგრამის საწყის ეტაპზე. ბავშვებისთვის, რომლებიც არ ყოფილან ამ პროგრამის მონაწილენი და არ ჰქონდათ ამგვარი გამოცდილება, ჩატარებულ იქნა, ასე ვთქვათ, გამოცდა ლოტოს ნახატების გამოცნობაში, ანუ შეამოწმეს, იყვნენ თუ არა ისინი მზად კითხვის სწავლისთვის. თუმცა, მე აღმოვაჩინე, რომ ზოგჯერ ბავშვებს სულაც არ ჰქონდათ ლოტოს სურათების მისადაგების ინტერესი, – ისინი იღლებოდნენ ამ საქმიანობისგან, ამ საქმიანობას არ ჰქონდა მათთვის მნიშვნელობა ან ისინი ასაკით უფრო დიდები იყვნენ და ლოტოს სურათების შერჩევა, მათი აზრით, პატარების საქმეა (ანუ საქმიანობა არ იყო მათი ასაკის შესაფერისი). იგივე ბავშვები ხშირად უფრო დიდ ინტერესს იჩენენ სიტყვებისა და მათი ოჯახის წევრების ფოტოების მიმართ.

ჩემი აზრით, უმჯობესია „კითხვისთვის მზადყოფნის“ შემოწმება კითხვის პროგრამის პირველი საფეხურის წარმოდგენით, ანუ სიტყვების მისადაგებით ფოტოებთან (ამ საფეხურის უფრო დეტალურად გაცნობისთვის იხ. მე-8 თავი). თუ თქვენს შვილს შეუძლია სიტყვების მისადაგება და დავალების შესრულება, მას, ალბათ, აქვს სათანადო უნარი კითხვის პროგრამის დასაწყებად. თუ არ შეუძლია სიტყვების მისადაგება, იქნებ მან უკეთესად შეძლოს ეს ლოტოს ან ფოტოების მეშვეობით ხაზის გავლებით შესაბამის საგნამდე. ასეთ დროს ნუ ეცდებით მისთვის კითხვის სწავლებას. თუ არ გამოხატავს ინტერესს დავალებისადმი, მისთვის კითხვას არავითარი აზრი არ ექნება. ასეთი შემთხვევა

მიგვითითებს იმაზე, რომ ბავშვს არ გააჩნია ბიჰევიორული თუ კოგნიტიური უნარები, რაც აუცილებელია პროგრამაში წარმატების მისაღწევად. მოიცადეთ რამდენიმე თვე და ისევ სცადეთ.

ბავშვები, რომლებსაც ასწავლიდნენ მზადყოფნას კითხვისთვის, საუკეთესონი იყვნენ მზადყოფნაში კითხვისთვის; ბავშვები, რომლებსაც ასწავლიდნენ კითხვას, საუკეთესონი იყვნენ კითხვაში.

პრეზენტაციისას კლასის წინაშე დოქტორმა ჯეიმზ მოსმა ისაუბრა კვლევით პროექტზე. კვლევაში მონაწილეობდა სპეციალური განათლების სუბიექტების ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფი ჩართულ იქნა პირველ კლასში, მეორე კი გაამწესეს სპეციალური განათლების კლასში. პირველ კლასში განაწილებული ბავშვები კითხვას სწავლობდნენ თანატოლებთან ერთად; სპეციალური განათლების კლასში განაწილებული ჯგუფი კი ეუფლებოდა კითხვისათვის მომზადების უნარებს. სასწავლო წლის დასასრულს შემოწმდა ორივე ჯგუფი. ჯგუფი, რომელიც სწავლობდა კითხვას, უკეთესად კითხულობდა; ჯგუფი, რომელიც ეუფლებოდა კითხვისათვის მზადყოფნის უნარებს, უკეთესად ასრულებდა კითხვის მზადყოფნისთვის განკუთვნილ დავალებებს.

საზოგადოდ, ბავშვები სწავლობენ იმას, რასაც მათ ასწავლიან. აუცილებელია, შევათვისებინოთ მათ ის უნარ-ჩვევები, რაც მათთვის მნიშვნელოვანი და გამოსადეგი იქნება ცხოვრებაში.

ნიგნუი ალწარილი კითხვის პროგრამის შესახებ

კითხვის პროგრამის დახასიათება

ამ წიგნში აღწერილი კითხვის პროგრამის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია: პროგრამა რამდენიმე მარტივ საფეხურად იყოფა; თითოეულ საფეხურზე ისეთი დავალებები და აქტივობები შემოდის, რომლებიც ბავშვს საშუალებას აძლევენ, მიაღწიოს წარმატებას, გაიწაფოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეს შემდეგ საფეხურზე. პროგრამას ფუნქციური დატვირთვა აქვს, რადგან აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ ბავშვს მყისიერად შეეძლოს სიტყვების გამოყენება. პროგრამაში რამდენიმე ისეთი ხერხი და მეთოდი გამოყენებულია, რომლებიც ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და სწავლის სტილს შეესაბამება და სისტემატურია. უფრო კონკრეტულად:

პროგრამა ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს წარმატების მიღწევაში ეხმარება: პირველ ეტაპზე ბავშვი სიტყვებს ერთმანეთს მიუსადაგებს (უმარტივესი ამოცანა ერთი სიტყვის მეორისთვის მისადაგება). მეორე ეტაპი ბავშვის მიერ სიტყვის შერჩევაა (ის ირჩევს სიტყვას სიტყვიერი მინიშნებით), მესამე კი სიტყვის წარმოთქმაა (ბავშვი სიტყვას წარმოთქვამს ან მიაწინებს მასზე). სიტყვების რაოდენობა ნელ-ნელა იზრდება. მას შემდეგ, რაც მოსწავლე კონკრეტულ სიტყვას აითვისებს, შემოგვავს ახალი სიტყვა. ანბანისა და ასო-ბგერების სწავლება მხოლოდ მას შემდეგ იწყება, რაც ბავშვი ამოკითხვის გარეშე, სიტყვის ვიზუალური ხატის ამოცნობით წაიკითხავს ფუნქციური თვალსაზრისით მნიშვნელოვან რამდენიმე სიტყვას. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ ეტაპზე ბავშვს წარმატების განცდა ჰქონდეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეს შემდეგ ეტაპზე.

პროგრამა ენის შესწავლის გამოცდილებას ეყრდნობა და ისეა ადაპტირებული, რომ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს მოერგოს და იყოს ფუნქციური: ის სიტყვები და წინადადებები, რომელთა კითხვას მოსწავლე სწავლობს, მისი გამოცდილების გათვალისწინებითაა შედგენილი და სწორედ მისთვისაა მნიშვნელოვანი და გამოსადეგი. ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა, ეს სიტყვები დღის განმავლობაში გამოიყენოს. ბავშვის ინტერესითა და წარმატებითაა განპირობებული, თუ რა სიტყვებს ისწავლის და რა სისწრაფით მოხდება ახალი სიტყვების და ცნებების შემოტანა.

პროგრამა მოსწავლის წარმატებულობასა და თავდაჯერებულობას უწყობს ხელს: უპირველესად ხდება იმ მნიშვნელოვანი სიტყვების სწავლება, რომელთაც დიდი ფუნქციური დატვირთვა აქვს. ანბანი და ასო-ბგერები მხოლოდ მას შემდეგ შემოდის, რაც ბავშვი რამდენიმე ასეთი სიტყვის კითხვას ისწავლის. ასოების შემოტანის შემდეგ, ერთდროულად ხდება ფონეტიკისა და ფუნქციური, თვალთ ადვილად აღთქმადი სიტყვების სწავლება. ამასთან, მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება მნიშვნელოვანი და სხვა დამხმარე მეთოდების გამოყენება.

პროგრამაში შინაარსიანი პრაქტიკული მეცადინეობები გამოიყენება: სიტყვების დაასო-ბგერების, ასევე, კითხვის ზოგადი ჩვევების გამოსამუშავებლად და დაწერილი სიტყვების შინაარსის გასაგებად გამოიყენება თამაშები, წიგნები და აქტივობები.

პროგრამა მრავალფეროვანია: ის შეიძლება იყოს ფუნქციური, ენობრივი გამოცდილების შემცველი და, ზოგიერთი ბავშვის შემთხვევაში, ერთადერთი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია. ის შეიძლება „დამწყებთა“ ენის გასამდიდრებლად იქნეს გამოყენებული და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, განიმტკიცონ საკუთარი თავის რწმენა საბაზისო კითხვაში შემდგომი წარმატების მისაღწევად. შესაძლებელია პროგრამისა და სწავლების ხერხების ადაპტირება, რომ მოხდეს მათი გამოყენება კითხვის სხვა პროგრამებთან ერთად.

მასალა მარტივია, არ არის ძვირად ღირებული და ყოველი მოსწავლის მოთხოვნებზეა მორგებული: ბარათები, თამაშები, სქემები და წიგნები ისე შეიძლება დაიხვეწოს, რომ თითოეული მოსწავლის კონკრეტულ მოთხოვნებს მოერგოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მასწავლებლისგან უფრო მეტი სამუშაოს შესრულებას მოითხოვს, მასალა მარტივია და მისი დამზადება არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან.

პროგრამა მოსწავლისა და მასწავლებლისთვისაც სახალისოა: თუკი პროგრამა ორივესთვის არ არის სახალისო, ეს ნიშნავს, რომ თქვენ მას სწორად არ ასრულებთ. თუკი აქტივობები ბავშვისთვის სახალისო და საინტერესო არ არის, პროგრამა უნდა შეწყვიტოთ. ასევე, თუკი თქვენ, მასწავლებელს, მიგაჩნიათ, რომ პროგრამა არაეფექტურია და ბავშვების სწავლება სიამოვნებასა და კმაყოფილებას განცდას არ განიჭებთ, ის უნდა შეწყვიტოთ. თუკი ფიქრობთ, რომ ის მოსაწყენია, პროგრამას ეფექტურად ვერ განახორციელებთ, – გამოდის, ბავშვს არასწორად ასწავლით და შედეგი აუცილებლად წარუმატებელი იქნება.

პროგრამა სისტემატურია: მისი მიზნები და ამოცანები გაცხადებულია; დადგენილია პროცედურები, რომლებიც უნდა შეასრულოთ, სიტყვები, რომლებსაც ასწავლით სისტემაშია მოყვანილი (სიტყვების ანბანური ბანკი და ანბანური წიგნი-ლექსიკონები); გროვდება მონაცემები ბავშვის თანდათანობითი წინსვლის შესახებ; მონაცემების საფუძველზე ხდება ახალი სიტყვებისა და ასოების შემოტანა; ხდება აქტივობების აღწერა სწავლების ყოველ ეტაპზე: ათვისების, სისხარტეში ვარჯიშის, გადაცემისა და განზოგადებისას.

**როგორ
შეაქმიანოთ
ბავშვისათვის
პროგრამა**

ამ წიგნში აღწერილი პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები არ არის გათვალისწინებული იმისთვის, რომ ზედმიწევნით მოერგოს ყველა ბავშვს; არც ის არის აუცილებელი, რომ მასწავლებელმა ყველა ნაბიჯი ზუსტად შეასრულოს. ჩემი მიზანია, საკმარისი ინფორმაცია მოგაწოდოთ იმისთვის, რომ ის ბავშვის საჭიროებებს მოარგოთ. გაითვალისწინეთ ის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, რომელიც თქვენს ბავშვს აქვს და განსაზღვრეთ, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ ესა თუ ის მეთოდი და ხერხი ისე, რომ ის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს. ქვემოთ მოყვანილია წიგნში აღწერილი პროგრამის გამოყენების შესაძლო ვარიანტები:

1. წარმატებაზე ორიენტირებული კითხვის პროგრამა დამწყებთათვის: ზოგიერთი ბავშვისთვის ეს პროგრამა გამოიყენება როგორც კითხვის სწავლების საწყისი პროგრამა. კითხვის სწავლების პროცესი ძალზე სახალისოა, არ თრგუნავს ბავშვს და ხელს უწყობს, გამოუმუშავდეს საკუთარი თავის

რწმენა (თუკი ასე არ ხდება, ესე იგი, მასწავლებელი სწორად არ ახორციელებს პროგრამას და ის უნდა შეცვალოს ან შეწყვიტოს).

პროგრამის მსვლელობისას ზოგიერთი ბავშვი გამოავლენს კითხვის სწავლის კარგ უნარს, კარგად და სწრაფად სწავლობს სიტყვებს და საქმეს ურთულეს მასწავლებელს, რომელიც, ხშირად ვერ ასწრებს მასალის იმ სისწრაფით მომზადებას, რომ ბავშვის სწავლის ტემპს მისდიოს. ასეთი ბავშვები წარმატებით გადადიან საბაზისო კითხვის ეტაპზე და ამისთვის მასწავლებელს ნაკლები შრომის გაწევა უწევს.

საბაზისო კითხვის ეტაპზე მყოფი მოსწავლეები, როგორც წესი, კარგად გადაიან პროგრამას და მისი საშუალებით კითხვის ყველა რთულ ნიუანსსაც სწავლობენ. ინკლუზიურ კლასში მხოლოდ რამდენიმე ბავშვი თუ შეძლებს, დაეწიოს თანატოლებს, სხვები კი კითხვის სწავლების საბაზისო პროგრამას განაგრძობენ, თუმცა, უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მათი თანატოლები. მოსწავლეებს იქამდე შეუძლიათ კითხვის საბაზისო სწავლების კურსის გაგრძელება, სანამ მასალა მათთვის საინტერესო და შინაარსიანი და სანამ ამ პროცესში წარმატების მიღწევის შეგრძნება არ დაეუფლებათ. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი წინსვლას გრძნობდეს და კითხვის პროცესი მოსწონდეს.

2. კითხვის საბაზისო პროგრამის დამხმარე მასალა: ამ წიგნში აღწერილი ხერხებისა და მეთოდების ისე ადაპტირებაა შესაძლებელი, რომ ისინი მოსწავლეს საბაზისო პროგრამის ფარგლებში სასწავლი, მისთვის რთული სიტყვებისა და ცნებების ათვისებაში დაეხმაროს. ზოგიერთი თამაში და აქტივობა შეიძლება ისე გამოვიყენოთ, რომ მოსწავლეს კითხვის ფუნქციური და პრაქტიკული გამოყენება ვასწავლოთ და მას პრაქტიკულ სიტუაციებში იმის დემონსტრირების შესაძლებლობა მიეცეს, რომ წაკითხული ესმის.

3. ენობრივი გამოცდილების შექმნის, კითხვის ფუნქციური პროგრამა: ზოგიერთმა ბავშვმა, შესაძლოა, წარმატებას ვერ მიაღწიოს საბაზისო კითხვის პროგრამაში და ვერ შეძლოს ისეთი ამბების მოყოლა, როგორც, მაგალითად, პიტერისა და ჯეინის ამბავია, როცა ისინი შინაური ცხოველების მალაზიაში წავიდნენ. შეიძლება, მას აღქმასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხიც გაუჭრდეს, მაგალითად, როგორ გრძნობდა ჯეინი თავს, როდესაც მას ფინიამ ცხვირი აულოკა. შეიძლება ბავშვი არც დაინტერესდეს ასეთი ამბით. ასეთი ბავშვებისთვის ეს ერთადერთი კითხვის პროგრამაა, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული. ისინი დამოკიდებულნი იქნებიან კითხვის იმ ჩვევებზე, რომლებსაც ამ პროგრამის საშუალებით ათვისებენ; სწორედ კითხვის მეშვეობით მიიღებენ ინფორმაციას, გაიმდიდრებენ მეხსიერებას, წაიკითხავენ მითითებებს და ნიშნებს, შეძლებენ სხვებთან კომუნიკაციასა და კითხვისგან სიამოვნების მიღებას. ასეთი მიდგომისა და პროგრამით გათვალისწინებული, თავისუფალ დროს საკითხავი წიგნების გამოყენების შედეგად ასეთმა ბავშვებმა – სანამ ისინი კითხვის უნარის ათვისების პროცესში არიან – არ უნდა იგრძნონ თავი დაჩაგრულად მათთან შედარებით, ვინც საბაზისო კითხვის ეტაპზეა. ბავშვმა იმ პროგრამით უნდა განაგრძოს სწავლა, რომელიც მისთვის ყველაზე წარმატებული და შინაარსიანია.

4. თავისუფალ დროს საკითხავი წიგნების „დაგეგმვა“: დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს შეიძლება ვასწავლოთ წიგნების, გაზეთების, ჟურნალებისა და ისეთი მასალის წაკითხვა, რომელიც მათ აინტერესებთ. საკითხავი მასალის არჩევანი ბავშვზეა დამოკიდებული. შესაძლებელია წიგნში აღწერილი ხერხებისა

და მეთოდების ნებისმიერი ისეთი საკითხავი მასალისთვის ადაპტირება, რომლის გაგებასაც ბავშვის ცოდნა და გამოცდილება ითვალისწინებს. ზოგ შემთხვევაში ეს, შეიძლება, იყოს თავისუფალ დროს საკითხავი წიგნები, შესაძლებელია, ასევე, რომ ბავშვმა სხვებსაც წაუკითხოს და ამით გაერთოს.

შენ დედაჩემი ხარ?

რუდი ცხრა წლის იყო. კლასი, რომელშიც ის სწავლობდა, პროგრამით გათვალისწინებულ დედის დღისადმი მიძღვნილ თემაზე მსჯელობდა. როდესაც მასწავლებელმა რუდის ჰკითხა, რისი გაკეთება გინდაო, რუდიმ უპასუხა: „მინდა წავიკითხო წიგნი „შენ დედაჩემი ხარ?“ (ავტორი პ. დ. ისტმანი, წიგნები დამწყებთათვის, Random House). ეს არის ამბავი ახალგამოჩეკილი ბარტყისა, რომელიც ბუდიდან იყო გადმოვარდნილი და ამიტომ დედა არასდროს ენახა. ბარტყი დედის საძებნელად წავიდა და გზად ყველას: კნუტს, წიწილას, ძალს, ძროხას, მანქანას, თვითმფრინავს, გემს და ამწესაც კი ეკითხებოდა: „შენ დედაჩემი ხარ?“. რუდის მასწავლებელმა ისეთი სიტყვების წაკითხვა ასწავლა, რომლებიც რუდიმ ადრე არ იცოდა. მან წიგნის წაკითხვა ძალიან კარგად ისწავლა და კითხვის პროცესი ძალზე შთამბეჭდავი იყო. დედამისი და ყველა, ვინც ამ პროცესს ესწრებოდა, სიხარულს ვერ მალავდა (წიგნების „დაგეგმვა“ მე-16 თავშია აღწერილი).

5. როგორც კომუნიკაციის ხელშემწყობი ვიზუალური ენა: როგორც ზევით აღინიშნა, ამ წიგნში აღწერილი პროგრამა პირველად იმ ბავშვებისთვის კომუნიკაციის დამყარებაში დასახმარებლად იყო გამოყენებული, ვინც არ ლაპარაკობდა. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმრავლესობას მეტყველების ან ენობრივი პრობლემები აქვთ და ეს მათ ვერბალურ კომუნიკაციას ართულებს. ამიტომ ზოგიერთი ბავშვის შემთხვევაში პროგრამაში ძირითადი ყურადღება დაეთმობა კითხვის სწავლებას მეტყველებისა და ენობრივი უნარის გაუმჯობესების მიზნით. კითხვის გამოყენება კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით მოიცავს:

ა) *არტიკულაციაში დახმარებას:* როდესაც ბავშვი ასოების ჟღერადობას ისწავლის და სიტყვის დანახვას შეძლებს, მას შეუძლია დაინახოს ასოები და მარცხლები და განსაზღვროს, თუ როგორ უნდა ჟღერდეს სიტყვა. ხშირად ადამიანს სიტყვაში ყველა ბგერა არ ესმის. მან შეიძლება ვერ გაიგონოს სიტყვის დასაწყისი, შუა ნაწილი ან დაბოლოება. წარმოთქმული სიტყვა ზოგჯერ ერთი წამი ან ნაკლებიც კი ჟღერს. დაწერილი სიტყვა იმდენ ხანს რჩება, რამდენიც ადამიანს სჭირდება. ამდენად, ბავშვს შეუძლია ისწავლოს ის და იფიქროს მასზე.

კი მაგრამ, ნანი რომ ასო ბ-თი არ იწყება?

ჩემი შვილი რომ სკოლამდელი ასაკისა იყო, ერთხელ სუპერმარკეტში წავიყვანე. ბანანების თავზე რომ დიდი წარწერა დაინახა, თქვა: „კი მაგრამ, ნანი რომ ასო ბ-თი არ იწყება?“. ვუთხარი, მართალი ხარ, მაგრამ აქ „ნანი“ კი არა „ბანანი“ წერია-მეთქი და ვაჩვენე ცალკე „ბა“ და ცალკე „ნანი“. საოცრად გაუკვირდა. შინ რომ ვბრუნდებოდით, რამდენჯერმე გაიმეორა, თითქოს დიდი რამ აღმოაჩინა: „ეს ბა-ნანია!“ მას არასდროს გაეგონა „ბა“, მაგრამ, როდესაც დაინახა, დარწმუნდა, რომ ის არსებობს და მან შეძლო ამ მარცხლის რამდენჯერმე გამეორება.

საზოგადოდ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს კითხვისას არტიკულაცია უუმჯობესდებათ. კარგი არტიკულაციის გამომუშავებისთვის კითხვა ძალიან

კარგი ვარჯიშია. ვერ შეგპირდებით, რომ კითხვა მათ არტიკულაციას ბოლომდე გააუმჯობესებს, მაგრამ ის კარგი დამხმარე საშუალებაა. ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს ყოველთვის ექნება არტიკულაციის სირთულეები და ბევრ ადამიანს გაუჭირდება მათი გაგება.

ბ) წინადადების სტრუქტურის სწავლაში დახმარებას. როდესაც ბავშვები მარტივი წინადადების კითხვას სწავლობენ, ისინი სწავლობენ სიტყვების დაკავშირებასა და წინადადებებით საუბარს. ისევე, როგორც სიტყვებში არ ესმით ყველა ბგერა, ხშირად არც წინადადებაში ესმით ყველა სიტყვა. როდესაც სიტყვა ფურცელზეა დაწერილი, ბავშვები მას ხედავენ და აცნობიერებენ, რომ ის იქ არის.

ვაშლის წვენი მინდა, თუ შეიძლება

6 წლის ჯეისონს წინადადებების კითხვა შეეძლო, მაგრამ წინადადებებით კომუნიკაცია – არა. მის წასახალისებლად დედამისი წინადადებებიან ბარათებს იყენებდა. მე მათთან საუბრებზე ვიყავი და შესაძლებლობა მქონდა, თვალყური მედევნებინა მისი მეთოდისთვის. ბავშვი მაგიდასთან იჯდა, დედამ მას წინ წინადადებიანი ბარათი დაუდო, რომელზეც ეწერა: „ვაშლის წვენი მინდა, თუ შეიძლება.“ ბავშვმა დიდი ენთუზიაზმით წაიკითხა ეს წინადადება, ხოლო დედამ ასეთივე ენთუზიაზმით უპასუხა: „ახლავე მოგიტან ვაშლის წვენს.“ მას შემდეგ, რაც დედამ ვაშლის წვენი მიუტანა, ჯეისონს წინ დაუდო კიდევ ერთი წინადადებიანი ბარათი, რომელზეც ეწერა: „ვაშლის წვენი უგემრიელესია.“ ჯეისონმა წინადადება წაიკითხა, თან წვენს სვამდა, და აშკარა იყო, რომ ამას სიამოვნებით აკეთებდა და წვენიც გემრიელი ეჩვენა. სწორედ ეს გამოხატა მან წინადადების წაკითხვისას. დედამ ჯეისონს კიდევ ერთი წინადადების ბარათი დაუდო წინ, რომელზეც ეწერა: „შვრიის ფაფა მინდა, თუ შეიძლება.“ ამ წინადადების წაკითხვისას დედამ ჯეისონს შვრიის ფაფა მიუტანა და ამას მიაყოლა ბარათი წინადადებით: „შვრიის ფაფა უგემრიელესია.“ დედას და შვილს ძალიან მოსწონდათ ეს თამაში. ჯეისონს თვალწინ ედო ნაწერი, სწავლობდა თხოვნასა და საგნების კომენტირებას წინადადებების გამოყენებით და ამ დროს წერილობით „მოკარნახეს“ იყენებდა ნაცვლად ჩვეულებრივი ვერბალური „სტიმულებისა“, რომლებსაც ჩვენ მუდმივად ვაძლევთ ბავშვებს და ამით ხაზს ვუსვამთ მათ არასრულყოფილებას, შეცდომებს ვუსწორებთ და ვეუბნებით: „გახსოვდეს, რომ მთელი ფრაზა/წინადადება უნდა თქვა“ ან „თქვი: ვაშლის წვენი მინდა, თუ შეიძლება.“

ჯეისონის დედა დარწმუნებული იყო, რომ ჯეისონი ძალიან მალე ისწავლიდა საუბრებზე გამართულ დიალოგს და აღარ დასჭირდებოდა წინადადებების ბარათები. მან მითხრა, რომ ამ მიდგომით ჯეისონმა წარმატებით ისწავლა სათამაშო მანქანის მოთხოვნა, მანამდე კი მანქანაში ჯდებოდა და ყვიროდა. სანამ ყვირილს დაიწყებდა, დედამ მას წინ დაუდო წინადადების ბარათი, რომელზეც ეწერა: „ჩემი სათამაშო მინდა, თუ შეიძლება.“ როგორც კი ჯეისონმა წინადადება წაიკითხა, დედამ ის სათამაშოთი, სასიამოვნო ღიმილითა და კეთილი სიტყვებით „დააჯილდოვა.“ ბარათის ორჯერ წაკითხვის შემდეგ, ჯეისონმა ზრდილობიანად ითხოვა სათამაშო და ბარათის დახმარებით „თუ შეიძლება“ კი თქვა.

გ) ლექსიკონის გამდიდრებას, ინფორმაციის მოპოვებასა და სასწავლო ცნებების გამარტივებას. შესაძლოა, ჩვენ არც კი ვიცოდეთ, რომ ბავშვმა არ იცის წარმოთქმული სიტყვის მნიშვნელობა ან არ ესმის ის. არ არის მოსალოდნელი, რომ ბავშვი ჩვენს ყურადღებას რომელიმე სიტყვას მიაპყრობს და იტყვის: „რა

სიტყვა იყო? რას ნიშნავს ის?“ ბავშვისთვის კითხვის სწავლებისას აშკარად ჩანს, რა ესმის და რა არა. ეს ბავშვის კონკრეტული მოთხოვნის დადგენაში გვეხმარება. ზემოთ ნაჩვენები იყო, თუ როგორ ხდება მარტივი ლექსიკონის შექმნა. სკოტმა სიტყვა „ვარ“ და მისი ხმარებაც ისწავლა.

სიმფსონები! სიმფსონები!

6 წლის ტრევისს კითხვას ვასწავლიდი. დედამისმა მითხრა, რომ მისი ყველაზე საყვარელი სატელევიზიო შოუ „სიმფსონებია“. მე ჩავთვალე, რომ მას მოეწონებოდა წაკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ მოსწონს სიმფსონების ყურება. ამასთან, ის სიამოვნებით წაიკითხავდა სიტყვას „სიმფსონები“, როდესაც ის ეკრანზე დაიწერებოდა (კითხვის ფუნქციური გამოყენება. მე მის მულტსერიალის გმირის, ბარტ სიმფსონის სურათი ვაჩვენე. მისი რეაქცია ასეთი იყო: „სიმფსონები!“ მე ვუთხარი: „ეს ბარტია, მას ბარტი ჰქვია, ბარტ სიმფსონი“. ტრევისმა ყურადღება არ მიაქცია ჩემს დაჟინებით წარმოთქმულ ამ წინადადებას, რომელშიც ბარტის სახელს ვიმეორებდი. ის აღფრთოვანდა ბარტის დანახვაზე, მაგრამ ფოტოს დანახვისას მხოლოდ ამას იმეორებდა: „სიმფსონები! სიმფსონები!“

ტრევისის დედის აზრით, ტრევისი ვერ აცნობიერებდა, რომ სიმფსონი გვარია და რომ ყოველ პერსონაჟს თავისი, განსხვავებული სახელი აქვს და რომ ოჯახებს, საზოგადოდ, აქვთ გვარები. იმისთვის, რომ ტრევისისთვის სხვა ოჯახების გვარები მესწავლებინა, მე ბარტი გვერდზე გადავდე და დავამზადე ლოტო, რომელიც ტრევისსა და მის ოჯახს შეეხებოდა. ლოტოში ძალზე ფასეული, ფუნქციური და ზოგადი ინფორმაციაა მოცემული. მას შემდეგ, რაც თავისი ოჯახის შესახებ ისწავლის, ტრევისი სხვა ოჯახების ცნებას უკეთ გაიგებს და იმედია, სიმფსონების უკეთ გაგებას შეძლებს. ამის გამო პროგრამაც უფრო შინაარსიანი გახდება მისთვის.

დ) ჩანაწერების გამოყენებას იმისთვის, რომ მოსწავლე სიტყვით გამოვიდეს და საჯაროდ ილაპარაკოს თავის გამოცდილებაზე: გამიგონია და თვითონაც მინახავს, თუ როგორ გამოდიან სიტყვით დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები კონფერენციაზე, სემინარზე თუ სასკოლო შეკრებაზე. ყველა მათგანი დაწერილ ტექსტს კითხულობდა. კითხვის ცოდნა მათ აუდიტორიის წინაშე წარდგომის შესაძლებლობას აძლევს. ისინი თავდაჯერებით დგანან რამდენიმე ასეული (ხშირად რამდენიმე ათასი) კაცის წინაშე და უზიარებენ მათ ინფორმაციას, აზრებსა და გრძნობებს. ისინი არ ნერვიულობდნენ იმაზე, რომ შეიძლება დაავიწყდეთ სათქმელი. ისინი იმავე უპირატესობით სარგებლობენ, რითაც ყველა ჩვენგანი.

საშუალო და დამამთავრებელ კლასებში გადასვლისას დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეები ხშირად მეტყველების გაკვეთილებსა და დრამწერებში ეწეებიან. კითხვა მათ ძალიან ეხმარება; მათ შეუძლიათ აზრის დალაგება, ნათქვამის ჩაწერა (ზოგჯერ სხვისი დახმარებით), წაკითხვა და სრულად მონაწილეობა. ასევე, დრამწერებში სპექტაკლების თამაშისას შეუძლიათ თავიანთი როლების სწავლა კითხვის ან დამხმარე ბარათების საშუალებით. დარწმუნებული ვარ, მსახიობი კრის ბერკი კითხვას თავისი პროფესიისთვის ძალზე სასარგებლოდ მიიჩნევს.⁴

ეს ძალზე შთამბეჭდავი ბარმიცვა იყო.

4 მომწიფების ასაკში შესვლის გამომხატველი ებრაული რიტუალი

ინგლისურ ენაზე კითხვის ცოდნა ეხმარება დაუნის სინდრომის მქონეს უცხო ენაზე სიტყვით გამოსვლისას ან ლოცვის წარმოთქმისას (ან ხშირად უცხო ენის სწავლისას). როდესაც ელიოტი მომწიფების ასაკში შესვლის აღმნიშვნელი რიტუალისთვის (ბარმიცვა) ემზადებოდა, მას უჭირდა ებრაულად ლოცვის დამახსოვრება მშობლების მომზადებული აუდიოფირის გამოყენებით. ებრაულ სიტყვებში იყო ბგერები, რომლებსაც ის ვერ აღიქვამდა; ვერც იმ გამოცდილებასა თუ ინფორმაციასთან აკავშირებდა, რომელიც მას ჰქონდა. ამ პრობლემის მოგვარების გზა იყო ლოცვის ინგლისური ტრანსლიტერაცია. ელიოტმა სიტყვა წაიკითხა ფონეტიკის იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც ებრაული სიტყვების წარმოთქმაში დაეხმარა. ეს ძალზე შთამბეჭდავი ბარმიცვა იყო.

რა გააკეთე სკოლაში დღეს?

ოფიციალური სიტყვით გამოსვლის გარდა, სასკოლო გამოცდილების თანატოლებისთვის გაზიარების, ასევე, მასწავლებლებისა და კლასელებისთვის შინაური გამოცდილების გაზიარებისთვის, ბავშვს შეუძლია გამოიყენოს ჩანაწერები, დაწერილი ანგარიშები ან ყურნალები. მშობლები ხშირად ჩივიან, რომ როდესაც შვილს ეკითხებიან, დღეს სკოლაში რა გააკეთეო, ბავშვი პასუხობს, არაფერიო. შესაძლოა, ბავშვს არ ახსოვს ან არ ფიქრობს, რაც აღნიშვნის ღირსია. „ანგარიშების“ მომზადება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სახელმძღვანელო დისკუსიისთვის თემაზე: „რა მოხდა“, არის კითხვის ფუნქციური გამოყენება და ის დეტალურად არის აღწერილი მე-18 თავში.

სად გაპოიყენება პროგრამა

დაუნის სინდრომის და ინტელექტუალური დარღვევების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი პროგრამის გავრცელება 1972-დან 1987 წლის ჩათვლით ფინანსდებოდა. ამ წლების განმავლობაში დოქტორი ვალენტინ დმიტრიევი და მე ვატარებდით ტრენინგებს ადრეულ ეტაპზე ინტერვენციისთვის, კერძო და საჯარო სკოლებისთვის, მშობელთა ჯგუფებისთვის მთელი აშშ-ის მასშტაბით, ასევე რამდენიმე უცხოურ ქვეყანაში (მე ტრენინგი ყველა კონტინენტზე მაქვს ჩატარებული, ანტარქტიკის გარდა). ამ წიგნში აღწერილი კითხვის პროგრამა სწორედ ასეთ ტრენინგის კურსებზე იყო წარმოდგენილი. ამასთან, ჩვენ პროგრამა არაერთ კონფერენციაზე წარვადგინეთ როგორც შტატის, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩვენ არ ვიცით, თუ რა დონეზე იხმარება კითხვის ეს ხერხები დღეს. ორმა პროგრამამ, რომელთაგანაც ერთი ავსტრალიაშია (მაკუარის უნივერსიტეტის დაუნის სინდრომის პროგრამა, ნორთ-რაიდი, ნიუ-საუთუელსი) და ერთი დიდ ბრიტანეთში (პორთსმუთის დაუნის სინდრომის მქონეს პროექტი), გამოიყენეს ეს საბაზისო მეთოდი და გამოაქვეყნეს საკითხავი მასალა. სიუზან ბაკლიმ დიდი ბრიტანეთის პროექტიდან გამოაქვეყნა სახელმძღვანელო „კითხვა და ენის განვითარების პროგრამა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში“ და ვიდეორგოლი, რომელიც აღწერს, თუ როგორ იყენებს ის პროგრამას.

დღეს მე მუდმივ კონსულტირებას ვუწევ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების პროგრამას საუდის არაბეთში. მე ვასწავლე მასწავლებლებს, თუ როგორ ასწავლონ კითხვა ამ პროგრამის გამოყენებით და მათთვის კურიკულუმი შევიმუშავე. ბავშვები შთამბეჭდავ წარმატებას აღწევენ არაბულ ენაზე კითხვაშიც.

რით დავიწყოთ

წიგნის ამ ნაწილში ძირითადი ყურადღება ეთმობა იმას, თუ „რით დავიწყოთ“ თვალთ ალექმული სიტყვების,¹ ანბანის, წერის, მართლწერისა და ფონეტიკის საწყისი ელემენტების სწავლება. თითოეული ეს აქტივობა სხვადასხვა თავშია განხილული, რადგან ეს მასალის ორგანიზებას აადვილებს. რაც შეეხება სწავლებას, ყველა ეს აქტივობა თანადროულად ისწავლება. მაგალითად, მე-8 თავში თვალთ ალექმული სიტყვების სწავლებაა აღწერილი, მე-9 თავში კი – თვალთ ალექმული სიტყვების პირველი ასოს დასახელება და უღერადობა. საზოგადოდ, მას შემდეგ, რაც ბავშვი თვალთ ალექმული სიტყვების მარაგს დააგროვებს და ასობის უმეტეს ნაწილს ისწავლის, მას შეუძლია ისწავლოს ასო-ბგერები (ფონეტიკის ელემენტები) იმისთვის, რომ მსგავსი ფონეტიკური შემადგენლობის სიტყვები² წაიკითხოს. მას შემდეგ, რაც ბავშვი ასობის დასახელებას ისწავლის, მას მართლწერის ათვისება შეუძლია (თავი 10). წერის ათვისებას ის მას შემდეგ შეძლებს, რაც ასობის დასახელების მიხედვით ცნობას ისწავლის და შეძლებს ასობის კოპირებას ფანქრისა და ფურცლის ან კლავიატურის გამოყენებით (თავი 12). თითოეული ამ აქტივობის სწავლებისას მიღწეული წარმატება (თვალთ ალექმული სიტყვები, ანბანი, ფონეტიკის ელემენტები, წერა ან მართლწერა) დაგეხმარებათ, განსაზღვროთ ის ტემპი, რომელიც უნდა შეარჩიოთ როგორც ამ აქტივობების, ისე ახალი აქტივობების სწავლებისას. ბავშვის წარმატებისთვის, ისევე, როგორც თქვენი საკუთარი წარმატებისთვის აუცილებელია, იხელმძღვანელოთ პროგრამით და თითო ჯერზე თითო ნაბიჯი გადადგათ, რომ არც თქვენ გადაიტვიტოთ და არც ბავშვი გადატვიტოთ. არ არის საჭირო ყველაფრის ერთდროულად სწავლება და არც ბავშვმა უნდა

ისწავლოს ყველაფერი ერთდროულად.

ეს არის კითხვის სწავლებაში ენობრივი გამოცდილების გამოყენება. მას შემდეგ, რაც თქვენ ამ ნაწილში აღწერილ მეთოდებსა და ხერხებს გაეცნობით, უნდა შეძლოთ მათი გამოყენება ნებისმიერი ისეთი სიტყვის სწავლებისთვის, რომელიც ბავშვის ინტერესებს, გამოცდილებასა და საჭიროებას მიესადაგება. წიგნის მესამე ნაწილში მოცემულია სამაგალითო გაკვეთილები, რომელიც უფრო ნათლად დაგანახვებთ, თუ როგორ უნდა შეიმუშაოთ სასწავლო მასალა ბავშვის გამოცდილების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე, როგორ გამოიყენოთ აქ აღწერილი მეთოდები და ხერხები; უპირველესად მიზანშეწონილია მე-8 თავში მოცემული თვალთ ალექმული სიტყვების სწავლება. შემდეგ ასწავლეთ ამ სიტყვების პირველი ასობი, როგორც ეს მე-9 თავშია აღწერილი. თვალთ ალექმული სიტყვების კითხვისას ბავშვების უმრავლესობას მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა დასჭირდება, სანამ ისინი წერაზე, მართლწერასა და ფონეტიკის ელემენტებზე გადავლენ (10, 11 და 12).

ამ წიგნის მიზანი არ არის დეტალური ინსტრუქციის მიცემა უფრო მაღალი დონის ერთეულების თაობაზე – შედგენილი სიტყვები, სიტყვის დაბოლოებები, სუფიქსები და პრეფიქსები, თანხმოვანთა კომბინაციები, ხმოვანთა კომბინაციები, მარცვლები და ა. შ. თუკი თქვენ გსურთ უფრო მაღალ დონეზე გადახვიდეთ და ენობრივ გამოცდილებაზე დამყარებული მიდგომის ფარგლებში ბავშვს უფრო რთული ერთეულები ასწავლოთ, მას კი ამ ერთეულების სწავლისა და გამოყენების უნარი აქვს, უნდა მოახდინოთ წიგნში აღწერილი ხერხების ადაპტირება.

მათ დასახმარებლად, ვისაც ენობრივ გამოცდილებაზე დამყარებული მიდგომის ფარგლებში უფრო რთული ერთეულების სწავლება სურს, დანართში ა-1 ზოგიერთი სახელმძღვანელო პრინციპია მოცემული. ეს პრინციპები მასწავლებლებს სთავაზობს კითხვის სწავლების თანამიმდევრობასა და წესებს.

1 თვალთ ალექმული სიტყვები (sight words) – ასე აღვნიშნავთ სიტყვებს, რომელთაც მოსწავლე თვალის ერთი შეხვებით, ამოკითხვის გარეშე ცნობს.

2 მსგავსი უღერადობის სიტყვები – იგულისხმება მსგავსი ფონეტიკური შედგენილობის სიტყვები, რომლებიც ერთმანეთისგან ერთი ან ორი ასო-ბგერით განსხვავდებიან. მაგ. ქარი, ბარი, კარი, ლარი, ჯარი და ა.შ.

თვალთ ალქულის სიტყვების სწავლება

შესავალი

ამ წიგნში აღწერილია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული და ენობრივ გამოცდილებაზე დამყარებული კითხვის ფუნქციური პროგრამა. შეუძლებელია იმის ზუსტი აღწერა, თუ რა, როგორ და როდის უნდა ასწავლო თითოეულ ბავშვს, ამიტომ გთავაზობთ გაკვეთილის გეგმების „თარგებს“, რომლებიც ქვეთავებად არის დაყოფილი. მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი ქვეთავი თუ გეგმაა მისი მოსწავლისთვის ყველაზე შესაფერისი და მოახდინოს მოსწავლის საჭიროებებთან მისი ადაპტირება. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, რომელიმე ქვეთავი არ არის თქვენი მოსწავლის შესაფერისი; ბავშვთან ერთად შეგიძლიათ ისეთი თემა შეარჩიოთ, რომელიც სულ არ არის ქვეთავში განხილული, ან, შესაძლოა, ბავშვმა წიგნში მოცემული ყველა თემა უკვე შეიტვისა და ამიტომ მეტი მასალა გჭირდებათ. ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ თვითონ შეადგინოთ ქვეთავი გაკვეთილის გეგმის გამოყენებით. გაკვეთილების მაგალითებში ისეთი თემებია მოცემული, რომლებიც ბავშვების უმეტესი ნაწილისთვის გამოგადგებათ. მათი მიზანია ისეთი ხერხების, საშუალებების, პროცედურების ან მასალის, შემოთავაზება, რომელიც ისე იქნება გამოყენებული და ადაპტირებული, რომ ბავშვს მისთვის მნიშვნელოვან თემაზე კითხვას ასწავლის. სიტყვები, რომლებიც ბავშვმა უნდა ისწავლოს, ასევე, კითხვაზე ორიენტირებული აქტივობები, ბავშვების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, იცვლება და ყოველი ბავშვის ინტერესის, გამოცდილების, ასაკის, უნარების, გარემოსა და აქტივობებზე მისი რეაქციის მიხედვით განისაზღვრება.

ენობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული მიდგომის შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს გამოცდილების შექმნას (ექსკურსიებს ზოოპარკში, მუზეუმში, პარკში, ისტორიულ ძეგლებზე, მაღაზიებში, აეროპორტში, უნივერსიტეტებში, ქარხნებში, შენობებში და ნებისმიერ ისეთ ადგილას ვიზიტს, რომელიც ბავშვს ღირებულ გამოცდილებას შესძენს), სახელოვნებო პროექტებს, სამეცნიერო ექსპერიმენტებს, კულინარიულ პროექტებს, ფილმებს, წიგნებს, მოთხრობებს, თამაშებს, როლურ თამაშებს და ა. შ. ეს გამოცდილება, როგორც წესი, გარკვეულ თემას ან საკითხს შეეხება, რომლის შესახებ თითოეული მოსწავლე თავისი სიტყვების გამოყენებით წერს (ან მასწავლებელს კარნახობს). წერის პროცესში მოსწავლე თავისი გამოცდილების შესახებ კითხვას, მართლწერას, წერასა და კითხვას სწავლობს (როდესაც ვსაუბრობთ ან ვწერთ, აუცილებელია, გვექონდეს გამოცდილება, ინფორმაცია და ლექსიკა – უნდა გვექონდეს თემა, რომლის შესახებაც ვწერთ, და ხერხები, რომლებსაც ვიყენებთ. კითხვისას გვჭირდება გამოცდილება, ინფორმაცია და ლექსიკის ცოდნა იმისთვის, რომ საკითხავი მასალა ჩვენთვის აზრის შემცველი და სასარგებლო იყოს).

ჩემი მიზანია, თქვენ, მკითხველს, ისეთი ხერხები და საშუალებები მოგაწოდოთ, რომელთა ადაპტირებას შეძლებთ დაუნის სინდრომის მქონე

ბავშვებისთვის. შემოგთავაზებთ ხერხებსა და იდეებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის, სხვადასხვა გარემოში მყოფი და სხვადასხვა უნარის მქონე ბავშვებისთვის. აქ მხოლოდ ზოგადი მითითებები – გაიდლაინებია – მოცემული. მოარგეთ ისინი ინდივიდუალურ საჭიროებებს, მიუღექით საქმეს შემოქმედებითად; ისეთი ვარიანტები შეარჩიეთ, რომლებიც თქვენს ბავშვს გამოადგება.

აქ მოცემული მითითებები შედარებით მცირე ასაკის (დაახლოებით 4-დან 10-მდე) ბავშვების შშობლებისთვისაა განკუთვნილი, რომ მათ სახლში იმუშაონ. კლასში ან ზრდასრული ასაკის ბავშვებთან სამუშაოდ გამოსაყენებელი ვარიანტები იმ ქვეთავებისთვის იქნება შემოთავაზებული, რომელთა ადაპტირება შეიძლება.

მე რეცეპტს ვკითხულობ, შემდეგ კი კერძს იმით ვამზადებ, რაც ხელთ მაქვს

ერთხელ, როდესაც მოგზაურობიდან დავბრუნდი, ჩემმა მეუღლემ სპაგეტი და უგემრიელესი სოუსი დამახვედრა. ვკითხე, რეცეპტის მიხედვით გააკეთე თუ თვითონ მოიფიქრე-მეთქი. რეცეპტი წავიკითხე და რაც ხელთ მქონდა, იმით მოვამზადეო, მიპასუხა. აი, სწორედ ასე უნდა მოიქცეთ თქვენც. წაიკითხეთ მითითებები, ისწავლეთ თანამიმდევრობა და ხერხები და მოახდინეთ მათი ადაპტირება თქვენს პირობებთან ისე, რომ ბავშვის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია მიღებული პროდუქტი – კმაყოფილი და მონდომებული მკითხველი.

თვალთ აღქმული სიტყვის ნაკითხვა მისაღებების, შეჩვენისა და სახელთა მნახივის გამოყენებით

„თვალთ აღქმული სიტყვა“ ისეთი სიტყვაა, რომელსაც მკითხველი დანახვისთანავე, მყისიერად აღიქვამს და სხარტად და გამართულად კითხულობს. ასეთი სიტყვების უმრავლესობას სწორედ თვალთ კითხულობთ, ანუ, დანახვისთანავე ვცნობთ, – არ ვჩერდებით და ბგერებად არ ვანაწევრებთ. ყოველი ადამიანის თვალთ აღქმული სიტყვების მარაგი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა ინტერესი და პროფესია აქვს ამა თუ იმ ადამიანს და, აქედან გამომდინარე, რას კითხულობს ის. „თვალთ აღქმული ძირითადი სიტყვები“ ის სიტყვებია, რომლებიც ნებისმიერ საკითხავ მასალაში ყველაზე ხშირად იხმარება. თვალთ აღქმული ძირითადი სიტყვების არაერთი ნუსხა არსებობს. ესა თუ ის ნუსხა სირთულის მიხედვით იყოფა და მოიცავს თვალთ აღქმული ძირითადი სიტყვებისგან შემდგარ ლექსიკონს ყოველი ეტაპისთვის. დანართ ბ-ში 200 ძირითადი თვალთ აღქმული სიტყვაა მოცემული, რაც დაწყებითი სკოლის მასალაში მოცემული სიტყვების 50-70% შეადგენს. ისეთი სიტყვები, როგორცაა *მე, ის, კავშირი და, არის და ა.შ.* ყველაზე ხშირად გამოიყენება, თუმცა, დამოუკიდებლად ამ სიტყვებს ძალზე შეზღუდული მნიშვნელობა აქვთ და მინიმალურად გამოადგება მკითხველს. ყველაზე კარგად ისინი კონტექსტში იხმარება, როდესაც ბავშვს მათი გამოყენება წინადადებებისა და ფრაზების წაკითხვისას შეუძლია. პირველად ბავშვს ისეთი თვალთ აღქმული სიტყვები უნდა ვასწავლოთ, რომლებიც შინაარსის შემცველია და რომელთა გამოყენებას ის მალევე შეძლებს.

ამ თავში დეტალურად არის აღწერილი სასწავლო მასალა და პროცედურები, რომლებიც თვალთ აღქმული სიტყვების სწავლებისას გამოიყენება. თვალთ

აღქმული სიტყვების მასალებისა და პროცედურების შესახებ მეტი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, დაუბრუნდით ამ თავს. ეს პროცედურები მესამე ნაწილში იქნება გამოყენებული.

მიზანი: თქვენი ბავშვი ნელ-ნელა დაიგროვებს თვალთ აღქმულ ლექსიკურ მარაგს, რომელშიც შევა ოჯახის წევრების სახელები და მარტივ წიგნში გამოყენებული დამატებითი სიტყვები. ბავშვი გაიწაფება ამ სიტყვების კითხვაში, აღქმასა და განზოგადებაში, გამოიყენებს მათ თამაშისას, შინ ჩატარებული აქტივობისას და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი წიგნის კითხვისას.

**თვალთ აღქმული
სიტყვების სწავლება
ბავშვთაგან ბავშვთაგან**

**ოჯახის ბასწოვა
სახელაგან: აგანის კგანა**



სურათი 8.1

ამოცანა 1: სურათებიანი ბარათებისა და „მოკარნახე“ ბარათების გამოყენებით ბავშვი მიუსადაგებს, შეარჩევს და დაასახელებს (ვერბალურად ან მინიშნებით) ოჯახის წევრების სახელებს. აქ მოცემულ მაგალითში გამოყენებული სახელები სალომე (თვითონ ბავშვი), დედა, მამა და ნიკა (სალომეს ძმა).

მასალა:

„მოკარნახე“ ბარათები და სურათები (სურათი 8.1)

მასალის დასამზადებლად საჭიროა:

დაახლოებით 12*20 სმ-ის ზომის ბარათები (სტანდარტული ბარათები ზომით 12*20, რომლებიც საკმარისად ფართოა იმისთვის, რომ ზედ ფოტო დამაგრდეს

და ქვედა ბოლოში დაახლოებით 5 სმ-ის ზომის მანძილი დარჩეს სახელის მისაწერად);

ბავშვისა და მისი ოჯახის თითოეული წევრის 12*7 სმ-ის ზომის ფოტოები (ჯობს, ეს არ იყოს ოჯახური ფოტო და თითო ფოტოზე ოჯახის თითო წევრი იყოს გამოსახული);

წებოვანი ლენტები (მოსახერხებელია, რადგან ფოტოს უკანა მხარეს წებდება და არ აზიანებს მას);

შავი ფლომასტერი (ფართოწვერიანი და წვრილწვერიანი);

მაკრატელი;

ქაღალდის სამაგრი, რეზინის გადასაკრავი ან სხვა რამ, რითაც ბარათები ერთად შეიკვრება;

ფეხსაცმლის ყუთი ან დიდი ზომის კონვერტი (ბარათების ერთად შესანახად).

დამზადების წესი:

(1) დაამაგრეთ ფოტო 12*20 სმ-ის ზომის ბარათს: წებოვანი ლენტის ცალი მხარე მიამაგრეთ ფოტოს უკანა მხარეს; ისე გადაკვეცეთ, რომ წებოვანი მხარე გარეთ მოხვდეს. ფოტო ბარათს მიამაგრეთ ისე, რომ ქვემოთ 5 სმ სისქის სივრცე დარჩეს (წებოს ნაცვლად გამოიყენეთ წებოვანი ლენტი, რომ ფოტო იოლად მოშორდეს ბარათს).

(2) ფოტოს ქვეშ მოცემულ ცარიელ ადგილას ფლომასტერით დაწერეთ ის სახელი, რომელსაც ბავშვი ფოტოზე გამოსახულ ადამიანს ეძახის. მაგალითად, თუკი ის მამამისს „მამიკოს“ ეძახის, დაწერეთ „მამიკო“; თუკი – „მამას“, დაწერეთ „მამა“. იგივე შეეხება დედასა და ოჯახის სხვა წევრებს. თუკი ბავშვი ფოტოზე გამოსახული ადამიანის სახელს ჯერ ვერ ამბობს, ის სახელი დაწერეთ, რომელსაც ამ ადამიანზე ბავშვთან საუბრისას ხმარობთ. მაგალითად, თუ ნიკოლოზს ნიკს უძახით, დაწერეთ „ნიკა“ (თუკი შესაძლებელია, კარგი იქნება მოკლე, ადვილად სათქმელი სახელები გამოვიყენოთ). თუკი ირაკლის იკას ეძახით, დაწერეთ „იკა“.

წერეთ მკაფიოდ, დაახლოებით 2,5 სმ-ის სიდიდის ასოებით. ასოების სწორად დასაწერად შეგიძლიათ ის ადგილი დახაზოთ, სადაც სახელებს ჩაწერთ. წინადადებისა და ფრაზების წერისას საკმარისი ადგილი დატოვებთ სიტყვებს შორის, რომ მკაფიოდ გამოჩნდეს, სად მთავრდება ერთი სიტყვა და სად იწყება მეორე. გამოიყენეთ ასოების წერის ის სტანდარტი, რომელიც ბ-2 დანართშია მოცემული.

საჭიროების შემთხვევაში და თუ ხელი მიგიწვდებათ, შეგიძლიათ კომპიუტერის გამოყენება. თუ „მოკარნახე“ ბარათებისა და ნახატებიანი ბარათებისთვის კომპიუტერს იყენებთ, ამოჭერით სიტყვები და დააწებეთ ბარათებზე ან გადაიღეთ ასლი; თუკი თქვენი პრინტერი ბარათებზე დაბეჭდვის საშუალებას იძლევა, პირდაპირ ბარათზე დაბეჭდეთ. სტანდარტული წონის ქაღალდი ცოტა მსუბუქია. მუყაოზე დაბეჭდილი ბარათები უნდა გამოიჭრას.

თუკი ცუდი კალიგრაფია გაქვთ და კომპიუტერი არა გაქვთ, გამოჭრილი ასოები გამოიყენეთ. მნიშვნელოვანია, რომ სიტყვები კარგად დაიწეროს. თქვენი ბავშვი სწავლობს კითხვას და ამიტომ აუცილებელია, რომ სიტყვები მაღალი სტანდარტის ასოებით იყოს გამოყვანილი, რომ ბავშვმა ყველა შემთხვევაში იცნოს ეს სიტყვები. თუკი ის სხვადასხვა ზომით დაწერილ ერთსა და იმავე სიტყვას ნახავს, შეიძლება ვერც კი იცნოს. ჩვენი მიზანია, რომ ბავშვმა სტანდარტული ტექსტის წაკითხვა შეძლოს.

(3) ყოველი სურათისთვის შესაბამისი „მოკარნახე“ ბარათი გამოიყენეთ (სურათი 8.1). მაკრატლით 20*12 სმ-ის ზომის ბარათი ოთხ 5*12 სმ-ის ზომის ბარათად დაჭერით. თავიდან იმდენი ბარათი დაგჭირდებათ, რამდენი ოჯახის წევრიც არის. დაბეჭდეთ ან დაწერეთ სიტყვა ბარათზე, ისევე როგორც სურათებიან ბარათზე (თუკი თქვენს ბავშვს ნერწყვი ჩამოსდის ან პირში თითების ჩადების ჩვევა აქვს, უმჯობესია ბარათების ლამინირება. სხვა შემთხვევაში, მელანი/საღებავი გაითხაპნება და ბარათი თავიდან გექნებათ გასაკეთებელი).

თანამიმდევრობა:

ჩაატარეთ კითხვის აქტივობა ნებისმიერ ისეთ ადგილას, რომელიც ბავშვისთვის მოსახერხებელია, მაგდასთან ან თუნდაც იატაკზე. მაგდასთან უფრო იოლია მასალის გამოყენება და ბავშვის დაკავება, მაგრამ, თუკი ბავშვი

მაგიდასთან ჯდომას საფრთხედ აღიქვამს ან წინააღმდეგობას გიწევთ, იატაკი გამოიყენეთ.

ეს ეტაპი ათვისების ეტაპია. თქვენი ბავშვი ამ სიტყვებს „ითვისებს“ და თვალთ ალქმულ სიტყვათა მარაგში ათავსებს. ბავშვი იმ სიტყვებს „ეცნობა“, რომელთა კითხვა ბავშვმა არ იცოდა. ის პროცედურები, რომლებიც აქ არის აღწერილი, დაგეხმარებათ პრაქტიკული აქტივობების უშეცდომოდ ჩატარებისას სირთულეების 3 დონეზე:

დონე 1: მისადაგება. მისადაგება ყველაზე მარტივი აქტივობაა. ბავშვი სიტყვას მსგავს სიტყვას მიუსადაგებს.

დონე 2: არჩევა. არჩევა უფრო რთულია. ბავშვმა უნდა შეძლოს სწორი სიტყვის არჩევა ვერბალურად ან ვერბალურად და ნიშნებით გამოხატულ მწკრივში.

ეტაპი 3: დასახელება. დაწერილი სიტყვის დასახელება (თქმა ან ნიშნებით გამოსახვა) ყველაზე რთული ამოცანაა.

თუკი თქვენი ბავშვი ვერ ლაპარაკობს, მისი მეტყველება ძნელად გასარჩევია ან ძალზე შეზღუდულია, ასწავლეთ ხელების დახმარებით იმ სიტყვების გამოსახვა, რომელთა კითხვასაც ასწავლით. ყოველ ჯერზე სიტყვის წარმოთქმას ხელის მოძრაობა მიახმარეთ (კომუნიკაციის ეს მეთოდი „ტოტალური კომუნიკაციის“ სახელით არის ცნობილი). თუკი ბავშვს სკოლაში შესტურ ენას ასწავლიან, გაესაუბრეთ მის მასწავლებელს ან მეტყველების სპეციალისტს, რომ თქვენც იგივე ნიშნები გამოიყენოთ. თუკი სკოლაში ნიშნები არ გამოიყენება და თქვენ მათი გამოყენება გსურთ, შეიძინეთ წიგნი შესტური ენის შესახებ. თუკი შესტების ენა იხმარება, ხოლო თქვენს ბავშვს თავისი მოთხოვნის გამოსახატავად ამ ენის გამოყენება სჭირდება, მნიშვნელოვანია, რომ იმ ადამიანმაც იცოდეს ეს ნიშნები, ვისთანაც ბავშვი კომუნიკაციას ამყარებს. სიტყვების ნიშნებით გამოსახვა შესაძლებლობას აძლევს ბავშვს, ისწავლოს სიტყვების „დასახელება“ თუ „კითხვა“ ამ ყველაზე მაღალ დონეზე. ბავშვების სწავლებაში ნიშნების გამოყენების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ლიბი კუმინის წიგნი „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების კომუნიკაციის უნარი“ (Woodbine House, Bethesda, MD).

თუკი თქვენი ბავშვი შეცდომებს უშვებს

თუკი საკუთარი სახელის, „სალომე-ბარათის“ ნაცვლად ბავშვი ცარიელ, ყურადღების გადასატან ბარათს აიღებს, შესაძლოა:

1. მას წარმოდგენა არა აქვს, რაზე ესაუბრებით (მას სულ არ ესმის, რომ ბარათზე გამოსახული სიმბოლოები მის სახელს შეესაბამება);
2. ის არ გისმენთ ან/და არ აინტერესებს;
3. გაბრაზებით (შეგნებულად გცემთ არასწორ პასუხს);
4. „ნასწავლი უსუსურობის“ ხერხს იყენებს და ცდილობს თავიდან აიცილოს წარუმატებლობა (თუკი ბავშვი თქვენთან ურთიერთობას არ ცდილობს, არც შემდგომში მოუწევს თავის შეწუხება) ან
5. არ გემორჩილებათ და არც თქვენთან ურთიერთობა სურს.

ეცადეთ, თავი აარიდოთ შეცდომებს. გახსოვდეთ, რომ ეს პროცესი თითქმის უშეცდომოდ უნდა წარმართოთ. ბავშვი სწავლობს და ამ პროცესში მას სწორი პასუხების გაცემა უნდა ვასწავლოთ. ამ ეტაპზე ბავშვი იშვიათად უშვებს შეცდომებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე შეცდომების გასწორების ისეთ მექანიზმს შემოგთავაზებთ, რომელიც შეგიძლიათ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოთ.

შეცდომების გასწორების პროცედურა:

(1) დამალეთ ყურადღების გადამტანი (ცარიელი) ბარათი. ხელში დაიკავეთ და მაღლა ასწიეთ „სალომე-ბარათი“ და თქვით „ამ ბარათზე წერია სალომე“, „აიღე სალომე“, „ყოჩაღ!“, „ახლა სალომე-ბარათი სალომეს დაადე“;

(2) ბავშვს თვალწინ ისევ ორი ბარათი დაუდეთ, „სალომე-ბარათზე“ მიუთითეთ და უთხარით: „ამ ბარათზე წერია „სალომე“, სალომე რომ წერია, ის ბარათი აიღე“, „სალომე-ბარათი“ ბავშვთან ახლოს მისწიეთ, რომ უფრო ხელმისაწვდომი იყოს, ვიდრე ცარიელი, ყურადღების გადამტანი ბარათი. თუკი ბავშვი ისევ ცარიელი ბარათისკენ გაიწევის, შეაჩერეთ და უთხარით: „არა, აი, ეს არის სალომე-ბარათი“ და მიუთითეთ მასზე.

(3) ორივე ხელში თითო ბარათი დაიკავეთ და ასწიეთ. ცალი ხელი, რომელშიც ყურადღების გადამტანი (ცარიელი) ბარათი გიკავიათ, ბავშვისგან უფრო შორს დაიჭირეთ, „სალომე- ბარათი“ კი უფრო ახლოს. ასე ბავშვს სწორი არჩევანის გაკეთებას გაუადვილებთ. ახლა ჰკითხეთ, „აბა ამოარჩიე ბარათი, სადაც წერია „სალომე“ თუკი ბავშვი ისევ ცარიელი ბარათისკენ გაიწევის, ბარათი თქვენკენ მისწიეთ და უთხარით: „არა, აი, ამაზე წერია „სალომე“, ეს აიღე“;

(4) თუკი ბავშვი ცარიელ ბარათს დაჟინებით მოითხოვს, არ არის გამორიცხული, რომ ის გებრძვიტ; მას არ სურს თქვენთან თანამშრომლობა და სწორედ ამ გზით გამოხატავს, რომ არა აქვს კითხვის სურვილი. თუკი მართლა ასეა, გადადეთ საკითხავი მასალა და უთხარით. „კითხვისთვის და სიტყვებისა და სურათების სანახავად მზად რომ იქნები, მითხარი“;

(5) თუკი ფიქრობთ, რომ ბავშვი ამას განგებ აკეთებს და გაბრაზებით, თამაშზე გადადით. აიღეთ ორი პატარა ქილა. ერთი ქილა წინ დაიდეთ, მეორე კი ბავშვს დაუდგით წინ. უთხარით, რომ თუკი სწორ პასუხს იტყვის, მოიგებს და თქვენ მის ქილაში მარმარილოს ბურთს ჩადებთ. თუკი მისი პასუხი არასწორი იქნება, თქვენ მოიგეთ (იხ. თავი 5 „წარმატებისთვის საფუძვლის შექმნა“) (თუკი მოეწონება, მას შეუძლია მარმარილოს ბურთების დათვლა და ანგარიშის ცხრილში გადატანა – ეს მათემატიკური და მოტორიკის დახვეწისთვის კარგი დამატებითი სავარჯიშოა).

(6) თუკი ზემოთ აღწერილი ხერხი არ გამოდგა და თქვენ ფიქრობთ, რომ ბავშვს აქვს კითხვის უნარი, მაგრამ არა აქვს მოტივაცია ან/და „ნასწავლი უსუსურობით“ სარგებლობს, უნარის განმტკიცებისთვის საყვარელი საჭმლის ხერხის (იხ. თავი 5) გამოყენება შეგიძლიათ.

(7) თუკი არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ხერხი არ გამოგადგათ და ბავშვი არ თანამშრომლობს, გადადეთ სავარჯიშო და რამდენიმე თვის შემდეგ ისევ დაუბრუნდით. ბავშვი არ არის მზად, ან არ აინტერესებს კითხვის სწავლა ან მისთვის კითხვის სწავლას აზრი არა აქვს. თუკი ბავშვი არ თანამშრომლობს, ნუ გააგრძელებთ ზემოთ აღწერილი ხერხის გამოყენებას. მაინც არაფერი გამოვა, გარდა ძალის დემონსტრირებისა.

ნებისმიერი აქტივობის შესრულებისას აუხსენით, სწორად მოიქცა თუ არა და შეაქეთ სწორი პასუხებისთვის; არასწორი პასუხების შემთხვევაში გამოიყენეთ გასწორების ხერხები.

პირველი სიტყვის შემოტანა

ქტაპი 1:

მიუსაღებო 1:1 (არჩიპანი არ არის)

არჩენეთ ბავშვს ბარათი, რომელზეც მისი სურათია დაკრული. მიეცით საშუალება, შეხედოს და მის შესახებ ილაპარაკოს. თუკი ვერ იცნობს ბარათზე გამოსახულ ადამიანს, უთხარით: „სალომე, ეს შენ ხარ“ (ბუნებრივად). შემდეგ იმ ადგილზე მიუთითეთ, სადაც ფოტოს ქვეშ მისი სახელია მიწერილი (არ არის გამორიცხული, რომ მას უკვე შეუძლია სახელის წაკითხვა, რაც კარგია, რადგან კარგია იმით დაწყება, რაც ბავშვმა უკვე იცის). უთხარით: „სალომე“ ნახე, აქ „სალომე“ წერია.“ შემდეგ არჩენეთ „მოკარნახე“ ბარათი, სადაც დაბეჭდილია სიტყვა „სალომე“ და უთხარით: „აქ „სალომე“ წერია. დაადე „სალომე“ სალომეს.“ თუკი ბავშვმა ვერ გაიგო, რა უნდა გააკეთოს, არჩენეთ და თქვენ დაადეთ „მოკარნახე“ ბარათი სალომეს ფოტოს, შემდეგ ბავშვს მიეცით, რომ მანაც იგივე გაიმეოროს. თუ ბავშვმა ამოცანა ვერ გაიგო, შეგიძლიათ ცოტა ხელიც წაახმაროთ. როდესაც ბავშვი მოკარნახე ბარათს სურათიან ბარათზე მოცემულ სიტყვას მიუსადაგებს, შეაქეთ და აღფრთოვანებულმა უთხარით: „ყოჩაღ! შენ „სალომე“ იპოვე!“ ან „შენ „სალომე“ „სალომეს“ დაადე! ძალიან ყოჩაღი ხარ! ყურადღებით აკვირდებოდი!“ (შეეება/იმის ახსნა, თუ რა გააკეთა/განმტკიცება).

ქტაპი 2:

არჩიპა 1:2 (სარმიელი, ყურადღების გაღამბანი ბარათი)

აიღეთ ცარიელი ბარათი და „მოკარნახე“ ბარათი, რომელზეც დაბეჭდილია „სალომე“ დაიჭირეთ ბარათები ბავშვის თვალწინ (ან დადეთ მაგიდაზე ბავშვთან ახლოს) და თქვით: „აიღე ბარათი, რომელზეც წერია „სალომე“ ან უბრალოდ „აიღე „სალომე“ როდესაც ბავშვი ბარათს აიღებს, უთხარით, „კარგია! ახლა „სალომე“ „სალომეს“ დაადე.“

როდესაც ბავშვი ბარათს სწორად დადებს, უთხარით: „ყოჩაღ! შენ სალომე იპოვე.“

ქტაპი 3:

დასახელება (მარბალური ან ნიშნებით გამოსახული პასუხი)

ხელში დაიჭირეთ და ასწიეთ „სალომე-ბარათი“ და თქვით, „ამ ბარათზე წერია -----.“ მიეცით ბავშვს შესაძლებლობა, თქვას ეს სიტყვა. თუკი ბავშვი სიტყვას სწორად იტყვის, უთხარით: „სწორია! აქ წერია „სალომე“ სწორად წაიკითხე!“ შეაქეთ იმ შემთხვევაშიც, თუ სიტყვა მთლად მართებულად ვერ გამოთქვა. თუკი ბავშვი „სალომეს“ ვერ ამბობს, ასწავლეთ მისი ნიშნით გამოსახვა (მოდელირება). ამისთვის ყოველ ჯერზე, როდესაც სიტყვა „სალომეს“ ამბობთ, ნიშნით გამოსახეთ ის და მიაწოდეთ ბავშვს.

ერთი სიტყვის სწავლებისთვის საჭირო მისადაგების, არჩევისა და დასახელების ზემოთ აღწერილი პროცედურა მხოლოდ 30-დან 45 წამამდე გრძელდება, კარგი იქნება, თუ მას ბევრი საუბრითა და შესწორებებით არ გაახანგრძლივებთ. რასაკვირველია, ყოველ ჯერზე ამ პროცედურის გავლას დამატებით 30-დან 45 წამამდე სჭირდება.

მეორე სიტყვის შემოტანა

მას შემდეგ, რაც ბავშვმა ერთი სიტყვა წაიკითხა (მიუსადაგა, აარჩია და დაასახელა ის ხმამალა წაკითხვის ან ხელით გამოსახული ნიშნების საშუალებით), ის მზადაა მეორე სიტყვის წასაკითხად და ეს სიტყვაა „დედიკო“. კიდევ ერთხელ გაიარეთ 1, 2 და 3 ეტაპზე აღწერილი პროცედურები „დედიკო-ბარათისა“ და „მოკარნახე“ ბარათის გამოყენებით.

ახლა, როდესაც თქვენმა ბავშვმა ორი დამოუკიდებელი სიტყვის წაკითხვა ისწავლა, შესთავაზეთ მას აქტივობები, რომლებიც ამ ორი სიტყვის ერთმანეთისგან გარჩევას მოითხოვს.

ეტაპი 1:

სიტყვების გარჩევა, მიუსადაგეთ 1:2 (მიუსადაგეთ ერთი სიტყვა, ორი გარჩევა ერთი ყურადღების გაღამება)

(აქტივობაში „შეარჩიეთ 1:2“ გამოყენებული იყო ცარიელი, ყურადღების გაღამება ბარათი იმისთვის, თუმცა, ამ ბარათის გამოყენება სწორი არჩევანის გაკეთებას ძალიან აადვილებს. ამ სავარჯიშოში კი ჩვენ იმ სიტყვებს ვიყენებთ, რომლებიც თავის დროზე ბავშვს ვასწავლეთ).

ბავშვს წინ დაუდეთ ორი ფოტოიანი ბარათი („სალომე“ და „დედიკო“). ხელში დაიკავეთ სალომეს „მოკარნახე“ ბარათი, აჩვენეთ ბავშვს და უთხარით, „ამ ბარათზე წერია „სალომე“, დაადე „სალომე“ „სალომეს“. ეს მისადაგების სავარჯიშოა; არ სთხოვთ ბავშვს ბარათზე დაწერილი სიტყვის წაკითხვა, მაგრამ თუ წაიკითხავს, ძალიან კარგი იქნება! ეს პროცედურები უმეტესად ვარჯიშისთვისაა შემუშავებული, თუმცა, თუ ბავშვი უფრო მაღალი დონის რეაქციას ამჟღავნებს, განუმტკიცეთ ის (შესაძლოა ბავშვმა სულ გამოტოვოს ზოგიერთი საფეხური). ასწიეთ „დედიკო-ბარათი“ და უთხარით ბავშვს: „აქ დედიკო წერია. დაადე „დედიკო“ „დედიკოს“.

ეტაპი 2:

სიტყვების გარჩევა, გარჩევა 1:2 (გარჩევა ერთი სიტყვა ორი გარჩევისგან)

ორი ფოტოიანი ბარათი, რომელიც ბავშვს წინ ედო, ისევე დატოვეთ. მათ გვერდზე მიუდეთ დედიკოსა და სალომეს მოკარნახე ბარათები. მიაპყარით ბავშვის ყურადღება ამ ბარათებს და უთხარით, „აბა, „დედიკო“ მაჩვენე“; „სალომე“ მაჩვენე“. მას შემდეგ, რაც ბავშვი ამ დავალებას სწორად შეასრულებს, აურიეთ ბარათები, როგორც დომინოს თამაშისას (როგორც წესი, ბავშვებს

მოსწონთ ეს პროცესი, რადგან კითხვას თამაშის ელფერი ეძლევა. მალე ბავშვი თვითონ მოინდომებს ბარათების ერთმანეთში არევას. მიეცით ბავშვს ამის საშუალება. უთხარით „ბარათებს ერთმანეთში ვურევ“.

შემდეგ უთხარით: „აბა, ახლა სად არის „სალომე“? სად არის „დედიკო“?“, უპასუხეთ, „მართალი ხარ, მე შენ ვერ მოგატყუებ!“ (რასაკვირველია, ამის თქმა არ არის სავალდებულო; თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, ღირს თუ არა. როგორც წესი, ასეთ დროს დავალებისადმი ინტერესი იზრდება, დავალებას თამაშის ელფერს სძენს და სტიმულს აძლევს ბავშვს, რომ არავის „მოატყუებინოს“ ან „გააცურებინოს“ თავი).

ქტაჲ 3:


სიტყვების ბარათა, 2 ბარათის დასახელება

ბავშვს წინ სურათებიანი ბარათები დაუდეთ. ხელში აიღეთ სალომეს „მოკარნახე“ ბარათი და თქვით, „ამ ბარათზე ----- წერია?“, შემდეგ „დედიკოს“ „მოკარნახე“ ბარათი აიღეთ ხელში და თქვით „ამაზე ----- წერია?“. მას შემდეგ, რაც ბავშვი კითხვებზე პასუხს გააცემთ, მიეცით ბარათი და სთხოვეთ, კიდევ ერთხელ მიუსადაგოს (მეტი პრაქტიკა). თუკი სწორად ვერ გიპასუხებთ, სურათებიანი ბარათებზე მიუთითეთ და აჩვენეთ სახელი იმისთვის, რომ ისწავლოს სურათებიანი ბარათების, როგორც „მოკარნახე“ ბარათებზე დაწერილის წაკითხვა.

დამატებითი სიტყვების შემოტანა

მას შემდეგ, რაც ბავშვი წარმატებით მიუსადაგებს, შეარჩევს და დაასახელებს პირველ ორ შემოტანილ სიტყვას, ახალი სიტყვა გააცანით, ყოველ ჯერზე თითო სიტყვა შემოიტანეთ და ისევ ის, ზემოთ აღწერილი მისადაგების, შეარჩევისა და დასახელების მეთოდი გამოიყენეთ. ახალი სიტყვების შემოტანის პარალელურად, ყურადღების გადამტანი სიტყვების შემოღების გზით, გაზარდეთ შემოტანილი სიტყვებისთვის არჩევანის რაოდენობა, მაგალითად, თუკი შემოგაქვთ სიტყვა „მამიკო“, ბავშვი მიუსადაგებს და შეარჩევს 1:3 (არჩევანი – დედიკო, მამიკო, სალომე). როდესაც შემოგაქვთ ძმის, ნიკას სახელი, მიუსადაგეთ და შეარჩიეთ 1:4 (არჩევანი – დედიკო, მამიკო, სალომე და ნიკა). ამ ეტაპზე არჩევანი ოთხით შეზღუდეთ. მაგალითად, როდესაც ოჯახის შინაური ცხოველის, ბიმის სახელი შემოდის, მასწავლებელს შეუძლია ამოაგდოს ადრე შემოტანილი სიტყვებიდან ერთ-ერთი და ვარჯიშის, ათვისების ამ ეტაპზე კვლავ დატოვოს არჩევანის შეფარდება 1:4.

საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ მნემონიკა



მნემონიკა – მესხიერების დამხმარე მკაფიო და ცოცხალი ვიზუალური მასალის გამოყენება – დაეხმარება ბავშვს სიტყვებისა და ასოების დამახსოვრებაში. მაგალითად, თუკი ბავშვი ვერ იმახსოვრებს სიტყვას „ნახე“ ჩანატეთ თვალეზი ასო „ნ“-ს მომრგვალეზულ ნაწილში; იგივე შეგიძლიათ გააკეთოთ სიტყვისთვის „შეხედე“ (იხ. ნახატი 8.2)

ხანდახან ასოს რომელიმე მარტივი ფერით გამოსახვა დაგეხმარებათ. მაგალითად, დენისი ერთმანეთში ურევედა სიტყვეზს „დენისი“ და „დედიკო“ რადგან ორივე ეს სიტყვა ასო „დ“-თი იწყებოდა. ბოლო ასო წითლად გავაფერადეთ და დენისის ვუთხარით, რომ ეს ასო დედიკოს შარფს ჰგავს. საჭირო იყო, ასო მართლაც დედიკოს შარფის მსგავსი ყოფილიყო; ამ შემთხვევაში ის სწორად პოულობდა სიტყვას „დედიკო“ და აღარ ურევედა მას სიტყვაში „დენისი“ რომელსაც არ „ჰქონდა“ შარფი.

სურათი 8.2

(მეტი ინფორმაცია მნემონიკის გამოყენების შესახებ იხილეთ მეფერთმეტე თავში).

შეაფასე: ჩაატარეთ ტესტირება

ახლა დადგა ტესტირების დრო. ყოველი გაკვეთილის ბოლოს სურათებიანი ბარათები გვერდზე გადადეთ. ბავშვს რიგრიგობით წინ დაუდეთ „მოკარნახე“ ბარათები, რომლებზეც თქვენ მიერ შემოტანილი სიტყვებია დაწერილი და სთხოვეთ, წაიკითხოს ისინი. ეცადეთ, წახალისოთ მისი პასუხი და ეს თქვენთვის ბუნებრივი ხერხის გამოყენებით გააკეთეთ, მაგალითად, ჰკითხეთ, „რა სიტყვაა ეს?“ ან „აქ წერია-----“ (შესაძლოა ბარათის ჩვენება ბავშვისთვის საკმარისი აღმოჩნდეს). თუკი ბავშვი სიტყვას ვერ წაიკითხავს, თქვენ უკარნახეთ. ბავშვები, რომლებიც ვერ ლაპარაკობენ, შეიძლება ნიშნების ენაზე ან ჟესტებით გიპასუხონ (მაგალითად, როდესაც სალომეს „სალომე“ მოკარნახე ბარათს აჩვენებთ, მან შეიძლება საკუთარ თავზე ჟესტის საშუალებით მიანიშნოს და ნიშნების ენა არ გამოიყენოს).

მას შემდეგ, რაც ბავშვი სიტყვეზს წაიკითხავს, „მოკარნახე“ ბარათები ორ კატეგორიად დაახარისხეთ – სიტყვები, რომლებიც ბავშვმა სწორად წაიკითხა, და სიტყვები, რომელთა წაკითხვაც მან ვერ შეძლო (ფაილი, რომელსაც დააწერეთ „+“ და „-“ დაგეხმარებათ სიტყვების ორ კატეგორიად დაახარისხებაში). გაკვეთილის შემდეგ დახარისხებული ბარათების გამოყენებით გადაიტანეთ მონაცემები სქემაზე; იმ სიტყვეზს, რომლებიც სწორ კატეგორიაში იყო მიუწერეთ „+“; ხოლო იმ სიტყვეზს, რომლებიც არასწორ კატეგორიაში იყო მიუწერეთ „-“. ეს მარტივი დახარისხება შესაძლებლობას მოგცემთ სწორი მონაცემები შეაგროვოთ და ხელს არ შეუშლის კითხვას, განსხვავებით ყოველი პასუხის შემდეგ აღნიშვნისა.

ეს მეთოდი იოლი გამოსაყენებელია და დროთა განმავლობაში ბავშვი თვითონ შეძლებს საკუთარი მონაცემების აღრიცხვას.

ტესტირების პროცესს ის სიტყვები (და ასოები) დაამატეთ, რომლებიც ნელ-ნელა შემოგაქვთ, სანამ სიტყვების (ან/ასოების) რაოდენობა ათს არ მიაღწევს. შემდეგ ზოგიერთი ნასწავლი სიტყვა ამოაგდეთ, ახალნასწავლი სიტყვა დაამატეთ, მაგრამ სიტყვების რაოდენობამ ათს არ უნდა გადააჭარბოს. ათვისების (სრულყოფილად) კრიტერიუმი შემდეგნაირად განისაზღვრება: ტესტირების პროცესში „მოკარნახე“ ბარათის წაკითხვის ხუთი მცდელობიდან ბავშვი ოთხ სწორ პასუხს იძლევა (80%). განაგრძეთ ვარჯიში ათვისების ეტაპზე არჩევის, მისადაგების, დასახელებისა და სურათებიანი და „მოკარნახე“ ბარათების საშუალებით, სანამ ბავშვი სრულყოფილად ათვისების კრიტერიუმს არ დააკმაყოფილებს. მას შემდეგ, რაც ათვისების კრიტერიუმი დაკმაყოფილდება, აღარ არის სავალდებულო არჩევის, მისადაგებისა და დასახელების გაგრძელება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვი ამ სიტყვას თამაშისას და წიგნში მისი კითხვისას „გამოტოვებს“.

კითხვის გაპატივების ხანგრძლივობა

კითხვის ყოველი სტრუქტურირებული გაკვეთილის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბავშვის აქტივობის მიმართ ინტერესზე, ყურადღების დაძაბვის უნარზე, ასაკზე, სწავლის ტემპსა და იმ განსხვავებული აქტივობების რაოდენობაზე, რომელსაც ბავშვს ყოველი გაკვეთილისთვის უგეგმავთ. დამწყები ბავშვისთვის ათვისების ეტაპზე მე თითო გაკვეთილისთვის დაახლოებით 5 წუთს ვგეგმავ. ახალი სიტყვების (მეტ სიტყვებში ვარჯიში ხდება საჭირო) და აქტივობების (ანბანის წიგნი, ბინგო და ლოტო) შემოტანის პარალელურად, თითო გაკვეთილის დრო 20-30 წუთამდე იზრდება იქიდან გამომდინარე, გაქვთ თუ არა დრო და აქვს თუ არა ბავშვს დავალების შესრულების ინტერესი. თამაშები შეიძლება დღის სხვა დროს დაიგეგმოს და იმდენ ხანს გაგრძელდეს, რამდენიც ბავშვს სიამოვნებას მიანიჭებს. დარწმუნდით, რომ ბავშვს არ მოებზრდა და აქტივობები სასიამოვნო და სახალისოა. ვიმეორებ, ეს ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული პროგრამაა და თქვენ უნდა განსაზღვროთ, თუ რა არის თქვენი ბავშვისთვის შესაფერისი.

ხანგრძლივობისა და ტესტის მაგალითი

პირველი გაკვეთილი (9. 09. 2013): სიტყვები „სალომე“ და „დედიკო“ შემოიტანილია, ასე რომ, ტესტში ეს ორი სიტყვა უნდა გამოვიყენოთ. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი სურათებიან ბარათს ყუთში დებს და სალომეს სთხოვს, „მოკარნახე“ ბარათიდან წაკითხოს სიტყვები „სალომე“ და „დედიკო“, სურათებიანი ბარათების გარეშე. მას შემდეგ, რაც სალომე ბარათებს წაკითხავს, მასწავლებელი მათ „+“ (სწორი პასუხებისთვის) და „-“ (არასწორი პასუხებისთვის) ნიშნებით აღნიშნულ ფაილში დაახარისხებს. თუ სალომე ორივე ბარათს სწორად კითხულობს, მასწავლებელი მათ „+“ ნიშნის ქვეშ ათავსებს და წერს შედეგს: 9.09.2013 სალომე +; დედიკო+ (თუკი ბავშვი არც ერთ სიტყვას სწორად არ კითხულობს, შემდეგ გაკვეთილებში გააკეთებინეთ მისადაგების, არჩევისა და დასახელების სავარჯიშო, სანამ ტესტირების დროს ბავშვი სიტყვებს სწორად არ წაკითხავს; მხოლოდ ამის შემდეგ შემოიტანეთ ახალი სიტყვები. თქვენი ბავშვი ჯერ არ არის მზად ახალი სიტყვების ასათვისებლად).

მეორე გაკვეთილი (10. 09. 2013): დასაწყისისთვის „სალომესა“ და „დედიკოს“ გამოყენებით მასწავლებელმა სალომეს მისადაგების, არჩევისა და დასახელების სავარჯიშო გააკეთებინა და შემდეგ შემოიტანა სიტყვა „მამიკო“ სალომე მისადაგების, არჩევისა და დასახელების გამოყენებით ვარჯიშობდა და სიტყვებს „სალომე“ და „დედიკო“ ყურადღების გადამიტანად იყენებდა (1:3, სამი არჩევანი). სალომე სწორ პასუხებს იძლეოდა, ამიტომ მასწავლებელმა შემოიტანა სიტყვა „ნიკა“ და ყურადღების გადამიტან სიტყვებად „სალომეს“, „მამიკოს“ და „დედიკოს“ გამოყენებით (1:4, ოთხი არჩევანი) განაგრძო ვარჯიში. მეორე გაკვეთილის ბოლოს ჩასატარებელ ტესტში უკვე ოთხი სიტყვა იყო გამოყენებული (დედიკო,

თვალთ ალჟმული სიტყვების სწავლება

სალომე, მამიკო და ნიკა). მასწავლებელმა ჩაწერა: სალომე+; დედიკო+; მამიკო+ და ნიკა+;

მესამე გაკვეთილი (11. 09. 2013): გამეორების მიზნით მასწავლებელმა სალომეს მისადაგების, არჩევისა და დასახელების სავარჯიშო გააკეთებინა და შემდეგ ორი ახალი სიტყვა „მე“ და „შეხედე“ შემოიტანა. ახლა ტესტირება უკვე ექვსი სიტყვისთვის უნდა ჩატარებულიყო, ხოლო შედეგები ასეთი იყო: სალომე+; დედიკო+; მამიკო+; ნიკა+; მე+; ვხედავ –

მეოთხე გაკვეთილი (12. 09. 2013): სალომე სისხარტის, გადაცემისა და განზოგადების ეტაპის ვარჯიშებზე გადავიდა. მან ითამაშა ლოტო „სიტყვიდან სურათისკენ“ და წაიკითხა თავისი „მე ვხედავ წიგნს“ (რაც მოგვიანებით არის აღწერილი ამავე თავში). გაკვეთილის ბოლოს მისმა მონაცემებმა დაადასტურა, რომ მან ტესტირებაში ექვსივე სიტყვას სწორი პასუხი გასცა.

მეხუთე გაკვეთილი (13.09.2013): მასწავლებელს შემოაქვს სიტყვა „წიგნი“. სიტყვის შემოსატანად გამოყენებული იქნა წიგნი „მე ვხედავ წიგნს“ და „მოკარნახე“ ბარათი წარწერით „წიგნი“. სალომემ ეს „მოკარნახე“ ბარათი სიტყვა „წიგნს“ მიუსადაგა, რომელიც ეწერა წიგნის ყდაზე „მე ვხედავ წიგნს“. მან ასევე ივარჯიშა და მისადაგების, არჩევის და დასახელების აქტივობები შეასრულა სიტყვებისთვის „მე“ და „ვხედავ“. შემდეგ მან წიგნი წაიკითხა, ლოტო ითამაშა და მაგიდაზე ბარათების დაწყობა ისწავლა. მისი ტესტირება 7 სიტყვას მოიცავდა; მას კარნახი დასჭირდა სიტყვებისა „წიგნი“ და „ნიკა“.

მეექვსე გაკვეთილი (14.09.2013): მასწავლებელმა გაკვეთილი სიტყვების „ნიკა“ და „წიგნი“ მისადაგების, არჩევისა და დასახელების სავარჯიშოთი დაიწყო. სალომემ ლოტო ითამაშა, თავისი წიგნი წაიკითხა, შემდეგ ისწავლა ეტიკეტების გამოყენება, რომელთაც მისი ოჯახის წევრების სახელები ეწერა. ტესტირებისას სალომემ ყველა სიტყვა სწორად წაიკითხა.

მეშვიდე გაკვეთილი (15.09.2013): მასწავლებელმა შემოიტანა წიგნი „ს დ მ ნ“ ასოებით (იხ. ანბანის შემოტანა, თავი 9). სალომემ ს-ს ძიება დაიწყო და ს და დ სვეტების გამოყენებით ანბანის ბინგო ითამაშა. მან, მე ვხედავ წიგნს“ წაიკითხა და წარწერები და ადგილის ბარათები გამოიყენა. მასწავლებელმა ტესტს ასოები ს და დ დაამატა (ტესტში 9 სიტყვა და ასოა). სალომემ ყველა სიტყვა სწორად წაიკითხა, მაგრამ ს-ს და დ-ს კარნახი დასჭირდა.

მერვე გაკვეთილი (16.09.2013): სალომე სიამოვნებით კითხულობდა წიგნს, თამაშობდა ლოტოსა და ბინგოს და ოჯახის სახელებს იყენებდა. ის ამ სიტყვების დასაწყის ასოებს ეძებდა (სახლში გაიარ-გამოიარა, ს-თი დაწყებული საგნები იპოვა და თქვა: საპონი, სავარცხელი, სანთელი). მასწავლებელმა შემოიტანა მ. ამჯერად ტესტი უკვე ათ სიტყვასა და ასოს მოიცავდა. სალომემ ყველა სიტყვა და ასო სწორად წაიკითხა გარდა ასო დ-სა.

მონაცემების ცხრილი										
გაკვეთილი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
თარიღი	9.09.12	10.09.12	11.09.12	12.09.12	13.09.12	14.09.12	15.09.12	16.09.12	17.09.12	18.09.12
სალომე	+	+	+	+	+	+	+	+	პოეტი	
დედა	+	+	+	+	+	+	+	+	პოეტი	
მამა		+	+	+	+	+	+	+	+	+
ნიკა		+	+	+	-	+	+	+	+	+
მე			+	+	+	+	+	+	+	+
ვხედავ			-	+	+	+	+	+	+	+
წიგნი					-	+	+	+	+	+
ს							-	+	+	+
დ								-	+	+
მ									-	+
ნ										+

მეცხრე გაკვეთილი (17.09.2013): სალომე განაგრძობდა წიგნის კითხვას, თამაშებს თამაშობდა (ლოტოს, ბინგოს, ანბანის კალათბურთს), იყენებდა წარწერებსა და ადგილის ბარათებს. მან დაიწყო დ-ს ძებნა და ს-ს ძებნა გაიხსენა. მასწავლებელმა შემოიტანა ნ და მ და „სალომე“ და „დედიკო“ ტესტიდან ამოვარდა, რომ სიტყვებისა და ასოების რაოდენობა 10 ყოფილიყო. სალომემ საჭიროზე უკეთ დააკმაყოფილა სრულყოფილად ფლობის კრიტერიუმი. ტესტირება: სალომეს ნ-სა და მ-ს კარნახი დასჭირდა.

მეათე გაკვეთილი (9/19/94): სალომე განაგრძობდა ვარჯიშს, თამაშებსა და თავისი წიგნის კითხვას „მე ვხედავ წიგნს“ და „ს დ მ ნ“ წიგნი). ტესტირებისას მან ყველა ასო და სიტყვა სწორად ამოიცნო.

**დაიწყეთ
სიტყვების
ბანკის
უქცევა**

სიტყვების ბანკი იმ სიტყვების „მოკარნახე“ ბარათებისგან შედგება, რომლის წაკითხვა ბავშვს შეუძლია. როდესაც თქვენი ბავშვი სიტყვას სრულყოფილად აითვისებს, ეს სიტყვა მის ბანკში დაამატეთ. ამ ეტაპზე სიტყვების ბანკი შეგიძლიათ კონვერტში შეინახოთ. მას შემდეგ, რაც ანბანის შემოტანა დაიწყება, შეიძლება ბავშვს დაავალოთ, რომ სიტყვები ანბანის მიხედვით დააწყოს ან დააჯგუფოს. სიტყვების ბანკში სიტყვები იმისთვის ინახება, რომ მომავალში გამოვიყენოთ. ტესტირება არის მონაცემთა გამოყენება იმისთვის, რომ განისაზღვროს ბავშვის მიერ ნასწავლი ასოების და სიტყვების სრულყოფილად წაკითხვის უნარი; ასევე, იმისთვის, რომ განისაზღვროს, თუ როდის არის თქვენი ბავშვი მზად ახალი სიტყვების შემოტანისთვის.


**მიუსადაგეთ,
აარჩიეთ და
დაასახელეთ
„მოკარნახე“
ბარათების
ორი ნაწილის
გამოყენებით**

მიზანი 2: თქვენი ბავშვი სიტყვებს მიუსადაგებს, აარჩევს და დაასახელებს „მოკარნახე“ ბარათების ორი წყვილის გამოყენებით.

მასალა:

„მოკარნახე“ ბარათების წყვილი თითოეული შემოსატანი სიტყვისთვის – ამ შემთხვევაში ორი მოკარნახე სიტყვებისთვის „მე“ და „ვხედავ“ (სურათი 8.3).

თანამიმდევრობა:



მას შემდეგ, რაც თქვენი ბავშვი სახელებს ისწავლის, ისეთი სიტყვების წაკითხვა ასწავლეთ, რომლებიც, ოჯახის წევრების სახელებთან ერთად, მარტივი წინადადებების შედგენის საშუალებას იძლევა. მაგალითად, „მე“ და „ვხედავ“ მარტივი სიტყვებია, რომელთა გამოყენება ბავშვს წინადადებაში შეუძლია. ამ სიტყვების, ისევე, როგორც სხვა ნაცვალსახელებისა და ზმნების,

ნახატი 8.3

კავშირების, ზედსართავი სახელების, ზმნიზებებისა და წინდებულების ილუსტრირება რთულია. ამ ეტაპზე, მას შემდეგ, რაც ბავშვს რამდენიმე სიტყვის წაკითხვა შეუძლია, აღარ არის აუცილებელი ამ სიტყვების ილუსტრირება, რადგან ისინი წინადადების კონტექსტში ჩაჯდება და მნიშვნელობას შეიძენს.

თუკი ილუსტრირება მაინც საჭიროა. შეიძლება მოვიფიქროთ ამ სიტყვების გრაფიკული გამოსახულება.

ისეთი სიტყვების შემოსატანადაც, რომლთა დასურათება ან ილუსტრირება ძნელია, მაინც ზემოთ აღწერილი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, თუმცა, „მოკარნახე“ ბარათის სურათიან ბარათთან მისადაგების ნაცვლად ბავშვმა „მოკარნახე“ ბარათი სხვა „მოკარნახე“ ბარათს უნდა მიუსადაგოს.

მაგალითი: სიტყვების „მე“ და „ვხედავ“ შემოსატანად თითოეული სიტყვისთვის დაგჭირდებათ ორი „მოკარნახე“ ბარათი. აჩვენეთ ბავშვს ორი ბარათი. მიუთითეთ ბარათებზე და უთხარით: „აქ წერია „მე“; აქ კი „ვხედავ.“ შემდეგ ბავშვს რიგრიგობით აჩვენეთ შესაბამისი „მოკარნახე“ ბარათი და უთხარით, „აქ წერია „მე“; დაადეთ „მე“ „მეს“, ამ ბარათზე წერია „ვხედავ“, დაადე „ვხედავს“ „ვხედავ.“ მას შემდეგ, რაც ბავშვი სიტყვებს ერთმანეთს მიუსადაგებს, განაგრძეთ შერჩევისა და დასახელების აქტივობების შესრულება ისევე, როგორც ეს სურათებიანი ბარათებისა და „მოკარნახე“ ბარათების შემთხვევაში.

მას შემდეგ, რაც ბავშვი ამ ბარათების წაკითხვას შეძლებს, შეუდგინეთ წინადადებები, რომ „მოკარნახე“ ბარათების საშუალებით წაკითხოს. მაგალითად, „მე ვხედავ მამიკოს. მე ვხედავ დედიკოს. დედიკო ხედავს სალომეს“ (გრამატიკა ამ ეტაპზე ნუ განალვლებთ).

**კლასტიკა
უფროსი ასაკის
მონსაკლავებისთვის**

უფროსი ასაკის მოსწავლეებისთვის სიტყვების უმრავლესობის სწავლებისთვის სურათებიანი ბარათები არ არის აუცილებელი. გამოიყენეთ ზემოთ აღწერილი მეთოდი „მიუსადაგეთ, აარჩიეთ და დაასახელეთ – „მოკარნახე“ ბარათების ორი წყვილის გამოყენებით“: როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიტყვების არჩევა ბავშვის ინტერესებზე, და საჭიროებებსა და გარემოზე დამოკიდებული, რომელიც ბავშვს აქვს. ის სიტყვები უნდა ვასწავლოთ, რომლებიც ბავშვისთვის შინაარსის შემცველი და სასარგებლოა. გაესაუბრეთ ბავშვს და გაარკვიეთ, რის შესახებ უნდა, რომ წაკითხოს. ეს სიტყვები ბავშვის ინტერესის გასაღვივებლად გამოიყენეთ. უმეტეს შემთხვევაში პირველად ბავშვს თავისი სახელი უნდა ასწავლოთ. ხშირად მან უკვე იცის თავისი სახელის წაკითხვა. თუმცა, კარგი იქნება, იმ სიტყვებით დავიწყოთ, რომელიც მან უკვე იცის, რადგან წარმატება გარანტირებულია და მას შეუძლია მისადაგების, შერჩევისა და დასახელების პროცედურა იმ სიტყვის გამოყენებით ისწავლოს, რომელიც უკვე იცის.

ადაპტირების მაგალითები:

მაგალითი 1: 16 წლის ნათანს უნდოდა წერილის მიწერა თავისი საყვარელი გმირის, ქრის ბერკისთვის, რომელსაც ეტყოდა, რომ მოეწონა ქრისის შოუ. მან შემდეგი სიტყვების წაკითხვა ისწავლა: ქრის, ბერკი, მე, შენი, ტელევიზია, შოუ, მიყვარს, მომწონს. პირველი გაკვეთილის შემდეგ მას შეეძლო „მოკარნახე“ ბარათზე ამ სიტყვების წაკითხვა, მათი მწკრივში დაწყობა, თავისი მესიჯის წაკითხვა და გადაწერა ქრისისთვის გასაგზავნად. მანამდე ნათანს წერილებს დედა უწერდა და ის გადაწერდა ხოლმე, მაგრამ კითხვა არ იცოდა.

თუკი ნათანი კვლავ ინტერესს გამოიჩინა ქრის ბერკის მიმართ, შეიძლება ვასწავლოთ სიტყვები, რომლებსაც ის უფრო ვრცელ წერილში გამოიყენებს. მაგალითად, შეუძლია, რომ ქრისის საკუთარი თავის შესახებ მოუყვეს: „მე 16 წლის ვარ; ვცხოვრობ სიეტლში. ტყუპისცალი ძმა მყავს. მას დევიდი ჰქვია. ჩვენ სიეტლის სკოლაში ვსწავლობთ.“ მას შეუძლია სთხოვოს ქრისს: „თუ შეიძლება შენი სურათი გამომიგზავნე. ფანკლუბი გყავს?“ თუკი მისი ინტერესი შენარჩუნდება,

ნათანს შეუძლია ისწავლოს საკუთარი და ქრის ბერკის მისამართის წაკითხვა და მათი კონვერტზე სწორ ადგილას გადაწერა. ამასთან, შეიძლება ჩაერთოს რუკის აქტივობები; მან შეიძლება რუკაზე მოიძიოს სიეტლი და გეოგრაფიის ცოდნა გაიღრმავოს. ამ სიტყვების გამოყენებით ნათანს შეუძლია სხვებსაც მისწეროს: „საყვარელო ბებია, მე მომწონს ქრის ბერკის ტელევიზორში ყურება. მე ქრისს წერილი გაუფზავნე. ქრის ბერკი ლოს-ანჯელესში ცხოვრობს. ლოს-ანჯელესი დასავლეთ სანაპიროზეა, ისევე, როგორც სიეტლი. მიყვარხარ, ნათანი.“

თუკი მოზრდილი ასაკის ბავშვს უჭირს სიტყვების კოპირება, თუკი მას კომპიუტერზე მიუწვდება ხელი, ასწავლეთ წერა კლავიატურის გამოყენებით.

მაგალითი 2: მარი 18 წლისაა, მას ჰყავს მეგობარი ბიჭი, სახელად ალექსი. პირველი სიტყვები, რომელთა კითხვაც მარიმ ისწავლა, შემდეგია: მარი, ალექსი, მეგობრები, არიან, და, ტელევიზორი, მომწონს, ბურბუშელა. მან ისწავლა შემდეგი წინადადებების წაკითხვა: „მარი და ალექსი მეგობრები არიან“, „მარისა და ალექსის უყვართ ტელევიზორი და ბურბუშელა.“ გარკვეული დროის შემდეგ მარი შეძლებს დაწერასა და წაკითხვას იმ ადგილების შესახებ, სადაც ისინი დადიან ან იმის შესახებ, რასაც აკეთებენ. მაგალითად, „სამშაბათს მე და ალექსი ცურვაზე დავდივართ. პარასკეობით ალექსი და მე ტელევიზორში კინოს ვუყურებთ.“ მას შეუძლია ამ ჩანაწერების გაკეთება კალენდარში და მათი სწორად, დღეების მიხედვით გადანაწილება, ასევე სიტყვების სწორი თანამიმდევრობით დაწყობა იმისთვის, რომ გადაწეროს და ალექსის მისცეს, ან შემდეგი წერილობითი მოწვევა გაუფზავნოს: „მოდი ჩემთან სახლში პარასკევს, საღამოს 7 საათზე. პიცა ვჭამოთ და კინოს ვუყუროთ. დისკი მოიტანე.“ კითხვისა და წერის, როგორც კომუნიკაციის საშუალების, გამოყენებასთან ერთად, მარი სწავლობს კალენდრისა და დროის ერთეულის გამოყენებას იმისთვის, რომ წინასწარ დაგეგმოს საქმეები.

მაგალითი 3: 26 წლის ნინას უნდოდა, რომ თავის საყვარელ სწრაფი კვების რესტორანში – მაკდონალდსში მენიუ წაეკითხა. პირველივე გაკვეთილზე მან შემდეგი სიტყვების წაკითხვა ისწავლა: მაკდონალდსი, ჩიზბურგერი, ფრი და სპრაიტი.

ამ სიტყვების წარმატებით წაკითხვის შემდეგ, ნინამ მითხრა, რომ ძალიან ენატრება დედა, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. შემდეგი სიტყვები, რომლებიც მან ისწავლა იყო: „მე, მენატრება, ჩემი, დედა, სიყვარული. მან ეს სიტყვები ისწავლა და მათი სწორად დაწყობა შეძლო იმისთვის, რომ ეთქვა: „დედა მენატრება. მე დედა მიყვარს.“ მას უკვე კარგად შეეძლო გადაწერა და კარგად კითხულობდა და წერდა ამ მესიჯს. ამ შემთხვევაში ნინამ წერა და კითხვა გრძნობების გამოსახატავად გამოიყენა და იმედი მაქვს, ეს მას განცდის დაძლევაში დაეხმარა.

კითხვის პირველი გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ნინას თვალები ცრემლებით ავესო და თქვა: „ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღეა.“ მან მომიტხრო, რომ დადიოდა სკოლაში, მაგრამ კითხვა მისთვის არავის უსწავლებია. მისი ოცნება ასრულდა. უკვე რამდენიმე მისთვის მნიშვნელოვანი და შინაარსის შემცველი სიტყვის წაკითხვა შეეძლო.


თამაშები და აქტივობები სისხარტაში, აქაში, გაღაცაჰასა და განოგაღებაში

ამოცანა 3: ოჯახის წევრების სახელების აღმნიშვნელი სამაგიდო ბარათების წაკითხვისას ბავშვი კითხვის უნარს ივითარებს

სახლის აღნიშვნელი სამაგიდო ბარათები (ნახ 8.4)

მასალა:

თითო სამაგიდო ბარათი ოჯახის ყველა წევრისთვის. მოიფიქრეთ და დაამზადეთ ლამაზი ბარათები ან უბრალოდ, 20*12 სმ-ის ზომის ბარათებიდან 10*12 სმ-ის ზომის ბარათები გამოჭერით, შუაში გადაკვეთთ, პატარა, სამკუთხა კარავივით „ფეხზე დააყენეთ“ და ორივე მხარეს დიდი ასოებით სახელები დააწერეთ. ბავშვი (და ყველა, ვინც მაგიდის გარშემო ზის) შეძლებს მაგიდაზე დადებული ყველა ბარათის წაკითხვას.



თანამიმდევრობა:

ბავშვი ბარათს დადებს იქ, სადაც თითოეული ოჯახის წევრი დაჯდება. ბავშვს შეუძლია: 1) ბარათი ოჯახის წევრების მაგიდასთან დაჯდომამდე დადოს (ამას მეტი აბსტრაქტული აზროვნებასჭირდება, რადგან ბავშვს უნდა ახსოვდეს, თუ სად ზის ოჯახის თითოეული წევრი, თუკი ჩვეულებრივ ისინი ერთსა და იმავე ადგილას სხედან); 2) თვითონ გადაწყვიტოს, თუ სად დაჯდება ოჯახის რომელიმე წევრი, თუკი ოჯახის წევრები მზად არიან დასხდნენ იქ, სადაც

ნახატი 8.4

ბავშვი მათი სახელით აღნიშნულ ბარათებს დადებს, ან 3) დაელოდოს ოჯახის წევრებს და ბარათები მას შემდეგ დააწყოს, რაც ისინი დასხდებიან. მშვიდად დააკვირდით სიტუაციას და ისე მოიქეცით, როგორც უფრო მოსახერხებელია; ზოგ შემთხვევაში შეიძლება სხვანაირადაც მოიქეცეთ. მთავარია, მოცემული სიტყვების გამოყენებით შინაარსიანი ვარჯიში გამოვიდეს (თუკი ბავშვი შინაური ცხოველის სახელს ისწავლის, მას შეუძლია ცხოველის სახელის აღმნიშვნელი ბარათი მას თევზის წინ დაუდოს).

მასალები:

„მოკარნახე“ ბარათები, რომლებსაც ოჯახის წევრების სახელები აწერია, და წებოვანი ლენტები.

თანამიმდევრობა:

სახელებიანი ბარათები საძინებლის კარზე ისე დაამაგრეთ, რომ ბავშვი ხედავდეს. როცა ბავშვი ბარათს ჩაუვლის, ოჯახის იმ წევრების სახელს ან სახელებს წაიკითხავს, ვისაც ამ საძინებელში სძინავს.

აღნიშვნები საძინებელი ოთახის კარზე


იძულებული გავხდი, სახელებიანი ბარათები კარებიდან ჩამომეხსნა

ერთ-ერთმა დედამ გვითხრა, რომ რამდენჯერაც მისი ვაჟი საძინებელი ოთახის კარს ჩაუვლიდა, არა მარტო მასზე მიმაგრებული სიტყვების წაკითხვა უნდოდა, არამედ დაჟინებით ითხოვდა ყოველი სიტყვისთვის თითის გაყოლებას. ეს პრობლემად იქცა, რადგან სასკოლო ავტობუსს ალოდინებდა ხოლმე. მალე დედამისს კარებიდან ბარათების ჩამოხსნა მოუხდა. ალბათ, სწორად უნდა განვსაზღვროთ, თუ როდის შეიძლება კითხვის აქტივობამ უფრო მნიშვნელოვან საქმეს შეუშალოს ხელი. როგორც ყოველთვის, აქტივობების შერჩევასა სალი აზრი უნდა გამოვიყენოთ. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ბავშვს არ სჭირდებოდა ზედმეტი ვარჯიში, ის ისედაც მოტივირებული იყო და ძალიან მოსწონდა ასოები და მათი კითხვა.

ნაბოვანი სტიკერები

მასალა:

წებოვანი სტიკერებისგან შემდგარი გრძელი ლენტი ან ცარიელი სტიკერები, რომლებზეც ოჯახის წევრების სახელებია დატანილი; კონვერტები, რომელთაც ოჯახის წევრების სახელები აწერია.



თანამიმდევრობა:

სტიკერებისგან შემდგარი თითოეული ლენტი ცალკე კონვერტში მოათავსეთ (ლენტის ყველა ბარათზე ერთი და იგივე სახელი უნდა ეწეროს). კონვერტს კონკრეტული ადამიანის სახელი დააწერეთ. როდესაც ბავშვი რაიმეს დახატავს ან დაამზადებს: (სურათი 8.5)

ნახატი 8.5

1. უნდა მოიფიქროს, ვისთვის უნდა საჩუქრად;
2. პოულობს იმ სტიკერს, რომელსაც ამ ადამიანის სახელი აწერია (დედა, მამა, მასწავლებელი ან ბაბუა და ა.შ.);
3. საჩუქრად განკუთვნილ ნახატს ან ნივთს ამ ადამიანის სახელით აღნიშნულ სტიკერთან დებს;
4. პოულობს სტიკერს, რომელსაც მისი (ბავშვის) სახელი აწერია. ამ გზით ბავშვი სწორად ანაწილებს, თუ ვისთვისაა განკუთვნილი ნახატი და ვისგანაა ის. შემდეგ ბავშვი ნახატს სწორ ადრესატს აძლევს.

ეს ჩემი საუკეთესო საშობაო საჩუქარი იყო

შონის დედამ მომწერა: ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც დენვერში კითხვის შესახებ თქვენი პრეზენტაცია მოვისმინე. ჩვენ ადრე ვვარჯიშობდით სახელების მისადაგებაზე და შონი უკვე გავარჯიშებული იყო ანბანის იმ ასოების დაწერაში, რომელსაც ცნობდა. განსაკუთრებით იმ ასოებისა, რომლებიც ჩემსა და მის სახელებში შედიოდა. ერთხელ, როდესაც საშობაოდ საჩუქრებს ქალაქში ვახვევდით და ვამზადებდით, შონი მაკვირდებოდა, თუ როგორ ვაწერდი სახელებს სასაჩუქრე ბარათებს. ერთი ბარათი ავიღე და ვუთხარი: „ეს მამასთვის არის.“ „ეს მამასთვისაა,“ – თქვა მან აღფრთოვანებით. „მამა, მე ვიცი მ-ა-მ-ა.“ მან კალმისტარი ხელიდან გამომტაცა და პირველად დამოუკიდებლად დაწერა სიტყვა „მამა.“ ეს ჩემი საუკეთესო საშობაო საჩუქარი იყო.

სსსოლო
ბაკათილისთის
ადატირბული
პერსია

სახელებიანი ბარათების გამოყენება საკლასო ოთახის პირობებშიც შეიძლება: 1. თუკი ბავშვები კლასში ჭამენ, მაგრამ არა მერხთან, არამედ მაგიდასთან, შეიძლება წინ ბარათები დაუწყუთ. ბავშვს თვითონ შეუძლია წინ ბარათი დაიდოს; მათ ამის გაკეთება რიგრიგობითაც შეუძლიათ; 2. სახელები შეიძლება ჭიქის დასადებ პატარა დაფებზე დაიბეჭდოს; 3. სახელებიანი ბარათების გამოყენება მაშინაც შეიძლება, როდესაც პროექტზე მუშაობისას ბავშვები მაგიდის გარშემო სხედან; 4. მოსწავლეებს შეუძლიათ სახელები გულზეც დაიმარონ; 5. სახელები შეიძლება დავამაროთ კარადებზე, საკიდებზე, თაროებსა და მერხებზე.

ლოტოს
თაბაში

ლოტო შედგება ლოტოს ფორმატებისგან, რომელზეც ოთხი ან რვა სიტყვა ან ნახატი დატანილი და ბარათებისგან ან დისკებისგან, რომლებზეც შესატყვისი სიტყვები, ნახატები ან სიმბოლოებია გამოსახული. ჩვენი ლოტოსთვის შესაძლოა ასეთი წყვილები დაგვჭირდეს: 1. სიტყვა სიტყვასთან; 2. ნახატი სიტყვასთან; 3. სიტყვა ნახატთან; 4. სიმბოლო სიტყვასთან; 5. სიტყვა სიმბოლოსთან. საინტერესო და ფერადი მასალა ბავშვის ინტერესის შენარჩუნებაში დაგვენმარება და კითხვაში ვარჯიშს თამაშის ელფერს მისცემს.

გარდა კითხვასა და აღქმაში ვარჯიშისა, ლოტო ბავშვს ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება (თამაშს სწავლობს, თავის რიგს ელოდება და წესებს იცავს). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უნარი, რასაც ბავშვი ლოტოს თამაშით სწავლობს, არის სიტყვების, საგნებისა და ადამიანების კატეგორიებად დაყოფა (ორგანიზების უნარი). ამიტომ აუცილებელია, რომ ლოტოს თითოეულ კომპლექტს სახელი დავარქვათ. ოჯახის შესახებ სიტყვებისგან შემდგარ თამაშს შეიძლება დავარქვათ „ოჯახი“, „ჩემი ოჯახი“ ან „ლომიძების ოჯახი“ (თუ გვარად ლომიძე ხართ და გინდათ ეს გვარი გამოიყენოთ ვარჯიშისას). აუცილებელია, ლოტოს სახელწოდება თქვენი ბავშვის განვითარების დონეს შეესაბამებოდეს. ბავშვს შეუძლია ისწავლოს წაკითხვა სიტყვებისა „ოჯახი“ და „ლომიძე“, აითვისოს ოჯახის ცნება (კატეგორია) და ის, რომ ოჯახის წევრებს ერთი და იგივე გვარი აქვთ, თუკი ეს ასეა. თუ არა, დროთა განმავლობაში შეიძლება ბავშვებს გამონაკლისებიც ვასწავლოთ, მაგრამ ამ ეტაპზე შეგიძლიათ „ოჯახი“ ითამაშოთ.


ამოცანა 4: ლოტოს თამაშით თქვენი ბავშვი ვარჯიშობს კითხვაში, აღქმასა და სიტყვების განზოგადებაში

როგორ
დავაწავლოთ
ლოტო

ლოტო – სიტყვა-სიტყვასთან

პარკინტი 1:

პრესპიტიანი ლოტო (ლოტო დაეწყობათვის)



მასალები: 20*12 სმ-ის ზომის ბარათები; ფლომასტერი; სახაზავი, მაკრატელი, ლამინირების დანადგარი, ქალაღის დიდი სამაგრები, კონვერტი ან ფაილები, რომლის გვერდები სტეპლერით ან წებოვანი ლენტითაა შეკრული.

ლოტოს მთლიანი ფორმატის დაეწყობა:

ოთხსიტყვიანი ლოტოს ბარათების დასამზადებლად 5 * 12 სმ-ის ზომის ბარათზე 5 სმ-ის დაშორებით ხაზები დახაზეთ. 5*12 სმ-ის ზომის უჯრები უნდა გამოვიდეს. უჯრებში ოჯახის წევრების სახელები (ან სხვა სიტყვები)

ნახატი 8.6

ჩაწერეთ. ლამინირება გაუკეთეთ (ერთსვეტიან, მარტივ ლოტოს სათაური არ სჭირდება. აცალეთ, სანამ ბავშვი ორსვეტიანი ლოტოს კითხვაზე არ გადავა).


შესატყვისი „მოკარნახე“ ბარათების დამზადება

შესატყვისი ბარათებად შეგიძლიათ უკვე არსებული „მოკარნახე“ ბარათები გამოიყენოთ ან ლოტოს მთლიანი ბარათის დუბლიკატები დაამზადოთ და გამოჭრათ, რომ უფრო მეტი „მოკარნახე“ ბარათი გქონდეთ. დაჭრამდე ბარათს ლამინირება გაუკეთეთ.

პარკინტი 2:

ორსვეტიანი ლოტო

მასალა:



სტანდარტული A4 ზომის მუყაოს განიერი ფორმატი ან დაფა, რომელიც ყველა საკანცელარიო მაღაზიაში იყიდება; ფლომასტერი, კალამი, სახაზავი, მაკრატელი, დანადგარი ლამინირებისთვის; დიდი ზომის ქალაღის სამაგრი, კონვერტი ან ფაილები, რომლის გვერდები სტეპლერით ან წებოვანი ლენტითაა შეკრული.

ნახატი 8.7

შეგიძლიათ სხვადასხვა ფერი გამოიყენოთ. ფერი თამაშს უფრო მიმზიდველს

ხდის და ბარათებს გარკვეულ „კოდს“ ანიჭებს, რომლითაც ბარათების სხვადასხვა კომპლექტს ერთმანეთისგან გამოვარჩევთ (ეს მომდევნო ეტაპზე ხდება, როდესაც ბავშვი უკვე რამდენიმე თამაშს ისწავლის). მაგალითად, ოჯახის ლოტო შეიძლება იყოს ვარდისფერი, საჭმლის აღმნიშვნელი ლოტო – მწვანე. ფერი ლოტოს ალაგებისას დაგვეხმარება – ლოტოს ბარათებსა და „მოკარნახე“ ბარათებს ერთად დააწყობთ.

თუმცა, თუ ერთი და იგივე ფორმატი უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა თამაშისთვის (როდესაც მოგვიანებით ბავშვი სხვებს ეთამაშება), უმჯობესია, ბარათები და „მოკარნახე“ ბარათები ყველა ერთი ფერისა იყოს, რომ ბარათების თამაშების მიხედვით განაწილებისას ბავშვმა კითხვის და სიტყვების კატეგორიებად დაყოფის უნარი განივითაროს/გამოიყენოს და არა ფერი. ეს ქვემოთ იქნება განმარტებული ქვეთავში „როგორ ვითამაშოთ“.

ლოტოს კომპლექტის დაზუსტების სპრედი

მასალა რომ დაიცვათ დაზიანებისგან, გირჩევთ მას ლამინირება გაუკეთოთ. თუკი ლამინირების დანადგარი არა გაქვთ, სხვა ტიპის ლამინირებისთვის საჭირო ფირფიტების გამოყენება შეიძლება. ყოველ ჯერზე ამ ვარიანტების აღწერის მაგივრად უბრალოდ სიტყვა „ლამინირებას“ გამოვიყენებ.

გაითვალისწინეთ, რომ აქ აღწერილი მასალებისა და ზომების გამოყენება არ არის სავალდებულო; აქ მხოლოდ სახელმძღვანელო მითითებებია მოცემული. შეგიძლიათ იმპროვიზაციას მიმართოთ და თქვენ ხელთ არსებული მასალები გამოიყენოთ. თავისუფლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ყუთები და სხვა ნებისმიერი მასალა, რაც სახლში მოგეპოვებათ. ეს პროექტი ძვირი არ უნდა დაგიჯდეთ (ლოტოს ფორმატები შეიძლება დამზადდეს ოთხი ან რვა სიტყვისთვის. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენი სიტყვა იცის ბავშვმა და ერთ ჯერზე რამდენჯერ შეიძლება ყურადღების გადატანას და შემდეგ ისევ კონცენტრირებას. ლოტოს ბარათები მოცემულია დანართში დ 1, დ 2 და დ 3 .

ლოტოს ბარათების დაზუსტება:

ლოტოს ბარათების ნახვა შეგიძლიათ დანართებში დ-1, დ-2 და დ-3. ფორმატის დამზადების უმოკლესი გზა სასურველი ფორმის A4 ზომის ფორმატზე კოპირებაა (როდესაც ქსეროქსთან მოხვდებით, რამდენიმე ასლი გააკეთეთ, დაგჭირდებათ). თუკი ქსეროქსი არა გაქვთ, ფორმები ხელით გადაწერეთ ან ფანტაზია გამოიყენეთ იმისთვის, რომ გამორჩეული ფორმატი გამოგივიდეთ (თქვენ ოჯახში შესაძლოა 9 წევრია; ყველა რომ დაატოთ ბარათზე, შესაძლოა, დიდი ზომის საქალაქე გამოიყენოთ). ბარათს სათაური დააწერეთ. თუკი ყველა სიტყვა ერთი თემატური კატეგორიის არ არის, შეგიძლიათ სათაურად დააწეროთ „ლოტო“ ან „საოჯახო ლოტო“, „ლომიძების ოჯახი“, „სახელების ლოტო“ ან ნებისმიერი სხვა. მას შემდეგ, რაც მეტ და მეტ ლოტოს დაამზადებთ, სათაურის საკითხი უფრო მნიშვნელოვანი გახდება, რადგან სწორედ სათაურმა უნდა განსაზღვროს ბარათზე დატანილი სიტყვების კატეგორია და ბავშვს კატეგორიების ათვისებაში დაეხმაროს.


ჩაწერეთ სიტყვები ბარათზე აღნიშნულ უჯრებში და ლამინირება გაუკეთეთ.

უსატყვისი მოპარნახე ბარათების დაგზავლა

დაამზადეთ კიდევ ერთი ლოტოს ფორმატი, რომელიც ზუსტად ისეთივე იქნება, როგორც ზემოთაა მოყვანილი. ლამინირება გაუკეთეთ, გამოჭერით და დაამზადეთ დიდ ბარათზე დატანილი სიტყვების ზუსტი ასლები, სათაურის ჩათვლით (სჯობს, ჯერ ლამინირება გაუკეთოთ და მერე გამოჭერათ, თუმცა, თუკი ლამინირების მანქანას იყენებთ, აჯობებს, ჯერ ბარათები გამოჭერათ და მერე ლამინირება გაუკეთოთ. ზოგჯერ ლამინირებული ბარათის გვერდები იხსნება. შესაძლოა, ლამინირება არ იყოს საჭირო, თუკი ბავშვს ნერწყვის დენა არ აღენიშნება და თითებს პირში არ იღებს).

პარინტი 3:

ლოტო სიტყვა სიტყვასთან დისკავით (ნახატი 8. 8)



მასალა:

სტანდარტული A4 ზომის ბარათები, ქილების თავსახურები, წებო, მაკრატელი, ფლომასტერი, სახაზავი, ლამინირების აპარატი, დიდი ზომის კონვერტი ან ფაილები, რომლის გვერდები სტეპლერით ან წებოვანი ლენტითაა შეკრული.

ლოტოს ფორმატის დაგზავლა:

ნახატი 8.8


ლოტოს ფორმატი შეიძლება ჰორიზონტალურადაც მოვაბრუნოთ და ვერტიკალურადაც. თუკი ზედ გრძელი გვარი უნდა დააწეროთ, მაგ. „ამირანაშვილების ოჯახი“, ჯობს, ფორმატი ჰორიზონტალური იყოს. მას თავზე თამაშის სახელწოდება დააწერეთ. სათაურის ქვეშ ქილის თავსახურის გამოყენებით წრეები დახაზეთ (თითოეული სიტყვისთვის თითო წრე); თუკი ეს ზომა გაწყობთ, შეგიძლიათ, დანართში დ-2 და დ-3 მოცემული წრეებიც გადაიღოთ. ჩაწერეთ სიტყვები წრეებში და ლამინირება გაუკეთეთ.

ლოტოს დისკავის დაგზავლა:

მუყაოს ბარათებზე ისეთივე ზომის წრეები დახაზეთ, როგორც ფორმატზე, ოღონდ ოდნავ პატარა, რომ ქილის თავსახურზე დატანილ წრეში ეტეოდეს (თავსახურის გარშემო წრე შემოხაზეთ, შემდეგ მუყაო გამოჭერით და ისე დაუშუშავეთ გვერდები, რომ თავსახურის წრეში ჩაეტიოს, შემდეგ ამ მუყაოს მიხედვით სხვებიც გამოჭერით). გამოჭრილ წრეებში შესაბამისი სიტყვები ჩაწერეთ და ლამინირება გაუკეთეთ. გამოჭერით წრეები და მიაწებეთ თავსახურებზე (ისე, რომ თავსახურზე გამოსახული ტექსტი ან სავაჭრო ნიშანი დაიფაროს).

ლოტო სურათი სიტყვასთან დისკავით (სურათი 8.9)

მასალა:



სტანდარტული A4 ზომის ქაღალდი, წვენი ქილების თავსახურები, წებო, მაკრატელი, ფლომასტერი, სახაზავი, ფოტოები ან სიმბოლოები. თუკი ფოტოებს გამოიყენებთ, ისე უნდა გამოჭრათ, რომ დისკებზე დაიკრას. თუკი ფოტოების გამოჭრა ან ზედმეტი ფოტოების დაბეჭდვაში ფულის დახარჯვა არ გინდათ, ფოტოების ქსეროასლები დაამზადეთ (თითო ფორმატზე შეიძლება რამდენიმე ფოტო დაატიოთ). ეცადეთ რამდენიმე ქსეროასლი დაამზადოთ, რადგან შეიძლება სხვა აქტივობებისთვის გამოგადგეთ.

ნახატი 8.9


ლოტოს ბარათის დაზაფვა:

გააკეთეთ დანართი დ 2-ის ან დ 3-ის ასლები ან თვითონ დაამზადეთ ბარათები ისე, რომ თქვენს ოჯახზე იყოს მორგებული. ბარათს თამაშის სათაური დააწერეთ. სათაურის ქვეშ წვენი ქილის თავსახურის დახმარებით წრეები დახაზეთ (თითო სიტყვისთვის თითო). წრეებში სიტყვები ჩაწერეთ და ბარათს ლამინირება გაუკეთეთ (თუკი ლოტოსთვის „სიტყვა სიტყვასთან“ დამზადებულ დისკებზე იგივე სახელები გაქვთ დატანილი, შეგიძლიათ ამ თამაშისთვისაც იგივე ფორმატი გამოიყენოთ, მხოლოდ დისკები შეიცვლება). თუკი ბავშვმა სრულად აითვისა ლოტო „სიტყვა სიტყვასთან“, შეგიძლიათ იგივე თავსახურები გამოიყენოთ და სიტყვებზე ფოტოები გადააწებოთ.

ლოტოს სურათინი დისკავის დაზაფვა:

მუყაოს ფორმატზე დაახლოებით ბარათების ზომის წრეები დახაზეთ, ოდნავ პატარა ისე, რომ წრე ქილის თავსახურზე დაეტიოს (თავსახური ფორმატს დაადეთ და გარშემო წრე შემოხაზეთ, შემდეგ გამოჭერით და ისე დაუმუშავეთ გვერდები, რომ წრე თავსახურის წრეში ჩაეტიოს, შემდეგ ამ მრგვალი ბარათის მიხედვით სხვებიც გამოჭერით). გამოჭერით ფოტოები ან ფოტოს ქსეროასლები ისე, რომ წრეში ჩაეტიოს და ფერადმა ქაღალდმა ფოტოს გარშემო წარმოქმნას კანტი. ლამინირება გაუკეთეთ, გამოჭერით და ჩააწებეთ თავსახურის წრეში.

ლოტო სიტყვა სურათთან დისკავით (სურათი 8.10)



ნახატი 8.10

მასალა:

იგივე, რაც ლოტო სურათი სიტყვასთან.

სათამაშო ბარათების დამზადება:

გაკეთეთ დანართი დ 2-ის ან დ 3-ის ასლები ან თქვენ თვითონ დაამზადეთ ბარათები. ბარათს თავზე დააწერეთ სათაური „ლომიძეების ოჯახი.“ ფოტოები მუყაოს ფორმატზე გაკეთებულ წრეებში ჩააწებეთ (ეს შეიძლება იყოს იგივე ფოტოები, რაც სურათებიან ბარათებზეა გამოყენებული ან ფოტოების ქსეროასლები. სხვა თავებში აღწერილ ლოტოში ფოტოების მაგივრად სიმბოლოები/ნახატები იქნება

გამოყენებული). თუკი თქვენ ოჯახში ოთხ წევრზე მეტია ან მეტი ადგილი გჭირდებათ, ორი ფორმატი გადააწებეთ (ისე, რომ წიგნით გადაიკეცოს), ან დიდი ფორმატი გამოიყენეთ (ეს თამაში და ყველა ის ლოტო, რომლებზეც დისკები გამოიყენება, მათ გარეშეც შეიძლება დამზადდეს. უბრალოდ, ფოტო ან რაიმე სიმბოლო ლოტოს ბარათზე წებოვანი ლენტით ან წებოთი დაამაგრეთ ისე, რომ სამკუთხედი ან ოთხკუთხედი გამოვიდეს და არა წრე. მისადაგებისთვის გამოიყენეთ „მოკარნახე“ ბარათები. დისკები უბრალოდ ლოტოს თამაშის ელფერს აძლევს და ბავშვისთვის უფრო მიმზიდველია).

სიტყვების დისკავის დამზადება:

დაამზადეთ დისკები, როგორც ეს ზევით არის აღწერილი ლოტოში „სიტყვა სიტყვასთან“ და თუ დაამზადებთ, ამ თამაშშიც იგივე დისკები გამოიყენეთ.

**როგორ
პითაგაოთ
ლოტო**

თანამიმდევრობა:

ლოტო ისე უნდა ითამაშოთ, რომ სახალისო და ბუნებრივი იყოს როგორც თქვენთვის, ისე თქვენი ბავშვისთვის. თამაში სიამოვნებას უნდა განიჭებდეთ, ამავე დროს, ბავშვი კითხვაში, მისადაგებასა და აღქმაში უნდა ვარჯიშობდეს. ქვემოთ ის ნაბიჯებია აღწერილი, რომლებიც ბავშვს ლოტოს თამაშს ასწავლის, და თქვენც დაგეხმარებათ.

ნაბიჯი 1: გააცანით ლოტოს ბარათი

ბავშვს წინ დაუდეთ ბარათი და უთხარით, „ეს თამაშია, თამაში ლომიძეების ოჯახზე – ჩვენს ოჯახზე“, სათაურში მოცემულ სიტყვებზე მიუთითეთ, წაუკითხეთ ან მასთან ერთად წაიკითხეთ. მიუთითეთ ბარათზე მოცემულ ოჯახის წევრებზე, წაუკითხეთ, მასთან ერთად წაიკითხეთ ან მას წააკითხეთ; ლოტო „სიტყვა ფოტოსთან“ შემთხვევაში დაასახელეთ ფოტოზე აღნიშნული ოჯახის წევრები.

თუკი თქვენი ბავშვი ვერ კითხულობს სიტყვებს „ლომიძეები“ და „ოჯახი“, შეიძლება ამ სიტყვების წაკითხვა ასწავლოთ. შეიძლება ჯობდეს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ლოტო ეთამაშოთ, დააინტერესოთ და სიტყვების წაკითხვა

მოგვიანებით ასწავლოთ, თუკი მისი მონაცემები (ტესტი) ცხადყოფს, რომ მას კითხვაში მეტი ვარჯიში სჭირდება, სანამ ახალ სიტყვებზე გადავა. როდესაც ბავშვისთვის ამ სიტყვების სწავლებას გადაწყვეტთ, მისადაგების, შერჩევისა და დასახელების ზევით აღწერილი მეთოდი გამოიყენეთ. სთხოვეთ ბავშვს, „მოკარნახე“ ბარათები, რომელსაც აწერია „ლომიძეები“ და „ოჯახი“; ლოტოს ფორმატებზე აღნიშნულ იმავე სიტყვებს მიუსადაგოს. შეიძლება მას ბარათების ერთად დალაგებაც სთხოვოთ, რომ სრული სახელი და გვარი გამოვიდეს, მაგალითად, „დავით ლომიძე“.

ნაბიჯი 2: ბავშვს „მოკარნახე“ ბარათები ან დისკები აჩვენეთ – თითო ჯერზე თითო

სიტყვა სიტყვასთან: ბავშვს თითო ჯერზე თითო „მოკარნახე“ ბარათი ან დისკი აჩვენეთ და ჰკითხეთ: „რა წერია აქ?“. თუ ბავშვს დახმარება სჭირდება, დაეხმარეთ, უთხარით: „ეს დედაა. დაადე „დედა“ „დედას“. თუკი დავალებას სწორად ვერ ასრულებს, აჩვენეთ, როგორ მიუსადაგოს სიტყვა ბარათს.

სურათი სიტყვასთან: ბავშვს თანდათან დისკები აჩვენეთ და ჰკითხეთ: „ვინ არის ეს?“. მიეცით მას დისკები და აჩვენეთ, როგორ მიუსადაგოს ლოტოზე მოცემულ სიტყვას.

სიტყვა სურათთან: ბავშვს ყოველ ჯერზე ერთი დისკი აჩვენეთ და ჰკითხეთ, „ვინ არის ეს?“. მიეცით დისკი და აჩვენეთ, როგორ მიუსადაგოს ლოტოზე აღნიშნულ სიტყვას.

როდესაც ფორმატი შეივსება, დაიძახეთ, „ლოტო! შენ ის შეავსე და ყველაფერი სწორია!“ (ან ნებისმიერი სხვა რამ უთხარით, რაც ბუნებრივია და თქვენს ბავშვს შინაგან რწმენას განუმტკიცებს; ხაზს გაუსვამს მის მიღწევას და შესრულებული სამუშაოს გამო სიხარულის განცდას მიანიჭებს).

ნაბიჯი 3: ყველა ბარათი და დისკი ერთდროულად წარმოადგინეთ

დადეთ „მოკარნახე“ ბარათები (ან დისკები) მაგიდაზე, ნაწერით ქვემოთ. აურიეთ ისინი ერთმანეთში, როგორც დომინოს თამაშისას და თქვით: „ბარათები ერთმანეთში უნდა აურიოთ“ (ეს ამ აქტივობას თამაშის ელფერს შესძენს და ბავშვის ინტერესს გააღვივებს). აჩვენეთ ბავშვს, როგორ აიღოს თითო ჯერზე თითო ბარათი და მიუსადაგოს ფორმატზე მოცემულ სიტყვას.

პარანსტუპი:

1. თუკი თქვენ „მოკარნახე“ ბარათებს იყენებთ, ასწავლეთ ბავშვს მათი „არევა“ (როგორც ბანქოში) და თითო ჯერზე თითოს გამოღება;

2. ჩადეთ ბარათები ან დისკები ჩანთაში ან ყუთში და საშუალება მიეცით ბავშვს, ამოიღოს ისინი;

3. მიეცით ბავშვს საშუალება, თვითონ განსაზღვროს ის, თუ რისი გაკეთება უნდა. ბავშვებმა ხშირად თვითონ იციან ხოლმე, რა უნდათ და ეს მათ თამაშის გაკონტროლებისა და სიტუაციის ფლობის შეგრძნებას აძლევს. ისინი კრეატიულობას იჩენენ ხოლმე და ჩვენც სწორედ ეს უნდა წაგახალისოთ.

არა! მათი ხელში დაჭერა მინდა

ერთმა ბავშვმა დისკები ხელით ჩაბლუჯა და გულზე მიიხუტა. როდესაც ვთხოვე, მაგიდაზე დადე, რომ ვითამაშოთ-მეთქი, მითხრა: „არა! მინდა რომ ხელში მეჭიროს.“ ვუთხარი, თუ გინდა, გეჭიროს-მეთქი. ამის შემდეგ სათითაოდ იღებდა დისკს და იდეალურად უსადაგებდა შესაბამის სიტყვას. როგორც ჩანს, მას თამაში ძალიან მოსწონდა და კარგად ესმოდა, რასაც აკეთებდა. ლოტოს თამაში არის სიტყვების კითხვის სახალისო ვარჯიში და „სიტყვა სურათთან“ და „სურათი სიტყვასთან“ შემთხვევაში აღქმასაც ავარჯიშებს. ლოტო ჩვენი და ბავშვის სურვილებს შორის დაპირისპირებად არ უნდა ვაქციოთ. პატივი ეცით ბავშვის აზრს. როდესაც ბავშვი გრძნობს, რომ მის აზრს პატივს სცემენ, თქვენს აზრსაც პატივს სცემს. თქვენ მას კომპრომისისა და სხვისი აზრის პატივისცემის მაგალითი უნდა აჩვენოთ. ბავშვმა ის გააკეთა, რაც მინდოდა, რომ გაეკეთებინა (დისკების სიტყვებთან მისადაგება), მე კი მას იმის გაკეთების საშუალება მივეცი, რაც მას უნდოდა (დისკების ხელში დაკავება). კმაყოფილიც კი ვიყავი იმით, რომ ბავშვს თამაში ასე მოეწონა.

ნაბიჯი 4: ასწავლეთ ბავშვს ლოტოს მარტო თამაში

ბავშვს უნდა შეეძლოს გამოიღოს ლოტო, გადააბრუნოს ფორმატები ან დისკები, ერთმანეთში აურიოს და სათითაოდ ამოიღოს იმისათვის, რომ ერთმანეთს მიუსადაგოს. დროთა განმავლობაში მას ამის გაკეთება ერთზე მეტი ბარათის გამოყენებით შეუძლია. ეს მისთვის გართობაა და ბანქოს თამაშს „სოლიტერს“ ან მოზაიკის აწყობას ჰგავს. ეს არის ის აქტივობა, რომლის დროსაც მას შეუძლია კითხვა გამოიყენოს.

ნაბიჯი 5: ასწავლეთ ბავშვს სხვებთან ერთად ლოტოს თამაში

ლოტოს ერთი ფორმატი:

„ეთამაშეთ“ ბავშვს ლოტო, რიგრიგობით ამოიღეთ ბარათი ან დისკი. სთხოვეთ, გაჩვენოთ, სად უნდა დაიდოს ბარათი, იმისთვის, რომ ის უფრო კარგად გაიწაფოს. უთხარი: „მე მაქვს „მამა“, სად დავდო?“

ერთზე მეტი ლოტოს ფორმატი:

დროთა განმავლობაში ბავშვს ლოტოს რამდენიმე კომპლექტი უნდა ჰქონდეს, თითოეულ კომპლექტში ერთი და იმავე კატეგორიის სიტყვები უნდა შედიოდეს, მაგალითად, „საოჯახო ლოტო“, „ქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ლოტო“, „საჭმლის აღმნიშვნელი სიტყვების ლოტო“, „განრიგის აღმნიშვნელი სიტყვების ლოტო“ და ა. შ. როდესაც ბავშვს ორი ლოტოს ფორმატი აქვს, მას სხვასთან ერთად თამაშიც შეუძლია. თითოეულ მოთამაშეს ლოტოს თავისი ფორმატი აქვს. წესები თვითონ შეგიძლიათ განსაზღვროთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ესმის ბავშვს და რამდენად მომწიფებულია ის სოციალურად. გახსოვდეთ, რომ კითხვისთვის განკუთვნილ ამ თამაშში ურთიერთობის უნარ-ჩვევებიც არის გათვალისწინებული. ეს არის საშუალება, რომ ბავშვს ვასწავლოთ თავისი რიგისა და წესების დაცვა. იმ ლოტოს თამაშის წესები, რომელიც ერთი ფერისაა, განსხვავდება ფერადი ლოტოს თამაშის წესებისგან. ქვემოთ მოცემული მითითებები ამ თამაშს გაგიადვილებთ.

ლოტოს ერთი და იმავე ფარის კონკლუზი:

ყოველ მოთამაშეს ცალკე ლოტოს ფორმატი აქვს (დაიწყეთ ორი მოთამაშით; მას შემდეგ, რაც ბავშვი თამაშს კარგად ისწავლის, შეიძლება მოთამაშეები დაემატოს). ერთმანეთში აურით ინდივიდუალური ბარათები, როგორც ბანქოს თამაშისას, დაწერილი მხრით ქვემოთ. ასწავლეთ ბავშვს ამის გაკეთება; ეს თამაშის სახალისო ნაწილია და კარგი ვარჯიშია მოტორიკის განვითარებისთვის. ბავშვმა შეიძლება ხელში დაჭერილი ბარათების ერთმანეთში არევა ვერ შეძლოს, მაგრამ არცერთ, თუ როგორ შეიძლება მაგიდაზე დადებული ბარათების ერთმანეთში არევა და შემდეგ ერთ კომპლექტად დაწყობა. შეგიძლიათ მაგიდაზე არეულიც დატოვოთ (თვითონ ბავშვმაც შეიძლება გააკეთოს არჩევანი, ჰკითხეთ: „როგორ დავაწყობთ ბარათები, ერთად თუ გაშლილად?“

ყველა მოთამაშეს აქვს ლოტოს ფორმატი და რიგრიგობით იღებს მაგიდაზე დაწყობილ ბარათებს. მოთამაშე-წამყვანი, რომელიც ბარათს იღებს, განსაზღვრავს, რამდენად შეესაბამება აღებული ბარათი იმ კატეგორიას, რომლის ფორმატიც მას აქვს. თუკი ასეა, ის ბარათს თავის ფორმატს მიუსადაგებს. წამყვანმა შეიძლება თქვას, „ეს მამაა. მამა ოჯახის წევრის აღმნიშვნელი სიტყვაა. მე ოჯახის ფორმატი მაქვს, ასე რომ, ეს ბარათი ჩემია.“ თუკი წამყვანი ისეთ ბარათს იღებს, რომელიც მის ფორმატს არ შეესაბამება, ამბობს, „ბარათზე წერია „ახტი“. ეს სიტყვა მოქმედების აღმნიშვნელ ფორმატს შეესაბამება. ვის აქვს მოქმედების აღმნიშვნელი ფორმატი?“; თუკი წამყვანი ბარათს სხვას უთმობს, შემდეგი ბარათიც მანვე უნდა ამოიღოს და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ წამყვანი თავისი ფორმატის შესაბამის ბარათს არ ამოიღებს. დანარჩენი მოთამაშეები თამაშს აგრძელებენ მანამ, სანამ მათი ფორმატი არ შეივსება.

მნიშვნელოვანია, რომ თამაშში სახალისო იყოს და ბავშვს მისი თამაშის სურვილი ჰქონდეს. მე მეტ ყურადღებას თანამშრომლობას დავუთმობდი (იმ ადამიანისთვის ბარათის მიცემა, ვისაც მისი გამოყენება შეუძლია და ხელმეორედ ცდა) და არა შეჯიბრებას (თუ თქვენ ბარათის გამოყენება არ შეგიძლიათ, უკან უნდა ჩადოთ, თქვენი რიგი გამოტოვოთ; გამარჯვებული კი ის იქნება, ვინც პირველი შეაგებს ფორმატს). თამაშში, რომელიც „თანამშრომლობას“ შეეხება, ყველა გამარჯვებულია. ზოგი უბრალოდ თამაშს ადრე ამთავრებს და ეს ჩვეულებრივი ამბავია. ეს საერთო თამაშია და ჩვენ ყველა ვმონაწილეობდით. თამაშში თანამშრომლობას გულისხმობს და ყველა ერთმანეთს ეხმარება. უფროსი ასაკის ბავშვი შეჯიბრებამ შესაძლოა უფრო დააინტერესოს, თუმცა, ძირითადად, მე ვფიქრობ, ყველა უფრო კმაყოფილი იქნება, თუკი არ იქნება გამარჯვებული და დამარცხებული. არ არის სასურველი, ბავშვი თამაშზე იმიტომ ამბობდეს უარს, რომ დამარცხების ეშინია.

ლოტო დისკუსია:

იმის გამო, რომ გადაბრუნებულ მდგომარეობაში ყველა დისკი ერთნაირად გამოიყურება, დისკებიანი თამაშით ისევე შეგიძლია ვითამაშოთ, როგორც ერთი და იმავე ფერის თამაშებით (მოთამაშე ვერ ხედავს ფერს, სანამ დისკს არ აიღებს). ბარათების მაგივრად შეიძლება დისკები გამოვიყენოთ და ისე ავუროთ, როგორც დომინოს თამაშისას.

სხვადასხვა ფარის ლოტოს სთამაშო კომპლექტები:

ვარიანტი 1: ასწავლეთ ბავშვს ფერის კოდირების გამოყენება. აურიეთ ერთმანეთში ყველა ბარათი რამდენიმე კომპლექტში და დადეთ მაგიდაზე „სახით“ ზემოთ. თამაშის პროცესში თითოეული მოთამაშე იმ ფერის ბარათს ირჩევს, რა ფერის ფორმატიც აქვს მას. მას შემდეგ, რაც ფერებს სწორად შეარჩევენ, შეიძლება ბარათების გათამაშება. ეს ბავშვს ფერების გარჩევის უნარს უვითარებს და თამაშს დამატებით დატვირთვას შესძენს.

ვარიანტი 2: გამოიყენეთ თამაშის „ბრმა“ ვარიანტი. ბარათები მოათავსეთ ჩანთაში (ნაჭრის ზონარგაყრილი ტომარა ძალიან მოსახერხებელია) ან ყუთში (რომელსაც ხელის ჩასაყოფი ისე აქვს გამოჭრილი, რომ მოთამაშეს ხელი იოლად ჩაეტიოს). ასეთი „ბრმა“ ხერხი ხელს უშლის წამყვანს მხოლოდ იმ ბარათების შერჩევაში, რომლებიც მის ფორმატს მიესადაგება. მას შემდეგ, რაც მოთამაშე ბარათს ტომრიდან ან ყუთიდან ამოიღებს და ფერს შეხედავს, უკვე იცის, თუ ვის ეკუთვნის ის. თუ ბარათის ფერი წამყვანის ფორმატს ემთხვევა, ის თვითონ თამაშობს, თუ არ ემთხვევა, ბარათს იმ მოთამაშეს მისცემს, ვისაც ასეთი ფერის ფორმატი აქვს. თამაშის პროცესში წამყვანმა შეიძლება კატეგორიები გამოყოს, მაგალითად, „ეს მწვანეა, ოჯახის აღმნიშვნელი სიტყვაა“.

**სსსკოლო
ბაკავთილისთვის
აკავტირებული
პერსონა**

ყველა ეს თამაში სკოლაში შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური თამაშებისთვის. უმჯობესია, თამაშში ის სიტყვები იყოს გამოყენებული, რომელსაც სკოლაში ვასწავლით, მაგალითად:

1. ოჯახური ლოტო: სიტყვა სიტყვასთან ან სურათი სიტყვასთან (შეგიძლიათ ფოტოს ქსეროასლები გამოიყენოთ). თუკი ბავშვები ჯგუფებად მუშაობენ, ლოტოს შეიძლება დაერქვას ჯგუფი 1, ჯგუფი 2, ჯგუფი 3 და ა.შ. და მოსწავლეებს შეუძლიათ მრავალფორმატიანი თამაში ითამაშონ.

2. სასკოლო ლოტო: ამ ლოტოს თამაში შეიძლება სასკოლო სიტყვებით, როგორცაა სკოლა, სკოლის სახელი, მასწავლებლის სახელი, ბუფეტი, დასვენება, ავტობუსი, მასწავლებელი, დირექტორი და მეგობრები.

3. განრიგის ლოტო: ეს შეიძლება იყოს დღის განრიგის აღმნიშვნელი ლოტო სიტყვა სიტყვასთან ან სიმბოლო სიტყვასთან. აქ ისეთი სიტყვები შეიძლება ჩაერთოს, როგორცაა გაკვეთილის დაწყების დრო, კითხვა, ცენტრები, დასვენება, ბიბლიოთეკა, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები და ა.შ. ამ სიტყვებისთვის ჯობს სიმბოლოები გამოვიყენოთ, ვიდრე სიტყვები.

შენიშვნა მასწავლებლებისთვის: იმუშავეთ ხელოვნების მასწავლებლებთან ერთად. მათ მოსწავლეებს შეუძლიათ დაამზადონ მასალა (წიგნები ან თამაშები), ითამაშონ თამაშები მოსწავლეებთან ერთად და ამას პროექტის სახე მისცენ. ეს თითოეული ჯგუფისთვის კარგი სასწავლო გამოცდილება იქნება და მთელი სამუშაოს შესრულება თქვენ არ მოგიწევთ.

ამოცანა 5: წინადადებების კითხვაში ბავშვი მისთვის დამზადებული წიგნის დახმარებით ივარჯიშებს (ნახატი 8.11)

მას შემდეგ, რაც ბავშვმა უახლოესი ადამიანების სახელების კითხვა ისწავლა, დაუშაბადეთ წიგნი, რომლის წაკითხვასაც შეძლებს. ისეთი წიგნი დაამზადეთ, რომელიც ბავშვის ასაკსა და ინტერესებს შეესაბამება და რომელშიც ნაცნობი ლექსიკაა გამოყენებული. გამოიყენეთ ფანტაზია და ყველანაირი მასალა. შეგიძლიათ ქვემოთ მოყვანილი მითითებებიც გამოიყენოთ.

**პირველი
ნიბნი: კითხვა
სიაშოვნებისთვის**



ნახატი 8.11

მასალა წიგნის დასაგზავლად

A4 ფორმის ფერადი ქაღალდი, წიგნის ყდისთვის ნებისმიერი მასალა, რომელიც ყდისთვის იქნება შესაფერისი; სტანდარტული თეთრი ქაღალდი; სასურველია, რაც შეიძლება მძიმე იყოს, იმისთვის, რომ ფურცლის მეორე მხარეს ასოები არ გამოჩნდეს; შეკარით სტეპლერით, რგოლებით ან სამაგრით; დაგჭირდებათ ფლომასტერი, წებოვანი ლენტი, ბარათებზე დაკრული ფოტოები, ფერადი ფლომასტერები წიგნისა და ილუსტრაციების გასაფერადებლად.

როგორ გავაკეთოთ წიგნი:

პირველი წიგნისთვის გამოიყენეთ ის ფოტოები, რომლებიც სურათებიან ბარათებზეა დაკრული (ან სხვა ფოტოები). ყოველ გვერდზე, რომელიც ჰორიზონტალურად იშლება (იმისთვის, რომ თითოეული გვერდის ქვედა ნაწილში მეტი ადგილი დარჩეს წინადადებების დასაწერად) ცენტრთან ახლოს წებოვანი

ლენტით ფოტო მიაწებეთ (ლენტის უკანა მხარეს მიაწებეთ ისე, რომ არ გამოჩნდეს). თითოეულ ფოტოს გარშემო ფლომასტერით ჩარჩო დაუხატეთ (ზოგიერთ მშობელს მოსწონს ლამაზი ჩარჩოების დახატვა კომპიუტერის გამოყენებით. ეს კარგია, თუკი სათანადო აღჭურვილობა და დრო გაქვთ, თუმცა, სულ არ არის აუცილებელი. ბავშვებისთვის მოსაწონი წიგნების დამზადება ხელითაც შეიძლება. ჩარჩოების გამოყენებით წიგნის გვერდები უფრო საინტერესო და მიმზიდველია).

მას შემდეგ, რაც ოჯახის თითოეული წევრის ფოტო წიგნის თითოეულ გვერდზეა, ქვეშ ისეთი მარტივი წინადადება მიუწერეთ, რომ ბავშვმა წაკითხვა შეძლოს. ეცადეთ ისეთივე ზომის ასოებით დაწეროთ, როგორც „მოკარნახე“ ბარათებზეა. სიტყვებს შორის საკმარისი ადგილი დატოვეთ (თუკი სწორი და თანაბარი ასოების წერა გიჭირთ, მკრთალი ხაზები გაავლეთ და ასოები შიგ ჩაწერეთ. შეგიძლიათ კომპიუტერი გამოიყენოთ დიდი ზომის ასოების დასაწერად. თუკი კომპიუტერი არა გაქვთ და ხელით წერაც გიჭირთ, ასოების თარგები გამოიყენეთ). მნიშვნელოვანია, რომ დაწერილი კარგად იკითხებოდეს და ასოებს შორის საკმარისი დაშორება იყოს.

მას შემდეგ, რაც წიგნის ფურცლების დამზადებას დაამთავრებთ, თქვენი სურვილის მიხედვით დააჯგუფეთ, ყდა გაუკეთეთ და სტეპლერით შეკარით. ყდაზე სათაური დააწერეთ.

იყო შემთხვევა, როდესაც მშობელმა წიგნად ფოტოალბომი გამოიყენა, ფოტოების ქვეშ ნაბეჭდი წინადადებები ჩააწება და ლამინირება გაუკეთა.

პირველი ნიშნის უინარსი:

როგორც წესი, პირველი წიგნი ძალიან მარტივია. ბავშვის საკითხავი ლექსიკონი ხშირად მწირია, მწირია მისი სამეტყველო ლექსიკაც. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა მარტივად შეძლოს წიგნის წაკითხვა და წარმატება იგრძნოს. ყველაზე მარტივი წიგნია „წიგნი „მე ვხედავ“ წიგნის ყოველ ფურცელზე ქვევით დიდი ასოებით დაწერეთ წინადადება „მე ვხედავ“ და ადამიანის სახელი მიაწერეთ, მაგალითად:

- „მე ვხედავ ანას“
- „მე ვხედავ დედას“
- „მე ვხედავ მამას“
- „მე ვხედავ ნიკოს“

წიგნში იმდენი ფურცელი იქნება, რამდენი წევრი ან შინაური ცხოველია ოჯახში. პირველი წიგნის სათაურია „მე ვხედავ“ ან „(ბავშვის სახელი) წიგნი“ მაგალითად, „ანას წიგნი“ (სხვა წიგნების მაგალითები ქვემოთაა მოცემული).

თანამიმდევრობა:

აჩვენეთ წიგნი ბავშვს, მიეცით საშუალება, დაათვალიეროს და სურათების შესახებ ისაუბროს. შემდეგ სიტყვებზე მიუთითეთ და მათი წაკითხვა სთხოვეთ; სანამ წაკითხვას სთხოვეთ, შეგიძლიათ თვითონ წაუკითხოთ. წიგნის კითხვისას მაქსიმალურად დაეხმარეთ, სიტყვებზე მიუთითეთ, მინიშნება მიეცით ან საჭირო სიტყვა მიაშველეთ (ბავშვმა ეს სიტყვები კარგად უნდა იცოდეს, რადგან მას მისადაგების, შერჩევისა და დასახელების ეტაპი უკვე გავლილი აქვს). ასწავლეთ მას სიტყვა „წიგნი“ და ეს ასე გააკეთეთ: მიეცით ბარათზე გამოსახული სიტყვა „წიგნი“, რომელიც ყდაზე მოცემულ სიტყვას მიესადაგება. ავარჯიშეთ სიტყვა „წიგნის“ შერჩევასა და დასახელებაში; ამ დროს შეიძლება ყურადღების გადამტანი ბარათები იყოს გამოყენებული.

უფასობა:

ჩაინიშნეთ სიტყვები, რომელთა კითხვისას ბავშვს დახმარება ესაჭიროება. ჩაატარეთ დამატებითი ვარჯიში მისადაგებაში, შერჩევასა და დასახელებაში.

„მიყვარს“ ნიშნის სხვა მარტივები

მე მიყვარს დედა.

ექვსი წლის ბილმა თებერვლის პირველი კვირის განმავლობაში ოჯახის წევრების სახელები ისწავლა. ნაცვლად იმისა, რომ ესწავლა „მე ვხედავ; ისწავლა კითხვა სიტყვებისა „მე“, კავშირი „და“, „მიყვარს“ (სურათიან ბარათზე სიყვარულის სიმბოლოდ გული იყო გამოსახული. სიტყვების „მე“ და „და“ სწავლება ბარათების გარეშე ხდებოდა). სიტყვა „მიყვარს“ სწავლება ძალზე ფუნქციური იყო წელიწადის ამ დროს. ბილს შეეძლო წაეკითხა „მიყვარს დედა“ და „მიყვარს მამა“ იმ ბარათებზე, რომლებიც სკოლაში ვალენტინობის აღსანიშნავად მათთვის დაამზადა.

ბილის პირველი წიგნის სათაური იყო „ბილის წიგნი“ და ამ სათაურის გარშემო დიდი გული იყო დახატული (თუკი ამ თემას მეტი დრო გინდათ დაუთმოთ, შეგიძლიათ მთელი წიგნი გულის ფორმისა გააკეთოთ).

ფურცლებს, რომლებზეც გულის ფორმის ჩარჩოში ჩასმული ფოტოები იყო ჩაწებებული, ასეთი შინაარსი ქონდათ:

- „მიყვარს დედა“ (დედას ფოტო)
- „მიყვარს მამა“ (მამას ფოტო)
- „მიყვარს ანა“ (ანას ფოტო)
- „მამას, დედას და ანას უყვართ ბილი“ (ბილის ფოტო)

მე ბებიასთან მიყვარს ჭამა

ნათანმა, რომელიც ექვსი წლის იყო, ისწავლა ოჯახის წევრების სახელები და რამდენიმე განსხვავებული სიტყვა. ის ამ სიტყვებს „მოკარნახე“ ბარათებზე და სხვადასხვა ფრაზაში კითხულობდა, მაგალითად, „ნათან, ჭამე“ და „დიდი ძალი“. მისი სამეცხველო და საკითხავი ლექსიკონი გასცდა „მე ვხედავ“-ის ეტაპს. ჩვენ ბევრი ისეთი სიტყვა ჩავრთეთ წიგნში, რომლის წაკითხვა ნათანს შეეძლო, და ისეთიც, რომლის წაკითხვაც მას არ შეეძლო, მაგრამ სწრაფად ისწავლა.

- „ნათანის წიგნის“ შინაარსი:
- „მე ნათანი მქვია. მე ბიჭი ვარ“ (ნათანის ფოტო)
- „მე ექვსი წლის ვარ“ (ხატია ტორტი, რომელზეც არის 6 სანთელი და 6 ბუშტი, რომელსაც აწერია „გილოცავ დაბადების დღეს“ ან დაბადების დღის ფოტოა მოცემული).
- „ეს დედაა“ (დედის ფოტო)
- „ეს მამაა“ (მამის ფოტო)
- „მე მყავს ძმები ტომი და ბრაიანი“ (ტომისა და ბრაიანის ფოტო)
- „ჩემს დას ჰქვია ალისა“ (ალისას ფოტო)
- „ეს ჩემი ძალია, სახელად ბუჩი. ბუჩი დიდი ძალია“ (ბუჩის ფოტო)
- „მე ბებიასთან მიყვარს ჭამა“ (ფოტო, რომელიც ასახავს ჭამის პროცესს ბებიის სახლში) (ნათანის საყვარელი გართობა არის ბებიასთან ჭამა და ამის შესახებ კითხვა).
- დედამისმა თქვა, რომ ის წიგნს რგოლებით შეკრავს, რომ გვერდების დამატება შეეძლოს.

**სასკოლო
გაკვეთილისთვის
ადაპტირებული
პერსონა**

თუკი სურათები არა გაქვთ და მათი მოპოვებაც არ შეგიძლიათ, ბავშვს სიტყვები ორი „მოკარნახე“ ბარათის საშუალებით ასწავლეთ და მისადაგების, დასახელებისა და შერჩევის ტექნიკა გამოიყენეთ. ამის გაკეთება როგორც დიდ, ისე პატარა ჯგუფებში შეიძლება. რაც შეეხება ამ მეთოდის კლასის პირობებში გამოყენებას, როგორც ყოველთვის, ბავშვის სახელითა და იმ სიტყვებით დაიწყეთ, რომლებიც ბავშვისთვის აზრის მატარებელი და სასარგებლოა. უფრო დაბალი ასაკის ბავშვისთვის უმჯობესია მისი საკუთარი სახელით დაიწყოთ, ან დედის, მამისა და ის სახელები გამოიყენოთ, რომლებსაც ბავშვი კარგად იცნობს. მას შემდეგ, რაც ბავშვი ამ სახელებს ისწავლის და მათ გამოყენებას დაიწყებს, სხვა კლასელების სახელები და ის სიტყვები ასწავლეთ, რომლებსაც დღის განმავლობაში იყენებს. მაგალითად, სკოლის სახელი, მასწავლებელი, კალენდრის აღმნიშვნელი და დღის განრიგის აღმნიშვნელი სახელები (იხ. ამ წიგნის მესამე ნაწილი).

ის ბავშვები, რომლებსაც ერთდროულად სამი ან მეტი სიტყვის გამოყენება შეუძლიათ, თავიანთი თავისა და სკოლის შესახებ წიგნის წაკითხვას დამოუკიდებლად შეძლებენ. წიგნების დამზადება შეიძლება სკოლის ფოტოების კოპირებით და თვითონ მოსწავლის ან კლასის მოსწავლეების (ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად) ფოტოების გამოყენებით, რასაც დაემატება აქტივობების აღმნიშვნელი სიმბოლოები (გრაფიკული ნახატები). მასწავლებელს შეუძლია დაამზადოს გვერდები, რომლებზეც წინადადებები იქნება დატანილი და ისინი სხვა მოსწავლეებისთვის გამოიყენოს.

„მე ანდრია სულუხია ვარ (ანდრიას ფოტო).

„მე ზუგდიდის მეორე საჯარო სკოლაში ვსწავლობ“ (სკოლის ფოტო).

„ჩემი მასწავლებელია ქალბატონი მანანა გუნია“ (მასწავლებლის ფოტო).

„მე პირველ კლასში ვარ“ (საკლასო ოთახის კარის ფოტო ან კარის გრაფიკული ნახატი, რომელსაც კლასის ნომერი და მასწავლებლის სახელი აწერია).

„ჩემი კლასის მეგობრები“ (ჯგუფური ფოტო ან ინდივიდუალური ფოტო, რომელსაც ქვეშ თითოეული ბავშვის სახელი აწერია).

„სამშაბათობითა და ხუთშაბათობით ბიბლიოთეკაში დავდივარ“ (ბიბლიოთეკის ფოტო, ბავშვების ფოტო ბიბლიოთეკაში, ან წიგნების გრაფიკული ნახატი, რომელიც ბიბლიოთეკას გამოსახავს).

„ჩვენ დასვენებაზე ვთამაშობთ“ (ბავშვების ფოტო სათამაშო მოედანზე ან მოედნის გრაფიკული ნახატი, რომელზეც საქანელები ან სხვა გასართობებია გამოსახული).

„ჩემი განრიგი“ (მთელ გვერდზე დაბეჭდილი განრიგი).

„ჩემი ავტობუსის ნომერია 5“ (ავტობუსის ფოტო, რომელსაც აწერია ნომერი ან ავტობუსის გრაფიკული ნახატი, რომელსაც აწერია 5).

ეცადეთ, წიგნში მოცემული მასალა ბავშვის ათვისების დონეს შეესაბამებოდეს; ახალი გვერდები მასალის ათვისების პარალელურად დაამატეთ. ეს წიგნი გახდება მოსწავლის სახელმძღვანელო, რომელიც მას სკოლისა და სასკოლო განრიგის შესახებ ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება. ამ ეტაპზე ზოგიერთი ამ სიტყვის სასწავლად ბავშვს შეიძლება სურათებიანი ბარათებიც დასჭირდეს. ბარათებზე დატანილი ფოტოები ან გრაფიკული ნახატები წიგნში მათ ჩადებამდე შეგიძლიათ გამოიყენოთ. წიგნის ფურცლები შეიძლება ასეთი იყოს:

ანდრია სულუხია (მისი ფოტო).

„ჩემი სკოლა“ ან „ზუგდიდის მეორე საჯარო სკოლა“ (სკოლის ფოტო).

„ჩემი მასწავლებელი“ ან „ქალბატონი მანანა“ (მასწავლებლის ფოტო).

„ჩემი მეგობრები“ (კლასის ფოტო)

„დასვენება“ (ბავშვების ფოტო დასვენებაზე ან მოედნის გრაფიკული ნახატი, რომელზეც საქანელები ან სხვა გასართობია აღნიშნული).

„ჩემი განრიგი“ (მთელ გვერდზე დაბეჭდილი განრიგი).

სადილი (ბავშვების ფოტო სადილობის ან სადილის გრაფიკული გამოსახულება)

„ჩემი არჩევანი“ (ფოტოები ან გრაფიკული გამოსახულება სასწავლო ცენტრში არსებული შესაძლებლობების შესახებ).

„ჩემი ავტობუსი“ (ავტობუსის ფოტო ან ავტობუსის გრაფიკული გამოსახულება, რომელზეც ნომერი აწერია).

რისთვის შეიწუხე თავი!

გასული საუკუნის 70-იან წლებში კითხვის სწავლების კურსს გავდიოდი ერთ პროფესორთან, რომელიც ქვეყანაში კითხვის ექსპერტად იყო აღიარებული. ერთ-ერთ საპრეზენტაციო პროექტზე მუშაობისას სწორედ წინამდებარე პროგრამა დავწერე და ჯგუფში პრეზენტაცია მოვაწყვე, რომლის დროსაც ჩემი მოსწავლეების ვიდეოჩანაწერები წარვადგინე. პროფესორმა პრეზენტაციის ბოლოს ასეთი კომენტარი გააკეთა: „რისთვის შეიწუხე თავი“.

ამ კომენტარმა გამანადგურა, რადგან მან ჩემს ერთადერთ და უდიდეს პროფესიულ მიღწევას „თავის შეწუხება“ უწოდა. ჩემთვის მისი კომენტარი ნიშნავდა, რომ არ ღირს ყველა ამ ნაბიჯის გავლა მხოლოდ იმისთვის, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს კითხვა ასწავლო და რომ კითხვის უნარ-ჩვევას ისინი მაინც ვერ გამოიყენებენ. პროფესორი უცოლო იყო და თავისი შვილი არ ჰყავდა. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება, მაგრამ თუკი ასეთი გამოცდილება ჰქონდა, უნდა სცოდნოდა, რომ ბავშვთან ურთიერთობა თავისთავად „თავის შეწუხებაა“. ბავშვს დიდი დრო და ენერგია სჭირდება და ის ამას ნამდვილად იმსახურებს. მე ვთვლიდი, რომ ვიყავი მასწავლებელი, რომელსაც ფულს სწორედ „თავის შეწუხებისთვის“ უხდიდნენ და მინდოდა, საკლასო ოთახში დახარჯული დრო პროდუქტიულად გამომეყენებინა და მათი ცხოვრებისთვის კვალი დამეტყო. ჩემთვის ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა და გამოწვევა იყო. მინდოდა ამ ბავშვების სწავლების პროცესში მიმელო მონაწილეობა და, შესაბამისად, ჩემთვის ძალზე სასურველი და სასიამოვნო იყო მათ ცხოვრებაში წვლილის შეტანა. მე და სკოლის სხვა თანამშრომლებს გაკვეთილის დაგეგმვა, მასალის მომზადება, დავალებების პატარ-პატარა ეტაპებად დაყოფა და ტესტირება რომ თავის შეწუხებად აღგვექვა და ის დრო, რაც ჩვენ ბავშვებს დავუთმეთ, „თავის შეწუხება“ ყოფილიყო, ბავშვებს ვერაფერს ვასწავლიდით. თითქმის ყველაფერი, რაც ბავშვებს ვასწავლეთ, საფეხურებად უნდა დაგვეყო და ამ საფეხურებისთვის პროგრამები დიდი გულისყურით უნდა შეგვემუშავებინა, რომ ბავშვისთვის წარმატების განცდა გაგვეჩინა. კითხვის სწავლებისას ჩვენ იმავე ეფექტურ ხერხებს ვიყენებით, მაგრამ არ ველოდით, რომ ჩვენი მოსწავლეები მხოლოდ კლასში ჯდომით რაიმეს ისწავლიდნენ და რომ ჩვენ „თავს არ შევიწუხებდით“. ჩვენმა მოსწავლეებმა დაიმსახურეს მთელი ის დრო, ენერგია, ტალანტი, განათლება და ტრენინგი, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა საკლასო ოთახში მოიტანა.

სწორედ ჩვენ გვაქვს ამის ძალა, ძალა ჩვენს ხელშია

ჩემი ერთ-ერთი პირველი პრეზენტაცია, რომელიც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის კითხვის სწავლებას მივუძღვენი (და რომელიც ზემოხსენებულ პრეზენტაციამდე ჩავატარე), პროექტის დირექტორმა დოქტორ ალის ჰეიდენმა ასეთი კომენტარით შეაჯამა: „ხშირად ამ ბავშვების დასახმარებლად ჩვენ სამედიცინო სფეროს მივმართავთ ხოლმე და ჯადოსნურ ტაბლეტს ვეძებთ, მაგრამ სწორედ ჩვენ, სწორედ ჩვენ შეგვწევს ეს ძალა, ის ჩვენს ხელშია“.

სწორედ თქვენს ხელშია ის ძალა, რომელიც შეგაძლებინებთ, მისდით ამ ყველაფერს. მხოლოდ ამ წიგნის წაკითხვით ბავშვს კითხვას ვერ ასწავლით; თუ თქვენ ან ვინმე თქვენს ნაცვლად ამ პროგრამას არ მიჰყვება და თანამიმდევრულად არ განახორციელებს, არაფერი გამოვა. კარგი კერძების შესახებ წიგნის მხოლოდ წაკითხვით გემრიელ კერძს ვერ გააკეთებ, არც ფიზიკური ვარჯიშის შესახებ ვიდეოფირის ყურებით გახდები ჯანმრთელი. სწორედ საქმის კეთებით მიაღწევთ მიზანს. მხოლოდ თქვენ შეგწევთ უნარი, ასწავლოთ ბავშვს კითხვა (ცხადია, თუკი თვითონ ბავშვს შეუძლია და მზად არის ამისთვის). ძალა თქვენს ხელშია

– ან თქვენ თვითონ გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა ან უზრუნველყავით, რომ სხვამ გამოიყენოს. და ეს პროცესი არ უნდა იყოს მტკივნეული, პირიქით, მას როგორც სასიამოვნო და კმაყოფილების მომტან პროცესს, ისე უნდა შეხედოთ. ნუ შეხედავთ მას როგორც წვალებას, პირიქით, ეს შესაძლებლობაა, რომელიც სარგებელს მოიტანს.

ნახსენებები

ამ თავში აღწერილი სწავლების ხერხები და თანამიმდევრობა, შესაძლოა, ცოტა რთული მოგეჩვენოთ, თუმცა, გახსოვდეთ:

(1) თქვენც მოსწავლენართ – თქვენს სწავლების ხერხებსა და თანამიმდევრობას სწავლობთ. მე ვეცადე დეტალურად აღმეწერა ყველა ის ნაბიჯი, რომელიც თქვენს წარმატებას უზრუნველყოფს. შესაძლოა, ეს მითითებები მოსაწყენად გამოიყურება და მათი კითხვა მოსაბეზრებელია, მაგრამ ყველაფერი ხომ ერთად არ უნდა ასწავლოთ და ამიტომ ყველაფრის ერთდროულად გაგება და დამახსოვრება არ მოგიწევთ. ნაბიჯ-ნაბიჯ მისდით მითითებებს. მას შემდეგ, რაც აღწერილ მითითებებს შეისწავლით და იგრძნობთ, თუ როგორ რეაგირებს ბავშვი და როგორ სწავლობს, თქვენ საკუთარი შეხედულებისამებრ შეგეძლებათ აქტივობების ადაპტირება ისე, რომ მათი გამოყენება ბავშვისთვის მაქსიმალურად სახალისო იყოს. კითხვის სწავლის პარალელურად შესაძლოა, ბავშვი ისე გაიწაფოს, რომ რამდენიმე საფეხურის გამოტოვებამაც მოგიწიოთ.

(2) არ არის აუცილებელი, ყველა აქ აღწერილი თამაშისა და აქტივობის შესრულება. წიგნში რამდენიმე ვარიანტია აღწერილი. თქვენ შეგიძლიათ ის ვარიანტები ამოარჩიოთ, რომელიც თქვენთვის და თქვენი ბავშვისთვისაა მოსახერხებელი და თქვენს განრიგს, გარემოსა და ცხოვრების სტილს შეესაბამება.

(3) არ არის აუცილებელი თამაშის ან აქტივობის დაწყებამდე მთელი მასალის დამზადება. ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყევით და ის მასალა დაამზადეთ, რომელიც უშუალოდ აქტივობისა თუ თამაშისთვის გჭირდებათ. დასაწყისისთვის სურათებიანი და „მოკარნახე“ ბარათები გჭირდებათ. სიტყვების სწავლის პარალელურად შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, თუ რა მასალა დაამზადოთ შემდეგი ეტაპისთვის. მასალების დამზადება უწყვეტი პროცესია – თან სწავლობთ, თუ როგორ დაამზადოთ ბავშვისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მასალა და თან ისეთ მასალას ამზადებთ, რომელიც ბავშვს მოსწონს. მაგალითად, პირველი კვირის განმავლობაში შეგიძლიათ დაამზადოთ ადგილის აღმნიშვნელი ბარათები, მეორე კვირის განმავლობაში – ლოტოსი, მესამე კვირას ანბანის შესასწავლი წიგნი დაამზადეთ, ხოლო შემდეგ ანბანის ბინგო. მასალის დამზადება შეიძლება ოჯახის პროექტი გახდეს – შეგიძლიათ ოჯახის წევრებიც ჩართოთ საქმეში (ზოგ შემთხვევაში შეიძლება ბავშვიც დაიხმაროთ). შეიძლება მეგობრებიც დაგეხმარონ – გაუზიარეთ ერთმანეთს შრომა და სიამოვნება (მე მასალის გაკეთება მიყვარს მაშინ, როდესაც ტელევიზორში ჩემი საყვარელი შოუ გადის; ვცდილობ საქმე სიამოვნებას შევუხამო და მაქსიმალურად გამოვიყენო დრო).

(4) არ არის აუცილებელი, რომ კონკრეტულ დროს ან გრაფიკს მისდიოთ. თუმცა, როდესაც კითხვა ყოველდღიურობის შემადგენელი ხდება, იქმნება გარკვეული სტრუქტურა და საფუძველი იმისთვის, რომ პროგრამა განხორციელდეს. მე გთავაზობთ, შეიმუშაოთ გრაფიკი ალქმის ეტაპისთვის და უფრო სტრუქტურირებული აქტივობებისთვის, როგორცაა, მაგალითად, ტესტირება (დაახლოებით 10-დან 20 წუთამდე 3-ჯერ, 4-ჯერ ან 5-ჯერ კვირაში – ბავშვთან ერთად დაგეგმეთ ის და ჩასვით კალენდარში ისე, რომ ბავშვმა

იცოდეს და მოელოდეს). სხვა თამაშები და აქტივობები შეიძლება ნებისმიერ ისეთ დროს დაიგეგმოს, რომელიც თქვენი ბავშვისთვის, თქვენთვის ან თქვენი ოჯახის იმ წევრებისა და მეგობრებისთვისაა მოსახერხებელი, რომლებიც ბავშვს ეთამაშებიან.

(5) თქვენ ეს მარტო არ უნდა აკეთოთ. ოჯახის წევრებისა და მეგობრების ჩართვის გარდა თქვენისაქმიანობის შესახებ ინფორმაცია ბავშვის მასწავლებელს და მეტყველების სპეციალისტს გაუზიარეთ და ჰკითხეთ, რა დახმარების გაწევა შეუძლიათ. სთხოვეთ, რომ ბავშვის სწავლების ინდივიდუალურ პროგრამას დაემატოს კითხვის ამოცანები, რომლებიც ბავშვის პროგრამით გათვალისწინებულ კითხვის დონეს შეესაბამება (თუკი მასწავლებელი სხვა პროგრამას იყენებს, გაარკვიეთ, რას ასწავლის ის და მოახდინეთ ამ პროგრამის მის პროგრამასთან მისადაგება; თუ ბავშვი კარგად ითვისებს, შესაძლოა ეს პროგრამა სულ არ გამოიყენოთ). თუ მასალა დამზადებულია, აქტივობებისა და თამაშების საკლასო ოთახში შეტანას მასწავლებლის დიდი დამატებითი ძალისხმევა არ სჭირდება. მან გამზადებული მასალა შეიძლება სასწავლო ცენტრებში მოიძიოს, იპოვოს თქვენი ბავშვების თანატოლები, რომლებიც მათ ეთამაშებიან, ან სხვა კლასის მასწავლებლებს სთხოვოს, კითხვის განვითარების თამაშები ეთამაშონ ბავშვებს (მათაც შეუძლიათ მასალების დამზადება). მიეცით საშუალება სხვებს, მონაწილეობა მიიღონ და გაიზიარონ პროექტით გათვალისწინებული საქმე და სიამოვნება.

ანბანის უემოტანა

ანბანის – ასოების დასახელების, ასო-ბგერების და მათი თანამიმდევრობის – ცოდნა ბავშვისთვის ფასდაუდებელია, რადგან საშუალებას აძლევს მას, ისწავლოს ახალი სიტყვები, მათი მართლწერა, მოიძიოს ინფორმაცია და მოახდინოს მისი ორგანიზება. ასოების ცოდნა ბავშვს ახალი სიტყვების წაკითხვის საშუალებასაც აძლევს და უკვე ნაცნობი სიტყვების დამახსოვრებისაც. ასოების თანამიმდევრობის ცოდნა სიტყვებისა და ინფორმაციის ორგანიზებაში დაეხმარება და ანბანურად დაწვრილ ინფორმაციას – ლექსიკონებს, სატელეფონო წიგნს, კომპიუტერულ ფაილებსა და ენციკლოპედიებს – მისთვის ხელმისაწვდომს გახდის.

გირჩევთ, ანბანის უემოტანამდე ბავშვს წინა თავში აღწერილი თვალით აღქმული სიტყვები ასწავლოთ. ამით კითხვაში სწრაფი წარმატების განცდას გაუჩინებთ და ინტერესსაც გაუღვივებთ. მას შემდეგ, რაც ბავშვი რამდენიმე ახალ სიტყვას წარმატებით ისწავლის, მას „მოკარნახე“ ბარათებზე, წიგნებში, თამაშებში წაკითხვას და კითხვის ფასს გაიგებს, შეგვიძლია ანბანის სწავლებაც დავიწყოთ.

როდესაც ანბანის სწავლებას იზოლირებულად, დაწერილი სიტყვისგან დამოუკიდებლად ვიწყებთ, ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს არ ესმის, რომ ეს სიმბოლოები და ბგერები მას კითხვაში დაეხმარება. ასეთ ბავშვებს არც კითხვის არსი ესმით. ასოები რაღაც უცნაურ, უაზრო სიმბოლოებად ეჩვენებათ, ასოებისა და ბგერების სწავლის ხალისი სულ არ აქვთ, ანბანისადმი ინტერესს არ ამჟღავნებენ და ამიტომ მათი მცდელობა წარუმატებელია ან მხოლოდ უმნიშვნელო წარმატების აღწევნა ხოლმე.

ზოგიერთმა ბავშვმა შესაძლოა უკვე სრულად ან ნაწილობრივ იცის ანბანი. ეს ძალიან კარგია და ხელს არაფერში შეუშლის. ეს კარგი დასაწყისია და მიუთითებს, რომ ბავშვს შეიძლება კითხვის სწავლის ბუნებრივი პოტენციალი ჰქონდეს, ან რომ მას სახლში კითხვის სწავლისთვის ხელსაყრელი გარემო აქვს. შესაძლოა, ბავშვს ანბანი სკოლაშიც ასწავლეს. წიგნის ეს თავი სწორედ ასეთი ბავშვებისთვის იქნება სასარგებლო და მათთვისაც, ვინც ანბანი ჯერ არ იცის. ეს ბავშვები ასოების ფუნქციურ გამოყენებას ისწავლიან.

ამ თავში, გაკვეთილის გეგმის სახით, წარმოდგენილია ანბანის სისტემატური სწავლების მექანიზმი. სწავლება იმ სიტყვების პირველი ასოებით იწყება, რომელსაც ბავშვი თვალით უკვე აღიქვამს. თუკი მერვე თავში აღწერილი აქტივობები უკვე ჩატარებული გაქვთ, ესე იგი, ბავშვისთვის უკვე ნაცნობია ასოების გრაფიკული გამოსახულება და შეუძლია მათი კითხვისას გამოყენება ნაცნობი სიტყვების ერთმანეთისგან გასარჩევად. ამასთან, თუკი ბავშვი კითხვისას სიტყვებს ვერბალურად წარმოთქვამს, ამ ასოების აღმნიშვნელი ბგერების წარმოთქმაშიც ვარჯიშობს; თუკი სიტყვების კითხვისას შესტების ენას იყენებს, სავარაუდოდ, ზოგიერთი სიტყვის კითხვისას ამ ასოებსაც (შესტებით გამოსახულს) იყენებს. ორივე შემთხვევაში, მას ბევრჯერ გაუგონია ეს სიტყვები და ამ ასოების შესატყვისი ბგერები.

ლუპიტამ აიღო ასოები და ოთახში მიმოფანტა

პირველი ბავშვი, რომელსაც კითხვა ვასწავლეთ იყო დენისი, რომელსაც ლაპარაკი არ შეეძლო. მისი წარმატებით ფრთაშესხმულმა კურსდამთავრებულმა სტუდენტმა, რომელიც ჩვენს პროგრამაში მუშაობდა, გადაწყვიტა 3 წლისა და 10 თვის ლუპიტასთვის კითხვა ესწავლებინა. მან გადაწყვიტა, რომ რადგან ლუპიტას მეტყველება შეეძლო, ის კითხვის სწავლას ფონეტიკის ელემენტებით, ასო-ბგერებით, დაწყებას შეძლებდა. ჩემი აზრით ცდა ღირდა, ვინ იცის, ეგებ დიდი აღმოჩენაც გაგვეკეთებინა. სტუდენტმა ლუპიტა პატარა სამუშაო ოთახში შეიყვანა და ასო-ბგერების სწავლება დაუწყო. ლუპიტა არ დააინტერესა იმ სიმბოლოებმა და ბგერებმა, რომლებიც მისმა მასწავლებელმა ამ სიმბოლოებს დაუკავშირა. რამდენიმე დღეში სტუდენტმა მითხრა, ლუპიტამ ასოები მოისროლა, მთელ ოთახში მიმოფანტა და მათი დანახვაც აღარ უნდოდა. ბავშვს აღარც სტუდენტთან ერთად სამუშაო ოთახში გასვლა უნდოდა. ეს აქტივობა მისთვის უაზრო ჩანდა. იმის გამო, რომ ლუპიტა თავს არიდებდა სამუშაო ოთახში გასვლას, გადავწყვიტეთ, ბაღის ოთახში მოთავსებულ საგნებზე წარწერები დაგვეკრა და ლუპიტასთვის გვეთხოვა, რომ „მოკარნახე“ ბარათები ამ საგნებისთვის მიესადაგებინა, მათი დახმარებით შეერჩია და დაესახელებინა ისინი. ლუპიტა დიდი ხალისით აკეთებდა ამას და ორ კვირაში 17 თვალით აღქმული სიტყვს ისწავლა.

ამ ხნის განმავლობაში ლუპიტას დედა ძალიან დაკავებული იყო თავისი ბიზნესით და ლუპიტას წარმატებას ყურადღებას ვერ აქცევდა. ერთხელ ბალიდან წასაყვანად ლუპიტას თინეიჯერმა დამ მიაკითხა. ვუთხარი, დედას გადაეცი, რომ ლუპიტა ბაღის ოთახში გაკეთებულ წარწერებს კითხულობს-მეთქი. მეორე დღეს ბაღში ატირებული ლუპიტას დედა მოვიდა. თავიდან მეგონა, რაღაც ცუდი მოხდა და იმიტომ ტირის-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ლუპიტას დას დედისთვის ჩემი სიტყვები გადაუცია. დედას სიტყვები ფურცელზე დაუწერია, ხოლო ლუპიტას ისინი აუღელვებლად და დაუბრკოლებლად წაუკითხავს. დედა სიხარულისგან ტიროდა. „ლუპიტა რომ დაიბადა, ასე მითხრეს, მცენარე იქნებაო, მაგრამ მან კითხვა უფრო ადრე ისწავლა, ვიდრე ჩემმა დანარჩენმა შვილებმა!“ – მითხრა მან.

ლუპიტას მაშინაც ჰქონდა კითხვის ნიჭი და ახლაც აქვს, უბრალოდ, ასოების ცალკე, იზოლირებულად სწავლა მას უაზრობად ეჩვენებოდა. თვალთა აღქმული სიტყვები კი მისთვის შინაარსის შემცველი იყო და ამიტომ მათ ხალისით კითხულობდა.

იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ზოგი ბავშვი ვერასდროს ვერ სწავლობს კითხვას ის არის, რომ ზოგიერთი მასწავლებლის აზრით, ბავშვმა სიტყვებზე ადრე ანბანი და/ან ასოები უნდა აითვისოს. ამის ლოდინს, ალბათ, წლები დასჭირდება, ზოგიერთი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი კი ანბანს ამ გზით ვერასოდეს სწავლობს, რადგან ანბანი განცალკევებულად შინაარსს არ გამოხატავს. თუკი მოსწავლე განცალკევებულად ისწავლის ასოებს, მან შეიძლება სიტყვების წასაკითხად ამ ბგერების გადმოცემა და გამოყენება ვერ შეძლოს. ზოგი მოსწავლე ვერ იგებს, თუ როგორ იქმნება სიტყვები ასოების (ბგერების ვიზუალური სიმბოლოების) ერთად დაწყობისას.

შ-ე-რ-ი

შვიდი წლის მერი კითხვას იმ პროგრამით სწავლობდა, რომელიც ასო-ბგერების სწავლებით იწყება. თავდაპირველად, როდესაც მერის ამ ასოების შესაბამისი ბგერების კითხვაში წვრთნიდნენ, მას ასოების ბგერებით გარჩევა

შეეძლო, მაგრამ სიტყვების წაკითხვა – არა. თავისი სახელის კითხვაც კი არ იცოდა. სიტყვის წაკითხვას რომ სთხოვდი, მერი თითოეულ ასოს კითხულობდა, მაგრამ მათგან ასოების დაწყობა და სიტყვის შედგენა არ შეეძლო. თუკი თავისი სახელის წაკითხვას სთხოვდი, ის ამბობდა „მ-ე-რ-ი“ როდესაც ეტყოდი „მერი, აბა თქვი „მერი“; ის სწორად იმეორებდა, მაგრამ როდესაც დაწერილ სიტყვას აჩვენებდი (წარმოთქმის გარეშე) და მის წაკითხვას სთხოვდი, ცალკეულ ასოს იმეორებდა. მერის არ ესმოდა ამ სიმბოლოების, მათი საშუალებით გამოხატული ბგერებისა თუ სიტყვების მნიშვნელობა. ის „სტიმულზე დამოკიდებული“ იყო და იმ ვიზუალურ სტიმულებზე (თითოეულ ასოზე) რეაგირებდა, რომლებიც მესხიერებაში ჰქონდა ჩაბეჭდილი. მერის ასოები ნასწავლი ჰქონდა, თუმცა, კითხვისას მათი გამოყენება არ იცოდა.

ზოგი ბავშვისთვის ასო-ბგერების აღქმა და ის, თუ როგორ აწარმოებენ ისინი სიტყვებს, ძალიან ძნელია. ისინი ყველაზე კარგად თვალთ აღქმას სწავლობენ. იმ სიტყვებით, რომლებსაც მე-მ თავში აღწერილი მეთოდის დახმარებით უნდა ვასწავლოთ, ეს ბავშვები, სავარაუდოდ, დიდ ლექსიკურ მარაგს ვერ დაიგროვებენ და იმ სიტყვების კითხვას ისწავლიან, რომლებსაც ყველაზე მეტი ფუნქციური დატვირთვა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების უმეტესობა თანდათანობით თვალთ აღქმულ სიტყვებად გადაიქცევა, მათი სწავლა და დამახსოვრება უფრო იოლია, თუ ბავშვმა მეტი ხერხი იცის, მაგალითად ასო-ბგერების ხმარება, ფონეტიკის წესები, დამარცვლის წესები, ასევე, იმ სიტყვების წაკითხვა, რომლებიც მის თვალთ აღქმული სიტყვების ლექსიკონში არ არის. ასეთი მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ თავიანთი საკითხავი ლექსიკონის გამდიდრებას მათთან შედარებით, ვისაც არ შეუძლიათ ამ ცნებების გამოყენება, ახალი სიტყვების სწავლებისას სხვებზე არიან დამოკიდებული და ამით სხვადასხვა სიტყვის სწავლის შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ.

მიზანი:

ბავშვი ერთმანეთს მიუსადაგებს, შეარჩევს და დაასახელებს იმ სიტყვის პირველ ასოებს, რომლის წაკითხვა იცის. ასევე, იმ სიტყვებსა და საგნებს დაასახელებს, რომლებიც ამ ასოებით იწყება და ამ სიტყვებს საწყისი ასოს მიხედვით დააჯგუფებს.

ანბანის თანამიმდევრობით დაწყების ნაცვლად, უმჯობესია, ბავშვის სახელის პირველი ასოთი დაიწყოს და შემდეგ ოჯახის ყველა წევრის სახელის პირველი ასოს სწავლებით განაგრძოს. მას შემდეგ, რაც ბავშვი ასოებს ისწავლის, იმ სიტყვების პირველი ასოები დაამატეთ, რომლებიც უკვე იცის. ბავშვისთვის ანბანის სწავლების პირველი წიგნი მხოლოდ რამდენიმე გვერდისგან უნდა შედგებოდეს, რადგან ასოების რაოდენობა, რომელსაც ყოველ ჯერზე ასწავლით, ისევე როგორც სიტყვების შემთხვევაში, არ უნდა იყოს დიდი. სალომესთვის მისი პირველი ანბანის სასწავლი წიგნი არის **ს-დ-მ-ვ** (სალომე, დედა, მამა და ვხედავ). ეს წიგნები შეიძლება ბავშვის საკითხავი ლექსიკონის სიტყვარებად იქცეს. დროთა განმავლობაში შეგიძლიათ ამ წიგნების დაშლა და გვერდების ანბანურად გადაჯგუფება.


ამოცანა 1: ანბანის სასწავლი წიგნისა და ანბანის „მოკარნახე“ ბარათების გამოყენებით თქვენი ბავშვი მიუსადაგებს, შეარჩევს და დაასახელებს ასოებს **ს-დ-მ-ვ**.

მასალა:

**ანბანის
სწავლების
გაქვეითილი
გეგმის
გაგალითი**

ქალაქი ყდისთვის, ქალაქი წიგნისთვის, ფლომასტერი, სტეპლერი, კატალოგის ბარათები, ქალაქის სამაგრები.

როგორ დაგეგმავთ ანბანის სასწავლო წიგნი (სურათი 9.1)



ყოველი გვერდის ზედა ნაწილში ასო დაწერეთ; ამავე გვერდზე დაამაგრეთ ამ ასოს შესაბამისი „მოკარნახე“ ბარათები. ამ გვერდზე ბავშვის საკითხავი სიტყვარიდან ის სიტყვები უნდა დაიწეროს, რომლებიც ამ ასოთი იწყება.

მაგალითად, სალომეს შემთხვევაში გვერდის ზედა მხარეს დაწერეთ ს, რომლის ქვეშ მიაწერეთ სიტყვა „სალომე“ და ის სიტყვას, რომელიც ს-ზე იწყება და ბავშვმა იცის, მაგალითად „სახლი“.

ნახატი 9.1

ანბანის სასწავლო წიგნი კომპიუტერის გამოყენებითაც შეგიძლიათ დაამზადოთ. კომპიუტერში თითო გვერდი დაიმსხვრეთ, ყოველი ახალნასწავლი სიტყვა დაამატეთ და ამობეჭდეთ. ზოგ ბავშვს კომპიუტერის გამოყენებით თავისი ლექსიკონის შედგენა შეუძლია. ეცადეთ, წაახალისოთ ეს დამოუკიდებლობა.

მას შემდეგ, რაც გვერდები მზადაა, სტეპლერით ყდა მიამაგრეთ და ზედ სათაურად დააწერეთ **ს-დ-მ-ვ**.


ზოგიერთი ბავშვისთვის უსურათო წიგნს მიმზიდველობა აკლია. ამისთვის ყოველ სიტყვასთან მისი აღმნიშვნელი პატარა ფოტო ან ნახატი მიამაგრეთ (გახსოვდეთ, რომ ფოტოების ქსეროასლების დამზადება და მათი დაჭრა შეგიძლიათ; შეგიძლიათ მხოლოდ სახის ამსახველი ფოტო გამოიყენოთ). ფოტოს ან ნახატს ცალ მხარეს – მარცხნიდან წებოვანი ლენტით ფურცელი ისე მიაწებეთ, რომ წიგნივით იშლებოდეს; ზედა მხარეს წებოვანი ლენტით შეიძლება პატარა „სახელურიც“ გაუკეთოთ, რომ დაწებებულ ქალაქი უფრო იოლად გადაიშალოს (ბავშვისთვის ეს შეიძლება კარგი სავარჯიშო იყოს თითებით ჩაჭიდებისთვის). ბავშვი სიტყვას სურათის გარეშე კითხულობს, შემდეგ ზედ გადაწებებულ ფურცელს გადაშლის და თავის თავს შეამოწმებს. ეს სიახლე კითხვას ხალისს შესძენს.

სიტყვების შესახებ ტესტ ასოები დაამატეთ

სიტყვების სწავლების პარალელურად, ბავშვს სისტემატურად ასწავლეთ ასოები, თითო ჯერზე თითო, და დაამატეთ ისინი ტესტს. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ასო „დ“-ს შემოიტანთ, დაამატეთ ის ტესტს და თუკი ტესტის მონაცემები აჩვენებს, რომ კიდევ ერთი ასოს (ან სიტყვის) შემოტანა შეიძლება, შემდეგი ასოს სწავლება დაიწყეთ (მერვე თავში დეტალურადაა აღწერილი ტესტის ჩატარების ხერხი). არ გადატვირთოთ ბავშვი ბევრი ასოს ერთდროულად სწავლებით და ეცადეთ ძალიან დიდხანს არ შეყოვნდეთ მისადაგებისა და შერჩევის სავარჯიშოებზე, რადგან ბავშვმა შესაძლოა ინტერესი დაკარგოს. თუ ბავშვმა ინტერესი დაკარგა, სავარჯიშო გვერდზე გადადეთ. ბავშვს შეუძლია

სხვანაირადაც ისწავლოს ასოები, თამაშის საშუალებით.

სიტყვების ბანკის ანბანურად დანერგვა



ნახატი 9.2

რომელიც ბავშვმა ისწავლა. ამის შემდეგ ასწავლეთ ბავშვს, როგორ ჩააღაგოს ამ ასოზე დაწყებული სიტყვები ასოს აღმნიშვნელი თითოეული გამყოფი ბარათის შემდეგ. სიტყვათა ბანკისთვის სიტყვები 7.5*12.5 სმ-ის ზომის კატალოგის ბარათებზე უნდა დაიწეროს.

ასოების სწავლების პარალელურად ასოების გამოყენება დაიწყეთ, რომ სიტყვათა ბანკში სიტყვები ანბანური თანამიმდევრობით დალაგდეს. ამისთვის შეგიძლიათ რამდენიმე ხერხი გამოიყენოთ (სიტყვათა ბანკის გამოყენებისთვის იხ. თავი 11).

ვარიანტი 1: კატალოგის ბარათების ჩასადებად გამოიყენეთ კატალოგის მარტივი ყუთი (კატალოგის ბარათების ზომა 7.5*12.5 სმ-ის). ასოების აღმნიშვნელი გამყოფი ბარათები ყუთიდან ამოიღეთ. ყუთში მხოლოდ იმ ასოს აღმნიშვნელი გამყოფი ბარათი დატოვეთ,

ვარიანტი 2: ყუთში მოთავსებულია კატალოგის ბარათები, რომლებიც ყუთში დამონტაჟებულ ლითონის ორ წვრილ ღერძზეა აკინძული (სურათი 9.2). (7.5*12.5 სმ-ის ზომის კატალოგის ბარათები). ამ ვარიანტის გამოყენება ისევე შეიძლება, როგორც პირველი ვარიანტისა, თუმცა, ბარათები ღერძზე სრიალებს და სიტყვების მოძიება უფრო მარტივია.



ნახატი 9.3


ვარიანტი 3: ყუთში მოთავსებულია კონვერტები (სურათი 9.3): ასოები კონვერტებზე დაწერეთ; ჩადეთ სიტყვები შესაბამის კონვერტებში. კონვერტები ყუთში ანბანური თანამიმდევრობით ჩააწყვეთ.

ვარიანტი 4: ყველა ის სიტყვა, რომელიც ერთ ასოზე იწყება, რეზინით შეკარით. ბარათებს თავზე კონკრეტული ასოს აღმნიშვნელი ბარათი დაადეთ, რეზინით შეკრული ბარათები ანბანური თანამიმდევრობით დააწყვეთ და ყუთში შეინახეთ.


ვარიანტი 5: გამოიყენეთ სარეცხის სამაგრები/სარჭები (სურათი 9.4). სამაგრებს ასოები დააწერეთ, ამ ასოთი დაწყებულ ბარათზე დაწერილი სიტყვები სამაგრით ერთად შეკარით და ყუთში შეინახეთ. ბარათები ანბანური თანამიმდევრობით ისე ჩააღაგეთ, რომ სამაგრზე გამოსახული ასო ჩანდეს (ეს ძალზე სახალისოა და ბავშვს თითებში ძალის გამომუშავებაში დაეხმარება).

ვარიანტი 6: ჭიქებს ასობები დააწერეთ და ბარათები შიგ ჩადეთ (სურათი 9.5). ჭიქები ვიწრო ყუთში შეინახეთ.

ვარიანტი 7: გამოიყენეთ დიდი ზომის გასაღებების ჩამოსაკიდი ან მრგვალი სამაჯური, რომელიც იხსნება (სურათი 9.6). სურათზე გამოსახულია სიტყვების კატეგორიების მიხედვით ორგანიზება.



ნახატი 9.4




ნახატი 9.5

მიუხედავად იმისა, რომ შავ-თეთრ ფოტოში არ ჩანს, თითოეული კატეგორიის სიტყვა სხვადასხვა ფერითაა გამოსახული. კატეგორიები ასეთია: საჭმელი, გრძობები/შეგრძნებები, საქმიანობა და ადამიანები. დამზადებული „მარაო“ შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც დამხმარე საშუალება მართლწერისთვის და კომუნიკაციის დასამყარებლად (თუ ბავშვს გაგებინება გაუჭირდება, ამა თუ იმ სიტყვაზე მითითება შეუძლია).


ანბანური თამაშები

სახალისო ვარჯიშის, სიტყვების ფუნქციური გამოყენების, გადაცემისა და განზოგადების მიზნით თამაშები დაამზადეთ და ბავშვს ეთამაშეთ.



ნახატი 9.6

ბინგო სიტყვა-სიტყვასთან



ნახატი 9.7

ამ აქტივობის მიზანია, ბავშვმა ასოების დასახელება და სიტყვების პირველი ასოების მიხედვით, კატეგორიზაცია იაწავლოს.

სტანდარტული A4 ზომის ფერადი ფორმატი; შავი მარკერი, სახაზავი, მაკრატელი, მასალა ლამინირებისთვის, დიდი ზომის სამაგრები; დიდი კონვერტი ან დიდი ფაილი; თუ დისკების გამოყენებას გადაწყვეტთ, წვენის ბოთლის თავსახურები გამოგადგებათ. სასურველია ფერადი კოდირება, რომლის საშუალებით თითოეული

კომპლექტი განსხვავებული ფერისა იქნება. ორსვეტიანი ბინგოსთვის გამოიყენეთ ფორმა და, რომელიც დანართშია მოცემული.

როგორ დაგეგმილი:

(წვენის ბოთლის თავსახურების გამოყენებისას მე-8 თავში მოცემული ინსტრუქცია გამოიყენეთ). გადაიღეთ დანართ და 4-ის ქსეროასლი. იმის გამო, რომ ბინგოს ფორმატები და „მოკარნახე“ ბარათები ბინგოს სრული კომპლექტის ნაწილია, სასურველია, ბარათები ერთი ზომისა იყოს. ბარათების ორი ასლი გადაიღეთ, ერთი ფორმატად გამოიყენეთ, ხოლო მეორე – ბარათად, რომელიც ფორმატზე დაწერილ სიტყვას მიესადაგება.


ფორმატი ორ სვეტად გაყავით და თითოეული სვეტის პირველ უჯრაში კონკრეტული ასო ჩაწერეთ. მის ქვეშ ამ ასოზე დაწყებული ის სიტყვები ჩამოწერეთ, რომელთა კითხვა ბავშვმა იცის (დაიწყეთ არსებითი სახელებით და სიტყვით „მე“). მაგალითად, სალომეს აქვს ბინგოს ფორმატი, რომელზეც სვეტის პირველ უჯრაში წერია ასო „ს“, ხოლო მის მეზობელ უჯრაში წერია ასო „მ“. ასო „ს“ ქვეშ წერია „სალომე“ და ის სიტყვები აქვს მიწერილი, რომელიც ამ ასოზე იწყება და რომლებიც სალომემ იცის, მაგ. **სახლი, საქმელი**.

ასო „მ“-ს ქვეშ წერია „მამა“ და მომდევნო უჯრები ცარიელია და ასე დარჩება, სანამ ბავშვი ამ ასოზე დაწყებულ სხვა სიტყვებს არ ისწავლის. სიტყვების სწავლის პარალელურად დაამატეთ ისინი ფორმატს და შესაბამისი ბარათებიც დაამზადეთ.

თუკი „სიტყვა-სიტყვასთან“ ბინგოს ყველა კომპლექტი ერთი ფერის იქნება, მოთამაშეები ვერ შეძლებენ იმის განსაზღვრას, თუ რომელი „მოკარნახე“ ბარათი რომელ ბინგოს ბარათს მიესადაგება. რამდენიმე ბარათით ან სხვა მოთამაშეებთან ერთად თამაში უფრო გართულდება (რაც შეეხება ლოტოს, ფერებით კოდირება არ არის სავალდებულო. იხილეთ „როგორ ვითამაშოთ ლოტო“, „ერთი და იმავე ფერის ლოტოს კომპლექტები“ და „სხვადასხვა ფერის ლოტოს კომპლექტები“ მე-8 თავში).

როგორ ვითარავთ ბინგო სიტყვა - სიტყვასთან

აჩვენეთ ბავშვს ფორმატი და მიუთითეთ, რომ პირველ უჯრაში წერია ასო, ხოლო მის ქვეშ მიწერილი სიტყვები ამ ასოთი იწყება. უთხარით ბავშვს: „აი ასო „ს“, რომლითაც იწყება სიტყვა „სალომე“. ბავშვს ასო „ს“-ზე ჩამოწერილი სიტყვები წაუკითხეთ; შემდეგ უთხარით „აი, ასო „მ“ და „მამა“. დადეთ მაგიდაზე მ-ზე დაწყებული სიტყვების შესაბამისი „მოკარნახე“ ბარათები (მამა, მაიმუნი, მარწყვი) და ერთმანეთში აურიეთ. სთხოვეთ ბავშვს, ამოიღოს ერთ-ერთი ბარათი, წაიკითხოს სიტყვა, განსაზღვროს, თუ რომელი ასოთი იწყება ის, მოძებნოს ეს ასო ფორმატზე, მოძებნოს ამ ასოთი დაწყებული სიტყვები და მიუსადაგოს მათ ბარათი. თუკი ბავშვს დახმარება დასჭირდა, დაეხმარეთ. თუკი ბავშვი ბარათებს სვეტის პირველ უჯრაში ჩაწერილი ასოს ნახვის გარეშე სწორად მიუსადაგებს, უთხარით: „სწორია, ეს სიტყვა ასო „ს“-ს ქვეშა და ამ ასოზე იწყება. შემდეგი სიტყვაზეც თუ იგივე გამეორდება, ბავშვი ყოველი სვეტის პირველ უჯრაში მოცემულ ასოს ისწავლის; როდესაც ფორმატის ყველა უჯრა შეივსება, დაიძახეთ „ბინგო!“



ნახატი 9.8


ბინგო სიტყვა - სიტყვასთან

მასალა:

იგივე, რაც სხვა ბინგოს შემთხვევაში, ოღონდ გამოიყენეთ დანართის ფორმა დ-5.

როგორ დავამზადოთ:

დაწერეთ ასოები სვეტის ზედა უჯრებში, როგორც ეს მოცემულია ნახატზე 9.8. დაამზადეთ „მოკარნახე“ ბარათები იმ სიტყვებით, რომლის კითხვაც თქვენმა ბავშვმა იცის და რომელიც პირველ უჯრაში ჩაწერილი ასოებით იწყება.




ნახატი 9.9

ბინგო სიტყვა-სიმბოლო-ასოსთან დისკებთან ერთად (სურათი 9.9)

მასალა:

იგივე, რაც ლოტო „სურათი-სიტყვასთან“ დისკებთან ერთად (თავი 8), ოღონდ გამოიყენეთ დანართის ფორმა დ-6.

ლოტოსთვის დამზადებული დისკები ბინგოსთვისაც გამოდგება, რადგან ზოგიერთი ის სიტყვა, რომელსაც გამოიყენებთ, იგივე იქნება. ამ თამაშისთვის სურათებიანი ან სიმბოლოებიანი დისკების სიტყვებიან დისკებთან კომბინირება შეგიძლიათ. ბავშვი იღებს ფოტოიან, სიმბოლოიან ან სიტყვიან დისკს, წარმოთქვამს სიტყვას, განსაზღვრავს, თუ რომელი ასოთი იწყება ის და დისკს მის ქვეშ, შესაბამის სვეტში ჩასვამს.



საბნების ბინგო (9.10)

მასალა:

იგივე ბარათი გამოიყენეთ, რაც ბინგოში „სიტყვა ასოსთან“. „მოკარნახე“ ბარათების ნაცვლად პატარა საგნები ან სათამაშოები გამოიყენეთ, რომლებიც ამ ასოებით იწყება. საგნების შესანახად პლასტმასის კონტეინერი (ჩანთა, ყუთი, პლასტმასის თავსახურიანი ქილა ან ყველის

ნახატი 9.10

ჩასადები პლასტმასის გამჭვირვალე კონტეინერი) გამოიყენეთ.

საგნები და სათამაშოები: შეაგროვეთ ნივთები, რომელთა სახელწოდება იმ ასოებით იწყება, რომელშიც ბავშვმა უნდა ივარჯიშოს. ეს საგნები იმდენად პატარა უნდა იყოს, რომ ბინგოს ფორმატის ცარიელ უჯრაში ჩაეტიოს. მაგალითად, იმ უჯრის ქვეშ, რომელშიც ჩაწერილია ასო „ს“, მოათავსეთ პატარა ზომის სავარცხელი, სამაგრი, საყურე, საპონი, სურათი და ა.შ. ასო „მ“-ს ქვეშ უჯრებში მოათავსეთ მაკრატელი, სათამაშო მანქანა, სათამაშო მატარებელი, მურაბის თეფში და ა.შ.

იგივე თამაში შეიძლება სურათებიანი ბარათებით ვითამაშოთ. თავსახურებში შეიძლება სურათები და ნახატები ჩავდეთ და ისე გამოვიყენოთ. ნამდვილი საგნები თამაშს სიახლის განცდას ანიჭებს. ის განზოგადებასაც უწყობს ხელს. ჩვენ გვინდა, რომ სიტყვებში, რომლებსაც ბავშვი იყენებს, მან ბგერების გაგონება შეძლოს. გახსოვდეთ, რომ ეს მეტყველების/ენის გაკვეთილიცაა.

როგორ ვითამაშოთ:


ბავშვს ბარათი აჩვენეთ და უთხარით, რომ ისეთი საგნები უნდა იპოვოს, რომლებიც ამ ასოთი იწყება და ბარათის პირველ უჯრაში ჩაწერილ ასოზე მიუთითეთ. შეგიძლიათ აჩვენოთ კიდევ – აიღეთ ნივთი და უთხარით, „ეს მამალია, სიტყვა „მამალი“ იწყება ასო „მ“-თი, როგორც სიტყვა „მამიკო“. დადე ასო „მ“-ს ქვეშ“ ან ჰკითხეთ, „რა საგანია ეს?“ და დაეხმარეთ მის განსაზღვრაში, თან მკაფიოდ წარმოთქვით ამ სიტყვის პირველი ასო. სანამ ბავშვი თამაშს ისწავლის, მაქსიმალურად დაეხმარეთ. ამ შემთხვევაში ბავშვს არა აქვს დაწერილი სიტყვა და ამიტომ შეიძლება გაუჭირდეს.

თამაშისთვის მოთამაშეები ირჩევენ საგანს (რომელიც შეიძლება მაგიდაზე იდოს, შეიძლება ჩანთიდან ან ყუთიდან ამოიღონ ან „ბრმად“ აიღონ). მას შემდეგ, რაც მოთამაშე ნივთს აიღებს, მისი სახელი უნდა თქვას; შემდეგ ამბობს, თუ რა ასოთი იწყება ეს სიტყვა, შემდეგ საგანს ამ ასოს ქვეშ, სვეტში ათავსებს. როდესაც ყველაფერი შეივსება, მოთამაშე დაიძახებს „ბინგო“.

ბავშვებს, როგორც წესი, უყვართ მოძრაობა. შეიძლება ისეთი თამაშები დაიგეგმოს, რომლებიც ბავშვებისგან მეტ აქტიურობას მოითხოვს. ამ თამაშების წყალობით ბავშვს მეტად განუვითარდება მოტორიკა და მათემატიკის უნარი. ბავშვს ყველა თამაში აჩვენეთ. მან შეიძლება თქვენთან ერთად, სხვებთან ერთად და მარტომაც ითამაშოს.

**აქტიური
თამაშები**


ანგარიში: ანგარიშზე თამაში უფრო სახალისოა და ბავშვს მეტ სტიმულს აძლევს. ამისთვის რამდენიმე ხერხი არსებობს. ქვემოთ რამდენიმე ვარიანტი მოცემული, რომელიც სხვა თამაშებისთვისაც შეიძლება იყოს ადაპტირებული.



ნახატი 9.11

სიტყვა მოგროვდა თითოეულ ასოზე. მას შეუძლია ანგარიში ცხრილშიც კი ჩაწეროს (სურათი 9.11). ამ დროს ბავშვი იყენებს მათემატიკას, კითხვის უნარს და ხვეწს მოტორიკას. ასევე, სწავლობს ცხრილების ინტერპრეტირებას, ანგარიშის შესახებ საუბრობს, იყენებს ციფრებსა და სიტყვებს.

ვარიანტი 1: თამაშში გამოყენებული ასოები პატარა ქილებზე (ბავშვთა კვების ან სუნელის ქილები) ან ჭიქებზე ისე დააწებეთ, როგორც, მაგალითად, სურათზე 9.5., თითო ქილაზე ან ჭიქაზე თითო ასო დააკარით. თუკი მოთამაშე ბურთს ისეთ საგანს გაარტყამს, რომელიც ჭიქებსა და ქილებზე დაკრულ ასოებზე იწყება, ის ქილაში შუშის ბურთულას ან მონეტას ჩააგდებს. თამაშის შემდეგ ბავშვმა უნდა დაითვალოს, თუ რამდენი



ნახატი 9.12

მონაცემების ინტერპრეტირებას მოახდენს ან ქალაქზე გადაიტანს.

ვარიანტი 2: სიტყვები, რომელსაც ბავშვი თამაშებში იყენებს, კატალოგის ბარათებზე (თითო ბარათზე თითო) დაწერეთ (სურათი 9.12). დადეთ ბარათები მაგიდაზე ან სხვა ზედაპირზე. მას შემდეგ, რაც მოთამაშე სიტყვას იტყვის, კატალოგის ბარათს, რომელსაც შესაბამისი ასო აწერია, კუბურა დაადეთ. ამ ასოზე დაწყებული ყოველი ახალი სიტყვის წარმოთქმისას, კუბურა დაამატეთ და კუბურები ერთმანეთს დაადეთ. შედეგად, გამოვა სამგანზომილებიანი გრაფა, რომლის შესახებ ბავშვი ისაუბრებს, ამ

ვარიანტი 3: დახაზეთ მარტივი ბადე (სურათი 9.11). დაწერეთ ასოები ქალაქზე და ყოველ ჯერზე, როდესაც ბავშვი იმ სიტყვას იტყვის, რომელიც ამ ასოზე იწყება, აღნიშვნა დასვით. დიდი ზომის უჯრები დახაზეთ, რომ ბავშვი ხედავდეს.

თამაშების რბილი გურთისა და გურთების გამოყენებით

რბილი ბურთების გამოყენებით რამდენიმე თამაშის ორგანიზება შეიძლება. ისეთი თამაშები ითამაშეთ, რომელიც ბავშვს ყველაზე მეტად მოეწონება და რომლისთვისაც თქვენ მასალა გაქვთ.

ამოცანა 3: რბილი ბურთების გამოყენებით ბავშვი ასოების დასახელებისა და ამ ასოთი დაწყებული სიტყვების წარმოთქმაში ივარჯიშებს.

რბილი ზურთის ანბანის მიმართულებით სკოლა

მასალა:

იატაკზე დასადები ანბანის დაფა: A4 ზომის ფერადი მუყაოს სტანდარტული ქაღალდი (ან პლაკატის ქაღალდი), ფართოწვერიანი მარკერები და რბილი ბურთები.

როგორ დაგეგმავთ:


გამოიყენეთ A4 ზომის ქაღალდი და თითოეულს ის ასო დააწერეთ, რომელიც ბავშვმა იცის ან რომელსაც სწავლობს; სალომეს პირველი თამაშებისთვის ს, დ, მ და ვ დააწერეთ. თუკი დიდი ზომის – პლაკატის ქაღალდს – ფორმატს გამოიყენებთ, ოთხ თანაბარ უჯრად დაყავით (გადაკვეცთ ფორმატი და ხაზები ნაკვეცებზე გაუსვით) და ყველა უჯრაში თითო ასო ჩაწერეთ. ასოების შემოტანის პარალელურად მეტი ბარათი ან ასოების ფორმატი დაამზადეთ.

როგორ ვითამაშოთ:

ასოებიანი ფორმატები (ან დიდი ქაღალდი, რომელიც უჯრებადაა დაყოფილი და თითოეულში ასოა ჩაწერილი) იატაკზე დააწყვეთ. მოთამაშეები რბილ ბურთებს რიგრიგობით ასოებს ესვრიან. მას შემდეგ, რაც რბილი ბურთი ასოს მოხვდება, მოთამაშე იმ ასოს ან სიტყვას წარმოთქვამს, რომელიც ამ ასოთი იწყება. ახალი ასოს შემოტანის პარალელურად თამაშს ასო დაამატეთ. ერთ ჯერზე შემოტანილი ასოების რაოდენობა შეიძლება მას შემდეგ გაიზარდოს, რაც ბავშვი მეტ ასოს ისწავლის. თუკი ბავშვს ეთამაშებით და თქვენი ჯერი მოვა, შეიძლება ახალი სიტყვები შემოიტანოთ.

ანბანის კალათურები (სურათი 9.13)

მასალა:



ნახატი 9.13

(შეიძლება რბილი ღრუბლის ან ტენისის ბურთების გამოყენება).

ასოების „კალათები“ და ბურთი. კონტეინერებად, რომელიც „კალათების“ როლს შეასრულებენ, შეიძლება გამოიყენოთ პლასტიკის თხევადი სარეცხი საშუალების ბოთლები, დიდი ყავის ქილები, ვედრო ან ფეხსაცმლის ყუთი; ბარათები, 12*20 სმ-ის ან სხვა ზომის ქაღალდი ასოების დასაბეჭდად, თეთრი მარკერები, წებოვანი ლენტი, რბილი ბურთები ან ბურთები, რომლებიც უსაფრთხოა

როგორ დაგეგმავთ:

თუკი პლასტიკის რძის კონტეინერს ან თხევადი სარეცხის საშუალების ბოთლების გამოყენებას აპირებთ, დანით ან მაკრატლით ისე მოაჭერით მათ თავი, რომ რაც შეიძლება დიდი ლიობი გამოიჭრას. ბარათებზე ის ასოები დაწერეთ, რომელსაც ბავშვი სწავლობს, მაგრამ ეცადეთ დიდად დაწეროთ,


რომ ბავშვმა შორიდან დაინახოს. ეს ასოები კონტეინერებს დააწებეთ – თითო კონტეინერზე თითო ასო. ოთხი კონტეინერი გამოიყენეთ. ახალი ასოების შემოტანის პარალელურად შეგიძლიათ მათზე ასოები შეცვალოთ ან ყველა მხარეს მიაკრათ და კონტეინერი ისე მოაბრუნოთ, რომ ბავშვი სასურველ ასოს ხედავდეს.

როგორ ვითარდეთ:

მოთამაშე ბურთს ან რბილ ბურთს კონტეინერში აგდებს. ის იმ კონტეინერზე მიკრული ასოს სახელს ასახელებს, რომელშიც ბურთი ვარდება და იმ სიტყვას ამბობს, რომელიც ამ ასოთი იწყება. მოთამაშეს ყუთიდან რაიმე საგნის ან „მოკარნახე“ ბარათის ამოღებაც შეუძლია. შემდეგ ის იმ ასოიან „კალათს“ დაუმიზნებს, რომლითაც ამ საგნის სახელწოდება ან „მოკარნახე“ ბარათი იწყება. მაგალითად, ბავშვი ჩანთაში ჩაძვრება და სათამაშო დათვის ამოიღებს, შემდეგ რბილ ბურთს „დ“-ყუთში ისვრის, თუ ჩააგდებს, ქულას დაიმსახურებს.

ანბანის გოპლინგი

მასალა:



ბოულინგის კეგლები: დიდი წყლის ბოთლები, ქვიშა ან წყალი, ძაბრი, ჩოგბურთის ბურთი, კატალოგის ბარათები, ფართოწვერიანი მარკერები და წებოვანი ლენტები.

როგორ დაამუშაოთ:

ძაბრის საშუალებით ბოთლები წყლით ან ქვიშით შეავსეთ და ამ პროცესში ბავშვი დაიხმარეთ. წყალი და ქვიშა ბოთლებს დაამძიმებს. ბარათებს დააწერეთ ასოები ან სიტყვები ისე, რომ ბავშვი შორიდანაც ხედავდეს

ნახატი 9.14

და ბოთლებზე წებოვანი ლენტით დააწებეთ.

როგორ ვითარდეთ:

მოთამაშემ ბოთლები უნდა წააქციოს და ის ასო ან სიტყვა თქვას, რომელიც ამ ასოზე იწყება.

ანბანით სირბილი

ამოცანა 4: ანბანით სირბილის თამაშისას ბავშვი იმ სიტყვებსა თუ საგნებს შეარჩევს, რომლებიც კონკრეტული ასოებით იწყება და ამ გზით ნაცნობ ასოებს და ბგერებს გაიმეორებს.

მასალა:

ბარათები ზომით 12*20 სმ, ფართოწვერიანი მარკერები, საგნები, სურათები, ორი პუნქტი – პუნქტების ა) და ბ) (თუნდაც ეზოში).

როგორ დააბუხალოთ:

ბარათებზე ის სიტყვები თუ ასოები დაწერეთ, რომელსაც იყენებთ. მოამზადეთ ორი „პუნქტი“: „პუნქტი ა)“; საიდანაც ბავშვი „დავალების“ შესრულებას დაიწყებს და „პუნქტი ბ)“; სადაც თქვენი ბავშვი ასოს, სიტყვის, საგნის ან სურათის საპოვნელად გაიქცევა.

როგორ ვითარდებოთ:

მოთამაშე იწყებს „პუნქტი ა“-დან და „დავალების“ ბარათით, გარბის პუნქტ „ბ“-ში, იღებს საჭირო ასოს, სიტყვას თუ საგანს და ბრუნდება „პუნქტ ა“-ში. მაგალითად:

ვარიანტი 1: სიტყვა/ასოს: „პუნქტში ა)“ მოთამაშე ამოიღებს სიტყვას „დედა“, აიღებს მას, მირბის „პუნქტ ბ“-ში და ცვლის მას ასო „დ“-ში (რომელიც ბარათზეა დაწერილი); შემდეგ ამ ასოთი მირბის უკან „პუნქტ ა“-ში, იღებს ახალ ბარათს და მირბის ახალი ასოს მოსატანად (შეგვიძლია შევცვალოთ – მოთამაშე იღებს ასოს და მირბის სიტყვის მოსატანად).

ვარიანტი 2: სიტყვა/საგანი (ან ასო/სურათი): მოთამაშე „პუნქტ ა“-ში აიღებს ასოს, მაგალითად, „დ“-ს და სირბილით წაიღებს მას „პუნქტ ბ“-ში; შემდეგ გაცვლის ასო „დ“-ს ისეთ საგანში ან სურათში, რომელიც იწყება ასო „დ“-თი; შემდეგ ამ საგნით და სირბილით ბრუნდება „პუნქტ ა“-ში, იღებს ახალ ასოს და ისევ იმავეს იმეორებს.

მას შემდეგ, რაც მოთამაშემ ყველა სიტყვა თუ საგანი ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილა, თამაში დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს და თავიდან დაიწყოს.

ანბანზე ნაღირობა

მიზანი 5: ბავშვი ვარჯიშობს ასოების კითხვაში, ასო-ბგერების წარმოთქმასა და იმ საგნების იდენტიფიცირებაში, რომლებიც კონკრეტულ ასოზე იწყება.

მასალა:

სტიკერები, ფართოწვერიანი მარკერები, ქინძისთავები, პატარა ქილა, შუშის ბურთები.

როგორ ვითარდებოთ:

ბავშვთან ერთად „სანადიროდ“ წადით და მთელ სახლში ის საგნები მოიძიეთ, რომლებიც კონკრეტულ ასოზე იწყება. მაგალითად, თუკი ბავშვს სახელად ჰქვია სალომე და ის სწავლობს, რომ სალომე იწყება ასოზე „ს“-თი, მოიარეთ სახლი მასთან ერთად და ასო „ს“-ზე დაწყებული სიტყვები „მოინადიროთ.“ ყოველ ჯერზე, როდესაც „ს“-ზე დაწყებულ საგანს იპოვით, მასზე ამ ასოთი აღნიშნული სტიკერი დააკარით. თავდაპირველად შეგიძლიათ ბავშვს ეს პროცესი აჩვენოთ, მაგრამ ეცადეთ, ბავშვი თვითონ გაუძღვეს ამ პროცესს, რომ თვითონ იფიქროს სიტყვებსა და ბგერებზე. ჰკითხეთ, რომელი ასოთი იწყება სიტყვა „სალომე“ და როდესაც დაადგენს, რომ სალომე „ს“-თი იწყება, ტანისამოსზე დააკარით სტიკერი, რომელსაც აწერია „ს“. შემდეგ იარეთ ოთახებში და ეძებეთ „ს“-ზე დაწყებული სიტყვები – სკამი, სავარძელი, საკიდი, სურათი, სუფრა და ა. შ.

სთხოვეთ ბავშვს, იპოვოს „ს“-ზე დაწყებული სიტყვები; თუ გაუჭირდა, ჰკითხეთ და თან მკაფიოდ წარმოთქვით პირველი ასო: „სკამი „ს“-თი იწყება? სავარძელი? სუფრა?“ (მიეცით ბავშვს შესაძლებლობა ეძებოს უჯრებში, კარადებში, საკუჭნაოში – ეს ხომ ნადირობაა!). იმის პარალელურად, რომ ბავშვი სიტყვებში შემავალ ბგერებს უკეთ აღიქვამს, ამ აქტივობით მისი ლექსიკური მარაგიც უნდა გაიზარდოს და არტიკულაციაც გაუმჯობესდეს.

გამოიყენეთ თამაშისას „მარმარილოს ბურთები“ და ქილა, როდესაც ბავშვი შესაბამის ასოზე დაწყებულ საგანს იპოვის და სტიკერს მიაკრავს ქილაში ჯილდოდ „მარმარილოს ბურთი“ ჩაუგდეთ. ეტაპობრივად სხვა ასოებიც შემოიტანეთ თამაშში ; როდესაც ბავშვს 3-4 ასო ექნება უკვე დაკრული, სთხოვეთ ისინი შეაგროვოს და კატეგორიებად შეინახოს და ა. შ.

**როგორ
პასნავლოთ
ანბანში ასოების
თანამიმდევრობა**

ანბანში ასოების თანამიმდევრობის სწავლების საუკეთესო გზა მისი სიმღერით სწავლებაა. ანბანის ასო-ბგერები რომელიმე მელოდიას შეგიძლიათ დაადოთ და ბავშვს უმღეროთ; ამის გაკეთება ანბანის სწავლამდეც შეგიძლიათ. მას შემდეგ, რაც ბავშვი რამდენიმე ასოს ისწავლის, სიმღერისას მისთვის ნაცნობი ასოები გამოყავით – სიმღერისას ის ნოტი გააგრძელებთ, რომელიც ბავშვისთვის ნაცნობ ასო-ბგერას შეიცავს.

ბავშვს მერხზე დაუკარით პლაკატი, სადაც ასოები ანბანური თანამიმდევრობით იქნება გამოსახული, იმისთვის, რომ თვალწინ ჰქონდეს როგორც ასოების თანამიმდევრობა, ისე მათი მოხაზულობა. მას შემდეგ, რაც ბავშვი ამა თუ იმ ასოს ისწავლის, ის ფართოწვერიანი მარკერით შემოხაზეთ ან აღნიშნეთ.

მერხის გარდა ანბანი შეიძლება გამოიფინოს ნებისმიერ ისეთ ადგილას, რომელსაც ამოირჩევთ: სასტუმრო ოთახის კედელზე, აბაზანის სარკეზე, ბავშვის საძინებელში, ლოგინის თავზე ჭერზე და ა. შ.

ასევე, შეგიძლიათ მაგნიტიანი ასოები გამოვიყენოთ. ნიმუშის მიხედვით ბავშვს მაგნიტიანი ასოების სწორი თანამიმდევრობით დაწყობა შეუძლია. მას შემდეგ, რაც ბავშვი ასოების ცნობას ისწავლის, ანბანზე სიმღერის დახმარებით მათი სწორი თანამიმდევრობით დაწყობა შეუძლია. იმ მაგნიტიანი ასოების მაცივარზე დამაგრებაც შეიძლება, რომელიც ბავშვმა ისწავლა; მას შეუძლია ისინი თანამიმდევრობით დააღაგოს.

ბალის ასაკის ჯგუფში ანბანი კედელზე დაბლა, ბავშვების სიმაღლეზე ეკიდა, ანბანის ასოებისგან შემდგარი სიმღერის შესრულებისას თითოეულ ასოზე მიუთითებდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ბავშვები რიგრიგობით უკვე თვითონ მიუთითებდნენ ასოებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სიმღერა ნელა ვიმღეროთ და ბავშვის მიერ სიტყვებზე მითითების ტემპს ავყვეთ.

„მ“-თი იწყება მარტა

სიმღერასთან ერთად ჯგუფს რიგრიგობით (ბარათებზე დაწერილი) იმ ასოებს ვაჩვენებდი, რომლითაც თითოეული მოსწავლის სახელი იწყებოდა და ვთხოვდი, ეთქვათ, თუ რა ასო იყო ეს და ვისი სახელი იწყებოდა ამ ასოთი; ასევე ვთხოვდი, ეს ასო მათ თვალწინ გაკრულ ანბანში ჩამოწერილი ასოებისთვის მიესადაგებინათ. ერთ-ერთი მოსწავლე, მარტა, ესპანურენოვანი ოჯახიდან იყო და ამიტომ ინგლისური ენა დანარჩენებზე ცუდად იცოდა. პირველ დღეს ჯგუფთან თამაშისას ავწიე ასო „მ“ და ვიკითხე „აბა, ეს რა არის?“, მარტამ მიპასუხა, „მ, მარტა! მარტა!“ და გაიქცა, რომ თავისი „მ“ ანბანში მოცემულ „მ“-

სთვის მიესადაგებინა. ამაღელვებელი იყო იმის დანახვა, რომ მარტასთვის ეს თამაში აზრიანი აღმოჩნდა და კითხვას ის ინგლისურის სწავლისთვის იყენებდა. მარტა თამაშის განწყობაზე იყო და მალე ყველა ბავშვის სახელის აღმნიშვნელი ასო ისწავლა.

(თუ ორი მოსწავლის სახელი ერთსა და იმავე ასოზე იწყებოდა, ორ ამ ასოთი დაწყებულ „მოკარნახე“ ბარათს ვიყენებდი, რომ ორივე ბავშვისთვის მიმეცა ბარათი და ორივეს შესძლებოდა მისადაგება).

**ვინაობა ფონეტიკას:
მსგავსი უპირატესობის სიტყვები**

შესავალი

ფონეტიკა ლინგვისტიკის ნაწილია, რომელიც დაწერილი სიმბოლოებით გამოხატულ სამეტყველო ბგერებს სწავლობს. ფონეტიკა სწავლობს ბგერებს, მათ წარმოთქმას, ურთიერთშეთანხმებასა და აღწერას. ტერმინი „ფონეტიკა“ კითხვის სწავლებისას გულისხმობს სიტყვების შესადგენად ასოებისა (დაწერილი სიმბოლოების) და მათ მიერ გამოხატული ბგერების გამოყენებას იზოლირებულად და სხვა ასოებთან კომბინაციაში. როდესაც ასო-ბგერების და ასოთა წყობის ცოდნის საფუძველზე სიტყვას „გავანმოვანებთ“ ან მის „დეკოდირებას“ მოვახდენთ, ან სიტყვას ვმარცვლავთ, ჩვენ ფონეტიკის ელემენტებს ვიყენებთ.

სიტყვების „დეკოდირებისთვის“ ფონეტიკის ელემენტების გამოყენება ხანგრძლივი და მუდმივი პროცესია; ეს ცნებები ზოგი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვისთვის შესაძლოა ძალიან რთული აღმოჩნდეს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფონეტიკის ელემენტების, უფრო სწორად, სიტყვის ფონეტიკური მხარის სწავლა უფრო რთულია, ვიდრე თვალთ აქმული სიტყვებისა. სიტყვების მხოლოდ მხედველობით სწავლებისას ყოველი სიტყვა ბავშვს იმდენჯერ ხვდება თვალში, რომ ის სიმბოლოების გარკვეულ კომბინაციას მაშინვე ცნობს და მას კონკრეტულ სიტყვად აღიქვამს და რაიმე ასოების მინიშნება არ სჭირდება. ბავშვს არ სჭირდება ასოების ან ბგერების დასახელების ცოდნა. ფონეტიკის ელემენტების გამოყენება გულისხმობს ასოს და ასოთა კომბინაციებისგან შემდგარი ბგერების ჟღერადობის ცოდნას, გარკვეულ სიტუაციაში მათი გამოყენების წესებს და ამ ცოდნის გამოყენებას სიტყვების დეკოდირებისთვის. ის, ასევე, გულისხმობს პრობლემების გადაჭრის უნარს და იმის განსაზღვრას, თუ რა სიტუაციაში რა წესი გამოიყენება. საქმეს ისიც ართულებს, რომ ხშირად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს სმენის პრობლემებიც აქვთ, რაც მათ მიერ ბგერების გარჩევას ართულებს (იხ. თავი 4). ასევე, სამეტყველო აპარატის კუნთების დაბალი ტონუსი და სხვა პრობლემები, ზოგიერთი ბგერის წარმოთქმას ართულებს, როგორც ცალკე, ისე სიტყვებში.

მიუხედავად იმისა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის შესაძლოა რთული იყოს ფონეტიკის ელემენტების და მისი ყველაზე მარტივი შემადგენლის, ასო-ბგერების დაუფლება, ის შეიძლება ძალზე სასარგებლო საშუალება იყოს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვისთვის კითხვის სწავლების, სიტყვების მოძიებისა და მათი ანბანური თანამიმდევრობით დაწყობაში. ამიტომ ამ ბავშვებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, ნაბიჯ-ნაბიჯ ის ისწავლონ, რისი უნარიც აქვთ. ამ თავში აღწერილია სახალისო და მარტივი ხერხები, რომელთა საშუალებით შემოდის ელემენტარული ფონეტიკის ელემენტები – თანხმოვანი ბგერები – „მსგავსი ჟღერადობის სიტყვების“ გამოყენებით.

ფონეტიკის ელემენტების სწავლების პირველი ნაბიჯი არის სიტყვის პირველი ბგერის ცნობა და მისი წარმოთქმა. წინა თავში აღწერილი ანბანის წიგნი

და ანბანის თამაშები სწორედ ამ უნარების გასავარჯიშებლად შედგენილი. მას შემდეგ, რაც ბავშვი ასოს და მის შესაბამის „ბგერას“ გაეცნობა, მან ამ ასოთი დაწყებული სიტყვების კითხვა უნდა შეძლოს. ფონეტიკის ელემენტები და თვალთ ალექმული სიტყვები ერთდროულად უნდა ისწავლებოდეს – ბავშვს სწავლის პროცესში უნდა შეეძლოს სრული ინფორმაციის გამოყენება. როდესაც ბავშვი სწავლობს, რომ „მ“ იხმარება სიტყვაში „მამიკო“ და ამის შემდეგ „მ“ ასოზე დაწყებული სხვა სიტყვა შემოგვაქვს, ბავშვი სწავლობს, რომ ეს სიტყვა იმავე ასოზე იწყება, რაზეც „მამიკო“.

ამ თავში აღწერილია „მსგავსი ჟღერადობის სიტყვების“ გამოყენებით თანხმობანი ბგერების სწავლება. მათ, ვისაც სურს სწავლება კითხვის ამ პროგრამით განაგრძონ, ეს მოდელი უფრო განვითარებული ფონეტიკური ცნებების სწავლებისთვის გამოადგება (იხ. „კითხვის სწავლების ტიპური თანამიმდევრობა“ დანართი ა-1). მას შემდეგ, რაც ბავშვს მსგავსი ჟღერადობის სიტყვებს ამ წიგნში მოცემული ხერხების საშუალებით ასწავლით, ამ ხერხების უფრო განვითარებული ეტაპის ფონეტიკური ცნებების სწავლებისთვის გამოყენება უნდა შეძლოთ. ამ ეტაპისთვის უკვე გეცოდინებათ, თუ რა არის თქვენი ბავშვისთვის საუკეთესო და რისი სწავლაა მისთვის ყველაზე სასარგებლო. თქვენ გაქვთ საკმარისი გამოცდილება, რათა მასალის უკეთ ადაპტაცია შეძლოთ.

მე-8 თავი თვალთ ალექმული სიტყვების სწავლების ზოგად მეთოდოლოგიას აღწერს და რეკომენდაციას უწევს მასწავლებელს, რომ იქ მოცემული ხერხების გამოყენება და ადაპტირება მოახდინოს; ამ თავში ფონეტიკის ელემენტების სწავლების ზოგადი ხერხებია აღწერილი. ეს ხერხები მარტივ საფეხურებადაა დაყოფილი, რომლებიც მოსწავლის წარმატების მიღწევაზეა გათვლილი.

მსგავსი ჟღერადობის სიტყვების გამოყენებით მასთან მუშაობა დავიწყე მაისში და როდესაც სექტემბერში პირველ კლასში შევიდა, ყველაზე კარგად კითხულობდა

ერთ-ერთმა დედამ მითხრა, რომ მას შემდეგ, რაც მაისში ჩემს სემინარს დაესწრო (რომლის დროსაც ამ თავში აღწერილი ხერხები წარმოვადგინე), სურვილი გაუჩნდა, თავისი ქალიშვილისთვის კითხვა ესწავლებინა. მან სწავლება „არი“ ჟღერადობის სიტყვებით დაიწყო და გოგონა ისე გრძობდა თავს, როგორც თევზი წყალში. როდესაც იგი სექტემბერში სკოლაში წავიდა, ინტეგრირებულ კლასში ყველაზე საუკეთესოდ კითხულობდა. დედამისმა თქვა, რომ პირველკლასელები ერთმანეთს იმის მიხედვით აფასებდნენ, თუ ვინ უკეთ იცოდა კითხვა, ხოლო მისი შვილი ყველაზე მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს კითხვის განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ამ ნიჭს დანახვა და განვითარება სჭირდება. ასეთი ბავშვები, როგორც წესი, საბაზისო კითხვას კარგად ითვისებენ და უფრო განვითარებული ეტაპის ფონეტიკის ჩვევებიც გამოუმუშავებდათ. არიან ბავშვები, რომლებისთვისაც კითხვა უფრო რთულია, მათთვის კითხვის ზოგი პროგრამა არ არის შინაარსის შემცველი, მათ წაკითხული ამბების, მოთხრობების თუ ცნებების შინაარსი არ ესმით. უფრო მეტი ალბათობაა, რომ ასეთმა ბავშვებმა კითხვა უფრო კარგად ისწავლონ, თუკი ფუნქციური კითხვის პროგრამაში მონაწილეობას განაგრძობენ და საჭირო სიტყვებს, პირველ რიგში, თვალთ ისწავლიან. ისინი, რასაკვირველია, უნდა წავახალისოთ, რომ ასოებისა და ბგერების ცოდნა გამოიყენონ, ხოლო ამ თავში აღწერილი სიტყვების „დეკოდირების“ ხერხები და სხვა ფონეტიკური ცნებები შეიძლება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ვასწავლოთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვში კითხვისადმი ინტერესის გაღვივება და მისთვის წარმატების განცდის მინიჭებაა. სიტყვების უღერადობაზე დიდი ყურადღების გადატანა ბავშვს ხშირად უარყოფითად განაწყობს და ინტერესს უკარგავს. თუკი კითხვისას ბავშვს ხშირად ვაჩერებთ და ვთხოვთ, სიტყვაში მოცემული ბგერები წარმოთქვას, ამან შეიძლება ყურადღება ისე გაუფანტოს, რომ ტექსტის შინაარსს ვეღარ მიჰყვებს და კითხვის, როგორც შინაარსიანი და სასიამოვნო საქმიანობისადმი ინტერესი დააკარგვინოს. როდესაც ბავშვი კითხვისას ისეთ სიტყვას წააწყდება, რომელსაც ვერ ცნობს, ალბათ, ჯობს, ეს სიტყვა ვუთხრათ, რომ კითხვა მინიმალური წყვეტით განაგრძოს და გამოტოვებულ სიტყვებს ნაკლები ყურადღება დაუთმოს. გამოტოვებულ სიტყვებზე ვარჯიში მოგვიანებით შეიძლება; „სიტყვებზე შეტევის“ ჩვევის გამომუშავება შეიძლება ნაკლებად დაძაბულ და წარმატებაზე მეტად ორიენტირებულ ატმოსფეროში წარიმართოს.

**როდის
შეაოვიტანოთ
მსბაჰსი
შუპარაღოზის
სიტყუპუბი**

ჩემი რჩევაა მსგავსი უღერადობის სიტყვები მას შემდეგ შემოვიტანოთ, რაც ბავშვი თვალთ ალქმული სიტყვების ლექსიკონში 50-დან 100-მდე სიტყვას დაიგროვებს და ასობის უმრავლესობას ცნობს. თუმცა, ეს არ არის სავალდებულო, რადგან ყველა ბავშვს თავისი, განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვს და იქნებ ზოგიერთმა ბავშვმა მსგავსი უღერადობის სიტყვების სწავლა წარმატებით, თვალთ ალქმული სიტყვების სწავლამდე შეძლოს. ძალიან კარგია, თუ ბავშვს მსგავსი უღერადობის სიტყვათა ჯგუფებს თვალთ აღსაქმელ სიტყვებამდე ვასწავლით ან თუ ის მსგავსი უღერადობის სიტყვებს 50-დან 100-მდე თვალთ ალქმული სიტყვის დაგროვებამდე კითხულობს. ამაში ცუდი არაფერია – ახლა მას უფრო მეტი საშუალება აქვს კითხვის სასწავლად. ყველაზე მნიშვნელოვანი თვითონ ბავშვის წარმატებაა. თუკი ბავშვი წარმატებით კითხულობს, ესე იგი, მისთვის პროგრამა მისაღებია და თქვენი გადაწყვეტილება სწორი იყო. მაგრამ თუკი ბავშვი წარუმატებელია, ყოველი სიტყვა ისე უნდა ვასწავლოთ, როგორც თვალთ ალქმულ სიტყვებს ვასწავლით.

**მსბაჰსი
შუპარაღოზის
სიტყუპუბი**

თუკი თქვენ მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი პროცედურები შეასრულეთ, ე. ი. ბავშვმა სიტყვები და ასო-ბგერები ისწავლა. ის თამაშობდა ანბანის ბინგოს, ანბანზე ნადირობას, ანბანის ვიქტორინას, ანბანის ბოულინგს, ანბანის კალათურთს და კითხვისას ასობს ისე იყენებდა, როგორც გასაღებს. ბავშვი უკვე მზადაა ისწავლოს, თუ როგორ ჯგუფდება ასობი ისე, რომ სიტყვები გამოვიდეს.

ეს საოცრებაა! უბრალოდ საოცრება!

რამდენიმე წლის წინ ერთმა მასწავლებელმა ასეთი ამბავი მიაშობ: სასწავლო დღის ბოლოს ერთი მოსწავლე, იასონი რომელსაც არ ჰქონდა დაუნის სინდრომი, მის კლასში შემოდიოდა და იქ ავტობუსის მოსვლას ელოდებოდა. მასწავლებელი წუხდა, რომ იმ კლასში, რომელშიც ეს მოსწავლე იყო განაწილებული, კითხვას არ ასწავლიდნენ და გადაწყვიტა, ის დრო, როცა მოსწავლე ავტობუსს ელოდებოდა, კითხვის სწავლებისთვის გამოეყენებინა. მასწავლებელმა ფონეტიკის პროგრამით დაიწყო. როდესაც მასწავლებელმა ამ მოსწავლეს აჩვენა, თუ როგორ შეეძლო პირველი ასოს ცვლილებით სიტყვის შინაარსის ცვლილება, ბავშვი გაოგნდა და აღფრთოვანებულმა თქვა: „ეს საოცრებაა, უბრალოდ საოცრება!“

აქ აღწერილი საქმიანობა მოსწავლეებისთვის სახალისო უნდა იყოს, რადგან ისინი სწორედ იმ საოცრებას სთავაზობენ მოსწავლეებს, რაც იასონმა აღმოაჩინა. ყველა ჩვენგანს მოსწონს იმის გამოყენება, რაც ვიცით, ხოლო ეს

აქტივობები და თამაშები კითხვაში ვარჯიშისას ბავშვს ფონეტიკური უნარ-ჩვევების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

**მსგავსი
ჟღერადობის
სიტყვათა
ჯგუფების
სწავლა**

ამ წიგნში სასწავლო მასალა მოცემულია შემდეგი ხმოვნისა და თანხმოვნისგან შემდგარი ბგერათა „პატარა ჯგუფებისთვის“: არი, ელი, ილი.

თანამიმდევრობის საილუსტრაციოდ ამ თავში „არი ჯგუფი“ იქნება გამოყენებული. შესაძლებელია იმავე თანამიმდევრობის გამოყენება ყველა ხმოვნისა და თანხმოვნისგან შემდგარი იმ ჯგუფის შემთხვევაში, რომლის შესახებაც ამ წიგნში მასალაა მოცემული (და შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ბგერათა ნაზავის“ პრეფიქსებისა და სუფიქსების სწავლებისთვის).

როგორც ყოველთვის, არ არის აუცილებელი ყველა ბავშვს ყველა ნაბიჯი ვასწავლოთ და ყველა თამაში ვეთამაშოთ. აქ აღწერილი ნაბიჯები სახელმძღვანელოდაა მოცემული და მათი ადაპტირება ბავშვების ინტერესისა და აღქმის უნარის შესაბამისად შეგიძლიათ.

ნაბიჯი 1: მსგავსი ჟღერადობის სიტყვათა ჯგუფის სწავლა

მასალა:

მოკარნახე ორი ბარათი, რომელზეც წერია არი

მოკარნახე ორი ბარათის გამოყენებით, რომელზეც გამოსახულია არი (და არა ნახატიანი ბარათის გამოყენებით) ასწავლეთ ბავშვს ბგერათკომპლექსი არი, როგორც თვალთ ალსაქმელი სიტყვა; გამოიყენეთ მისადაგებისა და დასახელების მეთოდი, რომელიც მე-8 თავშია აღწერილი. ილი, ელი არ არის სიტყვები; ეს თანხმოვნისა და ხმოვნის მოკლე კომბინაციებია.

ნაბიჯი 2: სიტყვათა ჯგუფის შემოტანა

მასალა:

ნახატებიანი ბარათები (დანართი გ-3) და მოკარნახე ბარათები სიტყვებისთვის ბარი, კარი, ლარი, ქარი (აქვე გამოიყენეთ ნახატებიანი ბარათები. მათი გამოყენება იმისთვისაა საჭირო, რომ დარწმუნდეთ, რომ ბავშვმა იცის ამ სიტყვების მნიშვნელობა, თუმცა, ყველა ბავშვთან არ არის აუცილებელი მათი გამოყენება. ხშირად ასეთი ბარათები, შესაძლოა, ბავშვის ყურადღების მისაპყრობად გამოვიყენოთ; შესაძლოა, ბავშვი თავს უფრო კომფორტულად გრძნობს, როდესაც მისთვის ნაცნობი მეთოდია გამოყენებული.

თანამიმდევრობა:

სიტყვები ისევე შემოიტანეთ, როგორც თვალთ ალსაქმელი სიტყვები შემოგქონდათ, თითოეულ ჯერზე ორი ან სამი სიტყვა (მაგალითად, სიტყვები ბარი, კარი, ლარი, ტარი პირველი სიტყვებია არი სიტყვათა ჯგუფის გასაცნობად); გამოიყენეთ მისადაგების, შერჩევისა და დასახელების მეთოდი და პარალელურად აუხსენით ბავშვს, რომ ყველა ეს სიტყვა არი-ს შემცველი სიტყვაა და ისინი არი ჯგუფს მიეკუთვნება. აჩვენეთ, რომ ყველა სიტყვაში არის არი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სიტყვა სხვადასხვა ასოთი იწყება. უთხარით: „აქ წერია ბარი, შეგიძლია მიპოვო არი სიტყვაში ბარი? ან „აქ წერია


ბარი, აი, არი: ასევე, შეგიძლიათ ბავშვს მისცეთ არი ბარათი და სთხოვოთ, მიუსადაგოს ის სიტყვა ბარი-ში არი-ს.

შემდეგ უთხარი: ბარი იწყება ბ-თი, მაჩვენე „ბ“ ამ სიტყვაში. გაიმეორეთ ბგერა ბ და სთხოვეთ ბავშვს, გაიმეოროს. თუ არ გაიმეორებს, ნუ დააძალებთ. ზოგიერთი ბგერა ცალკე ძნელი წარმოსათქმელია და, ალბათ, ჯობს, სახალისოდ წარმართოთ პროცესი, ვიდრე მოსთხოვოთ ბავშვს აუცილებლად გაიმეოროს ბგერები. სავარაუდოდ, თუ ბავშვი შეძლებს, ის თვითონ, სპონტანურად მოახდენს თქვენს იმიტირებას. ნუ აიძულებთ, გაიმეოროს ბგერა, რადგან ეს ბავშვს ხალისს დაუკარგავს. თუ პროცესი ბუნებრივი იქნება, ბავშვი ბევრად მეტს ივარჯიშებს.

ნახაზი 3: სიტყვების შედგენა სხვისი თანხმობის უწყვილი

მასალა:

ელი ბარათი და ბარათები, რომლებზეც გამოსახულია საწყისი თანხმობები ხ, ც, ბ (ნახატი 10.1) (დანართი გ-1)



ნახატი 10.1

თანამიმჯობა:

1. აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ ხდება სიტყვის შედგენა სხვადასხვა საწყისი თანხმობით. მოათავსეთ ელი ბარათი მაგიდის (ან სხვა რაიმე) ზედაპირზე ბავშვისგან მარჯვნივ. მარცხნივ დადეთ ხ, ბ, ც (ან იმ საწყისი თანხმობების აღმნიშვნელი ასოებიანი ბარათები, რომლებითაც იწყება თქვენ მიერ შემოტანილი სიტყვები). ხ მიადეთ ელი-ს და თან უთხარი: ბავშვს, „აი, ნახე, ახალ სიტყვას ვადგენ“ როდესაც სიტყვა შედგენილია, ჰკითხეთ, „რა სიტყვა შევადგინე?“; თუკი ბავშვი არ გიპასუხებთ, უთხარი, „მე შევადგინე სიტყვა „ხელი“ კიდევ ერთხელ გაიმეორეთ პროცედურა, რომ აჩვენოთ, თუ როგორ დგება ახალი სიტყვა. იგივე გაიმეორეთ სხვა სიტყვებისთვისაც.

2. ბავშვი თავის საკუთარ სიტყვებს ადგენს. უთხარი, „ახლა შენ შევადგინე სიტყვა“ თუ აუცილებელია, დაეხმარეთ ასოების გადაადგილებასა და ელი-სთან მიტანაში. ჰკითხეთ, „რა სიტყვა გამომივიდა?“; თუ არ გიპასუხებთ, უთხარი, „შენ გააკეთე ცელი“; შენ ც დადე ელი-სთან და გამოვიდა ცელი“.

3. ბავშვი კონკრეტულ სიტყვებს ადგენს: დააწყვეთ ასოები მარცხნივ, ხოლო ელი – მარჯვნივ. უთხარი: ბავშვს: „ყურადღებით მომისმინე და შევადგინე სიტყვა, რომელსაც მე ვიტყვი; შევადგინე სიტყვა „ხელი“ თუკი ბავშვს დანებება დასჭირდება, დაეხმარეთ. გაიმეორეთ ეს პროცედურა ყველა ასოს გამოყენებით.

4. ბავშვი ადგენს სიტყვებს ასოების გამოყენებით: ასოები მარჯვნივაა განლაგებული, ელი – მარცხნივ. უთხარი: ბავშვს, „აილე ასო, რომელზეც წერია „ხ“ (თან წარმოთქვით ეს ბგერა) და ელი-სთან დადე“ მას შემდეგ, რაც ბავშვი ამას გააკეთებს, ჰკითხეთ: „რა სიტყვა შევადგინე?“ (თუკი ბავშვი არ გიპასუხებთ,

დაეხმარეთ და უკარნახეთ), გაიმეორეთ იგივე სხვა ასოების გამოყენებით.

5. ბავშვი ადგენს სიტყვებს ასოს დასახელების გამოყენებით: მოათავსეთ ასოები მარჯვნივ, ელი მარცხნივ და უთხარით ბავშვს: „აბა, აილე ც და დადე ელი-ის გვერდით.“ შემდეგ ჰკითხეთ: „რა გამოგივიდა?“

მას შემდეგ, რაც ბავშვი პირველ სამ სიტყვასა და საწყის თანხმონებს ისწავლის (ანუ ბავშვი ზემოხსენებულ დავალებებს წარმატებით შეასრულებს), ასწავლეთ სხვა ასოები და სიტყვები, თითო ჯერზე თითო, სანამ ბავშვი ჯგუფის ყველა სიტყვის შედგენას არ ისწავლის (ეს, როგორც წესი, სწრაფად ხდება).


ახალი სიტყვებისა და ასოების შემოტანის პარალელურად, „მარცხნივ“ დაამატეთ საწყისი თანხმონები და ბავშვს უფრო დიდი არჩევანის საშუალება მიეცით.

ნაბიჯი 4: თამაშები სიტყვათა ჯგუფების გამოყენებით

თამაშები სასრიალო ანბანის გამოყენებით

მასალა:

სასრიალო ანბანის დასამზადებლად გამოიყენეთ დანართები დ-7 და დ-8. სასრიალო ანბანი ისე დაამზადეთ, რომ პირველი თანხმონით შესაძლებელი იყოს სიტყვის შედგენა (სურათი 10.2).



ნახატი 10.2

რომელსაც აქეთ-იქით გადალუნავთ) (ნახატი 10.3).


თანამოილაპრობა:

აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ უნდა ასრიალოს ასოებისგან შემდგარი ზოლი ზევით-ქვევით, რომ სიტყვები შეადგინოს. მას შემდეგ, რაც თითოეული სიტყვა შედგება, ბავშვმა სიტყვა უნდა წაიკითხოს.

თამაში პირბლის გამოყენებით, რომლითაც ხდება უცხოენოვანი ბასწორება

მასალა:

ამ თამაშის დამზადება შესაძლებელია, თუკი დანართების დ-9 დ-11 მუყაოზე დააწებებთ. ამოჭერთ დანართში მოცემული მასალა; ამოჭერთ შტრიხების გასწვრივ ფურცელი იმისთვის, რომ ასოების თავზე „ფანჯარა“ გამოიჭრას და ნახატს ზემოდან დაედოს. მიამაგრეთ შუაში სამაგრი (პატარა მრგვალი მეთალის სამაგრი ორი ჩანგლისებრი ბოლოთი,



ნახატი 10.3

სიმბოლო/გრაფიკული ნახატი, რომელიც მოცემულია დანართში გ-4. ქსეროქსის გამოყენებით თუ საჭიროა, ზომაში შეამცირეთ მესხიერების ბარათზე მოცემული ნახატები. გადაიტანეთ ისინი მუყაოზე.

თანამიმღვრობა:

აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ ტრიალდება ბორბალი ისე, რომ ასომ სიტყვათა ჯგუფის ერთ-ერთი სიტყვა შეადგინოს. ბავშვი კითხულობს სიტყვას, შემდეგ ალებს „ფანჯარას“ იმისთვის, რომ გამოჩნდეს ამ სიტყვის ამსახველი ნახატი და ბავშვმა თავისი შესაძლო შეცდომა გაასწოროს.

ლოტო

მასალა:

დანართი დ-2-ისა და დ-3-ის გამოყენებით დაამზადეთ ლოტო, რომელზეც გამოსახული იქნება კომბინაცია „ნახატი-სიტყვა“ ასევე

თანამიმღვრობა:

თითოეული ჯგუფის შემოტანის პარალელურად ეს თამაში შესაძლებლობას აძლევს ბავშვს, ითამაშოს ერთბარათიანი ლოტო. ნებისმიერი ახალი ჯგუფის შემოტანის პარალელურად, შესაძლებელია მრავალბარათიანი ლოტოს თამაში. მაგალითად, ერთ ადამიანს აქვს არი-ჯგუფიანი ბარათები, რომლებზეც არი-იანი სიტყვებია გამოსახული; მეორე ადამიანს აქვს ელი-ჯგუფის ბარათები, რომლებზეც ელი-იანი სიტყვებია გამოსახული. მოთამაშეები რიგრიგობით იღებენ ბარათებს ან დისკებს, რომელზეც დატანილია ამ სიტყვების ამსახველი ნახატები. როდესაც მოთამაშე ბარათს აიღებს, ის იტყვის, თუ რა არის ბარათზე გამოსახული და ვის შეუძლია ამ ბარათებით თამაში. მაგალითად, თუკი მოთამაშე ამოიღებს ბარათს, რომელზეც გამოსახულია კარი (კარი), ის იტყვის: „კარი ეკუთვნის არი-ჯგუფს. აი, შენ ეს ბარათი, რადგან არი-ჯგუფი შენ გაქვს.“ შემდეგ ბარათს იგივე მოთამაშე იღებს და ასე გრძელდება მანამ, სანამ ის იმ ბარათს არ აიღებს, რომლის შესაბამისი ნახატი თვითონ აქვს (რასაკვირველია, თქვენ თვითონ შეგიძლიათ შეადგინოთ წესები. ბავშვების უმეტესობა უფრო დიდი ხალისით აძლევს ბარათებს სხვებს, თუკი ამისთვის თავისი რიგის დათმობა არ უწევს. სხვა „წესი“ შეიძლება იყოს შემდეგი: თუკი მოთამაშეს არა აქვს იმ ჯგუფის ბარათი, რომელსაც ამოიღებს, ის უკან აბრუნებს ბარათს, ნაცვლად იმისა, სხვას მისცეს.

ბინგო

მასალა:

ბინგოს ბარათები და შესაბამისი მენსიერების ბარათები. დაამზადეთ ბინგოს ბარათები დ-4, დ-5 და დ-6 დანართებში მოცემული მასალების გამოყენებით. ამჯერად, სვეტის თავში ასოების განლაგების ნაცვლად, მოათავსეთ იქ სიტყვათა ჯგუფები (გააკეთეთ ფორმებისა და ბარათების ასლები, გახსოვდეთ, ბევრი დაგჭირდებათ).

თანამოქმედობა:

მას შემდეგ, რაც სიტყვათა ჯგუფებს ბარათების საშუალებით შემოიტანთ, მიეცით ბავშვს შესაძლებლობა, ითამაშოს ბინგო. ბავშვმა ბარათი უნდა ამოიღოს და განსაზღვროს, რომელ ჯგუფს ეკუთვნის ის; შემდეგ პოულობს ჯგუფის დასახელებას სვეტის თავში და ეძებს ამ სიტყვის შესაბამის „ჯგუფს“. ამ ბინგოს თამაში მაშინაც შეიძლება, როდესაც ბავშვი სიტყვათა მხოლოდ ერთ „ჯგუფს“ გაეცნობა. ამ შემთხვევაში ბავშვი მხოლოდ იმ „ჯგუფში“ შემაჯალ სიტყვებს გამოიყენებს, რომელსაც სწავლობს, და გამოიყენებს მხოლოდ ერთ სვეტს. სხვა „ჯგუფების“ სწავლის პარალელურად, ბავშვი სხვა სვეტებსაც გამოიყენებს.

ნაბიჯი 5: სიტყვების შედგენა სიტყვათა ჯგუფების შეხვედრის საშუალებით

იმის გამო, რომ ბავშვი ძირითად ყურადღებას საწყის თანხმობას უთმობდა, სიტყვათა სხვა ჯგუფების შემოტანისას, ვერ სწავლობს სიტყვათა ახალ ჯგუფებს და მათ ადრე ნასწავლით ანაცვლებს. მაგალითად, თუკი ბავშვმა პირველად არი-ჯგუფი ისწავლა და შემდეგ ალი-ჯგუფი, მას შეიძლება ქალი ქარი-ში აერიოს. ამიტომ, ის აქტივობები, რომლებიც ბავშვს მთელ სიტყვას ასწავლის, ძალზე მნიშვნელოვანია. მას შემდეგ, რაც სიტყვათა ორი ჯგუფი იქნება შემოტანილი, ითამაშეთ სიტყვების შესადგენი თამაშები სიტყვათა ჯგუფებისა და არა საწყისი თანხმობის შეცვლის გზით.

მასალა:

სიტყვათა ჯგუფის აღმნიშვნელი ბარათები და ბარათები საწყისი თანხმობით. გამოიყენება იგივე მასალა, რაც ნახატში 10.1, მაგრამ ამჯერად გამოყენებული იქნება ერთი საწყისი თანხმობანი და ერთზე მეტი სიტყვათა ჯგუფი. მაგალითად, პატარა ზომის მენსიერების ბარათი, რომელზეც დატანილია ასო ბ; ბარათები, რომლებზეც მოცემულია სიტყვათა ჯგუფები არი და ალი. შეგიძლიათ თვითონ დაბეჭდოთ მასალა, როგორც ეს მოცემულია სურათზე 10.1 ან შეგიძლიათ დაბეჭდოთ მასალა დანართიდან გ-1 და დაჭრათ ისე, რომ ასოებისა და სიტყვათა ჯგუფების ბარათები გამოვიდეს.

თანამოქმედობა:

მოათავსეთ საწყისთანხმობიანი ბარათი მაგიდაზე (ან სხვა ზედაპირზე) ბავშვისგან მარცხნივ, ხოლო სიტყვათა ჯგუფის ბარათები ბავშვისგან მარჯვნივ. ბავშვმა სწორად უნდა აირჩიოს სიტყვათა ჯგუფი, რომ კონკრეტული სიტყვები შეადგინოს. მაგალითად, თუ ბავშვმა ისწავლა არი და ალი ჯგუფები,

მოათავსეთ ეს ბარათები ბავშვისგან მარჯვნივ, ხოლო ბ-ბარათი – მარცხნივ. შემდეგ, ჰკითხეთ ბავშვს: „რა სიტყვა შეადგინე?“ ან უთხარით, „შეადგინე სიტყვა, მიუსადაგე ნებისმიერი ჯგუფი ასო ბ-ს“. შემდეგ ჰკითხეთ ბავშვს, „რა სიტყვა შეადგინე?“

თამაშები სასრიალო ანბანის გამოყენებით (სიტყვათა ჯგუფებისგან შემდგარი სასრიალო)

სასრიალო თამაშების დასამზადებლად გამოიყენეთ დ-9 დანართში მოცემული მასალა (მოახდინეთ ბარათებზე მისი კოპირება და გამოჭერით), რომელშიც სიტყვათა ჯგუფი „სრიალებს“; ხოლო საწყისი თანხმოდანი იგივე რჩება. ისევე ითამაშეთ, როგორც ზევით არის აღწერილი და სადაც საწყისი თანხმოდანი „სრიალებს“.

რა
გაკაკითოთ
უეეეეე
ეტაააა

მეტი სიტყვათა ჯგუფები

როგორც წესი, არ არის აუცილებელი, რომ ყველა ხმოვან-თანხმოდნის კომბინაცია ვასწავლოთ და, განსაკუთრებით, ყველა ზემოხსენებული ნაბიჯი გავიაროთ. აღწერილი აქტივობები დაგეხმარებათ, ასწავლოთ ბავშვებს ის, თუ როგორ გამოიყენება ფონეტიკა სიტყვების ფორმირებისთვის. არ არის აუცილებელი ყველა საფეხურის გავლა ყველა „ჯგუფის“ სასწავლებლად, მაგრამ შესაძლოა დაგჭირდეთ „სიტყვის შედგენის“ პროცესის (ნაბიჯი 3) გავლა სიტყვათა სხვა ჯგუფებისთვის, ბინგოს, ლოტოს, ანბანის სასრიალო თამაშების, წიგნების დასამზადებლად, იქიდან გამომდინარე, თუ რა მოცულობის ვარჯიში დასჭირდება ბავშვს.

იმის განსასაზღვრად, თუ სიტყვათა რომელი ჯგუფი ვასწავლოთ შემდეგ ეტაპზე, ის „ჯგუფი“ შეარჩიეთ, რომელიც ბავშვს ყველაზე მეტად გამოადგება ან ის ჯგუფი გამოიყენეთ, რომლიდანაც ბავშვმა უკვე იცის სიტყვები.

სიტყვათა ეს ჯგუფები შეიძლება გამოვიყენოთ ბგერების გამოსატქმელად – არ არის აუცილებელი, ბავშვმა იცოდეს ყველა ამ სიტყვის მნიშვნელობა. როდესაც ბავშვს ჯგუფიდან ერთ-ერთ სიტყვას გავაცნობთ, შეიძლება მივუთითოთ ჯგუფზე და ვივარჯიშოთ მასთან ერთად. ასევე, როდესაც ბავშვი სიტყვათა ჯგუფიდან ერთ-ერთი სიტყვის მართლწერას სწავლობს, აჩვენეთ, თუ როგორ შეუძლია რამდენიმე სიტყვის წაკითხვა სიტყვათა ჯგუფის გამოყენებით და მხოლოდ პირველი ასოს შეცვლით.

თქვენ შეიძლება სავარჯიშოები გაართულოთ და გამოიყენოთ არა ერთი, არამედ რამდენიმე „მეთაური ასო“ სიტყვის შესაცვლელად (იხ. დანართი დ-7: თბ-ილი, გრ-ილი, ტკბ-ილი, წვრ-ილი და ა.შ.).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, უნდა შეარჩიოთ სიტყვათა ჯგუფები და ასწავლოთ სიტყვები, რომლებიც იმ ლიტერატურაში გვხვდება, რომლის წაკითხვა და გაგება ბავშვს შეუძლია (პროგრამით გაითვალისწინეთ წიგნის წაკითხვა ან თვითონ შეადგინეთ წიგნი სიტყვებისა და ცნებების გამოყენებით. შეგიძლიათ, ეს სავარჯიშოები კითხვის სხვა პროგრამას დაამატოთ, სადაც გათვალისწინებულია წიგნების კითხვა სიტყვებისა და ცნებების გამოყენებით). ბავშვი უნდა იყენებდეს იმ ცნებებსა და სიტყვებს, რომელსაც მას ვასწავლით და ჰქონდეს შესაძლებლობა, ივარჯიშოს მათ გამოყენებაში იმისთვის, რომ მათ ბავშვის თვალში ღირებულება შეიძინონ.

სიტყვათა
ჯგუფები
რამდენიმე
„მეთაური“
ასოთი

დასკვნა

ამ თავში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის ფონეტიკის სწავლების ზოგიერთი ხერხია აღწერილი. ფონეტიკაში შემავალი ხერხები რამდენიმე პატარა საფეხურად და საინტერესო აქტივობად დაიყო იმისთვის, რომ მათი სწავლებისას ბავშვს მეტი წარმატებისთვის მიეღწია. თუკი ბავშვი შეცდომებს უშვებს – თუკი სწორი პასუხების რაოდენობა 80%-ზე ნაკლებია – სავარაუდოდ, ბავშვი კარგად ვერ ითვისებს, თქვენ ძალიან სწრაფად მიიწევთ წინ ან ის აქტივობებისგან იღლება. თუკი თქვენ და ბავშვი ფონეტიკის თამაშებისგან სიამოვნებას არ იღებთ და თვალთ ალქმაზე გათვლილი თამაშები უფრო მეტ სიამოვნებას განიჭებთ, გირჩევთ, თვალთ ალსაქმელი სიტყვებით განაგრძოთ და ასობზე მხოლოდ მიანიშნოთ. მთავარია, ბავშვს მოსწონდეს კითხვის აქტივობები და წარმატებას ხედავდეს. სწავლებისას ის მეთოდი გამოიყენეთ, რომელიც ბავშვისთვის საუკეთესოა.

წერა და პარტოლწერა

სალაპარაკო ენის მსგავსად, წერითი ენაც ორი კომპონენტისგან შედგება: რეცეფციული – რომელსაც მოსმენისა და სიტყვების კითხვის დროს აღვიქვამთ; და ექსპრესიული – რომელსაც ლაპარაკითა და წერით გამოვხატავთ. კითხვა რეცეფციული კომუნიკაციის საშუალებაა, რომლის დროსაც დაწერილ სიმბოლოებს ვიყენებთ. წერითი ენის აღქმის შემდგომ მკითხველი სხვების მიერ დაწერილი აზრებისა და ინფორმაციის მიმღები ხდება. წერა არის ექსპრესიული კომუნიკაციის საშუალება, რომლის დროსაც დაწერილ სიმბოლოებს ვიყენებთ. ნაწერის ავტორი დაწერილ სიმბოლოებს თავისი აზრების გამოხატვის ან მკითხველისათვის გადაცემის მიზნით იყენებს. ჩვენ გვესმის და აღვიქვამთ წერით ენას მანამ, სანამ ლაპარაკს შევძლებთ. ვკითხულობთ და გვესმის წერითი ენა მანამ, სანამ დაწერილის მეშვეობით კომუნიკაციას შევძლებთ.

წერა გულისხმობს ენის სპეციფიკური სიმბოლოების (ასოების) სისტემაში მოყვანას/დაწობას ისე, რომ ამ სიმბოლოებმა მკითხველს გადასცენ ინფორმაცია, აზრები და გრძნობები. ჩვენ ვწერთ ხელით ან კლავიატურის მეშვეობით (კომპიუტერები, ან სხვა ელექტრონული საშუალებები). ამ თავში, ძირითადად, გაუქუქებულია ხელით წერა და მართლწერა; კლავიატურის მეშვეობით წერას განვიხილავთ, როგორც წერის ალტერნატიულ საშუალებას.

ნაწერი მოიცავს სპეციფიკური სიმბოლოების სწორი თანამიმდევრობით დალაგების ცოდნას/უნარს, საწერ ზედაპირზე სიტყვების შედგენას. საწერ ზედაპირზე სიმბოლოების (ასოების) ხელით გამოყვანა/გამოსახვა წარმოადგენს „წერით“ ნაწილს, ხოლო სწორი სიმბოლოების შერჩევა და მათი სწორი თანამიმდევრობით დაწობა, ისე, რომ სასურველი სიტყვა შევადგინოთ, წარმოადგენს „მართლწერის“ ნაწილს. ზოგიერთს შეუძლია სიტყვების გადმოწერა, გამოხატვა, მაგრამ არა აქვთ სიტყვების სწორად წერის უნარი. და პირიქით, ზოგიერთს შეუძლია სიტყვის ზეპირად სწორად წარმოთქმა ან დაბეჭდვა, მაგრამ არა აქვთ ხელით წერის უნარი. თუ ბავშვს ერთ ასპექტში უფრო უჭირს, ვიდრე მეორეში, მას ადაპტაციისა და არჩევანის საშუალება უნდა მივცეთ, რაც წერაში საკუთარი თავის უკეთესად გამოხატვაში დაეხმარება.

წერა

ზოგადად, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს წერის სწავლის პრობლემა აქვთ. ამის თავდაპირველი მიზეზი შეიძლება კუნთების მოდუნება და თითებსა და ხელებში ძალის ნაკლებობა იყოს. ერთ-ერთი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოტორიკის დონე 12-დან 36 თვემდე ასაკის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში 10 თვით ჩამორჩებოდა გონებრივ შესაძლებლობებს (ბ. ლავეკი და ჯ. ლავეკი, 1977). ასაკის მატებასთან ერთად განსხვავება შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს; გარდა ამისა, შესაძლოა სუსტმა მოტორულმა უნარებმა ზეგავლენა მოახდინონ გონებრივი განვითარების დონეზე, რადგან მთელი რიგი კოგნიტური ხასიათის ტესტების დროს ბავშვმა რომ თავისი ცოდნის დემონსტრირება შეძლოს,

მოტორული უნარები ან პრობლემის გადაჭრის უნარია საჭირო. ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს მოტორულ პრობლემებთან ერთად შესაძლოა ვიზუალური აღქმის, მოტორული მეხსიერების, დაგეგმვისა და კონტროლის, სივრცითი დამოკიდებულებების, თვალის/ხელის კოორდინაციის პრობლემები აღენიშნებოდეთ. რა თქმა უნდა, მხედველობის პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება იყოს.

როგორც ადრე დადგინდა, ძალიან მნიშვნელოვანია მხედველობის პრობლემის დროს სწორი დიაგნოზის დასმა და გამოსწორება. ამ თავში განხილული დაწერილი ნიმუშებიდან ორი ეკუთვნის პატრიკსა და გლენს, რომლებიც კლასიფიცირდებიან როგორც ბრმები (მხედველობა 20/200 ან ნაკლები უკეთეს თვალში, სათვალთ ან კონტაქტური ლინზებით მაქსიმალურად შესაძლებელი გამოსწორების შემდეგ). მიუხედავად ამისა, ორივეს შეუძლია კითხვა, წერა, სამსახურში ავტობუსით სიარული და უკავიათ საპასუხისმგებლო თანამდებობები. პატრიკი მაიკროსოფტში ასისტენტად მუშაობს, ხოლო გლენი აფთიაქში დილერად. ინტენსიურმა მკურნალობამ და სათვალის დროულად დანიშნვამ ორივე მათგანს მხედველობა გაუმჯობესა.

როგორც სხვა უნარების შემთხვევაში, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები წერის უნართაც განსხვავდებიან. ინტეგრირებულ კლასებში მყოფი თანატოლების მსგავსად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ერთ ნაწილს სპეციალური დახმარების მეშვეობით ხელით წერისა და მართლწერის სწავლა შეუძლია, დანარჩენი ნაწილი კი წარმატებას ძალიან ძნელად აღწევს, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, წერას მაინც სწავლობს. ზოგიერთი ხელით წერას ვერ ითვისებს, მაგრამ კლავიატურის გამოყენებას სწავლობს, ზოგიერთი კი ურთიერთობის ეფექტურ საშუალებად ვერც წერას იყენებს და ვერც ბეჭდვას.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმეტესი ნაწილისთვის წერა რთული ამოცანაა. თუმცა, დაუზოგავი შრომისა და წახალისების წყალობით უმეტესობა წერას სწავლობს და მოზრდილ ასაკში ძალიან კარგად წერასაც ახერხებს. მათ, ვისაც კლავიატურის გამოყენების საშუალება ეძლევათ, ისევე როგორც ჩვენ, უპირატესობას წერის ამ მეთოდს ანიჭებენ.

ვერ ვიჯერებდი; მან წერა თითქმის ერთ ლამეში ისწავლა

მრავალი წლის განმავლობაში, როგორც დაწყებით, ასევე საშუალო სკოლაში, დენს სპეციალური განათლების მასწავლებელი ჰყავდა. მისმა მასწავლებელმა მიაჩნო, ამ წლების განმავლობაში, ორივე როგორ ცდილობდა, რომ დენს წერა ესწავლა, მაგრამ წარმატება უმნიშვნელო იყო. წერა ძალიან უჭირდა, მაგრამ თითქოს სასწაული მოხდა, თორმეტი წლის ასაკში დენმა კარგად დაიწყო წერა, სრულყოფილი და თანაბარი ზომის ასოები გამოჰყავდა. მასწავლებელმა თქვა, რომ ეს თითქმის ერთ ლამეში მოხდა.

ამ შემთხვევაზე რომ ვფიქრობდი, გამახსენდა, დენისმა საბავშვო ბავშვთა „დამთავრა“ და „საუკეთესო მკითხველის“ ჯილდო მიიღო. მიკვირს, რატომ დასჭირდა ამდენი დრო, რომ წერა კარგად ესწავლა და როგორ უცბად შეიცვალა ყველაფერი. ეს, შესაძლოა, შემდეგი მიზეზებით იყო გამოწვეული: (1) ნატიფი მოტორული უნარის, თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარის განვითარებით დენისი თავის ასაკს თითქმის ნახევარჯერ ჩამორჩებოდა, რამაც ექვსი წლით გადადო მოტორული განვითარების ასაკი, მაშინ როცა ბავშვები, ჩვეულებრივ, ექვსი წლის ასაკში სწავლობენ წერას. შესაძლოა მისმა ნევროლოგიურმა განვითარებამ მხოლოდ მაშინ მიაღწია ისეთ ფაზას, როცა რაღაც „მექანიზმიც

ჩაერთო“ და წერის სწავლა შესაძლებელი გახდა.



ძვირფასო პეტ, იმედი მაქვს, ოდესმე მოგიწინახულებთ. ჩამოდით ჩვენთან. როგორ ხართ. მოხვალთ ჩემი დაბადების დღეზე 30 ოქტომბერს, 1994 (10/30/1972) დედაჩემი დაგვხმარებათ ჩვენი სახლის პოვნაში. რადგან ჩვენ მეგობრები ვართ, ძალიან მენატრებით პეტ ოლვეინ. მიყვარხართ.

თქვენი საუკეთესო მეგობარი დენ მიჩელი
P.S. წვეულება სახალისო იყო
კოლეჯის დამთავრება შესანიშნავია
ნათან ჰელის საშუალო სკოლა ძალიან კარგია

სურათი 11.1

(2) შესაძლოა, წერის პროგრამა, რომელსაც მასწავლებელი იყენებდა, არ იყო დენისთვის საკმარისი; ან იქნებ მასწავლებელი მისგან წარმატებას უფრო ადრე ელოდა, ვიდრე დენი ხაზების გავლებასა და კალმის მოსმაში გაიწაფებოდა; ან მასწავლებელი არ უწევდა საკმარის დახმარებას იმისათვის, რომ დენს ასოები გაეგო და დაემახსოვრებინა; ასე იყო თუ ისე, ყველაფერი უცბად შეიცვალა.


დენის კაფეში ყველა სიმბოლოს იწერდა და მე მადღევდა



მე რიდ ჰანე მქვია. 9 წლის ვარ. შარშან ზაფხულში მოვინათლე. მიყვარს პიცა, ნაყინი, ფეხბურთი, ველოსიპედით სიარული და ამხანაგებთან თამაში. მწამს, რომ ქრისტე ჩემი მეგობარია. მიყვარს წიგნი „თქმულებები ქრისტეზე“. ბევრი ამხანაგი მყავს და მიყვარს მათთან თამაში. არ მყავს ძაღლი და ძალიან მინდა, რომ მყავდეს. ჩემი ოჯახის მაღლიერი ვარ. ჩემი ძმა კემპბელი ჩემი საუკეთესო მეგობარებია.

ნახატი 11.2

როდესაც დენის თექვსმეტი წლის გახდა, მე, დენისი და მისი რამდენიმე მეგობარი ლანჩზე კაფეში წავიდით. დენი მორიდებით იქცეოდა, ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ როცა ლანჩი დაამთავრა, ჩანთიდან რვეული და ფანქარი ამოიღო და კაფეში არსებული ყველა სიმბოლოს კოპირება დაიწყო. წასვლისას რვეულიდან ერთი ფურცელი ამოხია და მომცა. ეს იყო საჩუქარი, თუმცა, ფურცელზე დაწერილი მასალა მისი მოგონილი არ იყო, ეს იყო ის, რაც, ჩემი აზრით, დენს ჩემთვის უნდოდა, ეთქვა: „ნახე, რა კარგად შემიძლია წერა. მინდა, რომ ეს იცოდე“ მან მართლაც კარგად დაწერა; ეს მშვენიერი საჩუქარი იყო. ძალიან ვწუხვარ, რომ ის ფურცელი დავკარგე და ახლა ვერ გეტყვით, რა ეწერა ზედ. თუმცა, ცოტა ხნის წინ დენმა წერილი მომწერა და სტუდენტურ წვეულებაზე გადაღებული ფოტო გამომიგზავნა. მისი ნებართვით ამ წერილის შინაარსს გაგაცნობთ (იხ.სურათი 11.1).



ძვირფასო მისის ოლვეინ
 იმედი მაქვს, მოგეწონებათ ჩემი სტატია, რომელიც
 გაზეთ „ადვოკატი“ პირველ გვერდზეა დაბეჭდილი.
 ეს სტატია ჩემი, როგორც დაუნის სინდრომიანის
 ცხოვრების შესახებ არის. ამ სტატიაში ასევე გადმოვეცი,
 როგორ ჩავერთე სკოლაში, სპორტსა და სოციალურ
 ცხოვრებაში. როგორ ხართ? როგორ მოგწონთ
 ამინდი? რას აკეთებთ? დედაჩემი და მამაჩემი კარგად
 არიან. მალე გნახავთ.
 თქვენი მეგობარი
 პატრიკ ერზიკი
 მოკითხვა გადაეცით ოლსონს და უთხარით, რომ
 მიყვარს.

სურათი 11.3

ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანს ასობის, მოთხოვნების, ლექსების, დავალებებისა და მოხსენებების წერის ძალიან კარგი უნარი აქვს. 9 წლის რიდა დაწერა ეკლესიაში წასაკითხი სიტყვა:

My goal was being in Peter Pan, and I auditioned for it. I played Nibs, one of the lost boys and every day I studied my lines. I had about 21 lines to memorize and it was hard work. We rehearsed every night for a month. I also had to change the set in the dark. At first I was scared. I liked how the director worked with us in Peter Pan, and the choreography was great. I am happy I chose that goal. We performed 3 times a week for two months. We had a cast party at my house and it was a lot of fun. We all loved being in "Peter Pan".


ჩემი მიზანი იყო „პიტერ პენში“ მიმელო მონაწილეობა და ამიტომ გამსინჯეს როლისთვის. მე ვთამაშობდი ნიბს, ერთ-ერთ დაკარგულ ბიჭს და ყოველდღე ვსწავლობდი ჩემს როლს. დაახლოებით 21 სტრიქონი უნდა დამემახსოვრებინა. ეს რთული სამუშაო იყო. ჩვენ ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე რეპეტიციები გვქონდა. მე სიბნელეში უნდა შემეცვალა დეკორაცია. თავიდან ძალიან შემეშინდა. ძალიან მომეწონა, როგორ მუშაობდა სპექტაკლზე ჩვენი დირექტორი. ბედნიერი ვარ, რომ ეს მიზანი ავირჩიე. სპექტაკლებს ორი თვის განმავლობაში კვირაში სამჯერ ვატარებდით. ჩემთან სახლში მოვანყვეთ დასის წვეულება და ძალიან კარგად გავერთეთ. ჩვენ ყველას ძალიან გვგხალისებოდა „პიტერ პენში“ თამაში.

სურათი 11.4

რიდი ამბობს, რომ როცა პატარა იყო, დაუნის სინდრომი ჰქონდა, ახლა აღარ აქვს.

პატრიკმა, რომელიც მაშინ 24 წლის იყო, საკუთარი თავის შესახებ სტატია გამომიგზავნა, რომელიც დაიბეჭდა ბელვიუს სათემო კოლეჯის (პატრიკი ამ კოლეჯის სტუდენტი იყო) მიერ გამოცემულ გაზეთში „ადვოკატი“ (იხ. სურათი 11.3). ლუპიტამ საბეჭდო მანქანაზე დაბეჭდა თავისი სიტყვა, რომელიც სახელმწიფო კანონმდებლებთან შეხვედრაზე უნდა წაეკითხა. თხუთმეტი წლის ბეკი ვინეგარი სამი საათი ზის ხოლმე კომპიუტერიდან, აუდიოკასეტებიდან და ენციკლოპედიიდან ტესტებს იწერს მისთვის საინტერესო თემაზე. ის პატარა ნარკვევებსაც წერს (იხ.სურათი 11.4). გლენი ჩემთან სამსახურში მოვიდა, რადგან არ დავხვდი, წერილი დამიტოვა (იხ. სურათი 11.5). როდესაც ჩემი ყოფილი სტუდენტები წერილებს მწერენ, გული მიჩუყდება. ბევრი დაუნის სინდრომიანის მსგავსად დენი, პატრიკი და გლენი ხელით წერდნენ. თუმცა, ბეჭდვიდან ხელნაწერზე გადასვლა ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე

მოსწავლეს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის. ამ შემთხვევებში ძალიან კარგი იქნება, თუ მათ არ გავაწვავთ ხელით წერის სრულყოფისათვის, თუ ეს მათი სურვილი არ იქნება. ბეჭდვა ფუნქციურია და ბევრი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის მოთხოვნებს პასუხობს; გარკვევით ნაბეჭდი ძნელად გასარჩევ ხელნაწერს სჯობს. ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნება, რომ ბავშვებს საკუთარი სახელის ხელით წერა ვასწავლოთ, რათა ხელმოწერა შეძლონ – არ არის აუცილებელი, რომ ხელმოწერა გარკვევით გაკეთდეს. ისინი შეძლებენ საბუთებზე, ქვითრებზე, სხვა დოკუმენტებზე და ხმის მიცემის დროს ხელის მოწერას. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ხელმოწერაა საჭირო, სახელი და გვარი დაბეჭდილია ხოლმე ან პირიქით, ბეჭდვა მოითხოვება. დაუნის სინდრომის მქონეთათვის დაბეჭდილი ხელმოწერა შეიძლება დამაბნეველი იყოს. მიეცით საშუალება, ხელით ისწავლონ ხელმოწერა. წერის დროს ისინი კითხვასაც სწავლობენ. ხელნაწერის წაკითხვის დროს ისინი კითხვის უნარს სრულად იყენებენ.



ძვირფასო პეტ
მოგესალმებით. ძალიან მენატრებით.
თქვენ ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარეთ.
მეგობარი
გლენისგან

ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია ხელნაწერის წაკითხვა, არ ითვლება ბოლომდე წერა-კითხვის მცოდნედ და არცოდნა ხელს შეუშლის იმ შემთხვევებში, როცა კითხვა ფუნქციური და მნიშვნელოვანი მომენტი იქნება. ძალიან ხშირად ჩანაწერები,

სურათი 11.5

ბარათები და წერილები ხელნაწერი სახისაა. მნიშვნელოვანია, რომ დაუნის სინდრომიან მოსწავლეებს შეუძლიათ ელექტრონული ფოსტით სარგებლობა და პირადი ელექტრონული წერილების (იმეილის) წაკითხვა, განსაკუთრებით, როდესაც პასუხსაც ბეჭდავენ. ამ დროს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების კითხვის უნარი სავსებით ფუნქციონალური ხდება და ისინი თავიდან ირიდებენ უხერხულობას. აგრეთვე, ზოგიერთი დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა სამუშაოს ინტერნეტში საკუთარი მონაცემების განთავსების გზით შოულობს. ხელნაწერის წაკითხვის უნარი ავართოებს სამუშაოს შოვნის შესაძლებლობებს.

ხელნაწერის წასაკითხად ხელით ასოების გამოყვანის სწავლა არ არის აუცილებელი. თუ ბავშვს ძალიან უჭირს ხელით ასოების გამოწერის სწავლა, ასწავლეთ ხელნაწერი ასოების კითხვა დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით. ამ შემთხვევაში, ისინი დააწყვილებენ ხელნაწერ ასოებს და სიტყვებს დაბეჭდილ ასოებსა და სიტყვებთან. ავარჯიშეთ ლოტოსა და ბინგოს გამოყენებით.

ხელით არის დაწერილი. ვერ შევძლებ წაკითხვას.

როდესაც ჯონ ბენიამინი დაწყებით სკოლაში იყო, მასწავლებელთან ერთად დერეფანში მიდიოდა, როცა კარზე წარწერა შენიშნა. ის კართან გაჩერდა, წარწერას შეხედა და თქვა: „ხელით არის დაწერილი. ვერ შევძლებ წაკითხვას“. ჯონ ბენიამინმა, რომელიც მშვენივრად კითხულობდა, აღიარა, რომ ხელით წერა და ხელნაწერის კითხვა არ შეეძლო.

ხელით ნაწერის ენაზე ლაპარაკობ?

როდესაც ჩემი შვილი კითხვას სწავლობდა, ზღვის სანაპიროზე ვიყავით. იქვე ახლოს იაპონელების ოჯახი იყო. დედა ბავშვს იაპონურად ელაპარაკებოდა. ჩემი შვილი ცოტა ხანს ყურადღებით აკვირდებოდა და უსმენდა. მერე ბავშვის დედას მიუახლოვდა და ჰკითხა: „თქვენ ხელით ნაწერის ენაზე ლაპარაკობთ?“

უნდა გვახსოვდეს, რომ ვისაც ხელით ნაწერის კითხვა არ უსწავლია, მათთვის ის უცხო ენასავით არის. ხელით ნაწერის კითხვის დროს კითხვის უნარის გამოყენების სწავლებას სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს. ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ ისინი ამას უცბად „აითვისებენ“.

ნება მოჰყვით, გლენის შესახებ ზიარდით

ნათან ჰეილის საშუალო სკოლის მოსწავლეების ჯგუფი, რომლებიც თემაზე დაფუძნებული სამუშაო პრაქტიკის პროგრამაში იყვნენ ჩართულნი, ჰოსპიტალში გამოცდილების მისაღებად მოვიდნენ. პარასკეობით, ისინი ლანჩზე კაფეში შემოდოდნენ და როცა შემეძლო, მეც ვუერთდებოდი ხოლმე. ერთხელ, როცა გლენის სანახავად მივედი, პროგრამაში ჩართულმა ბიჭმა, რომმა, რომელსაც ფიზიკური მდგომარეობა გაუარესებული ჰქონდა და ეტლში იჯდა, მითხრა: „მის ოლეგინ, ნება მომეცით, გიამბოთ გლენის შესახებ. როცა სკოლიდან წასვლის დრო მოდის, გლენს არ ავიწყდება, რომ პალტოს ჩაცმაში დამეხმაროს. ის ყოველთვის მიღებს კარს და მელოდება, სანამ არ გავალ. როდესაც ავტობუსში ავდივარ, მელოდება და ღვეს მიმაგრებს.“

რობს არ სჭირდებოდა დენის შესახებ რაიმეს მოყოლა (დენიმე ცოტა ხნის წინ დაამთავრა სკოლა). მე თვითონ ვაკვირდებოდი მას. რობის სალათში ყველი იყო გარეული. ყველი კი ის პროდუქტი იყო, რომელიც მას არ უნდა ეჭამა. როდესაც რობმა თქვა: „ვაი, სალათში ყველია“, დენი თავისი სურვილით მივიდა რობთან, აიღო მისი ჩანგალი და ყველი მთლიანად ამოიღო სალათიდან. შეზღუდული მოტორული კონტროლის გამო რობს ამის გაკეთება თვითონ არ შეეძლო.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, გლენი ფაქტობრივად ბრმაა. დენის მარცხენა ყურში არ ესმის და მარჯვენა ყურში სმენალობა დამოკიდებულია ამ ყურის სიჯანსაღეზე. გლენის გაუარესებული მდგომარეობა მის ხელნაწერშიც ჩანს, დენის კი – მართლწერაში. მაგრამ მათი გაუარესებული მდგომარეობის მიუხედავად, შესანიშნავად ახერხებენ დაწერილი სიტყვებით ურთიერთობას. უფრო მეტიც, მათ ისეთი სიფაქიზე და ისეთი თვისებები აქვთ, რომ ბევრ ჩვენგანს უნდა შერცხვეს კიდეც.

ძალიან ხშირად მშობლები ღელავენ, რომ მათი შვილი ისე ვერ კითხულობს და წერს, როგორც სხვა ბავშვები. ისინი ფიქრობენ, რომ მათი შვილები საკმარისად არ მეცადინებენ, რომ მათი შვილის წარუმატებლობა მშობლების ბრალია, რომ მათი შვილის სასკოლო პროგრამა არ არის ისეთი კარგი, როგორც სხვა სკოლისა და რომ ბავშვი სრულად ვერ იყენებს თავის პოტენციალს.

ერთ დროს ჩემი მიზანი იყო, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს თავიანთი პოტენციალის სრულად გამოყენებაში დაეხმარებოდი. თუმცა, საინფორმაციო ბიულეტენში დაბეჭდილი ენი თერნბელის მოხსენებიდან ციტატების წაკითხვის შემდეგ აზრი შევიცვალე. დოქტორ თერნბელს სურდა გაცენო საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი, ვინც თავისი პოტენციალის მაქსიმუმს მიაღწია. მას უნდოდა მათი გაცნობა, რადგან არასოდეს შეხვედრია მსგავს ადამიანს. დოქტორ თერნბელის აზრით, საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება ადამიანისთვის დიდი ტვირთია. მან ასეთი კითხვა დასვა: „განა ცუდია ჩვეულებრივი კარგი ცხოვრება?“ (მე ვკითხე, „განა ცუდია ფუნქციური აკადემიური უნარების განვითარება, რაც გეხმარება ჩვეულებრივი კარგი ცხოვრებით ცხოვრებაში?“)

გლენსა და დენის აქვთ უნარი, ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრონ და, ამავე დროს, არაორდინარული ადამიანები არიან. ისინი ბევრს გასცემენ და სხვის ცხოვრებას უკეთესს ხდიან. რობი, რომელსაც არა აქვს გონებრივი ან სიტყვების გარკვევით წარმოთქმის პრობლემა, და ფიზიკური მდგომარეობის გამო შეზღუდულად მოძრაობს, თავის ასაკთან შედარებით ძალიან ჭკვიანია, აფასებს სხვების მზრუნველობასა და მეგობრობას და მან იცის, რამდენად უმნიშვნელოა აკადემიური მიღწევები; ადამიანისთვის მთავარია, უყვარდეს და უყვარდეთ, ეს აძლევს ცხოვრებას ფასს.

მე არ მიჭირს გლენისა და დენის წერილების კითხვა. ისინი ყველაფერს მშვენივრად მაგებინებენ. მათი ნაწერი სავსებით ფუნქციურია. მიკვირს, გლენი თავისით როგორ ახერხებს წერას და დენი – სიტყვების წარმოთქმას.

(დენისთან წვეულებაზე რომ წავალ, კოსტიუმს ჩავიცვამ და ჩემს ქმარს – ჩემს საუკეთესო მეგობარს წავიყვან. ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი უნდა აღვნიშნოთ – ძალიან წარმატებული ადამიანის დაბადების დღე – ის ოცდაორი წლის ხდება.)

ზოგიერთი დაუნის სინდრომის მქონე ადამიანისთვის წერა მხოლოდ ფუნქციური კომუნიკაციისა და შემოქმედებითი გამოხატვის საშუალება არ არის, ზოგიერთი დაუნის სინდრომის მქონე მოზრდილის ნაწერები ქვეყნდება. გარდა ამისა, ნაწერების ავტორები ამა თუ იმ თემაზე თავიანთ წარმოდგენას წერილობითი ფორმით უკეთესად გადმოსცემენ. მაგალითად, ლუპიტას მიზანია წიგნის დაწერა. მე ვაპირებ ყოველმხრივ ხელი შევუწყო მის მცდელობას. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ქალის აზრიც გვჭირდება. ჯეისონ კინგსლიმ და მიჩელ ლევიცმა ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს და „ქაუნთ ასში“ გამოაქვეყნეს სტატია: „იზრდებოდე დაუნის სინდრომით“.

**როდის იწყებთ წერას
სწავლებას?**

რადგან დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს ინდივიდუალური შესაძლებლობები აქვთ, ამიტომ „ჯადოსნური“ ან „ზუსტი“ დრო, როდის დავაწყებინოთ წერა, არ არის განსაზღვრული. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმეტესობას მოტორულ განვითარებაში იმდენად მნიშვნელოვანი შეფერხებები აღენიშნებათ, რომ აუცილებელია ოკუპაციური თერაპევტის ჩარევა, რომელიც ბავშვის მოტორული უნარების განვითარების მიხედვით გადაწყვეტს, როდის უნდა დაიწყოს ბავშვმა წერის პროგრამა. მშობლებმა და მასწავლებლებმა დამოუკიდებლად არ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. მშობლებმა და მასწავლებლებმა ოკუპაციურ თერაპევტთან ერთად უნდა შეიმუშაონ და ბავშვისთვის განკუთვნილ პროგრამაში ჩართონ წერითი და არაწერითი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ ძალის, კონტროლისა და კოორდინაციის გამყარებას. პროგრამაში შეტანილ ი უნდა იყოს სპეციფიკური მიზნები – სად, როდის და როგორ განხორციელდეს ეს მიზნები და ვინ იქნება ამ თუ იმ მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი.

ფაქტობრივად, ბავშვი წერას იწყებს მაშინ, როდესაც ხელში იღებს ფანქარს, კალამს, საშლელს, ფლომასტერს ან ცარცს და ზედაპირზე აღნიშნავს აკეთებს. ბავშვს რომ აქტივობის შესრულებისა და გაგრძელების სურვილი გაუჩნდეს, აუცილებელია მისი მცდელობის წახალისება, შექება და საწერი მასალების ხელმისაწვდომობა (ბავშვს მუდმივად უნდა ჰქონდეს გამძლე დაფა, რომელიც მოთავსებული იქნება ბავშვისთვის ადვილად მისაწვდომ ადგილზე, ფურცლები, ფანქრები, საშლელები, ფლომასტერები და შეუზღუდავი შესაძლებლობა „თავისუფალი“ ხატვისთვის). შეაქეთ, ბავშვთან ერთად ჯღაბნეთ, რიგრიგობით გამოიყენეთ საშლელები და ფურცლები, თავიდან ბავშვს მიბაძეთ და როცა თქვენი რიგი მოვა, თქვენ თვითონ შექმენით ნიმუში. თუ ამ აქტივობისგან ბავშვი სიამოვნებას მიიღებს, ალბათ, სხვა დროსაც მოუნდება იმავეს გაკეთება და რაც უფრო ხშირად დაკავდება ამით, მით უფრო გაიუმჯობესებს მოტორულ უნარებს. თუმცა, თუ თქვენ დაუწყებთ ჩვენებას, როგორ უნდა დახატოს კონკრეტული საგნები, ხელს ხელზე მოკიდებთ და აიძულებთ, დაახატინოთ რამე, საერთოდ „დაუკარგავთ“ ხატვის სურვილს. გახსოვდეთ, რომ ადამიანის ბუნება ასეთია – ჩვენ არ გვიყვარს მარცხის განცდა, სულ არ არის სახალისო სხვისი მიზნების შესრულება. მთავარია, ბავშვს ჰქონდეს დავალების შესრულების უნარი და სტიმული. ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, ბავშვისთვის ისეთი უმარტივესი დავალების შესრულება, როგორც ხაზების კოპირებაა, შეიძლება ძალიან რთული იყოს და/ან მოსაბეზრებელი და უაზრო იყოს. წარუმატებლობის თავიდან აცილების მიზნით დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ცდილობენ, საერთოდ უარი თქვან ისეთი დავალების შესრულებაზე, რომელიც არ აინტერესებთ ან ძალიან რთულია მათთვის. და სხვათა შორის, თუ ბავშვს ამის სურვილი აქვს, გაუწიეთ დახმარება. გირჩევთ, ასეთი ფორმით მიმართოთ: „გინდა დაგეხმარო?“ ან „დახმარება თუ დაგჭირდება, მითხარი!“ ეს ბავშვს თავის გაკონტროლებაში დაეხმარება და დაპირისპირებასაც ასცდება.

ბავშვი რომ წერისთვის შეამზადოთ, დაგეგმეთ საინტერესო და მისთვის მნიშვნელოვანი შემოქმედებითი აქტივობები, თამაშები და ასევე ისეთი აქტივობები, რომლებიც საშუალებას მისცემს ბავშვს, დაეხმაროს საკუთარ თავს. გააკეთებინეთ, რაც უნდა და რისი გაკეთებაც შეუძლია. ამ აქტივობებში ჩართული უნდა იყოს ნატიფი მოტორული უნარების (შემეცნებითი უნარების, კომუნიკაციის უნარის, უხეში მოტორული უნარების განვითარებაზე დამატებით) გასავითარებელი ელემენტები. მაგალითად, თუ ბავშვი მაკრატილით გაჭრას სწავლობს და მას ამჯერად მხოლოდ ათსანტიმეტრიანი ქალაღდის ზოლის წარმატებით გაჭრა შეუძლია, დაეხმარეთ ქალაღდის დაჭერაში და

ისე დაგეგმეთ მისთვის საინტერესო და გასაგები აქტივობები, რომ ბავშვს ქალაქის ათსანტიმეტრიან ზოლებად დაჭრა ევალეზოდეს. თუ გველის გამოჭრა აინტერესებს, ბავშვს შეუძლია სხვადასხვა ფერის ქალაქის ზოლები (თვითონ შეარჩევს) დაჭრას და თქვენ მიერ დახატულ გველზე დააწებოს, ისე, რომ ჭრელი გველი გამოუვიდეს; თუ ბავშვი თევზებით არის დაინტერესებული (აკვარიუმის დათვალიერების შემდგომ), შეუძლია ფარფლები და ქერცლები დაჭრას და თევზს მიაწებოს. თუ მანქანები უყვარს, ფანჯრები გამოჭრას და მანქანას მიაკრას; თუ ჯამბაზები მოსწონს, შეუძლია თვალეზი, ცხვირი და პირი გამოჭრას და მრგვალი ფორმის ქალაქს დააწებოს ა.შ. გარდა ამისა, ბავშვი შეიძლება დაინტერესდეს გველების, მანქანებისა და ჯამბაზების გამოჭრაში, რომლებზეც ის სხვადასხვა ნაწილს დააკრავს. როდესაც ამ საგნებს გამოჭრით, მათ გარშემო აქ-იქ დიდი ადგილები (დაახლოებით ათსანტიმეტრიანი) დატოვებთ (თავი მოიკატუნეთ, თითქოს შეგეშალათ), რასაც ბავშვი შემდეგ თვითონ შემოჭრის. ამ აქტივობაში გავარჯიშებისას, დაეხმარეთ ბავშვს, რომ ქალაქი თვითონ დაიჭიროს და თანდათან დამოუკიდებლად გააკეთოს დავალება. როდესაც ბავშვი ქალაქის უფრო გრძელი ზოლების გამოჭრას შეძლებს, დავალებაც შესაბამისი უნდა მისცეთ; როდესაც ხაზის გაყოლებაზე გაჭრას ისწავლის, რასაკვირველია, მარტივი ფორმების დამოუკიდებლად გამოჭრას უფრო ადვილად მოახერხებს.

ხატვისა და წერის სწავლების დროსაც იგივე ტექნიკა გამოიყენეთ. ხაზების, რგოლების და სხვადასხვა ფორმის უმიზნოდ გადახატვასა და იმიტირებას, უმჯობესია, ხატვა აქტივობებში ჩართოთ, ისე, რომ ქალაქზე სხვადასხვა ფორმის დახატვას მიზანი და შინაარსი ჰქონდეს. მაგალითად, ბავშვს შეუძლია გველს ზოლები დაახატოს (ჯერ გაავლოს ხაზები და მერე შეავსოს ისინი ფერით. თქვენ შეგიძლიათ დახატოთ გველის თავი და ბავშვმა დაახატოს დანარჩენი ნაწილი. დაუხატოს თვალი (წერტილი) და ენა (გამოშვებული ხაზი). დახატეთ თევზის ქერცლი (ლათინური ასო **C**-ს მსგავსი ფორმის) და დაეხმარეთ ბავშვს, მოგზაობით (სანამ დამოუკიდებლად შეძლებს დახატვას) და დახატოს თვალეზი, პირი ა.შ. დახატეთ წრე, რაც იქნება ჯამბაზის თავი, შიგნით ჩახატეთ ცხვირი და პირი, თვალეზი (რგოლების სახით) კი ბავშვს დაახატვინეთ; სხეულის ერთ ნაწილს რომ დახატავთ, მეორე ბავშვს დაახატვინეთ. ეს სახალისო იქნება. ბავშვს მიეცემა ამის გაკეთების მიზეზი და სურვილი და თან სხეულის ნაწილების მდებარეობის განსაზღვრასაც შეძლებს. გაითვალისწინეთ, რისი კეთების უნარი აქვს ბავშვს, ავარჯიშეთ რაც შეიძლება მეტი, აქტივობა სახალისო და აზრიანი გახადეთ და მიეცით საშუალება, იყოს კრეატიული და დამოუკიდებლად დახატოს საგნები. ბავშვს სჭირდება პრაქტიკა და სწავლა, რათა მიზანდასახულად გაავლოს ხაზები და გააკეთოს მონახაზები, რომლებიც „შინაარსის“ მატარებელი იქნება.

მერე მითხრეს, რომ ქალაქი ხაზების გაყოლებაზე უნდა გამეჭრა

დოქტორი ელიზაბეტ ვიიგი ბოსტონის უნივერსიტეტის პათოლოგიური მეტყველების განყოფილების პროფესორია; მან სამი წიგნი და ორმოცდაათზე მეტი სტატია დაწერა; ასევე, თავისუფლად ლაპარაკობს ექვს ენაზე. მან სიამოვნებით გაგვიზიარა თავისი, როგორც სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის გამოცდილება თავის ესეში „განსაკუთრებული ბავშვები“ (ჰიუვარდი და ორლანსკი, 1980, პირველი გამოცემა). მან გვიამბო, როგორ ცდილობდა, მაკრატლის ხმარება ისწავლა. ბოლოს და ბოლოს, როცა ეს მოახერხა, შვებით ამოისუნთქა. თუმცა, ეს განცდა დიდხანს არ გაგრძელებულა. ამის შემდეგ მას უთხრეს, რომ ქალაქი ხაზების გაყოლებაზე უნდა გამეჭრა.

ჩვენთვის რთული წარმოსადგენია, როგორ უჭირთ ზოგიერთი დავალების შესრულება მოტორული, კოორდინაციისა და ალემის პრობლემების მქონე ბავშვებს. არ არის გასაკვირი, რომ ძალიან ბევრი ბავშვი უარს ამბობს და ცდილობს დავალების შესრულებას თავი დააღწიოს. დოქტორ ვიიგმა გვითხრა, რომ მას წარუმატებლობის თავიდან აცდენის მიზნით ასეთი ხერხი ჰქონდა შემუშავებული: გაკვეთილზე „ცუდად“ იქცეოდა და ღირექტორის კაბინეტში შეჰყავდათ. იქ ჯდომა ბევრად უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე წარუმატებლობის განცდა.

მართლა ძალიან ძნელია!

სემინარზე აუდიტორიას ვიდუკასეტას ვაჩვენებდი. ვიდუფირზე კარი ექვსი წლის იყო; ის თავისი გვარის წერას სწავლობდა, მასწავლებელმა უთხრა, რომ ასო „ჭ“ მართლა ძნელი დასაწერი იყო. სემინარის ერთ-ერთმა მონაწილემ შეფასების დროს მასწავლებელი გააკრიტიკა; მისი აზრით, მოსწავლეებს არ უნდა უთხრათ, რომ დავალება ძნელია, რადგან ბავშვებს დავალების შიში უჩნდებათ, ჩუმდებიან და ცდილობენ, უარი თქვან შესრულებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ბავშვებს უნდა უთხრათ, რომ დავალება ადვილია; ბავშვები ჩათვლიან, რომ დავალება მართლაც მარტივია და შეძლებენ მის შესრულებას.

გული დამწყდა, რომ ამ პიროვნების სახელი არ ვიცოდი და ვერ მოვახერხე მისთვის „ადვილი/ძნელი“ საკითხის შესახებ ჩემი მოსაზრების გაზიარება. ახლა მაქვს ამის შესაძლებლობა. მე ვფიქრობ, უნდა უთხრა ბავშვს, რომ ეს ძნელია. ეს ძნელია მისთვის და ეს უნდა იცოდეს. ის ბევრჯერ ეცდება ასო „ს“ დაწერას და ბოლოს დაწერს. როდესაც ბავშვს ეუბნები, რომ ეს ძნელია, მის განცდას ადასტურებ და ამართლებ. თუ ეტყვი, რომ ადვილია, ეს დავალების მიმართ ბავშვის დამოკიდებულების დისკრედიტაცია იქნება. ის ვერ გაიგებს და ვერ მიიღებს თანაგრძნობას. ამით უგულებელყოფ მის ნაკლს, რის გამოც დავალება შესასრულებლად რთულია (შენ უნდა შეძლო ამ ადვილი პატარა დავალების შესრულება. ნახე, მე რა კარგად გამომდის. ეს ისეთი ადვილია). თუ ვეცდებით ბავშვის დარწმუნებას, რომ დავალება ადვილია, ის დაკარგავს მასწავლებლის ნდობას. მოსწავლეების უმეტესობა არ ითანამშრომლებს ასეთ მასწავლებელთან. თუ მასწავლებელი ეტყვის ბავშვს, რომ დავალება ძნელია, ძალიან რთულია, მაგრამ მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ ბავშვი ამ პრობლემას გადაჭრის, იმიტომ, რომ ის კარგად მუშაობს, ბავშვი უფრო წამოვა ურთიერთობაზე, მონიღომებს და ეცდება, გაამართლოს თავისი, როგორც კარგი მშრომელის, იმიჯი.

როდესაც ბავშვს ეუბნები, რომ დავალება ძნელია და ვერ შეასრულებს, ის გაამართლებს თავის წარუმატებლობას, ჩათვლის, რომ დავალება რთულია და იმიტომ ვერ შეასრულა. თუ წარმატებას მიაღწევს, ე.ი. მან მოახერხა იმის გაკეთება, რაც რთული იყო. თუ ბავშვს ეტყვი, რომ დავალება ადვილია და ის მაინც ვერ აკეთებს, მისი წარუმატებლობა ძალიან მტკივნეული იქნება, მან ვერ შეასრულა ის, რაც ადვილი იყო. და თუ შეასრულებს, იფიქრებს, რომ ეს უმნიშვნელო წარმატებაა, დავალება ძალიან ადვილი იყო და შეასრულა.

(შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას იფიქრებს ცოლი, ქმარმა რომ უთხრას, რომ მისი გამომცხვარი ღვეზლის კანი არ იყო ისეთი დაბრაწული, როგორიც დედამისის. ბოლოს და ბოლოს, ამის გაკეთება ხომ ძალიან ადვილია; ან თუ ცოლმა გამოაცხო მშვენიერი ხრაშუნა ღვეზელი და ქმარმა უთხრა: „ამის გაკეთება ხომ ძალიან ადვილია“, ორივე შემთხვევაში ასეთი კომენტარები არ იქნება ცოლისთვის წამახალისებელი, რომ ღვეზელი კიდევ გამოაცხოს).

მაშ, როდის უნდა დააწყებინოთ ბავშვს წერა? იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაინტერესებულია და უნდა ამის გაკეთება და მუშაობა. ნებისმიერ დროს, როცა ბავშვი ეცდება, დაწეროს თავისი სახელი, ან ამჟღავნებს ნებისმიერი ასოს ან სიტყვის დაწერის სურვილს, გაუღვივეთ სურვილი. შეაქეთ, მიეცით წერის შესაძლებლობა და საბაზი. გამოიყენეთ ეს შანსი. მიეცით საშუალება, წეროს დაუნაზავ ქალაქზე. შეგიძლიათ დაეხმაროთ და აჩვენოთ, როგორ იწერება ესა თუ ის ასო ან სიტყვა და თუ სურვილი აქვს, მოგზადოთ. შეგიძლიათ წერტილი-წერტილთან თამაშით ასწავლოთ წერა, მისი სახელის ასოები გამოიყენოთ და წერტილების შეერთების შემდეგ თავის სახელს დაწერს. თანდათან ხაზებიან ქალაქზე დააწყებინეთ წერა.

თუ ფიქრობთ, რომ ბავშვს აქვს უნარი, დაიწყოს წერა (შეუძლია ფანქრის ხელში კარგად დაჭერა და იმიტაციით, კოპირებით ან სპონტანურად ხაზებისა და ნახატების გაკეთება) მაგრამ არ ამჟღავნებს ინიციატივას, წახალისეთ, დააწერინეთ თავისი სახელი ან სახელის პირველი ასო. ჩვეულებრივ პირველი ეტაპია კოპირება (თუმცა, თუ ბავშვი ცდილობს ან უნდა თვითონ დაწეროს, ეს ყველაზე კარგი დასაწყისია). დაეხმარეთ სურვილის გაღვივებაში, მიეცით ასოების კოპირების საბაზი. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ ფანქრით დაწეროთ მისი სახელი, მას მისცეთ ფლომასტერი (ფერი თვითონ აირჩიოს), რომ გააფერადოს თქვენი ნაწერი, უფრო ფერადოვანი გახადოს. იყავით კრეატიული და მოიფიქრეთ რაიმე ისეთი, რაც ბავშვს სტიმულს მისცემს.

„ახლა ასო „ო“-ს სცივა“

როდესაც ჯორდანი ცხრა წლის იყო, დედამისმა მითხრა, რომ ძალიან რთული იყო მისი მოტივირება, რომ საკუთარი სახელი გამოეწერა. ეს მისთვის ძნელი იყო და არ უნდოდა ამის გაკეთება. მის „სავარჯიშო ფურცელს“ წარმოადგენდა ქალაქზე წერტილებისგან შემდგარი ხაზებით ხუთჯერ დაწერილი სახელი *ჯორდანი*. მე მას ფლომასტერი მივეცი და ვუთხარი, რომ ჯორდანს სცივა და უნდა თბილი წითელი საბანი დააფარონ. მე ასო „ჯ“-ს ხმით (თქვენ უნდა მიხვდეთ, როგორი ხმით ლაპარაკი მოუხდება ასო „ჯ“-ს) ველაპარაკებოდი და ვეუბნებოდი: „ჯორდან, მცივა, დამაფარე რა საბანი“. ჯორდანმა სერიოზულად დაიწყო ასო „ჯ“-ს გამოყვანა. მე განვაგრძობდი „ჯ“-ს ნაცვლად ლაპარაკს: „დიდი მადლობა, ჯორდან, ახლა კარგად გვრძნობ თავს“. როდესაც ხაზი არასწორი მიმართულებით მიჰყავდა, ვამბობდი: „ბრრ“ და ის მაშინვე ასწორებდა შეცდომას. როდესაც „ჯ“-ს გამოყვანა დაასრულა და შემომხედა, მე ვუთხარი: „ახლა ასო ო-ს სცივა“. ჯორდანი განაგრძობდა ფურცელზე ხუთივე ჯორდანის ასოების გამოყვანას და ამბობდა, რომ ისინი კარგად გრძნობენ თავს. ასოების „გათბობა და გაბედნიერება“ ძალიან სახალისო საქმე იყო. ჯორდანს მიზანი ჰქონდა, რომ მათთვის თბილი საბანი დაეფარებინა. სწავლების პროცესში პატარა სიახლის შეტანას კარგი შედეგი მოაქვს.

წერის სწავლება

ეს ნიშნი არ არის წერის სწავლების სისტემატური პროგრამა

ხელნაწერი ასოებისა და ციფრების სწავლებისთვის განკუთვნილი სისტემატური მრავალმხრივი პროგრამა ამ წიგნში არ არის გათვალისწინებული (თუ ასეთი წიგნი დაგჭირდებათ, გირჩევთ ლინდა ბეტის წიგნს „პრაქტიკული ფანქარი“ (ხელმისაწვდომია EBSCO კურიკულუმის მასალებში). 1985 წელს, როდესაც ეს წიგნი გამოქვეყნდა, მისი ბეტმა მითხრა, რომ მან ეს წიგნი თავისი კლასის დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის დაწერა. ეს პროგრამა გათვალისწინებულია იმისათვის, რომ „ბავშვებმა წერა ისწავლონ

მაქსიმალური წარმატებითა და მინიმალური წარუმატებლობით“ ეს პროგრამა იწყება მარტივიდან, შემდეგ რთულდება და იმდენად საინტერესო პრაქტიკულ ინფორმაციასა და ტექნიკას მოიცავს, რომ ბავშვებს ძალიან მოსწონთ. ქალბატონი ბენტი გვირჩევს, რომ მოსწავლემ ამ პროგრამას (იგი თითოეული მოსწავლის ინდივიდუალიზაციას ისახავს მიზნად) ყოველდღე 10-15 წუთი დაუთმოს. პროგრამა მოიცავს უნარების შეფასების მექანიზმებს და წერის დაწყების წინ ჩასატარებელ აქტივობებსა და სავარჯიშოებს.

ფუნქციონალური წერა

წერის სისტემატური პროგრამა წერის შემსწავლელს შესანიშნავ საფუძველს აძლევს, რომლის დახმარებით ბავშვი „წერით ენას“ და ფანქრით ასოების წერის ყველა ტექნიკურ ასპექტს სწავლობს. ზოგიერთი ბავშვი ამ პროგრამას სწავლობს მანამ, სანამ სიტყვების (ფუნქციონალური გამოყენება) წერას დაიწყებს, ზოგი ჯერ პროგრამას სწავლობს და შემდეგ სიტყვების წერას; ზოგი კი ორივე ასპექტს ერთდროულად. ზოგიერთ მოსწავლეს, განსაკუთრებით უფროსი ასაკის ბავშვებს, ეს პროგრამა არ მოსწონს. მათ უნდათ სიტყვების წერაში წარმატებას მომენტალურად მიადწიონ (ეს ხდება იმ ბავშვებში, რომლებიც წერის წინა პერიოდის პროგრამას წლების განმავლობაში სწავლობენ და ვერ აითვისეს ის „კრიტიკულები“, რომლებიც წერაში წინსვლისთვისაა საჭირო).

ქალბატონი ბენტი აღნიშნავს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ასოების წერის სწორად სწავლება ისე, რომ მოსწავლეს არ ჩამოუყალიბდეს ცუდი ჩვევები, რომელთა გამოსწორება ძალიან რთულია. ახალგაზრდა შემსწავლელებს ყველაფრით დავეხმარები, რომ ასოების „სწორად“ წერა ისწავლონ და მცდელობისთვისაც შევაქებ. თუმცა, თუ ბავშვს არ უნდა შეთავაზებული მეთოდით წერა, არსებობს შანსი, წეროს ისე (ხაზებს შორის ასოების გამოყვანა), როგორც შეუძლია; ნუ დაუპირისპირდებით. ეს არასასიამოვნო სიტუაციას შექმნის და ბავშვის ყურადღება სწავლის ნაცვლად იმაზე გადაინაცვლებს, თუ ვინ „აჯობებს“. ასეთი კონფლიქტი წერას არასასიამოვნო დავალებად გადააქცევს (მოსწავლისთვისაც და მასწავლებლისთვისაც) და შესაძლოა, ბავშვს საერთოდ აღარ მოუნდეს წერა (ბავშვების უმეტესობა, ასე თუ ისე, მაინც „გაიმარჯვებს“ და ხანდახან ეს იმას ნიშნავს, რომ ის დავალების შესრულებაზე უარს იტყვის). თუ ბავშვის ნაწერის „წაკითხვა“ შესაძლებელია, ე. ი. „ფუნქციონალურია“ და ინფორმაციას გვაწვდის. ზოგიერთ საკითხზე შეთანხმება შესაძლებელია და ასოების წერა ერთ-ერთი მათგანია. აჩვენეთ ბავშვს, როგორ გააკეთოს ეს და მერე მიეცით არჩევანის საშუალება. „ახლა შენ იცი ასოების წერის ორივე ხერხი, აირჩიე, რომელიც გირჩევნია“. წერის შანსი არსებობს, თუ მოსწავლე ბევრს ივარჯიშებს წერაში, ყოველ შემთხვევაში, კლავიატურას მაინც გამოიყენებს.

წერის სწავლებისთვის საჭირო მასალები: შეიძინეთ შესაბამისი საწერი მასალა. ფანქარს უნდა ჰქონდეს საშლელი, რათა ბავშვმა შეცდომების გასწორება ისწავლოს. თუ ბავშვს ისეთი ფანქარი სჭირდება, რომლის პერიმეტრი უფრო დიდი და ხელში ადვილად დასაჭერია, შეუძინეთ ასეთი ფანქრები. პრაქტიკული სავარჯიშოების შესასრულებლად და სიახლისთვის კარგი იქნება დახაზული ცარცით სახატავი დაფა.

შეიძინეთ ან გააკეთეთ ანბანის მოდელი და დაკიდეთ კედელზე ან მერხზე ან საწერ ზედაპირზე, რომ ადვილად გამოსაყენებელი იყოს. კარგია, თუ თვალსაჩინოდ გამოფენილ ანბანზე ისრები ან ნიშნები ბავშვს აჩვენებს, სად დაიწყოს წერა და რომელი მიმართულებით განაგრძოს წერა, რომ ასო გამოიყვანოს. გამოიყენეთ ის შრიფტი, რაც სკოლაშია მიღებული, რათა სკოლასა და სახლში დაწერილი

ერთმანეთს შეესაბამებოდეს.


საიდან დაიწყეთ: გირჩევთ, რომ ბავშვმა ჯერ ისწავლოს თავისი სახელის წერა ან სახელის პირველი ასოს წერა, თუ სახელი გრძელია. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს უნდა წერა; სიტყვები, რომელსაც ის სწავლობს, უნდა იყოს მისთვის გასაგები და გამოსადეგი; ბავშვმა სიტყვა ისე უნდა დაწეროს, რომ ის იკითხებოდეს; მან უნდა გამოიყენოს წერა საურთიერთობოდ; როგორც მე-8 თავშია ნათქვამი, როდესაც ბავშვი შეძლებს თავისი სახელის წაკითხვას, შემდეგ დაიწყებს დაწერილი სიტყვით ურთიერთობას, ამ სიტყვის დაწერას მის მიერ შექმნილ ნამუშევრებზე, რომლის მეშვეობით მოგაწვდით ინფორმაციას, ეს ჩემია, „ეს მე გავაკეთე“ როდესაც ბავშვს შეუძლია სიტყვების დედა და მამა წაკითხვა, ის იწყებს იმ ადამიანების სახელების დაწერას, ვისთანაც ურთიერთობა აქვს, თავის ნამუშევრებს დააკრავს იმ ადამიანების სახელებს, ვისაც მათ უძღვნის (დედა, მამა, ბებია ა.შ.). როდესაც ბავშვს წერა აინტერესებს და ხაზების გარჩევა შეუძლია, თავისი სახელის წერას დაიწყებს და თავის ნამუშევარზე ხელის მოწერას შეძლებს. შემდეგ იმ სიტყვების წერას ისწავლის, რომლებსაც ხშირად იყენებს: დედა, მამა ა.შ. და აღარ იქნება სტიკერებზე დამოკიდებული.

წერის სწავლება შემდეგი თანამიმდევრობით ხდება: თავიდან სიტყვების (ან ასოების) კოპირება, შემდეგ ნიმუშიდან გადაწერა და ბოლოს დამოუკიდებლად, ნიმუშის გარეშე წერა. ჩვეულებრივ, წერას იწყებენ სამხაზიან ქალაღზე, ხოლო როცა ბავშვი ასოების სწორად წერას ისწავლის, სტანდარტული ხაზიანი ქალაღის გამოყენება შეიძლება.

ალაბასტივი: მნემონიკა. დამახსოვრების უნარის გაუმჯობესების ასოხიანი პიროლი

წერა რთულია და ბევრი რამის დამახსოვრებას მოითხოვს: პატარა, მრუდე, დახრილი ხაზების, წრეებისა და ჯვარედინი ხაზების. მოსწავლემ უნდა დაიმახსოვროს არა მარტო ასოს სახელი, რა ბგერას გამოსცემს ეს ასო, როგორი ფორმა აქვს თითოეულ ასოს, საიდან დაიწყოს და ხაზებს შორის როგორ მოათავსოს, არამედ როგორ შეცვალოს მოხაზულობა. მნემონიკა, რომელიც გამოსახულებების დამახსოვრებას ემყარება, მოსწავლეების უმეტესობას წერაში ეხმარება და ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის წარმატებისთვის აუცილებელია.

მნემონიკის გამოყენება ხაზებიან ქალაღზე: მნემონიკის საწერ ქალაღზე გამოყენება შეიძლება ბავშვს ძალიან დაეხმაროს. რამდენიმე წლის წინ ვნახე საწერი ქალაღი, რომელზეც ხაზები ფერის კოდით იყო გაკეთებული. ზედა მწვანე ხაზი, შუა ყვითელი ხაზი და ქვედა წითელი ხაზი. მარცხენა მხარეს, მინდორზე, შუქნიშანი იყო მწვანე შუქით ზედა ხაზისთვის, ყვითელი შუქი – შუა ხაზისთვის და წითელი – ქვედა ხაზისთვის. ფერთა ასეთი კოდირება ბავშვს ეხმარება იმის დამახსოვრებაში, თუ სად დაიწყოს რომელიმე ასოს წერა, ხოლო მასწავლებლისთვის ეს მეთოდი ბავშვთან ურთიერთობის საშუალებაა. მაგალითად, „ასო L რომ დაწეროთ, ასოს გამოყვანა დაიწყეთ მწვანე ხაზზე, გადადით ყვითელ ხაზზე და გაჩერდით წითელ ხაზზე“ მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი კომუნიკაციის კარგი საშუალებაა, ყოველთვის მაინც არ გამოდგება.



ჩემი აზრით, პატარა კაცუნა დამახსოვრების მშვენიერი მეთოდია (ნახატი 11.6). ეს პატარა ქულიანი კაცუნა დახატულია მარცხენა მინდორზე. ზედა ხაზი ემთხვევა ქულის ხაზს, შუა ხაზი ქამრის ხაზს და ქვედა ხაზი ფეხსაცმლის ხაზს. ბავშვს შეიძლება მითითება მივცეთ: „ასო „გ“ რომ დაწეროთ, დაიწყეთ ასოს წერა კაცუნას ქამრის ხაზზე და ხაზს ქვემოთ გააკეთეთ წრე, ისევე ქამრის ხაზთან ამოდით და მერე ხაზის ზემოთ ნახევარწრე გააკეთეთ (ანუ ასო გ-ს ზედა ნაწილი)“ როდესაც ბავშვი ასოს წერას იწყებს, შესაძლოა, ნიმუშად პატარა კაცუნა გამოიყენოს და განსაზღვროს, რომელი ხაზიდან დაიწყოს ასოს წერა (ქული, ქამარი, ფეხსაცმელი), საით მიმართოს ხაზი, სად გაჩერდეს და სად მოამრგვალოს.

ფანქრის ხელში დაჭერის მნემონიკა: ზოგიერთ ბავშვს ძალიან უჭირს დამახსოვრება, თუ როგორ დაიჭიროს ხელში ფანქარი. მნემონიკა ასეთ ბავშვებსაც ეხმარება.

ამ ძალღს რწყილები ჰყავს და წერის დროს უნდა დავარცხნოთ

როდესაც კლასში კონსულტაციებს ვატარებდი, შევნიშნე, რომ მასწავლებელი ხშირად ეუბნებოდა კარმენს, სწორად დაეჭირა ფანქარი. ვაკვირდებოდი კარმენს და ვხვდებოდი, როგორ უნდოდა ფანქრის ხელში სწორად დაჭერა. ის ძალიან მონდომებული იყო, ატრიალებდა ფანქარს და ცდილობდა, სხვადასხვანაირად დაჭერას, მაგრამ ვერ ახერხებდა. მასწავლებელმა ეს შენიშნა, მივიდა მასთან და დაეხმარა ფანქრის სწორად დაჭერაში. ცოტა ხანში კარმენმა ფანქარი ისევე არასწორად დაიჭირა და მასწავლებელი ისევე მითითებას აძლევდა და ეხმარებოდა (გინდ ერთხელ არგენე, გინდ ათასჯერ).

აშკარა იყო, რომ კარმენი ვერ იმასხოვრებდა, როგორ დაეჭირა ფანქარი ხელში. აუცილებელი იყო, რაიმე სახის/გამოსახულების შექმნა. კარმენს ხელზე სალოკ თითსა და ცერს შორის პატარა ძალი დავახატე და ვუთხარი, რომ ძალღს რწყილები ჰყავს და ძალიან უნდა, რომ წერის დროს კარმენმა მოფხანოს; მაშინ ძალი ძალიან კარგად იგრძნობს თავს (რა თქმა უნდა, ცოტა დრამატიზმი მოვიშველიე და ვუთხარი, რომ ძალღმა ასე თქვა: „კარმენ, ძალიან გთხოვ, მომფხანე, როცა წერას დაიწყებ; ეს ძალიან მიშველის“). როცა კარმენი ხელში ფანქარს აიღებდა, ფანქარი ძალღზე უნდა მოეთავსებინა და ამ ხერხით ფანქარს ხელში სწორად დაიჭერდა. რამდენიმე დღის განმავლობაში კარმენი ხელზე დახატული ძალღის დახმარებით სწავლობდა ფანქრის სწორად დაჭერას; ცოტა ხანში ძალღის ნახატი აღარ სჭირდებოდა, რადგან დაიმახსოვრა, როგორ დაეჭირა ფანქარი და ამას უკვე ავტომატურად აკეთებდა.

ასოების მიმართულების განსაზღვრისა და დიფერენცირებისათვის საჭირო მნემონიკა:

მოსწავლეების უმეტესობა უკუღმა აბრუნებს ასოებს და ერთმანეთში ერევა ასოები.³ ამ დროს მოსწავლეს ძალიან დაეხმარება ასოციაციის უნარი და გამოსახულება. მნემონიკა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის გამოცდილებასა და გაგების უნარს და თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალიზებული უნდა იყოს.

3 ქართულში ეს პრობლემა შეიძლება ახასიათებდეს შემდეგი ასო-ბგერების შესწავლის პროცესს: ხ და ძ, შ და წ.

ქვემოთ უცვლელად მოგვყავს წიგნის ავტორის გამოცდილება ინგლისური ანბანის ასოების აღრევასთან დაკავშირებით. აქვე განხილულია აღრევის შესაძლო ქართული მაგალითები.


მას უჭირს ასოების *b* და *d, p* წერა.



ნახატი 11.7

ახლაგაზრდა კაცი – სემი, უნივერსიტეტში კითხვისა და წერის გაკვეთილებზე დადიოდა, რადგანმანქანისტარებაუნდოდაესწავლა.ამიზნის მისაღწევად მას კარგი, ფუნქციონალური კითხვის სწავლა ესაჭიროებოდა. სემის რეპეტიტორმა მითხრა, რომ სემს ეშლებოდა ასოების *b*, *d* და *p* წერა. ის ვერ იმახსოვრებდა რომელი ასო როგორ იწერებოდა. სემისთვის ეს ასოები ერთი და იგივე იყო. რეპეტიტორს ვკითხე, სემი ამ ასოებზე დაწყებულ რომელ სიტყვებს კითხულობდა. მან მითხრა, რომ სემმა იცოდა სიტყვები – ძაღლი, ავტობუსი და ხალხი. მე მოვიშველიე მნემონიკა (იხ. ნახატი 11.7) და რეპეტიტორს ვუთხარი, რომ ასო *d*-ს დასამახსოვრებლად სემს გამოადგებოდა სიტყვა „ძაღლი“, რომელშიც ასო *d*-ს კუდიდან ძაღლი იყურებოდა, ასო *b*-ს დასამახსოვრებლად დახატული ავტობუსის წინა ნაწილში ჩაწერილი სიტყვა „ავტობუსი“, ასო *p*-ს დასამახსოვრებლად სიტყვა „ხალხი“, რომელშიც ასო *p* ადამიანის გაშლილი თმის ასოციაციას იწვევდა (იხ. ნახატი 11.7). ეს ნახატი დახატული იყო 3X5 ინდექსიან ბარათზე სპეციალურად სემისთვის. ამ მეთოდის დახმარებით მან ძალიან მალე დაიმახსოვრა გამოსახულებები და ბარათის გარეშე დაიწყო ასოების სწორად წერა.

რომელია ასო *M* და რომელია ასო *W*?




ნახატი 11.8

ჩემს შვილს ვოლტერს ერეოდა დიდი ასოები *M* და *W* და მეკითხებოდა, „რომელია ასო *M* და რომელია ასო *W*?“. დავუხატე მალაღი „დედა“, რომელიც მკლავით ეხებოდა თავისზე ბევრად დაბალ ბიჭს, რომელსაც მკლავები მალლა ჰქონდა აწეული. ვთხოვე, დაემახსოვრებინა, რომ ასო *M* აღნიშნავდა დედას და დედის მკლავები ჰგავდა ასო *M*-ს, რომლებიც ეხებოდა ვოლტერის მკლავებს. ასო *W* აღნიშნავდა ვოლტერს და მისი მკლავები ასო *W*-ს მსგავსად ზემოთ იყო აწეული და ეხებოდა დედის მკლავებს. ამით დამთავრდა მისი არევ-დარევა. (იხ. სურათი 11.8).

ეს მაგალითი სემინარზე გამოვიყენე და ერთ-ერთმა მონაწილემ მკითხა: „მაგრამ ყველა პატარა ბიჭს ხომ არ ჰქვია ვოლტერი?“ საქმე ის არის, რომ რეპეტიტორი თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალურ მნემონიკას შეიმუშავებს. ეს სამი მაგალითი შეგიძლიათ გამოიყენოთ, თუ თქვენ ბავშვსაც იგივე პრობლემები აქვს, მნემონიკა კი შემთხვევის მიხედვით განსაზღვროთ.

ქართულისთვის შესაფერისი მაგალითები:



ნახატი 11.9

კრეატიული
წერა:
დღიურები

დღიურები ელემენტარული კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილია. ისინი კითხვისა და წერის უნარების გასაფართოებლად გამოიყენება. საბავშვო ბაღის გაკვეთილებზე და პირველი კლასის დასაწყისში, სანამ მოსწავლეები წერას ისწავლიან, ისინი დღიურში „ნახატებით“ ხატავენ. ხატვის ეტაპზე ბავშვებმა უნდა დახატონ ნახატი, რომლის ირგვლივაც სურთ საუბარი ან ის, რაც დღის განმავლობაში გადახდათ თავს. გაკვეთილებზე, რომლებზეც მოსწავლეები „კვირის ასოს“ სწავლობენ (ხშირად მოსამზადებელ კლასებში

აქვთ კვირის ასო, დაწყებული ასო ა-დან, დამთავრებული ასო ჰ-თი, დაახლოებით 33 კვირა), მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, დახატონ ისეთი რამ, რაც იწყება იმ კვირის ასოზე. ხშირად არსებობს ნიმუშები – საგნები და საგნების ნახატები, რომლებიც იწყება ამ ასოზე; გაკვეთილის პროცესში ამ ასოს ეკრანზე აჩვენებენ და მოსწავლეები განიხილავენ და ვარჯიშობენ. როდესაც მოსწავლეები დაასრულებენ ნახატებს, მასწავლებელს უხსნიან, რა არის ეს, რატომ დახატეს და რას ნიშნავს ეს მათთვის. მასწავლებელი ნახატის ქვეშ მარტივ წინადადებას ბეჭდავს, ისე, რომ ბავშვმა შეძლოს წერის პროცესის ყურება. მაგალითად, თუ მოსწავლემ მასწავლებელს უთხრა, რომ კურდღელი დახატა, იმიტომ, რომ ეს სიტყვა ასო კ-ზე იწყება, მასწავლებელს ნახატის ქვეშ შეუძლია დაწეროს: „ასო კ აღნიშნავს კურდღელს“; ან თუ მოსწავლემ მასწავლებელს უთხრა, რომ მაუგლი დახატა, იმიტომ, რომ უყვარს „მაუგლის“ ტელევიზორში ყურება, მასწავლებელს შეუძლია დაფაზე დაწეროს: „მე ტელევიზორში ვუყურებ „მაუგლის““



ნახატი 11.10



ნახატი 11.11

თუ მოსწავლეებს მარტივი წინადადების დაფიდან გადაწერა შეუძლიათ, მასწავლებელმა შეიძლება მათთვის მარტივი „ღია“ წინადადება დაბეჭდოს, ბავშვებმა წინადადება ქალაქზე გადაწერონ (ისეთ ქალაქზე, რომლის

ზედა მხარეს დატოვებულია ადგილი ნახატისთვის და ქვემოთ ხაზები – წარწერისთვის) და თავიანთი გამოცდილების ამსახველი ნახატი დახატონ. მაგალითად, როდესაც ჩემი ქალიშვილი პირველ კლასში იყო, ერთხანს, ყოველ ორშაბათს მისი მასწავლებელი დაფაზე წერდა: „ამ შაბათ-კვირას ძალიან გავერთე“. მოსწავლეები იწერდნენ წინადადებას და ხატავდნენ ნახატს, რომელიც რაიმე გასართობს ასახავდა. ჩვენ მისი შაბათ-კვირის შესახებ არაჩვეულებრივი „დღიური“ გვექონდა. მისი ნახატების დათვალიერების დროს ძალიან ადვილი იყოს შაბათ-კვირის საინტერესო მომენტების განსაზღვრა. დროთა განმავლობაში ბავშვები შეძლებდნენ თავიანთი გამოცდილების ასახვას ნახატებით, მასწავლებლების დახმარებით ან მათ გარეშე.

დღიურის შედგენის სწავლების პროცესი ფანქრისა და ქაღალდის მეშვეობით საკუთარი თავის გამოხატვისა და პიროვნული ზრდის ეტაპია. თუ ბავშვს არა აქვს სკოლაში დღიურის შედგენის შესაძლებლობა, სახლში გააკეთებინეთ. ფაქტობრივად, ეს „ენობრივ გამოცდილებაზე აგებული მიდგომა“ უმეტესად დამყარებული უნდა იყოს ბავშვის დღიურზე, რომელსაც თქვენ წერდით მისთვის და ილუსტრაციებს უხატავდით; თუ ბავშვს თავისი იდეებისა და გამოცდილების ვერბალურად გადმოცემის უნარი აქვს, მაშინ ის გკარნახობთ და თქვენ წერთ.

თუ სკოლის პროგრამაში შეტანილია „დღიურის შედგენის ეტაპი“, მაშინ ამ პერიოდის სპეციფიკური მიზნები, ისევე როგორც დღის სხვა მონაკვეთებში მისალწვევი მიზნები, ინდივიდუალური შეფასების პროგრამაში უნდა ჩაიწეროს, რათა ბავშვმა შეძლოს წარმატების მიღწევა და განვითარება. ბავშვის დრო ძვირფასია და გონივრულ აქტივობებზე უნდა გადაწილდეს.

დედა, მითხარი, რა დავწერე

სანამ სკოლაში შევიდოდი, მახსოვს, როგორ მინდებოდა წერა, როცა დედა წერდა. ის მაძლევდა ხოლმე ფანქარსა და ქაღალდს და ვცდილობდი ჩემი ნაჯღაბნი მისი ნაწერისთვის მიმემსგავსებინა. ქაღალდს რომ გავავსებდი, მახსოვს, როგორ ვთხოვდი, წაეკითხა ჩემთვის ჩემივე დაწერილი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ შედეგრი შევქმენი და მაინტერესებდა, რა დავწერე.

მე წარმოდგენა არ მქონდა, რომ ნაწერის ავტორი იმ ინფორმაციის, იდეების ან შეგრძნების წერას იწყებს, რისი გამოხატვაც უნდა, ან რომ ქაღალდზე გამოსახული სიმბოლოები განსაკუთრებული და განსაკუთრებულად დაწყობილი უნდა იყოს, რათა ამ სიმბოლოებმა შეადგინონ სიტყვა, რომლის წაკითხვაც შესაძლებელი იქნება და რომელსაც აზრი ექნება. მე არ ვიცოდი კითხვა და წარმოდგენა არ მქონდა, რა იყო ეს.

მისი ქცევა დამაკმაყოფილებელია; დღიურის წერის დროს ის პრობლემებს არ ქმნის.

გეილი ინკლუზიურ პირველ კლასში იყო. დღიურის წერის ეტაპზე ის რაღაცას ჯღაბნიდა და ჩემსავით უაზრო სიმბოლოებს ხატავდა. გეილმა კითხვა არ იცოდა და დარწმუნებული ვიყავი, იცოდა, რომ ფაქტობრივად არაფერს წერდა დღიურში, მაგრამ თავს იკატუნებდა, ისე იქცეოდა, როგორც მისი თანატოლები. როცა ეს მასწავლებელს ვუთხარი, მიპასუხა: „მისი ქცევა დამაკმაყოფილებელია, დღიურის წერის დროს პრობლემებს არ ქმნის.“

დამაკმაყოფილებელი ქცევა არ არის საკმარისი; ალბათ, დღიურის წერის პერიოდში გეილის ინდივიდუალური შეფასების პროგრამას სოციალური მიზანი ჰქონდა – მჯდარიყო მერხთან, გამოეყენებინა ფანქარი და ქაღალდი და ისე

მოქცეულიყო, თითქოს დღიურში რაღაცას წერდა – დამაკმაყოფილებლად გამოიყურებოდა. თუ მხოლოდ ეს იყო საჭირო, მაშინ გეილმა მიზანს მიაღწია და ახალი მიზანი უნდა დაესახა. მაგრამ მას დღიურში წერა მართლა უნდა ესწავლა. როგორც ბოლოს მივხვდი, რამე რომ დაწერო, უპირველესად სათქმელი უნდა გქონდეს და შემდეგ ისწავლო, როგორ დაწერო.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები დღიურში ნახატების ხატვის ეტაპს რომ დაასრულებენ, შემდგომში ადაპტაციის მეშვეობით ქალაქდზე წერის უნარი უნდა განვუვითაროთ.

კარნახი: ადაპტაციის ყველაზე გავრცელებული მეთოდი, ალბათ, კარნახია. მოსწავლე მასწავლებელს კარნახობს, რისი დაწერაც უნდა, მასწავლებელი ხაზიან ქალაქდზე წერს ნაკარნახევს და შემდეგ მოსწავლე მას გადაიწერს (ან გამოწერს). თუ მოსწავლე კარგად ახერხებს აზრის გადმოცემას, მასწავლებელი იწერს, რასაც ის ამბობს და შემდეგ მოსწავლე მასწავლებლის დაწერილს გადაიწერს (ან გამოწერს). თუ მოსწავლის ლაპარაკის გაგება რთულია ან ის მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ამბობს, მასწავლებელი ეხმარება მარტივი წინადადებით აზრის გადმოცემაში. მაგალითად, როდესაც მოსწავლეს ეკითხებიან, რის შესახებ უნდა დაწეროს, და ის პასუხობს „ჯონი ბურთი“, მასწავლებელმა, შესაძლოა, დამატებითი კითხვა დაუსვას: „შენ და ჯონი ბურთს თამაშობდი?“; თუ მოსწავლე უპასუხებს, „დიახ“, მაშინ მასწავლებელმა შეიძლება ისევ ჰკითხო: „კარგად გაერთეთ?“; თუ პასუხი დადებითი იქნება, მასწავლებელს შეუძლია დაწეროს, „ჯონი და მე ბურთს ვთამაშობდით. კარგად გავერთეთ.“ თუ კითხვაზე, ის და ჯონი ბურთს თამაშობდნენ თუ არა, მოსწავლე უპასუხებს: „არა, დარტყმა“, მასწავლებელმა შეიძლება ჰკითხო, „ჯონიმ ბურთი მოგარტყა?“ და თუ პასუხი იქნება „კი“, მასწავლებელს ამჯერად შეუძლია ასეთი კითხვა დასვას: „გეტკინა?“; თუ მოსწავლე უპასუხებს, რომ ეტკინა, მასწავლებელი დაბეჭდავს: „ჯონიმ ბურთი მოგარტყა და მეტკინა.“ მასწავლებელმა ან ადამიანმა, რომელიც კარნახს იწერს, უნდა იზრუნოს, რომ დაწეროს ის, რისი თქმაც ბავშვს უნდოდა და დაწერილის სისწორე მოსწავლესთან გადაამოწმოს. შემდეგ მოსწავლე გადაიწერს (ან გამოწერს) მასწავლებლის დაწერილს, დღიურში ხელით ჩაწერს ან ჩაბეჭდავს.

(თუ მოსწავლე კარგად კარნახობს თანაკლასელს, რომელიც კარნახს იწერს, მათ შეუძლიათ ერთობლივად განაგრძონ მუშაობა. ეს უმთავრესად ზედა კლასებში ხდება ხოლმე. ეს თანაკლასელებისთვის კარნახის ჩაწერის კარგი პრაქტიკაა).

2. დღიურში გამოტოვებული ადგილების შევსება: შესაძლოა, დაიწეროს მარტივი, არასრული წინადადებები დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების შესახებ და ბავშვმა შეავსოს დატოვებული ადგილები. არსებობს ადაპტაციის სამი ეტაპი: (1) თუ ბავშვს სიტყვების გადაწერა არ შეუძლია, ის შემოხაზავს სწორ სიტყვას; (2) თუ ბავშვს სიტყვების გადაწერა შეუძლია, შემოხაზავს სწორ სიტყვას და მერე ჩაწერს; (3) თუ ბავშვს შეუძლია წერა და იცის სიტყვების მართლწერა (ან იცის, როგორ მონახოს სიტყვა), მაშინ ის ჩაწერს სიტყვებს (ამის გაკეთება კომპიუტერზეც შეიძლება).

დღიურში შესავსები წინადადებების მაგალითები:

დღეს მე სკოლაში მოვედი _____
 ავტობუსით მანქანით

დღეს არის _____
 ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი შაბათი კვირა

დღეს _____
 ცივა ცხელა ქარია ქარიშხალია წვიმს მზეა მოლრუბლულია თოვს

დღეს კითხვაში გვექონდა _____
 მოთხრობა

საყვარელ ცხოველებზე წითელ ჩიტზე სიურპრიზზე კატაზე
 დასვენებაზე ვთამაშობდი _____

ანასთან დავითთან მარტასთან ჯონათანთან სემთან ელენესთან
 სადილად მქონდა _____

სუპი პიცა ჰამბურგერი სენდვიჩი შემწვარი კარტოფილი ლობიო წვინი

თემები წერისთვის: მოსწავლეს რომ დაეხმაროთ წერის დაწყებაში, მიეცით საწერი თემები. იქონიეთ თემების ჩამონათვალი. მოსწავლემ შეიძლება შემოხაზოს ის თემა, რომელსაც დაწერს. მიეცით რამდენიმე წინადადება თემის ირგვლივ:

თემები, რომელთა შესახებ შემიძლია დავწერო:

1. ამინდი
2. რა მოხდა დღეს კლასში (სკოლაში, ბიბლიოთეკაში, დასვენებაზე)
3. რა გვექონდა სადილად
4. ამხანაგები
5. გრძნობები – როგორ ვგრძნობ თავს
6. რა მოხდა სახლში
7. რა მოხდა შაბათ-კვირას
8. ტელეგადაცემა
9. კინოფილმი
10. მუსიკა, რომელიც მომწონს
11. სპორტი
12. მოთხრობა

**ალტერნატიული
 ბავშვებისთვის,
 რომელთაც
 ნარკოტიკი**

თუ ბავშვს არა აქვს ასობის წერის უნარი, ბეზრდება, იმედეგაცრუებულია და უარს ამბობს წერაზე და ძალიან რთულია მისი მოტივირება წერისათვის, ეცადეთ, ასწავლოთ კლავიატურის ან საბეჭდი მანქანის, კომპიუტერის ან ნებისმიერი ელექტრონული საწერი სისტემის გამოყენება, რომელიც მისთვის მისაღებია. ჩვენ ვიწყებთ კლავიატურით და წარმატება გარანტირებული რომ იყოს, ერთი ან ორი თითით ბეჭდვის მეთოდით ვასწავლით სახელის წერას, ასობის დასახელებას და მარტივი მესიჯების წერას.

არსებობს კომპიუტერული პროგრამები, რომელთა დახმარებით შესაძლებელია კლავიატურაზე ტექსტის აკრეფის შესწავლა, რაც ამ უნარის განვითარებისათვის ძალიან გამოსადეგია. თუ თქვენი ბავშვი წარმატებით იყენებს ერთი ან ორი თითით ბეჭდვის მეთოდს, განაგრძეთ ამ მეთოდით სწავლება. თქვენთვის მთავარია, ბავშვმა წერის მეშვეობით კომუნიკაცია შეძლოს; ტექნიკურად რომელი მეთოდის დახმარებით მოახერხებს ამას, უკვე მეორეხარისხოვანია.

რასაკვირველია, ბავშვებს, რომლებსაც შეუძლიათ წერა ან რომლებსაც შეუძლიათ და უნდათ წერის უნარების განვითარებაზე მუშაობა, კლავიატურის შესწავლის შესაძლებლობაც უნდა მიეცეთ; არ უნდა შეგუზღუდოთ ამ ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელით წერენ. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველდღიურად ხელით წერის გამო ეს ბავშვები განაგრძობენ ხელით წერის უნარის განვითარებას; მაშინ როცა ბავშვები, რომლებსაც ხელით წერა უჭირთ, ფანქრისა და ქალაღის ნაცვლად, კომპიუტერს ან საბეჭდ მანქანას იყენებენ. ეს ბავშვები ასაკის მატებასთან ერთად წერის სწავლასაც შეძლებენ. პირადად მე მივცემდი მათ სწავლის შესაძლებლობას, იმ შემთხვევაშიც კი, მარტო თავიანთ სახელს ან რამდენიმე სიტყვას რომ წერდნენ, რადგან ამ სიტყვების დაწერა შეიძლება ხშირად დასჭირდეთ. წერის ცოდნა ძალიან გამოსადეგი უნარია და ადამიანს დამოუკიდებლობას ანიჭებს.

მართლწერა

შესავალი

ბავშვმა რომ ასოებით სიტყვა შეადგინოს, უნდა იცოდეს ასოების სახელები და უნდა შეეძლოს კონკრეტული ასოების თანამიმდევრობით დაწყობა. ამ სახით ინფორმაციის გადმოცემა შესაძლებელია შემდეგი მეთოდით: 1. სიტყვის დამარცხვა („კ-ა-ტ-ა შეადგენს სიტყვა კატას“); 2. სიტყვის დაწერა (საწერ ზედაპირზე); 3. ასოების სწორი თანამიმდევრობით დალაგება (გამოჭრილი პლასტიკის ასოები, ფირფიტაზე დაკრული ასოები, მაგნიტური ასოები, მუყაოზე დაკრული ასოები, ა.შ.) და 4. კლავიატურის გამოყენება.

რადგან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის წერა რთულია, მართლწერის შესასწავლად წერის გამოყენებამ შესაძლოა ასოებით სიტყვების შედგენის სწავლას ხელი შეუშალოს. ასოების წერა იმდენ დროს წაიღებს და ისეთ კონცენტრაციას მოითხოვს, რომ ამ პროცესში ასოების თანამიმდევრობის სწავლის შესაძლებლობა დაიკარგება (რა თქმა უნდა, ბავშვი დაწერს სიტყვებს მაშინ, როცა ასოების დასახელებას ისწავლის). ზეპირი პრაქტიკა, თუმცა ის გამოსადეგი შეიძლება იყოს, არ უნდა წარმოადგენდეს ამის ერთადერთ საშუალებას. ბავშვს უნდა ჰქონდეს საშუალება, შეხედოს სიტყვას (ასო-ასო სიტყვის წარმოთქმა მაშინ გვჭირდება, როცა სხვამ გვინდა, რომ მოისმინოს; იმისათვის, რომ მართლწერა ისწავლოს, ბავშვმა ჯერ სიტყვა უნდა დაწეროს. გახსოვდეთ, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმეტესობა ვიზუალურად სწავლობს.) მნიშვნელოვანია ასოებით სიტყვების შედგენის (ათვისება, პრაქტიკაში გამოყენება, გადმოცემა და განზოგადება) პროცესში ეფექტური მეთოდების გამოყენება, რაც ბავშვს წარმატების მიღწევაში დაეხმარება. ამ მეთოდების გამოყენება დამოკიდებულია ბავშვის წერის უნარსა და ალჭურვილობის ხელმისაწვდომობაზე: ბავშვი თავისუფლად წერს? აქვს კლავიატურა, პლასტიკის ასოები, ფირფიტაზე დაკრული ასოები?

**წერის უნარის
გაძლიერების
სინდრომის
გაძლიერების
აღაპიანება**

კითხვასა და წერაში ასოებით სიტყვების შედგენის შესწავლის ფართო არჩევანი არსებობს. მე არაა მაქვს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მართლწერასთან დაკავშირებული ოფიციალური მონაცემები. მშობლებისა და მასწავლებლების არაფორმალური ინფორმაციის მიხედვით, მართლწერა კითხვასთან შეთავსებადია. ის, ვინც კარგად კითხულობს, კარგადაც წერს, თუმცა, ყოველთვის ასე არ ხდება. ზოგიერთი ბავშვი კარგად კითხულობს, მაგრამ კარგად ვერ წერს (მაგრამ მე ასეთი შემთხვევა არ მქონია).

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებისაგან დაჟინებით არ მოვითხოვთ სტანდარტული მართლწერის წესების დაცვა. უნდა ვისწავლოთ, როგორც მათ გაუმართავ არტიკულაციასთან, ასევე მათ გაუმართავ მართლწერასთან

ადაპტირება. მეტყველებაში დაშვებული შეცდომების მუდმივად გასწორებამ ბავშვს შესაძლოა ლაპარაკის სურვილი დაუკარგოს. მართლწერაში დაშვებული შეცდომების გასწორებამ კი წერის სურვილი გაუქროს. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ბავშვის კიდევ ერთ წარუმატებლობაზე, ნაცვლად იმისა, რომ შევაქოთ მიღწევებისათვის. რასაკვირველია, ჩვენი სურვილია, ბავშვმა ძალიან კარგად ილაპარაკოს და წეროს და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მივცეთ იყოს საუკეთესო. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა პრობლემის გამო, ეს მისი შესაძლებლობის მაქსიმუმია. თუ ვაკრიტიკებთ ბავშვის მცდელობას, რომ წერის მეშვეობით გამოხატოს თავისი აზრები, ვდგებით იმ რისკის წინაშე, რომ მან საერთოდ უარი თქვას წერაზე. ჩვენ ხომ გვინდა, რომ ბავშვს ფუნქციონალური წერის უნარი მაინც ჰქონდეს და მისი ფონეტიკური მართლწერა შესაძლოა მისთვის სწორედაც ფუნქციონალური იყოს. როდესაც ის წერს სიტყვას, რომლის წაკითხვაც თქვენ არ შეგიძლიათ, თქვენ გექმნებათ პრობლემა. შეგიძლიათ უთხრათ, რომ ეს თქვენი პრობლემაა და სთხოვოთ, „ამ სიტყვის წაკითხვაში დახმარება მჭირდება. დამეხმარე, თუ შეგიძლია.“

აარონი მესამე იყო ორივე პარტიაში

აარონის მამამ ასეთი ამბავი მიაგმო: აარონი „ბატისფეხური კროსვორდის“ ორი პარტია ეთამაშა მამამისს, ვაშინგტონის უნივერსიტეტის გენეტიკის პროფესორს და მამამისის მეგობარს, გენეტიკის პროფესორს ავსტრალიიდან, ინგლისელ ემიგრანტს, სამეფო საზოგადოების წევრს. პირველი პარტია ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორმა მოუგო ავსტრალიიდან ჩამოსულ პროფესორს, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა და მეორე პარტია ავსტრალიიდან ჩამოსულმა პროფესორმა მოუგო ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორს, ამჯერად მეორე ადგილზე გასულს. ორივე პარტიაში აარონი მესამე თანასწორი მოწინააღმდეგე იყო. აარონის მამამ მითხრა, რომ მისი მეგობარი გაოგნებული იყო აარონის თამაშით, რომელმაც თანაბარი წინააღმდეგობა გაუწია ორივე მათგანს. მეც გაკვირვებული ვიყავი. მაგრამ აარონმა ჩემზე უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, იმიტომ, რომ ის ოთხი წლის იყო და სიტყვებს ისე სწრაფად სწავლობდა, რომ დოქტორ სიუსის ადრეულ მკითხველთა ჯგუფში ჩავსვით, რადგან ჩვენ ვერ ვახერხებდით მისთვის შესაფერისი მასალის შედგენას.

(აარონის მამამ ისიც გვითხრა, რომ აარონმა მას რამდენჯერმე მოუგო. სიტყვების მარტივად დამახსოვრების გარდა, აარონი ტაქტიკურ ნიჭსაც ამჟღავნებდა.)

მართლწერის სწავლება

საიდან დაიწყო?

ბავშვების უმეტესობისთვის პირველი სიტყვა, რომლის კითხვასა და წერას სწავლობენ, არის სახელი. პირველი სიტყვა, რომლის ასოებით წარმოთქმასაც ბავშვების უმეტესობა სწავლობს, არის სახელი, თუ სახელი არ არის ძალიან გრძელი და რთული. ბავშვს იმიტომ უნდა შეეძლოს თავისი სახელის ასოებით წარმოთქმა, რომ შემდეგ სახელის დამოუკიდებლად დაწერა შეძლოს, იმ შემთხვევაშიც, თუ არა აქვს ასოების ვიზუალური აღქმისა და „გადმოხატვის“ უნარი, თუნდაც არ იცოდეს ასოების დასახელება. საკუთარი სახელის წერა განსხვავდება სირთულის მიხედვით და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გრძელია სახელი და ასევე როგორი მესხიერება აქვს ბავშვს. თუ ბავშვს გრძელი სახელი აქვს და არ შეუძლია სახელის დამახსოვრება, შეიძლება სახელის

შემოკლება გახდეს საჭირო, რათა ბავშვმა დამოუკიდებლად შეძლოს მისი დაწერა. ზოგიერთ შემთხვევაში, ხელმოწერა შესაძლოა შემოკლდეს და მხოლოდ ინიციალებით გაკეთდეს. ან თუ სახელი წარმოსათქმელად ძნელია და გვარი ადვილი, დააწერინეთ სახელის პირველი ასო და გვარი. ალექსანდრე გუნიამ თავისი სახელი პირველად შეუძლია ასე დაწეროს: ა. გუნია.

სკოლაში კონსულტაციების დროს ერთ-ერთმა მასწავლებელმა მკითხა: „რა მოვუხერხო ჯოზეფს? ბოლო სამი წლის განმავლობაში ინდივიდუალური შეფასების პროგრამაში მისი ერთ-ერთი შესასრულებელი ამოცანა საკუთარი სახელის დაწერაა, რაც უშედეგოდ მთავრდება. სახელის გადაწერა და გამოწერა შეუძლია, მაგრამ ნიმუშის გარეშე იბნევა და ვერ წერს.“ მასწავლებელს ვკითხე, ჯოზეფს ასო-ასო თუ შეეძლო სახელის დაწერა, რაზეც უარყოფითი პასუხი მივიღე. მას არ შეეძლო კითხვა და არ იცოდა ანბანი. მასწავლებელს ეგონა, რომ ჯოზეფი სახელის წერას გადაწერითა და გამოწერით ისწავლიდა.

ცხრა წლის ასაკში ჯოზეფს არ ჰქონდა საფუძველი, რომ ასო-ასო დაეწერა თავისი სახელი. მან არ იცოდა ანბანი, სიტყვების ასოებით წერის „ენა“ მან არ იცოდა სიმბოლოების დამახსოვრების მეთოდი, როგორ დაეწერა და როგორი თანამიმდევრობით დაელაგებინა ისინი ისე, რომ სიტყვა შეედგინა, და მისგან მაინც მოელოდნენ, რომ სახელის წერას ისწავლიდა.

ჩემი პირველი რჩევა იყო დავალების გამარტივების მიზნით მისი სახელი შეემოკლებინათ. იქნებ როგორმე მოეხერხებინა და „ჯო“ დაეწერა. მასწავლებელმა მითხრა, რომ მის მშობლებს არ უნდოდათ, ჯოზეფისთვის შემოკლებული სახელი „ჯო“ დაეძახათ. მაშინ შევთავაზე, იქნებ ინიციალების ჯ. ტ. გამოყენება ესწავლებინათ. ეს უფრო ადვილი იქნებოდა. ჩვენ შეგვეძლო მწემონიკის გამოყენება და მას პრობლემა აღარ შეექმნებოდა. მასწავლებელი დამთანხმდა ამ კომპრომისზე.

ამჟამად ჯოზეფს ის მაინც შეუძლია, რომ თავის ნივთებსა და ნამუშევრებზე შემოკლებული სახით მოაწეროს ხელი. ამ პრობლემის სხვაგვარად გადაწყვეტაც შეიძლებოდა: ჯოზეფისთვის სახელის იდენტიფიცირების (ID) სამაჯური გაეკეთებინათ და იქიდან გადაეწერა სახელი, ან მისი სახელის წარწერით რეზინის ბეჭედი მიეცათ. ყოველ ჯერზე სახელის გადაწერის პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ გადაწერა დიდ დროს წაართმევდა და მისთვის ძნელად შესასრულებელი დავალება იქნებოდა. ეჭვი მეპარება, რომ მუდმივად ხალისით ეკეთებინა ეს საქმე. მისი სახელის წარწერით ბეჭდის პრობლემა კი ის იქნებოდა, რომ ბეჭედი და მელნიანი ბალიში თან უნდა ჰქონოდა ნებისმიერ დროს, როცა სახელის დაწერა დასჭირდებოდა. ყველაზე მეტად მიზანშეწონილი მისთვის, ალბათ, ინიციალების წერაა. ეს მეთოდი ფუნქციონალურია, თუ მას წარმატებით შეასრულებს, ინდივიდუალური შეფასების პროგრამის ახალ მიზანსაც მიაღწევს.

ასწავლით ბავშვს საკუთარი სახელის წერა

თუ ბავშვს არ ესაჭიროება ზედმიწევნით პროგრამის მიხედვით სწავლება, როგორც ყოველთვის, შეგიძლიათ გამოტოვოთ ზოგიერთი საფეხური და ადაპტირება მოახდინოთ, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მე მაინც „სრულ“ პროგრამას გთავაზობთ.

მასალები:


აიღეთ 8X10 სმ ზომის ბარათები, ბავშვის სახელში ასოების რაოდენობაზე

ერთით მეტი (სახელი გიგა-ს შემთხვევაში დაგჭირდებათ ხუთი ბარათი); ინდივიდუალური ანბანის ასოები (ის ასოები, რომლებიც მის სახელშია – გიგა) გამოჭრილი ასოების გამოყენება უფრო მოსახერხებელია ბავშვისთვის.

შეიძლება მაგნიტური ასოების გამოყენება, რომლებსაც ბავშვები მაცივარზე აკრავენ ხოლმე.

როგორ გააკეთოთ:

თუ 8X10 სმ ბარათებსა და პლასტმასის გამოჭრილ ასოებს იყენებთ, აიღეთ ასოები და ბარათზე ისე მიაკარით, რომ ბავშვის სახელი შეადგინოთ.



მეორე ბარათზე ხაზი გაავლეთ, რომელზეც სახელის პირველი ასო დაიწერება და შემდეგ დანარჩენი ასოები გამოიწერება. ყოველ შემდეგ ბარათს დაამატეთ ერთი გამოტოვებული ადგილი შემდეგი ასოსთვის და გამოწერეთ დანარჩენი ასოები. მაგალითად, პირველ ბარათზე გამოიწერება გიგა, მეორეზე – იგა, მესამეზე, - - გა, მეოთხეზე ---ა და მეხუთე - - - . დანომრეთ ბარათები (იხ. გამოსახულება 11.12).

არსებობს სხვა მეთოდებიც, მაგრამ ზემოთ აღწერილი მეთოდი ბავშვისთვის ასათვისებლად უფრო ადვილია.

აქტივობები:

ნახატი 11.12

საფეხური: მიეცით ბავშვს ბარათი ზედ მისი სახელით (#1 ბარათი). ბავშვმა უნდა წაიკითხოს თავისი სახელი, ასე რომ, სთხოვეთ, წაიკითხოს. მან ასევე უნდა იცოდეს თავის სახელში არსებული ასოების სახელები, ამიტომ წაკითხვის შემდეგ ასო-ასო წარმოთქვით ასოები ბავშვთან ერთად. უთხარით ბავშვს, „დიახ, ეს არის გიგა. თქვი: გიგა.“ ხელით აჩვენეთ ყოველი ასო, რომელსაც წარმოთქვამთ. შემდეგ მიეცით გამოჭრილი ასოები და აჩვენეთ, როგორ დააწყვილოს ისინი თავისი სახელის ასოებთან. ასოები სათითაოდ მიეცით და ყოველ ჯერზე უთხარით: „ეს არის სახელი გიგას პირველი ასო გ“ (გამოთქვით ასო-ბგერა). დაადეთ გამოჭრილი ასო გ ბარათზე დაბეჭდილი სახელის პირველ ასოს. ამის შემდეგ უთხარით, „ეს არის ასო ი. დაადეთ ი სახელი გიგას მეორე ასო ი-ს“. შემდეგ მიეცით ისევ გამოჭრილი ასო გ და გაიმეორეთ იგივე პროცედურა. ყველა ასოს დაწყვილების შემდეგ ბავშვს უთხარით, „ნახე, შენ დაწერე შენი სახელი. გ-ი-გ-ა, გიგა. შენ დაალაგე ასოები და დაწერე შენი სახელი. ეს არის მართლწერა. შენ შეგიძლია სახელის წაკითხვა და ასო-ასო წარმოთქმა (ხაზგასმით აღნიშნეთ, რა ჰქვია ამას, რათა სიტყვის შესახებ საერთო წარმოდგენის გარდა, ბავშვის ლექსიკას ახალი სიტყვა დაემატოს).

შეეცადეთ, ყოველ საფეხურზე ყურადღება გაამახვილოთ ბგერებზე, რათა ბავშვმა წერის დროს ფონეტიკის გამოყენება შეძლოს).

II საფეხური: აიღეთ ბარათზე დაწყობილი ასოები და აურიეთ (ან ბავშვს სთხოვეთ ამის გაკეთება) და შემდეგ სთხოვეთ მას, ასოები თვითონ წარმოთქვას და დააწყვილოს. მიეცით შესაძლებლობა, მოისმინოს წარმოთქმა და შემდეგ თვითონ წარმოთქვას. ეს არის ვარჯიში. ბავშვმა უნდა შეხედოს ნაწერს, ასოების წარმოთქმა შეძლოს, წარმოთქმა მოისმინოს, სწორი თანამიმდევრობით დაასახელოს ასოები.

III საფეხური: მიეცით ბავშვს #2 ბარათი და უთხარით: „ნახე, რაღაც აკლია. ეს რეზუსივითაა. გამოიცანი. რომელი ასო აკლია? რომელი ასოთი იწყება გიგა?“ თუ ბავშვი ვერ გიპასუხებთ, ან ვერ ამოარჩევს ასო გ-ს და ვერ დადებს ცარიელ ადგილზე, აჩვენეთ #1 ბარათი და უთხარით: „შეხედე ამ ბარათს და ნახე რა არის პირველი ასო?“; დაეხმარეთ, თუ საჭიროა. ასო გ-ს თავის ადგილზე დადების შემდეგ, სხვა ასოები დააწყვილებინეთ. როდესაც დაუხმარებლად შეძლებს ყველა ასოს დადებას, გადადით შემდეგ საფეხურზე (გახსოვდეთ, რომ ყოველ საფეხურზე საჭიროა ვარჯიში, დანახვა, მოსმენა, წარმოთქმა).

IV საფეხური: მიეცით ბავშვს #3 ბარათი და უთხარით: „შეხედე, ეს მართლა ძალიან ძნელია. ორი ასო გვაქვს მოსაძებნი. აქ რომელი ასო უნდა იყოს? (ხელით აჩვენეთ ასო გ-ს ადგილი). და აქ რომელი ასო უნდა იყოს?“ (ხელით აჩვენეთ ასო ა-ს ადგილი). თუ ბავშვს უჭირს ასოების თავის ადგილზე ჩასმა (აჩვენეთ ნიმუში #1 ბარათზე). როდესაც ის შეძლებს გამოტოვებული ადგილების შევსებას და დანარჩენი ასოების დაუხმარებლად დაწყვილებას, შემდეგ საფეხურზე გადადით.

(როგორც ადრე აღვნიშნე, მე მიყვარს ბავშვისთვის იმის თქმა, რომ ეს ძნელია, მაგრამ მას შეუძლია ამის გაკეთება. თუ კარგად გააკეთებს, ე. ი. მან შეძლო იმის გაკეთება, რაც ძნელია. ეს ნამდვილი წარმატებაა. თუ შეცდომას დაუშვებს, არა უშავს, ეს ხომ ძალიან ძნელია. მას შეუძლია ხელახლა სცადოს და დახმარებაც ითხოვოს, თუ საჭიროა).

V საფეხური: აჩვენეთ ბავშვს თითოეული ბარათი თანამიმდევრობით და გაიმეორეთ იგივე, რაც IV საფეხურზეა აღწერილი, მანამ, სანამ ბავშვი არ შეძლებს თავისი სახელის დაწერას და გამოტოვებული ადგილების დამოუკიდებლად შევსებას ასოების თანამიმდევრობით დალაგების მეშვეობით. ამის შემდეგ გადადით VI საფეხურზე.

VI საფეხური: დავალება უფრო რომ გავართულოთ, შეგიძლიათ ბავშვის სახელში არსებულ ასოებს სხვა ასოებიც დაუმატოთ (ყურადღების გადამატანი). აურიეთ ასოები და მინიშნება მიეცით ბავშვს: „ახლა ამოარჩიე სწორი ასოები და დაწერე სახელი გიგა“. ბავშვი ამოარჩევს სწორ ასოებს და დაალაგებს მათ სწორი თანამიმდევრობით ცარიელ ადგილებზე. როდესაც ბავშვი ამის დამოუკიდებლად გაკეთებას შეძლებს, გადადით VII საფეხურზე.

VII საფეხური: მიეცით ბავშვს სახელის შემადგენელი ასოები და დამატებითი ასოები (როგორც VI საფეხურზე), მაგრამ არ მისცეთ ბარათი გამოტოვებული ადგილებით (დამხმარე ბარათი). უთხარით მას, „დაწერე შენი სახელი აქ, მაგიდაზე“. თუ ბავშვი ვერ გაიგებს, ნიმუში აჩვენეთ. როდესაც ამის დამოუკიდებლად გაკეთებას შეძლებს, ბავშვი დამხმარე ბარათის გარეშე სახელს დაწერს (დამხმარე ბარათი ბავშვს კარნახობს, რამდენი ასო გამოიყენოს).

თქვენ ნახავთ, როგორი უპირატესობა აქვს მოკლე, მარტივ სახელს. თუ ბავშვს გრძელი სახელი აქვს და წერა უჭირს, შეიბრალებთ და შეამოკლეთ სახელი. ელისაბედს, სტეფანეს, და ალექსანდრეს დიდი დრო დასჭირდებათ სახელის წერის შესასწავლად.

სახელის წერის სწავლებისათვის საჭირო ზემოთ აღნიშნული აქტივობები მასწავლებელს უზრუნველყოფს მეთოდით, რომელიც ზედმიწევნით ახლოს არის იმ ბავშვებთან, ვისაც სჭირდებათ ამ საფეხურების გავლა. თუ ბავშვი ყველა საფეხურს გაივლის, ეს მეთოდი, შესაძლოა, ნებისმიერი სიტყვის დაწერის შესასწავლად გამოიყენოთ. ვფიქრობ, უმჯობესია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმეტესობას პირველი რამდენიმე სიტყვა ამ მეთოდით ვასწავლოთ, რადგან ის გათვლილია წარმატებაზე და ბავშვები წერის სწავლას დაიწყებენ იმ შეგრძნებით, რომ წერა არის ისეთი რამ, რაშიც მათ წარმატების მიღწევა შეუძლიათ (განსხვავებით ჯოზეფისაგან, ვისგანაც მოელოდნენ, რომ წერას ისწავლიდა, მაშინ როცა ბავშვს წარმოადგენდა კი არ ჰქონდა, რა იყო წერა). ასევე, ეს მეთოდი თქვენ მიგახვედრებთ, როგორ დაგეგმოთ თქვენი ბავშვისთვის წერის სწავლების პროცესი.

სწავლების სხვა მეთოდები

გადაწერა-ნიმუშის დახურვა-დაწერა-შედარება-გასწორება: ალბათ, წერის შესწავლის ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდია გადაწერა ნიმუშიდან და შემდეგ იმავეს დაწერა ნიმუშის გარეშე, ანუ, ბავშვი სიტყვას გადაიწერს, შემდეგ ნიმუშს დახურავს და სიტყვას დამოუკიდებლად დაწერს; დაწერილ სიტყვას ნიმუშს შეადარებს და თუ შეცდომით დაწერა, გაასწორებს; მერე ნიმუშს დახურავს და სიტყვას ხელახლა დაწერს. ეს მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც არა აქვთ პლასტიკის ასოებისა და კლავიატურის მეშვეობით წერის გამოცდილება. ბავშვი პლასტიკის ასოების გამოყენებით ნიმუშიდან სიტყვას „გადაიწერს“. შემდეგ ნიმუშს დახურავს და ასოებს აურევს. ბავშვი ასოებს დაალაგებს, სიტყვას შეადგენს, ნიმუშს შეადარებს და თუ შეცდომით დაწერა, შეასწორებს. ამის შემდეგ სხვა ასოებიც შეიძლება დავუმატოთ. ბავშვი ასოებს ამოარჩევს და თანამიმდევრობით დაალაგებს, დაწერილ სიტყვას ნიმუშს შეადარებს. თუ ბავშვს უჭირს სიტყვის ნიმუშის გარეშე დაწერა, შეიძლება ნიმუში-სიტყვის ნაწილი დაფაროთ (ჯერ პირველი ასო, მერე პირველი ორი ასო და ასე შემდეგ, სანამ ბავშვი ნიმუშის გარეშე არ შეძლებს სიტყვის დაწერას).

ყოველი მეთოდის გამოყენებისას ყურადღება გაამახვილეთ ასო-ბგერებზე, რათა ბავშვმა წერის დროს ბგერებიც გამოიყენოს.

გამოიყენეთ მაგნიტოფონი: ინტეგრირებული კლასების მოსწავლეებთან მაგნიტოფონის გამოყენება ადაპტაციის კარგი მეთოდია. მასწავლებელს მაგნიტოფონზე ჩაწერილი აქვს სიტყვები, რომლებზეც ბავშვმა უნდა ივარჯიშოს. ყურსასმენის მეშვეობით ბავშვი სიტყვებს მოისმენს და წერს ან ხელით, ან პლასტიკის ასოებით, ან კლავიატურის გამოყენებით. იმისათვის, რომ განისაზღვროს მუშაობის ტემპი, მასწავლებელი მაგნიტოფონის გამოყენებით ბავშვებთან გაკვეთილს შემდეგნაირად ჩაატარებს: „წარმოთქვით სიტყვა დილა, დ-ი-ლ-ა (წარმოთქვით ისე, რომ ბავშვმა მოისმინოს ასოების დინება), დილა. ახლა თქვენ წარმოთქვით: დ - (მიეცით ბავშვს დრო, რომ დაწეროს ასო, ამოარჩიოს პლასტიკის ასო ან მოძებნოს ასო კლავიატურაზე) -ი-ლ-ა. სწორია? დაწერეთ დ-ი-ლ-ა? მოდი, ხელახლა დავწეროთ: დ-ი-ლ-ა.“ ახლა დააფარეთ რამე თქვენ მიერ დაწერილ სიტყვებს და თავიდან დაწერეთ სიტყვა ისე, რომ არ შეხედოთ მანამდე დაწერილ სიტყვას. მაგნიტოფონზე შეგიძლიათ ჩაწეროთ ის სიტყვები, რომლებზეც ბავშვი ვარჯიშობს (დაახლოებით ხუთი სიტყვა) და რამდენიმე დღის განმავლობაში ავარჯიშოთ. როდესაც ბავშვი ამ სიტყვებს კარგად აითვისებს, შეგიძლიათ წაშალოთ და ახალი სიტყვები ჩაწეროთ.

**მართლწერის
გაუმჯობესების
თავაზები**

გამოყენეთ კომპიუტერული პროგრამა: არსებობს წერის ბევრნაირი პროგრამა, რაც საშუალებას მოგცემთ, ამოირჩიოთ ის სიტყვები, რომლების წერაც უნდა ასწავლოთ. ეს პროგრამები მოიცავს პრაქტიკულ სავარჯიშოებს: სიტყვების ასობად დაყოფას, გამოტოვებულ ადგილებში ასობების ჩასმას, წინადადებებში სიტყვების გამოყენებას. თუ გაქვთ კომპიუტერი და ამ პროგრამის შექმნა გსურთ, შეარჩიეთ ბავშვის განვითარების დონისა და ინტერესების მიხედვით. შეგიძლიათ ხმის სინთეზატორიც შეიძინოთ. როგორც ყოველთვის, კომპიუტერული პროგრამა ბავშვს პრაქტიკული სავარჯიშოებით უზრუნველყოფს, მაგრამ ის ვერ შეცვლის სწავლებისა და სიტყვების წარმოთქმის, წერისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათი გამოყენების პერსპექტივას.

მართლწერის გაუმჯობესების თამაშები სახალისო და საინტერესო პრაქტიკას უზრუნველყოფს და ამ უნარის კიდევ ერთი ფუნქციონალური გამოყენების შესაძლებლობას ქმნის. გარდა ამისა, თამაშები რეკრეაციული აქტივობებისა და სხვებთან ერთად ინტერაქტიული თამაშების კიდევ ერთ ალტერნატივას ქმნიან.

კონკურსი საუკეთესო მართლწერაზე

კონკურსი მართლწერის გაუმჯობესებაზე ყველაზე ტრადიციული თამაშია. ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საკლასო მართლწერის კონკურსში, მაგრამ მათთვის სიტყვები ისე უნდა შეარჩიოთ, რომ ბავშვებმა წარმატების მიღწევა და თამაშისგან სიამოვნების მიღება შეძლონ. ბავშვისთვის ვერაფერი მიღწევა იქნება თავისი ჯერის ლოდინი, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელიდან გაუშვას სიტყვის დაწერის შესაძლებლობა. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უმეტესობას, განსაკუთრებით ინტეგრირებულ კლასებში, ასეთი კონკურსების დროს დიდხანს უწევს თავისი რიგის ლოდინი და იმიტომ წარუმატებლობის შანსი დიდია. ასევე დიდია შანსი იმისა, რომ სხვები მათი წარუმატებლობის მოწმეები გახდებიან.

ორთოგრაფიული კალამბოკი

„ერთი-ერთზე“ კალამბურთი მარტივი თამაშია და საკმაოდ ეფექტურია საჯარო სკოლის კლასებში ორთოგრაფიული მიღწევების გაუმჯობესებისათვის; დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების განვითარების დონესთან მისი ადაპტირება (თუ ეს საჭიროა) მარტივი მოსახერხებელია; ამ თამაშს „ორთოგრაფიულ კალამბურთს“ ეძახიან, რადგან მოთამაშეები ყოველ ერთ სწორად დაწერილ სიტყვაზე ორ ქულას იგებენ, როგორც კალამბურთში. ინტეგრირებულ კლასებში დაუნის სინდრომის მქონე მოზარდები ამ თამაშს სხვა მოსწავლე თანატოლებთან თანაბარ დონეზე თამაშობენ და ერთმანეთს მართლწერის სწავლაში ეხმარებიან. თუმცა, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის შესაძლოა მცირე ადაპტაცია დაგვჭირდეს.

ორთოგრაფიული კალამბურთის თამაშის წესი შემდეგნაირია: მოთამაშეები იყოფიან გუნდებად; თითოეულ გუნდში ორი მოსწავლეა; ერთი მოთამაშე კითხულობს სიტყვებს (სიტყვები ალებულია კვირის განმავლობაში შესწავლილი სიტყვების სიდან, დაახლოებით ათი სიტყვა, რომელთა ინდივიდუალიზება და მოთამაშეებზე მორგება იქნება შესაძლებელი) და მეორე მოთამაშე წერს სიტყვებს. შემდეგ ის, ვინც კითხულობს, ამოწმებს სიტყვის მართლწერას სიაში მოცემულ სიტყვასთან შედარების საფუძველზე და წერს ქულებს, თითოეულ სწორად დაწერილ სიტყვაზე ორ ქულას. შემდეგ მოთამაშეები ცვლიან როლებს. ეს არის ამ თამაშის ერთი ფორმა. თამაშის მეორე ფორმაა, როცა ერთი

მოთამაშე სულ კითხულობს სიტყვებს და ამოწმებს, ხოლო მეორე მოთამაშე წერს და ანგარიში მიჰყავს. ამ სახის თამაშში მკითხველის როლში მყოფი მოსწავლე ეთამაშება სიტყვის ჩამწერის როლში მყოფ დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეს.

ორთოგრაფიული კალათბურთის თამაში სახლშიც შეიძლება. დაიწყეთ ორი სიტყვით და დაამატეთ ახალი სიტყვები.

თამაში “ბატონოსი”

ამ თამაშის სწავლა გასართობი აქტივობაა, იგი შესაძლოა მოზრდილ ასაკშიც ითამაშოს ბავშვმა; გაიხსენეთ აარონის შემთხვევა. ბავშვმა შეიძლება სტანდარტული დაფა და ასოები გამოიყენოს, ან იმ ზომის პლასტიკის ასოები, უჯრებში რომ მოთავსდეს. დამწყები მოთამაშეების შემთხვევაში ანგარიშსა და ქულებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. დასაწყისში, ბავშვს ასწავლეთ სიტყვების წერა მათი უჯრებში მოთავსების მეშვეობით და დააკავშირებინეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც საერთო ასოებს შეიცავენ. თავიდან ბავშვმა თავისი სახელი სათამაშო დაფაზე უნდა დაწეროს (ნიმუშის დახმარებით ან მის გარეშე). შემდეგ თქვენ აჩვენეთ, როგორ მოძებნოს სიტყვა, რომელშიც არის ისეთი ასო, რაც ბავშვის სახელშიც არის. ასე რომ, თქვენც შეგიძლიათ ითამაშოთ. იქონიეთ ისეთი სიტყვების ბარათები, რომლებიც წერაც ბავშვს შეუძლია. თამაშის დროს ბავშვი სწავლობს წერასა და კითხვას, რაც მის წარმატების უზრუნველყოფს.

მაგალითი: თუ ბავშვს ჰქვია ნატა, აჩვენეთ, როგორ დაწეროს დაფაზე სიტყვა, ან ვერტიკალურად, ან ჰორიზონტალურად (მიეცით საშუალება თვითონ გადაწყვიტოს), აირჩიეთ ბარათი სიტყვით კატა და ჰკითხეთ ბავშვს: „არის თუ არა სიტყვაში კატა იგივე ასო, რაც სიტყვაში ნატა?“; თუ ბავშვი არ დაასახელებს ასოებს ა, ტ, ა, აჩვენეთ ასოები ა, ტ, ა. შემდეგ აჩვენეთ კატა სიტყვის ბარათი და ჰკითხეთ: „არის თუ არა აქ ასო ა? ტ? ა?“ თუ ბავშვი ვერ გაასახელებს, დაეხმარეთ, თუ სჭირდება.

საწყის ეტაპზე ათამაშეთ რამდენიმე სიტყვით, შემდეგ დაუმატეთ ახალი სიტყვები.

ქროსორდი-გამოსანა

შეადგინეთ ძალიან მარტივი კროსვორდი-გამოსანები და გამოიყენეთ სიტყვები, რომლების წერაც ბავშვს შეუძლია ან რომელთა წერას სწავლობს. უჯრები იმ ზომის უნდა იყოს, როგორც ბატისფეხური ნაწერის შემთხვევაში, ან იმ ზომის გამოჭრილი ასოები, უჯრაში რომ მოთავსდეს, რათა ბავშვმა მათი გამოყენება შეძლოს და პრობლემა წერის დროს არ შეექმნას. თუ ბავშვს წერა შეუძლია, უჯრები საკმარისად დიდი უნდა იყოს. განსაზღვრებები ან გასაღებები მარტივი უნდა იყოს და იმ სიტყვებს მოიცავდეს, რომლების წაკითხვასაც ბავშვი შეძლებს. თუ ბავშვს არ შეუძლია გასაღებებში მოცემული სიტყვების კითხვა, დაეხმარეთ. მნიშვნელოვანია, რომ თამაში ბავშვისთვის სახალისო იყოს და დაფიქრების შესაძლებლობა ჰქონდეს მაშინაც კი, თუ გასაღებებს წაუკითხავთ. თუ მან ასოები სიტყვებში უნდა ჩაწეროს, მოუშადათ გამოცანების რამდენიმე ასლი, რომ ერთი და იმავე გამოცანაზე ბევრი „იმუშაოს“. ეს მეთოდი ბავშვისთვის პრაქტიკა იქნება, გამოცანის გამოცნობაში გაიწაფება და მომავალში დამოუკიდებლად მუშაობას ისწავლის. თუ თქვენ და ბავშვს გეხალისებათ კროსვორდის ამოხსნა, განაგრძეთ თამაში და დაამატეთ ახალი სიტყვები. მიეცით ბავშვს შესაძლებლობა, დაგეხმაროთ. შეგიძლიათ ბატისფეხური ნაწერის დროს გამოყენებული სიტყვები ითამაშოთ და მაშინ ბავშვი შეძლებს თქვენს დახმარებასა და გასაღებების ამოხსნას. თუ ბავშვს გასაღების ამოხსნა

არ შეუძლია ან სიტყვის წერა უჭირს, ასწავლეთ, როგორ იპოვოს პასუხი და გადაჭრას პრობლემა. კროსვორდი არ არის ტესტი, ეს არის სწავლის პროცესი, ფიქრის, პრობლემის გადაჭრის რეკრეაციული აქტივობა.

**სტანდარტული
მართლწერის
პროგრამა**

გონივრული იქნება, თუ ბავშვი სხვა მოსწავლეებთან ერთად მართლწერის „სტანდარტულ“ პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას, რადგან ის იმავე სიტყვებს ისწავლის იმავე თანამიმდევრობით, როგორც მისი თანაკლასელები. მცირე ადაპტაციები მაინც საჭირო იქნება, რადგან, შესაძლოა, დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლემ ისეთივე ხარისხით ვერ ისწავლოს სიტყვების წერა, როგორც მისმა თანაკლასელებმა.

პროგრამა – ღაბაბა-სიტყვა, აპოკალიფ- სიტყვა

გაიხსენეთ კითხვის „შემოწმების“ მექანიზმი, როცა ნასწავლი სიტყვები ამოვარდება და ახალი სიტყვები დაემატება (მე-8 თავი). ახლა განვიხილოთ მართლწერის „შემოწმების“ მექანიზმი. დაიწყეთ ბავშვის სახელით და როდესაც სახელის დაწერას შეძლებს, დაამატეთ მეორე სიტყვა; როდესაც ბავშვი შეძლებს ორივე სიტყვის დაწერას, დაამატეთ მესამე და ა.შ. თითოეულ წერის გაკვეთილზე პრაქტიკული მეცადინეობის შემდეგ, ჩატარეთ შემოწმება ან წერის ტესტი. დაავალეთ ბავშვს, დამოუკიდებლად დაწეროს სიტყვები მისთვის ყველაზე მისაღები მეთოდის დახმარებით (იხ. VII საფეხურზე მოცემული ასოები; ფანქრით ან კლავიატურით წერა). პირველი „შემოწმების“ მექანიზმში იქნება ერთი სიტყვა; როდესაც ბავშვს მეორე სიტყვას ასწავლით, მეორე სიტყვა დაემატება და ა.შ., სანამ ბავშვი ათ სიტყვას ისწავლის (ნასწავლი სიტყვების 80% მაინც უნდა დაწეროს სწორად 5-დან 4 სიტყვა). როდესაც მეთერთმეტე სიტყვას ასწავლით, პირველი ათიდან ერთი სიტყვა ამოვარდება. კიდევ ათი სიტყვის ათვისების შემდეგ, ყოველი შემოწმების დროს, ბავშვს დაავალეთ ათივე სიტყვა დაწეროს და ა.შ. შემოწმების სიიდან ნასწავლი სიტყვები ამოვარდება და სიას ახალი სიტყვები დაემატება.

თითოეულ სიტყვაზე პასუხების ჩანაწერი შეინახეთ, რათა იცოდეთ, რომელი სიტყვა ისწავლა ბავშვმა და რომელ სიტყვაზე სჭირდება კიდევ ვარჯიში (შემოწმების მექანიზმის სტანდარტი ათი სიტყვაა. თუმცა, შესაძლოა ხუთსიტყვიანი მექანიზმიც გამოიყენოთ, თუ ბავშვისთვის ათი სიტყვის ათვისება დამლელი და რთულია. ინდივიდუალიზება თავისუფლად მოახდინეთ).

**რომელ სიტყვებს
ვასწავლი?**

თუ მართლწერის „სტანდარტულ“ პროგრამას იყენებთ, მაშინ პროგრამა უზრუნველყოფთ სიტყვებით. თუმცა, თუ იყენებთ პროგრამას დაამატე სიტყვა, ამოაგდე სიტყვა, უნდა განსაზღვროთ, რომელი სიტყვებია ბავშვისთვის უფრო ფუნქციონალური. ეს ის სიტყვებია, რომლებსაც ბავშვი ყველაზე მეტხანს გამოიყენებს წერაში, დამოუკიდებლად იმისგან, ხელით წერს თუ კლავიატურით (გახსოვდეთ, რასაც არ იყენებთ, იმას კარგავთ). ეს სიტყვები, რასაკვირველია, ყველა ბავშვის შემთხვევაში განსხვავებულია, ბავშვის წერის უნარისა და საჭიროებიდან გამომდინარე. გადაწყვეტილება რომ მიიღოთ, რამდენიმე რჩევას გათვალისწინეთ:

თუ ბავშვი სტიკერებს იმისათვის იყენებს, რომ განსაზღვროს, ვის ჩუქნის თავის ნამუშევარს, და რეალურია, რომ წერა დაიწყოს, ასწავლეთ სიტყვების წერა, დედა, მამა, ბები (ან ვინმე, ვისაც ის ჩუქნის ნივთებს). ის შეძლებს ამ სიტყვების გამოყენებას, როდესაც სწავლობს მარტივი წერილების წერას ხელით ან კლავიატურით. შეიძლება სხვა სიტყვებიც დაუმატოთ, როგორცაა ძვირფასო, სიყვარული, თქვენ, ბედნიერი და მომწონს.

თუ ბავშვი დღიურში შესატან მასალას გკარნახობთ, ასწავლეთ იმ სიტყვების წერა, რომელსაც კარნახის დროს იყენებს. ან თუ გამოტოვებული ადგილების შევსების ფორმატში მუშაობს, შეიძლება ჩასასმელი სიტყვების წერა ასწავლოთ.

შეიძლება „თარიღების“ აღმნიშვნელი სიტყვები ასწავლოთ. მათი გამოყენება ყოველდღიურად შეიძლება, ბავშვს დროის აღქმის უნარს გაუძლიერებს და კალენდრით სარგებლობის საბაზს მისცემს. ბავშვი შეძლებს დღიურში და წერილებზე თარიღების დასმას და თავის ნაწერებში თარიღების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებას (ივლისში ცხელა. პარასკევს საცურაოდ წავედი.)

თუ ბავშვი სუპერმარკეტში დადის და საყიდლების სიას ადგენს, საჭმელების სახელები ასწავლეთ.

როგორც კი ბავშვი მსგავსი უღერადობის სიტყვებს ისწავლის (მე-10 თავი), ასწავლეთ ამ სიტყვების წერა. ეს ბავშვს გაახალისებს, რადგან რამდენიმე სიტყვის წერას ძალიან სწრაფად შეძლებს. შეგიძლიათ დაეხმაროთ და ამ სიტყვებზე მოთხრობა შეუდგინოთ ან მოთხრობებში გამოტოვებული ადგილების შევსების სავარჯიშოები შეუდგინოთ, რათა ამ სიტყვების გამოყენება შეძლოს. თუ ამ სიტყვებზე მოთხრობა უკვე აქვს, მაშინ წინადადებები ამოუბეჭდეთ და შესავსები ადგილები დაუტოვეთ.

**აღაბტანისა
გართლნარისთის**

ზოგიერთ დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეს წერა ისე უჭირს, რომ ფარ-ხმალს ყრის და საერთოდ არ უნდა წერის სწავლა. მათ უჭირთ ფონეტიკის ან ასო-ბგერების გამოყენება, სიტყვების მექანიკურად დამახსოვრება და სიტყვების მართლწერის დამახსოვრება. იმისათვის, რომ ასეთ ბავშვებს თავისი თავის წერით გამოხატვის შესაძლებლობა მივცეთ, ასწავლეთ, როგორ მოძებნონ სიტყვები.

როგორც მე-9 თავშია აღწერილი, თითოეულ ბავშვს, რომელიც კითხულობს, იმ სიტყვების ლექსიკონი და ბანკი აქვს, რომლების კითხვაც შეუძლია. რომელიმე მათგანი შეიძლება წერის სწავლების დროს გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ბავშვს შეიძლება სურათებიანი ლექსიკონის გამოყენება ვასწავლოთ, როგორცაა ჩემი პირველი ლექსიკონი, რომელშიც სიტყვებს სურათები ახლავს ანბანური თანამიმდევრობით; ან პირველი სიტყვების წიგნი, რომელშიც სიტყვები და სურათები კატეგორიებად არის დაყოფილი (სიტყვები ოჯახის შესახებ, საჭმელების ან ტრანსპორტის შესახებ და ა.შ.)

თუ ლექსიკონს ვიყენებთ, ბავშვმა სიტყვების მოძებნა და საჭიროებისამებრ მათი გადმოწერა უნდა იცოდეს, რასაც ბევრი ჩვენგანი აკეთებს, როცა ლექსიკონი სჭირდება. სიტყვების ბანკის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს შეუძლია სიტყვების ბანკში მოძებნა და წინადადებების შედგენა, გადმოწერა და წერილის ან სიის შედგენა. მაგალითად, თუ ბავშვს უნდა დაწეროს, „დედა, გილოცავ დაბადების დღეს, სიყვარულით ნანა“, ის შეძლებს ამ სიტყვების მოძებნას, თანამიმდევრობით დაწყობას, სასურველი წერილის შედგენას, გადმოწერას და ყოველივე ამის დამოუკიდებლად გაკეთებას. თუ ბავშვი ადგენს მარკეტში საყიდელი ნივთების სიას, ის შეძლებს სასურველი საგნების აღმნიშვნელი სიტყვების მოძებნასა და კატეგორიებად დაყოფას (ცალკე ხორცის პროდუქტების სიტყვები, ცალკე რძის ნაწარმის სიტყვები და ა.შ.) და სასურველი თანამიმდევრობით გადმოწერას.

ადვილად მოსაძებნი რომ იყოს, სიტყვები სიტყვების ბანკში ფაილებად უნდა იყოს დახარისხებული. შეიძლება ანბანური თანამიმდევრობით დავალაგოთ და კატალოგის ბარათი გამოვიყენოთ, ან სამაგრები, ან ყუთები, ან ქილები, ან რაც მოგაფიქრდებათ (მე-9 თავი). სიტყვები რომ ადვილი მოსაძებნი იყოს,

სპეციფიკური სიტყვები შეიძლება ფერადი კოდით აღინიშნოს. მაგალითად, ასო ვ-ს ქვემოთ იყოს სიტყვა ვაშლი, ყვითელი ფერის კოდით (ყვითელ ბარათზე ან თეთრ ბარათზე ყვითელი ხაზით და ყველა საჭმელი, მიუხედავად იმისა, რომელ ასოზე იწყება, ყვითელი ფერის კოდით იყოს შეფერილი). სახელი ნანა ცისფერი კოდით, ისევე როგორც ყველა დანარჩენი სახელი. გრძნობების აღმნიშვნელი სიტყვები, როგორცაა სიყვარული და ბედნიერი, ვარდისფერი კოდით აღინიშნოს. სიტყვების ბანკის წინ ფერით კოდირებული ხაზი იქნება გამოსახული: საჭმელების სახელებთან ყვითელი ხაზი, ადამიანების სახელებთან – ცისფერი, გრძნობების აღმნიშვნელ სიტყვებთან – ვარდისფერი და ა.შ. სიტყვები, რომლებიც არც ერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება, როგორცაა ზმნისწინები ან თანდებულები, შეიძლება ფერის გარეშე დატოვოთ. მაგალითად, თუ ბავშვს უნდა მოძებნოს სიტყვა მამა, მას არ მოუწევს ყველა ბარათის შემოწმება, ის შეხედავს მხოლოდ იმ ბარათებს, რომლებსაც ცისფერი კოდი აქვს.

სანამ ბავშვი ანბანს ისწავლის, შეგიძლიათ სიტყვების ბანკში ბარათები კატეგორიებად დალაგოთ: სახელები, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, გრძნობების აღმნიშვნელი სიტყვები, სხეულის ნაწილების სახელები და ა.შ.

ასე რომ, ასწავლეთ ბავშვს ფუნქციონალური და გამოსადეგი სიტყვების წერა; გამოიყენეთ ადაპტაციები, რათა გამოუსწოროთ ბავშვს გაუმართავი წერის უნარი და გაუმჯობესოთ მართლწერა; დაეხმარეთ ბავშვს იმ სიტყვების მოძებნის უნარის გამომუშავებაში, რომლების წერაც არ იცის; ათამაშეთ მართლწერის ასათვისებლად საჭირო თამაშები, ისე, რომ ბავშვმა წერის უნარი ხალისითა და სიამოვნებით გამოიყენოს.

ბანაბრძემ: კითხვის სწავლების გაკვეთილები

მესამე ნაწილი მოიცავს სხვადასხვა თემაზე (მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, საოჯახო სიტყვები, თვითშეფასება, გრძნობები, ცხოველები და ფერები, საკვები და დრო) აგებულ „კითხვის გაკვეთილებს.“ ბავშვის ინდივიდუალური თვისებების განსაზღვრის პროცესში ეს გაკვეთილები ნიმუშად გამოგადგებათ. მათი პრაქტიკაში დანერგვა საკუთარი გაკვეთილების დამოუკიდებლად შემუშავებაში, სწავლების ტექნიკის ადაპტირებასა და ბავშვების ინტერესებსა და სწავლის სტილზე მორგებულ აქტივობების შერჩევაში დაგეხმარებათ.

მას შემდეგ, რაც ბავშვი მე-8 თავში მოცემულ გაკვეთილს (ოჯახის წევრების აღმნიშვნელ სახელებზე) აითვისებს, გადადით ახალ გაკვეთილზე, განაგრძეთ სწავლების პროცესი და თან გაუმდიდრეთ ბავშვს წასაკითხი სიტყვების მარაგი, განუვითარეთ სიტყვის/ტექსტის გაგების, განზოგადებისა და კითხვის ფუნქციური გამოყენების უნარი. ბავშვს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული და იყენებდეს როგორც ახალ, ასევე ადრე ნასწავლ სიტყვებს. შეუძრით ან თქვენ თვითონ შეიმუშავეთ ისეთი გაკვეთილები, რომლებიც, თქვენი აზრით, ბავშვისთვის უფრო საინტერესო იქნება, და იმავდროულად,

დააკმაყოფილებს მის საჭიროებებს და გაუღვივებს ფუნქციური ენის გამოყენების უნარს. მაგალითად, თუ ბავშვს ესაჭიროება სიტყვის გამოთქმის შესწავლა, ცალკეული სიტყვების სწორად წარმოთქმაზე ვარჯიში, ან ლაპარაკში სიტყვის გამოყენება, ასწავლეთ ამ სიტყვების კითხვა. ასწავლეთ საკვების სახელები, რომ მოითხოვოს ის, რისი ჭამაც სურს; გითხრათ, „დავამთავრე“ როდესაც ჭამას ან დავალებას დაასრულებს; გითხრათ, „დასვენება“ ან „დასვენება მინდა“ როდესაც დაიღლება და ა.შ. ამ ტიპის გაკვეთილები შეიძლება ასე დასათაურდეს: „მე შემიძლია გითხრათ, რა მინდა“ (ამ მეთოდით სწავლება აუცილებლად დაეხმარება იმ ბავშვებს, რომლებიც ყვირიან, ბუზღუნებენ და წინააღმდეგობას გიწვენენ).

უმცროსი ასაკის მოსწავლეებს ისეთი გაკვეთილები შეუძრით, რომლებიც მათ ოჯახზე, ინტერესებსა და მათთვის ნაცნობ აქტივობებზე იქნება კონცენტრირებული, უფროსი ასაკის მოსწავლეებს კი იმ ტიპის გაკვეთილები, რომლებიც შინ და საზოგადოებაში დამოუკიდებლად მოქმედების უნარს განუვითარებს.

მოქალაქის ალმნიშვნელი სიტყვები

როგორც წესი, ბავშვებს უყვართ მოძრაობა და აქტიურობა. ამიტომ, თუ აქტივობების ჩატარების პროცესში მოქმედების ალმნიშვნელ სიტყვებსაც ვასწავლით, ბავშვი უფრო აქტიური გახდება.

მიზანი: წიგნში გამოყენებული მოქმედების ალმნიშვნელი და ასევე სხვა სიტყვების შესწავლა ბავშვს საკითხავი სიტყვების მარაგს გაუმდიდრებს; ბარათებზე, საკითხავ მასალაში, ანბანის წიგნში და თამაშების დროს ამ სიტყვების კითხვაში ვარჯიში ბავშვს კითხვის, განზოგადებისა და სიტყვის გაგების უნარს განუვითარებს.

ამ გაკვეთილში შემოთავაზებული სიტყვები ბავშვების უმრავლესობისთვის გამოსადეგი უნდა იყოს, რადგან მათი გამოცდილების შესაბამის, მათთვის ჩვეულ ქმედებებს ასახავს. თუ ფიქრობთ, რომ ეს სიტყვები თქვენი ბავშვისთვის არ არის შესაფერისი, სხვა სიტყვები აირჩიეთ. მაგალითად, თუ ბავშვი არ ცურავს ან არ თამაშობს ქალაქის ფრანით, ამ სიტყვებს მისთვის აზრი არ ექნება. თუ თვლით, რომ ბავშვს სხვა სიტყვები უფრო დააინტერესებს, როგორცაა ფეხების ბაკუნი, ჩახუტება, კოცნა, ასწავლეთ; ხოლო ამ წიგნში შემოთავაზებული სიტყვების სწავლა (ბარათები და აქტივობები) შემდეგისთვის გადადეთ, რათა ბავშვს თავგზა არ აებნას და კითხვის უნარ-ჩვევების ათვისებაში ხელი არ შეეშალოს.

მიზანი №1: სურათებისა და „ბარათების“ (ან „ბარათების“ ორი კომპლექტის) საშუალებით ბავშვი დააწყვილებს, ამოარჩევს და დაასახელებს (ვერბალურად ან მინიშნებით) მოქმედების ალმნიშვნელ სიტყვებს.

ახალი
სიტყვების
ახსნა:
ათვისება

მასალები:

სურათები და ბარათები მოქმედების ალმნიშვნელი სიტყვებით.

ბარათებისა (დანართი გ-8) და ნახაზების (გ-9) ასლები მუყაოზე გადაიტანეთ და ცალ-ცალკე სურათებად და ბარათებად დაჭერით; გთავაზობთ შემდეგ სიტყვებს: ხტუნვა; ტაშისკვრა; ქანაობა; ფეხების ბაკუნი; ხელის თათუნა; სიცილი; ყურება; სიმღერა; ცეკვა; მოსმენა; სრიალი; თითის წვერებზე სიარული; ცურვა; ფრენა; ხოხვა; აცოცება; ძირს დაგდება; თამაში; მიტანა; დგომა; გროვად დაყრა; კეთება; გაწუწვა; თქმა; აღნიშვნა; კოცნა; ჩახუტება და გაღება. დამატებითი სიტყვების ალმნიშვნელი „ბარათები“ იხილეთ დანართი გ-8. გამოიყენეთ „ბარათების“ ორი კომპლექტი, რათა ბავშვმა სიტყვების დაწყვილება სურათების გარეშე შეძლოს.

პროსაფურცლი:

აუხსენით ბავშვებს ორი სიტყვა, შემდეგ დაამატეთ კიდევ ორი ახალი სიტყვა, თითო ჯერზე – თითო სიტყვა. მაგალითად, შეგიძლიათ დაიწყოთ სიტყვებით *ხტომა* და *სირბილი* (ან ბავშვმა თვითონ აირჩიოს სიტყვები). არვენეთ სურათი და სიტყვა; სიტყვის დემონსტრირება შემდეგნაირად მოახდინეთ: თქვით – „*ხტომა, ეს სიტყვა ნიშნავს ხტომას*“; არვენეთ სიტყვა, ადექით და ახტით; სთხოვეთ ბავშვს იგივე გააკეთოს. ასეთივე მეთოდით აუხსენით სიტყვა *სირბილი* (როდესაც ბავშვს სიტყვა *სირბილს* ასწავლით, იმის მიხედვით, თუ სად იმყოფებით, უთხარით, სადამდე მიიბრინოს; მაგალითად, ეტლამდე და უკან; ან სამზარეულომდე და უკან. თუ არ გინდათ, რომ ბავშვმა სახლში ირბინოს, სხვა სიტყვა ასწავლეთ და სხვა სურათი (სირბილის დემონსტრირება არ არის საჭირო) გამოიყენეთ, ან ჩაატარეთ გაკვეთილი იქ, სადაც ბავშვს სირბილის საშუალება ექნება. ამ სიტყვების ახსნის შემდეგ ბარათებისა და სურათების, ან ბარათების ორი კომპლექტის გამოყენებით ბავშვები სიტყვების დაწვილებაში ავარჯიშეთ. როგორც კი ბავშვი სიტყვებს აითვისებს, აუხსენით სხვა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების პირველი ასოები და შემდეგ სიტყვები, თითო ჯერზე თითო ან ორი სიტყვა (ან სამი სიტყვა).

მოახდინეთ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დემონსტრირება: ზოგიერთი სიტყვის დემონსტრირება, როგორცაა ხტუნვა, ტაშისკვრა, სირბილი და ფეხების ბაკუნი ადვილია, მაგრამ ზოგიერთი სიტყვის ასახსნელად დაგჭირდებათ უესტებისა და ნიშნების გამოყენება. მაგალითად, *შემოსვლა* და *გასვლა* – ამ სიტყვების ახსნისას გამოიყენეთ ასეთი უესტი – ხელის თქვენკენ მოძრაობით ახსენით *შემოსვლა*, ხოლო საჩვენებელი თითის გაშვებით *გასვლა*. სიტყვა *ტარება* – გააკეთეთ ისეთი მოძრაობა, თითქოს ცხენს ან ველოსიპედს ატარებთ; *ყურება* – მიიღეთ ხელები თვალებთან და რაიმე საგანს უყურეთ; *მოსმენა* – მიიღეთ ხელები ყურების უკან; *გაღება* – შეატყუპეთ ხელისგულები და მერე გახსენით, თითქოს წიგნს შლით; *ქნევა* – იქნით ხელები; *ცურვა* – ამოძრავებ ხელები, თითქოს ცურავთ; *ფრენა* – ხელების მოძრაობით განასახიერეთ თვითმფრინავის ფრენა. თამაშების დროს მსგავსი უესტებისა და მოძრაობების გამოყენება საკმაოდ ეფექტურია.

განაგრძეთ ანბანით სწავლება: როდესაც ბავშვთან ახალ სიტყვაზე იწყებთ მუშაობას, ანბანის წიგნიც გამოიყენეთ. მოძებნეთ წიგნში ის ასო-ბგერა, რომლითაც იწყება ასახსნელი სიტყვა (მაგ. სიტყვა *ცეკვა* – გადაშალეთ ანბანის წიგნი ასო ც-ზე და ავარჯიშეთ ამ ასო-ბგერით დაწყებულ სიტყვებზე).

სხვა სიტყვების სწავლების დროსაც იგივე მეთოდი გამოიყენეთ. შეადგინეთ დამხმარე წინადადებები იმ ასო-ბგერებზე, რომლებიც ბავშვებისთვის ადრე არ გისწავლებიათ (მაგალითად: ჯ, რ, ც, ჰ და ავარჯიშეთ ამ ასო-ბგერებით დაწყებულ სიტყვებზე).

არ არქარდეთ. დაუთმეთ სავარჯიშოებს იმდენი დრო, რამდენიც საჭიროდ მიგაჩნიათ. არ არის აუცილებელი ყველაფრის ერთბაშად სწავლება. მიეცით ბავშვს სიტყვის „გათავისებისთვის“ საჭირო დრო. იხ. მე-9 თავი.

სიტყვების ბანკი და შემოწმების ინსტრუმენტი: მე-8 და მე-9 თავებში მოცემული პროცედურების მიხედვით დაუმატეთ სიტყვების ბანკს ახალი სიტყვები და ასოები. ახალი სიტყვების რაოდენობის განსაზღვრის ორიენტირად **შემოწმების ინსტრუმენტი** გამოიყენეთ (სიტყვების ბანკში „მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების“ მოძიების გასამარტივებლად შეგიძლიათ ფერადი კოდი გამოიყენოთ).

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული სავარჯიშოები, სიტყვების ბაბუბა. ბაზრება და განყოფილება.

ანბანი ბინგო

მიზანი #2: ანბანი „ბინგოს“ თამაშის დროს ბავშვი ივარჯიშებს ასო-ბგერების წარმოთქმასა და სიტყვების ანბანური თანამიმდევრობით დაწყობაში; დააკავშირებს ასო-ბგერებს (პირველ ასოს) ამ ასოებით დაწყებულ სიტყვებთან.

მასალები:

ბინგო: სიტყვა სიტყვასთან; ბინგო: სურათი/სიმბოლო/სიტყვები; ბინგო: სიტყვა ან სიმბოლო და ასოების ქვეშ დატოვებული ცარიელი უჯრები.

ბინგოს თამაშების გამოყენებით ბავშვს აუხსენით რომელიმე ასო-ბგერაზე დაწყებული სიტყვები. მაგალითად, სიტყვა „სალომე“ (ყურადღება მიაქციეთ, რომ სავარჯიშოდ აღებული სიტყვა ბავშვისთვის ნაცნობი იყოს), რასაც შეგიძლიათ დაუმატოთ ასო ს-ზე დაწყებული სიტყვა *სიცილი*.

ახალი ასო-ბგერების სწავლების მიზნით ბინგოს ახალი ბარათები დაამზადეთ. მოდელად შეგიძლიათ დანართებში დ-4, დ-5, და დ-6 მოცემული ფორმა გამოიყენოთ. ამ ფორმების ასლი მუყაოზე გადაიტანეთ და შესაბამისად გამოიყენეთ (იხ. მე-9 თავში აღწერილი „ანბანური თამაშები“).

მიზანი #3: მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებზე ლოტოს თამაშის დროს ბავშვი ივარჯიშებს კითხვაში; გამოავლენს სიტყვის გაგების უნარს; განივითარებს კითხვის უნარ-ჩვევას.

ლოტო

მასალები:

დ-1, დ-2 ან დ-3 დანართებში მოცემული ლოტოს სათამაშო ფორმების ასლი მუყაოზე გადაიტანეთ და შესაბამისი სიტყვები ან ნახატები სპეციალურად გამოყოფილ ცარიელ უჯრებში ჩასვით. თუ თამაშისთვის ნახატებს გამოიყენებთ, ნახატების ზომა ისე შეამცირეთ, რომ დაფასა და ბარათებზე არსებულ უჯრებს მოერგოს. ლოტოს თამაშისთვის საჭირო ინსტრუქციები მე-8 თავშია მოცემული. ამ ტიპის ლოტოს ბარათებს შეგიძლიათ დაარქვათ „ლოტო მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებზე“ ან „მე შემიძლია“ (თუ ფიქრობთ, რომ ბავშვისთვის ასეთი სათაური უფრო შესაფერისია). როდესაც ბავშვი თამაშს დაამთავრებს, ის შეძლებს შემდეგი სიტყვების წაკითხვას: „მე შემიძლია ხტომა, სირბილი, სიარული და ა.შ.“

პროსეფურები:

ლოტოს სათამაშოდ გამოიყენეთ მე-8 თავში („კითხვა ლოტოს თამაშით“) აღწერილი პროცედურები.

შარადა (თამაში, რომლის დროსაც ერთი მოთამაშე ხსნის სიტყვას ან ფრაზას ჟესტებისა და მიმიკის მეშვეობით).

მიზანი №4: შარადის თამაშის დროს ბავშვი გაერთობა და თან მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაშიც ივარჯიშებს; სიტყვის გაგების უნარს გამოავლენს; წერილობით მითითებებს შეასრულებს; წაკითხულ სიტყვებს დაიმახსოვრებს.

მასალები:

მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ბარათები; სიტყვების სათავსი (კოლოფი; პარკი; კალათა).

როგორ ვითამაშოთ:

ბარათებს აწყობთ სიტყვების სათავსში ან მაგიდაზე ისე, რომ ნახატი და წარწერა ქვემოთა მხარეს მოექცეს. თითოეული მოთამაშე აიღებს ბარათს, ჩუმად წაიკითხავს და დაიმახსოვრებს სიტყვას, ისევ დადებს მაგიდაზე ნახატი და წარწერით ქვემოთ და დაიწყებს სიტყვის ახსნას/დემონსტრირებას („მოახდინეთ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების დემონსტრირება“, იხ. ზემოთ). დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ სიტყვა. თუ სწორად გამოიცნეს (სისწორე ბარათით დადასტურდება), „სიტყვის ამხსნელი მოთამაშე“ მოგებულად ჩაითვლება – ე. ი. მან წარმატებით მოახერხა სიტყვის ახსნა (ჩაუგდეთ მას მარმარილოს ბურთი ქილაში).

თამაშში მხოლოდ ორი სიტყვის გამოყენება შეიძლება. მას შემდეგ, რაც ახალ სიტყვებს ახსნით, თამაშში ისინიც ჩართეთ.

I ვარიანტი: თუ ბავშვებს ოთხი ან მეტი მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას აუხსნით, თითოეული მოთამაშე ორ ან მეტ სიტყვას აირჩევს და შემდეგ მათ დემონსტრირებას მოახდენს.

II ვარიანტი: აიღეთ სიტყვების ორი სათავსი. ერთში იქნება მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, მეორეში – სახელები. მოთამაშეები ამოიღებენ სახელს და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას. მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის დემონსტრირებას მოახდენს ის, ვის სახელსაც ამოიღებენ სათავსიდან. მოთამაშე წაიკითხავს სიტყვას და იტყვის, მაგალითად, „დედა – ხტომა“ თითოეული სათავსიდან ერთზე მეტი ბარათის ამოღება შეიძლება და შესაბამისად, ორი ბავშვი ინტუნებს და ირბენს.

III ვარიანტი: დადეთ ბარათები ნახატი და წარწერით ზემოთ. ბავშვმა თვითონ აირჩიოს, ვინ რას გააკეთებს და თვითონვე დააღაგოს სიტყვები: „ვილი – ხტუნვა, დედა – ხტომა, მამა – ტაშის კვრა“ (ამ დროს ბავშვი ისწავლის სიტყვასა და სიტყვების დაწყობას: „დედა და მამა, ტაშის კვრა და ხტომა“).

IV ვარიანტი: აუხსენით ბავშვებს ერთდროულად შემდეგი სიტყვები: ჩახუტება, კოცნა და მოფერება; ამ სიტყვებით თამაშში ორი ბავშვი ჩაერთვება. მოთამაშე სათავსიდან ამოიღებს სახელის აღმნიშვნელ ბარათს, შემდეგ შესასრულებელი მოქმედების აღმნიშვნელ ბარათს, შემდეგ მეორე სახელის აღმნიშვნელ ბარათს და ასეთივე თანამიმდევრობით დააწყობს მათ: „სალომე – კოცნა – დედა, მამა – ჩახუტება – ვილი; ვილი – მოფერება – მამა“.

V ვარიანტი: ბარათების ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ლენტები, რომლებზეც მარტივი ფრაზები და წინადადებები იქნება დაბეჭდილი. მოთამაშე ამოიღებს ლენტს, წაიკითხავს და გააკეთებს იმას, რაც ლენტზე წერია (აკოცვ დედას; მოეფერე; ახტი, ინტუნე, იხიხე). ახალი სიტყვების (შემდეგი ვაკვეთილი,

საოჯახო სიტყვები) დამატების შემდეგ, წინადადებების გავრცობაც შესაძლებელი გახდება, მაგალითად, „მიირბინე კართან“, „მიდი სამზარეულომდე თითის წვერებზე“, „შეიხედე მაგიდის ქვეშ“.

**ბილიკი
დაბრკოლებებით**

მიზანი №5: დაბრკოლებების დაძლევის დროს ბავშვი ივარჯიშებს კითხვაში, გაიაზრებს და განაზოგადებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს და თან გაერთობა.

შენობის გარეთ, ღია სივრცეში, მოაწყვეთ ბილიკი დაბრკოლებებითა და აბრებით, რომლებზეც მითითებული იქნება, რა უნდა გააკეთოს ბავშვმა ყოველ პუნქტში არსებული დაბრკოლების დასაძლევად.

მაგალითები:

პუნქტი №1 – ჭერზე (ხეზე ან კოშკურაზე) ჩამოკიდებული ბუშტი და აბრა წარწერით, „ახტით ზემოთ“ (ბუშტი ისეთ სიმაღლეზე უნდა ეკიდოს, რომ მოთამაშე ხელით მისწვდეს); **პუნქტი №2** – ტაბურეტი და აბრა წარწერით „ჩამოხტით“; **პუნქტი №3** – ჰულა-ჰუპი – შიდა აბრა წარწერით „ჩახტით“ და გარე აბრა წარწერით „ამოხტით“; **პუნქტი №4** – აბრა წარწერით „სამჯერ დაუკარით ტაში“ (ან უბრალოდ, ტაში დაუკარით); **პუნქტი №5** – აბრა წარწერით: „იმღერეთ“; **პუნქტი №6** – ფეხბურთის ბურთი და აბრა წარწერით: „დაარტყით ბურთს ფეხი“; **პუნქტი №7** – მაგნიტოფონი და სამი აბრა წარწერით: „ჩართეთ“, „მოუსმინეთ“, „გამორთეთ“; **პუნქტი №8** – საქანელა და აბრა წარწერით: „მაგრად გააქანეთ“ (ან „5-ჯერ გააქანეთ“); **პუნქტი №9** – მიწაზე ბუშტი და აბრა წარწერით: „გახეთქეთ“. როგორი მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს გამოიყენებთ, დამოკიდებული იქნება ბავშვის მოტორულ შესაძლებლობებსა და სიტყვის აღქმის უნარზე. აქტივობებში ბავშვის განვითარების დონის შესაფერი მათემატიკური კონცეფციების ჩართვაც შეგიძლიათ.

როგორ ვათამაშოთ:

ამ აქტივობის ჩატარების დროს გაჰყევით ბავშვს და საჭიროებისამებრ დაეხმარეთ სიტყვების წაკითხვასა და „მითითებების“ დამოუკიდებლად შესრულებაში (იქნებ ყოველი აქტივობის შესრულებისას მარმარილოს ბურთი ჩაუგდოთ ქილაში). ჩვეულებრივ, ბავშვებს ამ აქტივობების შესრულება სხვა ბავშვებთან ერთად სიამოვნებთ. ეს ჰგავს თამაშს „მიჰყევი გამყოლს“, მაგრამ გამყოლის ნაცვლად ისინი მითითებებს მიჰყებიან.

**წიგნები მოქმედების
აღმნიშვნელ
სიტყვებზე:
ბასართობი
საპითხაპი მასალა**

მიზანი №6: ბავშვი წაიკითხავს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს წინადადებებში; განუვითარდება კითხვის უნარ-ჩვევა და წიგნის კითხვა ბავშვს სიამოვნებას მიანიჭებს.

შეუღვიწიეთ ბავშვს გამართლებული.ღამსპარე წიგნები!

თუ ბავშვი ერთი ან ორსიტყვიანი ფრაზებით ლაპარაკობს ან ძალიან ნელი ტემპით სწავლობს სიტყვებს, ასწავლეთ გამართლებული/დამხმარე წიგნით, რომელში თითო გვერდზე ორი ან სამი სიტყვაა.

როგორ გააპატიოთ ეს:

შეაერთეთ ოჯახის წევრების ალმნიშვნელი სახელები და მოქმედების ალმნიშვნელი სიტყვები. თითოეულ გვერდზე იქნება მარტივი წინადადება, როგორცაა „დედა, გადახტი!“; „მამა გაიქეცი!“; „მამა, აკოცე სალომეს!“; „ნიკო, მოეფერე თამთას“; „მამა, ტაში დაუკარი!“; „სალომე, უყურე ტელევიზორს!“ (ჩემი რჩევაა, ბავშვებს წინადადებები ბრძანებით ფორმაში ჩაასმევინოთ, ვიდრე ისეთი ფრაზები ათქმევინოთ, როგორცაა „დედა – ხტომა.“ ბრძანებითი წინადადებების გამოყენებისას ბავშვი აითვისებს სწორ გრამატიკულ ფორმებსა და გამართულ სალაპარაკო ფრაზებს. ამასთან, ბავშვებს სიამოვნებთ, როდესაც სხვებს აძლევენ მითითებებს და მათთვის ასეთი წიგნით სწავლა უფრო სახალისო ხდება. ამ დროს შეგიძლიათ ბავშვს აუხსნათ, რომ „მძიმე“ გულისხმობს „პაუზას“; ძახილის ნიშანი კი ემოციის გამონატყვას (აჩვენეთ პრაქტიკული მაგალითები).

წინადადებების საილუსტრაციოდ გამოიყენეთ ფოტოები, რომლებიც ასახავს ამ აქტივობას, და უფრო საინტერესო გახადეთ ის. მაგალითად, მამა თავის სპორტულ ფორმაში (ძუნძულით სირბილისთვის), რომელსაც ოფლი მოსდის და ძალიან დაღლილი ჩანს; დედა, რომელიც თოკზე ხტება; სალომე, რომელიც ცეკვავს ან საცეკვაო „ილეთს“ ასრულებს, მამა კი უყურებს და ტაშს უკრავს (შეგიძლიათ ეს ყველაფერი თქვენ თვითონ დახატოთ, მაგრამ უმეტესობას მზა ფოტოების გამოყენება უფრო ეადვილება).

დააკარით ფოტოები ფურცლებს და ჩაბეჭდეთ ფოტოს ქვეშ წინადადებები. თითოეული ფოტოს ზემოთ მოათავსეთ მუყაოს საფარი ისე, რომ მხოლოდ წინადადება ჩანდეს. დაამაგრეთ მუყაოს საფარი ფურცლის მარცხენა მხარეს ისე, რომ წიგნივით იშლებოდეს ან ფურცლის ზედა მხარეს ისე, რომ ბლოკნოტივით იხსნებოდეს.

დანომრეთ გვერდები, გაუკეთეთ ყდა და აკინძეთ. ყდაზე წიგნის სათაური დააწერეთ.

პროსექურები:

ასწავლეთ ბავშვს წიგნის კითხვა (მე-8 თავში იხ. „წაიკითხეთ პირველი წიგნი“); მიეცით წიგნი და წააკითხეთ წინადადება, ისე რომ ფოტოს მუყაოს საფარი ფარავდეს. წინადადების წაკითხვის შემდეგ, ბავშვი გადასწევს მუყაოს საფარს და ფოტოზე დაინახავს იმას, რაც წინადადებაში ამოიკითხა (ის წაიკითხავს „დედა, გადახტი!“; გადასწევს მუყაოს საფარს და ფოტოზე მართლა დაინახავს, რომ დედა ხტება. რა საოცარია!).

უფასობა:

შეაფასეთ ბავშვის მიერ სიტყვების ათვისების უნარი შემოწმების მეთოდით; ბავშვის აღქმის უნარი თამაშში (შარადა, ლოტო და დაბრკოლებების დაძლევა) დაოსტატებისა და მითითებების შესრულების ხარისხით, სწრაფი კითხვის უნარი კი წიგნების კითხვაში გაწაფულობით.

სწავლების პროცესის ბარკეოსთან ადაპტირება:

აქტივობები მარტივად შეგიძლიათ მოარგოთ საკლასო ოთახს და სათამაშო მოედანს. ოჯახის წევრების სახელების გამოყენებას თანაკლასელების სახელების გამოყენება სჯობს (არ გამოიყენოთ სიტყვები კოცნა და ჩახუტება, თუ ეს არ შეეფერება მოსწავლის ასაკს). თუ თამაშის დროს ბავშვებს პატარ-პატარა გგუფებად დაყოფთ, მათ დიდხანს არ მოუწევთ თავიანთი რიგის ლოდინი.

საოჯახო სიტყვები

ამ თავში აღწერილი აქტივობები (წინა თავის მსგავსად) ბავშვს საშუალებას აძლევს, მისთვის ჩვეულ გარემოში ყოფნისას ირგვლივ არსებული საგნების სახელები პრაქტიკული გამოცდილებით შეისწავლოს. ბევრ ოჯახში, რომლებთანაც მე მიწევს ურთიერთობა, ბავშვის თვალის დონეზე არსებულ ყველა საგანზე დაკრულია ეტიკეტები, რომლებზეც საგნების სახელებია აღნიშნული.

მიზანი: თამაშებისა და წიგნების დახმარებით ბავშვი საოჯახო სიტყვებს და ასევე სხვა სიტყვებს აითვისებს და საკითხავი სიტყვების ლექსიკას გაიმდიდრებს; ბარათებზე, ეტიკეტებზე, ანბანის წიგნებსა და თამაშის დროს სიტყვების კითხვაში ვარჯიში ბავშვს კითხვის, განზოგადებისა და სიტყვის გაგების უნარს განუვითარებს.

მიზანი №1: ბარათების, საოჯახო ნივთებისა და ოთახში არსებული საგნების გამოყენებით ბავშვი დააწყვილებს, გამოარჩევს და დაასახელებს (ვერბალურად ან მინიშნებით) საოჯახო სიტყვებს.

ახალი
სიტყვების
ბაცნობა:
ათვისება

მასალები:

ბარათები; ეტიკეტები; გამჭვირვალე წებოვანი ლენტი; სახლი ან ბინა თავისი ატრიბუტებით, ავტოფარეხი ან ეზო.

რეზორგანიზაცია:

დანართის (გ-10) ასლი მუყაოზე გადაიტანეთ (ნივთებზე ეტიკეტების დასაკრავად შეგიძლიათ ბარათების, ეტიკეტების ორი კომპლექტი გამოიყენოთ ან ბარათებზე სიტყვები თქვენ თვითონ დაბეჭდოთ). ეტიკეტები წებოვანი ლენტით ნივთს მიაკარით. წებოვანი ლენტის ცოტა ხნით მიკვრა საგნებს არ დააზიანებს; შეიძლება კედელს ოდნავ საღებავი ან ქაღალდი აძვრეს. კედელი ან სხვა სახის ზედაპირი რომ არ დააზიანოთ, წებოვანი ლენტი ისეთ საგანს (მაგალითად, ხის ზედაპირით) დააკარით, რასაც ლენტი არ დააზიანებს და ზედ ნივთისკენ მიმართული საჩვენებელი ისარი დაახატეთ. ისრით შეიძლება ისეთი საგნებიც აღნიშნოთ, რასაც ბავშვი ვერ წვდება (მაგალითად, სურათი). არ არის აუცილებელი სახლის დაზიანება, იმისათვის, რომ ბავშვმა კითხვა ისწავლოს. პრაქტიკულად იაზროვნეთ).

გთავაზობთ შემდეგი საგნების აღმნიშვნელ სიტყვებს: ტელევიზორი, სკამი, მაგიდა, იატაკი, ხალიჩა, კედელი, კარი, ფანჯარა, ნიჟარა, გაზქურა, სარეცხი მანქანა, საშრობი, სათამაშოები, ლამპა, კომპიუტერი, მაცივარი, სარკე, საწოლი, სამზარეულოს ბუფეტი, ავტომანქანა (თუ ადვილად მისაწვდომია),

სამზარეულო (მიაკარით ეტიკეტი სამზარეულოს კარზე), სააბაზანო, საპირფარეშო, საძინებელი ოთახი (თუ სახლში რამდენიმე საძინებელი გაქვთ, ყოველ მათგანს იმ ადამიანის სახელი მიაკარით, ვისაც იქ სძინავს), ტახტი, ფორტეპიანო, ზარდახმა, ჭიქა, ჩაიდანის, თეფშები, მაგნიტოფონი, რადიო, წიგნების კარადა, სააბაზანო, უნიტაზი, კალენდარი, ტელეფონი (ან ყურმილი) და მცენარეები.

პროსაუკურობი:

გამოიყენეთ დაწყვილების, შერჩევისა და დასახელების იგივე მეთოდი, რასაც სხვა სიტყვების სწავლების შემთხვევაში იყენებთ, ოღონდ ამჯერად ბავშვი „ბარათს“ ნივთზე მიკრულ ეტიკეტთან დააწყვილებს და არა სურათთან. დააკარით ეტიკეტი ორ ნივთს: ტელევიზორსა და სკამს. აჩვენეთ ბავშვს ეტიკეტები და უთხარით: „შეხედე, ამ ეტიკეტზე წერია სიტყვა ტელევიზორი, ამაზე – სკამი.“ შემდეგ ბავშვს უჩვენეთ შესაბამისი ეტიკეტი და უთხარით: „ეს არის ტელევიზორი, დაადე ტელევიზორის აღმნიშვნელი ეტიკეტი ტელევიზორს.“ იგივე გააკეთეთ სიტყვა სკამის შემთხვევაში. დაიჭირეთ თითოეული ეტიკეტი ხელში და გაიმეორეთ „ეს არის -----“ და „ეს არის-----“. როდესაც ბავშვი ამ სიტყვებს ისწავლის, ნელ-ნელა სხვა სიტყვები დაამატეთ და იმ ნივთებს, რომლებსაც ეს სიტყვები აღნიშნავენ, შესაბამისი ეტიკეტები დააკარით. იმდენი სიტყვა ასწავლეთ, რამდენის შეთვისების უნარი და ინტერესიც ექნება ბავშვს.

გამოიყენეთ ახალ სიტყვებსა და ასო-ბგერებზე აგებული ანბანის წიგნები (დამხმარე წიგნები), ბინგო და სხვა ანბანური თამაშები, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. იკითხეთ წიგნები და ითამაშეთ ბავშვთან ერთად.

**ანბანის
წიგნი, ბინგო
და ანბანური
თამაშები**

დაუმატეთ სიტყვების ბანკს ახალი სიტყვები და ასოები. ახალი სიტყვების რაოდენობის განსაზღვრის ორიენტირად შეფასების მექანიზმი გამოიყენეთ.

**სიტყვების
ბანკი და
შეფასების
მექანიზმი:**

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული სპარჯიშოები, სიტყვების გაგება, გააზრება და განზოგადება

**ლოტოს
პრე-პრეტი
პარიანტი**

მიზანი №2: საოჯახო ლოტოს ამ ვარიანტის თამაშის დროს საოჯახო სიტყვების კითხვაში ვარჯიში ბავშვს კითხვის, განზოგადებისა და სიტყვის გაგების უნარს განუვითარებს.

მასალები:

თითოეული მოთამაშისთვის დასაწებებელი ნიშნები (სხვადასხვა ფერის პლასტიკური დისკები მაგნიტით ან კნოპები) ან დასაწებებელი ბარათები/სტიკერები (დაახლოებით 5X2 სმ) მოთამაშის სახელის ინიციალით (შეგიძლიათ საოჯახო ლოტო თქვენ თვითონ გააკეთოთ).

პროსაუზრები:

მას შემდეგ, რაც ბავშვი წიგნს გაეცნობა (მანამდე ბევრჯერ მოგიწევთ ბავშვთან ერთად წიგნის წაკითხვა; კითხვის პროცესში ბავშვი სურათებზე მიგითითებთ და ზოგიერთ სიტყვასაც წაიკითხავს), დადეთ წიგნი სწორ ზედაპირზე (მაგიდაზე ან იატაკზე) და გადაშალეთ იმ გვერდზე, სადაც საოჯახო ნივთები გამოსახული. ეს გვერდი ლოტოს ბარათის მაგივრობას გაგიწევთ. მოთამაშეები რიგრიგობით აიღებენ ეტიკეტებს, რომლებზეც საოჯახო სიტყვები წერია, წაიკითხავენ სიტყვას, მოძებნიან იმ გვერდს, რომელზეც ამ სიტყვის შესაბამისი საგანია გამოსახული და მიაკრავენ დასაწებებელ ნიშნებს (ან დასაწებებელ ნიშანს რომელიმე ბავშვის სახელის ინიციალით; დასაწებებელი ნიშანი იმით არის მოსახერხებელი, რომ ქალაქზე კარგად ფიქსირდება, მაგნიტები და კნოპები კი შეიძლება ჩამოცურდეს, თუ წიგნი სწორ სიბრტყეზე არ დევს). როდესაც ყველა ეტიკეტს გამოიყენებენ, თითოეული მოთამაშე შეაგროვებს დასაწებებელ ნიშნებს ან სტიკერებს თავისი სახელის ინიციალებით და დათვლის, რამდენი ნივთი მოძებნა (აქ მათემატიკის ელემენტია ჩართული).

**თამაში
ბანძის
ძებნა**

მაშინ, როცა ბავშვმა სამი ან ოთხი სიტყვა იცის, შეუძლია თამაში „განძის ძებნა“ ითამაშოს და პრაქტიკაში გამოიყენოს ამ სიტყვების კითხვის უნარი.

მიზანი №3: ამ თამაშის დროს, გართობის გარდა, ბავშვი საოჯახო სიტყვების კითხვაში ივარჯიშებს; სიტყვების გაგების უნარს გამოავლენს; მითითებებს შეასრულებს; წაკითხვის შემდეგ სიტყვებს დაიმანსოვრებს.

მასალები:

კონვერტში ჩადებული „ბარათი-გასაღები“ და წებოვანი ლენტი; ინდექსირებული „ბარათი-გასაღები“; მყარი დაფა ეტიკეტებისათვის; მუყაო ან ქალაქი (ფერადი ან თეთრი). ჩემი რჩევაა გრაფიკული ბარათები (ინტერნეტიდან) და დეკორატიული ან ინდექსირებული ფერადი ბარათები გამოიყენოთ, რომლებიც ეტიკეტებისგან განსხვავებული იქნება. ინდექსირებულ ბარათებს გარშემო ხაზი შემოავლეთ ისე, რომ მოწმობას დაემსგავსოს და სათამაშოდ უფრო სახალისო და საინტერესო გახდეს. „ბარათი-გასაღების“ ჩასადებად ძველი კონვერტებიც გამოგადგებათ (შეგიძლიათ კონვერტებს დააწეროთ: გასაღები 1; გასაღები 2 ა.შ. და ბავშვს სიტყვა გასაღები ასწავლოთ, თუ ფიქრობთ, რომ ამისთვის უკვე მზად არის). წებოვანი ლენტი კონვერტების ნივთებზე მისაკრავად დაგჭირდებათ.

ნივთები ეტიკეტებით:

გამოიყენეთ საოჯახო ნივთები, რომლებზეც ეტიკეტებია დაკრული (უფრო „წარმატებულ“ მოსწავლეებთან შეგიძლიათ ნივთებს ეტიკეტები მოხსნათ). რადგან სახლში ბევრი კედელი, კარი, იატაკი, სკამი, მაგიდა, ფანჯარა და საწოლია, ამ ეტაპზე ბავშვს ასწავლეთ, რომ „ბარათი-გასაღები“ განკუთვნილია მხოლოდ ეტიკეტებიანი ნივთებისთვის. მაგალითად, თუ გასაღები 1 არის სკამი, ის განკუთვნილია იმ სკამისთვის, რომელზეც ეტიკეტია დაკრული და არა სხვა სკამებისთვის.

განძის ყუთი: აიღეთ ისეთი ზომის ყუთი, რომლის ტარება და გახსნა ბავშვს არ გაუჭირდება. თუ სიტყვა „განძი“ ბავშვისთვის არაფრის მთქმელია, მას „სიურპრიზის ყუთი“ დაარქვით (თამაშს შეიძლება სახელად „სიურპრიზის ძებნა“ უწოდოთ). ყუთი უფრო საინტერესო და განსაკუთრებული რომ გახდეს, ბავშვმა შეიძლება ის გააფორმოს, შეღებოს, რამე დაახატოს ან დააკრას.

შეგიძლიათ განძის შესანახად მინიატიურული ზარდახმა გამოიყენოთ, რაც თამაშს უფრო სახალისოს გახდის.

განძი: განძის სახით გამოიყენეთ ისეთი რამ, რაც ბავშვისთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია და ამავე დროს მისი ასაკისა და მიზნებისთვის შესაფერისი.

მაგალითები:

სიმბოლური განძი: თქვენთვის რომ მოსახერხებელი იყოს და ბავშვისთვის სტიმულის მიმცემი, შეგიძლიათ ყოველი თამაშის დროს ერთი და იგივე „განძეულობა“ გამოიყენოთ (როგორცაა ძველებური ყელსაბამი ან ისეთი რამ, რაც „განძს“ მოგვაგონებს). ამ შემთხვევაში განძი სიმბოლურია, თამაშის დამხმარე საშუალებაა და რეალურ ფასეულობას არ წარმოადგენს.

ნამდვილი განძი: თამაშში ნამდვილი განძის გამოყენებაც შეგიძლიათ. კარგი იქნება, თუ თამაშში მათემატიკურ და ფულთან დაკავშირებულ კონცეფციებსაც ჩართავთ. თამაშის დროს განძისთვის განკუთვნილ ყუთში ყოველჯერზე სხვადასხვა ოდენობით ხურდა ფული ჩადეთ; იმდენი, რამდენის დათვლაც ბავშვს შეუძლია. მაგალითად, თუ ბავშვმა სამამდე თვლა იცის, ყუთში სამი მონეტა ჩაუდეთ. თუ ათამდე ითვლის – ნებისმიერი რაოდენობის თანხა ათამდე. როდესაც ბავშვი განძს იპოვის, ფულს დათვლის და ბანკში შეინახავს (თუ ბავშვს არა აქვს ყულაბა, სადაც მარტივად შეიძლება ფულის შენახვა, გამოიყენეთ ქილა, რომელსაც ზედ ბავშვის სახელს დააწერთ). როდესაც განძს მოძებნის, ბავშვი თეთრებს 5-განყოფილებიან სათავსში ჩადებს (თუ ხუთამდე თვლა იცის, ინდექსირებულ ბარათზე ხუთი წრე დაახატვინეთ და აჩვენეთ, თეთრები წრეში როგორ მოათავსოს). შემდეგ ბავშვი თითოეულ მონეტას 5-თეთრიანზე გადაცვლის და ბანკში შეინახავს. სხვა თამაშიდან სხვა გზით მოპოვებულ ხურდასაც ბანკში ჩადებს. როდესაც ბავშვს ხურდა ფულის დათვლა და დახარისხება მოუწევს, ის შეძლებს სხვადასხვა მონეტის ერთმანეთისგან გარჩევას. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ხუთთეთრიანები დაუგროვდება, მათ 50-თეთრიანზე გადაცვლის. ბავშვი ძალიან გახალისდება, როდესაც სათამაშო აპარატებში (როგორცაა სავაჭრო აპარატები, ვიდეოთამაშების აპარატები) მონეტების გამოყენებას შეძლებს, ან 50-თეთრიანებს შეინახავს, მერე ლარიანზე გადაცვლის, საყიდლებზე წავა და რასაც მოინდომებს, იმას იყიდის. ხურდა ფულის გამოყენება სხვა თამაშებშიც შეგიძლიათ.

განძიც და სიამოვნებაც: თუ საქმე ეხება ბავშვს, რომლის მოტივირებაც საკმაოდ რთულია, მოგიწევთ „განძის“ გარდა ბავშვს ყუთში ისეთი რამ ჩაუდოთ, რაც მეტ სიამოვნებას მიანიჭებს (დამოუკიდებლად იმისგან, სწავლობს თუ არა კითხვას, ბავშვების უმრავლესობა მაინც იღებს წამახალისებელ საჩუქრებს. ნუ იგრძნობთ თავს დამნაშავედ). წაახალისეთ, როგორც თქვენ თვლით საჭიროდ და როგორც მოახერხებთ. ჩაუყარეთ ყუთში ბატიბუტი, კრეკერები, ჩიპსები, ქიშმიში, ხილი ა.შ. ეს ყველაფერი შეგიძლიათ ცელოფანში ჩადოთ და ისე ჩააწყოთ ყუთში. თუ გინდათ, რომ ბავშვი ისეთი რაღაცით წაახალისოთ, რისი ყუთში ჩადებაც არ ხერხდება, მაგალითად, იოგურტი, ხილის ნაყინი ან ხილის წვენი, შეგიძლიათ მათ კონტეინერებზე დაკრული ეტიკეტები ან ნახატები გამოიყენოთ. უმჯობესია, ამ სიტყვების კითხვა ასწავლოთ; მაშინ ბავშვი სიტყვების წაკითხვას შეძლებს და გეტყვით, რა მიიღო ჯილდოდ (მიეცით ბავშვს არჩევანის საშუალება, ყუთში ჩაუდეთ, მაგალითად, ნამცხვარი ან ნაყინი). გაკვეთილების შემდეგ

გემრიელად რომ წაიხემსოს, ბავშვს მოუწევს განძის მოსაძებნად წასვლა და საუზმის პოვნა.

განძი - სიურპრიზი: ჩადეთ ყუთში ნებისმიერი რამ, რაც ბავშვს დააინტერესებს. ყოველ ჯერზე ცვალეთ საგნები. მაგალითად, პატარა მანქანები, ცხოველები, და თოჯინები, მძივები, სამაჯური, კოვზები, სათითე, დასაწებებელი ბარათი, ფირი, ფლომასტერი, მზის სათვალე, ძველი ფოტოკამერა (რითაც ბავშვი ითამაშებს), ღილები (დისნეის მულტფილმების გმირების ნახატებით) ა.შ. ნამდვილი სიურპრიზების გამოყენებაც შეგიძლიათ, მაგალითად, დაბადების დღის საჩუქრების ჩემმა მოსწავლეებმა თვითონ მთხოვეს დაბადების დღის საჩუქრები ამ თამაშის საშუალებით მოეძებნათ.

განძი - სათამაშო: შეიძლება ყუთი საერთოდ არ გამოიყენოთ და ასეთი თამაში მოიფიქროთ: „იპოვე დათუნია“, „იპოვე თოჯინა ბარბი“ ან „იპოვე დინოზავრი“. დამალეთ ეს საგნები და ბავშვებმა მოძებნონ.

პროსპერები:

სამზადისი: თუ ბავშვს სამი ან ოთხი სიტყვის წაკითხვა შეუძლია, დაბეჭდეთ თითოეული საგნის სახელი ცალ-ცალკე ბარათ-გასაღებებზე. მაგალითად, დაბეჭდეთ ბარათ-გასაღებებზე სიტყვები: ტელევიზორი, სკამი, მაგიდა, ფანჯარა და ჩადეთ ისინი კონვერტებში. ბავშვი ოთახიდან გარეთ გაუშვით ან თვალეზე ხელი ააფარებინეთ და დაიწყეთ თამაში: კონვერტი, რომელშიც სკამის ბარათი-გასაღები დევს, მიაკარით ტელევიზორს (ამას ბავშვის დასახნად გააკეთებთ თუ პირიქით, დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და გამოცდილებაზე. პატარა და ნაკლები გამოცდილების მქონე ბავშვებს დაანახვეთ, სად აკრავთ კონვერტს, უფროსი ასაკის ბავშვებს კი დაუმალოთ „გასაღებები“); კონვერტი, რომელშიც მაგიდის ბარათი-გასაღები დევს, მიაკარით სკამის უკანა მხარეს ან სკამის ქვეშ). კონვერტი, რომელშიც ფანჯრის ბარათი-გასაღები დევს, მიაკარით მაგიდის ფეხს და მაგიდას ქვედა მხრიდან. ნაჭრით, ქალაღლით ან ფარდით დაფარული განძის ყუთი დადეთ ფანჯრის რაფაზე, სკამზე ან ფანჯრის ქვეშ იატაკზე, ისე, რომ ბავშვი ვერ ხედავდეს და ეძებოს, სანამ არ მიხვდება, სად მოძებნოს.

თამაში: მიეცით ბავშვს კონვერტი, რომელშიც ტელევიზორის ბარათი-გასაღები დევს. თუ საჭიროა, დაეხმარეთ და ასწავლეთ, როგორ ითამაშოს. უთხარით, რომ ერთი ბარათი მოაძებნინებს მეორე ბარათს, რომელიც განძის პოვნაში დაეხმარება. ჰკითხეთ: „რა წერია ბარათზე?“. ბავშვი გიპასუხებთ: „ტელევიზორი“. უთხარით, რომ მივიდეს ტელევიზორთან და მოძებნოს მეორე ბარათი-გასაღები. თუ ბავშვი ბარათს ვერ იპოვის, უთხარით, სად მოძებნოს ან აჩვენეთ, სად არის, ან ურჩიეთ, რომ ტელევიზორი ყველა მხრიდან დაათვალიეროს. ამ დროს ბავშვი სწავლობს.

როდესაც ბავშვი სკამის ბარათ-გასაღებს იპოვის (ტელევიზორზე), წაიკითხავს სიტყვას (სკამი), მივა სკამთან და მეორე ბარათი-გასაღების ძებნას დაიწყებს; როცა იმ ბარათ-გასაღებსაც იპოვის, ისევე წაიკითხავს ზედ დაწერილ სიტყვას და მივა მაგიდასთან; იქაც იპოვის ბარათ-გასაღებს, წაიკითხავს, მივა ფანჯარასთან და იპოვის განძს.

პირველ ჯერზე შეიძლება ბავშვთან ერთად თამაში მოგიხდეთ, რათა აჩვენოთ, როგორ ითამაშოს. მას დიდი დრო არ დასჭირდება იმისათვის, რომ გაერკვეს და თვითონ მოძებნოს ყველაფერი; ცოტა ხანში ის შეძლებს,

სხვებსაც ასწავლოს თამაში. ამ თამაშის დროს ბავშვი სწავლობს პრობლემების მოგვარებას, დავალებების შესრულებასა და გააზრებას. ამ დროს ბავშვს მეხსიერებაც უვითარდება; ის კითხულობს ბარათ-გასაღებებს და ყოველ ჯერზე იმახსოვრებს, რა მიმართულებით წავიდეს. თუ ვერ დაიმახსოვრებს, მიეცით უფლება, თან წაიღოს ბარათი-გასაღები, რაც დაენმარება შემდეგ გასაღებამდე მისვლაში.

ძალიან კარგია, თუ ბავშვი და-ძმასთან ან სხვა ბავშვებთან ერთად ითამაშებს. ეს მათთვის სახალისო იქნება და არ მოჰბეზრდებათ თამაში.

არჩევანი: ზემოთ აღწერილი თამაში განკუთვნილია მათთვის, ვინც რამდენიმე სიტყვის კითხვა იციან და მეტ და მეტ სიტყვას სწავლობენ (ან მათთვის, ვინც უკვე ბევრი სიტყვა იციან). ბარათ-გასაღებებზე ფრაზები დაწერეთ და საგულდაგულოდ დამალეთ. გამოსაყენებელი ფრაზების მაგალითებია: შეიხედე საშრობში; გახეხურაში; მაგიდის ქვეშ; ტელევიზორზე; წიგნის თაროზე; სააბაზანოში; ანდროს საწოლის ქვეშ; სამზარეულოს ნიჟარის ქვეშ; სასადილო ოთახის კარზე; საკუჭნაოში.

მიზანი #4: თამაშის დროს ბავშვი გაერთობა და თან ივარჯიშებს კითხვაში, საოჯახო სიტყვების გაგებასა და განზოგადებაში.

**ბანძის
სამიხბელი
ბებე. რუკა**

განძის საძიებელ გეგმაზე/რუკაზე მუშაობა ბავშვს ახალ უნარს განუვითარებს. ამ დროს ბავშვი სწავლობს გეგმის/რუკის გამოყენებას და აბსტრაქტული სივრცითი კავშირების გაცნობიერებას. გეგმა/რუკა ბავშვს დაენმარება მიმდებარე რაიონებში დამოუკიდებლად გადაადგილებასა და სკოლისკენ და სხვადასხვა ადგილებისკენ მიმავალი გზების მოძებნაში. შეადგინეთ ერთი ოთახის (რომელშიც ყველაზე მეტი ეტიკეტია) ან პატარა ოთახის (მაგალითად, სააბაზანოს) გეგმა/რუკა (პროექტი). ოთახში არსებული საგნების სახელები გეგმაში/რუკაზე დაბეჭდეთ. როდესაც ბავშვი გეგმაში/რუკაზე აღნიშნულ საგნებს ოთახში მოძებნის, სხვა ოთახის გეგმა/რუკა შეადგინეთ. ერთი ოთახის გეგმას/რუკას რომ აითვისებთ, მომდევნო ოთახზე გადადით და ბოლოს მთელი სახლისა და ეზოს გეგმა/რუკა შეადგინეთ.

გეგმაში/რუკაზე აღნიშნულია ის ადგილი, სადაც განძია დამალული და მოთამაშე რუკის საშუალებით იპოვის მას.

მასალები:

ქაღალდი, ფლომასტერები, სახაზავი; სტიკერები ან კალამი (მელანი, რომელიც ადვილად შორდება). ოთახების ნახაზი სტანდარტული ზომის ქაღალდზე (8½X11) შეადგინეთ; მთელი სახლის გეგმის ნახაზის შესადგენად უფრო დიდი ზომის ქაღალდი გამოიყენეთ.

როგორ გააკეთოთ:

შეადგინეთ ოთახის გეგმა-პროექტი (ზუსტი მასშტაბი არ არის აუცილებელი) მასში არსებული ავეჯის, კარების, ფანჯრებისა და საკუჭნაოს მოხაზულობით და დააკარით საგნების აღმნიშვნელი ეტიკეტები. შეგიძლიათ რუკას ლამინირებაც გაუკეთოთ. გამოიყენეთ ისეთი კალამი, რომლის მელანიც პლასტმასს ადვილად შორდება (ამ ასაკის ბავშვებთან გეგმის ლამინირება არ არის აუცილებელი). სტიკერისგან გამოჭერით პატარა კვადრატის ფორმის ეტიკეტი, დააწერეთ „X“ და დააკარით არალამინირებულ გეგმას/რუკას იმ ადგილას, სადაც განძია

დამალული. საჭიროების შემთხვევაში ამ ნიშანს გადაადგილებით ხოლმე და მომავალშიც გამოიყენებთ.

პროსპექტივი:

დაიწყეთ თამაში ოთახიდან. აჩვენეთ ბავშვს გეგმა/რუკა. თუ მან არ იცის სიტყვა გეგმა/რუკა, გააკეთეთ ამ სიტყვის ეტიკეტი, მიაკარით გეგმას/რუკას და დაწვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით ავარჯიშეთ სიტყვაზე, მანამ, სანამ არ შეძლებს სიტყვის წაკითხვასა და წარმოთქმას (ან მინიშნებას).

ასწავლეთ ბავშვს გეგმის გამოყენება. მაგალითად, ბავშვთან ერთად დადებით ოთახის კართან, აჩვენეთ მას გეგმაზე/რუკაზე კარი და უთხარით: „ჩვენ ვდგავართ აქ – ეს ნიშნავს კარს“. შემდეგ სთხოვეთ, გეგმაზე/რუკაზე დაკრული ეტიკეტები წაიკითხოს და ყოველი წაკითხვის შემდეგ გაჩვენოთ შესაბამისი საგნები ოთახში. მაგალითად, როდესაც ბავშვი გეგმაზე/რუკაზე დაკრულ ეტიკეტს კითხულობს, უთხარით: „დიახ, ეს არის მაგიდა; მაგიდა დგას მარჯვნივ (ხელი მარჯვნივ გაიშვირეთ); მაგიდა რომ ვიპოვოთ, ამ მიმართულებით უნდა წავიდეთ“ (თუ ბავშვმა არ იცის მარჯვენა და მარცხენა, გამოიყენეთ ეს მომენტი და ასწავლეთ. ინსტრუქციები იხილეთ ჩარჩოში). ბავშვთან ერთად მიდით მაგიდასთან და სთხოვეთ, რუკაზე ის ადგილი გაჩვენოთ, სადაც დგახართ. ასე განაგრძეთ სხვა საგნებთან მიმართებაშიც მანამ, სანამ ბავშვი კარგად არ გაიგებს თამაშის პრინციპს.

როცა ბავშვი ყველაფერში გაერკვევა, გაუშვით ოთახიდან, დამალეთ განძი ან სიურპრიზი, აღნიშნეთ გეგმაზე/რუკაზე განძის ადგილმდებარეობა (თუ გეგმა/რუკა არ არის ლამინირებული, გამოიყენეთ კალამი, თუ ლამინირებულია, ისარგებლეთ სტიკერით), მერე შემოიყვანეთ ოთახში, მიეცით გეგმა/რუკა და დაავალეთ განძის პოვნა.

მარცხენა და მარჯვენა მხარეების უსასწაული ამტვირთვა

ასწავლეთ ბავშვს, რომელია მარცხენა და მარჯვენა მხარე. ცარიელ სტიკერებზე დაბეჭდეთ სიტყვები – მარცხენა და მარჯვენა. დააკარით მარცხენა ხელის ზედა მხარეს მარცხენის აღმნიშვნელი სტიკერი და მარჯვენა ხელზე – მარჯვენა სტიკერი, ისე, რომ ბავშვმა სიტყვის წაკითხვა შეძლოს. ასწავლეთ სიტყვების – მარცხენა და მარჯვენა კითხვა ეტიკეტების დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით მარცხენა და მარჯვენა ხელზე მიკრულ სტიკერებთან.

თამაშიდან თამაშამდე სტიკერები შეგიძლიათ ბავშვს ხელზე დაუტოვოთ (ან ყოველი თამაშის დაწყებისას ახალი სტიკერები დააკრათ).

ბავშვს ორივე ხელში რაიმე საგანი დააჭერინეთ და ჰკითხეთ, რა უჭირავს მარცხენა ხელში; მარჯვენა ხელში? ან ჰკითხეთ, რომელ ხელში უჭირავს მანქანა; ფანქარი? (წააქებთ, რომ პასუხი სტიკერზე ამოიკითხოს.)

ათამაშეთ თამაში „გიგი ამბობს“. „გიგი ამბობს, აიღე ფანქარი მარცხენა ხელით; აიღე ფერადი ცარცი მარჯვენა ხელით“. სწორი პასუხებისას ბავშვს ქილაში ბურთულები ან ხურდა ჩაუგდეთ.

როდესაც ბავშვი ვინმეს გვერდით ზის, ჰკითხეთ: „ვინ ზის შენგან მარცხნივ? შენგან მარჯვნივ?“ ან ათქმევინეთ წინადადება: „მე ვდგავარ მარცხნივ, მამა -----“ და ნაკლულ წინადადებაში ცარიელი ადგილი შეავსებინეთ.

აიხვიეთ თვალები და სთხოვეთ ბავშვს, მიგიყვანოთ რაიმე ადგილამდე შემდეგი მითითებების დახმარებით: მოუხვიე მარცხნივ, მოუხვიე მარჯვნივ, იარე პირდაპირ“. შემდეგ ბავშვს აუხვიეთ თვალები და ამჯერად თქვენ დაეხმარეთ.

თვალების ახვევის გარეშე მიეცით ბავშვს ვერბალური მითითებები, როგორ იპოვოს განძი: „იარე პირდაპირ, ახლა მოუხვიე მარჯვნივ, გაჩერდი“.

დაუწერეთ მითითებები, როგორ გააწყონ მაგიდა: „ჩანგლები – მარცხნივ; დანა, კოვზი და ჭიქა მარჯვნივ“.

თუ ბავშვი სამაჯურს (პირადობის აღმნიშვნელი) ან საათს ატარებს, ზემოდან დააკარით პატარა სტიკერები წარწერით „მარცხენა“ ან „მარჯვენა“, რომ იცოდეს, რომელ მხარეს უკეთია ეს ნივთები.

ვარიანტი №1: მიეცით ბავშვს დავალება, დამალოს განძი და აღნიშნოს შესაბამისი ადგილი გეგმაში/რუკაზე; შემდეგ თქვენ ან (სხვა მოთამაშეები) შემოდით ოთახში და მოძებნეთ განძი.

ვარიანტი №2: დამალეთ სხვადასხვა საგანი, ან ერთი და იგივე საგანი რამდენიმე ადგილას და შესაბამისად გეგმაში/რუკაზეც რამდენიმე ადგილი აღნიშნეთ X-ით.

თოვლის ბაბუამ შეიძლება საჩუქრები გეგმა/რუკით დატოვოს და ბავშვებს პოვნაში დაეხმაროს.

ვარიანტი № 3: დამალეთ ბავშვის საუბმე, აღნიშნეთ შესაბამისი ადგილი გეგმაში/რუკაზე და დაავალეთ ბავშვს იპოვოს (განძი შეიძლება დამალოთ მაცივარში, გაზქურაში, ჭურჭლის სარეცხ მანქანაში, ჭურჭლის კარადაში – სადაც მოგესურვებათ).

უფასუბა

განსაზღვრეთ სიტყვების ცოდნა შემოწმების მეთოდით; სიტყვის გაგების უნარი თამაშში გაწაფულობის ხარისხით და კითხვის ტემპი წიგნების კითხვით.

**ბასართობი
ნასაპიოსი
მასალა**

მიზანი №5: ბავშვი საოჯახო სიტყვებს წინადადებებში წაიკითხავს; კითხვის უნარს განაზოგადებს და კითხვისგან სიამოვნებას მიიღებს.

მასალები:

წიგნის დასამზადებლად საჭირო მასალა; თამაში განძის ძებნა მოცემულია დანართში ე-1. ასლი ქაღალდზე გადაიტანეთ და ფურცლები წიგნად აკინძეთ. თუ სურვილი გექნებათ, გააფერადეთ.

პროსექტები:

ბავშვს ერთ ჯერზე ერთი მონაკვეთი წაუკითხეთ. თითოეული მონაკვეთიდან ის სიტყვები ასწავლეთ, რომლებიც არ იცის, მაგალითად, სიტყვები: და, კიდევ, ქვეშ, რა, თან. ისარგებლეთ სიტყვების დაწყვილების, არჩევისა და სურათების გარეშე დასახელების მეთოდით. გამოიყენეთ ეტიკეტების ორი კომპლექტი (იხ. მე-8 თავი).

წაუკითხეთ ტექსტი თავიდან ბოლომდე ბავშვს იმ მიზნით, რომ კარგად აღითქვას. შემდეგ კიდევ წაუკითხეთ და გაჩერდით იმ სიტყვაზე, რომლის კითხვაც არ იცის, არჩენთ სიტყვა და წააკითხეთ. სიტყვების ათვისების შემდეგ ბავშვი დამოუკიდებლად შეძლებს ტექსტის წაკითხვას.

თუ ამ ეტაპზე ბავშვისთვის წიგნი რთულია, მაინც წაუკითხეთ ის. ბავშვი გაიგონებს იმ სიტყვებს, რომლებსაც მარტივი მოთხრობების კონტექსტში სწავლობს (თუ მონდომებს, გამოიყენებს იმ სიტყვებს, რომლების კითხვაც შეუძლია, ან იმ სიტყვებს, რომლებიც მათ ერიტმება).

დააკარით საკლასო ოთახში არსებულ ნივთებს ეტიკეტები, დაყავით ბავშვები პატარა ჯგუფებად და ათამაშეთ თამაში „განძის ძებნა“. დაიწყეთ თამაში საკლასო ოთახის გემით/რუკით და მერე დაამატეთ სკოლისა და ეზოს რუკა. გაგზავნეთ მოსწავლეები დავალებებით მთელი სკოლის მასშტაბით. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეს მესამე კლასის საკლასო ოთახში წერილის წაღება დაავალოს. მასწავლებელმა შეიძლება ბავშვს ოთახისკენ მიმავალი გზა დაუხაზოს და აუხსნას, როგორ მივიდეს იქამდე. მან შეიძლება უთხრას ბავშვს: „გადი ოთახიდან. გაუხვიე მარჯვნივ. მარცხენა მხარეს მესამე კარი #10 მესამეკლასელთა საკლასო ოთახია. სანამ დააკაკუნებ, შეხედე კარს და მოძებნე ნომერი.“ მასწავლებელს, რა თქმა უნდა, შეუძლია ყველა ეს მითითება წერილობით მისცეს ბავშვს.

**საკლასო
ოთახთან
ადაპტირება**

საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა. თვითშეფასება

ყოველი ჩვენგანი საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციას რეგულარულად კითხულობს ან სხვას აწვდის. ექიმთან ვიზიტის დროს ვაგვსებთ ავადმყოფობის ისტორიას, სამსახურში მუშაობის დაწყებისას სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას. ავთიაქში ვეძებთ ჩვენი თმის ფერისა და ტიპის შესაფერის შამპუნებს, თმის საღებავს ან წამალს, რომელიც დისკომფორტს მოგვიხსნის. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებსაც უნდა ჰქონდეთ ისეთი სიტყვების წერა-კითხვის შესწავლის შესაძლებლობა, რომელთა მეშვეობით დაახასიათებენ საკუთარ თავს, ქმედებებსა და ინტერესებს.

ამ თავში გავრცობილია მე-8 თავში მოცემული გაკვეთილები (საოჯახო სიტყვებზე). ამ გაკვეთილებში ახსნილია, თუ როგორ უნდა ასწავლოთ ბავშვს საკუთარი სახელის, ოჯახის წევრების, ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ მარტივი მოთხრობების კითხვა. აქ აღწერილია ის აქტივობები, რომელთა მეშვეობით ბავშვი სხეულის ნაწილების, სქესის, ჯანმრთელობის შესახებ და სხვა პიროვნულ საკითხებთან დაკავშირებული სიტყვების კითხვას სწავლობს. სკოლასთან ადაპტაცია საშუალებას გვაძლევს, ყურადღება გავამახვილოთ სკოლის, თანაკლასელებისა და სასკოლო განრიგის სწავლებაზე. როგორც სხვა თავებში, აქაც საჭირო გახდება წიგნებისა და საკითხავი მასალის ბავშვზე მორგება. სწავლების პროცესში ბავშვები უნდა უზრუნველყოთ დამატებითი წიგნებით, რომლებიც მოიცავენ ბავშვის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც თავად ბავშვმა უნდა იცოდეს, აცნობიერებდეს და მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

მიზანი: ბავშვი სხეულის ნაწილებისა და სქესის შესახებ სიტყვების მარაგს გაიმდიდრებს; საკუთარი თავის შესახებ წიგნს წაიკითხავს და საკუთარი სხეულისა და საკუთარი თავის შესახებ ცნობიერებას აიმაღლებს.

საკუთარი თავის

დასახასიათებლად

საჭირო სიტყვების

ბაცნობა:

ათვისება

ბავშვი დააწყვილებს, აარჩევს და დაასახელებს სხეულის 12 ნაწილის ამსახველ სიტყვებს და სურათებისა და ეტიკეტების გამოყენებით აითვისებს სიტყვებს: გოგო და ბიჭი.

მასალები:

სიტყვების ბიჭი და გოგო და სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვების შესაბამისი ეტიკეტები და სურათები (ნებისმიერი ნაწილის, რომლის კითხვაც გინდათ, რომ ისწავლოს – თმა, თვალები, ცხვირი, პირი, ყურები, კისერი, ტანი, ხელები, მკლავები, მუცელი, ფეხები, ტერფები; მუყაოზე გადასატანი სიტყვების ამსახველი სურათები და ეტიკეტები მოცემულია დანართებში გ-9 და გ-10.

პროსაფურცლი:

ასწავლეთ სხეულის ნაწილებისა და სქესის აღმნიშვნელი სიტყვები დაწვრილების, არჩევისა და დასახელების მეთოდის გამოყენებით და ეტიკეტებისა და სურათების ან ეტიკეტების ორი კომპლექტის დახმარებით.

ანბანის წიგნებს, ბინგოს თამაშებსა და სხვა სახის ანბანურ თამაშებს დაამატეთ ახალი სიტყვები ისე, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. ასევე დაამატეთ ახალი სიტყვები და ასო-ბგერები სიტყვების ბანკს და გამოიყენეთ მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი შემოწმების მექანიზმი, რომელიც ახალი სიტყვებისა და ასო-ბგერების პროცენტული რაოდენობის განსაზღვრის საშუალებას მოგცემთ.

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული გამოყენება, სიტყვების გაგება და განზოგადება

ლოტო სხეულის ნაწილების შესახებ

მიზანი #2: ბავშვი სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაში ივარჯიშებს და სხეულის ნაწილების სიმბოლოების სიტყვებთან დაწვრილებით სიტყვების გაგების უნარს გამოავლენს.

მასალები:

შეადგინეთ ლოტო და გ-10 დანართში მოცემული სურათების ასლები დისკეტებსა და ბარათებზე გადაიტანეთ (ასლებზე ნახატების ზომა დააპატარავეთ). ნახატები თქვენ თვითონაც შეგიძლიათ დახატოთ.

პროსაფურცლი:

მიეცით ბავშვს ლოტოს თამაშის საშუალება, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვებთან ერთად.

ბინგოს თამაში სიტყვებს: ბიჭი.პოპო

მიზანი #3: ბავშვი ივარჯიშებს სქესის აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში; სიტყვებს შემდეგნაირად გაანაწილებს: სიტყვა „გოგოს“ სვეტში ჩასვამს მდებარეობითი სქესის სახელებს და სიტყვა „ბიჭის“ სვეტში – მამრობითი სქესის სახელებს (თუ ბავშვი უფროსი ასაკისაა, ასწავლეთ სიტყვები „მდებარეობითი“ და „მამრობითი“).

მასალები:

ბინგოს თამაშებისთვის საჭირო ფორმები (იხ. დ-4 დანართი) მუყაოზე გადაიტანეთ. ამ ორსვეტიან ფორმაში ერთი სვეტის ზემოთ დაბეჭდეთ სიტყვა „ბიჭები“ (ან მამრობითი სქესი), მეორე სვეტის ზემოთ – სიტყვა „გოგონები“ (მდებარეობითი სქესი). სვეტში ცარიელი ადგილები დატოვეთ. გამოიყენეთ საოჯახო სიტყვების, სახლის ცხოველების, სხვა სახელების (რომლების კითხვაც ბავშვმა იცის) შესაბამისი ეტიკეტები.

პროსაფურცლი:

აჩვენეთ ბავშვს, როგორ დაახარისხოს ბარათები, მდებარეობითი სქესის სახელები „გოგონების“ სვეტში ჩასვით, მამრობითი სქესის სახელები – „ბიჭების“ სვეტში. როცა ბავშვი ბარათს დახატავს, შესაბამისი სქესის სვეტში ჩასვამს. გამოიყენეთ ყველა სახელი, რისი კითხვაც ბავშვს შეუძლია: სახლის ცხოველები, ბები, ბაბუა, მეგობრები და სხვა. ბარათების შევსების შემდეგ ბავშვი წაიკითხავს სახელებს, მაგალითად, „ბიჭების“ სვეტში – მამა, დავითი, ანდრო, გელა და ბაბუა: „გოგონების“ სვეტში – დედა, ნინო, თეკლე და ბები.

**აღამიანის
მოღვაწე**

მიზანი №4: ბავშვი ივარჯიშებს ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში (სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები დაბეჭდილი იქნება სტიკერებზე, რომლებიც მიკრული იქნება სხეულის სხვადასხვა ნაწილზე ან მათთან ახლოს, ან პლაკატზე, ან დიდ თოჯინაზე) ამ სიტყვების სხეულის ნაწილებთან დაწყვილებით.

მასალები:

სტიკერები (ან სხვა სახის მოსახსნელი ეტიკეტი) სხეულის ნაწილების სახელებით; რომელიმე ადამიანი, რომელსაც სტიკერებს მიაკრავენ (ეს ადამიანი თქვენც შეიძლება იყოთ), ან პლაკატი ადამიანის გამოსახულებით, ან დიდი თოჯინა.

პროსაფურცლი:

აჩვენეთ ბავშვს, როგორ უნდა დაგაკრათ სტიკერები ან თქვენ (ან პლაკატს ან თოჯინას). შემდეგ ბავშვს მიეცით სტიკერები, რომლებსაც ან თქვენ დაგაკრავთ სხეულის ნაწილებზე (თმის აღმნიშვნელ სტიკერს თმაზე, კისრის სტიკერს – კისერზე ა.შ.), ან პლაკატს ან თოჯინას. თვალებისა და პირის აღმნიშვნელ სტიკერებს ისრები დაახატეთ და ამ ადგილებთან ახლოს მიიკარით. თამაში ისე წარმართეთ, რომ თქვენთვის მოსახერხებელი იყოს და ბავშვისთვის სახალისო. დარწმუნებული ვარ, ბავშვები ძალიან გაერთობიან, როდესაც სტიკერებით დაფარული აქეთ-იქით ივლით და, მაგალითად, ასეთ ფრაზას იტყვით: „მე მოსიარულე წიგნი ვარ.“

ვარიანტი №1: დაბეჭდეთ სტიკერზე სიტყვა და დასვით კითხვა: „რა არის ეს?“. ბავშვი გიპასუხებთ: „ცხვირი“. შემდეგ თქვენ ეტყვით: „დამაკარი ცხვირზე“.

ვარიანტი №2: სტიკერებისგან შეადგინეთ წიგნი. მიეცით ბავშვს უფლება, თითოეული სტიკერი ამოხიოს და სხეულის ნაწილებზე დაგაკრათ.

ვარიანტი №3: სთხოვეთ ბავშვს, დაასახლოს ან თითოთ მიგანიშნოთ სხეულის რომელიმე ნაწილი. სხეულის ამ ნაწილის სახელი ეტიკეტზე დაბეჭდეთ, მიეცით ბავშვს და უთხარით: „ეს არის ხელი, დამაკარი ხელზე“.

**მომზადების
თავაზი**

მიზანი №4: „ავადმყოფობის ისტორიის“ შევსების მეშვეობით ბავშვი ივარჯიშებს სხეულის ნაწილებისა და სქესის აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში.

მასალები:

ექიმის იარაღების კომპლექტი; პაციენტის „გასასინჯად“ საჭირო მაგიდა (ზედ დასაფენით); აბრა – „ექიმი კაბინეტი“; სამკერდე ნიშანი წარწერით (მაგ. ექიმი დოლო ურუშაძე, დაწერეთ სახელიც და გვარიც); დაფა ან სქემების მისაკრავად საჭირო სხვა საშუალებები (იხ. დანართი დ-16); რეცეპტების ფორმები (იხ. დანართი დ-17). გადაიღეთ „ავადმყოფობის ისტორიის“ და ფორმების ასლები. საზოგადოდ, დაუნის სინდრომიან ბავშვებს უყვართ ექიმობანას თამაში. ჩვეულებრივ, მათ ექიმებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვთ.

პროსპექტივი:

1. მოაწყვეთ „ექიმის კაბინეტი“ პაციენტის გასასინჯი მაგიდით და აბრით „ექიმი კაბინეტი“. გაუკეთეთ ბავშვს სამკერდე ნიშანი ექიმის სახელით: „ექიმი ----“. 2. აჩვენეთ ბავშვს „ავადმყოფობის ისტორიის“ ფორმა და ასწავლეთ მისი გამოყენება. თავიდან შეგიძლიათ ექიმის როლი თქვენ შეასრულოთ ან ბავშვს დაეხმაროთ და მისცეთ მითითებები. უთხარით, რომ აუცილებელია ექიმმა შეავსოს „ავადმყოფობის ისტორია“ და იცოდეს, ვის ეკუთვნის ის. აჩვენეთ ბავშვს სამკერდე ნიშანი „ექიმი“ და უთხარით, სად დააწეროს სახელი (მიეცით სამკერდე ნიშანი სახელით; ან თუ ბავშვს უნდა, თვითონ დააწეროს სახელი); ასწავლეთ, როგორ შეავსოს ფორმა – „ბიჭები“ და „გოგონები“; სად ჩაწეროს სქესი; როგორ შეავსოს „ავადმყოფობის ისტორია“ და როგორ აღნიშნოს სხეულის თითოეული ნაწილის მდგომარეობა (ექიმი „სინჯავს“ სხეულის ყველა ნაწილს და ეკითხება პაციენტს: „გული გაწუხებთ? ყურები გტკივთ? თვალები გტკივთ? კისერი გტკივთ? ფეხები გტკივთ?; პაციენტი პასუხობს, რომ ვითომ სხეულის ზოგიერთი ნაწილი სტკივა, ზოგი – არა). „გასინჯვის“ შემდეგ ექიმი რეცეპტს გამოწერს (ექიმი ჩანიშნავს, რა სჭირდება პაციენტს: ინექცია, აბები თუ თხევადი მედიკამენტები). (3) ასწავლეთ ბავშვს, როგორ ითამაშოს ექიმობანა და-ძმასთან ან მეგობრებთან ერთად.

ყველაფერი ჩემ შესახებ: გასართობი და ინფორმაციული კითხვა

მიზანი №5: ბავშვი ივარჯიშებს წინადადებების კითხვაში საკუთარი თავის შესახებ წიგნის კითხვით, რომელიც მოიცავს სხეულის ნაწილების სახელებს და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მასალები:

შეადგინეთ ინდივიდუალური წიგნი ე-2 დანართში მოცემული ნიმუში გვერდების მიხედვით და დაამატეთ ბავშვის პირადი ინფორმაცია. ნახატები საჭიროებისამებრ შეცვალეთ – ისარგებლეთ თქვენი საკუთარი ფოტოებით.

წიგნის გვერდების ტიპური მაგალითებია:

მე ვარ გოგონა (ან ბიჭი).

მე მქვია - - - -

მე ვარ - - - წლის.

მე ყავისფერი (ან ცისფერი ან მწვანე – რა ფერის თვალიც აქვს ბავშვს) თვალები მაქვს.

მე (მოკლე, გრძელი, ხუჭუჭა, შავი – ფერი აარჩიეთ ბავშვის თმის ფერის მიხედვით) თმა მაქვს.

მე მაქვს ერთი ცხვირი, ორი ყური და ბევრი კბილი.

ჩემი კისერი ტანს თავთან აკავშირებს.

მე დიდი ფეხი მაქვს (ბავშვის ფეხის ზომის მიხედვით).

მე დიდი ხელი მაქვს (ბავშვის ხელის ზომის მიხედვით).

პროსექტორი:

ასწავლეთ ბავშვს წიგნის კითხვა. ბავშვისთვის უცნობი სიტყვების შესასწავლად გამოყენეთ დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდი.

შეფასება:

გაზომეთ სიტყვის ათვისების უნარი მე-8 თავში აღწერილი შემოწმების მეთოდით; სიტყვის გაგებისა და განზოგადების უნარი - თამაშებში და წიგნის კითხვის დროს ბავშვის პასუხების მიხედვით.

**საკლასო
ოთახთან
ადაპტირება**

საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენისა და თვითშეფასების გაკვეთილები ყოველი კლასის კურიკულუმის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. ინტეგრირებულ კლასში, რომელშიც სხვა მოსწავლეები თავიანთ ავტობიოგრაფიებს წერენ, დაეხმარეთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს საკუთარი თავის შესახებ წიგნის შედგენაში მისი აღქმის უნარის დონის გათვალისწინებით და ასწავლეთ წიგნის კითხვა. შეიძლება დაიწყოთ მარტივი რვეულით და განავრცოთ ბავშვის განვითარების შესაბამისად.

**ადაპტირება უფროსი
საკლასო და უფრო
მეტი ლექსიკონი
მარაგის მქონე
მონსტრალექსიკონის**

ასაკის მატებასთან ერთად დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს თავისი თავის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩაწერილი უნდა ჰქონდეს სამუშაო რვეულში ან სხვა სახის წიგნში, რომელიც დამატებებისა და ცვლილებების შესატანად არის განკუთვნილი. ამ სახის ინფორმაციის ფლობა ბავშვს დამოუკიდებლობის გრძობას უყალიბებს, ცოდნას უმდიდრებს და ორგანიზებულს ხდის. ინფორმაცია მარტივად უნდა იყოს დაწერილი და დახარისხებული, რათა ბავშვმა შეძლოს მისი წაკითხვა და გაგება, ადვილად მოძებნა და გამოყენება. ამ დროს მიზანშეწონილია რვეულის სანიშნის გამოყენება. თუ ინფორმაცია ადვილად მოსაძებნია, ხელმისაწვდომია, ბავშვს არ მოუწევს მისი დამახსოვრება და შეძლებს მოძებნას მაშინ, როცა დასჭირდება.

მე მქვია: _____

ჩემი დაბადების დღეა: _____

ჩემი მისამართია: _____

ჩემი ტელეფონის ნომერია: _____

ჩემი მშობლები არიან: _____

ჩემი მშობლების მისამართია: _____

ჩემი მშობლების ტელეფონის ნომერებია: _____

საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა/თვითშეფასება

ჩემი კურატორია: _____
 ჩემი კურატორის მისამართია: _____
 ჩემი კურატორის ტელეფონის ნომერია: _____
 ჩემი ძმები არიან: _____
 ჩემი დები არიან: _____
 ჩემი სკოლაა: _____
 მე ვმუშაობ: _____
 ჩემი სამსახურის მისამართია: _____
 ჩემი სამსახურის ტელეფონის ნომერია: _____

პირადი ინფორმაცია:

ჩემი საყვარელი ნივთებია: _____
 ჩემი საყვარელი მუსიკაა: („როკ“
 როლი“, კლასიკური მუსიკა, მელოდიები
 სპექტაკლებიდან: _____
 ჩემი საყვარელი ჯგუფია
 (შემსრულებელია): _____
 ჩემი საყვარელი სიმღერაა: _____
 ჩემი საყვარელი ფერია: _____
 ჩემი საყვარელი ყვავილია: _____
 ჩემი საყვარელი საჭმელებია: _____
 ჩემი საყვარელი ტანსაცმელია: _____
 ჩემი საყვარელი ტელეშოუა: _____
 ჩემი საყვარელი ვიდეოა: _____
 ჩემი საყვარელი კანფეტია: _____

ზომები:

მე ვიწონი-----კილოგრამს.
 ჩემი სიმაღლეა-----სმ
 ჩემი შარვლის ზომა _____
 ჩემი კაბის ზომა _____
 ჩემი ფეხსაცმლის ზომა _____

რისი კეთება მიყვარს:

მე მიყვარს პიცის მომზადება. ამის სპეციალისტი ვარ.
 მე მიყვარს ცურვა. ცურვაზე სამშაბათობითა და ხუთშაბათობით დავდივარ.
 მე მიყვარს ოლიმპიადებში მონაწილეობა. ვცურავ და სირბილში ვვარჯიშობ.
 მოგებული მაქვს ორი „ცისფერი ლენტი“.
 მე მიყვარს ტელევიზორის ყურება, კომპიუტერული თამაშებით თამაში,
 წვეულებებზე სიარული, მეგობრების დაპატიჟება, ცეკვა, ველოსიპედით
 სიარული.

სამედიცინო ინფორმაცია:

მე დავიბადე _____ სამშობიაროში

ქალაქ _____
მე დავბადე-----დღეს
(დაბადების რიცხვი, კვირის დღე) _____
მე დავბადე დროზე ადრე (ერთი თვით ადრე; ან თავის დროზე)
მე მაქვს დაუნის სინდრომი. დაუნის სინდრომის ამ ფორმას ჰქვია ტრისომია 21.

ჯანმრთელობის მდგომარეობა:

(საავადმყოფოში ყოფნის, ქირურგიული ოპერაციების თარიღები)
ინექციებს მიკეთებენ (რიცხვი): (იმუნიზაცია)
მე მაქვს-----
ჯგუფის სისხლი
ჩემი სადაზღვევო კომპანიაა _____
მე ვსვამ გულის აბებს დღეში ორჯერ. საუზმის დროს და ძილის წინ
ჩემს აბებს ჰქვია (წამლის სახელი) _____

ალერგია:

მე ალერგია მაქვს კვერცხზე. როცა კვერცხს ვჭამ, მაყრის.

ოჯახის შესახებ ინფორმაცია:

ეს განყოფილება უნდა მოიცავდეს ბავშვის ოჯახის წევრებისა და მეგობრების შესახებ ინფორმაციას. ეს ბავშვს ურთიერთობების დამოუკიდებლად დამყარებისა და შენარჩუნების უნარს უვითარებს.

ოჯახის შესახებ ინფორმაციის მავალითები:

ოჯახის წევრებისა და მეგობრების სახელები (შეიძლება კატეგორიულად იყოს დაყოფილი – მშობლები, ბებიები და ბაბუები; და-ძმა; დეიდები, ბიძები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები).

მათი მისამართები და ტელეფონის ნომრები.

მათი დაბადების დღეები (ყოველი წლის დასაწყისში მოზარდი ჩაიხედავს რვეულში, აღნიშნავს დაბადების დღეებს კალენდარში და დაგეგმავს, როდის იყიდოს მისალოცი ბარათები და საჩუქრები).

სხვა განსაკუთრებული დღესასწაულები (დედის დღე, მამის დღე, ვალენტინობა, მშობლებისა და და-ძმის საიუბილეო თარიღები)

მოზარდის საყვარელი ფერი, ყვავილი, კანფეტი, მუსიკა და ისეთი რამ, რაც ბავშვს მოსწონს ან არ მოსწონს (დეიდა მარტას უყვარს მინდვრის ყვავილების შეგროვება; ბაბუას უყვარს „ქანთრის“ ტიპის მუსიკა და არ უყვარს „როკ'ნ როლი“).

მოზარდის სვიტერის ზომა (ან სხვა მსგავსი რამ)

(კარგი იქნება, თუ მოზარდი დაურეკავს ამ ადამიანებს და თვითონ შეაგროვებს ინფორმაციას მათგან. ამ გზით მოზარდი მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების შესახებ ამბებს გაიგებს, ურთიერთობების წარმართვას შეძლებს და პასუხისმგებლობის გრძნობა გაუჩნდება).

მირჩევნია, რვეული წავიღო

თვრამეტი წლის ბენიამინი, რომელიც ორი სხვადასხვა სახის წამალს სვამს, ამხანაგთან ღამის თევით დაპატიჟეს. სანამ წავიღოდა, დედას უთხრა: „მირჩევნია, რვეული წავიღო“. რვეულის დანმარებით ის საკუთარ თავზე აიღებდა წამლის დაღვევის პასუხისმგებლობას და თუ საჭირო გახდებოდა, მასპინძლებს სხვა სახის ინფორმაციასაც მიაწვდიდა. ბენიამინისთვის რვეული დამოუკიდებლად მოქმედებისა და დაცულობის გარანტია იყო.

თვალთვალ აქტიური სიტყვების სწავლა

თუ ბავშვებს არა აქვთ თავიანთი შეგრძნებების სიტყვით გადმოცემის უნარი, შესაძლოა, მათ არაადეკვატურად გამოხატონ ემოციები: დაიწყონ კბენა, ყვირილი, კივილი, გაშეშდნენ ან ნაჭრის თოჯინასავით მოწყვეტით დაეცნენ ძირს. შეგრძნებებთან დაკავშირებული სიტყვების სწავლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკითხავი სიტყვების მარაგის გამდიდრების, არამედ შეგრძნებების იდენტიფიცირებისა და მათი შესაბამისად გამოხატვის მიზნით. ეს თავი დაეხმარება ბავშვებს შეგრძნებების იდენტიფიცირებასა და მათთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.

მიზანი: ბავშვი გაიმდიდრებს შეგრძნებების აღმნიშვნელი და შეგრძნებებთან დაკავშირებული სიტყვების მარაგს; მას განუვითარდება შეგრძნებების იდენტიფიცირების უნარი და შეისწავლის მათი გამოხატვის სტრატეგიებს.

მიზანი №1: ბარათებისა და სურათების მეშვეობით ბავშვი დააწყვილებს, აარჩევს და დაასახელებს შეგრძნებების აღმნიშვნელ სიტყვებს.

**შეგრძნების
აღნიშვნელი
სიტყვების
ბასწობა:
ათვისება**

მასალები:

სურათები (გრაფიკული ნახატები) და ბარათები სიტყვებით: *ბედნიერება, მოწყენილობა, გაბრაზება, მარტობა, შიში, წუხილი, დაღლა, სიცხისა და სიცივის შეგრძნება*. გ-11 დანართში მოცემული ბარათებისა და გ-12 დანართში მოცემული ნახატების ასლები გადაიტანეთ მუყაოზე და დაყავით ბარათებად და სურათებად.

აქტივობები:

სიტყვების ათვისების ეტაპზე ბავშვებს გააცანით და ასწავლეთ ეს სიტყვები დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით და თანდათან დაამატეთ ახალი სიტყვები. ახალი სიტყვების გაცნობისთანავე ესაუბრეთ ამ სიტყვებით აღნიშნულ შეგრძნებებზე; აჩვენეთ, თქვენ როგორ გამოხატავთ გარკვეულ ემოციას და ბავშვსაც დაეხმარეთ იმავეს გაკეთებაში. ესაუბრეთ და აჩვენეთ ბავშვს, თქვენ რას აკეთებთ მსგავსი შეგრძნებების დროს (თუ დახმარება დაგჭირდათ, იხ. „შარადა“ გვ. 177).

დაამატეთ ახალი სიტყვები და ასოები ანბანის წიგნებს, ბინგოს თამაშებსა და სხვა ანბანურ თამაშებს, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები სიტყვების ბანკს და მოსინჯეთ მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი პროცედურების მიხედვით. ახალი სიტყვებისა და ასოების რაოდენობის გაზომვის ორიენტირად მოსინჯვის მექანიზმი გამოიყენეთ.

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული გამოყენება, სიტყვების ბაბუბა და განზოგბაღბა

**შეგრძნებების
აღნიშვნული
სიტყვებით ლოტოს
თამაში**

მიზანი #2: ბავშვი ივარჯიშებს შეგრძნებების აღმნიშვნელი სიტყვების კითხვასა და გავებაში ამ სიტყვების გრაფიკულ ნახატებთან დაწყვილების მეშვეობით.

მასალები:

შეადგინეთ ლოტო. გადაიტანეთ გ-12 დანართის ასლი მუყაოზე; გამოჭერით გამოსახულებები და ყდას დააწებეთ. დაბეჭდეთ სიტყვები ლოტოს ფორმებზე. დაარქვით მას „ლოტო შეგრძნებების აღმნიშვნელ სიტყვებზე“.

აქტივობები:

ასწავლეთ ბავშვს ლოტოს თამაში და მიეცით საშუალება, ითამაშოს როგორც მარტო, ასევე სხვებთან ერთად.

თამაში - შარაღა

მიზანი N#3: შარადის თამაშის დროს ბავშვი ივარჯიშებს შეგრძნებების აღმნიშვნელი სიტყვების კითხვასა და გავებაში „შეგრძნებების გამონატვის“ მეშვეობით.

მასალები:

ორი კოლოფი ან კალათა: ერთ კოლოფში იქნება შეგრძნებების აღმნიშვნელი გრაფიკული ნახატები, მეორეში – ბარათები შესაბამისი სიტყვებით.

აქტივობები:

აჩვენეთ ბავშვს, როგორ ითამაშოს შარაღა: მოთამაშეები ერთი კოლოფიდან გრაფიკულ ნახატებს ამოიღებენ, მეორიდან – ბარათებს (ნახატები და სიტყვები შეიძლება მონაცვლეობით ამოაღებინოთ, ან მონეტა ააგდებინოთ. თუ მონეტა ზედაპირით, ანუ გამოსახულებით დაეცემა, ნახატების კოლოფიდან ამოიღონ ნახატები, თუ უკანა მხარით, ანუ ზურგით დაეცემა – ბარათების კოლოფიდან). მოთამაშეებმა უნდა „გამონატონ“ შეგრძნებები; ბარათების შესაბამისი შეგრძნებები.

შევიძლიათ ბავშვს შეგრძნებების გამოსახატავად შემდეგი შესტები ასწავლოთ: გაბრაზება – ფხების ბაკუნი ან ფხებზე ხელების დარტყმა (თვითონ შეარჩიეთ, რომელი შესტი უფრო კომფორტულია ბავშვისთვის, რომ არ გაღიზიანდეს, არ გაიქცეს ან უარი არ თქვას დავალების შესრულებაზე); მარტობა – ვითომ ყურმილს იღებს და ვილაცას ურეკავს, ან მოთამაშეებს ხელით ანიშნებს, რომ მასთან მივიდნენ; ბედნიერება – ღიმილით ან ტაშის შემოკვრით; მოწყენილობა – მოწყენილი გამომეტყველებით, ქვემოთ დაშვებული ტურნებით, ან თვლების სრესით, თითქოს ტირის. ცუდად ყოფნა – ერთმანეთზე შეტყუებულ ხელებზე თავს დებს, თითქოს დაწოლა უნდა; სიცივის შეგრძნება – ხელებს შემოიხვევს და ტანზე ისვამს, თითქოს თავის გათბობას ცდილობს

ან ვითომ კანკალებს, ან ვითომ პალტოს იცვამს, ან საბანს იხვევს; სიცხის შეგრძნება – ხელს ისვამს სახეზე, ვითომ ოფლს იწმენდს, ან ხელით ინიავებს, ან ტანსაცმელს იხდის; შიში – გაფართოებული თვალები და გაღებულ პირი, თითქოს ყვირილს აპირებს, ან ზემოთ აწეული ხელებით თითქოს თავის დაცვას ცდილობს ან უკან-უკან იხევს, თითქოს გაქცევას აპირებს; დაღლილობა – ღრმად ამოსუნთქვა, ამოხვრა ან მძიმედ დავარდნა.

**შეზღუდვების
აღნიშვნელი
სიტყვების ნიშნი:
ბასარტოვი და
ინფორმაციული
საკითხავი მასალა**

მიზანი #4: ბავშვი წაიკითხავს შეგრძნებებისა და მათი გამოხატვის შესახებ წიგნს (ბავშვი მოუსმენს და თვალყურს ადევნებს უფროსების მიერ წაკითხულ ტექსტს).

მასალები:

წიგნი „მე ვიცი, რა გავაკეთო“ – შეადგინეთ წიგნი შეგრძნებების შესახებ. ილუსტრაციებად შეგიძლიათ ბავშვის ნახატები და ფოტოები გამოიყენოთ. რჩევა: წიგნში იმ გვერდზე, სადაც „შეგრძნებია“ ასახული, შესაბამისი ნახატი ჩასვით; ხოლო იმ გვერდზე, რომელზეც ნაჩვენებია, რა უნდა გავაკეთოთ ბავშვმა, მოსწავლის ფოტო გამოიყენეთ, რომელზეც ის შესაბამის მოქმედებას ასრულებს.

მე ვიცი, რა უნდა გავაკეთო (სავარაუდო ტექსტი):

როდესაც ბედნიერი ვარ, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (ბედნიერი სახის ამსახველი გრაფიკული ნახატი). ვმღერი, ტაშს ვუკრავ და გილიმი (ფოტო, რომელზეც ბავშვი ტაშს უკრავს და ილიმის).

როდესაც მარტოდ ვგრძნობ თავს, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (მარტოობის შეგრძნების ამსახველი გრაფიკული ნახატი). ამხანაგს ვურეკავ და ვეუბნები: „შენთან თამაში მინდა“ (ბავშვის ფოტო, რომელიც ტელეფონით ლაპარაკობს).

როდესაც გაბრაზებული ვარ, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (გაბრაზების აღმნიშვნელი გრაფიკული ნახატი). ღრმად ამოვიოხრებ და გეტყვი: „მე გაბრაზებული ვარ! შენც გაბრაზებული ხარ?“ (ფოტო, რომელზეც ბავშვი ლაპარაკობს).

როდესაც დაღლილი ვარ, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (დაღლილობის ამსახველი გრაფიკული ნახატი). გეტყვი: „ცოტა ხნით შევისვენებ, დასვენება მჭირდება“ (ფოტო, რომელზეც ბავშვი ისვენებს).

როდესაც ცუდად ვარ, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (ულონობის/ავადმყოფობის ამსახველი გრაფიკული ნახატი). დავწვები და გეტყვი: „შენი დახმარება მჭირდება“ (ფოტო, რომელზეც ბავშვი წევს).

როდესაც მოწყენილი ვარ, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (მოწყენილობის ამსახველი გრაფიკული ფოტო). ვტირი და ვეუბნები: „მოწყენილი ვარ, ვსლუკუნებ“ (ფოტო, რომელზეც ბავშვი თავს იკატუნებს, ტირის).

როდესაც მეშინია, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (შიშის ამსახველი ფოტო). დედასა და მამასთან მივრბივარ და ვეუბნები: „თქვენთან ახლოს მინდა ყოფნა“ (ფოტო, რომელზეც ბავშვი მშობლებს ეხუტება).

როდესაც მცივა, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (სიცხის შეგრძნების ამსახველი გრაფიკული ნახატი): პალტოს ჩავიცვამ და ჩაგვხუტები (ფოტო, რომელზეც ბავშვი სხვას ეხუტება და თბება).

როდესაც მცხელა, ვიცი, რა უნდა გავაკეთო (სიცხის შეგრძნების ამსახველი გრაფიკული ნახატი): წყალში ჩავყვინთავ და გავგრილდები (ფოტოზე – ბავში საცურაო კოსტიუმში ან აბაზანაში, ან სანიჩბოსნო აუზში).

აქტივობები:

როგორც სხვა გაკვეთილების შემთხვევაში, აქაც შეგიძლიათ აირჩიოთ სიტყვები და შესაბამისი გვერდები. ასწავლეთ ბავშვს იმ სიტყვების კითხვა, რომლებიც არ იცის და დაეხმარეთ წიგნის წაკითხვაში, ან თქვენ წაუკითხეთ და მიეცით ბავშვს საშუალება, იხმაროს ის სიტყვები, რომლებიც იცის.

**დაპატარო
აქტივობები**

ისაუბრეთ შეგრძნებების შესახებ: შეგრძნებების გაცნობიერებაში რომ დაეხმაროთ, ელაპარაკეთ ბავშვს თქვენი შეგრძნებების შესახებ. მაგალითად, დაღლილი ვარ, ბევრი ვიმუშავე, დასვენება მჭირდება (ან შესვენება); ძალიან ბედნიერი ვარ, როცა ხელს მხვევ; მეშინია, როდესაც ქუჩაში დარბიხარ; განვიცდი, როდესაც ავად ხარ; გაბრაზებული ვარ, რადგან წვენი დამესხა; მარტოდ ვგრძნობ თავს, მეთამაშე; ცუდად ვარ, წავალ, დავწვები.

ისაუბრეთ სხვისი შეგრძნებების შესახებ: როდესაც ბავშვს მოთხრობას უკითხავთ, ჰკითხეთ, რას ფიქრობს მოთხრობის პერსონაჟების შეგრძნებებზე ან აუხსენით, როგორი შეგრძნებები უნდა ჰქონდეთ მათ. მაგალითად, რა შეგრძნება ჰქონდა პატარა დათვის, როდესაც ფაფა შეჭმული დახვდა, სკამი კი გატეხილი და მის საწოლში სხვას ეძინა? რა შეგრძნება ჰქონდა ოქროსფერთმიან გოგონას, როდესაც გაეღვიძა და სამი დათვი დაინახა? რა შეგრძნება ჰქონდათ პატარა გოჭებს, როდესაც მგელმა სახლი დაუნგრია? რა შეგრძნება ჰქონდა მგელს, როდესაც წყალში ჩავარდა? რა შეგრძნება ჰქონდა წითელქუდას, როდესაც ბებიას ნაცვლად მგელი დახვდა საწოლში?

როდესაც ბავში ტელევიზორს უყურებს, ჰკითხეთ მას, რას ფიქრობს იმ ადამიანების შეგრძნებების შესახებ, ვისაც უყურებს ან უთხარით, თქვენ რას ფიქრობთ მათ შესახებ. ასევე ესაუბრეთ იმაზე, თუ როგორ არჩევანს აკეთებენ პერსონაჟები. როდესაც ერთი პერსონაჟი მეორეს ურტყამს ან ტკივილს აყენებს, კომენტარი გააკეთეთ: „ტკივილის მიყენება ცუდი არჩევანია.“

უფასობა:

შეგრძნებების აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაში გაწაფულობა შეამოწმეთ მოსინჯვის მექანიზმითა და შეგრძნებების შესახებ წიგნით. განსაზღვრეთ სიტყვების გაგების ხარისხი სიტყვების სიმბოლოებთან (გრაფიკულ ნახატებთან) დაწყვილების სისწორითა და შეგრძნებების გამომხატვის უნარით.

**საკლასო ოთახში
ადაპტირება და
უფროსი ასაკის
მონსწავლეები**

ლოტო და შარადა: საკლასო ოთახში ათამაშეთ ბავშვებს ზემოთ აღწერილი თამაშები, ლოტო და შარადა.

როლების გათამაშება/სიმულაციური სიტუაციის გათამაშება: გაათამაშეთ სიტუაციები, რომლებშიც ადამიანებს გარკვეული შეგრძნებები აღეძრებათ და სათანადო ფორმით გამოხატავენ მათ. მაგალითად, ბავშვებს შეუძლიათ გაითამაშონ საბავშვო ლექსები და მოთხრობები. მაგალითად, სამი დათვი (პატარა დათვი გაბრაზდა; ოქროსფერთმიანი გოგონა შეშინდა).

შემოქმედებითი პროექტი: გაკვეთილის შესწავლის პროცესში ორ დაფაზე „შეგრძნებების“ აღმნიშვნელი სიტყვები დაწერეთ: ერთზე – გახარებული და მეორეზე – მოწყენილი. მოსწავლეები დაათვალიერებენ გაზეთებსა და ჟურნალებს, მოძებნიან იმ ადამიანების სურათებს, რომლებიც ბავშვების აზრით მოწყენილი ან გახარებული არიან. ამოჭრიან სურათებს და დააკრავენ დაფაზე. ბავშვებს შეუძლიათ ისეთი სურათებიც გამოიყენონ, რომლებიც მათში მოწყენილობის ან სიხარულის განცდას აღძრავს. პიცის რეკლამამ ბავშვები შეიძლება ძალიან გაახალისოს, უბედური შემთხვევისა და კატასტროფის ამსახველმა სურათებმა კი დააღონოს.

დაამატეთ ახალი შეგრძნებების აღმნიშვნელი სიტყვები: იმედგაცრუებული, თვითდაჯერებული, დამნაშავე, შეურაცხყოფილი, კმაყოფილი, შეძრწუნებული, გაკვირვებული, აღფრთოვანებული, შურიანი (ეჭვიანი), მოსაწყენი, საზიზღარი, აღელვებული. ამ სიტყვების რაოდენობა განუსაზღვრელია. მიეცით ბავშვებს ისეთი სიტყვები, რომელთა დახმარებითაც ისინი საკუთარი შეგრძნებების სათანადოდ გამოხატვას მოახერხებენ.

ცხოველები და ფერები

ბავშვების უმეტესობა დაინტერესებულია ცხოველებით; ამიტომ ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვების შესწავლა მათთვის სტიმულის მიმცემი და სახალისოა. ამ სიტყვების ათვისების შემდეგ ბავშვები გასართობი საკითხავი მასალის წაკითხვას შეძლებენ; ცხოველების შესახებ ხომ ძალიან ბევრი საბავშვო მოთხრობა არსებობს.

**ფერების
აღნიშვნელი
სიტყვების
გაცნობა:
პირველი
ფერების კვანძი**

მიზანი: ცხოველებისა და ფერების აღმნიშვნელი სიტყვების შესწავლა ბავშვს საკითხავი სიტყვების მარაგს გაუმდიდრებს; თამაშების მეშვეობით სიტყვების კითხვასა და გაგებაში ივარჯიშებს.

მიზანი #2: ბავშვი ივარჯიშებს ფერების აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში განსაზღვრული ფერის საგნების მოძებნითა და ამ საგნებზე შესაბამისი ფერების აღმნიშვნელი სიტყვების დაწებებით.

მასალები:

სტიკერები, ზედ დაბეჭდილი ფერების აღმნიშვნელი სახელებით. ირგვლივ არსებული ფერადი საგნები.

პროცედურა:

მოძებნეთ ფერები, ეძებეთ სტიკერებზე აღნიშნული ფერის საგნები (გამოიყენეთ იმ ფერების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებსაც ბავშვი გაეცნო). როდესაც ბავშვი განსაზღვრული ფერის საგანს მოძებნის, ზედ იმავე ფერის აღმნიშვნელი სიტყვის სტიკერს მიაწებებს. მაგალითად, ბავშვი გაეცნო ყავისფრის აღმნიშვნელ სიტყვას; ბავშვთან ერთად სახლში გაიარ-გამოიარეთ და ყავისფერი საგნები ეძებეთ. როდესაც ბავშვი ყავისფერ საგანს იპოვის, ზედ იმ სტიკერს მიაწებებს, რომელზეც სიტყვა „ყავისფერია“ დაბეჭდილი (ეს შეიძლება იყოს ტანსაცმელი, რომელიც აცვია, ან კარადაშია დაკიდებული, ან საკუჭნაოებსა და ჭურჭლის კარადებში ჩაწყობილი საგნები – ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ „ვეძებთ“). აღმნიშვნელი სიტყვების გაცნობის შემდეგ, ბავშვი შესაბამისი ფერის საგნების ძებნას განაგრძობს.

ჯილდო ჩინებული მათემატიკური და მოტორული უნარებისათვის:

როდესაც ბავშვი საგნებზე მიკრულ სტიკერებს მოხსნის, დაახარისხებინეთ და მსგავსი სიტყვები ერთად დააწყობინეთ. შემდეგ დათვალეთ, რამდენი და რა ფერის საგანი მოძებნა და საერთო რაოდენობა დიაგრამაში ჩაწერეთ. ბავშვი შეძლებს ფერით კოდირებულ სვეტებიან დიაგრამაში ზუსტი ფერების ჩასმას.

ფერადი კალათბურთი

მიზანი #3: ფერადი კალათბურთის თამაშის დროს ბავშვი ფერის აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში ივარჯიშებს.

მასალები:

კალათბურთის კალათზე მიკრული ფერადი ქაღალდი; მარცვლეულით დატენილი (ბავშვების თამაშებისთვის განკუთვნილი) ან რბილი ბურთები.

აქტივობები:

მოთამაშებები კოლოფიდან „ამოიღებენ“ რომელიმე ფერის აღმნიშვნელი სიტყვის შესაბამის ბარათს და ბურთს შესაბამისი ფერის კალათში ჩააგდებენ (ბავშვი ამოიღებს სიტყვა „წითელს“ და ჩააგდებს კალათში, რომელსაც წითელი სტიკერი აქვს დაკრული). როდესაც მოთამაშე ბურთს შესაბამისი ფერის კალათში ჩააგდებს, ქულას მოიგებს.

ჯილდო ჩინებული მათემატიკური და მოტორული უნარებისათვის:

მიეცით ბავშვს შანსი, ივარჯიშოს მათემატიკური და მოტორული უნარების განვითარებაში. ყოველ ჯერზე, როცა ბავშვი ფერით კოდირებულ კალათში ბურთს ჩააგდებს, იმავე ფერით კოდირებულ ქილაში, კონსერვის ქილაში ან კოლოფში, ერთთეთრიანები ან ჩიპები ჩაუყარეთ. როდესაც თამაში დამთავრდება, დაეხმარეთ ბავშვს ყოველ ფერზე დაგროვილი ქულების დათვლაში. ჩაწერეთ ყოველ ფერზე მოპოვებული ჩიპების რაოდენობა, შეადგინეთ დიაგრამა, რომლის ზედა ნაწილში ციფრებს ჩაწერეთ, ქვედა ნაწილში კი ფერის აღმნიშვნელი სიტყვებს. დაეხმარეთ ბავშვს ფერები და ციფრები ერთმანეთს შეუსაბამოს და მაშინ ბავშვი სვეტებში ზუსტი ფერების ჩასმას შეძლებს (თამაშის ბოლოს კალათში ჩაგდებული ბურთების (ერთთეთრიანებისგან განსხვავებით), დათვლის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თუ ბურთი არასწორ კალათში ჩაგარდება, მოთამაშე ვერ იგებს ქულას და თუ კალათბურთს სხვებიც თამაშობენ, როგორ გაიგებ, რომელია შენი ბურთი?).

ფერადი სპონჯის და პარათების გაღააფგილება

მიზანი: ბავშვი ივარჯიშებს ფერების აღმნიშვნელი სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში ფერადი საგნებისა და ბარათების გადაადგილების მეშვეობით.

მასალები:

სხვადასხვა ფერის საგნები და ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი სიტყვებია დაბეჭდილი.

ორი „პუნქტი“ და ამ პუნქტებს შორის სირბილისთვის საკმარისი სივრცე.

აქტივობები:

„ა პუნქტში“ დაალაგეთ ბარათები, „ბ პუნქტში“ კი ფერადი საგნები. ბავშვი აიღებს ბარათს, წაიკითხავს მასზე დაწერილ სიტყვას, მიიღებენ „ბ პუნქტში“ აიღებს ბარათზე აღნიშნული ფერის საგანს, წამოიღებს და დადებს „ა პუნქტში“ შემდეგ აიღებს მეორე ბარათს და იმავეს გაიმეორებს. ბავშვი ამ პროცედურას ასრულებს მანამ, სანამ ყველა ფერად საგანსა და ბარათს „ა პუნქტში“ არ გადაიტანს. გახსოვდეთ, რომ თამაშში თავიდან უნდა გამოიყენოთ იმ ფერის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებსაც ბავშვი გაეცნო. მას შემდეგ, რაც ამ სიტყვების კითხვას ისწავლის, სხვა ფერების აღმნიშვნელი სიტყვები დაუმატეთ.

**საკლასო
მთავრის
ადაპტირება**

ზემოთ აღნიშნული ქმედებების საკლასო ოთახთან ადაპტირების გარდა, მოსწავლეები შეძლებენ თანაკლასელებს გამოკითხვა ჩაუტარონ (ამ აქტივობის ჩატარება ინტეგრირებულ კლასში ურთიერთობების განვითარებისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა). დაავალეთ ბავშვს, თითოეულ თანაკლასელს გამოკითხოს, რომელია მისი საყვარელი ფერი; ისინი დაასახელებენ ან მიუთითებენ თავიანთ საყვარელ ფერს. ბავშვი თითოეული თანაკლასელის მიერ მიცემულ „ხმას“ გამოკითხვის ფურცელში აღნიშნავს, კოპერაციულ სასწავლო ჯგუფში მყოფი თანატოლების დახმარებით „ხმების“ რაოდენობას დათვლის და გააკეთებს დიდ დიაგრამას, რომელიც გაკრული იქნება კლასში, რათა ყველამ ნახოს, რომელია თანაკლასელების უმეტესობის საყვარელი ფერი; ფერი, რომელიც ძალიან ცოტას უყვარს, და ფერი, რომელიც არავის უყვარს.

მიზანი 6: სურათების (რომლებზეც ცხოველის სიმბოლოა გამოსახული) და ბარათების მეშვეობით ბავშვი დააწყვილებს, აარჩევს და დაასახელებს ცხოველების აღმნიშვნელ სიტყვებს.

მასალები:

სურათები, ცხოველების სიმბოლოებით და შესაბამისი ბარათები შემდეგი ცხოველების სახელებით: დათვი, ჩიტი, იხვი, ცხენი, ბაყაყი, კატა, ძაღლი, ცხვარი და თევზი. სურათებად გ-15 დანართის მუყაოზე გადატანილი ასლი გამოიყენეთ, ბარათებად კი გ-13 დანართის ასლი (თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება ამ დანართებში მოცემული ბარათების გამოყენება, რადგან ისინი ფერადია).

აქტივობები:

ასწავლეთ ბავშვს ფერის და ცხოველების აღმნიშვნელი სიტყვები დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდის გამოყენებით. თანდათანობით გაზარდეთ სიტყვების რაოდენობა. დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები ანბანის წიგნებს, ბინგოს თამაშებსა და სხვა ანბანურ თამაშებს, ისე, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი პროცედურების მიხედვით დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები სიტყვების ბანკსა და მოსინჯვის მექანიზმს. რაოდენობის გაზომვის ორიენტირად მოსინჯვის მექანიზმი გამოიყენეთ.

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული გამოყენება, სიტყვების ბაზა და განზოგადება

ლოტოს
თამაში
ცხოველების
სახელებით

მიზანი #2: ბავშვი ივარჯიშებს ცხოველების სახელების კითხვასა და გაგებაში ამ სიტყვების ცხოველების ნახატებთან დაწყვილების მეშვეობით.

მასალები:

დ-ნ დანართში მოცემული ნიმუშის გამოყენებით შეადგინეთ ლოტო ცხოველების შესახებ. ჩაბეჭდეთ ცხოველების სახელები წრეებში; გ-15 დანართში მოცემული ცხოველების ნახატების ასლები დისკებზე გადაიტანეთ (ასლებზე ნახატების ზომა შეამციროთ).

აქტივობა:

ასწავლეთ ბავშვს ლოტოს თამაში და მიეცით საშუალება, ითამაშოს როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვებთან ერთად. სხვებთან ერთად თამაშის დროს შეგიძლიათ რამდენიმე ლოტო ათამაშოთ (ბავშვს შეუძლია რამდენიმე ბარათით ითამაშოს). მაგალითად, ერთ მოთამაშეს აქვს ბარათი რომელიმე ფერის აღმნიშვნელი სიტყვით, მეორე მოთამაშეს – ცხოველის აღმნიშვნელი ბარათი. მაგიდაზე დისკებს დააწყობენ ნახატით და ფერის აღმნიშვნელი სიტყვით ქვემოთ. მოთამაშეები რიგრიგობით აიღებენ დისკებს, გადაწყვეტენ, ვის რომელი ბარათი ეკუთვნის და ითამაშებენ (იხ. „ლოტოს თამაში“; მე-8 თავი).

შეგიძლიათ ფერებისა და ცხოველების ლოტოს კომბინირება. გამოიყენეთ ფერის აღმნიშვნელი ლოტოს ბარათი. ბავშვს დააწყვილებინეთ ცხოველი (რომელიც იმავე ფერის უნდა იყოს, როგორც წიგნშია) ლოტოს ბარათის ფერთან. მაგალითად, დათვი დააწყვილეთ ყავისფერთან; ბაყაყი – მწვანე ფერთან; როდესაც ყველა დისკს დააწყვილებენ, ცხოველები ისეთი თანამიმდევრობით დალაგდება, როგორც წიგნშია.

ცხოველების
სახელებით
შარადის
თამაში

მიზანი #8: ბავშვი ივარჯიშებს ცხოველების სახელების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში შარადის თამაშისა და „ცხოველების განსახიერების“ მეშვეობით.

მასალები:

ბარათები ცხოველების სახელებით.

აქტივობა:

ითამაშეთ შარადა ბავშვთან ერთად ისე, როგორც მე-12 თავშია აღწერილი. მოთამაშეები რიგრიგობით ამოიღებენ ცხოველების სახელებიან ბარათებს, განსახიერებენ ცხოველებს და გამოსცემენ ცხოველების მსგავს ხმას. დანარჩენმა მოთამაშეებმა უნდა გამოიცნონ, რა ცხოველია ეს. გთავაზობთ ცხოველების მსგავსი ქმედების განსახიერების სხვადასხვა ხერხს: დათვი – ღრიალი, ბაჯბაჯით სიარული, თათების ქნევა; ჩიტი – მკლავებით ფრთების

მოძრაობის განსახიერება, ჩიტივით ჟღერტული; იხვი – ჩაცუცქვა, იხვივით სიარული და ყიყინი; ცხენი – ოთხით სიარული და ცხენივით ჭიხინი; ბაყაყი – ბაყაყივით ხტუნვა და ყიყინი; კატა – ოთხზე ცოცვა და კატასავით კნავილი; ძაღლი – ოთხით სირბილი და ძაღლივით ყეფა; ცხვარი – ოთხით სიარული და ცხვარივით ბლავილი; თევზი – მკლავების ქნევა, როგორც ცურვის დროს.

**სსოველების
სასელები
ბაღაღვივება**

მიზანი #9: ბავშვი ივარჯიშებს ცხოველების სახელების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში ცხოველების სახელების გადაადგილების მეშვეობით.

მასალები:

სათამაშო ცხოველები ან ცხოველების აღმნიშვნელი ბარათები (ცხოველების სურათებით), ბარათები ცხოველების სახელებით. ორი „პუნქტი“ და პუნქტებს შორის სირბილისთვის საკმარისი სივრცე.

აქტივობები:

იგივე, რაც ფერადი საგნების გადაადგილების დროს; იმ განსხვავებით, რომ მოთამაშე ამოიღებს ცხოველის სახელის აღმნიშვნელ ბარათს და მოიტანს სათამაშო ცხოველს ან ცხოველის აღმნიშვნელ ბარათს.

მიზანი #10: ცხოველების სახელებით კალათბურთის თამაშის დროს ბავშვი ივარჯიშებს ცხოველების სახელების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში.

მასალები:

კალათზე დაკრული ცხოველების სურათები (ან ცხოველების სახელები); ბარათები ცხოველების სახელებით; მარცვლეულით დატენილი ბურთები (ბავშვების თამაშებისთვის განკუთვნილი) ან რბილი ბურთები.

აქტივობები:

მოთამაშე აიღებს ბარათს და ბურთს იმ კალათში ჩააგდებს, რომელზეც ბარათზე აღნიშნული ცხოველის სურათია დაკრული; თუ კალათზე ცხოველების სახელებია მიკრული, მოთამაშე ბურთს კალათში ჩააგდებს და წაიკითხავს ცხოველის სახელს, რომელიც კალათზეა დაკრული.

ჯილდო ჩინებული მათემატიკური და მოტორული უნარებისათვის:

იგივე, რაც ფერადი კალათბურთის თამაშის დროს, იმ განსხვავებით, რომ ფერების აღმნიშვნელი სიტყვები ცხოველების სახელებით შეიცვლება.

შეფასება:

დაამატეთ ახალი სიტყვები, შეამოწმეთ კითხვის სისხარტე და დაუფლების დონე. ჩაინიშნეთ წიგნში ის სიტყვები, რომლების შესწავლაც ბავშვისთვის პრობლემატურია. დამატებით ავარჯიშეთ ამ სიტყვების ათვისებაში. შემოწმების შედეგების მიხედვით განსაზღვრეთ, როდის გააცნოთ ახალი სიტყვები.

**მუშა დათვი:
ბასარტოვი
კითხვა**

საკლასო ოთახთან ადაპტირება

მოსწავლეებს შეუძლიათ თანაკლასელებს გამოკითხვა ჩაუტარონ, ჰყავთ თუ არა შინ საყვარელი ცხოველი. თუ თანაკლასელს ჰყავს ცხოველი, მაშინ მოსწავლე ჰკითხავს, რა ცხოველია ეს და გამოკითხვის ფურცელში ამ ცხოველის სახელის გასწვრივ სტიკერს დააკრავს. მოსწავლეებს შეუძლიათ შეაგროვონ და დიდ დიაგრამაში განათავსონ მოპოვებული ინფორმაცია. დაკიდეთ დიაგრამა ისეთ ადგილზე, რომ ყველამ დაინახოს და იმსჯელებთ მის შესახებ.

საქმელები მენიუები და კულინარიული რეცეპტები

საკვების დიეტის დარღვევის აუცილებელი კომპონენტია და ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. მენიუს, საბაზრო საქონლის ჩამონათვალის, კულინარიული რეცეპტების, კონსერვებისა და შეფუთვებზე ინსტრუქციების წაკითხვის უნარი ბავშვს უფრო დამოუკიდებელსა და კომპეტენტურს გახდის. ამიტომ საკვების სახელების სწავლა კარგი ფუნქციური სიტყვების ათვისებას ნიშნავს.

მიზანი: მენიუებზე (კერძის შეკვეთის დროს), საკვები პროდუქტების ჩამონათვალში (სუპერმარკეტში პროდუქტების შერჩევის დროს), კულინარიულ რეცეპტებსა და ინსტრუქციებში (მარტივი რეცეპტები და შეფუთვებზე დაწერილი ინსტრუქციები) საკვების სახელებისა და აღწერილობითი სიტყვების კითხვა ბავშვს უფრო დამოუკიდებელსა და კომპეტენტურს გახდის.

**მენიუი
ბამოყენებელი
სიტყვების
ბასწობა:
აბოცობა**

მიზანი #1: ბავშვი დააწვილებს, აარჩევს და დაასახელებს თავის საყვარელ კერძებს.

მასალები:

ბარათების ორი კომპლექტი საყვარელი საჭმელების სახელებით (როგორცაა ჰამბურგერი, ჩიზბურგერი, პიცა, ჩიპსები, ნაყინი, იოგურტი, რძე, ქათმის ჩხირები, სალათა, ლობიო, ხილი, წვენი) და მენიუში გამოყენებული სხვა სიტყვებით (როგორცაა პატარა, საშუალო, დიდი, ნაკლებცხიმოვანი, დიეტური და სხვ.); ან თუ ბავშვს სჭირდება სურათები, სურათებისა და ბარათების კომპლექტი. მაკდონალდს აქვს სურათებიანი მენიუ, რაც შეიძლება გამოვიყენოთ სურათებიანი ბარათების დასამზადებლად. ბავშვს შეუძლია თვითონაც გააკეთოს სურათებიანი ბარათები, რეკლამებიდან და გაზეთებიდან ამოჭრას სურათები და დააწებოს ბარათებზე. მენიუდან ჯერ ის სიტყვები ასწავლეთ, რომლებსაც ბავშვი უფრო ხშირად გამოიყენებს.

აბოცობა:

დაწვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით ასწავლეთ ბავშვს მენიუდან ის სიტყვები, რომლებსაც უფრო ხშირად გამოიყენებს. თანდათან გაზარდეთ სიტყვების რაოდენობა.

დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები ანბანის წიგნებს, ბინგოს თამაშებსა და სხვა ანბანურ თამაშებს, ისე, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი პროცედურების მიხედვით დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები სიტყვების ბანკსა და მოსინჯვის მექანიზმს. რაოდენობის გაზომვის ორიენტირად მოსინჯვის მექანიზმი გამოიყენეთ.

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული გამოყენება, სიტყვების ბაზა და განზოგადება

ლოტოს თამაში მენიუში გამოყენებული სიტყვებით

მიზანი #2: ბავშვი ივარჯიშებს სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში ლოტოს თამაშის მეშვეობით.

მასალები:

შეადგინეთ სათამაშო ბარათი მენიუს სიტყვებით და დისკი კერძების სურათებით (შედგენის დროს ბავშვი დაიხმარეთ). სურათებად გამოიყენეთ მენიუდან ან საჭმლის რეკლამებიდან ამოჭრილი სურათები.

აქტივობები:

ასწავლეთ ბავშვს მენიუში გამოყენებული სიტყვებით ლოტოს თამაში და მიეცით საშუალება, ითამაშოს როგორც მარტო, ასევე სხვებთან ერთად.

სახლის მენიუ

მიზანი #3: ბავშვი ივარჯიშებს მენიუს სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში სახლის მენიუს კითხვითა და შინ საჭმლის შეკვეთით.

მასალები:

თუ არსებობს კერძების არჩევანი და ბავშვმა შეიძლება აირჩიოს ის, რისი ჭამაც უნდა, შეუდგინეთ მენიუ. მაგალითად, თუ საუზმეზე არსებობს სასმელების, ბურლულულის, ჯემებისა და პურის (თეთრი ან შავი პური, კექსი) არჩევანი, შეადგინეთ მარტივი მენიუ. მენიუში შეიტანეთ ის საჭმელები, რომლებსაც იცით, რომ ბავშვი არ აირჩევს (რესტორნის მენიუს მსგავსად) და ასევე ისიც, რომლებსაც აირჩევს. მაგალითად, თუ გაქვთ ფორთოხლის წვენი, ატმის წვენი და ქლიავის წვენი, მაგრამ იცით, რომ ბავშვი მხოლოდ ვაშლის წვენს დალევს, მენიუში ყველა წვენი შეიტანეთ. გამოტოვეთ ის კერძები, რაც არ გინდათ, რომ ბავშვმა ჭამოს ან გამოგელიათ და ხაზი გაუსვით იმ კერძის გასწვრივ, რაც იმ დღეს არა გაქვთ, რათა ბავშვს გააგებინოთ, რომ ეს კერძი ამ დღეს არ იქნება. მაგალითად, თუ შვრიის ფანტელები გაგითავდათ, მენიუში მის გასწვრივ ხაზი გაუსვით, ან თუ ბლინების გამოცხობის დრო არა გაქვთ, მენიუში გადახაზეთ ან საერთოდ გამოტოვეთ. თუმცა, თუ ბლინები ან შემწვარი კარტოფილი გაქვთ, მიეცით ბავშვს არჩევანის საშუალება. შეგიძლიათ რამდენიმე მენიუ შეადგინოთ, თითოეული სხვადასხვა არჩევანით (შაბათ-კვირის მენიუ და სკოლის დღეებში საუზმის მენიუ). შეგიძლიათ დაიწყოთ მარტივი მენიუთი და შემდგომში განავრცოთ იმის მიხედვით, რამდენ ახალ მენიუს სიტყვას ისწავლის ბავშვი.

მენიუს შედგენა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მენიუს არჩევანი გინდათ, რომ ბავშვს ჰქონდეს. თუ გინდათ, რომ ბავშვმა მხოლოდ წაიკითხოს მენიუ და გითხრათ, რა უნდა, მაშინ შეგიძლიათ მუდმივად ერთი და იგივე მენიუ გამოიყენოთ და განსაკუთრებული არაფერი დაამატოთ, რადგან ბავშვს შეუძლია მენიუს წაკითხვის გარეშეც გითხრათ, რა უნდა (მან იცის, როგორი არჩევანი არსებობს). მე მირჩევნია ისეთი მენიუ შევადგინო, რომ ბავშვს

არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდეს და აღნიშნოს, რა უნდა. ამ დროს ქმედება უფრო „სავარჯიშო“ აქტივობას ემსგავსება, მნიშვნელოვანი ხდება და ბავშვს ქალაქში მუშაობის და „წერის“ უნარის ფუნქციური გამოყენების საშუალებას აძლევს. თუ გინდათ, რომ ბავშვმა თავისი არჩევანი მენიუში აღნიშნოს, მენიუს ლამინირებული ასლი გააკეთეთ და ჩასანიშნად მიეცით ისეთი მარკერი, რომელიც ადვილად შორდება ზედაპირს (იხ. მენიუს ნიმუში დ-17 დანართში).

აქტივობები:

აჩვენეთ ბავშვს მენიუ და დაეხმარეთ მის წაკითხვაში. თუ გინდათ, რომ ბავშვმა თავისი არჩევანი მენიუში ჩაწეროს, აჩვენეთ, როგორ გააკეთოს ეს. ასწავლეთ, თქვენ როგორ აკეთებთ შეკვეთას. მაგალითად, თუ ბავშვს ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი სასმლის არჩევა შეუძლია, ასწავლეთ შესაბამისი წესი. დაუბრუნეთ მენიუ, რომელშიც სასმლის რამდენიმე არჩევანია აღნიშნული და უთხარით, რომ მხოლოდ ერთი სასმელი უნდა აირჩიოს. სთხოვეთ, წაკითხოს არჩევანი (ვერბალურად გამოთქვას ან მიგითითოთ) იმის მიუხედავად, აღნიშნა თუ არა მენიუში. მიეცით ბავშვს მენიუს გამოყენებით არჩევანის გაკეთების საშუალება ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია (გამოიყენეთ მსუბუქი საუბრის მენიუ). შეეცადეთ, მიუტანოთ ის, რაც შეგიკვეთათ.

სხლს ბარში
კეპა

მიზანი #4: ბავშვი განაზოგადებს კერძების სახელებს რესტორნებში შეკვეთის მიცემის დროს; მენიუდან არჩეულ კერძს წაკითხავს ან მიუთითებს; ან არჩეული კერძების სიას იმ ადამიანს მისცემს, რომელიც შეკვეთას იღებს.

მასალები:

რესტორნის მენიუ; კალამი და ქალაქი ან ბარათები.

აქტივობები:

ამ აქტივობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი კერძის არჩევის შემდეგ უშუალოდ შეკვეთის ამლებთან ურთიერთობს და არ არის სხვებზე დამოკიდებული. ის ამ უნარს რეალურ სიტუაციაში იყენებს. ყოველივე ეს ბავშვს დამოუკიდებლობასა და თვითდაჯერებულობას უყალიბებს და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ურთიერთობა წარმატებით დასრულდეს. თუ ბავშვს მეტყველების პრობლემა აქვს და უცხო ადამიანს გაუჭირდება მისი გაგება, იცოდეთ, რომ ვერბალური ურთიერთობის გარდა სხვა გზაც არსებობს. იქნებ ბავშვს ასწავლოთ, მენიუში სასურველ კერძზე როგორ მიუთითოს ოფიციანტს, რომელიც მოდის და შეკვეთას იღებს. თუ ბავშვი დახლთან უკვეთს რაიმეს, როგორც სწრაფი კვების ობიექტებში ხდება ხოლმე და მენიუ კედელზეა გამოკრული, სთხოვეთ ბავშვს, შეხედოს მენიუს და გადაწყვიტოს, რა უნდა. დაბეჭდეთ ქალაქში იმ კერძების სია, რაც ბავშვს უნდა (ან თუ შეუძლია, თვითონ დაბეჭდოს), ან ბავშვმა რესტორანში წასვლამდე გადაწყვიტოს, რა უნდა და შესაბამისი ბარათები თან წაიღოს (თუ ბავშვს კომპიუტერიდან ამობეჭდვა შეუძლია, თვითონ გააკეთოს ეს). ბავშვს შეუძლია თან წაიღოს სასურველი კერძების სია ან „ბარათები“ და წაუკითხოს ოფიციანტს (როგორც სუპერმარკეტში – ჩიზბურგერი, შემწვარი კარტოფილის პატარა ულუფა, ნაკლებციხიმიანი რძე). თუ ოფიციანტი ვერ იგებს ბავშვის ლაპარაკს, ბავშვს შეუძლია წინასწარ მომზადებულ სიაში ან ბარათზე აჩვენოს კერძის სახელი და ამ გზით ურთიერთობა უშუალოდ შეკვეთის ამლებთან

ჰქონდეს.

მიზანი #5: ბავშვი დააწყვილებს, არჩევს და დაასახელებს საყვარელი საჭმლის სახელებს, რომლებიც საოჯახო საყიდლების სიაშია ჩამოთვლილი.

მასალები:

ბარათების ორი კომპლექტი საჭმელების სახელებით, ან ბარათებისა და სურათების (თუ სურათების საჭიროებაა) თითო კომპლექტი.

აქტივობები:

ასწავლეთ ბავშვს საჭმელების სახელების კითხვა დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით.

დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები ანბანის წიგნებს, ბინგოს თამაშებსა და სხვა ანბანურ თამაშებს, ისე, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი პროცედურების მიხედვით დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები სიტყვების ბანკსა და მოსინჯვის მექანიზმს. რაოდენობის გაზომვის ორიენტირად მოსინჯვის მექანიზმი გამოიყენეთ.

მიზანი #6: ბავშვი წაიკითხავს და განაზოგადებს საჭმელების სახელებს სუპერმარკეტის საყიდლების სიიდან კონკრეტული საკვების სახელების არჩევის მეშვეობით.

მასალები:

საყიდლების სია იმ საჭმელებით, რომლების ყიდვაც ბავშვს უნდა. თავიდან შეადგინეთ მარტივი სია, როგორცაა ნაყინი, პიცა და იოგურტი (ეს ის პირველი სიტყვებია, რაც ბავშვს ასწავლეს). როდესაც ბავშვი უფრო გათვითცნობიერებული გახდება, აღწერილობითი სიტყვები დაუმატეთ, როგორცაა უცხიმო შოკოლადის ნაყინი, პიცა „პეპერონი“, მარწყვის იოგურტი.

აქტივობები:

როდესაც ბავშვი ამ სიტყვების წაკითხვას ისწავლის, ჩაბეჭდეთ ეს სიტყვები საყიდლების სიაში ხელით ან ელექტრონულად. გააკეთებინეთ ბავშვს სია ან მიეცით სასურველი საჭმელების სახელებით ბარათები. გარკვეული დროის შემდეგ, როცა სია გაიზრდება, დაეხმარეთ ბავშვს საჭმელების კატეგორიებად დაყოფაში (როგორცაა რძის პროდუქტები, გაყინული საჭმელი, დაკონსერვებული საქონელი, პასტა და ა.შ.), ასწავლეთ, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მარკეტში და კატეგორიების მიხედვით, როგორ იპოვოს სექციები.

წაიყვანეთ ბავშვი სუპერმარკეტში. ჰკითხეთ, რა აქვს საყიდლების სიაში შეტანილი. როდესაც წაგიკითხავთ, ჰკითხეთ: „იცნობ, სად იპოვო ეს? შენ თვითონ მოძებნი თუ დაგეხმარო?“; თუ დახმარება სჭირდება, უთხარით: „მოდი, ვცადოთ და სიმბოლოების დახმარებით მოვძებნოთ ეს სექცია“ (ან, „მოდი, გაყინული საჭმელების სექცია მოვძებნოთ“). ამ დროს თქვენ არა მარტო იმას ასწავლით, როგორ იპოვოს ესა თუ ის საჭმელი, არამედ ფიქრსა და პრობლემის მოგვარებას. თუ ბავშვი პატარაა და არ არის მზად დამოუკიდებელი ქმედებისთვის, წაიყვანეთ შესაფერის სექციაში, იქ, სადაც ეს საჭმელია და მიეცით საშუალება თვითონ მოძებნოს, რისი ყიდვაც უნდა. მოუსმინეთ ბავშვს, მასავით იფიქრეთ, მისი ინტერესი დაიცავით და მიეცით დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება.

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული გამოყენება, სიტყვების გაგება და განხორციელება

გახსოვდეთ, დაიწყეთ თამაში რამდენიმე დასახელების საკვებით და გააფართოეთ სია, როცა დარწმუნდებით, რომ ბავშვს ნამდვილად მოსწონს ეს აქტივობა.

„საყიდლებზე სიარულის თამაშები“ შეიძლება კითხვის უნარის განვითარების მიზნითაც გამოვიყენოთ. ბავშვი შეძლებს ბარათების ან ცარიელი კონტინერის (როცა საჭმელს მოუტანენ) საჭმელთან დაწყვილებას. ბავშვს შეუძლია აიღოს ბარათი და სამზარეულოში წავიდეს იმ საჭმლის მოსაძებნად, რაც ბარათზეა ნაჩვენები.

კულინარიული რესპეტაჟის

ბასნობა:

აქტივობა

მიზანი #7: ბავშვი დააწყვილებს, აარჩევს და დაასახელებს რეცეპტებში გამოყენებულ სიტყვებს.

მასალები:

ბარათების ორი კომპლექტი (სურათების გარეშე სიტყვების სწავლების დროს) ან ბარათებისა და სურათების თითო კომპლექტი. კულინარიულ რეცეპტებში გამოსაყენებელი სიტყვებია: შოკოლადი, რძე, ჭიქა, ფინჯანი, დასხმა, მორევა, ჩაწება, ხელის დაჭერა, ათქვეფა, ჩაის კოვზი, სუფრის კოვზი, ჯამი, მიკროტალღოვანი ღუმელი, საათი.

აქტივობები:

ასწავლეთ ბავშვს კულინარიულ რეცეპტებში გამოყენებული სიტყვები დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით; დაიწყეთ უმარტივესი რეცეპტებით და თანდათანობით დაამატეთ ახალი სიტყვები.

დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები ანბანის წიგნებს, ბინგოს თამაშებსა და სხვა ანბანურ თამაშებს, ისე, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი პროცედურების მიხედვით დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები სიტყვების ბანკსა და მოსინჯვის მექანიზმს. რაოდენობის გაზომვის ორიენტირად მოსინჯვის მექანიზმი გამოიყენეთ.

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული გამოყენება, სიტყვების გაგება და განზოგადება

მიზანი #8: ბავშვი ივარჯიშებს რეცეპტებში გამოყენებული სიტყვების კითხვაში გაგებასა და განზოგადებაში შარადის თამაშის დროს.

მასალები:

ბარათების სიტყვები: დასხმა, ხელის დაჭერა (მიკროტალღოვან ღუმელზე აღნიშნულ ციფრებზე ხელის დაჭერა), ათქვეფა, ჩაწება, გადატრიალება/ გაფუცქვანა, მორევა.

აქტივობები:


ითამაშეთ შარადა; ბავშვები რიგრიგობით აიღებენ სიტყვებს, გაითამაშებენ შესაბამის სიტუაციებს, დანარჩენები კი გამოიცნობენ სიტყვას.

მიზანი #9: ბავშვი ივარჯიშებს რეცეპტებში გამოყენებული რაოდენობის გასაზომი სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში.

კულინარიული რესპეტაჟის ლოტო

მასალები:

დიდი ზომის ლოტოს ბარათი: გააკეთეთ იმ ზომის ლოტოს ბარათი, რომელზეც რაოდენობის გასაზომი საგანი კარგად მოთავსდება (დაახლოებით 12X16); დაყავით ბარათი სექციებად. სექციებში ჩაბეჭდეთ: ¼ ჭიქა, ½ ჭიქა, 1 ჭიქა; ¼ ჩაის კოვზი, ½ ჩაის კოვზი, 1 ჩაის კოვზი, 1 სუფრის კოვზი (იხ. ილუსტრაცია 17.1). რაოდენობის გასაზომი საგნებია ჭიქები და კოვზები.



აქტივობები:

წაიყვანეთ ბავშვი სამზარეულოში და ლოტოც თან წაიღეთ. აჩვენეთ ბავშვს, სად არის რაოდენობის გასაზომი საგნები, როგორ მოძებნოს საზომი ციფრები კოვზებსა და ჭიქებზე და როგორ დააწყვილოს ისინი ლოტოზე აღნიშნულ ზომებთან. მიეცით ბავშვს საშუალება, შევიდეს სამზარეულოში და საჭირო საგანი ლოტოს ბარათზე მოათავსოს. საჭმლის მომზადებამდე ბავშვს შეუძლია ლოტოს ბარათზე დასაწყობ საგნებს ერთ ადგილზე მოუყაროს თავი, რათა მოძებნა

ნახატი 17.1

უფრო გაუადვილდეს.

**საჭმლის
მოზადება
პარტივი
კულინარიული
რეცეპტის
მიხედვით**

მიზანი #10: ბავშვი წაიკითხავს კულინარიულ რეცეპტებს და მეთვალყურეობის ქვეშ მარტივი რეცეპტის მიხედვით საჭმელს მოამზადებს.

მასალები:

ბარათები სიტყვებით, რომლებიც წინასწარ არ უსწავლებიათ (ბარათების ორი კომპლექტი ან ბარათების და სურათების თითო კომპლექტი). დაბეჭდილი ან დაწერილი მარტივი კულინარიული რეცეპტი, რომლის წაკითხვასაც ბავშვი შეძლებს. რეცეპტი შესასრულებელი ქმედებების მიხედვით უნდა დაიწეროს. მაგალითად:

შოკოლადის რძე

1. ჩაასხით რძე ჭიქაში
2. დაუმატეთ 3 ჩაის კოვზი ხსნადი „ნესტლე“
3. მოურიეთ

ცხელი შოკოლადი

- 1 ჭიქა რძე შედგით მიკროტალღოვან ღუმელში
2. დააჭირეთ ხელი საათის ღილაკს
3. დააჭირეთ ხელი ღილაკს 2-0-0 (2:00)
4. დააჭირეთ ხელი ღილაკს „დაწყება“
5. დრო რომ ამოიწურება, ჭიქა გამოიღეთ
6. დაამატეთ 3 ჩაის კოვზი ხსნადი „ნესტლე“
7. მოურიეთ

ფრანგული ტოსტი

ჩართეთ ელექტროტაფა 300 გრადუსზე

- ჯამში ჩადეთ:
- 2 კვერცხი
 - 1/2 ჭიქა რძე
 - 1/4 ჩაის კოვზი მარილი
 - 1/4 ჩაის კოვზი
 - 1 ჩაის კოვზი შაქარი
3. ათქვიფეთ
- დადეთ 1 ჩაის კოვზი კარაქი ტაფაზე
 - ექვსი ნაჭერი პური შუაზე გაჭერით (ასაღებად ადვილია)
 - ჩაარჭვეთ ჩანგალი და დაჭრილი პური ორივე მხრიდან ამოავლეთ ათქვეფილ კვერცხში
 - დადეთ ტაფაზე
 - შეაწითლეთ ორივე მხრიდან
 - მიირთვით ჯემთან ერთად ან დააყარეთ დაფხვნილი შაქარი საცრით

აქტივობები:

დაიწყეთ მარტივი კულინარიული რეცეპტით (როგორცაა შოკოლადის რძე), დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით ასწავლეთ რეცეპტში გამოყენებული ახალი სიტყვები. რეცეპტი ბავშვთან ერთად წაიკითხეთ და შეძლებისდაგვარად დახმარეთ. შემდეგ ბავშვს წააკითხეთ თქვენი მეთვალყურეობით და თქვენი დახმარებით რეცეპტის მიხედვით მომზადება დააწყებინეთ. მიეცით საშუალება, მაქსიმალურად დამოუკიდებელი იყოს. ასწავლეთ ბავშვს, რომ მომზადების შემდეგ ყველაფერი ააღაგოს. შეგიძლიათ რეცეპტებში გამოყენებულ სიტყვებს სიტყვა „ალაგებაც“ დაამატოთ. მაგალითად, რეცეპტი შეიძლება ასეთი იყოს:

- ჩაასხით რძე ჭიქაში
- რძე ისევ მაცივარში შედგით
- ჭიქაში 3 ჩაის კოვზი ხსნადი „ნესტლე“ ჩაყარეთ
- მოურიეთ
- კოვზი ნიჟარაში ჩადეთ
- ხსნადი „ნესტლე“ კარადაში შედგით
- დალიეთ შოკოლადიანი რძე
- ჭიქა გამოავლეთ და ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჩადეთ

ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი კითხვის დახმარებით დამოუკიდებელი და კომპეტენტური გახდეს; რეცეპტებისა და ინსტრუქციების კითხვა კარგი დასაწყისია. ბავშვს ისეთი რეცეპტები შესთავაზეთ, რაც ნამდვილად მოსწონს. ზოგ ბავშვს შეიძლება გაყინული პიცის გამოცხობის ინსტრუქციებით დააწყებინოთ მზადება.

მიეცით ბავშვს რეცეპტების ფაილი ან რეცეპტების წიგნი, ახალი რეცეპტების შესწავლის შემდეგ წიგნს ახალი გვერდები დაამატეთ. ბოლოს და ბოლოს, ბავშვი სამზარეულოში შევა, რეცეპტს აიღებს, საჭმელს მოამზადებს და ყველაფერს დაასუფთავებს.

მარკეტში საყიდელი პროდუქტების სიის შედგენა კულინარიული რეცეპტების მიხედვით

მიზანი #11: ბავშვი განაზოგადებს და გამოიყენებს კითხვის უნარს და კულინარიული რეცეპტებისა და მოსამარაგებელი პროდუქტების მიხედვით მარკეტში საყიდელი პროდუქტების სიას შეადგენს.

მასალები:

იმ საჭმელელების რეცეპტები, რომლებიც ბავშვს უყვარს.

პედაგოგები:

სუპერმარკეტში წასვლის წინ ბავშვს ჰკითხეთ, რის მომზადებას აპირებს მომავალ კვირას, რომელი რეცეპტების გამოყენებას გეგმავს. შეგიძლიათ რჩევა მისცეთ: „ჩაიხედე რეცეპტების წიგნში (რეცეპტების ფაილში), იქნებ რაიმეს მომზადება მოგიწოდეს. ნახე, რისი ყიდვა დაგჭირდება.“ ან „თუ მომავალ კვირაში შოკოლადიანი რძის მომზადებას აპირებ, ნახე, რამის ყიდვა ხომ არ გჭირდება.“ თუ ბავშვს დახმარება სჭირდება, დაეხმარეთ; აჩვენეთ, როგორ იპოვოს რეცეპტი; შეამოწმეთ კარადები და მაცივარი და ნახეთ, რომელი ინგრედიენტები გამოგელიათ. დაეხმარეთ ბავშვს სიის შედგენაში. ეს იქნება სუპერმარკეტში საყიდელი პროდუქტების სია.

შეფასება:

დაამატეთ ახალი სიტყვები სიტყვების ბანკს (საჭმელელების სახელების კოდით) და განაგრძეთ შემოწმების მექანიზმის გამოყენება. აღნიშნეთ ის სიტყვები, რომლების წაკითხვაც ბავშვს უჭირს რეცეპტებით საჭმლის მომზადებისას, შეამოწმეთ, შეუძლია თუ არა ინსტრუქციების გაგება და შესრულება. დამატებით ავარჯიშეთ ამ სიტყვებზე და დაეხმარეთ ინსტრუქციების შესრულებაში, მანამ, სანამ დამოუკიდებლად არ შეძლებს ამის გაკეთებას.

ლუპიტამ სადილზე მასწავლებელი დაპატიჟა და ყველაფერი თვითონ მოამზადა?

როდესაც ლუპიტა 14 წლის გახდა, დედამისმა მითხრა, რომ სადილზე მასწავლებელი დაპატიჟა და ყველაფერი თვითონ მოამზადა. ეს ლუპიტასთვის ნამდვილი წარმატება იყო. დარწმუნებული ვარ, ლუპიტა მასწავლებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

დრო: განრიგები და კალენდრები

დილით რომ ვიღვიძებთ, პირველი, რაც გვანტიერებს: „რომელი საათია?“ და „რა დღეა?“. ეს ინფორმაცია იმისთვის გვჭირდება, რომ გადავწყვიტოთ, შემდეგ რას გავაკეთებთ. საათს რომ შევხედავთ, თუ ადგომამდე ბევრი დროა დარჩენილი, შეგვიძლია ძილი შევიბრუნოთ. თუ ის დროა, როცა ჩვეულებრივ ვდგებით ხოლმე, მაგრამ გაგვახსენდა, რომ შაბათია, შეიძლება მოვკალათდეთ და ცოტა ხანს კიდევ ვიწვეთ. დრო და ცოდნა, როდის და რა დღეს რა გვაქვს გასაკეთებელი, არის ის მამოძრავებელი ძალა, რაც გვაკეთებინებს იმას, რისი გაკეთებაც იმ მომენტშია საჭირო. როდესაც ვახერხებთ ჩვენი მიზნების მიღწევას და ვაკონტროლებთ საკუთარ თავს, თვითშეფასება ჩვეულებრივ მაღალია. როდესაც ისეთი რაღაც ხდება, რაც ხელს გვიშლის მიზნების მიღწევაში, სევდა და იმედგაცრუება გვიპყრობს და თავს დამარცხებულად ვგრძნობთ. ამ დროს თვითშეფასებაც დაბალია.

ჩვენ გვაქვს წარსული, აწმყო და მომავალი, რაც გვმართავს. მაგალითად, წარსული გამოცდილებიდან შეიძლება ვიცოდეთ, რომ თუ დროზე არ გავალთ სახლიდან, სამსახურში დავაგვიანებთ; ესე იგი, ვიცით, რისი გაკეთებაა საჭირო აწმყოში (დროზე წასვლა), მომავალში (სამსახურში ხშირად თუ დავაგვიანებთ, საფრთხეში ჩავიგდებთ თავს). თუ ჩვენ უნარი გვაქვს, დავიცვათ განრიგი და გავაკეთოთ ის, რაც გარკვეული დროის მონაკვეთშია საჭირო, საკუთარ თავს ვმართავთ და საქმე კარგად მიდის.

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წარსულის, აწმყოსა და მომავლის გააზრების უნარი. უნდა ახსოვდეთ წარსული გამოცდილება და იმ დროს შექმნილი ცოდნა მომავალში გამოიყენონ. უნდა ესმოდეთ, რას ელიან და მოითხოვენ მათგან აწმყოში; უნდა იცოდნენ, რომ რასაც აწმყოში გააკეთებენ, მომავალზე იმოქმედებს. ყოველივე ეს მათ მოსალოდნელი მოვლენების წინასწარ განსაზღვრაში ეხმარება. თითოეულ ჩვენგანს სჭირდება მოლოდინის განცდა, რაც „გამოძრავებს“ და გვამზადებს შემდეგი ნაბიჯისთვის. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ბევრს არა აქვს მოლოდინის განცდა და შემდეგი მოვლენისთვის მოსამზადებლად საჭირო „მამოძრავებელი“ ძალა. მაგრამ მათ სხვები აკონტროლებენ, მუდმივად მითითებებს აძლევენ რა, როდის და როგორ გააკეთონ. შენი საკუთარი განრიგის გარდა, სხვის მიერ შენთვის შედგენილი განრიგიც უნდა დაიცვა. ბევრ ჩვენგანს, ისევე როგორც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს, ასეთი ხშირი ჩარევის გამო პროტესტი უჩნდება.

როგორც მე-4 თავშია განხილული, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ჩვეულებრივ სასმენი ინფორმაციის გადამუშავებისა და დამახსოვრების პრობლემები აქვთ. ბევრი ჩვენგანი კი დროისა და განრიგის შესახებ ინფორმაციას მათ სწორედ ამ ფორმით ვაწვდით: „ადგომის დროა, იჩქარე, თორემ დავაგვიანდება... ახლა სადილის დროა!“ დრო აბსტრაქტული ცნებაა და აუცილებელია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის ის ხელშესახები, თვალსაჩინო და გასაგები გახდეს. ამ თავში განხილულია როგორ გავაკეთდეს ეს.

კითხვის შესწავლა და განრიგებისა და კალენდრების გამოყენება ბავშვებს საკუთარი თავის გაკონტროლების, შემდეგი მოვლენის მოლოდინისა და მომდევნო ნაბიჯისათვის მზადების საშუალებას აძლევს. ამასთან, განრიგის ფორმით წარმოდგენილი წარსული, აწმყო და მომავალი მათთვის ხელშესახები, თვალსაჩინო და გასაგები ხდება; ყოველივე ეს ბავშვებს მიზნების დასახვასა და მიღწევაში ეხმარება, ცოდნას აძლევს, დამოუკიდებლობას აჩვენებს და თვითშეფასების უნარს უყალიბებს.

ტრევერი ინკლუზიური პირველი კლასის მოსწავლე იყო. ყოველი ახალი დავალების შესრულებისას მასწავლებლებს ეურჩებოდა: მერხიდან სასწავლო ნივთების ალაგებაზე უარს ამბობდა, იატაკზე ჯდებოდა და აღარ ღებოდა. მასწავლებელი თუ არ მიუთითებდა, თვითონ არაფერს აკეთებდა, მათ მიერ შედგენილი განრიგით შესასრულებელ აქტივობებს არ ასრულებდა. მასწავლებლებთან ურთიერთობის ფორმა მისი არაადეკვატური საქციელით შემოიფარგლებოდა.

მასწავლებელმა ტრევერს სიმბოლოებისა და სიტყვების დახმარებით განრიგი შეუდგინა, აქტივობები თანამიმდევრობის მიხედვით დაუნომრა და განმარტებებიც თან დაურთო. ყოველი აქტივობის დასაწყისში, ტრევერი შესასრულებელ აქტივობას შემოხაზავდა და აქტივობის შესრულებისთვის საჭირო დროს პატარა ელექტრონული საათ-ტაიმერით აფიქსირებდა. საათ-ტაიმერი ტანსაცმელზე ჰქონდა მიმაგრებული და აქტივობებში აქტიურად მონაწილეობდა. ამოიწურებოდა თუ არა დანიშნული დრო, ტრევერი დასრულებულ აქტივობას „X“-ით აღნიშნავდა, შემდეგ აქტივობას შემოხაზავდა და კლასს ამ აქტივობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. ის ლიდერისა და მეთვალყურის ფუნქციას ასრულებდა და სიტუაციას კონტროლს უწევდა. ამასთან, კითხვას, მათემატიკასა და წერას (წრეების შემოვლების და „X“ დასმის მეშვეობით) სწავლობდა, მოტორულ (საათ-ტაიმერის დახმარებით) და ურთიერთობის დამყარების უნარებს ეუფლებოდა (მას მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა მოსწავლეებისთვის გადასაცემი).

ტრევერის მასწავლებელმა მიიხრა, რომ მან დიდ წარმატებას მიაღწია.

სად მივდივართ ამ საღამოს?

თინას დედამ თქვა, რომ დილით თინას უთხრა, საღამოს ციგურებით სრიალის შოუს სანახავად წავალთო. როგორც დედამისმა თქვა, დღის განმავლობაში თინამ ბევრჯერ იკითხა, სად აპირებდნენ საღამოს წასვლას. დედა შეწუხდა თინას შეკითხვებით, ვერ მიხვდა, რატომ დასვა თინამ ამდენი შეკითხვა. შესაძლოა, თინა ამ გზით დედამისის მანიპულირებას ცდილობდა ან უბრალოდ ინფორმაციას ვერ იმახსოვრებდა. ჩემი აზრით, თინას დამახსოვრების პრობლემა ჰქონდა. მას ხომ ინფორმაციას სიტყვიერად აწოდებდნენ და თუ თინას მეხსიერების შედარებით ნაკლები არხი ჰქონდა განვითარებული, დასაშვებია, რომ მიღებულ ინფორმაციას ცოტა ხნით იმახსოვრებდა, მაგრამ ხანმოკლე მეხსიერებაში ახალი ინფორმაციის შედგენისთანავე ძველი ინფორმაცია ავიწყდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თინამ იცოდა, ციგურაობა რას ნიშნავდა, მიღებული ინფორმაცია მეხსიერების „საცავში“ არ ჩერდებოდა და მის აღსადგენად დახმარება სჭირდებოდა. ამასთან, შესაძლოა, თინა ციგურაობის ვიზუალიზაციას ვერ ახდენდა, თუმცა, იცოდა, ციგურაობა რას ნიშნავდა (იხ. მე-4 თავი).

დედამისს ვურჩიე, რომ მოვლენები კალენდარში ჩაენიშნა და მათ გაცნობიერებაში თინას ამ გზით დახმარებოდა. რადგან თინას კითხვის სწავლა

ახალი დაწყებული ჰქონდა, სწავლების პროცესში დაწერილი სიტყვისა და მარტივი ნახატის (მაგალითად, მოციგურავე ან ციგურაობა) გამოყენება შევთავაზებ. თინას როცა არ უნდა ეკითხა დედამისისთვის, სად აპირებდნენ წასვლას, დედას შეეძლო, ეპასუხა: „აბა, წადი, ჩაიხედე კალენდარში და შენ თვითონ მითხარი“. თინა შეძლებდა სიმბოლო და სიტყვა კალენდარში მოეძებნა და იმდენ ხანს ეყურებინა, სანამ არ გააცნობიერებდა მათ მნიშვნელობას და გაიმეორებდა. წარმოთქმული სიტყვა, რომელიც იმწამსვე ქრება მეხსიერებიდან, განსხვავდება დაწერილი სიტყვისგან, რომელიც იმდენ ხანი არსებობს, რამდენიც საჭიროა.

მიზანი: კითხვის სწავლისა და განრიგებისა და კალენდრების გამოყენების მეშვეობით ბავშვის კომპეტენტურობა და წარსულის, აწმყოსა და მომავლის გაცნობიერების უნარი გაძლიერდება.

მიზანი #1: ბავშვი დააწყვილებს, აარჩევს და დაასახელებს სასკოლო განრიგში გამოყენებულ სიტყვებს.

შენიშვნა: განრიგის გამოყენებასა და ამ თავში აღწერილ სხვა აქტივობებთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებელთან შეთანხმებული მოქმედება.

მასალები:

განრიგში აღნიშნული აქტივობების შესაბამისი სურათები სიმბოლოებით (გრაფიკული ნახატები) და ბარათები. აქტივობის ამსახველ სურათთან ბარათს თანამიმდევრობის მიხედვით აქტივობის რიგის ნომერი (ან შესრულების დრო) დააწერეთ. მაგალითად, თუ „ჯგუფი“ ან „გაზიარება“ პირველი აქტივობაა, შესაბამის სურათთან ბარათს დააწერეთ „1“; თუ კითხვა მეორე აქტივობაა, შესაბამის სურათთან ბარათს დააწერეთ „2“. ინდივიდუალურ განრიგში გამოყენებული იქნება ის სიტყვები, რომლებიც შეესაბამება მასწავლებლის მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩასატარებელ აქტივობებს. ეს იქნება ბავშვის განრიგი და მისი ჩართულობა სპეციალური განათლების კლასში; მსგავსი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა კლასში; საზოგადოებრივ აქტივობებში, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კლასშია ბავშვი.

ამ გაკვეთილში მოცემულ ინდივიდუალურ განრიგში გამოყენებული სიტყვების მაგალითებია: *განრიგი, ჯგუფი, კითხვა, მართლწერა, დღიური, წერა, მათემატიკა, სოციალური გაკვეთილები, სადილი, შესვენება, აქტივობები, ბიბლიოთეკა, ფიზკულტურა და არდადეგები* (სკოლამდელი ასაკის ან საბავშვო ბაღის ბავშვებისთვის განრიგის ნიმუში მოცემულია დ-18 დანართში).

ნიკას განრიგი

დრო	ადგილი	აქტივობა
9:00	103	წერა
9:15	103	მათემატიკა
9:45	მინდოიოთეკა	კითხვა
10:00	სათამაშო კუბი	შესვენება
10:15	103	კითხვა
10:45	სპორტული დარბაზი	ვარჯიში
11:15	103	წერა
11:45	კაფეტერია	სადილი

ილუსტრაცია 18.1 განრიგის ნიმუში, რომელშიც დროის აღსანიშნავად კედლის საათებია გამოყენებული

აქტივობები:

ასწავლეთ ბავშვს განრიგის სიტყვები დაწველებების, არჩევისა და დასახელების მეთოდით. დაიწყეთ სიტყვით განრიგი ან ჩემი დღე (თუ ბავშვისთვის სიტყვა განრიგი რთულია), ან თანდათანობით გაზარდეთ სიტყვების რაოდენობა.

დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები ანბანის წიგნებს, ბინგოს თამაშებსა და სხვა ანბანურ თამაშებს, ისე, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი პროცედურების მიხედვით დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები სიტყვების ბანკსა და მოსინჯვის მექანიზმს. რაოდენობის გაზომვის ორიენტირად მოსინჯვის მექანიზმი გამოიყენეთ.

ნახატი 18.1

თამაშები და აქტივობები: პრაქტიკული გამოყენება, სიტყვების გაგება და განზოგადება

მიზანი #2: ბავშვი ივარჯიშებს განრიგის სიტყვების კითხვაში, გაგებასა და განზოგადებაში განრიგის შესახებ ლოტოს თამაშით.

მასალები:



შეადგინეთ ერთმწკრივიანი ლოტო; ლოტოს სათამაშო ბარათები ზედ განრიგის აღმნიშვნელი სიტყვებითა და სიმბოლოებით აქტივობების შესაბამისი თანამიმდევრობით დაალაგეთ. იხ. ილუსტრაცია 18.2, რომელიც დ-18 დანართის მიხედვით არის შედგენილი.

აქტივობები:

აჩვენეთ ბავშვს, როგორ ითამაშოს განრიგის შესახებ ლოტო და მიეცით საშუალება, ითამაშოს როგორც მარტო, ასევე სხვებთან ერთად.

ნახატი 18.2

**ყოველდღიური
სასკოლო
ბანრივი და მისი
ღანძვა, მიზონა**

მიზანი №3: განრიგში ბავშვი შემოხაზავს მიმდინარე აქტივობას და გადახაზავს იმ აქტივობას, რომელიც შესრულდა.

მასალები:

სიმბოლოებითა და სიტყვებით შედგენილი განრიგების ასლები. შეადგინეთ კვირის ყოველი დღის განრიგი (თუ ბავშვს დღეების მიხედვით განსხვავებული განრიგი აქვს) შემდეგნაირად: („ბიბლიოთეკა“ – ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს; „ფიზკულტურა“ – სამშაბათსა და ხუთშაბათს). განრიგს თავზე დააწერეთ, რომელი დღისთვის არის შედგენილი (ორშაბათის განრიგი). განსაზღვრეთ, სასკოლო დღე რამდენ პერიოდად არის დაყოფილი და „შესენებები“ თანამიმდევრობის მიხედვით ფურცელს დააკარით. გაავლეთ ჰორიზონტალური ხაზები ფურცლის გასწვრივ და დატოვეთ დროის აღნიშვნისათვის საჭირო ადგილი. შემდეგ გაავლეთ ვერტიკალური ხაზები ისე, რომ შეადგინოთ ოთხი სვეტი (თუ ბავშვმა დროის გარჩევა იცის) ან სამი სვეტი (თუ დროის გარჩევა არ იცის). თუ განრიგი ოთხსვეტიანია, პირველი ორი სვეტი უფრო ვიწრო იყოს; თუ განრიგი სამსვეტიანია, მაშინ პირველი სვეტი დაავიწროეთ. პირველ სვეტში ჩაწერეთ პერიოდების რაოდენობა; მეორე სვეტში – ჩახატეთ საათი, რომელსაც ქვეშ მიუწერთ აქტივობის დაწყების დროს; მესამე სვეტში ჩახატეთ პერიოდის შესაბამისი აქტივობის სიმბოლო და ქვეშ აქტივობის დასახელება მიუწერეთ; ბოლო სვეტი ამ ეტაპზე ცარიელი დატოვეთ.

აქტივობები:

აჩვენეთ ბავშვს განრიგი და წაიკითხეთ მასთან ერთად (ბავშვი სწავლობს სიტყვებისა და სიმბოლოების კითხვას). მიუთითეთ მიმდინარე აქტივობაზე და თქვით: „შეხედე, ეს არის ჯგუფური მუშაობის დრო; შემოხაზე დრო; ეს არის ის, რაც ახლა ხდება.“ თუ საჭიროა, დაენმარეთ ბავშვს. როდესაც ეს პერიოდი დამთავრდება და ზარი დაირეკება (თუ საათ-ტაიმერს ხმარობთ, დროს ის გიჩვენებთ), ჰკითხეთ ბავშვს: „რომელია მომდევნო აქტივობა?“; მიუთითეთ მას, ისარგებლოს განრიგით, გადახაზოს აქტივობა, რომელიც დასრულდა და შემოხაზოს მომდევნო. ასე განაგრძეთ მთელი დღის განმავლობაში. ყოველდღე მიეცით ბავშვს განრიგი და უთხარით: „დღეს ორშაბათია, ეს ორშაბათის განრიგია, ორშაბათი ბიბლიოთეკის დღეა.“

**ყოველდღიური
ანგარიში
(დააბტირებული
ღღიური)**

მიზანი №4: ბავშვი ჩაწერს და შემოხაზავს განრიგით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამის სიმბოლოებსა და სიტყვებს.

მასალები:

განრიგი (მიზანი №3) ბოლო ცარიელ სვეტში ჩასაწერი ალტერნატივებით. მოარგეთ განრიგი ბავშვის დონეს:

I ფაზა: მოსწავლეებისათვის, რომლებსაც არა აქვთ საკითხავი სიტყვების მარაგი: თითოეული პერიოდის შესაბამის ბოლო სვეტში ჩახატეთ სიმბოლოები (სამი ან ორი) იმ აქტივობებისათვის, რომლებიც შეიძლება ჩატარებულიყო ამ პერიოდში. ყოველი სიმბოლოს ქვეშ სიტყვა ჩაბეჭდეთ. მაგალითად: *ჯგუფური მუშაობისთვის* სიმბოლო შეიძლება იყოს კალენდარი, წიგნი, სიმღერები (ნოტები ან მაგნიტოფონი); *კითხვისთვის* – წიგნის სიმბოლო, ბარათი, ლოტო, კომპიუტერი; *არდადეგებისთვის* – სათამაშო მოედნების აქტივობების სიმბოლოები, როგორცაა ბურთი, სახტუნაო, ასაძრომი მოწყობილობები; *სადილისთვის* – რძე, პიცა, ჰამბურგერი (ან ჩვეულებრივი სასკოლო ან სასადილო სივრცე).

II ფაზა: მოსწავლეებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ სიტყვების კითხვა, მაგრამ უჭირთ სიტყვების გადაწერა და წერა: ბოლო სვეტში ჩაბეჭდეთ იმ აქტივობების ამსახველი სიტყვები, რომლებიც შეიძლება ჩატარებულიყო ამ პერიოდში. მაგალითად, *ჯგუფური მუშაობისთვის* ჩაბეჭდეთ სიმღერების სათაურები (თუ მღერით ამ სიმღერებს); *კითხვისთვის* – მოთხრობების სათაურები.

III ფაზა: მოსწავლეებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ სიტყვების გადაწერა: კომპიუტერში ან პირველ გვერდზე დაუსრულებელი წინადადებები ჩაწერეთ და დატოვეთ საკმარისი ადგილი, რომ მოსწავლემ შეძლოს აქტივობის ჩაწერა. მაგალითები:

- დღეს კლასში ჩვენ ვიმღერეთ _____
- კითხვის გაკვეთილზე წავიკითხეთ _____
- დასვენებაზე ვითამაშეთ _____
- მე ვეთამაშე _____
- სადილად გვექონდა _____
- ჩემს გვერდით იჯდა _____
- დღეს მე გავსინჯე _____
- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დღეს _____
- მოხდა, იყო _____

აქტივობები:

I ფაზა: დღის ბოლოსთვის (ან ყოველი აქტივობის შემდეგ) აჩვენეთ ბავშვს, როგორ გამოიყენოს ბოლო (ცარიელი) სვეტი. უხელმძღვანელებთ და უთხარით: „ნახე, ჩამოწერილია ის აქტივობები, რასაც ჯგუფური მუშაობის დროს ვაკეთებთ; შემოხაზე, რაც გავაკეთეთ და გადახაზე, რაც არ გავაკეთებია“. მიუთითეთ სიმბოლოზე და უთხარით: „ეს არის სადილის ფული; დღეს გადავიხადეთ სადილის ფული?“; დაეხმარეთ ბავშვს, შემოხაზოს ან გადახაზოს საჭირო სიტყვა. სადილის შესახებ შეგიძლიათ უთხარათ: „ეს ჰამბურგერია; დღეს სადილზე ჭამე ჰამბურგერი?“; თუ სჭირდება, დაეხმარეთ, მაგრამ მაინც ეცადეთ, დამოუკიდებლად შეასრულოს დავალება. თუ ბავშვს უჭირს აქტივობის გახსენება, აჩვენეთ, როგორ მოძებნოს ის. მაგალითად, თუ სადილის მენიუ კედელზეა გამოკრული, ბავშვს შეუძლია ადგეს და შეხედოს (შეიძლება ბავშვმა თვითონ წაიკითხოს ან მასწავლებელმა წაუკითხოს, ან ბავშვმა სიმბოლოს ქვეშ მიწერილი სიტყვა მოძებნოს).

მოსწავლის „საშინაო დავალება“ – სახლში წაიღოს „დღიური“ და მშობლებს უამბოს, რა გააკეთა სკოლაში. თუ ბავშვს მეტყველების პრობლემა აქვს, შეუძლია შემოხაზული აქტივობები აჩვენოს ან მშობლებმა თვითონ წაიკითხონ: „თქვენ სადილის ფული გადავიხადეთ“, ან „მართლა ჭამე პიცა სკოლაში?“ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბავშვმა ისწავლოს სიმბოლოების გამოყენება, დამახსოვრება და სხვებისთვის გაზიარება.

II ფაზა: ამ ფაზაში მასალებად გამოიყენეთ სიტყვები სიმბოლოების გარეშე. ხშირად ცვალებად და გააფართოეთ არჩევანი. განაგრძეთ I ფაზაში დაწყებული აქტივობები, წაკითხვისა და სწორი ვარიანტების შემოხაზვის გამოკლებით. ბავშვი დღიურს შინ წაიღებს და მთელი დღის შთაბეჭდილებებს დღიურის დახმარებით მშობლებს გაუზიარებს.

III ფაზა: დაეხმარეთ ბავშვს, გადმოწეროს სიტყვები, რომლებითაც დაასრულებს წინადადებებს. თუ სიტყვები ბეჭდვითი ფორმით არსებობს, ან მენიუშია, ან საკითხავ წიგნში ან სიტყვების ბანკში, ბავშვს შეუძლია სიტყვა ამ წყაროდან გადმოწეროს. თუ სიტყვა ამ სახით არ არსებობს, მაშინ ბავშვი „უკარნახებს“ მასწავლებელს იმ სიტყვას, რაც ცარიელ ადგილას უნდა ჩაიწეროს. მასწავლებელი ჩაწერს სიტყვას, მოსწავლე შეავსებს ცარიელ ადგილს და დაასრულებს წინადადებას. თუ მოსწავლეს არ უნდა სცადოს სიტყვის გადმოწერა ან ბავშვის მიერ გადმოწერილი სიტყვის გარკვევა რთულია, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია კომპიუტერის გამოყენება. ეს ფორმა შეიძლება კომპიუტერში ინახებოდეს. მოსწავლე დაასრულებს წინადადებებს კომპიუტერის გამოყენებით. შემდეგ ამობეჭდავს მათ კომპიუტერიდან და შინ წაიღებს.

IV ფაზა: მოსწავლე ავსებს დღიურს. თუ საჭიროა, მასწავლებელი ეხმარება შესაძლებელი ვარიანტების შერჩევაში, მართლწერასა და წერილის შედგენაში: (1) მოსწავლეს შეუძლია სიტყვების ბანკის გამოყენებით ბარათები შეადგინოს, თქვას, რომელი სიტყვა სჭირდება და გადმოწეროს ან ამობეჭდოს ის. (2) მოსწავლეს შეუძლია სხვას უკარნახოს თავისი დღიური, გადმოწეროს ან ამობეჭდოს და შემდეგ მშობლებს წაუღოს.

იცით, რამდენი გვყავს ისეთი ბავშვი, ვისაც ეს ძალიან დაეხმარება. განრიგს მათთან მუშაობის დროსაც გამოვიყენებ.

6 წლის თემი პირველ კლასში ჩაირიცხა. ის იმავე კითხვის პროგრამაში იყო ჩართული, რომელშიც მისი თანატოლები და კარგად კითხულობდა, მაგრამ წერა უჭირდა. რამდენიმეჯერ სცადა, გადაეწერა ასოები და სიტყვები, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია და შეწყვიტა ამის გაკეთება. დღიურის შედგენის აქტივობის დროს, ის მერხთან იჯდა, გაუგებარ ნიშნებს ხატავდა და თავს იკატუნებდა, ვითომ სხვა ბავშვების მსგავსად ისიც წერდა. ისე „იქცეოდა“, თითქოს ყველაფერს აკეთებდა, როგორც მისი თანაკლასელები. თუმცა, ამ სანიმუშო მოსწავლის როლის თამაში არ იყო საკმარისი. საჭირო იყო სწავლა. ამიტომ განრიგისა და კერძოდ, II ფაზის გამოყენება ვურჩიე. ეს მას დაეხმარებოდა ქაღალდზე ტექსტის გადმოწერის უნარის ათვისებაში, დღის განმავლობაში ჩატარებული აქტივობების ჩაწერასა და ჩანაწერების დამახსოვრებაში. თემის მასწავლებელმა განრიგი კომპიუტერში ჩაწერა, განრიგის ბოლო სვეტში შესატან არჩევანს ყოველდღე ცვლიდა დღის განმავლობაში მომხდარი აქტივობების შესაბამისად (თუ სადილად პიცა იყო, ბოლო სვეტშიც სიტყვა პიცა შეჰქონდა, თუ კითხვის თემა მალაზია იყო, ბოლო სვეტში ეს სიტყვა იწერებოდა). დღიურის შევსების აქტივობის დროს თემი სწორ პასუხებს შემოხაზავდა, შემდეგ დღიური შინ მიჰქონდა და მშობლებს დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების შესახებ უამბობდა. თემი მალე გადავიდა III ფაზაზე. მასწავლებელი კმაყოფილი იყო ამ ადაპტაციით. მან ასეთი კომენტარი გააკეთა: „*იცით, რამდენი გვყავს ისეთი ბავშვი, ვისაც ეს ძალიან დაეხმარება. განრიგს მათთან მუშაობის დროსაც გამოვიყენებ.*“

დანართში (დ-19) მოცემულია წარმატების ცხრილი, რომელსაც მოსწავლე შეავსებს და ამ გზით შეაფასებს საკუთარ მოქმედებას. ესეც ადაპტაციის ერთ-ერთი ფორმაა, რაც მოსწავლეს დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების მშობლებისთვის გაზიარებაში დაეხმარება.

**სახლის
ბანრიგი**

თუ ბავშვი თქვენზეა დამოკიდებული და საშინაო დავალების შესრულებაში თქვენი დახმარება სჭირდება, სახლის განრიგის გამოყენება დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებაში ძალიან დაეხმარება. შეუდგინეთ დილის განრიგი იმის მიხედვით, რაც გინდათ, რომ ბავშვმა გააკეთოს. განრიგში აღნიშნეთ ყოველი ქმედების (ბანაობა, ჩაცმა, ჭამა, კბილების გახეხვა, თმის დავარცხნა) შესასრულებლად საჭირო დრო. ბავშვი დროს საათ-ტაიმერით დაინიშნავს, ითამაშებს თამაშს „საათი რეკავს“ და დავალების დროზე ადრე შესრულებას შეეცდება. თუ ბავშვი მიზანს მიაღწევს, განრიგში აღნიშნავს გააკეთებს. თუ დავალებას საათ-ტაიმერის გამორთვამდე ვერ დაასრულებს, განრიგში შესაბამისი დავალების გასწვრივ წრეს შემოავლებს. როდესაც ბავშვი სკოლაში წასასვლელად მზად იქნება, ყოველ შესრულებულ დავალებაზე ქილაში ათეთერიანს ჩააგდებს (ახალი მაგნიტოფონის შესაძენად, კინოში ან მაკდონალდსში წასასვლელად თანხას დააგროვებს).

ამ სექციაში აღწერილია სასკოლო კვირის განრიგი. მისი ათვისების შემდეგ შაბათ-კვირის განრიგიც შეიძლება დავამატოთ.

**კვირის
ბანრიგის
სიტყვების
ბაცნობა:
ათვისება**

მიზანი №5: ბავშვი დააწყვილებს, არჩევს და დაასახელებს კვირის დღეებს.

მასალები:

ბარათების ორი კომპლექტი კვირის დღეებით.

აქტივობები:

ასწავლეთ კვირის დღეები დაწყვილების, არჩევისა და დასახელების მეთოდით; გამოიყენეთ ბარათების ორი კომპლექტი. არჩვენთ ბავშვს კვირის დღეები კალენდარში (დღის განრიგის გამოცდილება თუ აქვს, ბავშვმა შეიძლება დღეებიც იცოდეს და წაკითხვაც შეძლოს. მითითებები ბავშვის შესაძლებლობებს მიუსადაგეთ).

დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები ანბანის წიგნებს, ბინგოს თამაშებსა და სხვა ანბანურ თამაშებს, ისე, როგორც მე-9 თავშია აღწერილი. მე-8 და მე-9 თავებში აღწერილი პროცედურების მიხედვით დაუმატეთ ახალი სიტყვები და ასოები სიტყვების ბანკს და მოსინჯვის მექანიზმს. რაოდენობის გაზომვის ორიენტირად მოსინჯვის მექანიზმი გამოიყენეთ.

თავაშები და აქტივობები: პრაქტიკული გამოყენება, სიტყვების გაგება და განხილვა

მიზანი #2: ბავშვი ივარჯიშებს კვირის დღეების აბრევიატურების კითხვაში და მათ სიტყვებთან დააწყვილებს.

მასალები:

1	ორშაბათი	ორშ.
2	სამშაბათი	სამშ.
3	ოთხშაბათი	ოთხშ.
4	ხუთშაბათი	ხუთშ.
5	პარასკევი	პარ.
6	შაბათი	შაბ.
7	კვირა	კვირ.



შეადგინეთ კვირის დღეების ლოტო. გამოიყენეთ ბარათები კვირის დღეების აბრევიატურებით და ბარათები კვირის დღეების სახელებით (იხ. ილუსტრაცია 18.3).

აქტივობები:

აჩვენეთ ბავშვს კალენდარი, რომელშიც კვირის დღეების აბრევიატურებია მოცემული და უთხარით: „შეხედე, ეს არის ორშაბათის, სამშაბათის და ა.შ. შემოკლებული ვარიანტი. კალენდარში აბრევიატურების გამოყენება უფრო მოსახერხებელია და

ნახატი 18.3

მათი დაწერაც ადვილია.“

მიზანი №7: ბავშვი მიჰყვება კვირის განრიგს.

კვირის განრიგის მიმოვლა

მასალები:

შეადგინეთ სასკოლო კვირის განრიგი ექვსი სვეტით; პირველ სვეტში ჩაწერეთ დრო, დანარჩენ ხუთ სვეტში – კვირის დღეები. ყოველი დღის ქვეშ ჩაბეჭდეთ მოსწავლის განრიგი. დღის განრიგის შესახებ ინფორმაციის გადმოსაცემად გამოიყენეთ მხოლოდ სიტყვები, თუ ბავშვს ეს სიტყვები ნასწავლი აქვს.

აქტივობები:

აჩვენეთ მოსწავლეს, როგორ მიჰყვება განრიგს; შემოხაზოს მიმდინარე და გადახაზოს დასრულებული აქტივობები. ყოველი დღის დასაწყისში ჰკითხეთ ბავშვს, რა დღეა. თუ ბავშვს უჭირს ამის გაკეთება, აჩვენეთ, წინა დღე როგორ

დაიწყო და დასრულდა. თუ მოსწავლე გაკვეთილზე არ იყო, შესაბამისი პერიოდის გასწვრივ ჩაბეჭდეთ „არყოფნა“. აუხსენით, რას ნიშნავს ეს სიტყვა, აჩვენეთ განრიგში ის დღე და უთხარით: „შეხედე, გუშინ იყო ოთხშაბათი და შენ გაკვეთილზე არ იყავი. შენ ვერ დაესწარი იმ მოვლენებს, რომლებიც გუშინ მოხდა, იმიტომ, რომ ავად იყავი. დღეს რა დღეა?“

**თვეების
სახელების
ბასნობა:
ათვისება**

მიზანი №8: ბავშვი მიმდინარე თვისა და წლის სახელებს კალენდარში წაიკითხავს.

მასალები:

თვის კალენდარი თვის დასახელებითა და ისეთი ზომის კვადრატებით, რომლებშიც მოვლენების შესახებ ჩანაწერები ან სიმბოლოები ადვილად მოთავსდება; ფლომასტერები მოვლენების ჩასაწერად ან სიმბოლოების ჩასახატავად; ბარათები თვეების სახელებით და ბარათი წლის აღნიშვნით; მალვიძარა ან რადიოს საათი.

აქტივობები:

აჩვენეთ ბავშვს კალენდარი. უთხარით: „ეს შენი საკუთარი კალენდარია. კალენდარს ვიყენებთ იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რომელი მნიშვნელოვანი დღეები ახლოვდება. ესენია: დაბადების დღეები, წმ. ვალენტინის დღე და ა. შ. კალენდარი ასევე გვჩივრდება იმისთვის, რომ ვიცოდეთ, როდის წავიდეთ სკოლაში, სამსახურში და როდის გვაქვს არდადეგები“. ჩამოკიდეთ კალენდარი კედელზე, ბავშვის თვალის სიმაღლეზე, და ისე მიაკარით, რომ ჩამოხსნა და ხელახლა დაკიდება გაგვიადვილდეს.

ყოველი თვის დასაწყისში უთხარით ბავშვს, რა თვეა. მაგალითად, აჩვენეთ კალენდარში სიტყვა და უთხარით: „ამ თვის სახელია იანვარი“. შემდეგ აჩვენეთ იანვრის შესაბამისი ბარათი და სთხოვეთ, კალენდართან დააწყვილოს (გაიმეორეთ ეს ყოველდღე, სანამ ბავშვი ამ სიტყვის სპონტანურად წაიკითხვას შეძლებს; მან უნდა გითხრათ, რა თვეა და შემდეგ სიტყვა კალენდარში წაიკითხოს). ასევე უნდა უთხრათ ბავშვს, რომელი წელია. მიეცით 1995 წლის შესაბამისი ბარათი და უთხარით: „ეს არის 1995 წელი. იპოვე ეს წელი კალენდარში“. სთხოვეთ, დააწყვილოს ისინი. შეგიძლიათ ორივე ბარათი ხელში დაიჭიროთ, მაღლა ასწიოთ და ბავშვებს ჰკითხოთ: „რომელი ბარათი აღნიშნავს იანვარს? 1995 წელს?“; არ აჩქარდეთ. ბავშვს საკმარისი დრო აქვს, რომ ივარჯიშოს 1995 წელზე.

მიზანი №9: ბავშვი ისარგებლებს კალენდრით და დაელოდება მოახლოებულ მოვლენებს.

მას შემდეგ, რაც ბავშვს აუწყებთ, რა თვეა, დაეხმარეთ მას კალენდრის შევსებაში. ბავშვი დაელოდება მოახლოებულ მოვლენებს. ამობეჭდეთ მოვლენები, თუ ბავშვს შეუძლია შესაბამისი სიტყვების კითხვა (ან ასწავლეთ ამ სიტყვების კითხვა). თუ ბავშვს საგნებზე ეტიკეტების მიკვრა უყვარს, მოვლენები ეტიკეტებზე დაბეჭდეთ, დაჭერით და აჩვენეთ მას, როგორ დააკრას კალენდარზე არდადეგების, დაბადების დღეებისა და ა.შ. სიმბოლოები, რაც კალენდარს უფრო საინტერესოსა და სახალისოს გახდის. თუ შესაბამისი სტიკერები გაქვთ, გამოიყენეთ. თუ ბავშვს არა აქვს ნასწავლი მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვების უმეტესობა, ყოველი მათგანის შესწავლისას სიმბოლოები გამოიყენეთ.

მაგალითები: 1 იანვარს დააწერეთ, *ვისურვებ ბედნიერ ახალ წელს*, დაამატეთ რაიმე სიმბოლო, მაგალითად, *ბავშვის გამოსახულება ან სადღესასწაულო*

ქუდი; ან დაბადების დღის ტორტის სურათი და კალენდარს მიაკარით. იმ დღეების აღნიშვნისას, როდესაც ბავშვი სკოლაში არ მიდის, დაბეჭდეთ სახლის სურათი (ან ეტიკეტი) ან დახატეთ სახლის სიმბოლო; სკოლის დღეებისთვის ამობეჭდეთ სკოლის სურათი. ასევე აღნიშნეთ ბავშვისთვის მნიშვნელოვანი დღეები. მაგალითად, მომდევნო კვირის საყვარელი ტელეგადაცემები, კვირადღეებში ეკლესიაში ან ბებიასთან წასვლა; შაბათობით ცეკვა. წლის დასაწყისში დაეხმარეთ, კალენდარზე აღნიშნოს ისეთი მოვლენები, როგორცაა ოჯახის წევრების დაბადების დღეები, ან დღე, როდესაც ოჯახის წევრები და ან მასწავლებელი ბავშვის დაბადებას ელიან. სწავლის დაწყების ან დამთავრების დღე, საოჯახო არდადეგები. ბავშვი ისარგებლებს კალენდრით და დაელოდება მოახლოებულ მოვლენებს.

ყოველი დღის ბოლოს (ეს იქნება დასაძინებლად წასვლის რიტუალის ნაწილი) დაეხმარეთ ბავშვს, გადახაზოს დღე, რომელიც დასრულდა, ჰკითხეთ, რა დღეა მომდევნო დღეს და რა არის მოსალოდნელი („დღეს პარასკევია, სკოლაში მივდივარ; დღეს შაბათია, სახლში ვრჩები და ცურვაზე წავალ; დღეს გიორგობაა, სახლში ვიქნები; დღეს მამაჩემის დაბადების დღეა, სკოლაში მივდივარ. საღამოს წვეულება გვაქვს“). კალენდარში აღნიშნული მოვლენების მიხედვით, დაეხმარეთ ბავშვს, მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგალითად, რა ჩაიცვას მომდევნო დღეს, სჭირდება თუ არა მალვიძარას დაყენება. დღის დასასრულს შეგიძლიათ, ჰკითხოთ, რას მოელის ხვალინდელი დღისგან, „გინდა ხვალისთვის მალვიძარა დავაყენო?“ ან „ხვალ სკოლის დღეა, რას ჩაიცვამ, ცისფერ პერანგს თუ წითელ სვიტერს?“; დილით ან დღის ნებისმიერ დროს ბავშვს რომ მიესალმებით, გამოიყენეთ კალენდრის სიტყვები: „ბედნიერ სამშაბათს გისურვებ!“; „როგორ გრძობ თავს ამ თოვლიანი (ცივი, წვიმიანი, ღრუბლიანი ან მზიანი) იანვრის დღეს?“

დასასწავლი

ყოველი თვის დღესასწაულისთვის ასწავლეთ ბავშვს დღესასწაულის სახელის კითხვა ან დღესასწაულთან დაკავშირებული სიტყვები. დაგეგმეთ გაკვეთილი, რომელზეც მისალოცი ბარათების გამოყენებით მარტივი მისალოცი ბარათების კითხვას ასწავლით. მაღაზიებში ყურადღება მიაქცევინეთ იმ სიმბოლოებზე, რომლებზეც მისალოცი სიტყვებია. აჩვენეთ ეს სიტყვები გაზეთებსა და ყურნალებში. როდესაც ბავშვის დაბადების დღე ახლოვდება, ასწავლეთ ამ სიტყვების წაკითხვა, რათა შეძლოს დაბადების დღეზე მიღებული მისალოცი ბარათების წაკითხვა. ბავშვს გასახალისებლად დაბადების დღეზე დაუდეთ ბანერი სიტყვებით: „გილოცავთ დაბადების დღეს.“ სხვებისთვის გასაგზავნი მისალოცი ბარათები ბავშვმა თვითონ აარჩიოს.

ლოტო

ლოტო თვეების სახელებზე შეიძლება ათამაშოთ თვეების სახელებით ან მათი აბრევიატურებით. დაელოდეთ, სანამ ბავშვი ოთხი თვის სახელს მაინც ისწავლის, შეუდგინეთ ლოტო ოთხ თვეზე და დატოვეთ ადგილი სხვა თვეებისთვის; როცა დანარჩენი თვეების სახელებსაც ისწავლის, ეს სიტყვებიც დაამატეთ. შეგიძლიათ დღესასწაულების ლოტოც შეუდგინოთ და დღესასწაულის სიმბოლო დღესასწაულის სახელთან დააწყვილებინოთ. მაგალითად, ჩვილი ბავშვის ან სადღესასწაულო ქუდი – ახალი წლის დღესთან; გული – წმ. ვალენტინის დღესთან; სადღესასწაულო ტორტი – ბავშვის დაბადების დღესთან და ა.შ.

- Blaha, R. (1988). Functional communication activities and strategies that work for severely involved students, presentation, Workshop in Special Education. Seattle: University of Washington.
- Brigance, A.H. (1978). Brigance diagnostic inventory of early development. Woburn, MA: Curriculum Associates.
- Buckley, S. (1985). Attaining basic educational skills: reading, writing, and number. In D. Lane and B. Stratford (Eds.), *Current approaches to Down's syndrome*, (pp. 323-330). Westport, CT: Praeger.
- Buckley, S. (1984) *Reading & language development in children with Down's syndrome: A guide for parents and teachers*. Portsmouth: Down's Syndrome Project.
- Carr, E.G. and Durand, V.M. (1985). Reducing behavior problems through functional communication training. *Journal of Applied Behavior Analysis*, 18, 111-126.
- Carr, J. (1988). Six weeks to twenty-one years old: A longitudinal study of children with Down's syndrome and their families. *Journal of Child Psychology and Psychiatry*, 29, 407-431.
- Coleman, M. (1988). Medical care of children and adults with Down syndrome. In V. Dmitriev and P.L. Oelwein (Eds.), *Advances in Down syndrome* (pp. 7-18). Austin, TX: Pro-Ed.
- Conners, F.A. (1992). Reading instruction for students with moderate mental retardation: Review and analysis of research. *American Journal of Mental Deficiency*, 96, 577-597.
- Connolly, J.A. (1973). Intelligence levels of Down's syndrome children. *American Journal of Mental Deficiency*, 83, 193-196.
- Downs, M.P. and Balkany, T.J. (1988). Otologic problems and hearing impairment in Down syndrome. In V. Dmitriev and P.L. Oelwein (Eds.), *Advances in Down syndrome* (pp. 19-34). Austin, TX: Pro-Ed.
- Dunn, L.M. (1959). *Peabody picture vocabulary test (PPVT)*. Circle Pines, MN: American Guidance Service.
- DuVerglas, G. (1984). *A comparative follow-up study of Down's syndrome children who attended the Model Preschool Program*. Doctoral dissertation. Seattle: University of Washington.
- Durling, D. & Benda, C.E. (1952). Growth curves in untreated institutionalized mongoloid patients. *American Journal of Mental Deficiency*, 56, 578-588.
- Dykens, E.M., Hodapp, R.M., & Evans, D.W. (1994). Profiles and development of adaptive behavior in children with Down syndrome. *American Journal on Mental Retardation*, 98, 580-587.
- Edwards, J. & Dawson, D. (1983). *My friend, David*. Austin, TX: Pro-Ed.
- Engelmann, S.E. (1977). Sequencing cognitive and academic tasks. In R.D. Kneedler & S.G. Tarver (Eds.), *Changing perspectives in special education*. Columbus, OH: Charles E. Merrill. As cited in Heward, W.L. & Orlansky, M.D. (1984). *Exceptional children: Second Edition*, (p.124). Columbus, OH: Charles E. Merrill.
- 242 References
- Fredricks, H.D., Mushlitz, J. Jr., & DeRoest, C. (1987). Integration of children with Down syndrome at the elementary school level: a pilot study. In S.F. Pueschel, C. Tingey, J.E. Rynders, A.C. Crocker, and D.M. Crutcher (Eds.), *New perspectives on Down syndrome*. Baltimore: Paul H. Brookes.
- Fowler, A. (1988). Determinants of rate of language growth in children with Down syndrome. In L. Nadel (Ed.),

The psychobiology of Down syndrome (pp. 217-245). Cambridge, MA: MIT Press.

Franken, A. (1992). *I'm good enough, I'm smart enough, and doggone it, people like me!* New York: Dell Publishing.

Gibson, D. (1966). Early developmental staging as a prophesy index in Down's syndrome. *American Journal of Mental Deficiency*, 70,825-828.

Golden, D. (1994). Building a better brain. *Life* (July), 63-70.

Grieser, D.L. & Kuhl, P.K. (1988). Maternal speech to infants in a tonal language: support for universal prosodic features in motherese. *Developmental Psychology*, 24:1,14-20.

Hayden, A.H. and Dmitriev, V. (1975). The multidisciplinary preschool program for Down's syndrome children at the University of Washington Model Preschool Center. In B.Z. Friedlander, G.M. Sterritt, and G.E. Kirk, (Eds.), *Exceptional infant*, vol. 3, (pp.193-221). New York: Brunner/Mazel.

Hunt, N. (1966). *The world of Nigel Hunt*. London: Darwen Finlayson.

Kessler, M.E., and Randolph K. (1979). The effects of early middle ear disease on the auditory abilities of third grade children. *Journal of Academic and Rehabilitation Audiology*, 12:6-20.

Korenberg, J.R., Pulst, S.M., and Gerwehr, S. (1992). Advances in the understanding of chromosome 21 and Down syndrome. In I.T. Lott & E.E. McCoy, (Eds.), *Down syndrome: Advances in medical care* (pp. 3-12). New York: Wiley-Liss.

Kumin, L. (1993). *Communication skills in children with Down syndrome: A guide for parents and teachers*. Bethesda, MD: Woodbine House.

LaVeck, B. & LaVeck, G. (1977). Sex differences in development among young children with Down's syndrome. *Journal of Pediatrics* 91: 767-769.

Loveland, K.A. & Kelley, M.L. (1988). Development of adaptive behavior in adolescents and young adults with autism and Down syndrome. *American Journal on Mental Retardation*, 93, 84-92.

Loveland, K.A. & Kelley, M.L. (1991). Development of adaptive behavior in preschoolers with autism or Down syndrome. *American Journal on Mental Retardation*, 96, 13-20.

McCreary, A. (1992). Study shows early influence of language on infants. *CDMRC Outlook*, 5:2.

Miller, G.A. (1956). The magical number seven, plus or minus two: Some limits on our capacity for processing information. *Psychological Review*, 63, 81-97. (Cited in: Myers, D.G., 1986, *Psychology*. New York: Worth Publishers.)

Oelwein, P.L. (1988). Preschool and kindergarten programs: strategies for meeting objectives. In V. Dmitriev and P.L. Oelwein (Eds.), *Advances in Down syndrome* (pp. 131-157). Austin, TX: Pro-Ed.

TEACHING READING TO CHILDREN WITH DOWN SYNDROME 243

Pieterse, M., & Treloar, R. (1981). *The Down's Syndrome Program: Progress report*. North Ryde, Australia: Macquarie University.

Rhodes, L., Gooch, B., Siegelman, E.Y., Behrms, C., and Metzger, R. (1969). *! language stimulation and reading program for severely retarded mongoloid children*. California Mental Health Research Monograph No. 11. Sacramento, CA: State Department of Mental Hygiene.

Sandall, S.R. (1988). Learning to take turns. In V. Dmitriev & P.L. Oelwein (Eds), *Advances in Down syndrome* (pp. 261-269). Austin, TX: Pro-Ed.

Wiig, E. (1980). And then they told me I had to cut on the lines. In W.L. Heward & M.D. Orlansky, *Exceptional children: First edition*. Columbus, OH: Charles E. Merrill.

Wishart, J.G. (1988). Early learning in infants and young children with Down syndrome. In L. Nadel (Ed.), *The*

psychobiology of Down syndrome (pp.7-50). London & Cambridge, MA: A Bradford Book, the MIT Press.

Wishart, J.G. (1989). Learning to learn: The difficulties faced by infants and young children with Down's syndrome. In W.L Frazier (Ed.), *Key issues in mental retardation*, (pp. 249-261). London: Routledge.

Zadig, J.M. (1987). Elementary education for children with Down syndrome. In S.F. Pueschel, C. Tingey, J.E. Rynders, A.C. Crocker, and D.M. Crutcher (Eds.), *New perspectives on Down syndrome*. Baltimore: Paul H. Brookes.

დანართი

დანართი N1

სახელმძღვანელო მითითებები: კითხვის სწავლების გამოყენებული ეტაპების ტიპური თანამიმდევრობა

დანართში აღწერილი მითითებები მათთვისაა, ვისაც სურს, რომ ენის სწავლების ამ წიგნში აღწერილი გამოცდილება კითხვის სწავლების უფრო მაღალი დონის ელემენტების (პრეფიქსების, სუფიქსების, დაბოლოებების, შედგენილი სიტყვების და ა.შ.) სწავლებისას გამოიყენოს. თუმცა, უნდა გვანსოვდეს, რომ ეს მხოლოდ სახელმძღვანელო მითითებებია. ყველა ელემენტის იმ თანამიმდევრობით სწავლება, როგორც ეს წიგნშია მოცემული არ არის აუცილებელი; არც ყველა ელემენტის სწავლებაა აუცილებელი. თუკი ბავშვს ფონიკის სწავლა და წესების გამოყენება ძალიან უჭირს, სწავლება თვალთ ალსაქმელი სიტყვების გამოყენებით გააგრძელეთ, ხოლო სახელმძღვანელო იმ იდეების ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ, რაც ბავშვის პროგრამაში გარკვეული ტიპის სიტყვებისა და ცნებების შეტანას ითვალისწინებს.

პირველადი დონის წინა დონე

1. თვალთ ალსაქმელი სიტყვები: 50 საკითხავი მარაგის სახით
2. სიტყვების ანალიზი: შეუძლია სიტყვების მისადაგება, როგორც მე-8 თავშია მოცემული; შეუძლია ისეთი სიტყვების გაგონება, რომელიც ირითმება და იმ სიტყვების შერჩევა, რომელიც ირითმება.

პირველადი დონე

1. თვალთ ალსაქმელი სიტყვები: 100 საკითხავი მარაგის სახით
2. სიტყვების წასაკითხად კონტექსტისა და სურათების გამოყენება შეუძლია
3. რითმულ წინადადებებში ცნობს გართმულ ნაწილს და გამოთქვამს მას

მკითხველის პირველი დონე

1. თვალთ ალსაქმელი სიტყვები: 200 საკითხავი მარაგის სახით (იხ. დანართი ბ-1 თვალთ ალსაქმელი ძირითადი სიტყვებისთვის).
2. აჯგუფებს სიტყვებს საწყისი ასოების მიხედვით
3. ცნობს სიტყვებს შორის მსგავსებას (სიტყვებს, რომლებიც ერთი და იმავე ასოთი იწყება, სიტყვებს, რომელსაც ერთი და იგივე დაბოლოება აქვს, სიტყვებს, რომლებიც ფონეტიკურად მსგავსია (მაგ. ხილი, ძილი, ლილი და სხვა)).

მკითხველის მეორე დონე

1. თვალთ ალსაქმელი სიტყვები: 300 საკითხავი მარაგის სახით
2. ცნობს წინადადებებში გამოყენებული სიტყვების საწყის და ბოლო თანხმოვნებს
3. შეუძლია საწყის თანხმოვნთა ჩანაცვლება და ახალი სიტყვების შედგენა (მაგ. გრ-ილი, თბ-ილი, ტკბ-ილი, სვ-ელი, გრძ-ელი და ა.შ.)
4. სწავლობს ხმოვნებს

მესამე დონის მკითხველი

1. თვალთ აღსაქმელი სიტყვები: 500 საკითხავი მარაგის სახით
2. სწავლობს ხმოვნებისა და თანხმოვნების სხვადასხვა კომბინაციას
3. სწავლობს ხშირად ხმარებულ პრეფიქსებს და სუფიქსებს: ული, ელი, იანი, ალი, სა-ო (სა-ქართველ-ო, სა-სადილ-ო), სა-ე (სა-სახლ-ე, სა-კაბ-ე) და ა.შ.
4. სწავლობს და ესმის მარცვლები და ასახელებს მარცვლების რაოდენობას.

დამარცვლის წესები

სიტყვის დამარცვლის წესების ცოდნა მათი წარმოთქმისთვისაა მნიშვნელოვანი. თუკი სიტყვის სწორად დაყოფა არ იცით, არც მისი წარმოთქმის წესი გეცოდინებათ.

1. ხმოვანი ბგერა ყველა მარცვალშია. სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანი ბგერაცაა.
2. პრეფიქსი და სუფიქსი, როგორც წესი, ცალკე მარცვალს შეადგენს. ის სიტყვის დამოუკიდებელი ერთეულია და არა ერთი გრძელი სიტყვის თუ ფუძის ნაწილი.
3. ორ ხმოვანს შორის მდებარე თანხმოვანი მის შემდგომ მდებარე ხმოვანთან ერთიადნება.

დანართი ბ 10

თვალთ ალექსული ორასი სიტყვა:

ოჯახი	საძინებელი	თვე	ოკეანე
დედა	ტუალეტი	წელი	სკოლა
მამა	აბაზანა	გაზაფხული	კლასი
და	ღუმელი	ზაფხული	წიგნი
ძმა	ცხოველი	შემოდგომა	კომპიუტერი
ბები	ძალი	ზამთარი	ეკრანი
ბაბუა	კატა	დილა	გაკვეთილი
პაპა	ცხენი	სალამო	მასწავლებელი
ძია	ძროხა	შუადღე	მოსწავლე
დეიდა	თხა	ღამე	თანაკლასელი
მშობელი	ქათამი	ახალი წელი	დირექტორი
სახლი	მამალი	შობა	მერხი
ეზო	ინდაური	არდადეგები	დაფა
ოთახი	ლომი	შვებულება	რვეული
კიბე	ვეფხვი	ბუნება	კალამი
აივანი	მგელი	ცა	ფანქარი
კარი	დათვი	მიწა	წებო
ფანჯარა	აქლემი	წყალი	ქალაქი
იატაკი	სპილო	მზე	ქურჩა
ჭერი	თევზი	მთვარე	გამზირი
სხვენი	ირემი	ვარსკვლავი	სასახლე
მაგიდა	მაიმუნი	ტყე	ეკლესია
სკამი	ჩიტი	მინდორი	მალაზია
კარადა	ფრინველი	ყანა	სუპერმარკეტი
უჯრა	დრო	ჭალა	რესტორანი
საწოლი	საათი	მთა	კაფე
ფარდა	წუთი	დაბლობი	პარკი
ნათურა	წამი	მდინარე	ტრანსპორტი
შუქი	დღე	ზღვა	ავტობუსი
სამზარეულო	კვირა	ტბა	ტროლეიბუსი

ღანართი ბ 10

ტაქსი	ტორტი	ხინკალი	მაკანკალებს
მეტრო	ვაშლი	საცივი	მეწვის
საკვები	მსხალი	ლობიო	მტკივა
საჭმელი	ატამი	სპორტი	ძ ი რ ი თ ა დ ი
სასმელი	ფორთოხალი	ბურთი	ს ა კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი ო
საუბმე	ბანანი	ფეხბურთი	ეტიკეტი
სადილი	ყურძენი	ხელბურთი	გამარჯობა
ვანშამი	ქლიავი	კალათბურთი	ნახვამდის
ჩაი	საზამთრო	ჩოგბურთი	კარგად იყავი
ყავა	ნესვი	რაგბი	ძ ი რ ი თ ა დ ი
წვენი	თხილი	აუზი	ს ა ი დ ე ნ ტ ი ფ ი კ ა ც ი ო
კოკა-კოლა	მზესუმზირა	ცურვა	სიტყვები
პეპსი-კოლა	ხაჭაპური	სირბილი	მე
ლიმონათი	ქადა	ხტუნვა	შენ
პური	ჰამბურგერი	სიარული	ის
ყველი	ჩიზბურგერი	მომწონს	ჩვენ
კარაქი	მაკარონი	მიყვარს	თქვენ
რძე	ბრინჯი	მიხარია	ისინი
თაფლი	წიწიბურა	მწყინს	ჩემი
ფაფა	მჭადი	კარგია	შენი
კარტოფილი	ლომი	ცუდია	მისი, იმისი
ძეხვი	ძეხვი	მშვენიერია	ჩვენი
ნამცხვარი	სოსისი	მცირა	თქვენი
ნაყინი	მწვადი	მცხელა	მათი, იმათი

ა ბ გ დ ე ვ ზ თ

ი კ ლ მ ნ თ პ ჟ

რ ს ტ ყ უ ქ ლ ყ

შ ჩ ც ძ ვ ჯ ზ კ ლ

ფანართი 3 1

ელო	ხ	ც	ბ
არი	კ	წ	ს

ილო	ხ	ძ	წ
-----	---	---	---

ფანართი 8 2

ბარი	კარი
ღარი	ღარი
ღარი	სარი
ტარი	ქარი
ნარი	ზარი





ფანართი 3 2

ხილი	თბილი
ძილი	ტკბილი
ღილი	წვრილი
ღილი	
წილი	
ვილი	
ტილი	
გრილი	


დანართი 3 2

ბელი	ბნელი
ხელი	ვრცელი
წელი	გრძელი
ყელი	
ნელი	
ცელი	
თხელი	
სქელი	


ფანართი 3 3

 <p>ბარი</p>	 <p>კარი</p>
 <p>ლარი</p>	 <p>ქარი</p>


ფანსართი 3 3



ხარი







ზარი




ფარი

ფანართი 3 4

 <p>ძიღი</p>	 <p>ტიღი</p>
 <p>მიღი</p>	 <p>ღიღი</p>

ფანაბრი 3 4



ხიფი



ღიფი

ფანაბრი 8 5



წელი



ბელი




ცელი



ყელი

ფანართი 3 5



ხელი



ნული



ღანართი 36

სირბილი	
სიარული	
ხტომა	
დარტყმა	
ჭამა	
ღიმილი	
წასვლა	
მოსვლა	

ღანართი 86

გადახტომა	სიმღერა
ტაშის დაკვრა	ცეკვა
ქანაობა	მოსმენა
ფეხის ბაკუნი	ჩამოსრიალება
თათუნი	ფეხის წვერებზე სიარული
სიცილი	ცურვა
ცხენით, მანქანით სიარული	ფრენა
ყურება	ხოხვა

დავარდნა	აღნიშვნა
თამაში	კოცნა
მიღება	ჩახუტება
დგომა	გადარება
დაგროვება	დავარდნა
კეთება	გამარჯვება
გაშხეფება	აღება
თქმა	





ღანართი 8 8

სარკე	ყუთი
საწოლი	ჭიქა
სამზარეულოს მაგიდა	ჩაიდანი
სამზარეულო	თეფშები
აბაზანა	წებოვანი ლენტი
საძინებელი	რადიო
ტახტი	წიგნები
ფორტეპიანო	აბაზანა

ღანართი 8 8


ტელევიზორი	სკამი
მაგიდა	იატაკი
ჩვარი	კედელი
კარი	ფანჯარა
ნიჟარა	ღუმელი
სარეცხი მანქანა	საშრობი
სათამაშოები	ნათურა
კომპიუტერი	მაცივარი


ღანართი 8 8

შხაპი	
ტუაღეტი	
ქოთანი	
კაღენდარი	
ტეღეფონი	
მცენარე	


ღანართი 89

ბიჭი	მკერდი
გოგო	მუცელი
თმა	ხელები
თვალები	მკლავები
ცხვირი	ფეხები
პირი	ტერფი
ყურები	კბილები
კისერი	ზურგი









ღანართი 8 11

გახარებული

მოწყენილი

გაბრაზებული

შეშინებული

ავადმყოფი

დაღლილი

ცხელი


ცივი




აკადმყოფი



დაღლილი



ცხელი




ცივი




გახარებული



მოწყენილი



გაბრაზებული



შეშინებული

ყავისფერი	ოქროსფერი
წითელი	დათვი
ყვითელი	ჩიტი
ცისფერი	იხვი
მწვანე	ცხენი
იისფერი	ბაყაყი
თეთრი	კატა
შავი	ძაღლი

ფანართი 8 13

ძიღო	
თევზი	

ფანართი 8 14

ყავისფერი	წითელი
ყვითელი	ცისფერი

ფანართი 8 14

მწვანე	იისფერი
თეთრი	შავი

ფანართი 8 14


თქროსფერი	




ბაყაყი




კატა



ძაღლი



ცხვარი




დათვი



ჩიტი




იხვი




ცხენი





ღანართი 3 15

 <p data-bbox="338 936 562 1019">თევზი</p>	


ფანქარი № 10



საოჯახო ღოგო




ფანქარი № 3



ბიზნისი

პინძო


პიანო




ს	
ბ	
დ	
ვ	
გ	
ქ	
წ	
ჭ	

ოგო

დანართი № 70



დენარში ღ 70




დაწერეთ ღ 80

ე	
ამა	მ
არი	
აღე	
ოვა	
ენო	ბ
ესო	
არი	
ოვი	
ოსო	ს
ახლი	
ავსე	


დანართი № 80

ილი	
ოლი	
ული	ხ
არი	
ალი	
აღი	წ
ორი	


ფანსართი ღ 9



დასვართი ღ 9




ფანსართი ფ 100




ფანჯრები № 10




ფანსართი ფ 11





ფანქარი № 13

ფანტაზია № 14



კროსვორდი 1

თარაზულად:

3. მე მიყვარს -----(წიგნის) კითხვა
5. მე საყიდლებზე მივდივარ -----(მოდში)
7. მე მქვია -----(სელი)
8. არა- ნიშნავს რომ არ გინდა; ----- (კი) ნიშნავს მინდა.

შვეულად:

1. მამიკო და ----- (დედიკო)
2. ჩემს ძმას ქვია ----- (უილი)
4. დედიკო და ----- (მამიკო)
6. მე შენ -----(მიყვარხარ)
9. მე ჩემი თვალით ----- (ვხედავ)


ექიმის ცხრილი


სახელი _____ გოგონა _____ ბიჭი _____

თვალეზი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	მუცელი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
ცხვირი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	ხელეზი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
თვალეზი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	მკლავეზი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
პირი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	ფეხეზი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
კისერი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	ტერფეზი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
მკერდი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	ზურგი გტკივა?	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა

დანართი № 16

ექიმი _____
პაციენტი _____

		
ნემსი	კი	არა

		
ტაბლეტი	კი	არა

		
თხევადი წამალი	კი	არა

საუზმის მენიუ

სასმელები

- _____ვაშლის წვენი
- _____ფორთოხლის წვენი
- _____მოცვის წვენი
- _____რძე
- _____ცხელი შოკოლადი

ბურღული

- _____რძე და ხრაშუნები
- _____მანის ფაფა
- _____შვრიის ფაფა
- _____ნამცხვარი

პურეული

- _____ტოსტი
- _____ბულკი
- _____თონის პური
- _____კრუასანი

ძირითადი კერძები

- _____სოსისი
- _____მოხარშული კვერცხი
- _____შემწვარი კვერცხი
- _____„თოხლო“ კვერცხი
- _____ბლინები

1	 <p>ჯგუფში</p>
2	 <p>ბუნტრები</p>
3	 <p>კეკა</p>
4	 <p>ხელოვნება</p>
5	 <p>მუსიკა</p>
6	 <p>გარეთ თამაში</p>
7	 <p>ამბების წაკითხვა</p>
8	 <p>სახლში წასვლა</p>

დანართი № 19

ყოველდღიური ანგარიში წარმატების შესახებ

სახელი _____ თარიღი _____

1) მე ბევრი ვიმუშავე ქალბატონ ოლტის გაკვეთილზე



2) მე ბევრი ვიმუშავე სხვა მასწავლებლებთან



3) ჯგუფური გაკვეთილის დროს კარგი მსმენელი ვიყავი



4) მე კარგად ვითამაშე სათამაშო მოედანზე.



დანართი № 19

ყოველდღიური ანგარიში წარმატების შესახებ

სახელი _____

1) მე მოვუსმინე ჩემს მასწავლებლებს პირველ კლასში

კი

არა

2) მე მერხთან ბევრი ვიმუშავე

კი

არა

3) ბევრი ვიმუშავე ხალიჩაზე

კი

არა

4) მე კარგად ვითამაშე სათამაშო მოედანზე.

კი


არა

5) მე ბევრი ვიმუშავე ჯონის კაკვეთილზე

კი

არა


მე ვეძებ ბანძს
(ვეძებ, ვეძებ, ვეძებ)



მე მივდივარ განძის საძებნელად.








მე ვეძებ მაგიდაზე,




ღამკაზე,






მე ვეძებ საწოლის ქვეშ,



საწერი მაგიდის ქვეშ.



მე ვეძებ სავარძლის ქვეშ.



მე ვეძებ, ვეძებ, ვეძებ ყველგან.



მე ვეძებ სარკეში და რას ვხედავ?





მე ვხედავ ღანის მაძიებელს,
რომელიც მიუერებს მე!

ყველაფერი ჩემ შესახებ



მე ვარ გოგო






მე ვარ _____ წლის



ჩემი თმა არის _____



ჩემი თვალები არის _____



მე მაქვს 2 თვალი, 1 ცხვირი და ბევრი კბილი.

ასეთი დიდი ხელი მაქვს

ასეთი დიდი ფეხი მაქვს

ეს სახელმძღვანელო დოკუმენტად გთუთხრობს შპითხველს, როგორ შეიშუშაოს და განახორციელოს კითხვის კროგრამა დაუნის სინდრომის შეონე ან ინთელექტუალური დარღვევების შეონე სხვა ბავშვებისთვის. კითხვის კროგრამის ავტორი და ინიციატორი, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბავშვის განვითარებისა და ინთელექტუალური დარღვევების ცენტრის ეშსკერიმენტული სნავლების განყოფილების თანაშრომელი, კატრინია ოლკვინი დიდო ნიჟით დაჰილდოებაული და ალზე კრეატიული მასწავლებელია, რომელსაც დაუნის სინდრომის შეონე ბავშვებისთვის კითხვის სნავლების ოცდახუთ ნულზე მეთი ხნის გამოსცდილება აქვს.

აქ აღწერილი კირითადი კროგრამა ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბავშვის განვითარებისა და ინთელექტუალური დარღვევების სკოლაგმდელი ცენტრის ეშსკერიმენტული განათლების განყოფილების კროგრამის ფარგლებში შეიშუშავდა. ეს ერთ-ერთი კირველი კროგრამაა, რომელიც „შინდუდული შესაძლებლობების შეონე ბავშვების აღრეული განათლების კროგრამას“ დაედო საფუძვლად. წლების განმავლობაში შიშდინარეობდა კროგრამის ფარგლებში გამოყენებაული ხერხების გავრცობა, ადგობირება, მეთი გამოყენება სხვადასხვა სასწავლო გარემოება და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. დღეს ეს კროგრამა მსოფლიოს მრავალ შვეყანაში წარმატებით გამოიყენება.

წიგნი გამოიხა საჟანთვედოს დაუნის სინდრომის ასოშიაშიის შიან



საქართველოს
დაუნის სინდრომის ასოშიაშია
GEORGIAN
DOWN SYNDROME ASSOCIATION



DOWN SYNDROME GEORGIA FOUNDATION
საქართველოს დაუნის სინდრომის ფონდის ასოშიაშია

თბილისის მერია